

ᲤᲠᲘᲓᲠᲝᲜ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲣᲠᲓᲣᲚᲘ. 1960 წელს დაამთავრა დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის საშუალო სკოლა, 1965 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, 1970 წელს ასპირანტურა, 1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ფ. ბურდული 1970 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერ ასისტენტად, უფროს მასწავლებლად, ხოლო 1975 წლიდან დღემდე ჩრდილოეთ საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული სამსახურის ინდივიდუალური აუდიტორი (ლიცენზია 8.XII.1999).

ფ. ბურდული 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის 9 წიგნის. მისი მეცნიერული კვლევის სფეროა აღრიცხვის და ანალიზის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, ხოლო ობიექტი კვების მრეწველობა.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფრიდონ ბურდული

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის აქტუალური საკითხები

(მე-2 გამოცემა)

თბილისი 2003

ББК 65
УДК 13
ბ 966

წიგნში განხილულია მმართველობითი და ფინანსური ინფორმაციის ეკონომიკური ანალიზის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურისაკითხები.

ნაშრომში თანამედროვე თვალთახედვითაა გამოკვლეული ეკონომიკური ანალიზის, როგორც სამამულო, ისე მსოფლიოში აღიარებული ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პრინციპები, დამუშავებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისსაფუძველზე.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი ეკონომიკური სპეციალობების სტუდენტებისადაეკონომიკურიაზროვნებითდაინტერესებულიყველა პიროვნებისათვის.

რედაქტორები:

იაკობ მესხია — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიისნამდვილიწევრი.

მურმან ტურავა — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტები:

ედუარდ ცირამუა — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ომარ ჩადუნელი — ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი,თბილისისივ.ჯავახიშვილისსახელობისსახელმწიფო უნივერსიტეტისაღრიცხვის,ანალიზისადააუდიტისკათედრის გამგე.

ISBN 99928-0-066-6

წინასიტყვაობა

ცივილიზებული მსოფლიოს ერთ-ერთმა უძველესმა ერმა – ქართველებმა, თავის სახელმწიფოებრიობის 3000 წლის ისტორიის მანძილზე მრავალი ღირებულება შექმნა და შემატა მსოფლიოს კულტურისა და მეცნიერების საგანძურს.

ეროვნული სულის მარადიული უკვდაეების ძარღვი, მართალია, იყო და არის ქართული პოეზიისა და კულტურის ის თვითმყოფადი საუნჯე, რომელიც თავის ისტორიის მანძილზე შეჰქონდა ჩვენს ერს მსოფლიოს კულტურის საგანძურში, მაგრამ არანაკლებ ძლიერია ქართული ფენომენალური ეკონომიკური აზროვნება, რომელმაც ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა ქართველი ერი.

ჩვენ მოვალენი ვართ ყოველთვის გვახსოვდეს ეს ჭეშმარიტება და ნებისმიერ ცხოვრებისეულ პრობლემურ საკითხზე პასუხის გასაცემად უცხოური ლიტერატურისკენ კი არ უნდა გვეჭიროს თვალი, არამედ ეროვნული საგანძურისკენაც, სადაც ჩვენი ბრძენი წინაპრების მეცნიერულ შრომებში თუ მხატერულ ნაწარმოებებში აუცილებლად მიეაგნებთ საჭირო პასუხს.

70 წელი საქართველომ სოციალისტური აზროვნების წესით იცხოერა, რომელიც ეფუძნებოდა კომპარტიის პოლიტიკას და ქვეყნის ეკონომიკა იმართებოდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით, რის შეღეგადაც მეცნიერული ეკონომიკური აზროვნება განიცდიდა კრიზისს. როგორც კანონი, ყველა მეცნიერ-ეკონომისტის ნაშრომის აზრი უნდა მიჩერგებოდა პარტიის პოლიტიკას, რაც, ლოგიკურია, გამორიცხაედა შემოქმედებით მეცნიერულ აზროვნებას. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური აზროვნების თეორია, ასე თუ ისე, მაინც ვითარდებოდა. იქმნებოდა მრავალი მეცნიერული ნაშრომი ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის სფეროშიც. ცოტა, მაგრამ მაინც ქვეყნდებოდა მონოგრაფიები ცივილიზებული კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური აზროვნების შესახებაც.

ერთიან საბჭოურ ეკონომიკურ მეცნიერებაში თავისი წელილი შეჰქონდათ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებსაც, რომელთა ნაშრომებიდან დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა დაადგა ქვეყნის ეკონომიკის გადაყვანას საბაზრო ეკონომიკის რელსებზე, ბევრი სასარგებლო და სახელმძღვანელო აზრების მოძიება შეიძლება თანამედროვე თვალთახედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ გავიზიარებ იმ ავტორთა აზრებს, რომლებიც უარყოფენ ამ პერიოდში შექმნილი ეკონომიკური ნაშრომების მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებას და სტუდენტობას მიუთითებენ უცხოური ლი-

ტერატერისაკენ. გარდაუვალია, უნდა დამუშავდეს ახალი სასწავლო პროგრამები და სასულიძღვანელოები ეკონომიკურ მეცნიერებათა ყველა სფეროში, მაგრამ ისე, რომ მათში აისახოს ჩვენი მეცნიერების მიღწევები, ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკურობა, ერის ფსიქოლოგიური თავისებურებანი და საბაზრო ეკონომიკის ზოგადი პრინციპები. ასეთი სისტემით შეღებილი ნაშრომები ხელს შეუწყობს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას.

ქვეყანაში მიმდინარეობს ბულალტრული აღრიცხვის რეფორმა. პარადოქსია ის, რომ ბულალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტების შექმნა დღის წესრიგშიც არაა.

ანგარიშგასაწევია ის ჭეშმარიტება, რომ ბუღალტრული აღრიცხვა ქვეყნის ეკონომიკის მართვის ძირითადი ღერძია, მის გარშემო ბრუნავს ყველა ეკონომიკური მაჩეყნებელი. აქედან, ლოგიკურია დასკვნა იმის შესახებ, რომ ბულალტრული აღრიცხვის რეფორმა ცალმხრივად ნაჩქარევი და შეუძლებელია.

წიგნის მიზანია ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის კომპლექსური მეთოდიკის შექმნა ძველისა და ახლის შეთანაწყობის საფუძველზე.

მეთოდიკა აგებულია საქართველოს კვების მრეწველობის ისეთი ტრადიციული დარგების საწარმოთა პირობით მაგალითებზე, როგორიცაა ჩაისა და ღვინის მრეწველობა, იმ დიდი რწმენითა და იმედით, რომ ჩვენს ქვეყანაში, ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვებს ეკონომიკური აზროვნება და კელავ აღორძინდება ტრადიციული დარგები.

შრომის პირველი ნაწილი ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის თეორიას ეძღვნება, მეორე ნაწილი პროდუქციის წარმოების და მასზე მოქმედ ფაქტორთა ანალიზს, ხოლო წიგნის შესამე ნაწილი ეთმობა „ფინანსური ანგარიშგების“ ანალიზის მეთოდიკას, რომელიც ეყრდნობა ცივილიზებული მსოფლიოს უმაღლეს სასწავლებლებში აპრობირებულ სასულიძღვანელოებში გადმოცემულ მასალებს, ჩვენი კრიტიკული შენიშვნებით.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ნაშრომი უნაკლო იქნება. ყოველგვარ საქმიან შენიშვნებს დიდი მადლიერების გრძნობით მივიღებთ.

ნაწილი I ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის თეორიული საფუძვლები

თავი I.

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის არსი, საგანი, ობიექტები და ამოცანები

§ 1. ეკონომიკური საქმიანობა და ეკონომიკური მეცნიერების ფუნქციები

ჩვენს წელთაღრიცხვამდე წარმოშობილი ბერძნული ტერმინი „ეკონომიკა“ ორი სიტყვის შენაერთია – „ოიკოს“ (სახლი, შინამეურნეობა) და „ნომოს“ (კანონი) და გულისხმობს შინამეურნეობის მართვის კანონთა ერთობლიობას. „ეკონომიკის“ თანამედროვე გაგება ფართოა და მოიცავს ადამიანთა ორგანიზებულ საქმიანობას მათი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი მართლზომიერი საქმიანობა, რომელიც წარიმართება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად. მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა. ეკონომიკური საქმიანობა შეიძლება იყოს სამეწარმეო და არასამეწარმეო. აღნიშნული კანონით, სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად კი ითვლება ერთი პირის მიერ მეორე პირისათვის საფასურის გადახდით ქონების (მათ შორის ფულადი სახსრების) დროებით მფლობელობაში, სარგებლობაში ან მართვაში გადაცემა.

ზოგადი ფორმით, ეკონომიკური საქმიანობის ნებისმიერი ფორმა ის არის არსებული რესურსებით სხვადასხვა მატერიალური დოვლათის შექმნა საბოლოდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. იმასთან დაკავშირებით, რომ რესურსები განსაზღვრულია, ხოლო მოთხოვნილებანი განუსაზღვრელი, არსებულ რესურსებსა და მოთხოვნილებებს შორის

არსებობს წინააღმდეგობანი. ამ წინააღმდეგობათა დაძლევის გზებს თეორიულ ასპექტში არეგულირებს მეცნიერებანი ეკონომიკის შესახებ.

ნებისმიერ ქვეყანაში წარმოების ოპტიმალური განვითარება შეუძლებელია, თუ არ იქნება დამუშავებული ღრმად გააზრებული „ეკონომიკური თეორიები“ და მიღწევები არ დაინერგება პრაქტიკაში.

დღევანდელ ეტაპზე მრავალი ფუნქცია გააჩნია ეკონომიკურ მეცნიერებებს. მათ შორის აღსანიშნავია: ა) შემეცნებითი ფუნქცია, რომელიც განსაკუთრებულ კომენტარს არ საჭიროებს. ბ) მეთოდოლოგიური ფუნქცია – ყველა ეკონომიკური მეცნიერებისათვის აუცილებელი მეთოდების, საშუალებების, მეცნიერული ინსტრუმენტების დამუშავება. გ) პრაქტიკული ფუნქცია – ეკონომიკის სხვადასხვა „სართულებზე“ წარმოების მართვის ეკონომიკური პოლიტიკით უზრუნველყოფა.

თუ თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მთავარი კომპონენტი – „ეკონომიკსი“ – საშუალებას იძლევა მისი გამოყენებით ყველაზე ეფექტიანად გადაიჭრას საზოგადოების ეკონომიკური განვითარების საკითხი: რა (და რამდენი) ვაწარმოოთ? როგორ ვაწარმოოთ? და ვისთვის ვაწარმოოთ? ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი მიკრო დონეზე სწავლობს ამ პრობლემური საკითხების პრაქტიკული განსორციელების გზებს, მათ ხელისშემშლელ ფაქტორებს და მიზეზებს, ეძებს ფარულ შესაძლებლობებს და ამუშავებს მათ ასამოქმედებლად კონკრეტულ და დასაბუთებულ წინადადებებს.

§ 2. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის არსი

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი წარმოადგენს დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინას: იგი, როგორც ყველა მეცნიერება, ცოდნის უწყვეტად განვითარებადი მეთოდებისა და ხერხების სისტემაა, მაგრამ აღწერილი დროებითის ზრდის ფარული რეზერვების გამოსავლენად და ასამოქმედებლად.

საზოგადოების განვითარების ისტორია გვასწავლის, რომ ყოველ ახალ მეცნიერებას და შემეცნებას წარმოშობს პრაქტიკის მოთხოვნები, რადგანაც პრაქტიკა შეადგენს შემეცნების აუცილებელ პირობას და საფუძველს. სწორედ საზოგადოების პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილების შედეგი იყო ეკონომიკური ანალიზის, როგორც ცალკე მეცნიერული დისციპლინის წარმოშობაც.

ტერმინი „ანალიზი“ წარმოშობილია ბერძნული სიტყვიდან „analysis“ და

ნიშნავს მოვლენის, საგნის, პროცესების დაშლას, დანაწევრებას შემადგენელ ელემენტებად, მათი საფუძვლიანი შესწავლის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ანალიზი მეცნიერული კვლევის ობიექტური მეთოდია. ანალიტიკური კვლევის პროცესი არის ეკოლუციური მოძრაობა არცოდნიდან ცოდნისაკენ, არასრულყოფილი ცოდნიდან სრული და ღრმა ცოდნისაკენ, იმ ცოდნისაკენ, რომელიც ხალხის შრომას ბარაქას, ხვავს აძლევს.

სიეტლის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორის პოლ ხეინეს წიგნი – „ეკონომიკური აზროვნების წესი“, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური ანალიზის შესავალ კურსს, იმდენად პოპულარულია, რომ 20 წლის განმავლობაში 5-ჯერ გამოიცა და დღეისათვის ერთ-ერთ პოპულარულ კურსად ითვლება ეკონომიკის ხაზით. წიგნის მიზანია, როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, გადმოსცეს ადვილად მისახვედრი ისეთი აპარატი, რომელიც დაეხმარება ადამიანებს იმის გაგებაში, თუ რა წესით და რაგომ მიიღწევა შეთანხმება მილიონობით, თანაც ერთიმეორისათვის უცნობ ადამიანებს შორის, ან რაგომ ვერ ხერხდება ზოგჯერ ასეთი შეთანხმება...

ავტორი იქვე დასძენს – თუ ისინი, ვინც მართავენ საბოგადოებას და არ ფლობენ ასეთ ცოდნას, მაშინ იქ დიდია საშიშროება ქაოსისა და უბედურებისა. ამ აზრის ნათელი დადასტურებაა დღევანდელი პერიოდი, რომელსაც ქვეყანას მართავენ სწორედ ასეთი ადამიანები და შედეგად ქაოსი და უბედურება დაატეხეს თავს ქვეყანას...

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხაგვასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური ანალიზის თეორიული საფუძვლების დაუფლებას.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, ერა დამოუკიდებლობისა – თავისუფალი აზროვნების განვითარებისა, რომელიც კვლავ და კვლავ, ეკონომიკური აზროვნების განვითარებას მოითხოვს. დღეს მთავარია უშეცდომოდ ვმართოთ წარმოების ყველა უბანი. ეს კი მიიღწევა მხოლოდ ისეთი აუცილებელი მომენტების დაცვის პირობებში, როგორიცაა შექმნილი მდგომარეობის და განვითარების ტენდენციების სწორი შემეცნება. ამის განხორციელება კი შეიძლება მხოლოდ სამეურნეო პროცესების მიმდინარეობის ზუსტი ინფორმაციის სისტემატური მიღებისა და დამუშავების საშუალებით. დამუშავება გულისხმობს ინფორმაციის ეკონომიკურ ანალიზს. აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების რაციონალური მართვის ეფექტიანი სამუალებაა ოპერატიული დაგეგმვის, აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის კომპლექსური სისტემა. ასეთი სისტემა საშუალებას იძლევა ხელმძღვანელი ღრმად ჩაწვდეს წარმოების ეკონომიკას, უშეცდომოდ უხელმძღვანელოს სამეურნეო პროცესების მსვლელობას.

ანალიტიკოსებმა მართვის პროცესში უნდა უზრუნველყონ:

– საანალიზო ინფორმაციის დროული მიღება და გადამუშავება;

– რეალურად შეაფასონ საკვლევ ობიექტზე შექმნილი მდგომარეობა და შეუცდომლად აჩვენონ დასახული გეგმებიდან გადახრები, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი;

– გამოავლინონ ნაკლოვანებების აღმოფხვრის და მიღწევების დანერგვის გზები;

– სისტემატურად იძლეოდენ ანალიზურ მასალებს წარმოების პროცესების ოპერატიული რეგულირებისა და მომავლის შეუცდომლად განჭვრეტისათვის.

ეჭვს არ იწვევს ის აზრი, რომ ანალიზური დასკვნების თავისდროულობასა და ხარისხიანობაზე დიდადაა დამოკიდებული მართვის პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებათა ხარისხი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის არსი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი არის ისეთი პრაქტიკული გამოყენების დისციპლინა, რომელიც თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით გვაჩიარაღებს ისეთი მეთოდებითა და ხერხებით, რომელთა საშუალებით ვახდენთ: სამოქმედო ბიზნეს-გეგმების რეალურობის დადგენას; სამეურნეო პროცესების მიმდინარეობისა და შედეგების ობიექტურ შეფასებას; წარმოების ყველა უბანზე მიღწევებისა და ნაკლოვანებების ოპერატიულად გამოვლენას იმ მიზნით, რომ ოპერატიულადვე გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ საწარმოს ფარული რეზერვები.

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა ცხადყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი – ეს არის გასაღები ფარული რეზერვებისა, გასაღები წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა. ეფექტიანობის კრიტერიუმს კი წარმოადგენს „მინი-მაქსის პრინციპი", ე. ი. დანახარჯები მინიმუმი, შედეგი მაქსიმუმი.

§ 3. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის კვლევის საგანი და ობიექტები

როგორც მეცნიერულ დისციპლინას, ეკონომიკური საქმიანობის ანალიზს გააჩნია თავისი კვლევის საგანი, თუმცა მისი განსაზღვრების შესახებ მეცნიერები სხვადასხვა აზრის არიან.

პროფ. მ. ი. ბაკანოვის აზრით, „ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის

საგნად უნდა ვიგულისხმოთ საწარმოთა, გაერთიანებათა, ასოციაციათა სამეურნეო პროცესების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა და მათი საქმიანობის საბოლოო ფინანსური შედეგები, რომლებიც ყალიბდებიან ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედებით და აისახებიან ეკონომიკური ინფორმაციის სისტემის საშუალებით"[1].

ქართველ მეცნიერ-ეკონომისტს ი. ჭილაძეს მიაჩნია, რომ ანალიზის კვლევის საგანია შედარების შედეგად მიღებული გადახრები.

ს. კ. ტატური წერს: „ანალიზის საგანს წარმოადგენს საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება, მაღალი მუშაობის გეგმების შესრულება, საწარმოს კოლექტივის მიერ აღებული დამატებითი ვალდებულებანი, გეგმებში შეტანილი შესწორებების დასაბუთებულობა, საწარმოსა და მისი ქვედანაყოფების მუშაობის შედეგები"[1].

პროფ. ს. ბ. ბარნგოლცს მიაჩნია, რომ „ანალიზის საგანს წარმოადგენს საწარმოთა და მათ გაერთიანებათა სამეურნეო საქმიანობა, რომელიც მიმართულია გეგმების შესრულებისაკენ და ასახულია გეგმების, აღრიცხვისა და ანგარიშგების მაჩვენებელთა სისტემაში. ეს საქმიანობა, უწინარეს ყოვლისა, განიხილება პარტიის სამეურნეო პოლიტიკასთან შესაბამისობაში, გამოუყენებელი რეზერვების გამოვლენის მიზნით"[2].

ზემოთ მოყვანილ მეცნიერთა მიერ მოცემულ განსაზღვრებათა ურთიერთშედარება ნათლად გვიჩვენებს, რომ აქტორთა უმრავლესობა ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის საგნად მიიჩნევს „საწარმოთა სამეურნეო საქმიანობას", „სამეურნეო პროცესებს". ჩვენ ასეთი განსაზღვრება არ მიგვაჩნია კონკრეტულად, რამდენადაც საწარმოთა სამეურნეო საქმიანობა სხვა ეკონომიკურ დისციპლინათა კვლევის საგანსაც შეადგენს.

ყოველი მეცნიერული დისციპლინისათვის კვლევის საგანი კონკრეტული უნდა იყოს. ცხადია, ეკონომიკურ ანალიზს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობასთან აქვს საქმე, მას იკვლევს, მაგრამ იკვლევს რისთვის? რა არის კვლევის ძირითადი მიზანი? მეცნიერებს სადაოდ არ მიაჩნიათ ის აზრი, რომ ანალიზის მიზანია საწარმოთა ფარული რეზერვების გამოვლენა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. ამრიგად, ჩვენი აზრით, უფრო გამართლებული იქნება, თუ ეკონომიკური ანალიზის კვლევის საგნად მივიჩნევთ წარმოების ფარულ რეზერვებს, რო-

---

1 М. И. Баканов, А. Д. Шеремет, Теория экономического анализа, Москва, 1995, с. 41.

1.2 Баканов М. И. и др., Экономический анализ, Москва," Финансы", 1976 г., с. 20.)

მელთა გამოელენა ხორციელდება საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზის პროცესში.

ეკონომიკაში ასხვაებენ რეზერვების ორ ცნებას: 1. არეზერვო მარაგები (ნედლეული და მასალები, სათბობი და სხვ.), ე. ი. ის, რაც იმყოფება რეზერვად წარმოების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად; 2. რეზერვები, როგორც ჯერ კიდევ წარმოების ბრდის გამოუყენებელი შესაძლებლობა, რაც მის ხარისხობრივ მაჩვენებლების შემდგომ გაუმჯობესებაში გამოიხატება, გაიზრდება რეალიზაციის მოცულობა, შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება და ა. შ.

ეკონომიკური ანალიზის საგანს ძირითადად შეადგენს რეზერვების მეორე ჯგუფი, რომელიც წარმოშობის წყაროების თვალსაზრისით შეიძლება დაეყოთ გარე და შიდასაწარმო რეზერვებად. გარეგანი რეზერვები გულისხმობს დარგობრივ და რეგიონულ რეზერვებს; ხოლო შიდასაწარმო რეზერვები წარმოების შიდასამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების შედეგად გამოვლენილ რეზერვებს. მათი კლასიფიკაცია სქემაზეა მოცემული (ის. სქემა №1).

რეზერვთა კლასიფიკაციის შესაბამისად, საწარმოში უნდა იგეგმებოდეს ფარული რეზერვთა ძიებისა და ამოქმედების გზები, ე. ი. სისტემატურად უნდა მიმდინარეობდეს ეკონომიკური ანალიზი ფარული რეზერვთა გამოსაელენად და ასამოქმედებლად.


რეზერვთა კლასიფიკაცია ხდება ისეთი ნიშნების მიხედვითაც, როგორიცაა: პროდუქციის მოცულობის გაზრდა. ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესება, დანახარჯების შემცირება ელემენტებისა და მუხლების მისედვით ან კიდევ, პასუხისმგებლობის ცენტრის მისედვით და სხვ. რეზერვთა საერთო გამოანგარიშებისას თაეიდან უნდა ავიცილოთ დუბლირება.

რეზერვთა კლასიფიკაციას შეიძლება საფუძვლად დაედოს კელავწარმოების პროცესის სტადიები (მომარაგება პროდუქციის წარმოება გასაღება), ან კიდევ ტექნოლოგიური ციკლის სტადიები და ა. შ.

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის კვლევის ობიექტები. აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვის თვალსაზრისით „საწარმო" (ფირმა) განისილება როგორც ავტონომიური ერთეული, რომელიც დამოუკიდებელია არა მარტო კლიენტებისაგან, არამედ მფლობელისა და თანამეშაკეთაგანაც.

ეკონომიკური თეორიის საფუძვლების კურსში განხილულია სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი ფორმები, საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური აგენტები. აღნიშნულია, რომ თანამედროვე ერიენტულ მეურნეობაში მოსაწესეობს მილიონობით მეურნე სუბიექტი,

რესურსების კლასიფიკაციის ზოგადი სქემა



რომელთა მიზანია მოგების მაღება. მათ შორის არიან ისინი, ვისაც ეკონომიკური აგენტები ეწოდება -- მეურნეობები, სახელმწიფო სტრუქტურები, ბანკები, საკრედიტო საზოგადოებები და სხვ. გარდა ამისა, ყოველ ქვეყანაში მოქმედებენ თავისი, ამ ეროვნული მეურნეობისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური აგენტები.

საბაზრო ეკონომიკამ წარმოაჩინა თავისი, ეკონომიკური აგენტების მოქმედების ყველაზე ეფექტური ფორმა – ფირმა (საწარმო).

ფირმა იურიდიულად დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის იყენებს რესურსებს მოგების მიღების მიზნით და ერთ ან რამდენიმე საწარმოს ფლობს. სწორედ ამიტომ, კურსის პროგრამაში და წინამდებარე სახელმძღვანელოში ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის ძირითად ობიექტად ფირმაა მიჩნეული.

ფირმის მთავარი მოქმედი პირია მეწარმე. მეწარმე ეკონომიკური პროცესის მონაწილეა, რომელიც მოგების მიღების მიზნით დაკავშირებულია საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილების ახალი ტექნოლოგიის და წესების ძიებასთან. თეორიულ ასპექტში ამ პრობლემურ საკითხებს ზოგადად ამუშავებს ეკონომიკური თეორია – მეცნიერება ადამიანური მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით. შეზღუდული საწარმოო რესურსების ეფექტიანად გამოყენების შესახებ; პრაქტიკულად კი მიკროდონეზე – ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი, როგორც ფირმების ეკონომიკური ზრდის ფარული რეზერვების გამოელენის და ამოქმედების მძლავრი იარაღი.

§ 4. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის პრობლემები და ძირითადი ამოცანები

საწარმოთა მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებიდან საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლა მოითხოვს საწარმოთა მართვის ეკონომიკური მექანიზმის რადიკალურ გარდაქმნას. ასეთი გარდაქმნა კი განაპირობებს მრავალი ძირითადი ეკონომიკური კატეგორიის ტრანსფორმირების გაგების გადასინჯვას, ზოგიერთისთვის კი სრულიად სხვა აზრობრივი დატვირთვისა და პრაქტიკული შინაარსის მიცემას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მართვის სიმძიმის ცენტრი მიკროდონეზე გადადის უშუალოდ საწარმოო პროცესებზე და შედეგებზე; ამასა-

თან დაკავშირებით აუცილებელია მარკეტინგის ფორმირებადი სისტემების და მაჩვენებლების შესაბამისობაში მოყვანა აღებულ მარკეტინგის მეთოდებთან და მაჩვენებლებთან. მათგან პირველადია „კომერციული ანგარიში", რადგან მასში ყველაზე მკაფიოდ ვლინდება მომგებიანობის პრინციპი, ამასთან, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება დაბანდებული სახსრებისა და მისგან მიღებული ფინანსური შედეგების თანაფარდობის გაზომვას.

მართვის სამეურნეო მექანიზმის რადიკალურმა გარდაქმნამ მრავალი პრობლემა დააყენა ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის წინაშე. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, აღრიცხვა გაორებულია: ა) ფინანსური და ბ) მმართველობით აღრიცხვად. ეს მოითხოვს ანალიზის მოქმედი მეთოდიკის გარდაქმნას და აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის საერთო შინაარსიდან და მის წინაშე დასმული პრობლემებიდან ნათლად ჩანს, რომ მის წინაშე უამრავი და მრავალფეროვანი ამოცანაა გადასაჭრელი. ეს, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წარმოადგენს კვლევის ობიექტს: ა) საწარმოს ფინანსური ანგარიშგება თუ ბ) მმართველობითი ინფორმაცია; მეორე რიგში კი იმაზე, თუ რა ფორმით გარდება ანალიზი: ა) კომპლექსურია თუ ბ) თემატური; გ) ოპერატიულია, შემდგომი თუ პროგნოზული...

როდესაც ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის კვლევის ობიექტი საწარმოს ფინანსური ანგარიშგებაა, ანალიზის კვლევის ძირითადი ამოცანებია:

– დაადგინოს ფირმის მიმდინარე და მყარი აქტივების მდგომარეობა, ბალანსის მონაცემების საფუძველზე გამოთვალოს მათი ცვალებადობის კოეფიციენტები;

– გამოიკვლიოს დებიტორული და კრედიტორული დავალიანების მდგომარეობა დინამიკაში;

– შეისწავლოს საკუთარი კაპიტალის და მოგება-ზარალის მაჩვენებლები, მათ ცვალებადობაზე მოქმედი ფაქტორები;

– გამოიკვლიოს საწარმოს ლიკვიდურობის მდგომარეობა და დაადგინოს საწარმოს გადახდისუნარიანობაზე მოქმედი ყველა ფაქტორი;

– გამოიკვლიოს ფულადი სახსრების დენადობა და გაიანგარიშოს მისი დაჩქარების გზები;

– დაადგინოს ფირმის საერთო ფინანსური მდგომარეობა და მოახდინოს მისი ობიექტური შეფასება...

იმ შემთხვევაში, როცა ანალიზის კლიენტის ობიექტია ფირმის სამმართველო ინფორმაცია, მაშინ ანალიტიკოსთა წინაშე შემდეგი ამოცანებია გადასაჭრელი:

– ბიზნეს-გეგმების, ინდიკატორი გეგმის და მათთან დაკავშირებული ნორმატივების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებულობის დადგენა;

– ფირმის სამოქმედო გეგმების შესრულების მიმდინარეობის და ნორმატივების დაცვის მდგომარეობის ობიექტური შეფასება;

– წარმოების დანახარჯების სტრუქტურის შესწავლა და მათი მუხლობრივი და ელემენტური ანალიზი;

– შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა;

– კონტროლი „კომერციული ანგარიშის" მოთხოვნების განხორციელებაზე;

– მმართველობით გადაწყვეტილებათა ოპტიმალურობის გამოკვლევა;

– დასასრულს, ფირმის შინაგანი ფარული რეზერვების გამოელენა-გაზომვა და მათ ასამოქმედებლად ქმედითი ღონისძიებების დასახვა.

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის მთავარი ამოცანა ფარული რეზერვების გამოელენა-ანალიზის არსიდან გამომდინარეობს, რამდენადაც ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი, როგორც გამოყენებითი დისციპლინა, თავის მიზანს აღწევს მხოლოდ მაშინ, როცა მას მოაქვს რეალური სარგებელი.

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველა ფირმის ეკონომიკური საქმიანობა და მათი ფინანსური შედეგები ყველაზე მეტად დამოკიდებულია „კომერციული ანგარიშის" პრინციპების დაცვაზე. მატერიალური დაინტერესების პრინციპი წარმოადგენს კომერციული ანგარიშის ერთ-ერთ განმასხვავებელ თვისებას, იგი უზრუნველყოფს საწარმოსა და კოლექტივის ინტერესების აუცილებელ შეთანაწყობას.

კომერციული ანგარიშის პრინციპების დაცვის რეალურობის სწორი შეფასება მოითხოვს გამოკვლეულ ფაქტორების დაჯგუფებას საწარმოზე დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ფაქტორებად და, რაც მთავარია, ფინანსურ შესწავლას დეტალურ ჭრილში.

როგორც აღინიშნა, ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მმართველობითი გადაწყვეტილებათა ოპტიმალურობის გამოკვლევა, რადგან დღეს ეჭვს გარეშეა ის ჭეშმარიტება, რომ მენეჯერის ანალიზურ აზროვნებაზე დიდადაა დამოკიდებული ფირმის წარმატებები. ანალიზის მიზანი და ამოცანა სწორედ იმაში

მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოს მმართველობის პროგრესული ფორმების დანერგვას.

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის ჩამოთვლილი ამოცანები მხოლოდ ნაწილია ანალიზური კვლევა-ძიებისა, რადგან, როგორც ადამიანის აზროვნებას არა აქვს ზღვარი, ასევე ანალიზის ამოცანებიც განუსაზღვრელია. ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ეითარდება ანალიზური კვლევის მეთოდოლოგიაც. ცხოვრება ახალ-ახალ ამოცანებს აყენებს, მეცნიერებანი კი ეძიებენ მათი გადაჭრის ოპტიმალურ გზებს. ანალიზური კვლევა-ძიების მეთოდიკაც სისტემატურ სრულყოფას მოითხოვს. ეს პროცესი შეუქცევადია.

თავი II.

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის მეცნიერული საფუძვლები

§ 1. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი და შემეცნების თეორია

მეცნიერება კვლევითი მოღვაწეობის სფეროა, რომელიც გამიზნულია ბუნების, საზოგადოების და აზროვნების შესახებ ახალი ცოდნის გამოსამუშაებლად და თავის თავში მოიცავს ასეთი ცოდნის შექმნის ყველა პირობას და მომენტს – მეცნიერებს, მათ ცოდნასა და უნარს, მათ კვალიფიკაციას და გამოცდილებას და საერთოდ, მიღწეული ცოდნის მთელ ჯამს. მეცნიერთა კვლევითი მოღვაწეობის საფუძველია „შემეცნება“ – მეცნიერთა შემოქმედებითი მოღვაწეობის პროცესი, რომელიც მათი ცოდნის ფორმირებას ახდენს და რომლის საფუძველზეც წარმოიშვება ახალი მიღწევები, შედეგები. იგი შეისწავლის და ხსნის მოვლენათა არსს. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური საქმიანობის პროცესების და შედეგების შემეცნების უმნიშვნელოვანესი ცოდნის სფეროა, რამდენადაც იგი იყენებს კვლევის მეცნიერულ-პრაქტიკულ მეთოდოლოგიას.

შემეცნების თეორია იკვლევს სამყაროსთან ადამიანის შემეცნებითი დამოკიდებულების პროცესს, მათ ამოსავალ პირობებსა და საყოველთაო საფუძვლებს. შემეცნების ლოგიკური მოქმედება ხორციელდება ისეთ

ფორმებში, როგორიცაა: მსჯელობა, ცნება, დასკვნა, ინდუქცია და დედუქცია, ანალიზი და სინთეზი და ა. შ. ძალაში რჩება ფორმულა შემეცნების ჭეშმარიტების შესახებ – „ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტულ აზროვნებაზე და მისგან პრაქტიკაზე“. მეცნიერების ყველა სფეროში ხშირად მიმდინარეობს დაცა პრობლემ ურ საკითხებზე, რაღგანაც ჭეშმარიტების დადგენა ყოველთვის ძნელია.

დღეანდელ პირობებში „ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის“ წინაშე ძალზე დიდმნიშვნელოვანი პრობლემებია. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა თანდათან ერთვება საერთაშორისო კავშირებში, იქმნება ერთობლივი ორგანიზაციები, ფირმები, სადაც მმართველობა უნდა მიმდინარეობდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

§ 2. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი მეცნიერებათა სისტემაში

როგორც ცნობილია, მეცნიერებანი ორ დიდ სფეროდ იყოფიან: ა) მეცნიერებანი ბუნების შესახებ და ბ) მეცნიერებანი საზოგადოების შესახებ. ყოველი მათგანი მოიცავს მრავალ დარგს, დისციპლინას. რაც შეეხება სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, იგი სამი სახეობისაგან შედგება: ფუნდამენტური, გამოყენებითი და დამუშავებითი.

ფუნდამენტურ მეცნიერებათა კვლევის მიზანია საზოგადოებრივი ცოდნის გაფართოება, ბუნების კანონების უფრო ღრმად შესწავლა და, რაც მთავარია, თეორიული საფუძვლების, ე. ი. ცოდნის ფუნდამენტის შექმნა სხვა მეცნიერებებისათვის.

საბუნებისმეტყველო-ტექნიკურ დარგში ესაა მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია. ბიოლოგია, ეკონომიკურ მეცნიერებაში – ეკონომიკური თეორია, დისციპლინათა უფრო სრული წრისათვის – ფილოსოფია.

გამოყენებითი კვლევის მიზანია ფუნდამენტურ მეცნიერებათა საფუძველზე ისეთი ახალი მეთოდების შექმნა, რომელთა მეშვეობით უშუალო კავშირის დამყარება შეიძლება წარმოებასთან, პრაქტიკასთან.

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი, როგორც მეცნიერული დისციპლინა, მიეკუთვნება გამოყენებით მეცნიერებათა ჯგუფს, რადგანაც მისი მიზანია კვლევის ისეთი სპეციფიკური მეთოდებისა და ხერხების შექმნა და გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს მართვის სრულყოფას და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

რამდენადაც ეკონომიკური ანალიზი წარმოიშვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დიფერენციაციის საფუძველზე, ეს, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა იმ გარემოებას, რომ იგი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემისა და, რა თქმა უნდა, მჭიდრო კავშირში იმყოფება მათთან. ასეთ მეცნიერებას, პირველ რიგში, მიეკუთვნება ეკონომიკური თეორია, რომელიც ეკონომიკური ანალიზის თეორიული საფუძველია, აიარაღებს ანალიტიკოსებს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით.

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი და ეკონომიკური თეორია. ეკონომიკური ანალიზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ემყარება შემეცნების თეორიას და მატერიალისტურ დიალექტიკას. ამ საფუძვლებს ემყარება ეკონომიკური თეორიაც, რაც განაპირობებს ეკონომიკური თეორიისა და ანალიზის თითქმის ორგანულ კავშირს. თუმცა არსებობს არსებითი განსხვავებანიც. ეკონომიკური თეორია, როგორც ცნობილია, იკვლევს საზოგადოებრივი წარმოების საფუძვლებს, მათი ფუნქციონირების კანონებს და განვითარებას, მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პრობლემებს მაკროდონეზე. ეკონომიკური თეორიის შესწავლის ამოსავალ ბაზას, თანმიმდევრულად, წარმოადგენს წარმოებისა და კვლავწარმოების ზოგადი საფუძვლების ანალიზი; საზოგადოების, როგორც ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზმის განვითარების ანალიზი, რა თქმა უნდა, სხვადასხვა საზოგადოებრივ ფორმაციებში მათი განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით.

ეჭვს არ იწვევს ის საერთო აზრი, რომ ეკონომიკური თეორია შეისწავლის სახალხო-სამეურნეო და მრავალრეგიონულ მასშტაბებში ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, ხოლო ეკონომიკური ანალიზი თავის გამოკვლევებში მხოლოდ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ამსახველი ბალანსების ირგვლივ ტრიალებს. სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა აკადემიკოსი კ. ვ. ოსტროვიტიანოვი, „ეკონომიკური მეცნიერებების კლასიფიცირებისას, რომ სამეურნეო საქმიანობის ანალიზი არის პოლიტეკონომიის გაგრძელება, მეცნიერება, რომელიც იკვლევს ეკონომიკურ კანონთა მოქმედებას ქვედა რგოლში – საწარმოში, სადაც პოლიტეკონომისტები, ჩვეულებრივ, არ ისვლებიან“[1].

---

1 М. И. Баканов, А. Д. Шеремет, Теория экономического анализа, Москва," Финансы и статистика", 1995 г., с. 13.

თუ სოციალიზმის პირობებში წარმოების მართვაში სამეურნეო ანგარიში ფიგურირებდა, საბაზრო ეკონომიკის პროცესში იგი „კომერციული ანგარიშით“ იცვლება. რომელიც უშუალოდ ღირებულების კანონს უკავშირდება.

საბაზრო პირობებში მიკროდონის სამეურნეო სტრუქტურების ფინანსურ შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა და კონკურენცია განაპირობებენ ანალიზის აუცილებლობას ყველა სამეურნეო პროცესზე, მოვლენაზე, სიტუაციაზე და მაჩვენებლებზე დანახარჯთა და შედეგთა თანაფარდობის თვალსაზრისით.

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი და წარმოების მართვა. როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი წარმოადგენს მართვის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას. ცნობილია, რომ მართვის სისტემა შედგება შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ფუნქციებისაგან: დაგეგმვა აღრიცხვა→ ანალიზი→ მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დაგეგმვა ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რამდენადაც მისი საშუალებით განისაზღვრება საწარმოს საქმიანობის მიმართულება და შინაარსი როგორც სინთეზურ, ისე ანალიზურ ჭრილში.

წარმოების მართვისათვის საჭიროა გვქონდეს სრული და სწორი ინფორმაცია როგორც გასული, ისე მიმდინარე სამეურნეო საქმიანობის პროცესის მსვლელობის შესახებ; ასეთ ინფორმაციას იძლევა ბუღალტრული აღრიცხვა. ამიტომ წარმოების მართვის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს აღრიცხვა. ინფორმაცია წარმოების მართვისათვის, შეიძლება ითქვას, ძირითადი „ნედლეულია“.

წარმოების მართვისათვის საჭიროა მიღებული ინფორმაციის გადამუშავება: გააზრება, გაგება, ტენდენციების დადგენა... ეს ყველაფერი მიიღწევა ეკონომიკური ანალიზის საშუალებით. ანალიზის შედეგების საფუძველზე ხდება მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება. ეკონომიკური ანალიზი მჭიდროდაა დაკავშირებული დაგეგმვასა და პროგნოზირებასთან. ანალიზის მნიშვნელოვანი როლი დაგეგმვის საქმეში ინფორმაციის მომზადებაში, გეგმური მაჩვენებლების ხარისხისა და დასაბუთებულობის შეფასებაშია.

ანალიზის კავშირი მართვასა და დაგეგმვასთან ნათლადაა ნაჩვენები პირველ პარაგრაფში.

ანალიზი და სტატისტიკა. ეკონომიკურ ანალიზს მრავალმხრივი კავშირი აქვს სტატისტიკის მეცნიერებასთან. პირველ რიგში, აღსანიშნავია

ის, რომ ეკონომიკური ანალიზი კვლევის პროცესში ფართოდ იყენებს სტატისტიკური მეთოდოლოგიის აპარატურას (შერჩევითი დაკვირვება, მასალების თავმოყრა და დაჯგუფება, საშუალოები, ინდექსები, ცხრილებისა და გრაფიკების აგების ხერხები და ა. შ.). გარდა ამისა, ეკონომიკური ანალიზი სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური შესწავლისათვის იყენებს სტატისტიკური აღრიცხვისა და დაკვირვების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას. თავის მხრივ, სტატისტიკა ფართოდ იყენებს ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიას თავისი ამოცანების გადასაწყვეტად.

ანალიზი და ბუღალტრული აღრიცხვა. ეკონომიკურ ანალიზს კავშირი აქვს ბუღალტრულ აღრიცხვასთან, რამდენადაც სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ინფორმაციის ძირითად წყაროდ სწორედ ოპერატიულ-ტექნიკური და ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაცია გვევლინება. აქედან გამომდინარე, ანალიზის დასკვნების მეცნიერული დონე დიდადაა დამოკიდებული აღრიცხვის სათანადო ორგანიზაციაზე და მისგან მიღებული ინფორმაციის უტყუარობაზე.

შეიძლება ითქვას, რომ აღრიცხვის მონაცემებით ეკონომიკური ანალიზი ასაბუთებს თავის დასკვნებს, ხოლო, მეორე მხრივ, ბუღალტრული აღრიცხვა ანალიზის მეთოდების დახმარებით ახორციელებს თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს – კონტროლის ფუნქციას.

საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი, პროფესორი სამუელსონი თავის შრომაში „ეკონომიკა“ განიხილავს რა ბუღალტრული აღრიცხვის ელემენტებს, თემის ეპითეტად წერს: „ჩვენი საუკუნე – მანქანების საუკუნეა, მაგრამ იგი აღრიცხვის საუკუნეცაა, რამდენადაც აღრიცხვა-ანგარიშგების ინფორმაცია შემეცნების სფეროში პირველადი საჭიროებისაა“[1]. ამერიკელ და ევროპელ მეცნიერთა შეხედულებათა მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვა ცოდნის სფეროა, რომელსაც საზოგადოებისათვის გააჩნია განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა. ამერიკული ასოციაცია „ბუღალტრული აღრიცხვის“ მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვა არის ეკონომიკური ინფორმაციის მიღების, დამუშავების და გამოყენების პროცესი დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებისა და ობიექტის შეფასებისათვის.

ბიზნესის სფეროში ბუღალტრული აღრიცხვის საკითხების ცოდნა იმდენად აუცილებელია, რომ ბუღალტრულ აღრიცხვას ბიზნესის ენას უწოდებენ.

---

1 პ. სამუელსონი, ეკონომიკა, ტ. I, მოსკოვი, 1992, გვ. 86.

დაფინანსება-დაკრედიტება და ანალიზი. ფინანსური საკითხების შესწავლა საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი რთული უბანია. ფინანსური მდგომარეობისა და საფინანსო გეგმის შესრულების ანალიზს საფუძვლად უდევს ფინანსური დაგეგმვის, საწარმოს ყველანაირი სახსრების ფორმირების, მათი შევსების და მიზნობრიად გამოყენების მოქმედი პრინციპები. აღნიშნულიდან გამომდინარე. ამ პრინციპების ღრმად ცოდნის გარეშე შეუძლებელია ანალიზის კვალიფიციურად ჩატარება.

ეკონომიკური ანალიზი და მათემატიკა. მათემატიკური მეთოდების ეკონომიკურ ანალიზში გამოყენების ასპარეზის გაფართოებას ღრმა ობიექტური კანონები უდევს საფუძვლად. მარქსს ეკუთვნის გამოთქმა: მეცნიერება მაშინ აღწევს სრულქმნილებას, როდესაც მას შეუძლია გამოიყენოს მათემატიკა. მათემატიზაცია თანამედროვე მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა. ეს ნათლად იგრძნობა ეკონომიკურ ანალიზშიც. მათემატიკური მეთოდების გამოყენება საშუალებას იძლევა შესასწავლ მოვლენებს მივცეთ რაოდენობრიეი გამოხატულება და ფართოდ გამოვიყენოთ ელექტრონულ-გამომთველელი მანქანები.

დღეისათვის ეკონომიკური ანალიზი მათემატიკის მრავალ მეთოდს და სამუშაო ხერხს იყენებს. მათ შესახებ კონკრეტულად ანალიზის ხერხების შესწავლისას შევჩერდებით.

ანალიზი კავშირშია ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მეცნიერებებთან, რამდენადაც ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის კომპლექსურად ჩატარება მოითხოვს მეგ-ნაკლებად წარმოების როგორც ტექნიკური, ისე ტექნოლოგიური პროცესების სათანადო ცოდნას, განსაკუთრებით ფუნქციურ-ღირებულებითი ანალიზის დროს.

ეკონომიკური ანალიზი კავშირშია სამართლისმცოდნეობის მეცნიერებებთან. ცნობილია, რომ ადამიანთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების პირველხარისხოვანი პრობლემის გადაჭრაში აქტიური მონაწილეობა ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანასაც შეადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ანალიტიკოსი სათანადოდ უნდა ერკვეოდეს შრომის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის ყველა იმ მთავარ საკითხში, რომელიც დაკავშირებულია წარმოების ხელმძღვანელობასთან, კოლექტივის შრომით საქმიანობასთან და მათ საყოფაცხოვრებო პირობებთან.

§ 3. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი და აუდიტი

აუდიტის არსი. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაწყებამ აუცილებელი გახადა მეცნიერული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის მიღწევების რიგი ახალი დარგების შესწავლა და პრაქტიკაში გამოყენება. ერთერთ მათგანს მიეკუთვნება „აუდიტი". გამოცემული ლიტერატურის მიხედვით, „აუდიტის" ცნება განისაზღვრება, როგორც სამეურნეო საქმიანობის შემოწმება, რევიზია, ანალიზი, ზოგიერთ წყაროში კი, რომელიც უცხოელ გამომცდილებას გეიზიარებს, აუდიტის ქვეშ იგულისხმება კომპლექსური ეკონომიკური ანალიზი, რაც, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია, რადგან ეკონომიკური ანალიზის კელეგის არეალი გაცილებით ფართო და მრავალფეროვანია, ვიდრე აუდიტის და რევიზიის.

აუდიტის სამსახურს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. XV-XVI საუკუნეებში აუდიტორული შემოწმების პრაქტიკას ადგილი ჰქონდა იტალიაში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში; 1876 წელს შეიქმნა ამერიკის აუდიტორთა ასოციაცია...

ბუღალტერ-აუდიტორის პროფესიის წარმოშობა დაკავშირებულია საქციო საზოგადოებების შექმნასთან. საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად თანდათან ხდებოდა იმ მომსახურების მოცულობის გაფართოება, რომელსაც ეწეოდნენ აუდიტორული ფირმები. აუდიტორული საქმიანობის განვითარებას მოჰყვა მსხვილი ტრანსნაციონალური ფირმების შექმნა, რომელთაც თავიანთი ფილიალები და წარმომადგენლობები აქვთ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამ ფირმებში დასაქმებულია ათეული ათასობით კაცი, ხოლო მათი საქმიანობა ემყარება აუდიტური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს.

ჩვენს ქვეყანაში აუდიტორული საქმიანობის დაწყების ოფიციალურ თარიღად ითვლება 1995 წლის 7 თებერვალი, როდესაც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი აუდიტური საქმიანობის შესახებ.

„აუდიტური საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონი განსაზღვრავს საქართველოში აუდიტორული საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს და აწესრიგებს აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს: „აუდიტი არის აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მიერ სამეურნეო სუბიექტების საჯარო საბუღალტრო ანგარიშგების, ბუღალტრის პირველადი დოკუმენტებისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ სხვა

ინფორმაციის შემოწმება, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე მათი უტყუარობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასა და დადგენილ ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით".

§4. ეკონომიკური ანალიზის სისტემურობა და კომპლექსურობა

სისტემური ანალიზის ქვეშ იგულისხმება რთული ეკონომიკური კატეგორიებისა და პროცესების გამოკვლევის მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობა, რომელიც მმართველობითი გადაწყვეტილების მომზადებისა და დასაბუთების საშუალებას იძლევა.

სისტემურობა, როგორც კიბერნეტიკური ცნება, მოითხოვს ობიექტის გამოკვლევას, ანალიზს, როგორც ერთ მთლიან სისტემას, რომელიც მოიცავს განსაზღვრულ ურთიერთკავშირში მყოფ ელემენტებს.

ეკონომიკური ანალიზის სისტემურობა ორგანულადაა დაკავშირებული კომპლექსურობასთან. ეკონომიკური ანალიზის სისტემურობის და კომპლექსურობის ორგანული კავშირი გამოხატულებას პოულობს პოლიტიკურის და ეკონომიკურის; ეკონომიკურის და სოციალურის; ეკონომიკურ-სოციალურ-ეკოლოგიურ ერთიანობაში; მთელისა და მისი ნაწილების ერთიანობაში; მაჩვენებელთა ერთიანი უნივერსალური სისტემის შემუშავებაში; ყველა სახის ინფორმაციის გამოყენებაში.

ანალიზის მიდგომის სისტემურობა და კომპლექსურობა ვლინდება, პირველ რიგში, პოლიტიკურის და ეკონომიკურის ორგანულ ერთიანობაში. განვლილი პერიოდის ანალიზი ცხადყოფს, რომ პოლიტიკის მოწყვეტა ეკონომიკისაგან იწვევს დამანგრეველ შედეგებს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ წინასწარი ეკონომიკური ექსპერიმენტებისა და ყოველმხრივი ანალიზის ჩაუტარებლად მიზანშეუწონელია ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმების გატარება (მაკროანალიზი).

ანალიზის სისტემურობა და კომპლექსურობა, მეორე მხრივ, გამოიხატება ეკონომიკურისა და სოციალურის ერთიანობაში. დადგა დრო, როცა ანალიზი უნდა ტარდებოდეს სოციალურ-ეკონომიკური კუთხით, ადამიანის ფაქტორის წინა პლანზე წამოწევით.

ანალიზის სისტემურობა და კომპლექსურობა უნდა განვიხილოთ აგრეთვე ყველა საანალიზო ობიექტის ეკონომიკურ-სოციალური და ეკოლოგიური ორგანული აღქმით. „ეკოლოგიური ფაქტორი" დღეს მსოფ-

ლიო მნიშვნელობას იძენს. რამდენადაც აშკარად შეიმჩნია მისი უარყოფის საბედისწერო შედეგები. საქართველოს საგადასახადო კოდექსით შემოღებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები: ა) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის და ბ) მაღნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს „ეკოლოგიური" ფაქტორის წინა პლანზე წამოწევას... დროულად უნდა დამუშავდეს მეთოდიკა ეკოლოგიური ზარალის აღრიცხვის და ანალიზის შესახებ.

სისტემური ანალიზი. სისტემებისა და ამ სისტემათა მართვის ანალიზურ-სინთეზური კვლევის მეტად ორიგინალური მეთოდი დაამუშავა ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა გ. კრონმა. ეს მეთოდი მექანიკური, ბიოლოგიური და ეკონომიკური სისტემების კვლევისთვისაა გამიზნული. სისტემური ანალიზის მეთოდოლოგია განავითარეს აკადემიკოსებმა დ. გვიშიანმა და ვ. აფანასიევმა[1], გ. პაპავამ...

ჩვეულებრივ სისტემაში იგულისხმება ურთიერთმოქმედი კომპონენტების სისტემა ამა თუ იმ სახით. სისტემა აქტიურად ზემოქმედებს თავის კომპონენტებზე, გარდაქმნის მათ საკუთარი ბუნების შესაბამისად. ამის შემდეგ საწყისი კომპონენტები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიან--კარგავენ სისტემაში შესვლამდე არსებულ ზოგიერთ თვისებას, იძენენ ახალ თვისებებს, გარდაქმნას განიცდიან მათ მიერ შენარჩუნებული თვისებებიც.

სისტემური ანალიზი საშუალებას იძლევა რთული სისტემა დაეანაწევროთ ელემენტებად, რთული ამოცანა – მარტივ ამოცანათა ერთობლიობად, გამოვხატოთ ისინი რიცხვით, ე. ი. სიზუსტის მაღალი ხარისხით. უფრო მეტიც, რთული ამოცანა შეიძლება დავიყვანოთ არა მარტო შედარებით მარტივ ამოცანებზე, არამედ ისეთ ამოცანებზე, რომელთა ამოხსნისთვისაც არსებობს დამუშავებული მეთოდები.

სისტემური ანალიზი მოიცავს თანამიმდევრულ ეტაპთა რიგს. ის ყოველთვის პროცესია, იმის შესახებ, თუ რამდენი და როგორია ამ პროცესის ეტაპები. ამ პროცესის უმნიშვნელოვანესი, ამოსავალი ეტაპია ანალიზი – გადასაწყვეტი პრობლემის თანამიმდევრული დანაწევრება კერძო ქვეპრობლემებად იქამდე, სანამ ყოველი ამ ქვეპრობლემის შესაძლებელი გადაწყვეტა არ გახდება ცხადი, თვალსაჩინო და გაზომვადი. ეს დანაწევრება, ანალიზი ძალზე რთული საქმეა განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკური სისტემების შესწავლისა და მართვის დროს.

არსებითად, სისტემური ანალიზის ყველა ეტაპზე გამოიყენება მოდე-

---

1 ვ. გ. აფანასიევი, საზოგადოება: სისტემურობა, შემეცნება და მართვა, თბილისი, 1985 წ., გვ. 20-30.

ლირების მეთოდი. ამ დროს გამოიყენება სრულიად სხვადასხვა ტიპის მოდელები, სისტემის იმიტაციის სხვადასხვა საშუალებები – სქემები, ბლოკ-სქემები, ცხრილები და დიაგრამები და ა. შ.

რამდენადაც ეკონომიკურ სფეროში პრობლემათა გადაწყვეტა რესურსების გამოყენებასთან და მათ გარდაქმნასთანაა დაკავშირებული, ძალზე ეფექტურია ნაკადური წარმოდგენის (მოდელირების) წესი. ამ ტიპის მოდელის კომპონენტებია: შესავალი – მოხმარებული რესურსების ნაკადი; გამოსავალი – მიღებული პროდუქციის და ნარჩენების ნაკადი. შეზღუდულობა – პირობები, რომლებშიაც არის მოქცეული რესურსების გარდამქმნელი სისტემა (მიზნები, რესურსების ლიმიტი, ვადები და ა. შ.); უკუკავშირი შესავალსა და გასავალს შორის, რაც საშუალებას გვაძლევს შევადარით ერთმანეთს რესურსების გარდაქმნის შედეგები და დასახული მიზანი.

სისტემური ანალიზი შემეცნებისა და მართვის უცილობელი საშუალებაა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი სულ უფრო მეტად ხდება სისტემური ხასიათის. სისტემური ანალიზის ჩატარებისას, როგორც წესი, გამოყოფენ ექვს ეტაპს:[1]

პირველ ეტაპზე. გამოკვლევის ობიექტი წარმოდგენილია როგორც სისტემა, რომლისთვისაც განსაზღვრავენ ფუნქციონირების მიზნებსა და პირობებს. საწარმოს სამეურნეო საქმიანობა შეიძლება განხილულ იქნას სამი ურთიერთდაკავშირებული ელემენტისაგან შემდგარ სისტემად: რესურსები, საწარმოო პროცესი და მზა პროდუქცია. საწარმოს მუშაობის მიზანს წარმოადგენს მომგებიანობა, მინიმალური დანახარჯების პირობებში. სისტემური ანალიზის ამოცანაა განიხილოს ყველა კერძო ფაქტორი, რომელიც მოქმედებს მწარმოებლის მიზნის მიღწევაზე.

ანალიზის მეორე ეტაპზე შეირჩევა ისეთი სინთეზურ და ანალიზურ მაჩვენებელთა სისტემა, რომლებიც ახასიათებენ საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ხარისხობრივ მხარეს. წარმოებს მათი გამოკვლევა.

მესამე ეტაპზე დგება სისტემის ზოგადი სქემა, დგინდება მისი მთავარი კომპონენტები, ფუნქციები, ურთიერთკავშირი, შემუშავდება იმ ქვესისტემათა სქემა, რომელიც უჩვენებს მისი ელემენტების თანადაქვემდებარებას.

სამეურნეო საქმიანობის მიმდინარეობის ამსახველი ინფორმაციული მოდელის საფუძველზე, რაც. რა თქმა უნდა, უნდა ემთხვეოდეს ეკონომიკური მაჩვენებლების ჩამოყალიბების ლოგიკურ თანამიმდევრობას, დგება

---

1 М. И. Баканов, А. Д. Шеремет, Теория экономического анализа, Москва, 1995 г., с. 218-225.

კომპლექსური ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის საერთო ბლოკ-სქემა, რას მიხედვითაც ხდება მაჩვენებლებისა და ფაქტორების კლასიფიკაცია, განისაზღვრება მათ შორის კავშირები. განვიხილოთ საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების ფორმირების კომპლექსური ანალიზის თანმიმდევრობის (პროცესის) სქემა (იხ. სქემა №2). სქემაში 17 ბლოკია, მათგან 8 ბლოკი ეხება საწარმოს სამმართველო ინფორმაციის, ხოლო 9 – საფინანსო ინფორმაციის ანალიზს.

სისტემური ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მისი ცალკეული ბლოკების მაჩვენებლებისა და წარმოების ფაქტორების ურთიერთგანპირობებულობებსა და კავშირებს მათ შორის. წარმოების ფაქტორების, მათი ურთიერთკავშირის ცოდნა, საწარმოო საქმიანობის ცალკეულ მაჩვენებლებზე მათი ზემოქმედების განსაზღვრის შესაძლებლობა საშუალებას გვაძლევს მეგაველენა მოვახდინოთ მაჩვენებელთა დონეზე ფაქტორების მართვის მეშვეობით. ამიტომ სამეურნეო საქმიანობის სისტემური ანალიზის მე-4 ეტაპზე განისაზღვრება ყველა ძირითადი ურთიერთკავშირი და ფაქტორები, რომლებიც იძლევიან რაოდენობრივ დასაბუთებას.

მეხუთე ეტაპზე იგება სისტემის მოდელი იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მიიღება წინა ეტაპებზე. მასში შედის კონკრეტული მონაცემები საწარმოს ცალკეული უბნების შესახებ და მიიღებენ მოდელის პარამეტრებს რიცხობრივ გამოსახულებაში.

ანალიზის მე-6 დამამთავრებელი ეტაპი – ესაა მუშაობა ახალ მოდელზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამეურნეო საქმიანობის შედეგების ობიექტური შეფასება, რეზერვების კომპლექსური გამოყენება წარმოების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.


კომპლექსური ანალიზის თანმიმდევრობის საკითხის გადაწრისას პირველადი მაჩვენებლების ანალიზიდან წასვლა განმაზოგადოებლისაკენ (სინთეზი) თუ პირიქით, ზოგადიდან პირველადისაკენ (ანალიზი) –არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ საშინაო მმართველობითი ანალიზისა და საგარეო ფინანსური ანალიზის ამოცანები და მიზნები, რომლის შესახებ წინა პარაგრაფშია ლაპარაკი.


კომპლექსურ ანალიზში მთავარია სისტემურობა, ცალკეული ნაწილების დაკავშირება – ურთიერთკავშირის დაკავშირებული ბლოკების ანალიზი და შესაბამისად, ცალკეული ბლოკების მიხედვით დასკვნების გამოტანა.

ეკონომიკური ანალიზის მრავალწახნაგიანობა, რეზერვების ძიების აუცილებლობა სამეურნეო საქმიანობისა და მმართველობითი დონეების

სქემა № 2

ფირმის ეკონომიკური საქმიანობის საფინანსო და სამმართველო მაჩვენებლების კომპლექსური ანალიზის ბლოკ-სქემა




ბლოკი 9. მიმდინარე აქტივების ანალიზი
ბლოკი 10. დებიტორული დავალიანების ანალიზი
ბლოკი 11. კრედიტორული დავალიანების ანალიზი
ბლოკი 12. საკუთარი კაპიტალის ანალიზი
ბლოკი 13. მოგებისა და ზარალის ანგარიშის ანალიზი
ბლოკი 14. ლიკვიდურობის ანალიზი
ბლოკი 15. ფულადი სახსრების დენადობისა და ფინანსური პროგნოზების ანალიზი
ბლოკი 16. აქტივების გამოყენებისა და ინვესტიციებიდან მიღებული მოგების ანალიზი
ბლოკი 17. ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური ანალიზი

ყველა სტადიაზე, მ.შ.დან საწარმოს ხელმძღვანელამდე. – მოითხოვს ვალდებულებათა და პასუხისმგებლობის მკაცრ განაწილებას ანალიზური სამუშაოების ჩატარებისას როლებს შორის. საწარმოში ეკონომიკური ანალიზის ორგანიზაციას და კოორდინაციას ახორციელებენ გენერალური დირექტორის მოადგილე ეკონომიკურ საკითხებში, ფინანსური დირექტორი და მთავარი ბუღალტერი, რა თქმა უნდა, თუ მათ აქვს შესაძლებლობა გააჩნიათ. ზოგიერთი ხელმძღვანელი მიმართავს მომსახურე ბიუროებს – კონსულტანტურს ან აუდიტორულს, რისთვისაც სათანადო ანაზღაურებას იხდის.


§ 5. წარმოების დონეზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია

ეკონომიკური ანალიზის „სისტემურობის“ საკითხის განხილვისას ბლოკ-სქემის სახით წარმოდგენილია იმ.შ.აჩვენებლების ლოგიკური თანმიმდევრობა, რომლის მისდევითაც მიმდინარეობს წარმოებისა და ფინანსების კვლავწარმოების პროცესი. ამ პროცესის ძირითადი მიზანია მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა. ეკონომიკური ანალიზის კვლევის მეთოდიკის ძირითადი მოთხოვნაა ყოველი გამოსაკვლევი ობიექტისადმი სისტემური მიდგომა. იგი გულისხმობს სხვადასხვა ფაქტორთა საკვლევ ობიექტზე გავლენის შემეცნებას და ზომის დადგენას, ლოგიკური თანმიმდევრობით და ფაქტორთა მემკვიდრეობითობის მიხედვით. წარმოების დონეზე მოქმედ ფაქტორთა ცოდნა და მათი გავლენის სიდიდის გაზომვის შესაძლებლობა საშუალებას გვაძლევს შევქმნათ რეზერვების ძიების მექანიზმი და ვმართოთ კატეგორიები.

„ფაქტორები“-ს ცნების ქვეშ იგულისხმება ის მიზეზები, რომლებიც გვმოქმედებენ მოცემულ კონკრეტულ მაჩვენებელზე ან მაჩვენებელთა მთელ რიგზე, იწვევენ მათ გარკვეულ ცვალებადობას (სიტყვა „ფაქტორი“ ლათინურია, factor – შემქმნელი, მიზეზი).

წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედებს მრავალი სახის ფაქტორი, რომელთა კლასიფიკაცია შესაძლებელია მრავალი ნიშნის მიხედვით, ეკონომიკური ანალიზის ამოცანებიდან გამომდინარე. პირველ რიგში, აუცილებელია ფაქტორთა კლასიფიკაცია შიდა და გარე ფაქტორებად. შემდეგ კი მათი დეტალიზაცია (სქემა №3).

საწარმოს საშიშროების საქმიანობის დონეზე მოქმედ ფაქტორთა კლასიფიკაცია



ფაქტორთა კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს ანალიზის პროცესში გადავჭრათ მნიშვნელოვანი პრობლემა – ძირითადი მაჩვენებლები გავათავისუფლოთ მეორეხარისხოვანი (გარე) ფაქტორების გავლენისაგან და სრულყოფილად განვსაზღვროთ წარმოების მიღწევები და ნაკლოვანებანი – ობიექტური და სუბიექტური.

ფაქტორთა კომპლექსური კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა შიდასამეურნეო რეზერვების კომპლექსური ძიებისა, რაშიც ფაქტორთა სისტემის მოდელირება დაგვეხმარება. მოდელირება უნდა ემყარებოდეს ამ სისტემიდან ფაქტორების, როგორც ელემენტების გამოყოფის ეკონომიკურ კრიტერიუმებს: მიზეზობრიობა, სპეციფიურობა, არსებობის თვითმყოფადობა, აღრიცხვის შესაძლებლობა და რაოდენობრივი გაზომვა.

ეკონომიკური კატეგორიებისა და მაჩვენებლების განმსაზღვრელ ფაქტორთა კლასიფიკაცია „რეზერვთა" კლასიფიკაციის საფუძველია.

თავი III.


ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის სახეები

§ 1. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის სახეების ზოგადი კლასიფიკაცია

უზომოდ ფართოა ეკონომიკური საქმიანობის არეალი და, შესაბამისად, მეწარმეთა მიზნების მიღწევის გზები და შესაძლებლობანი, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს მართვის თავისებური პრინციპების შემუშავებას./რამდენადაც ეკონომიკური ანალიზი გვევლინება მართვის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად, იგულისხმება, რომ ანალიზური პროცედურებიც უნდა მიესადაგოს მართვის პრინციპებს. სწორედ ამ მოთხოვნილების საფუძველზე ჩამოყალიბებულია ეკონომიკური ანალიზის მრავალი სახე, რომელთა კლასიფიკაციას ლიტერატურაში სხვადასხვანაირად ახდენენ. ასე მაგალითად, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები მ. ბაკანოვი და ა. შერემეტი[1] ეკონომიკური ანალიზის თეორიის სახელძღვანელოში ანალიზის კლასიფიკაციის შემდეგ სქემას გვთავაზობენ (იხ. სქემა №4).

1 М. И. Баканов, А. Д. Шеремет, Теория экономического анализа, Москва," Финансы и статистика", 1995 г., с. 189.

ეკონომიკური ანალიზის კლასიფიკაცია



როგორც სქემიდან ჩანს, იგი ზოგადი სახისაა და ანალიზის საერთო დეტალიზაციას ახდენს მხოლოდ მაკრო და მიკრო ჭრილში. რამდენადაც ჩვენი კვლევის ობიექტი მიკროანალიზია, საჭიროა ანალიზის სახეების უფრო კონკრეტული კლასიფიკაცია შემდეგი ძირითადი ნიშნების მიხედვით:

1. დარგობრივი სახეების მიხედვით,
2. დროის მიხედვით,
3. სივრცობრივი ნიშნის მიხედვით,
4. ინფორმაციული ნიშნის მიხედვით (გარეგანი და შინაგანი),
5. სოციალური ნიშნის მიხედვით და სხვა.

დღევანდელ ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში იცვლება წარმოების მართვის პრინციპები და მეთოდები; მართვის თეორია და პრაქტიკა მთლიანად ორიენტირებული ხდება შინაგანად დინამიური სტრუქტურების ჩამოყა-

ლიბებაზე, რომლის ძირითადი ნიშანია სწრაფი რეაქცია გარე პირობებისა და წარმოების მიმწოდებლების ცვლილებებზე. ყოველივე ეს ახალ პრობლემებს წარმოშობს ეკონომისტების წინაშე – ოპერატიულად უნდა მოუძებნონ და იქმნებოდეს ეკონომიკური ანალიზის მობილურ-სიტუაციური მეთოდიკები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მმართველებს (მენეჯერებს) მინიმალური დანაკარგებით შეცვალონ წარმოების სახე, ბიზნესის ფორმა. როგორც მენეჯმენტის თეორია გვასწავლის, მენეჯერი ყოველთვის უნდა ცხოვრობდეს აწმყოსა და მომავალ დროებში. მომავალ დროში ცხოვრება გულისხმობს ორგანიზაციის მომავლის უზრუნველმყოფელ საქმიანობას. ამრიგად, აქ ჩნდება ანალიზის ახალი სახე – სტრატეგიული ანალიზისა.

§ 2. დარგობრივი ანალიზის ორგანიზაციის და მეთოდიკის თავისებურებანი

პრაქტიკა ცხადყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ ეკონომიკური ანალიზი წარმატებით აღწევს თავის მიზნებს იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მეთოდიკა აგებულია დარგის სპეციფიკურობის გათვალისწინებით. დარგობრივი ანალიზი ეს, უპირველეს ყოვლისა, არის ცალკეული დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით შედგენილი ანალიზის მეთოდიკა. იგი განპირობებულია წარმოების სხვადასხვა დარგთა სპეციფიკით. საზოგადოებრივი წარმოების თითოეულ დარგს, შრომისა და ნედლეულის სპეციფიკურობის გამო, აქვს თავისებურებანი და როგორც შედეგი – დამახასიათებელი ეკონომიკური ურთიერთობები. სწორედ ამან განაპირობა დარგობრივი ეკონომიკური ანალიზის მეთოდიკების შექმნა. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, აქვთ ბევრი საერთო, რომელთა კვლევა ანალიზის ერთიანი მეთოდიკითაც შეიძლება, მაგრამ ის არსებითი განსხვავებანი, რომლებიც დარგებს ერთმანეთისაგან განასხვავებს, და მათ შესწავლას სჭირდება სულ სხვა მიდგომა და კვლევის ხერხები აუცილებელს ხდის ანალიზის დარგობრივი მეთოდიკების შექმნას.

მატერიალური წარმოების სფეროს მთავარი დარგია მრეწველობა, რომელიც ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ა) მომპოვებელი და ბ) გადამამუშავებელი.

მომპოვებელი მრეწველობის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ იგი თავის შრომის საგანს ბუნების წიაღში მოიპოვებს სპეციფიკური ტექნოლოგიით. რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს პროდუქციის თვითღირებულება (ამ ჯგუფს მიეკუთვნება შაქი და ფერადი ლითონების მოპოვება, ნავთობის მოპოვება და სხვ.).

გადამამუშავებელი მრეწველობის შრომის საგანია ნედლი მასალა, ე. ი. უკვე შრომის შედეგად მომზადებული საგანი. მრეწველობის ამ სახეობას მიეკუთვნება როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ნედლეულისა და პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები (მანქანათმშენებლობა, კეების მრეწველობა და სხვ.).

სამამულო კლასიფიკაციით, მრეწველობა 16 ძირითად დარგადაა დაყოფილი, თითოეული დარგი, თავის მხრივ, დამოუკიდებელ ქვედარგებად და წარმოებათა სახეობებად იყოფა. მაგალითად, საობობის მრეწველობა აერთიანებს 6 ქვედარგს, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამამუშავებელი მრეწველობა – 54 ქვედარგს, კეების მრეწველობა – 4 ძირითად და დიდი რაოდენობით ქვედარგებს. ყოველივე ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ საჭიროა შეძლებისდაგვარად მსგავსი ტექნოლოგიების მქონე დარგებისათვის შეიქმნას ეკონომიკური ანალიზის ტიპიური მეთოდიკები. საერთოდ კი, ეკონომიკური ანალიზის ზოგადი თეორიული ცოდნის ფლობა წარმოადგენს დარგობრივი ანალიზის ინდივიდუალური მეთოდიკების შემუშავებისა და პრაქტიკული გამოყენების აუცილებელ პირობას.

სოფლის მეურნეობა, როგორც მატერიალური დოვლათის მწარმოებელი დარგი, მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა დარგებისაგან: ა) აქ მთავარ, შეუცვლელ და მუდმივ წარმოების საშუალებად გამოდის მიწა; ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის კალაწარმოების პროცესი უცვლელად გადახლართულია ბუნებრივ ფაქტორებთან, ამიტომ დიდი როლი წარმოების პროცესში ეკუთვნის ბუნებრივ ფაქტორებს; გ) წარმოების საშუალებებად აქ გამოდიან ცოცხალი ორგანიზმები – ცხოველები და ნარგავები, რომლებიც ეითარდებიან ბიოლოგიური კანონების საფუძველზე; დ) სოფლის მეურნეობაში სამუშაო პერიოდი არ ემთხვევა წარმოების პერიოდს.

სოფლის მეურნეობის სისტემის წამყვანი დარგებია: მემცენარეობა, მეცხოველეობა და მომსახურე წარმოებანი. თითოეული დარგი ქვედარგებად იყოფა და ისინი ერთმანეთისაგან თავიანთი სპეციფიკით მკვეთრად განსხვავდებიან.

იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოებს ჩაუტარდეთ ეკონომიკური ანალიზი, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ანალიზის მეთოდიკა შეიცვალოს იმის დარგის სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

აქას კიდევ უნდა დაემატოს ის ცხოვრებისეული აზრი, რომ საქართველო კონტრასტების ქვეყანაა და ყოველ ჯერის ნაბიჯზე ეხედებით ერთგვაროვან საწარმოების საქმიანობაში ობიექტური (ბუნებრივი) ფაქტორების მნიშვნელოვანი გავლენის შემთხვევებს პროდუქციის მოცულობასა თუ ხარისხზე. არც ასეთი მომენტები უნდა გამორჩეს ანალიტიკოსს.

ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკა გააჩნია მშენებლობას, ვაჭრობას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას და სხვა დარგის სასელმწიფო და კერძო ორგანიზაციების საქმიანობას.

მესენჯმენტიდან ცნობილია, რომ მართვის სტრუქტურაში, პირველ ყოველისა, გამოიყოფა სპეციალიზებული განყოფილებები, რომლებიც დეტალურად სწავლობენ საწარმოს თავისებურებებს, ობიექტურსა თუ სუბიექტურს; ეს ეხება ანალიტიკოსებსაც, რომელთაც ევალებათ გულმოდგინედ შეისწავლონ დარგობრივი თავისებურებანი და მოაწყონ ანალიზური პროცედურების ჩატარება ისე, რომ მიზანი ყოველთვის მიღწეული იყოს.

§ 3. ანალიზის სახეები ჩატარების დროის მიხედვით

დროითი ნიშნის მიხედვით განასხვავებენ წინასწარ (პერსპექტიულ-პროგნოზულ), ოპერატიულ (მიმდინარე) და შემდგომ (რეტროსპექტიულ) ანალიზს.

წინასწარი (პერსპექტიული) ანალიზი გულისხმობს კვლევის დაწყებას საანგარიშგებო პერიოდის სამეურნეო საქმიანობის დაწყებამდე, ამრიგად, წინასწარი ანალიზი პროგნოზული სასიათისაა. მისი ამოცანაა გამოავლინოს სამრეწველო საწარმოში პროდუქციის წარმოებისა და მისი შედეგების განვითარების კანონზომიერებანი, განსაზღვროს მათი განხორციელების ოპტიმალური ვარიანტები, რაც პერსპექტიული გეგმების შედგენის ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს.

პერსპექტიული ანალიზის ამოცანები განისაზღვრება მისი არსით და ადგილით დაგეგმვასა და მართვაში. კერძოდ, მის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს წარმოადგენს: სამეურნეო საქმიანობის პროგნოზირება; პერსპექტიული გეგმების მეცნიერული დასაბუთება; გეგმების მოსალოდნელი შესრულების შეფასება. გეგმების შედგენის პერიოდში პერსპექტიული ანალიზი გამოიდის როგორც საწარმოს ეკონომიკის წინა საგეგმო პერიოდის გამოკვლევის ძირითადი ფორმა; გეგმების შესრულების პროცესში

კი მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტისა და შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

პერსპექტიული ანალიზის ძირითადი მიზნობრივი ფუნქციაა ზემოქმედება წარმოების ეფექტიანობისა და მისი ინტენსიურობის ამაღლებაზე.

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური პროგნოზირება აუცილებლობად უნდა იქცეს, ვინაიდან რეს ურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის, უმცირესი დანახარჯებით ყველაზე საუკეთესო შედეგების მიღებისათვის აუცილებელია ღონისძიებათა ეფექტიანობის, აგრეთვე შესაძლო დაბრკოლებათა ან „ვიწრო“ ადგილების განჭვრეტა საწარმოს განვითარების სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაში. ამრიგად, სამრეწველო საწარმოთა და გაერთიანებათა მართვისა და სრულყოფის ერთ-ერთ ძლიერ და ეფექტურ საშუალებად გვევლინება პერსპექტიული ეკონომიკური ანალიზი, რომელიც ძირითადად პროგნოზირებას ემყარება. სიტყვა „პროგნოზი“ ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს რაიმე მოვლენის განვითარებისა და მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განჭვრეტას, არსებული მეცნიერული ხერხებისა და მეთოდების საფუძველზე, რომლებიც ყოველთვის უნდა ემყარებოდნენ ცნობილ დებულებას: „რა საზოგადოებრივი მოვლენაც არ უნდა განვისილოთ მისი განვითარების პროცესში, მასში ყოველთვის აღმოჩნდება წარსულის ნაშთები, აწმყოს საფუძვლები და მომავლის ჩანასახები“.

ამრიგად, ნათლად ჩანს, რომ პროგნოზირების მეთოდოლოგიას საფუძვლად უდევს კვლევის დიალექტიკური მეთოდი.

წარმოების პროგნოზირება შეიძლება იყოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი. გრძელვადიანი პროგნოზირების საფუძველზე სდება ინდიკატური განვითარების გეგმების შედგენა, რამდენადაც უკანასკნელ პერიოდში იგი აღიარებულია დაგეგმვის პრაქტიკაში, ცხადია, მის მეთოდიკის სრულყოფას მეტი მნიშვნელობა მიენიჭა. სამრეწველო საწარმოთა კომპლექსური ანალიზის პროცესში გამოიყენება „მოკლევადიანი პროგნოზირება“, როგორც საშუალება იმისა, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ეტაპობრივად განვსაზღვროთ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესრულების მოსალოდნელობის ხარისხი. ეს კი საშუალებას მოგვცემს დროულად მოეახდინოთ საკვლევი ობიექტის სამეურნეო საქმიანობის განვითარების გარკვეული რეგულირება, პერიოდის ბოლოსათვის სასურველი შედეგების მიღწევის მიზნით.

მეურნეობრივი პროგნოზები, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს პასიური და აქტიური ხასიათის. პასიური პროგნოზი წარ-

მოსალოდნელის შესასწავლი ობიექტის წარსულ პერიოდში ჩამოყალიბებული განვითარების გადატანას პერსპექტიული პერიოდისათვის, იგი ძირითადად უვარიანტოა და მოვლენების განვითარების ტენდენციებს ახასიათებს ინერციულად, აღწერილობითი ფორმით. აქტიური პროგნოზები კი წარმოადგენენ შესასწავლი ობიექტის სასურველი ტენდენციების რაოდენობრივი და თვისებრივი ასპექტების დახასიათებას წინასწარ ცნობილი, გარკვეული პარამეტრების რეგულირებისა და მართვის საფუძველზე. აქტიური პროგნოზები მრავალვარიანტულია და იგი დგება გარკვეული ჰიპოთეზების ფორმირების საფუძველზე[1].

თეორიულად დამუშავებული პროგნოზირების მრავალი მეთოდიდან პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულად და მარტივად ითვლება ექსტრაპოლაციის მეთოდი (სახელი წარმოშობილია ლათინურიდან, ნიშნავს მოვლენის ერთ ნაწილზე დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნების გავრცელებას მის მეორე ნაწილზე). პრაქტიკაში ეს მეთოდი გულისხმობს წარსულ პერიოდში მოვლენათა განვითარების ტემპების უცვლელად გადაგანას მომავალში, რაც მის ნაკლოვან მხარედ ითვლება. ექსტრაპოლაციის რთული მეთოდები მისი წინამორბედისაგან (მარტივი მეთოდისაგან) განსხვავებით ფართოდ იყენებს მათემატიკურ ხერხებს და უფრო მეცნიერულად ასახავს მოვლენის პროგნოზულ პარამეტრებს.

ოპერატიული ანალიზი წარმოადგენს ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთ სახეს. იგი მიმართულია იმ ამოცანების გადაჭრისაკენ, რომლებიც დგას სამეურნეო საქმიანობის ოპერატიული მართვის წინაშე.

ოპერატიული ანალიზის მთავარი ამოცანაა: მუდმივი კონტროლი გეგმურ დავალებათა შესრულებაზე, წარმოების პროცესებსა და პროდუქციის რეალიზაციაზე; მიმდინარე შიდასაწარმოო რეზერვების დროული გამოყენება და გამოყენება წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. ოპერატიული ანალიზის წყაროს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვისა და ოპერატიული დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია, მუშაობასთან სავალდებულო. ასეთი ინფორმაციის გამოყენების შედეგად აღვილია მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა და მისი გამომწვევი კონკრეტული პირების გამოვლენა, რეზერვების გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების დროულად მიღება.

ამრიგად, ოპერატიული ანალიზი საშუალებას იძლევა, დროის მცირე მონაკვეთში დადგინდეს წარმოების პროცესში არსებული შეფერხებანი, რათა შეძლების ფარგლებში სწრაფად გაუკეთდეს ლიკვიდაცია მათ.

ოპერატიული ანალიზის შედეგები განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ,

---

1 ი. მესხია, განვითარებული სოციალისტური ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის ამოცანები, თბილისი, 1986, გვ. 61-62.

როდესაც ის შერწყმულია საამქროს, უბნის ან ბრიგადის კოლექტივ-ან გარიშით, ვინაიდან ამ შემთხვევაში თვითონ ხელმძღვანელები მატერიალურად დაინტერესებული არიან, რაც შეიძლება დროულად გამოავლინონ ნაკლოვანებანი, გამოუყენებელი რეზერვები, დაწერგონ ტექნიკის უახლესი მიღწევები და სხვ.

ამრიგად, ყოველდღიური ეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს მხარდაჭერილ ბერკეტს საწარმოსა და მისი რგოლების ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის.

ოპერატიულ ანალიზს აქვს დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. ესაა: დროულობა, ქმედითობა, უტყუარობა, მასობრიობა და მიზანდასახულობა.

ოპერატიული ანალიზის სახესხვაობაა ეგრეთ წოდებული ექსპრეს-ანალიზი; მისი მიზანია ოპერატიულად რომელიმე ცალკეული რგოლის, უბნის საქმიანობის შესწავლა.

შემდგომი (რეტროსპექტიული) ანალიზი წარმოადგენს საწარმოს მიერ უკვე განხორციელებული სამეურნეო საქმიანობის შედეგების ანალიზს, რომელიც ძირითადად ეყრდნობა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ინფორმაციას. შემდგომ ანალიზს პერიოდულსაც უწოდებენ. რამდენადაც ის ხშირად ხორციელდება მუშაობის მიმდინარე გეგმური პერიოდების მიხედვით.

შემდგომ ანალიზის ძირითადი ამოცანაა საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ობიექტური შეფასება, გამოუყენებელი რეზერვების კომპლექსური გამოვლენა, მათი მობილიზაცია წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის საწარმოთა მუშაობის მომავალ საგეგმო პერიოდში.

შემდგომი ეკონომიკური ანალიზი საწარმოთა ეკონომიკის განვითარების შესწავლის დამამთავრებელი სტადიაა. გაგრძელებაა იმ ანალიზური პროცესებისა, რომლებიც დაწყებული იყო წინასწარი და ოპერატიული ანალიზით. ის, როგორც წესი, მათზე ღრმა და სრულია. რამდენადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ემყარება ყველა სახის აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემებს.

შემდგომი ანალიზის მეთოდიკის თავისებურებას წარმოადგენს საწარმოს საქმიანობის ფაქტობრივი შედეგების შეფასება გეგმურ და წინა პერიოდების მონაცემებთან შედარებით. საბაზისო პერიოდთან შედარებით მიღებული გადახრა იშიფრება ყველა იმ ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორის მიხედვით, რომლებმაც გამოიწვიეს ეს გადახრა. დგინდება არა მარტო გადახრის მიზეზები, არამედ პასუხისმგებელი პირებიც, ისახება ღონისძიებანი ნაკლოვანებათა ლიკვიდაციოდ და მიღწევების განმტკიცებლად.

შემდგომი ანალიზით იფასებენ წინასწარი (პერსპექტიული) და ოპერატიული ანალიზის სიღრმეს.

პერიოდული ანალიზი კომერციული ანგარიშის განუყოფელი ნაწილია, რამდენადაც ის ხორციელდება ისეთ მნიშვნელოვან პერიოდებში, როდესაც ჯამდება საწარმოს შედეგები.

ასეთი ანალიზის შედეგები გამოიყენება მეცნიერულად დასაბუთებული გეგმების შესადგენად. ამრიგად, იგი დაგეგმვის ამოსავალი ბაზაცაა.

სამრეწველო საწარმოებში შემდგომი ანალიზის ჩატარების კომპლექსური მეთოდიკა შედარებით კარგადაა დამუშავებული.

§4. ეკონომიკური ანალიზის სივრცობრივი ფორმები

სივრცობრივი ნიშნის მიხედვით ასხვავებენ: ა) შიდასამეურნეო და ბ) საწარმოთაშორისო ეკონომიკურ ანალიზს. შიდასამეურნეო ეკონომიკური ანალიზის არსის შესახებ შრომის პირველ ნაწილში იყო საუბარი და აქ მასზე აღარ შევჩერდებით.

საწარმოთაშორისო შედარებითი ეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთ მიმართულებას. იგი შეისწავლის ერთგვაროვანი საწარმოების ეკონომიკაში ერთნაირი შინაარსის ეკონომიკური მოვლენების მაჩვენებლებს შორის არსებულ გაუმართლებელ გადასრებს, რისთვისაც ეყრდნობა მეცნიერულად დასაბუთებულ შედარების მეთოდს. მისი მიზანია დადგინდეს განსხვავებანი საწარმოო რესურსების გამოყენებაში, გამოვლინდეს განსხვავების გამომწვევი ფაქტორები, რომელთა ანალიზის საფუძველზე უნდა დამუშავდეს კონკრეტული რეკომენდაციები გამოვლენილ მოწინავე საწარმოთა მაჩვენებლების განსაზოგადებლად, უპირველეს ყოვლისა, მოწინავე გამოცდილების გაბიარების საფუძველზე.

იმის მიხედვით, თუ საწარმოთაშორისო ანალიზი საწარმოთა როგორ წრეს მოიცავს, არჩევენ შიდადარგობრივ და დარგთაშორისო ანალიზს.

ნებისმიერი ქვეყნის საწარმოთა მუშაობის ერთგვაროვან მაჩვენებლებში არსებობს მნიშვნელოვანი დარგთაშორისო და შიდადარგობრივი განსხვავებანი, რომელთა თანდათანობითი აღმოფხვრა იძლევა დიდი რაოდენობით რეზერვებს წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად.

საწარმოთაშორისო ეკონომიკური ანალიზის უპირატესობა რეზერვების გამოვლენის თვალსაზრისით ნამდვილად უდაოა. იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს საკვლევი ობიექტის რეალური ადგილი დარგში, ე. ი. დადგინდეს რომელ ჯგუფს მიეკუთვნება საწარმო – მოწინავეს, საშუალოს თუ ჩამორჩენილს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საწარმოთაშორისო ეკონომიკური ანალიზის ჩატარება მოითხოვს ანალიტიკოსთა ჯგუფისაგან დიდ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას, რამდენადაც შეღარების მეთოდოლოგია უფრო მკაცრად იყენებს შესადარ მაჩვენებელთა „შესადარისობის“ პრინციპებს.

გარეგანი და შინაგანი ანალიზი. როგორც ცნობილია, საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შესახებ სააღრიცხვო ინფორმაციას ორი სახის მომხმარებელი ჰყავს: პირველს მიეკუთვნება გარე მომხმარებლები (სახელმწიფო ორგანოები, საგადასახადო ორგანოები, ბანკები, აქციებისა და ფასიანი ქაღალდების მფლობელები, კრედიტორები...). მეორეს მიეკუთვნება შინაგანი მომხმარებლები (საწარმოს მესაკუთრეები, ხელმძღვანელები თავის ქვესტრუქტურებით).

გარეგანი ანალიზი ემყარება ნორმატიული აქტების დადგენილ ანგარიშგების მონაცემებს (საჯარო ინფორმაციას). ეს ღია ინფორმაციაა და ქვეყნდება კიდეც. გარეგანი ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ საკვლევი ობიექტის მოგება და რენტაბელობა, საკუთარ და ნასესხებ საშუალებათა გამოყენების ხარისხი, ფინანსური სიმყარე და გადაბმულუნარიანობა (ლიკვიდურობა). ასეთი ანალიზის საშუალებით განისაზღვრება ამ საწარმოს ადგილი მსგავს საწარმოებს შორის.

შინაგანი ანალიზი ემყარება გაცილებით ფართო საინფორმაციო ბაზას, როგორც ყველასათვის მისაწვდომ, ისე კონფიდენციალურ (საიდუმლო) ინფორმაციის წყაროებს, როგორც წესი, საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე, შინაგანი ანალიზის ინფორმაცია წარმოადგენს დახურულს, გააჩნია მკაცრი მიზნობრიობა დანიშნულება. შინაგანი ანალიზის ჩარჩოებში სწავლობენ საწარმოო და მარკეტინგის დანახარჯების სტრუქტურას, საკალკულაციო მონაცემების საფუძველზე. პროდუქციის თვითღირებულებისა და მოგების ურთიერთკავშირს, ადგენს რენტაბელობის დონეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორთა გავლენის მდგომარეობას, აანალიზებს კომპლექსური ხარჯების დინამიკას და სხვ. შინაგანი ანალიზის მიზნობრიობა დანიშნულებაა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შინაგანი რეზერვების ძიება და საწარმოს წმინდა მოგების გაზრდა.

შინაგან და გარეგან ანალიზს მეთოდოლოგიური თვალსაზრისით აქვთ საერთოც და განმასხვავებელიც, რაც საკმაოდ ნათლად ჩანს მათი შეღარებიდან. ირკვევა, რომ ანალიზის ამ სახეებს შორის განსხვავების ერთერთ მთავარ მომენტად გვევლინება ანალიზის ჩატარების მეთოდიკა და მიზანი. გარეგანი ანალიზის მეთოდიკა ძირითადად სამი მიმართულებით მიმდინარეობს: ა) კოეფიციენტების, ბ) მაჩვენებლების სტრუქტურისა და გ) ტრენდული ანალიზის სახით.

1. კოეფიციენტების ანალიზი საშუალებას იძლევა დახასიათებული იქნას საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შეფარდებითი მაჩვენებლების (კოეფიციენტების) გამოყენების საფუძველზე. განსაზღვრება ფინანსურ მაჩვენებელთა ურთიერთკავშირი. ანალიზის ჩატარების პრინციპებია: ა) მაჩვენებელთა ლოგიკური შერჩევა; ბ) მაჩვენებელთა გაანგარიშების სიზარბილე; გ) მათი ინტერპრეტაციის სისწორე და დ) მაჩვენებლების და კოეფიციენტების გამოყენება ბიზნესისათვის.

2. სტრუქტურის მაჩვენებლების ანალიზი საშუალებას იძლევა გაეხსნათ ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის შინაგანი კავშირები, ჩავატაროთ შედარებითი ანალიზი.

ტრენდული ანალიზის საშუალებით დადგინდება ფინანსური მაჩვენებლების ცვლილების ტენდენცია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

თავის მხრივ, გარეგანი და შინაგანი ანალიზი შინაარსობრივად კლასიფიცირდება სხვადასხვა ნიშან-თვისებების მიხედვით.

§5. ეკონომიკური ანალიზის მიმართულებანი

გამოკვლევის ასპექტის მიხედვით ასხვაებენ: ფინანსურ-ეკონომიკურს, ტექნიკურ-ეკონომიკურს და ფუნქციონალურ-ღირებულებით ანალიზს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებების წარმოქმნა ანალიზის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობის გაზრდის შედეგია.

ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზი ძირითადად მხოლოდ ფინანსურ და საწარმოო მაჩვენებლებს იკვლევს, საწარმოთა პერიოდული და წლიური ანგარიშების ინფორმაციაზე დაყრდნობით. ასეთი სახის ანალიზი, მართალია, მნიშვნელოვანი დასკვნებისა და ღონისძიებების დასახვის საშუალებას იძლევა, მაგრამ ინფორმაციის შეზღუდულობის გამო მოკლებულია ანალიზის გაღრმავების შესაძლებლობას. არა გვაქვს საშუალება გავზომოთ ისეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორების გავლენა წარმოების მოცულობაზე, როგორიცაა ტექნიკა, ტექნოლოგია, მუშათა კვეალიფიკაცია, წარმოების ორგანიზაცია. მასალების ხარისხი და სხვა.

ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზის ამ ნაკლოვანებას სხნის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი, რომელიც მუშაობის პროცესში ფართოდ იყენებს როგორც წმინდა ეკონომიკურ, ისე ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ინფორმაციას. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ტექნიკური ინფორმაციის ძირითადი ნაწილის მოპოვება ხდება უშუალოდ ანალიტიკოსთა მიერ საკვლევ ობიექტებზე დაკვირვების შედეგად. ამიტომ ასეთი სახის ანალიზი ძირითა-

დად ცალკეული უბნებისა და საამქროების მიხედვით გარღვება. დასარეგულირებელი კი, როგორც წესი, წარმოების შეღწევების განზოგადება წარმოების მასშტაბით. ამრიგად, ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი უფრო ღრმაა და შინაარსიანი, მეტი კონკრეტული დასკვნებისა და ღონისძიებების დამუშავების საშუალებას იძლევა, სამაგიეროდ უფრო შრომატევადია. თუ ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზის დროს ანალიზის ჩატარება მხოლოდ ეკონომიკური სამსახურის თანამშრომლებს შეუძლიათ, ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის დროს საჭიროა ანალიზის პროცესში მონაწილეობა მიიღოს წარმოების ყველა სამსახურის წარმომადგენელმა.

ეკონომიკური ანალიზის ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილია ფუნქციურ-ღირებულებითი ანალიზი (ფღა). ანალიზის ეს სახე მეტწილად გამოიყენება შესასწავლი ობიექტების დაპროექტების პროცესში, ან უკვე არსებულის გაუმჯობესების მიზნით. ფღა-ს ძირითადი მიზანია გამოავლინოს შესასწავლი ობიექტის ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობანი მისი ფუნქციების ოპტიმალური ვარიანტით შესრულების პირობებში, ობიექტის შექმნასა და ექსპლოატაციაზე დანახარჯების მინიმიზაციის თვალსაზრისით.

ფღა ეყრდნობა მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ საფუძვლებს და პრინციპებს, როგორიცაა: შემოქმედებითი-ნოვაციური აზროვნება; სისტემურობა და კომპლექსურობა; მეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკთა ცოდნა და გამოცდილება.

შემოქმედებითი-ნოვაციური აზროვნება გულისხმობს მუდმივ განახლებას, მოძველებულ სერხებზე და ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებზე უარის თქმას, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების პრაქტიკაში დაუყოვნებლივ დანერგვას, მართვის სისტემების სრულყოფას და ყველა ისეთი ქმედითი ღონისძიების გატარებას, რომელიც საბოლოო ჯამში ამცირებს დანახარჯებს და ზრდის მომგებიანობას.

შემოქმედებითი აზროვნების ალგორითმი ეფუძნება ისეთი ფაქტორების ურთიერთთანაფარდობას, როგორიცაა: სამეცნიერო-ტექნიკური ინტუიცია, რომელიც ემყარება საიმედო საგამომგონებლო პრაქტიკას, ღრმა სამეცნიერო ცოდნას მოცემულ დარგში; ახალი იდეების ათვისების ჩვეს და სხვა.

ეკონომიკური ანალიზისათვის დამახასიათებელი კვლევის პრინციპები სისტემურობა და კომპლექსურობა – განსაკუთრებით გამოკვეთილებას პოულობს ფღა-ს პროცესში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფღა-ს ამოცანები შეიძლება მოგვმარეობს:

– წარმოების ყველა დონეზე ცოცხალი და განსაკუთრებული შრომის თანაფარდობის ეფექტიანობის განსაზღვრა;

– ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმატივებისა და იმ მაჩვენებელთა სისტემის შემუშავება, რომლებიც გამოიყენება წარმოებასა და მმართველობითი სისტემის ყველა დონეზე;

– საწარმოო-საფინანსო საქმიანობის მთლიან ჯაჭვში ტექნოლოგიური და მმართველობითი პროცესის ჰარმონიული ორგანიზაცია;

– აღრე გამოუყენებელი ან ნაკლებად გამოყენებული ეკონომიკური ბერკეტების აქტივიზაცია;

– წარმოებული პროდუქციის ეფექტიანობაზე, საიმედოობაზე, სარისხიანობაზე სისტემატიური დაკვირვება.

როგორც უკვე აღნიშნეთ, ფღა-ს წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრისათვის საჭიროა ყოველმხრივი მიმართულების სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაკთა კოლექტივი, რომლებიც მდიდარ გამოცდილებას, ცოდნას, გარკვეულ შემოქმედებით ფანტაზიას ფლობენ.

სპეციალურ სასწავლო ლიტერატურაში ფღა-ს შემდეგ ეტაპებს გამოყოფენ: 1. საინფორმაციო-მოსამზადებელი, 2. ანალიზურ-შემოქმედებითი, 3. წარმოებაში ჩაშვებასთან დაკავშირებული, 4. კომერციული, 5. საკონტროლო-საექსპლუატაციო.

ამრიგად, მოკლედ რომ აღნიშნოთ, ფუნქციური მიდგომის საფუძველზე ელინდება საკვლევი ნაკეთობის არაა უცილებელი ფუნქციები, რომელთა მოხსნა ნაკეთობის შრომატევადობისა და მასალატევადობის შემცირების მნიშვნელოვანი გზაა.

სიტუაციური ანალიზი. როგორც უკვე აღნიშნეთ, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც მარკეტინგი ფართოდ გამოიყენება, ადგილი აქვს წარმოების მართვის პროცესში სიტუაციური ანალიზის (მეთოდების) გამოყენებას. მისი მეშვეობით განისაზღვრება მარკეტინგის სტრატეგია და ტაქტიკა.

სიტუაციური ანალიზი, პირველ რიგში, ფირმის საქმიანობის დაგეგმვას ეხება. შემდეგ ტარდება იმის შეფასება, როგორ შეესაბამება მიღებული ინფორმაცია ფირმის მოთხოვნილებებს და უწყობს თუ არა ხელს მისი ამოცანების გადაწყვეტას. შემდეგ განისილება საკითხი ახალი მიზნების ფორმირების, სტრატეგიისა და ტაქტიკის პრობლემების შესახებ და ღებულობენ გადაწყვეტილებებს ტაქტიკის რეალიზაციისათვის.

სიტუაციური ანალიზის პროცესში კვლევის ობიექტებია: ბაზრები; მყიდველები; კონკურენტები; გარემო; მარკეტინგის მიზნები; მარკეტინგის პროგრამა; მარკეტინგის პროგრამის უზრუნველყოფა; მარკეტინგის ორგანიზაცია; საქონელი; ფასების პოლიტიკა; საქონლის მოძრაობა; გასაღების ორგანიზაცია; რეკლამა... როგორც ჩანს, სიტუაციურ ანალიზს ექვემდებარება თითქმის ყველა საკვანძო ობიექტი.

სიტუაციური ანალიზის პროცესში გამოიყენება ძირითადად შიდასაწარმოო ინფორმაცია, შედარებისათვის კი ანალოგიური ფირმათა საჯარო მასალები, სტატისტიკური ცნობარები, ჟურნალ-გაზეთები, ბიულეტენები, კატალოგები და სხვა.

სიტუაციური ანალიზის მიზანი ფირმის მიზნის მიღწევის ინსტრუმენტია. მაგალითად, თუ ფირმის მიზანი მოგების მოცულობის გადიდებაა, სიტუაციური ანალიზის მიზანი წარმოების თვითღირებულების შემცირება იქნება...

სოციალურ-ეკონომიკური სანალიზო შეისწავლის სოციალური და ეკონომიკური პროცესების ურთიერთკავშირს, მათ გაყალენას ერთმანეთზე და სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ შედეგებზე. ასეთი სახის ანალიზს ატარებენ როგორც მართვის ეკონომიკური სამსახურები, ისე სოციოლოგიური ლაბორატორიები.

მსოფლიოს ცივილიზებულმა სამყარომ შექმნა ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, რომლის პოზიციის თანახმად, ნებისმიერი თანამშრომელი საწარმოს აქტივია, რომელსაც დიდი ყურადღება და სპეციფიკური მიდგომა სჭირდება. ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანაშიც მოვა ეს დრო. სწორედ ამ იმედით უნდა შევქმნათ სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის ეროვნული მეთოდიკა, რომელშიც აისახება ერის სოციალურ-ფსიქოლოგიური პრინციპები და ნიუანსები. ამრიგად, დღის წესრიგშია შრომითი რესურსების კლასიკური მართვისათვის ისეთ მაჩვენებელთა სისტემის დამუშავება, რომლის მიხედვით მოხდება ყველა სოციალური მაჩვენებლის დაგეგმვა, აღრიცხვა და ანალიზი.

ეკონომიკურ-ეკოლოგიური ანალიზი მსოფლიოს ცივილიზებულ სამყაროში ერთობ აქტუალურია, რამდენადაც დღეს მსოფლიოს გლობალურ პრობლემას ეკოლოგია წარმოადგენს. ანალიზის ეს სახე ჩვენთვის ჯერ-ჯერობით ახალია და რაც მალე შეიქმნება მისი ანალიზის მეთოდიკა და პრაქტიკაში პოვებს გამოყენებას, მით უკეთესი იქნება ჩვენი მომავლისათვის. მარტო ეკოლოგიური გადასახადების შემოღებით არაფერი სასიკეთო არ გაკეთდება.

მარკეტინგული ანალიზი ძირითადად ემსახურება პროდუქციის რეალიზაციის საკითხებს, კერძოდ, იკვლევს გასაღების გარემოს, პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობას, კომერციულ რისკს და მარკეტინგული საქმიანობის გაქტიკისა და სტრატეგიის საკითხებს. ანალიზის ეს სახეც ჩვენთან პერეულად შემოდის და საჭიროებს დროულ დამუშავებას.

თავი IV.
ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის კვლევის მეთოდი

§ 1. მეცნიერული კვლევის მეთოდები

სინამდვილის შემეცნების პროცესში მეცნიერები სარგებლობენ სხვადასხვა საშუალებით. ამ საშუალებათაგან ყველაზე აუცილებელია აზროვნება, რომლის გარეშე მეცნიერული კვლევა წარმოუდგენელია. საერთოდ ცნობილია, რომ კვლევის საშუალებანი და სერსები დამოკიდებულია მეცნიერების დარგზე. ცხადია, ტექნიკურ მეცნიერებებში კვლევის საშუალებანი სულ სხვაა, ვიდრე ეკონომიკურ მეცნიერებებში. თავის მხრივ, თითოეულ სფეროში მეცნიერების კონკრეტული დარგის კვლევის საგანი და საშუალებანი შეიძლება ერთმანეთისაგან ძირფესვიანად განსხვავდებოდეს.

მიუხედავად ამისა, თუ საქმეს ზოგადი თვალსაზრისით შევხედავთ, შევამჩნევთ, რომ როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის კვლევის პროცესში არის საერთოც. ამ საშუალებებს მეცნიერული კვლევის მეთოდებს უწოდებენ. ასეთებია: დაკვირვება და ექსპერიმენტი; ანალიზი და სინთეზი; განზოგადება და აბსტრაქცია; ინდუქცია და დედუქცია და სხვა.

მეცნიერული დისციპლინის მეთოდში იგულისხმება საკვლევი საგნის შემეცნებისადმი მიდგომის ხერხი, ხერხთა ერთობლიობა, რომელთა საშუალებით უნდა გადაიჭრას სამეცნიერო დისციპლინის წინაშე დასმული ამოცანები, გამოკვლეულ იქნეს საგანი.

ცნობილია, რომ მეცნიერული კვლევის ძირითადი მეთოდი (ყველა მეცნიერებისათვის) დიალექტიკური მატერიალიზმია, როგორც ყველაზე ღრმა, ყოველმხრივი და შინაარსით მდიდარი მოძღვრება მოძრაობისა და განვითარების შესახებ. იგი სამყაროს შემეცნების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შედეგია. ძველი ბერძენი ფილოსოფოსები „დიალექტიკის ხელოვნებას“ უწოდებენ უნარს ჭეშმარიტების დადგენისა ისეთი კამათის ან საუბრის გზით, რომელშიც ვლინდება წინააღმდეგობანი თანამოსაუბრეთა შეხედულებებში.

ეკონომიკური ანალიზის მეცნიერული კვლევის ზოგადი მეთოდი ძირითადად ემყარება დიალექტიკურ აზროვნებას, რომლის საფუძველზე მას თავის სპეციფიკური კვლევის მეთოდი გააჩნია.

მაზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში შეცნიერება ანალიზის მეთოდს სხვადასხვანაირად განმარტავენ. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ განმარტებებში წინააღმდეგობას არა აქვს ადგილი.

მაგალითად, ი. ი. პოკლადს მიაჩნია, რომ „ეკონომიკური ანალიზის მეთოდი – ესაა საწარმოთა ან მისი ზემდგომი რგოლის საშეურნეო საქმიანობის კომპლექსური, ორგანულად ურთიერთდაკავშირებული კვლევის წესი, გეგმის შესრულების მაჩვენებლების შედარება და დანაწილება, გეგმურ მაჩვენებლებზე მოქმედ ფაქტორთა გაელენის სიდიდის გამოყოფა, შიდასაწარმოო რეზერვების სიდიდის გამოყოფა და ანალიზის შედეგების განზოგადება“[1].

მ. ი. ბაკანოვი წერს, რომ „ეკონომიკური ანალიზის მეთოდში იგულისხმება წარმოქმნასა და განვითარებაში მყოფ სამეურნეო პროცესების შესწავლისადმი დიალექტიკური მიდგომის წესი. ეკონომიკური ანალიზის მეთოდის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარის დამახასიათებელ მაჩვენებელთა სისტემის გამოყენება, ამ მაჩვენებელთა ცვლილების მიზეზთა შესწავლა, მათი ურთიერთკავშირის გამოვლენა და გაზომვა“[2].

ნ. ვ. დემბინსკი თვლის, რომ ეკონომიკური ანალიზის მეთოდს წარმოადგენს სოციალისტური მეურნეობის (საწარმოების, ორგანიზაციების და მათი გაერთიანებების) საქმიანობის ყოველმხრივი, კომპლექსური, ორგანულად ურთიერთდაკავშირებული შესწავლა, ამ საქმიანობის შედეგების ობიექტური შეფასების საფუძველზე, მართვის ეფექტიანობის, მეურნეობის ტექნიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული განვითარების დონის ამაღლების, შიდასამეურნეო რეზერვების გამოვლენისა და მაქსიმალური მობილიზაციის მიზნით“[3].

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ეკონომიკური ანალიზის მეთოდის განმარტება, ჩვენი აზრით, შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ეკონომიკური ანალიზის მეთოდი ეს არის მისი მეცნიერული მიდგომა საანალიზო ობიექტის სამეურნეო საქმიანობის შესწავლისა და შემეცნებისადმი, წარმოების მართვის შემდგომი სრულყოფისა და შიდასაწარმოო რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების მიზნით.

ეკონომიკური ანალიზის მეთოდის შინაარსი უფრო ნათლად მისი სპეციალური ხერხებისა და პრინციპების ერთობლიობაში გამოიხატება.

1,2,3 М.Баканов и др., Экономический анализ, Москва," Финансы", 1976 г., с. 40-41.

ეკონომიკური ანალიზის მეთოდის ძირითად პრინციპებს შეადგენს სამეურნეო საქმიანობის პროცესების შესწავლა ურთიერთკავშირში ანალიზისა და სინთეზის, დედუქციისა და ინდუქციის გზით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ანალიზი“ დაშლას, დანაწევრებას ნიშნავს; ამავე დროს, იგი აზრობრივი პროცედურაა, მოვლენების და პროცესების დასანაწევრებლად, მათ შორის კავშირის, წინააღმდეგობის და მათი დაძლევის გზების დადგენის მიზნით. ანალიზის უკუპროცედურაა სინთეზი.

კვლევის პროცესში სინთეზი და ანალიზი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ანალიზის გარეშე არ არსებობს სინთეზი და, პირიქით, სინთეზის გარეშე – ანალიზი. ანალიზის პროცესში გამოიყენება აგრეთვე ლოგიკური მეთოდები, როგორიცაა „ინდუქცია“ და „დედუქცია“.

ინდუქცია წარმოადგენს აზროვნების მეთოდს და ითვალისწინებს კერძო ფაქტებიდან ზოგადი დასკვნების გამოყვანას, ხოლო დედუქცია, წინააღმდეგ ინდუქციისა, გულისხმობს ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნების გამოყვანას.

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის მეთოდის მოთხოვნაა, რომ ეკონომიკური მოვლენები შეისწავლებოდეს მათ მრავალმხრივ კავშირსა და ურთიერთშეპირობებულობის მსჯელობაში მილებით; მათ მუდმივ განვითარებაში ობიექტური ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ეკონომიკურ მოვლენათა განვითარებაში შინაგან წინააღმდეგობათა დროული აღმოჩენისა და სწორი დაძლევის მიზნით.

§ 2. ეკონომიკური ანალიზის ხერხების კლასიფიკაცია

როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური ანალიზი თავის მიზნის მისაღწევად იყენებს მრავალ სამეცნიერო ხერხს, რომლებიც ძირითადად ორ ნაწილად უნდა იქნეს დაყოფილი: ა) ეკონომიკური ანალიზის ტრადიციული ხერხები და ბ) ეკონომიკური ანალიზის მათემატიკური ხერხები.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ხერხები, რომლებმაც გამოყენება პოვეს ამ დისციპლინაში მისი, როგორც კვლევის სპეციალური დარგის ჩამოყალიბების დღიდანვე; ხოლო რაც შეეხება მათემატიკური სერხების გამოყენებას ეკონომიკურ ანალიზში, ეს პროცესი შედარებით გვიან დაიწყო.

ეკონომიკური ანალიზის ძირითად ტრადიციულ ხერხებს მიეკუთვნება: დანაწევრების ხერხი; დაჯგუფების ხერხი; შედარების ხერხი; ჯაჭვური

ჩასმის ხერხი; აბსოლუტური სხეობის ხერხი; წინა ფაქტორების გაკვეთის მითვლის ხერხი; ბალანსური კავშირების ხერხი; ინდექსური ხერხი; შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების გამოყენების ხერხი; მაჩვენებელთა კორექტირების ხერხი და სხვა.

დანაწევრების ხერხი. დანაწევრება წარმოადგენს ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალო ხერხს, რამდენადაც ანალიზის მიზანი საკვლევი სიდიდეების დაშლა-დანაწევრებაა ობიექტზე მოქმედ ფაქტორთა რაოდენობისა და თითოეული მათგანის მოქმედების ინტენსივობის დასადგენად.

დანაწევრების ხერხის მიზანია სინთეზური მაჩვენებლების დაშლა მარტივ შემადგენელ ელემენტებად, რადგან ცნობილია, რომ შესასწავლი საგანი რაც მარტივ ელემენტებად იქნება წარმოდგენილი, მით მეტი შესაძლებლობაა უფრო ღრმად ჩაეწვდეთ მოვლენის არსს, უფრო კონკრეტული დასკვნები გამოვიტანოთ. საანალიზო მოვლენის დანაწევრების ბლაკარი დამოკიდებულია ანალიზის მიზანსა და საკვლევი საგნის დანაწევრების მაქსიმალურ შესაძლებლობაზე.

მაგალითად, მომუშავის შრომის ნაყოფიერება შეიძლება დავანაწევროთ საანალიზო მაჩვენებლებად: პირველად გამოიყოფა მომუშავის შრომის ნაყოფიერებაზე უშუალოდ მოქმედი ორი ფაქტორი – მუშათა ხვედრითი წონა და მუშის გამომუშავება; მეორე ეტაპზე მუშის გამომუშავება ნაწილდება ორ ფაქტორად – ნამუშევარი დღეები და კაცდღეში გამომუშავებული პროდუქცია; მესამე ეტაპზე უკანასკნელი დანაწევრდება კიდევ ორ ფაქტორად – სამუშაო დღის საშუალო სანგრძლივობა და საათში გამომუშავებული პროდუქცია. ამრიგად, დანაწევრების ყოველ საფეხურზე გამოიყო ისეთი მაჩვენებლებიც, რომლებიც არ მოითხოვენ შემდგომ დანაწევრებას. ამგვარ მაჩვენებელთა ერთობლიობა გვაძლევს მწკრივს, რომელთა შორის მკაცრ ფუნქციური კავშირი არსებობს და შესაძლებლობა გვეძლევა გავზომოთ თითოეული ფაქტორის გავლენის სიდიდე საკვლევი საგნის ცვალებადობაზე, ან კიდევ, პროდუქციის თვითღირებულების ანალიზის დროს, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა განისაზღვროს დანაწევრების ნიშანი. შემდეგ დანაწევრების ეტაპების მიხედვით იზოლაცია უნდა გაეკეთოთ დანახარჯთა იმ ელემენტებს, რომელთა გავლენა უმნიშვნელოა საველე სიდიდეზე, ხოლო ის ელემენტები, რომელთა გავლენაც არსებითია, პირიქით, დავანაწევროთ უფრო ღრმად, რითაც საშუალება მოგვეცემა მივიღოთ ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, თუ რა სახის დანახარჯები ახდენენ არსებით, დადებით ან უარყოფით გავლენას პროდუქციის თვითღირებულებაზე მათი წარმოქმნის ადგილების მისედვით.

აღსანიშნავია, რომ დანაწევრების მაქსიმალური შესაძლებლობა დიდადაა დამოკიდებული საჭირო ინფორმაციის არსებობაზე.

როგორც განხილულმა მაგალითებმა გვიჩვენა, დანაწევრებას საფუძვლად უდევს მაჩვენებელთა შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რაც ანალიტიკოსისაგან მოითხოვს „დასანაწევრებელი“ მაჩვენებლების დაგეგმვის და აღრიცხვის ნორმატიული პრინციპების ღრმა ცოდნას.

დანაწევრების შედეგად მიღებულ მაჩვენებელთა სწორ დაჯგუფებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება შემდგომი ანალიზის სწორად წარმართვისათვის. ასე, მაგალითად, დანაწევრების შედეგად მიღებულ მაჩვენებლებში აუცილებელია გამოიყოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორები. ხარისხობრივს უწოდებენ ისეთ ფაქტორს, რომელსაც ფაქტორთა შორის პირველობა გააჩნია, არსებობს დამოუკიდებლად, მაგ., საათობრივი შრომის ნაყოფიერება. რაოდენობრივს კი უწოდებენ იმ ფაქტორებს, რომლებიც ასრულებენ ხარისხობრივი ფაქტორის მოქმედების გამავრცელებლის ფუნქციას და ა. შ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ დანაწევრება წარმოადგენს ანალიზის ტიპურ ხერხს; იგი აუცილებელია არა იმის გამო, რომ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში არ მოიპოვება საჭირო ინფორმაცია, არამედ იმიტომ, რომ საჭიროა შეეცნოთ ის ცალკეული ფაქტორები, რომლებიც გაელენას ახდენენ საწარმოს საქმიანობაზე და რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყვნენ დაგეგმვასა და მართვაში.

დაჯგუფების ხერხი. ეკონომიკური ანალიზის პროცესში დაჯგუფების მიზანია, ჯერ ერთი, დანაწევრების შედეგად მიღებული მაჩვენებლების დალაგება გენეტიკური კავშირების მიხედვით, მეორეც, საერთოდ საანალიზო ინფორმაციის დაჯგუფება ერთგვაროვანი ნიშნების მიხედვით. ნიშნებს კი, რომელთა საფუძველზეც წარმოებს დაჯგუფება, მაჯგუფებელი ეწოდება.

დაჯგუფების მიზანია ხელი შეუწყოს ანალიტიკოსს ეკონომიკური ინფორმაციის როგორც ხარისხიანად გამოყენების, ასევე რეზერვების გამოვლენის საქმეში; სწორად შედგენილი დაჯგუფებანი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკური მოვლენებისა და მათი მაჯგუფებელი ნიშნების ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედების გამოვლინებას. აღნიშნულიდან გამომდინარეობს მაჯგუფებელი ნიშნების ამორჩევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ეს კი ანალიტიკოსს ავალებს დაჯგუფებამდე მოახდინოს ეკონომიკურ მოვლენათა ღრმა თეორიული გააზრება.

პრაქტიკიდან კარგადაა ცნობილი, რომ ერთი და იგივე მასალა იძლე-

ეა დიამეტრულად საწინააღმდეგო დასკენებს დაჯგუფების სხვადასხვა წესის გამოყენების დროს.

დაჯგუფებას იყენებენ მრავალ მეცნიერულ დისციპლინაში (მათემატიკა, სტატისტიკა და სხვა) სხვადასხვა ფორმით. სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის პროცესში, გარდა მაჩვენებელთა დანაწევრების შედეგად მიღებული ელემენტების დაჯგუფებისა, უმეტეს შემთხვევაში იყენებენ ნორმატიული მასალებით წინასწარ განსაზღვრულ გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებელთა დაჯგუფებებს.ასევე მაგალითად, საშუალებების და წყაროების დაჯგუფება ბალანსში; წარმოებაზე გაწეული დანახარჯების დაჯგუფება – ეკონომიკური ელემენტებისა და საკალკულაციო მუხლების მიხედვით; სამუშაო ძალის დაჯგუფება კატეგორიების მიხედვით; ძირითადი ფონდების დანიშნულების მიხედვით და სხვა. ამავე დროს, ეკონომიკური ანალიზის პროცესში წარმოიშობა უამრავი შემთხვევა ისეთი სახის დაჯგუფებების, რომლებიც წინასწარ არიან განსაზღვრული. მაგალითად, მენარდეების დაჯგუფება გამომუშავების ნორმების და შესრულების ხარისხის მიხედვით; პროდუქციის გამოშვების განაწილება საამქროების, უბნებისა და ბრიგადების მიხედვით და სხვა.ქდაჯგუფება საშუალებას იძლევა, აგრეთვე, სწორად გამოვიყენოთ საშუალო სიდიდეები და, საერთოდ, საანალიზო ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაცია, მაგალითად, საამქროში საშუალო გამომუშავების ნორმის შესრულებაა 110%. ასეთი დახასიათება არაეითარ ორიენტაციას არ იძლევა რეზერვების გამოვლენისათვის, მაგრამ საკმარისია მუშების დაჯგუფება ნორმების შესრულების ხარისხის მიხედვით, რომ მიღებული იქნება მნიშვნელოვანი მონაცემები შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის რეზერვების ძიებისათვის7

ბალანსები წარმოადგენენ დაჯგუფების ერთ-ერთ ვარიანტს.

შედარების ხერხი. შედარება ეკონომიკური ანალიზის ძირითადი საშუალო ხერხია. მისი მიზანია დავადგინოთ საკვლევი მაჩვენებლის ცვალებადობა საბაზისო მაჩვენებლებთან შედარებით. როგორც აღვნიშნეთ, დანაწევრების ხერხის გამოყენებით მიღებული ინფორმაცია არ იძლევა თითოეული ფაქტორის გავლენის მიმართულების და ინტენსიობის დადგენის საშუალებას. შედარების ხერხის გამოყენებით ნაწილობრივ ამ ამოცანის გადაწყვეტაც ხდება.

იმასთან დაკავშირებით, რომ ანალიზის პროცესში მიმდინარეობს სხვადასხვაგვარი ინფორმაციის სხვადასხვა ჭრილში შედარება, საჭირო ხდება შედარებათა რამდენიმე სახედ დაყოფა:

1. ფაქტობრივი მაჩვენებლების შედარება გეგმურთან;

2. მაჩვენებლების შედარება დროში (დინამიკისათვის);

3. ობიექტების შედარება.

ბიზნეს-გეგმა, რომლითაც განისაზღვრება თითოეული საწარმოს პერსპექტიული სამეურნეო საქმიანობა, მის შესრულებაზე სისტემატურ კონტროლს დიდი მნიშვნელობა ენიჭება; აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება პერიოდულად ფაქტობრივად მიღწეული დონეების შედარება გეგმასთან და გადახრების გამოვლენა. შედარება ანალიზის დროს შეიძლება სხვადასხვა ჭრილში. მაგალითად, შედარება ფაქტობრივი მაჩვენებლისა გეგმასთან, გასულ წელთან, მოწინავე საწარმოს მაჩვენებელთან, დარგის საშუალო მაჩვენებელთან და საწარმოს მაქსიმალურად შესაძლებელ მაჩვენებელთან, რაც ანალიტიკოსის მიერ უნდა იქნეს გაანგარიშებული რესურსების გამოყენების ოპტიმალურ ნორმებზე დაყრდნობით.

შედარების გზით ვარკვევთ გადახრას შესადარ მაჩვენებლებს შორის, რის შედეგადაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სამ შემთხვევას:

1. როდესაც შესადარი მაჩვენებლები ერთმანეთს ემთხვევა

$$(X_0 = X_1) \quad \Delta = 0$$

2. როდესაც საბაზისო მაჩვენებელი მეტია შესადარ მაჩვენებელზე

$$(X_0 > X_1) \quad \Delta = -k \quad \text{და პირიქით;}$$

3. როდესაც საბაზისო მაჩვენებელი ნაკლებია შესადარ მაჩვენებელზე

$$(X_0 < X_1); \quad \Delta = +k$$

აუცილებელ პირობას წარმოადგენს შედარებისათვის აღებული მაჩვენებლების მოყვანა შესადარისობაში. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკური ანალიზის დროს.

მოქმედი მეთოდიკით გათვალისწინებულია მთელი რიგი პირობები, რომელთა დაცვა შედარების ქმედითი ხასიათისათვის აუცილებელია. მაგალითისათვის, იმ საწარმოში, სადაც სხვადასხვა სახის პროდუქციას უშვებენ, ყველაზე ეფექტურია შედარება წარმოების მომსახურებისა და მმართველობის ხარჯების, საამქროს ხარჯების და სხვა.

გამოშვებული პროდუქციის შედარებისათვის კი აუცილებელია დაცულ იქნეს შემდეგი წესები: ა) მთელი პროდუქცია გადაყვანილ იქნეს პირობით ერთეულებში; ბ) მთელი ასორტიმენტიდან გამოიყოს შესადარი ჯგუფები: გ) გამოიყოს ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციები: დ) გამოყენებულ იქნეს უცვლელი საბითუმო ფასები და სხვა.

საერთოდ, შედარების დროს შეიძლება გამოვთიშოთ ცალკეულ ფაქტორთა გაელენა. ამაგე დროს, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე,

რომ შესადარი მაჩვენებლები გაანგარიშებული იყვნენ ერთიანი მეთოდიკით და ა. შ.

შესაბამისობაში მოყვანილ მაჩვენებელთა შედარებას შეღწევად მიღებული გადახრა წარმოადგენს ანალიზის შემდგომი კვლევის საგანს, რამდენადაც ანალიზის შემდგომ ეტაპზე უნდა მოხდეს ამ გადახრათა გამომწვევი ფაქტორების რაოდენობის დადგენა და თითოეული მათგანის გავლენის სიდიდის განსაზღვრა.

ეკონომიკური გამოკვლევების დროს „ფაქტორის“ ცნება გულისხმობს პირობებს, რომლებიც აუცილებელია სამეურნეო პროცესების განსახორციელებლად, აგრეთვე, მიზეზებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ პროცესების შედეგებზე.

ამრიგად, ანალიზის შემდგომ ეტაპზე საჭირო ხდება უკვე საკვლევ სიდიდეზე მოქმედი დადგენილი ფაქტორების გავლენის სიდიდეთა გაზომვა, რისთვისაც პრაქტიკაში სარგებლობენ ელიმინირების მეთოდის პრინციპით. „ელიმინირება“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს განტოლებათა სისტემიდან უცნობი წევრების თანდათანობით გამორიცხვას, ანალიზის პროცესში კი გამოირიცხება არა ფაქტორი, არამედ მისი გავლენა.

ეკონომიკური ანალიზის დროს ელიმინირების მეთოდის პრინციპი ისაა, რომ ერთიმეორესთან დაპირისპირებული მაჩვენებლებიდან სხვადასხვას ეტოვებთ მხოლოდ ერთი რომელიმე ფაქტორის რიცხვით მნიშვნელობას, ყველა დანარჩენი ფაქტორის სიდიდეს კი ერთნაირს ეტოვებთ. ასეთი გზით მიღებულ გაანგარიშებულ მაჩვენებელთა შედარებით მიიღება საკვლევი ფაქტორის გავლენის სიდიდე. ელიმინირების პრინციპზეა აგებული საკვლევ სიდიდეზე მოქმედ ფაქტორთა გავლენის სიდიდის გამზომი ისეთი ხერხები, როგორიცაა: 1. ჯაჭვური ჩასმის ხერხი; 2. აბსოლუტური სხვაობის ხერხი; 3. პროცენტების სხვაობის ხერხი და 4. წინა ფაქტორების გავლენის მითვლის ხერხი[1].

ჯაჭვური ჩასმის ხერხი. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ელიმინირების პრინციპზე აგებული ხერხების გამოყენება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საკვლევ სიდიდეზე მოქმედ ფაქტორებს შორის არსებობს მკაცრი ფუნქციური დამოკიდებულება.

საკვლევ სიდიდეზე მოქმედ ფაქტორთა გავლენის სიდიდის გაზომვისათვის ჯაჭვური ჩასმის ხერხის მიხედვით წარმოებს გაანგარიშება მკაცრი თანმიმდევრობის დაცვით. აღსანიშნავია, რომ გაანგარიშებათა რიცხვი

---

1 წინა ფაქტორების გავლენის მითვლის ხერხი დაამუშავა ცნობილმა ქართველმა ანალიტიკოსმა, დოცენტ ნ. დგებუაძემ.

ყოველთვის ერთით მეტია საკვლევ ფაქტორთა რიცხვზე. პირველი გაანგარიშება იწოდება გეგმურად ან საბაზისოდ, აქ ყველა ფაქტორი გეგმ·ურია. მეორე გაანგარიშებაში რიგით პირველი (გეგმ·ური) ფაქტორი იცვლება ფაქტ·ურით, დანარჩენი კი გეგმ·ურია. მეორე გაანგარიშების ნამრავლს აკლდება მის წინა გაანგარიშების ნამრავლი, სხვაობა პირველი ფაქტორის გავლენის სიდიდე იქნება. მესამე გაანგარიშებაში პირველი და მეორე ფაქტორი ფაქტ·ურია, დანარჩენი გეგმ·ური. მესამე გაანგარიშების ნამრავლს აკლდება მის წინა (მეორე) გაანგარიშების ნამრავლი. სხვაობა იქნება მეორე ფაქტორის გავლენის სიდიდე და ა. შ. გაანგარიშების თანმიმდევრობა ასე გრძელდება ბოლო ფაქტორის გავლენის სიდიდის განსაზღვრამდე. შემოწმების დროს ყველა ფაქტორის გავლენის ჯამი ტოლი უნდა იყოს საერთო გადახრის. საილ·უსტრაციოდ ჯაჭ·ვური ჩასმის ხერხის პრინციპი ვაჩვენოთ საერთო პროდ·უქციის მოცულობაზე შემდეგი ფაქტორების გავლენის სიდიდეთა გაზომვაზე: 1. მ·უშების საშ·უალო სიობრივი რიცხვი; 2. წლის განმავლობაში ერთი მ·უშის მიერ ნამ·უშევარ დღეთა რაოდენობა; 3. ერთი მუშის მიერ დღის განმავლობაში შექმნილი პროდ·უქციის ღირებ·ულება, ცხრილის მონაცემთა საფუძველზე.

ცხრილი 1

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	შიფრი	გეგმით	ფაქტობრივად	გადახრა
	1	2	3	4	5
1. საერთო პროდუქცია	ათ. ლარ.	Q	1830	2219,7	389,7
2. მუშების საშუალო სიობრივი რიცხვი	ერთეულები	X	200	210	+10
3. ერთი მუშის მიერ ნამუშევარი დღეები წელიწადში	ერთეულები	Y	305	302	–3
4. ერთი მუშის საშუალო დღიური შრომის ნაყოფიერება	ლარ.	Z	30	35	+5

გაანგარიშება ჯაჭ·ვური ჩასმის ხერხით გაეაფორმოთ შემდეგ ცხრილში, სადაც მონაცემები აისახება ასეთი თანმიმდევრობით:

1. $X_0 \cdot Y_0 \cdot Z_0 = Q_0$ „0"-ობით აღნიშნ·ულია გეგმ·ური
2. $X_1 \cdot Y_0 \cdot Z_0 = Q^1$ მაჩვენებლები; „1" კი ფაქტობრივი

3. $X_1 \cdot Y_1 \cdot Z_0 = Q^2$ პრიმებით – შუალედური მაჩვენებლები

4. $X_1 \cdot Y_1 \cdot Z_1 = Q_1$

I – ფაქტორის გაელენის სიდიდე ტოლია $Q^1 - Q^0 = \pm\Delta 1$

II – ფაქტორის გაელენის სიდიდე ტოლია $Q^2 - Q^1 = \pm\Delta 2$

III – ფაქტორის გაელენის სიდიდე ტოლია $Q_1 - Q^2 = \mp\Delta 3$

სამივე ფაქტორის გაელენის ჯამი $(\Delta_1 + \Delta_2 + \Delta_3)$ ტოლი უნდა იყოს საერთო გადახრის.

ციფრობრივი მაჩვენებლები ჩავსვათ მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

	საკვლევ სიდიდეზე მოქმედი ფაქტორები			განსაზოგადებული მაჩვენებელი (1X2X3) (ათასი ლარი)	ფაქტორის გავლენის სიდიდე	მოქმედი ფაქტორის დასახელება
	მუშების საშუალო სიობრივი რიცხვი	ერთი მუშის მიერ ნამუშევარი დღეები	ერთი მუშის მძრომის ნაყოფიერება (ლარი)			
ა	1	2	3	4	5	6
1. გაანგარიშება	200	305	30	1830	X ·	—
2. გაანგარიშება	210	305	30	8921,5	91,5	მუშების ცვალებადობის გავლენა
3. გაანგარიშება	210	302	30	1902,6	—18,9	დღეების ცვალებადობის გავლენა
4. გაანგარიშება	210	302	35	2219,7	317,1	შრომის ნაყოფიერების ცვალებადობის გავლენა
საერთო გადახრა					389,7	

ამრიგად, მე-2 ცხრილის მეხუთე სვეტში მიღებულია თითოეული ფაქტორის გაელენის სიდიდე საკვლევ სიდიდეზე.

ჯაჭვური ჩასმის ხერხის ყველაზე გავრცელებული ვარიანტია აბსო-

ლუტური სხვაობის ხერხი. აბსოლუტური სხვაობის ხერხის პრინციპის თანასმად, საკვლევ სიდიდეზე მოქმედი თითოეული ფაქტორის გავლენის გასაზომად საჭიროა ვიპოვოთ აბსოლუტური სხვაობა გამოსაკვლევი ფაქტორის გეგმიურ და ფაქტიურ სიდიდეებს შორის, მიღებული სიდიდე გადავამრავლოთ ამ ფაქტორის წინ მდგომ ფაქტორთა ფაქტიურ სიდიდეებზე და მისი მომდევნო ყველა გეგმიურ ფაქტორთა სიდიდეებზე.

ამ ხერხის მისედვით გაანგარიშება უფრო მარტივი და მოსახერხებელია. ამასთანავე, თითოეული გაანგარიშება უკვე იძლევა პასუხს კითხვაზე. ჯაჭვური ჩასმის ხერხის გამოყენების დროს კი თითოეული ფაქტორის გავლენის სიდიდის გასაზომად საჭირო იყო ორი გაანგარიშება.

ზემოთ ნათქვამის საილუსტრაციოდ ვისარგებლოთ მე-2 ცხრილის მონაცემებით, საიდანაც თითოეული ფაქტორის გავლენა ფორმულების მიხედვით ასე გამოისახება:

1. $(X_0 - X_1) \cdot Y_0 \cdot Z_0 = \pm\Delta 1$
2. $(Y_0 - Y_1) \cdot X_1 \cdot Z_0 = \pm\Delta 2$
3. $(Z_0 - Z_1) \cdot X_1 \cdot Y_1 = \pm\Delta 3$

ამ ფორმულებში რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმით პირდაპირ მიიღებთ ცალკეული ფაქტორის გავლენის სიდიდეს:

10 (210–200) X 305 X 30 = 91,5 ათ. ლარი

210 X -3 (302–305) X 30 = 18,9 ათ. ლარი

210 X 302X 5 (35–30) = 317,1 ათ. ლარი

ფაქტორთა გავლენის ჯამი იგივეა – 389,7 = (91,5 – 18,9 ± 317,1)

პროცენტების სხვაობის ხერხი. პროცენტების სხვაობის ხერხის მისედვით, საკვლევ სიდიდეზე თითოეული განმსაზღვრელი ფაქტორის გავლენის სიდიდე (პროცენტების გამოსახული) უდრის გამოსაკვლევი ფაქტორისა და მის წინა ფაქტორების ხაზით გეგმის შესრულების პროცენტს გამოკლებული მხოლოდ გამოსაკვლევი ფაქტორის წინა ფაქტორების ხაზით გეგმის შესრულების პროცენტი.

გაყლენის პროცენტებიდან გავლენის აბსოლუტური თანხის მისაღებად საკმარისია ამ პროცენტზე გამრავლდეს საკვლევი მოვლენის გეგმიური სიდიდე.

წინა ფაქტორის გავლენის მითვლის ხერხის ზოგადი წესის მისედვით, თითოეული განმსაზღვრელი ფაქტორის გავლენა უდრის გამოსაკვლევი მოვლენის საგეგმო სიდიდეს პლუს გამოსაკვლევი ფაქტორის ყვე-

ლა წინა ფაქტორის გაელვების სიღიდე და მთელი ეს ჯამი გამრავლებული სწორედ გამოსაკვლევი ფაქტორის საბით გეგმის გადამეტების პროცენტზე იქნება. ამ წესის თანახმად გამოსაკვლევია მეოთხე ფაქტორის გაელვება, ფაქტორების რიცხვი კი ხუთ ექნება. მაშინ ამ მეოთხე ფაქტორის გაელვების სიღიდე უდრის გამოსაკვლევი მოვლენის საგეგმო სიღიდეს, პლუს ყველა წინა სამი ფაქტორის გაელვების სიღიდე თავისი ნიშნებით და მთელი ეს ჯამი გამრავლებული მეოთხე ფაქტორის ხაზით გეგმის გადამეტების პროცენტზე[1].

მაჩვენებელთა შორის „ბალანსური კავშირების ხერხი“ ფართოდ გამოიყენება დაგეგმვასა და აღრიცხვაში. მას ფართო გამოყენება აქვს აგრეთვე ეკონომიკურ ანალიზში. ბალანსური კავშირები ეკონომიკურ ანალიზში იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც საკვლევ მაჩვენებლებს შორის არსებობს მკაცრი ფუნქციური კავშირი. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ეს ხერხი ანალიზში შეიძლება სხვადასხვა თვალსაზრისით იქნეს გამოყენებული. მაგალითად, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მისი დახმარებით შეიძლება ანალიზი ჩაე ეგაროთ მასალების, სამუშაო დროის, საწარმოო სიმძლავრეების რაციონალურ გამოყენებას, საქონლბრუნვას, საქონლო პროდუქციას, ფინანსურ მდგომარეობას და სხვა.

ბალანსური კავშირის ხერხის გამოყენება საშუალებას იძლევა ბალანსის მონაცემების საფუძველზე გაეანალიზოთ საწარმოთა ძირითადი და საბრუნავი საშუალებები მათი წარმოქმნის წყაროებთან მტკიცე კავშირში.

ეკონომიკურ ანალიზში ბალანსური კავშირები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანგარიშგების ფორმების შევსების რეალურობის დასადგენადაც, რის შესახებ აღნიშნულია ამ შრომის მესამე თავში, სადაც გარკვეულია ანგარიშგების ფორმების რეალურობის დადგენის ხერხები.

ეკონომიკურ მეცნიერებაში „საბალანსო“ მეთოდი შეიძლება უნიკალურად ჩაითვალოს, რადგანაც მისი პრინციპების საშუალებით სდება ეკონომიკური საქმიანობისათვის საჭირო წარმოების საშუალებებისა და მათი წარმოქმნის წყაროების წონასწორობაში მოყვანა და კონტროლი. მარადისობის კანონის არსიდან გამომდინარე, რადგან ბუნებაში არაფერი არ იკარგება და არც არაფერი ახალი არ წარმოიშვება ხლება მხოლოდ გარდაქმნები, ეკონომიკაშიც ანალოგიური სურათია. ნებისმიერ სამეურნეო ოპერაციას გააჩნია ორი ასპექტი – მაგება და კლება: გადახდა და შეძენა; შექმნა და გაუქმება, რომლებიც ერთიმეორის კომპენსაციას ახ-

---

1 ნ. დგებუაძე, შ. ბურდული, სოფლის მეურნეობის საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, თბ., 1961, გვ. 50.

დენეს და საბოლოო ჯამში ბალანსირდებიან. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის პროცესში „საბალანსო მეთოდი“ საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ გადასხრები და ავხსნათ მათი გამომწვევი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების მოქმედების მიზეზები, სათანადო გადაწყვეტილებების მიღებისათვის გამოვაკლინოთ რეზერვები.

ეკონომიკური ანალიზის პროცესში ფართოდ ვიყენებთ პროცენტულ სიდიდეებს. რიცხვის მეასედ ნაწილს პროცენტი ეწოდება. პროცენტული გაანგარიშებანი ეკონომიკურ ანალიზში მეტად გავრცელებული ხერხია. მისი საშუალებით იანგარიშება გეგმის შესრულების მაჩვენებლები, წარმოების მოცულობის მაჩვენებელთა ზრდის ტემპი და სხვა.

თუ ჩვენ რომელიმე აბსოლუტური რიცხვი გვინდა გამოვსახოთ %-ობით, საჭიროა გასაპროცენტებელი რიცხვი გავყოთ საბაზისო რიცხვზე და განაყოფი გავადიდოთ 100-ჯერ.

პრაქტიკაში %-ის გამოანგარიშების მრავალი სახეა, მათ შორის აღსანიშნავია: ა) 2 რიცხვს შორის %-ული მიმართების გამოანგარიშება; ბ) სტრუქტურის ანუ ჯამის შემადგენელი ნაწილების ხვედრითი წონის გამოანგარიშება %-ობით; გ) დინამიკის გამოანგარიშება %-ობით.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პროცესში ფართოდ გამოიყენება ე. წ. „ფინანსური მათემატიკა“, რაც ძირითადად კრედიტების სარგებლის პროცენტულ გაანგარიშებას გულისხმობს. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად ჩავთვალეთ პროცენტების გამოთვლის პრაქტიკული მაგალითების მოყვანა პოლონელი მეცნიერის ჰ. კრინსკის წიგნიდან „მათემატიკა ეკონომისტებისათვის“[1].

1. დაგროვება. თანხას, რომელსაც იხდიან ფულად საშუალებათა სარგებლობისათვის, პროცენტი ეწოდება. პროცენტის შეფარდებას ფულად საშუალებათა სიდიდესთან ეწოდება პროცენტული განაკვეთი. თუ K-თი აღვნიშნავთ ფულად საშუალებათა რაოდენობას, ხოლო P-თი პროცენტს, მაშინ პროცენტული განაკვეთი $\overline{P}$ იქნება:

$$\overline{P} = \frac{P}{K}$$

პრაქტიკაში მოხერხებულია ხვედრითი %-ული განაკვეთით სარგებლობა. ხვედრით პროცენტულ განაკვეთში იგულისხმება თანხა, რომელიც მოაქვს 1 ლარს ერთ წელიწადში. ხვედრით პროცენტულ განაკვეთს ჩვენ აღვნიშნავთ i სიმბოლოთი. ამგვარად გვაქვს:

---

1 ჰ. კრინსკი, მათემატიკა ეკონომისტებისათვის, თბილისი, 1974 წ., გვ. 86-87.

$$i = \frac{\overline{P}}{n} = \frac{P \cdot 100}{Kn} = \frac{P}{Kn} \quad \%$$

სადაც n – წელთა რიცხვია.

თუ ფულადი საშუალებებიდან მიღებული %-ნტი მას ემატება, ამბობენ, რომ ხდება თანხის დაგროვება; თუ დამატებულ პროცენტს არ დაერიცხება პროცენტი, მაშინ საქმე გვაქვს მარტივ პროცენტთან. თუ ხელდრიცი %-ული განაკვეთი არის i, ხოლო თანხა K; მაშინ n-წლის შემდეგ მარტივი პროცენტი შეადგენს $Kn\,i$-ს, ხოლო Kn თანხა არის n-წლის შემდეგ მარტივი პროცენტით მიღებული დაგროვება, ე. ი. K თანხის საბოლოო სიდიდე იქნება:

$$K_n = K + K_{ni} = K(1 + ni) \quad (1)$$

(1) ფორმულაში მონაწილეობს 4 სიდიდე: Kn, K, n და i. ყოველი მათგანის გამოთვლა შესაძლებელია, თუ სამი დანარჩენი ცნობილი სიდიდეებია, სახელდობრ (1) ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ

$$K = \frac{Kn}{1 + ni} \quad (2) \qquad n = \frac{Kn - K}{Ki} \quad (3) \qquad i = \frac{Kn - K}{Kn} \quad (4)$$

მაგალითი 1. განვსაზღვროთ 3 წლის განმავლობაში მიღებული დაგროვება, თუ თანხა K = 5000 ლარს, გაცემულია 4%-ად.

პირობის თანახმად გვაქვს $i = \frac{P}{100} = \frac{4}{100} = 0{,}04$

მაშინ (1) ფორმულა გვაძლევს

Kn = 5000 • (1 + 3·0,04) = 5600 ლარს.

მაგალითი 2. განვსაზღვროთ, რა რაოდენობის თანხა მოგვცემს ორი წლის ვადით 784.000 ლარს, თუ იგი გაცემულია ყოველწლიურად მარტივ 6 პროცენტად.

ცნობილია, რომ P = 6, n = 2, Kn = 784.000. უნდა გამოვთვალოთ K, თუ ვისარგებლებთ (2) ფორმულით, გვექნება:

$$K = \frac{784000}{1 + 2 \cdot 0{,}06} = \frac{784000}{1{,}12} = 700000 \quad \text{ლარი}$$

მაგალითი 3. რამდენი წლის შემდეგ მოგვცემს 2500 ლარის მოგებას 2000 ლარი, თუ ირი გაცემულია ყოველწლიურად მარტივ 5 პროცენტად?

ამ შემთხვევაში $P = 5$, $K = 2000$ ლარს, $Kn - K = 500$ ლარი.

უნდა გამოვთვალოთ n. (3) ფორმულა გვაძლევს:

$$n = \frac{500}{2000 \cdot 0{,}05} = 5$$

მაგალითი 4. 4500 ლარის როგორი ხვედრითი პროცენტული განაკვეთი მოგვცემს 270 ლარს, თუ %-ის დარიცხვის ვადა არის 9 თვე?

გვაქვს $Kn - K = 270$, $K = 4500$, $n = 3/4$.

ვიპოვოთ i. (4) ფორმულიდან გვექნება:

$$i = \frac{270}{4500 \cdot \frac{3}{4}} = \frac{4}{50} = 0{,}08 = 8\%$$

მრავალი ეკონომიკური ამოცანის ამოხსნისას გვხვდება ე. წ. რთული პროცენტები. აქ პროცენტი ემატება კაპიტალს, რომელსაც ის ერიცხებოდა და მომდევნო პერიოდში პროცენტი ერიცხება ამ გზით გაზრდილ თანხას.

ინდექსები[1]. სტატისტიკურ მეცნიერებაში დიდი ყურადღება ეთმობა ინდექსების თეორიას, რაც, უპირველეს ყოვლისა, გაპირობებულია მათი პრაქტიკული მნიშვნელობით. ინდექსები ფართოდ გამოიყენება ეკონომიკურ ანალიზშიც. ისინი შეფარდებითი მაჩვენებლებია, მაგრამ ყველა შეფარდებითი სიდიდე ინდექსი არაა. ინდექსებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი შეფარდებითი მაჩვენებლები, რომლებიც მოვლენათა ცვლილებას (ე. ი. დინამიკას) ახასიათებენ დროში, გეგმის შესრულების ხარისხს ანუ მოვლენათა შეფარდების შედეგს სივრცეში.

ინდექსების ასაგებად სტატისტიკაში გამოყენებულია სიმბოლოები: q – საერთო ან სასაქონლო პროდუქციის ფიზიკური მოცულობაა, P – ერთეული პროდუქციის ფასი, C – ერთეულის თვითღირებულება, t – ერთეული პროდუქციის შრომატევადობა. შესაბამისად 0-თი აღინიშნება საბაზისო პერიოდის მაჩვენებელი, ხოლო 1-თი საანგარიშგებო პერიოდის მაჩვენებელი.

---

1 გ. ი. ბაკლანოვი, ინდექსური მეთოდის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1977, გვ. 5.

ინდექსები ორი სახისაა: ინდივიდუალური (i) და საერთო (I). ინდივიდუალური ინდექსი ახასიათებს ცალკეული ელემენტების დინამიკას. ასე მაგ., პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდივიდუალური

$$iq = \frac{q_1}{q_0}$$

ფასების ინდექსი: $ip = \frac{p_1}{p_0}$ და ა. შ.

საერთო (აგრეგატული) ინდექსის ასაგებად საჭიროა ორი მაჩვენებელი: საინდექსო და თანაბმომადლობის სიდიდეები. მაგალითად, თუ გვინდა ავაგოთ პროდუქციის ფიზიკური მოცულობის აგრეგატული ინდექსი, აქ საქონლის ფიზიკური რაოდენობა საინდექსო სიდიდეა, პროდუქციის ერთეულის ფასი კი – თანაბმომადლობის მაჩვენებელი. ინდექსს ექნება ასეთი სახე:

$$I_q = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$$

ე. ი. როგორც ჩანს, ფორმულაში საინდექსო სიდიდე ცვალებადია, ხოლო ფასები უცვლელი*.

პრაქტიკაში ასხვაებენ საბაზისო და ჯაჭვურ ინდექსებს. პირველის დროს შედარების ბაზად იღებენ 100-ს, ხოლო რიცხვითი რიგის ყველა მომდევნო მაჩვენებელი გამოიხატება პროცენტებად საბაზისო სიდიდის მიმართ. ჯაჭვური ინდექსების გამოანგარიშების დროს კი რიცხვითი რიგის თითოეული მომდევნო მაჩვენებელი უპროცენტდება წინა მაჩვენებელს.

ინდექსები ეკონომიკური ანალიზის პროცესში მრავალმხრივ გამოიყენება. მისი საშუალებით შეიძლება დავახასიათოთ პროდუქციის გამოშვების, თვითღირებულების, შრომის ნაყოფიერების და სხვა მაჩვენებლების დინამიკა.

საერთოდ, საბაზისო და ჯაჭვური ინდექსები ანალიზის დროს უნდა გამოიყენებოდეს პარალელურად, რამდენადაც ისინი ავსებენ ერთმანეთს.

საშუალო სიდიდეები. ეკონომიკური გაანგარიშებების დროს გამოიყენება საშუალო სიდიდეები: 1. არითმეტიკული საშუალო, 2. საშუალო გეომეტრიული.

არითმეტიკული საშუალო მიიღება შეფარდებით, რომლის მრიცხველშია რიცხვითი მაჩვენებლების საერთო თანხა, ხოლო მნიშვნელში – შე-

---

* ინდექსები ფართოდ შეისწავლება სტატისტიკის თეორიაში, ამიტომ ჩვენ ამ საკითხს ფართოდ არ ვეხებით.

საკრებთა რაოდენობის გამომხატველი რიცხვი. ასხვაებენ მარტივ არითმეტიკულ და შეწონილ საშუალო არითმეტიკულს. თუ თითოეული რიცხვითი მნიშვნელობა გვხვდება ერთხელ, მაშინ არითმეტიკული საშუალოს მისაღებად ეს მაჩვენებლები უნდა შევკრიბოთ და ჯამი გავყოთ მათ რაოდენობაზე.

ვთქვათ, საწარმომ I კვარტალში მოახდინა 85 ათასი ლარის პროდუქციის რეალიზაცია, II-ში – 90, III-ში – 83, ხოლო IV-ში – 80; საწარმოს მიერ წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის ჯამი ტოლი იქნება: 85,0 + 90.0 + 83,0 + 80,0 = 338,0 ლარს; ხოლო კვარტლის საშუალო

$= 84{,}5$ ათ. ლარს $\left(\frac{338{,}0}{4}\right)$.

ასეთი წესით გაანგარიშებულ მაჩვენებელს ეწოდება მარტივი არითმეტიკული საშუალო. დავუშვათ, რომ სამრეწველო საწარმოს მუშათა დღიური ხელფასები შეადგენს: 95, 95, 100, 110, 115, 125, 125, 125, 125, 130, 130, 130, 135 ლარს. გვინდა გამოვთვალოთ მუშების საშუალო დღიური ხელფასი. თუ თხუთმეტიე მუშის ხელფასს შევაჯამებთ და გავყოფთ მათ რიცხვზე, მაშინ მიეიღებთ მუშების საშუალო დღიურ ხელფასს:

$$\frac{95+95+100+100+110+110+115+125+125+125}{15}+$$

$$\frac{130+130+130+135}{15}=\frac{1750}{15}=116{,}7 \text{ ლარი}$$

თუ თითოეულ მნიშვნელობას აღვნიშნავთ $X_1\ X_2 \ldots X_n$ (ჩვენ შემთხვევაში $n = 15$), ხოლო არითმეტიკულ საშუალოს $\overline{X}$, მაშინ n არითმეტიკული საშუალო ფორმულით ასე გამოიხატება:

$$\overline{X}=\frac{X_1+X_2+X_3+\ldots+X_n}{n}=\frac{\sum X}{n}$$

მოყვანილ მაგალითებში ინდივიდუალური ხელფასის მაჩვენებლებს აქვთ 7 სხვადასხვა მნიშვნელობა, ვინაიდან ერთი და იმავე სიდიდის ხელფასი აუღია არა ერთ, არამედ რამდენიმეს, მაგალითად, 95 ლარი ხელფასი მიიღო 2-მა მუშამ, 125 ლარი – ოთხმა და ა. შ. ამ შემთხვევაში საშუალო არითმეტიკული გაეიანგარიშოთ შემდეგნაირად: არითმეტიკულ სიდიდეზე შეჯამებამდე საჭიროა ერთი და იმაეე ზომის სიდიდეები ჯერ გავამრავლოთ მათ განმეორებად რიცხვზე. ასეთ გამრავლებას ეკონო-

მიკაში შეწონილას უწოდებენ, ხოლო ერთეულთა რიცხვს, რომელთაც ერთი და იგივე მნიშვნელობა გააჩნია, – წონებს ანუ სიხშირეს. თუ წონებს აღვნიშნავთ f, მაშინ შეწონილი არითმეტიკული საშუალო ფორმულით ასე გამოისახება:

$$\bar{X} = \frac{X_1 f_1 + X_2 f_2 + \ldots + X_n f_n}{f_1 + f_2 + \ldots + f_n} = \frac{\bar{\Sigma} fX}{\bar{\Sigma} f}$$

მაშასადამე, გაანგარიშება ამ ხერხით უფრო ძნელია და მოსახერხებელი.

ეკონომიკური ანალიზის ჩატარების პროცესში ეხედებით ცნებებს: დინამიკური მწკრივი – იგი ეწოდება იმ მაჩვენებლების რიგს, რომლებიც ახასიათებენ რომელიმე მოვლენის ცვლილებას დროში.

დონე – ეწოდება დინამიკური მწკრივის ყოველ ცალკეულ მაჩვენებელს.

ზრდის ტემპი – გაიანგარიშება მწკრივის მომდევნო მაჩვენებლის შეფარდებით წინა მაჩვენებელთან, კოეფიციენტის ან პროცენტის სახით.

კოეფიციენტები წარმოადგენს სიდიდეებს, რომლებიც მიიღება ორი ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლის შეფარდებით.

კოეფიციენტების გამოყენება შესაძლებელს ხდის დავახასიათოთ საკვლევი ობიექტის საქმიანობის სხვადასხვა მხარის განვითარების განვითარების დონე და ტემპები. პრაქტიკაში ხშირად გაიანგარიშება ცელადობის, ცვეთის, მოწყობილობის, წარმოების რიტმულობის, პროდუქციის ხარისხიანობის კოეფიციენტები და სხვა.

მაგალითად, მოწყობილობის გამოყენების კოეფიციენტი გაიანგარიშება ფაქტიურად ნამუშევარი მანქანა-საათებს შეფარდებით გეგმით გათვალისწინებულ მანქანა-საათების მთელ რაოდენობასთან. ვთქვათ, ფაქტიურად ნამუშევარია 260 საათი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 220 საათისა, მაშინ მოწყობილობის გამოყენების კოეფიციენტი ტოლი იქნება $1{,}1\left(\frac{260}{220}\right)$, ე. ი. ფაქტიურად გამოყენების ხარისხი გაჩრდილია 0,1-ით.

თუ კოეფიციენტს გავამრავლებთ 100-ზე, მივიღებთ გეგმის შესრულების %-ს. ჩვენი მონაცემების მიხედვით მოწყობილობის გამოყენების გეგმის შესრულების პროცენტი უდრის 110-ს (1,1 X 100).

მათემატიკური მეთოდებისა და ელექტრონულ-გამომთველი მანქანების გამოყენების ბაზაზე დიდი პერსპექტივები ისახება ეკონომიკური ანალიზის წინაშეც. საერთოდ, ეკონომიკური ანალიზის პროცესში მათემატიკური მეთოდების გამოყენებით გამოიკვლევა მოვლენების მხოლოდ რაოდენობრივი მხარე. რაც შეეხება ხარისხობრივ და თვისებრივ მხა-

რეს, მისი შესწავლა მხოლოდ ეკონომიკური თეორიის საშუალებით ხდება. ამრიგად, უნდა აღინიშნოთ, რომ ანალიზის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური და ტექნიკურ საშუალებათა შეერთებით.

მართვის ავტომატიზებული სისტემა მოითხოვს ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის ხერხების სრულყოფას, მათემატიკური მეთოდებისა და ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის ბაზაზე.

მრეწველობაში მართვის მეცნიერული პრინციპები მოითხოვს ანალიზის ისეთ განვითარებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მის მოთხოვნილებებს. ამისათვის საჭიროა ეკონომიკური კვლევის შედეგები დაყვანილ იქნეს კონკრეტულობამდე, რაც უზრუნველყოფს მათემატიკური აპარატის გამოყენებას.

დღეანდელ ეტაპზე ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრება ეკონომიკურ გამოკვლევათა სფეროში; იგი ამდიდრებს დაგეგმვისა და ანალიზის თეორიული საფუძვლების არსენალს. უკანასკნელი წლების განმავლობაში ეკონომიკურ გაანგარიშებაში ფართო გავრცელება ჰპოვა მათემატიკის ახალმა დარგმა – წრფივმა პროგრამირებამ, რამდენადაც სხვა მათემატიკურ მეთოდებთან შედარებით წრფივი პროგრამირება გამოირჩევა სიმარტივით და გამოყენების მრავალფეროვნებით.

წრფივ პროგრამირებას აქვს რამდენიმე მეთოდი, როგორიცაა: სიმპლექსმეთოდი, განმანაწილებელი მეთოდი, გრაფიკული და ამოხსნადი გამრავლების მეთოდი.

ყველაზე უფრო უნივერსალურია სიმპლექსმეთოდი, რომელიც გამოიყენება წრფივი პროგრამირების ნებისმიერი ამოცანის გადასაწყვეტად. იგი გამოირჩევა დიდი სიზუსტით და ამასთანავე, შრომატევადობითაც, რაც ნაწილობრივ ბღუდავს მის გამოყენებას.

წრფივი პროგრამირების სხვა მეთოდები უფრო მარტივია გაანგარიშების ტექნიკით, მაგრამ გამოიყენებიან ამოცანების მხოლოდ გარკვეული ჯგუფისათვის.

მათემატიკური პროგრამირების მეთოდები საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტის ძირითადი საშუალებაა, ე. ი. თავისი არსით გეგმიურ გაანგარიშებათა საშუალება.

ანალიზის თვალსაზრისით მისი მნიშვნელობა ისაა, რომ მისი საშუალებით შეგვიძლია გეგმების რეალურობის და დაძაბულობის დადგენა, ოპტიმალური მარაგების დადგენა და სხვა.

ეკონომიკური ანალიზის პროცესში დღეს ფართოდ გამოიყენება ისე-

თი მათემატიკურ-სტატისტიკური სერხი, რიგორიცაა კორელაციის თეორია. მისი საშუალებით ხდება ისეთი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა. რომლებიც ეკონომიკური ანალიზის სხვა სერხებით არ შეიძლება გადაიჭრას; მისი გამოყენებით საშუალება გვეძლევა გავზომოთ ამ ფაქტორების გავლენა საკვლევ სიდიდეზე, რომელთა შორის არ არსებობს ფუნქციონალური კავშირი, მაგალითად, წარმოების მოცულობის ცვალებადობის გავლენა მოწყობილობის შენახვისა და ექსპლოატაციის სარჯებზე, საამქრო სარჯებზე და საერთო საქარხნო ხარჯებზე; ან კიდევ მუშების შრომის ნაყოფიერების დამოკიდებულება მათ სტაჟთან. აღნიშნული მაჩვენებლების ცვალებადობა მრავალ ერთმანეთთან ნაკლებად დამოკიდებულ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა გავლენის სიდიდის გაზომვა შეიძლება მოვახდინოთ სტატისტიკური დაჯგუფების გზითაც, მაგრამ ეს ხერხი ყოველთვის არ გვაძლევს ზუსტ პასუხს ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე.

კორელაციის საშუალებით განისაზღვრება საკვლევ სიდიდეზე მოქმედ ფაქტორებს შორის კავშირი რაოდენობრივად და ამასთან ერთდროულად, ფაქტორთა უდიდესი რაოდენობის დროს.

კორელაცია უცხო სიტყვაა და ნიშნავს ურთიერთდამოკიდებულებას, შეფარდებას.

კორელაციური ანალიზის დროს ფაქტორთა დამოკიდებულება საკვლევ სიდიდეზე კოეფიციენტების გზით იზომება. როდესაც კოეფიციენტი ერთს უახლოვდება, ეს იმას ნიშნავს, რომ იზრდება გავლენის სიდიდე და პირიქით.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ცივილიზებული მსოფლიოს უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომისტების სასწავლო პროგრამები ისეა შედგენილი, რომ შეძლონ რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება ეკონომიკაში, ბიზნესსა და ბუღალტრულ აღრიცხვაში. სწავლის პროცესში სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ გაიარონ ეკონომიკური კონტექსტის მქონე მასალები, რომლებიც რეალურ და ცხოვრებისეულ მაგალითებზეა აგებული. ეს ხელს უწყობს იმის გაცნობიერებას, თუ როგორ შეიძლება რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, რათა სტუდენტებს გამოუმუშავდეთ ლოგიკური და ანალიზური აზროვნების უნარი, ჩაწვდნენ სპეციფიკური მეთოდების გამოყენების სპექტრს, რადგან ეს გაცილებით უფრო სასარგებლოა, ვიდრე რაოდენობრივი მეთოდების წმინდა მათემატიკური კუთხით განხილვა, რასაც, სამწუხაროდ, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში აქვს ადგილი – მათემატიკური საგნები იკითხება მხოლოდ მათემატიკური კურსით. ამის თაობაზე ჩვენს უნიჭერ სიტყვაში ბევრჯერ დაისმა საკითხი, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა.

დღეს ჩვენი ქვეყანა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადადის, ე. ი. უნდა შეიცვალოს სასწავლო პროცესის პრინციპებიც. უნდა ვასწავლოთ სტუდენტებს მათემატიკური საგნებიდან მხოლოდ ის, რაც ეკონომიკური საქმიანობის წარმართვაშია აუცილებელი. ასეთებად აღიარებულია:

1. არითმეტიკული ოპერაციები.
2. ძირითადი მათემატიკური პრინციპები.
3. განუსაზღვრულობის გაზომვა.
4. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა.
5. გაზომვის სტატისტიკური სისტემა...

I-II კურსზე ეკონომისტები გადიან უმაღლესი მათემატიკის და ალბათობის თეორიის კურსებს, ხოლო III-IV კურსებზე, როცა მათ სპეციალური დისციპლინები ეკითხებათ, ბევრ სტუდენტს უჭირს ელემენტარულ არითმეტიკულ ოპერაციებში გარკვევა (!). მათემატიკის სწავლების პროცესი რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში.

მათემატიკა უნდა ისწავლებოდეს სპეციალურ საგნებთან ერთად, ეფექტის ჩვენებით.

§ 3. ანალიზი და ბრძენთა აზრები

ეკონომიკური აზროვნების განვითარებას მსოფლიოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მრავალად მოგვეპოვება ამის დამადასტურებელი მასალა, როგორც წმინდა ეკონომიკური ხასიათის, ისე ფილოსოფიური და მხატვრული. ეკონომიკური აზროვნების საუნჯეს წარმოადგენს მსოფლიოს ბრძენთა აზრები, რომელთა ცხოვრებისეული ღირებულება არასოდეს კლებულობს. მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები, რომლებიც კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის იბრძოდნენ და ქმნიდნენ გენიალურ და უკვდავ ნაწარმოებებს, თავიანთი ბრძნული აფორიზმებით გვაძლევენ იმის საშუალებას, რომ საქმიანობის ნებისმიერ სფეროში თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი შეცდომები, ოპტიმალური გადაწყვეტილება მივიღოთ, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს. ამასთან დაკავშირებით მკითხველს გვინდა შევთავაზოთ ძალიან მცირე ნაწილი მსოფლიოს ბრძენთა შემოქმედებიდან:

– დაბოგვა დიდი შემოსავალია.
ფულია ყველა მოქმედების სათავე და მიზეზი.
(ციცერონი)

– რისსეაც ისე ლნება, როგორც თოვლის, თოვლსდ მოთმინებამ გა:ძლოს.

(ოვიდიუსი)

– ყველებლი ცოდნას, რაც კი ძალა და ღონე შეიწევდა და გამოკვლეული არ დამრჩენია რა; როდესაც ბოლოში ჩაველი და :ვხედ მოვისხელე, დავრწმუნდი, რომ არა ვიცოდი რა".

(ომარ ხაიამი)

– ძუნწი კაცი ეხსა ჰგავს, რომელსაც ცოტას აქმეველნენ და ბევრს ამ:ეშაველნენ და რომლის ტყაეისაგან სიკეთილის შემლეგ დაირას აკეთებენ სხვათა მოსაღსენად.

(ნიუტონი)

– ყველაზე დიდი დაბრკოლება იქ ლაგსვდება ხოლმე, საცა ყველაზე ნაკლებ მოველოდით – ვინც პირველ ღილს ცუდად შეიკრაეს, იმას მთელი შესაკერელი ღილები აერევე-დაერევა.

(გოეთე)

– ათასი წლები :უნდა სახელმწიფოს მოწყობას, ერთი საათი კი სშირად აქცევს ხოლმე.

(ბაირონი)

– ჭეშმარიტება ქონების სიდიდე კი არ არის, არამედ მისი გონიერი მოხმარება...

(ნაპოლეონ ბონაპარტე)

– ნასეარი ცოდნა ბევრჯერ :უცოდინარობაზე :უარესია...

(პასტერი)

– მეცნიერება :უნდა ემსახ:ურებოდეს ადამიანს, ღონე :უნდა მისცეს ბ:უნებას ებაგონოს, ხოლო ბატონობს იგი, ვინც ძალოვანია, ვი ვინც მცოდნეა. ადამიანის ცოდნა და ძალოვნე-ბა ერთი და იგივეა.

(ბეკონი)

– ვინც ბევრს გპირდება, იმას ნაკლებად :უნდა მიენდო.

(ჰორაციუსი)

– ღვინო მრდის ჩვენს ს:ვრეილებს და ამცირებს შესაძლებლობებს.
– მოსწრებული სიტყვის გამარჯვება გამგონის ყურზე უფრია დამიკიდებელი, ვიდრე მსრქველის იჯრაზე.

(:უილიამ შექსპირი)

– სანამ ადამიანთან ცხრა ფუთ მარილს არ შეჭამ, მანამ ნუ დაუმეგობრდები.

– ისე იცხოვრე, ფიცი არ დაგჭირდეს.

– არაფერი ისე ცუდად არ ეიცით, რაც ყველამ კარგად უნდა ეიცოდეთ – კანონი!

(ბალზაკი)

– ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერიჰ.

–ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩეით მქნელია.

– გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმრიდეს.

– მოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა,
მოგჯერ თქმითაც დაშაედების.

– თქმულა „სიწყნარე გმობილი, სჯობს სიჩქარესა ქებულსა".

(შოთა რუსთაველი)

– ადამიანის ფიქრის ერთ-ერთი საქებარი თვისება მოელუნათა მიზეზების ძიებაა.

(ეკა-ფშაველა)

ეკონომიკური აზროვნების საუნჯეს წარმოადგენს დიდი ილია ჭავჭავაძის შემოქმედება. აქ მოცემულია ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიაც. ილია ჭავჭავაძეს განხილული აქვს ეკონომიკური კელეეის ისეთი სპეციფიკური ხერხები, როგორიცაა: „შედარების მეთოდი", „საბუთიანობა", „ავტორიტეტების დამოწმება", „საფეხურებრივი კელეეა", „საქმის შინაგანი ავკარგიანობის შესწაელა", „სისტემური კელეევის მეთოდი", „აბსტრაქტული აზროვნების მეთოდი" და სხვა. მრავალი აფორიზმისა და გამონათქვამის მოტანა შეიძლება ილიას შემოქმედებიდან. ნიმუშად მოგეაქვს ილიას სიტყვის ნაწილი, წარმოთქმული წინაძღერიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნის დღეს.

116 წლის წინათ, წინამძღერიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის საზეიმო გახსნაზე, ილია ჭავჭავაძემ დამსწრე საზოგადოებას მიმართა ბრძნული სიტყვით, მოუწოდა ხალხს, ცოდნის შეძენისათეის მიებარებინათ შვილები ახლად გახსნილ სამეურნეო სკოლაში. „... თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი უხეი კალთა აქ, ამ ჩეენს პატარას და ლამაზ ქეეყანაში დაიბღერტაო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩეენი ქეეყანა ბეერს სხვა ქეეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო საესეა. არც ჩეენ ვართ უსეირონი, ღმერთი-რჯული მკლაეძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ღონეც მოგვდგამს, არც ხალისი გვაკლია,

ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალივით მორთული ქვეყანა. ეს ჯიშიანი, მკლავძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლისმსურველი -- მაშ რაღათა ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ.

იმიტომ, რომ არ ვიცით სად რა სიმდიდრე ძევს. სად რა გაჩხია; არ ვიცით – საიდან რა ამოვიღოთ და რა ხერხით ამოვიღოთ, რომ ადვილიც იყოს და ბევრიც იყოს. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს და მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ ისა, რაც თქვენისაენ სიტყვით ღონიერსაც სჯობია, რაც ძლიერ მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: „აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მიბარებული, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით – უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო“...

მაგისთანა სვეთისნიერ წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან. უამისოდ დედამიწა თავის უსეს და უსარბელს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უსვად არ მოგვაბარებს, რამოდენაც ჩვენთვის მიბარებული აქვს.

სხვა ქვეყნებში, სადაც ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხი დღის მიწა ისე აცხოვრებს ერთს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერა ცხოვრობს. რათა? განა იმითი, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვჯობიან? არა, იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან. „ხერხი სჯობია ღონესაო“, – თქვენგანვე თქმულა და მართალიც არის“...[1] ერთი საუკუნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ქვეყანაში. წარმოუდგენელი ტემპებით გაიზარდა უმაღლესდამთავრებულთა რიცხვი, მაგრამ ქვეყანა უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. რადგან ასლაც გასსინილ კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებში ძირითადად ისეთი სპეციალობებია წარმოდგენილი, რომელთაც მატერიალური დოვლათის წარმოებასთან შეხება არ გააჩნიათ (!!!). ამრიგად, დღეს ისე, როგორც არასდროს, მძლავრად ეღერს დიდი ილიას საპროგრამო მოწოდება ისეთი ნაყოფის მომცემი ცოდნის შეძენის შესახებ, რომელიც ღვთით ნაბოძებ ქვეყანაში არსებულ ბუნებრივ რესურსებს მაქსიმალური უკუგებით გამოაყენებინებს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური აღმაველობისათვის.

დიდ ილიას ქართველი ხალხის დუხჭირი ცხოვრების ძირითად მიზეზად ბუნებათსარგებლობის ცოდნის დაბალი დონე მიაჩნდა. სამწუხაროდ, ეს პრობლემა დღესაც თავის სიგრძე-სიგანით ფიგურირებს. ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის შესწავლა დღეს მეტად აქტუალურია, ილიასეულ სიბრძნეს ცხოვრებაში გამოყენება უნდა!

---

1 ი. ჭავჭავაძე, ტ. V, თბილისი, გამ-ბა „საქართველო“, 1987, გვ. 399.

ამრიგად, შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ბრძენთა აფორიზმები ინტელექტუალური კაპიტალია და შეიძლება მათი მიკუთვნება „ხელშეუხებ აქტივებისათვის“, თაყვანისცემა ინტერპრეტაციით.

ცხოვრება ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ წარსულის ღირებულება მომავლის ღალატია. ამიტომ ჩვენ რომ ძლიერნი ვიყოთ, საჭიროა არ გავეწყვიტოთ ეს ერთიანობა, ვიხსენებდეთ და ვიყენებდეთ წინაპართა ბრძნულ დარიგებებს პირადსა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მარადჟამს უნდა გვახსოვდეს დიდი ივანე ჯავახიშვილის გამონათქვამი: „რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის“[1].

დღეს, ისე როგორც არასდროს, ჩვენს ერს სჭირდება ისეთი წინამძღოლი, რომელიც ეროვნულ წარსულს არ მოკვეწყვეტავს და თვითმყოფადობას შეგვინარჩუნებს. ყველანაირი რეზერვები უნდა ავამოქმედოთ საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისათვის. ვინმეს არ უნდა შევყურებდეთ სელებში და მოწყალებას სხვებისაგან არ უნდა ველოდოთ, ჩვენი საქმე ჩვენ უნდა ვაკეთოთ. გენიალურად წერდა ვაჟა-ფშაველა:

„სელებს ნუ იკრებთ გულზედა,
საქმეს ნუ აგდებთ ღმერთზედა,
თვით უპატრონეთ თაეის თავს,
ნუ იმედოვნებთ სხვებზედა“.

რა სამწუხაროა, რომ XXI საუკუნის მიჯნაზე საქართველოს მთავრობას ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის პროგრამის შესამუშავებლად პოლონელი მეცნიერი ჩამოყავს (!).

არა! საქართველოს პრობლემების შემუშავებაში კი არ ჭირდება დახმარება, არამედ „ფინანსების“ მართვაში. უნდა დაწესდეს უმკაცრესი კონტროლი საბიუჯეტო თუ კრედიტით აღებული თანხების მიზნობრიობა სარჯვაზე და მიღებულ შედეგებზე. ამის მოგვარება სხვა ქვეყნების დაუხმარებლად ნამდვილად შეიძლება.

---

1 იე. ჯ.ავჯახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, თბილისი, 1904 წ., გვ. 11.

თავი V.

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის ორგანიზაცია და ინფორმაციის წყაროები

§ 1. ანალიზის ჩატარების ორგანიზაციის ძირითადი მიზანი და ეტაპები

სიტყვა „ორგანიზაცია“ ნიშნავს სისტემაში მოყვანას, მოწესრიგებას, მოწყობას. სისტემაში მოყვანა კი გულისხმობს გარკვეულ წესრიგს, რაც დაფუძნებულია რისამე ნაწილების გეგმაზომიერ განლაგებასა და კანონზომიერ ურთიერთკავშირზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის ორგანიზაცია გულისხმობს საკვლევი ობიექტის ანალიზური პროცედურების ჩატარებას სისტემური მიდგომისა და კანონზომიერი ურთიერთკავშირის პრინციპის დაცვით. ანალიზის ჩატარების ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ისე დაიგეგმოს და ჩატარდეს ანალიზური პროცედურები, რომ მათმა განხორციელებამ მოგვცეს რეალური პასუხები ოპტიმალური ვარიანტით.

როგორც ანალიზის სახეების განხილვისას აღვნიშნეთ, ანალიზის მრავალი სახე არსებობს სხვადასხვა სპეციფიკური ნიშნით განსხვავებული. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი სახის ანალიზური კვლევა შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

1. საანალიზო ობიექტის და მიზნის გაცნობა;
2. ინფორმაციის მიღება;
3. ანალიზის ჩატარების გეგმის შედგენა;
4. ანალიზური ინფორმაციის არსებითობის შემოწმება და სამუშაო ცხრილების შედგენა;
5. ინფორმაციის ანალიზური დამუშავება;
6. ანალიზური შედეგების გაფორმება და ანგარიშის შედგენა.

აღინიშნა, რომ ანალიზური მუშაობის ორგანიზაცია დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რაც არსებით გავლენას ახდენს ანალიზის ჩატარების გეგმის სტრუქტურაზე. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ ფაქტორს მიეკუთვნება ანალიზის ჩამტარებელი სუბიექტების ვინაობა, ვინ ატარებს ანალიზს და რა არის მათი ძიზანი. ბუნებრივია, მათ გეგმებშიც ის საკითხები წამოიწევა წინა პლანზე, მაგრამ კვლევის სისტემა არ უნდა დაირღვეს. ანალიზის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს: ანალიზის ობიექტის კონკრეტულ განსაზღვრას; სამუშაოს შესრულების ვადების მიხედვით: წყაროების და-

სახელების; საწარმოს მუშაობის ცალკეულ მაჩვენებელთა შორის არსებულ კავშირთა გახსნასა და გაზომვას.

საერთოდ, ანალიზის გეგმაში წინა პლანზეა წამოწეული ის საკითხები, რომლებითაც ანალიზის ჩამტარებელი ორგანიზაცია ყველაზე მეტადაა დაინტერესებული. მაგალითად, როდესაც ანალიზური მუშაობის გეგმას ადგენს საგადასახადო ორგანო, აქ უფრო მეტად ყურადღებაა გამახვილებული მოგების გეგმის შესრულების ანალიზზე; საკრედიტო ორგანოები ფინანსური მდგომარეობით არიან დაინტერესებულნი; სამრეწველო საწარმოს ანალიზის ლაბორატორიის მიერ საანალიზო გეგმა განსხვავებულია ზემოთ დასახელებულისაგან იმით, რომ კომპლექსურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ეყრდნობა სამრეწველო საწარმოს ობიექტურ მოთხოვნას, გამოელინდეს სამეურნეო საქმიანობის ყველა რგოლში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები.

ანალიზური მუშაობის ორგანიზაციამ უნდა მიაღწიოს საწარმოში ანალიზის ჩატარების თანმიმდევრობის დაცვას. აქ იგულისხმება იმ შედეგების ურთიერთდაკავშირება, რაც მიიღება წლის, კვარტლის, თვისა და დროის უფრო მოკლე მონაკვეთებში მიღებული ინფორმაციის ანალიზით. გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ანალიზის საბოლოო შედეგები მაშინ უფრო კონკრეტული და ცხოვრებისეული იქნება, როდესაც იგი დამყარდება გამჭოლ დაკვირვებაზე, რომელშიც მონაწილეობს საწარმოს ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური სამსახურის წარმომადგენელი.

ანალიზური მუშაობის ორგანიზაციულ საკითხთა შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის წყაროების შერჩევასა და დამუშავებას.

§ 2. ეკონომიკური ანალიზის ინფორმაციის ბაზა

ეკონომიკურ ინფორმაციაში იგულისხმება ის დოკუმენტური და სიტყვიერი შეტყობინება, რომელიც ახასიათებს საკელეო ობიექტის სამეურნეო საქმიანობის თუნდაც მთლად უმნიშვნელო მომენტსაც კი და ხელს უწყობს ანალიზის მიზნის მიღწევას.

ინფორმაცია (informacio) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შეტყობინებას. შეტყობინება და სიგნალი ინფორმაციის თეორიის მნიშვნელოვან ცნებებს წარმოადგენს. ინფორმაციას ახასიათებს გარკვეული მატერიალური თავისებურებანი, რომელთა გამომჟღავნება სწორედ სიგნალებისა და შეტყობინების საშუალებით ხდება.

სიგნალი ინფორმაციის გამოსახულებისა და გადაცემის ფორმაა ასოე-

ბის, ციფრების, ბგერების, იმპულსის და სხვა საშუალებებით. სიგნალის საშუალებით მიიღება შეტყობინება.

ინფორმაციის გარეშე მართვა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ინფორმაციას განიხილავენ როგორც მართვის ძირითად ობიექტს.

მართვის ფუნქციების მიხედვით ასხვავებენ ტექნოლოგიურ, ტექნიკურ და ეკონომიკურ ინფორმაციებს.

ტექნოლოგიური ინფორმაცია უშუალოდ ასახავს წარმოების პროცესის ტექნოლოგიურ მხარეს.

ტექნიკური ინფორმაცია ასახავს წარმოებაში გამოყენებულ ტექნიკურ საშუალებათა მახასიათებლებს.

ეკონომიკური ინფორმაცია ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს, რადგან იგი ასახავს წარმოების მთელ პროცესს, მის მდგომარეობას. ეკონომიკური ინფორმაცია შეიცავს ამ პროცესების რაოდენობრივ და ხარისხობრივ დახასიათებას.

მართვის პროცესში დანიშნულების მიხედვით ინფორმაცია იყოფა სამაუწყებლო და სამმართველო ინფორმაციებად, მართვის ობიექტისადმი დამოკიდებულების მიხედვით შინაგან და გარეგან, წარმოშობის სტადიების მიხედვით – საბაზო, ოპერატიულ და საშედეგო ინფორმაციებად.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი, სრული და თავისდროული. ჩამოთვლილი პირობები წარმოადგენს ძირითადი მაჩვენებლების ჯამს, რომლის მიხედვითაც ფასდება ინფორმაციის როლი ეკონომიკური ანალიზისა და მართვის პროცესში.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წინა პლანზეა წამოწეული ინფორმაციის კოდირება. კოდის ქვეშ იგულისხმება წესთა სისტემა, რომელიც თითოეულ შეტყობინებას ანიჭებს სხვადასხვა სიგნალების ჯარკეულ კომბინაციას. ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კოდირებისათვის გამოიყენება ციფრობრივი, ანბანურ-ციფრობრივი და ანბანური კოდები.

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზისათვის მრავალი სახის ინფორმაციის გამოყენება შეიძლება. წარმოების მართვაში მათზე დაკისრებული ფუნქციების საანალიზო ინფორმაცია პირობით იყოფა შემდეგ ჯგუფებად: 1. ნორმატიული ინფორმაცია, 2. გეგმური ინფორმაცია, 3. საანგარიშგებო ინფორმაცია, 4. არასაანგარიშგებო ინფორმაცია და სხვა.

ნორმატიული ინფორმაციის ქვეშ იგულისხმება საწარმოსათვის საჭირო ნორმები და ნორმატივები. „ნორმა“ არის ერთეული პროდუქციაზე ან ოპერაციაზე მეცნიერულად დასაბუთებული დანახარჯების (მატერიალური, შრომითი, ფინანსური) ოპტიმალური სიდიდე, „ნორმატივი“ კი გაგე-

ბული უნდა იქნეს, როგორც საწარმოთა რეს ურსების გამოყენების გაჩხრო-გადებული სიდიდე ამ რეს ურსების სარჯვის შესახებ. ნორმების და ნორ-მატივების შემუშავება საწარმოთა ფუნქციებში შედის და ბიზნეს-გეგმის შელგენის საფუძველს წარმოადგენს.

გეგმური ინფორმაციის ქვეშ იგულისხმება საწარმოს ბიზნეს-გეგმაში ასა-ხული ინფორმაცია. საწარმოები უნდა ამ შემავებდნენ საწარმოო-საფინანსორ გეგმებსაც, შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა გეგმური ინფორმაციაც.

ბიზნეს-გეგმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო სტრუქ-ტურების მიერ საზოგადოდ მიღებული და აპრობირებული დოკუმენტია წარმოების ძირითადი მიზნებისა და მათი მიღწევის გზების შესახებ. გეგ-მა, როგორც წესი, რამდენიმე წლისათვის (ჩვეულებრივ, 3-5 წელი) დგე-ბა და ინვესტორებსა და მეწარმეებს შორის ურთიერთგაგების საფუძვე-ლია. ბიზნეს-გეგმაში შედის შემდეგი განაყოფები: რეზიუმე (წარმოების საერთაშორისო მიზნები); საქონელი – მომსახურება – (იმ პროდუქციის აღ-წერა, რომლის წარმოებასაა დაგეგმილი); გასაღების ბაზარი (მისი მი-ზანია განსაზღვროს და დაასაბუთოს ბაზრის ის ნაწილი, სადაც საერთაშო-დოა საქონლის გასაღება); კონკურენცია (გეგმის ამ განყოფილებაში აუ-ცილებელია განისაზღვროს და დახასიათდეს ანალოგიური პროდუქციის მწარმოებელი კონკურენტები, განისაზღვროს ფასების პოლიტიკა და დო-ნე); მარკეტინგის სტრატეგია (აქ მოცემულია საქონლის გაერცელების სქე-მა, ფასწარმოქმნა, რეკლამა, გაყიდვის სტიმულირების მეთოდები და სხვა); წარმოების გეგმა (ამ ნაწილის ამოცანაა დაამტკიცოს, რომ ფირ-მას შეუძლია დასახელებული პროდუქციის წარმოება სარისხისა და რიგ-მის დაცვით); ორგანიზაციული გეგმა (აქ ჩაირთვება ფირმაში შრომაობის მართვის ორგანიზაციის სისტემა); იურიდიული გეგმა (აქ განისაზღვრება ფირმის ორგანიზაციის ფორმა საკუთრების თვალსაზრისით); ფინანსური გეგმა (ფინანსური გეგმა განაზოგადებს გეგმის წინა განაყოფების შესა-ხებ მიღებული გადაწყვეტილებების შესაძლო შედეგებს. ის მოიცავს რე-ალიზაციის მოცულობის პროგნოზს, ფულადი სარჯის და შემოსავლების ბალანსს, შემოსავლებისა და დანახარჯების ცხრილს და სხვა); დაფინან-სების სტრატეგია (გეგმის ეს განაყოფი განსაზღვრავს სახსრების მიღე-ბის წყაროებს და მათ სიდიდეს, ასაბუთებს სახსრების სრული დაბრუნე-ბის და ინვესტორების მიერ მათზე შემოსავლის მიღების მოსალოდნელ დროს ან გამოსყიდვის ვადას).

ამრიგად, როგორც ბიზნეს-გეგმის შინაარსის ზოგადი სტრუქტურიდან ჩანს, ის ეხება ფირმის ეკონომიკური საქმიანობის ყველა მხარეს და ანა-ლიზისათვის პირველხარისხოვან ინფორმაციას იძლევა გეგმურ ჭრილში.

ბიზნეს-გეგმის საფუძველზე ფორმაში დგება გეგმური (საორიენტიროზო) სამეურნეო გრაფიკები–ცხრილები.

საანრიცხვო ინფორმაციის მიეკუთვნება ოპერატიული, ბუღალტრული და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემები.

ოპერატიული აღრიცხვა, როგორც ცნობილია, წარმოადგენს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის პროცესების მიმდინარეობაზე უწყვეტი დაკვირვებისა და ასახვის ხერხს. მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მომხდარი ფაქტები, მოვლენები ანოპერაციები ოპერატიულად ფორმდება დოკუმენტით და ოპერატიულადვე სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით გადაეცემა სამართავ ცენტრს.

ოპერატიული აღრიცხვის ინფორმაციაა მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე გამოუცხადებლობის ტაბელები, მუშათა გამომუშაობების დოკუმენტები და სხვა. ოპერატიული აღრიცხვის საფუძველზე დგება ოპერატიული ანგარიშგება, რაც ოპერატიული ანალიზის საინფორმაციო მასალაა, ხოლო ასეთი სახის ანალიზი მართვის მძლავრი ბერკეტია.

ბუღალტრული აღრიცხვა, როგორც წარმოების სამეურნეო პროცესების კომპლექსური და სისტემური აღრიცხვის სისტემა, მოიცავს იმ აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც საკვლევი ობიექტის სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური ანალიზის ჩატარების სამუალებას იძლევა. განსხვავებით ოპერატიული აღრიცხვისაგან, იგი სამეურნეო ოპერაციებს ასახავს როგორც ნაგურალურ საზომ ერთეულებში, ისე ფულადი შეფასებით; ყველა ოპერაცია დოკუმენტით ფორმდება, ახასიათებს უწყვეტობა და მთლიანობა.

ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე დგება ბუღალტრული ანგარიშგება, რომელიც ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მეწარმეები საბუღალტრო ანგარიშგებას აძგენენ შემდეგი სახით:

1. საწარმოს ბალანსი – ფორმა № 1;
2. ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ – ფორმა № 2.
3. ანგარიშგება სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ მიზნად ისახავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას, რომელიც ეხება ფინანსური აღრიცხვის სფეროს, უნდა ამოქმედდეს: ა) სააქციო საზოგადოებების მიმართ 2000 წლის 1 იანვრიდან; ბ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების, კომანდიტური საზოგადოებების, სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოებებისა და კოოპერატივების მიმართ 2001 წლის 1 იანვრიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მისედვით საწარმოებს ევალებათ მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების შედგენა (წლიური) შემდეგი მოცულობით:

1. საწარმოს ბალანსი ფორმა № 1;

2. ანგარიშგება „მოგება-ზარალის“ შესახებ ფორმა № 2;

3. ანგარიშგება ფულადი საშუალებების მოძრაობაზე. ახსნა-განმარტებითი ბარათი.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე ძირითადად ტარდება ანალიზი ინფორმაციის გარე მომხმარებლებისათვის (ინვესტორები, კრედიტორები, აქციონერები...). რაც შეეხება მმართველობით ინფორმაციის შესახებ ანგარიშგებას, ეს სფერო დღემდის მიტოვებულია, რაც ყოველად გაუმართლებელია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემუშავდეს მმართველობითი აღრიცხვის ეროვნული სტანდარტები და შესაბამისად შეიქმნას მმართველობითი ანგარიშგების ისეთი ფორმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური ანალიზის ჩატარებისა. ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია სამამულო პრაქტიკაში უკვე აპრობირებული ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების ბაზაზე, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, ახალი, ყოელისმომცველი მმართველობითი ინფორმაციის ამსახველი ეროვნული სტანდარტების შემუშავება.

სტატისტიკური აღრიცხვა და ანგარიშგება. სტატისტიკური ანგარიშგების მაჩვენებლები და ფორმები მტკიცდება საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ბრძანებით.

სტატისტიკური აღრიცხვა ასახავს მასობრივად ერთგვაროვანი საზოგადოებრივი მოვლენების რაოდენობრივ მხარეს, მათ თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში. სტატისტიკური აღრიცხვის საშუალებით მიიღება ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: წარმოების მოცულობა, მუშაკთა რიცხოვნობა, ხელფასის ფონდი, სამუშაო დროის გამოყენება, ძირითადი ფონდების ღირებულება და გამოყენება და სხვა.

სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებიდან აღსანიშნავია:

ფ №პ-1, პროდუქციის გამოშვების შესახებ (ყოველთვიური);

ფ № 2-მ, წარმოების სფერო – შრომის წლიური ანგარიშგება;

ფ № 1-სფ –ანგარიშგება საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაზე;

ფ № 11 (წლიური) ანგარიშგება ძირითადი საშუალებების შესახებ;

ფ № 1 – ინვესტი – ანგარიშგება მნიშვნელოვანი ინვესტიციების შესახებ (კვარტალური) (100 ათას ლარზე მეტი).

არასაალრიცხვო ინფორმაციას მიეკუთვნება: საწარმოს საქმიანობის შემოწმების მასალები; აუდიტის მასალები; საგადასახადო სამსახურის შემოწმების მასალები; ლაბორატორიული შემოწმების მასალები; საწარმოო თათბირებისა და დამფუძნებელთა კრების მასალები; პრესის მასალები; საწარმოში შემოსული რეკლამაციები და სხვა.

გარდა ამისა, ანალიზისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება დაკვირვების შედეგად მიღებულ (მოპოვებულ) ინფორმაციას ქრონომეტრაჟის, ფოტოგრაფირების ან ფარული კამერის გამოყენებით. ასეთი მეთოდით ანალიტიკოსები აღგენენ ნორმებისა და ნორმატივების ხარისხს, რაც ფარული რეზერვების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

§ 3. საანალიზო ინფორმაციის შემოწმების ხერხები

ანალიზური მუშაობის ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საანალიზო ინფორმაციის ხარისხიანობის დადგენა. ჭეშმარიტებაა ის აზრი, რომ უხარისხო ინფორმაციიდან უხარისხო დასკვნები გაკეთდება. იმისათვის, რომ ანალიზური პროცედურების შედეგები იყოს ზუსტი და შრომამ ფუჭად არ ჩაიაროს, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ანალიზის დაწყებამდე ინფორმაციის ყოველმხრივი შემოწმება მათი ხარისხის დადგენის მიზნით. სრულიად ლოგიკურია, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საალრიცხვო ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლების საკითხებს, კერძოდ, სიცხადეს, მართებულობას, უტყუარობას და შესადარისობას.

სიცხადე საალრიცხვო და საანალიზო ინფორმაციის ძირითადი თვისებაა, რადგან იგი ინფორმაციის მომხმარებელს რეალური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას აძლევს.

ინფორმაცია მართებულად ითვლება, თუ მას შეუძლია გაველენა იქონიოს ღირებულებით შეფასებებზე, სადღეისო და სამომავლო გადაწყვეტილების მიღებაზე.

ინფორმაცია უტყუარად ითვლება, თუ იგი შეცდომებსა და ისეთ მიკერძოებულ შეფასებებს არ შეიცავს, რომლებმაც შეიძლება გაველენა მოახდინონ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

შესადარისობა ინფორმაციის ის მახასიათებელია, რომელიც საშუალე-

ბას გააძლიეს ჩავატაროთ ანალიზური პროცედურები მაჩვენებლის დინამიკისა და ცვალებადობის დასადგენად.

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ საანალიზო ინფორმაციის უტყუარობასა და სარისკში, საჭირო ხდება მათი შემოწმება სხვადასხვანაირი ხერხებით. კერძოდ, თეორიასა და პრაქტიკაში ინფორმაციის რეალურობის შემოწმების შემდეგ ხერხებს იყენებენ: ფორმალურს, აბრობრივს, არითმეტიკულს, ურთიერთშემსვედრს, საბალანსო კავშირებს, კამერალურს, ლაბორატორიულს და სხვა.

ინფორმაციის ფორმალური შემოწმების დროს უნდა გაირკვეს, რამდენად ხარისხიანადაა გაცემული დოკუმენტების რეკვიზიტებზე პასუხი.

აბრობრივი შემოწმების მიზანია დოკუმენტებში აბრობრივ წინააღმდეგობათა გამოვლენა (ლოგიკური წინააღმდეგობანი).

ინფორმაციის არითმეტიკული შემოწმება უფრო მასშტაბურია. მისი მიზანია ინფორმაციაში არითმეტიკულ მოქმედებათა შედეგად მიღებული მაჩვენებლების გადამოწმება (შეკრების, გამოკლების, ნამრავლის, გაყოფის, %-ის). უნდა გვახსოვდეს, რომ „ციფრი" „ასო" არ არის. სიტყვათაში რომ რომელიმე ასო შეცდომით დაიწეროს ან გამორჩეს, აბრით მას უმალვე ამოიცნობენ; შეცდომით დაწერილ ან გამოტოვებულ ციფრს კი ასე ადვილად ვერც აღმოაჩენთ და ვერც ამოიცნობენ. გამოანგარიშების სისწორის შემოწმების ორი გზა არსებობს: 1. მთლიანი შემოწმება და 2. ნაწილობრივი შემოწმება.

როცა საქმე ეხება აშკარად საეჭვო ინფორმაციას, აუცილებელია ყველა არითმეტიკულ მოქმედებათა მთლიანი გადამოწმება. ხშირია შემთხვევები ათწილადების გამრავლების პროცესში მძიმის არასწორად დასმის და ა. შ. შემოწმება ძირითადად შესრულებული მოქმედების განმეორებით სრულდება, თუმცა არსებობს სხვა გზაც, მაგალითად: ა) შეკრების შესამოწმებლად მესაკრებ რიცხვებს საწინააღმდეგო მიმართულებით ვკრებთ; ბ) გამოკლების შესამოწმებლად ნამთს მაკლებს ვუმატებთ, რომ საკლები მივიღოთ; გ) გამრავლების შესამოწმებლად გამრავლებას მამრავლთა ადგილის შეცვლით ვიმეორებთ; დ) გაყოფის შესამოწმებლად განაყოფს გამყოფზე ვამრავლებთ...

ინფორმაციის ურთიერთშემსვედრი შემოწმებით ვაღგენთ ისეთი მაჩვენებლების უტყუარობას, რომელიც ორ რგოლს შორის რაღაც საერთო ურთიერთობას ასახავს, მაგ., დებიტორული ან კრედიტორული დავალიანება, სხვადასხვა ცალებულებანი. ამისათვის საჭიროა ასეთი „დამაკავშირებელი" ციფრები ორივე მხარეზე გადავამოწმოთ და მოვახდინოთ მათი შედარება. „შედარების აქტები"-ს გადამოწმებაც უნდა მოხდეს.

ინფორმაციის შემოწმებას აწარმოებენ საბალანსო კაპიტალის გზითაც. ეადგენთ იმ მაჩვენებელთა ბალანსებს, რომელთა გაერთიანება კანონის მიხედვით აუცილებელია.

ამ ხერხის პრინციპი ის არის, რომ საანალიზო ინფორმაციის საფუძველზე ეადგენთ ბალანსს, რომლის საშუალებით ვამოწმებთ ინფორმაციის სისწორეს. პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება „საინვესტიციო პროდუქციის ბალანსი". მისი შედგენისათვის საჭირო ინფორმაციით სქემის შეკვეთისას თუ ბალანსი მიიღეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ საანალიზო ინფორმაცია უტყუარადაა ასახული ანგარიშგების ფორმებში და პირიქით, თუ მონაცემები არ დაბალანსდა, საჭიროა მათი საფუძვლიანი გადამოწმება შეცდომების გამოსაკვლევად.

კამერალური შემოწმება ჩვენს სამამულო პრაქტიკაში და თეორიაში დამკვიდრებული „საანგარიშო შემოწმების" ალტერნატიული ხერხია. მისი მიზანია ყველა საანალიზო მაჩვენებლის რეალურობის დადგენა გამჭოლი ვარიანტით, როგორც შემკვიდრეობითობის, ისე სინთეზირების თვალსაზრისით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი საკითხების გამორკვევას, როგორცაა წარმოების დანახარჯების რეალურად განსაზღვრა და გამოქვითვა საერთო შემოსავლებიდან მოგების სწორად განსაზღვრის მიზნით.

მზა პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლის სიდიდის სისწორის შემოწმებისას უნდა გაირკვეს, ადგილი ხომ არა აქვს დაუმთავრებელი ან უსარისხო პროდუქციის მიკუთვნებას მზა პროდუქციის მოცულობაჩე. ამასთან უნდა გაირკვეს, საანგარიშო პერიოდში ხომ არ არის ჩამოწერილი მასალები და დეტალები, ან ხომ არ არის დარიცხული ხელფასი იმ საწარმოს დამატებით დამუშავების ოპერაციებზე, რომელიც გასული თვის ანგარიშგებაში აისახა როგორც მზა პროდუქცია.

უნდა დადგინდეს, რამდენად სწორადაა გაანგარიშებული რეალიზაციის მოცულობა, დაცულია თუ არა აუცილებელი პირობები „რეალიზაციის" ანგარიშზე ბრუნვების ასახვისათვის და მისი რეალიზებული პროდუქციის მოცულობის გეგმის შესრულებაში ჩასარიცხავად.

უნდა გაირკვეს იმ საქონლის ღირებულებაც, რომელიც ინახება მყიდველებთან დიდი ხნის განმავლობაში, საპასუხისმგებლო შენახვაზე, აქცეპტზე უარის თქმის გამო და სხვა.

ფინანსური შედეგების შემოწმება. მოგება და ზარალის მაჩვენებლები ანალიზურად ნაჩვენებია წლიური ანგარიშგების № 2 ფორმაში. ბალანსში მოგებისა და ზარალის ასახვის სისწორის საანგარიშო შემოწმების

დროს საჭიროა შემოწმდეს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების სისწორე, ცალკეულ ნაკეთობათა კალკულაციების მიხედვით. აგრეთვე დანახარჯების განაწილების სისწორე რეალიზებული პროდუქციისა და ბალანსის „იზა პროდუქციისა“ და „გაუზავნილი პროდუქციის“ მუხლებზე დარჩენილ ნაშთებს შორის. შემოწმებას ექვემდებარება „რეალიზაციის გარეშე მოგებისა და ზარალის“ მაჩვენებლებიც. უნდა გაირკვეს სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის გაანგარიშების სისწორე, ძირითად საშუალებათა ლიკვიდაციიდან მიღებული მოგების ან ზარალის სისწორე, ტარის ოპერაციებიდან მილებული ფინანსური შედეგების სისწორე და სხვა.

ანგარიშგების და ბალანსის საანგარიშო შემოწმების შედეგები გაფორმებულ უნდა იქნეს საჭირო რეაგირებისათვის. თუ აღმოჩენილი იქნება შეცდომები, დროულად უნდა იქნეს მილებული ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად, რის შემდეგ საანალიზო ინფორმაცია ითვლება რეალურად.

ლაბორატორიული შემოწმება საჭირო ხდება ყალბი ხელმოწერების, ბეჭდის, ამოფხეკის და სხვა შემთხვევებში.

§ 4. ეკონომიკური ანალიზის შედეგების გაფორმება და რეალიზაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანალიზის ბოლო ეტაპია ანალიზური მუშაობის შედეგების გაფორმება, განზოგადება და რეალიზაცია. ანალიზის შედეგების გაფორმებისათვის გამოიყენება ისეთი ტექნიკური საშუალებანი, როგორიცაა ანალიზური ცხრილები, გრაფიკები და დიაგრამები.

ეკონომიკური ინფორმაციის პირველადი დამუშავების შემდეგ მაჩვენებლები განსაზღვრული ფორმით აისახება ანალიზურ ცხრილებში, რომელთა შესწავლის შედეგად უნდა იქნეს შემუშავებული დასკვნები და წინადადებანი. ანალიზური ცხრილი სისტემურად გადმოცემული ციფრობრივი მასალაა, რომელიც ახასიათებს შესასწავლ მოვლენებსა და პროცესებს.

ცხრილი ისეთნაირად უნდა იქნეს შედგენილი, რომ მომსმარებელს გაუადვილოს მუშაობა, ამასთანავე იყოს მარტივი და გასაგები.

ანალიზური ცხრილის შემადგენელი ნაწილებია: ქვემდებარე და შემასმენელი, სვეტები და სტრიქონები.

აგებულების სირთულის მიხედვით ანალიზური ცხრილები შეიძლება იყოს მარტივი და რთული.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ცხრილები საანალიზო მონაცემთა გამოსახვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა, მაგრამ ცხრილების მონაცემთა გამოსახვა შეგვიძლია დიაგრამებისა და გრაფიკების საშუალებითაც.

ეკონომიკურ მეცნიერებაში გრაფიკებს ეწოდებენ გამოსახულებას წერტილების, ხაზების და ფიგურების დახმარებით, რომელთაც მიცემული აქვთ პირობითი მნიშვნელობა; გრაფიკები კი, რომლებიც გამოხატავენ რაოდენობრივი ურთიერთობის ფარდობას, იწოდებიან დიაგრამებად. მათი საშუალებით გამოისახება როგორც ანალიზის შედეგები, ასევე ხორციელდება კონტროლი მიმდინარე გეგმების შესრულებაზე, სასაქონლო პროდუქციის ყოველდღიურ გამოშვებაზე, მის გადაგზავნის მსვლელობაზე და სხვა.

ცხრილები ციფრობრივ მონაცემთა გარკვეული თანმიმდევრული დალაგებით მიიღება. მისი მინაარსის გაგებისათვის, საერთო დასკვნებისათვის საჭიროა ყოველი ცალკეული მონაცემის შეცნობა-ანალიზი.

ამ მონაცემთა გრაფიკული და დიაგრამული გამოსახვა კი გაცილებით აადვილებს ჩვენთვის საინტერესო მოვლენის შესწავლას, ვინაიდან ინდივიდუალურ თვისებათა განყენების პირობებში ადამიანის მეხსიერებაში ხანგრძლივად რჩება შესასწავლი საგნის განვითარების შინაგანი კანონზომიერებანი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამა თუ იმ სახის დიაგრამის აგება ყოველთვის დაკავშირებულია შესასწავლი საგნის თვისებრივ ანალიზთან, რაც ყოველი დიაგრამული გამოსახულების აგების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ცხრილის ნაკლი ის არის, რომ მასში ადამიანის ყურადღებას კონკრეტული მაჩვენებლები იზიდავს, რაც თითქმის მალავს ზოგადს; დიაგრამული გამოსახულების მაგალითად კი პირიქით, პირველ რიგში, ზოგადის გამოვლენის უზრუნველყოფის პირობებში უგულებელყოფილია ცალკეული, ამიტომ უმჯობესია ცხრილები და გრაფიკული გამოსახულების მეთოდი გამოყენებულ იქნეს ერთდროულად, კომბინირებულად.

გრაფიკული გამოსახულების მეთოდის გამოყენება მეცნიერულ კვლევაში დიდ როლს ასრულებს. საერთოდ, ეკონომიკური მუშაობის პრაქტიკაში მრავალი გრაფიკული გამოსახულების სახეს გამოიყენებენ, მათ შორის მთავარია სვეტოვანი, დიაგრამა, სექტორული დიაგრამა, ხაზოვანი დიაგრამა, გეგმის შესრულების დიაგრამა და სხვა.

სვეტოვანი დიაგრამის მეშვეობით შესაძლებელია გამოსახულ იქნეს როგორც მოცემული მოვლენის მოცულობის ცვალებადობა დროში, ისე რამდენიმე სიდიდის თანაფარდობა ერთდროულად. სექტორულ დიაგრამას ვაგებთ იმ შემთხვევაში, როდესაც გვეიხდება შესასწავლი საგნის

სტრუქტურის გრაფიკული გამოსახვა. იმისათვის, რომ შევძლოთ მონაცემების საფუძველზე სექტორული დიაგრამის აგება, საჭიროა ხელთ გექონდეს ფარგალი და ტრანსპორტირი. ფარგლის საშუალებით ვხაზავთ წრეხაზს, ტრანსპორტირის საშუალებით კი მოვნახავთ სათანადო სექტორებს, საგნის დამახასიათებელ აბსოლუტურ სიდიდეებს კი გამოვსახავთ გრადუსებში.

ანალიზური კელევის შედეგების განზოგადება წარმოებს ანალიზური ტექსტის სახით, რომელიც ანალიზის ჩატარების გეგმის მისაღებით უნდა იქნეს შედგენილი. ტექსტს დართული უნდა ჰქონდეს ანალიზური ცხრილები და გაანგარიშებები დასკვნებისა და წინადადებებისათვის. ტექსტი უნდა მთავრდებოდეს მოკლე კონკრეტული წინადადებებით და დასკვნებით, რომელთა პრაქტიკაში დანერგვა შესაძლებელი და ეფექტის მომცემი იქნება.

ანალიზის შედეგების რეალიზაცია ანალიზური მუშაობის დასკვნითი ეტაპია და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თავისთავად ცხადია, რომ რაც გინდა მაღალ დონეზე ჩატარდეს ეკონომიკური გამოკელევა, რაც გინდა საყურადღებო ღონისძიებები იქნეს დამუშავებული, თუ შედეგები პრაქტიკაში არ დაინერგება, არ მოხდება მათი რეალიზაცია, უნაყოფოდ გაწეული შრომა იქნება, ხოლო ანალიზის ჩატარებაზე გაწეული ხარჯები კი საწარმოს ზარალი, რასაც წინდახედული მენეჯერი არ დაუშვებს.

ანალიზის შედეგების რეალიზაციაზე აწარმოებენ კონტროლს, ანგარიშობენ ეკონომიკურ ეფექტს.

ნაწილი II მმართველობითი ინფორმაციის ეკონომიკური ანალიზის საკითხები

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოშობის ისტორია საუკუნეებს ითვლის და მსოფლიოს ცივილიზაციის განვითარების პარალელურად სრულყოფას განიცდის, მისი უსაბღეროდ დიდი სახელმწიფოებრიეი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს შორის გაფართოებულმა ეკონომიკურმა ურთიერთობებმა, ანუ საერთაშორისო ბიზნესმა, გარდაუვალი გახადა ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციიდან ფინანსური ინფორმაციის ცალკე გამოყოფა და მათი წარმოების პრინციპების ჰარმონიზაცია. საფინანსო აღრიცხვის „კონცეპტუალური პრინციპების" დამუშავება „სტანდარტების საბჭოს" მიერ 1985 წელს დასრულდა. აქედან დაიწყო ბუღალტერული აღრიცხვის გაყოფა და ცალ-ცალკე ფუნქციონირება: ა) საფინანსო აღრიცხვამ და ბ) მმართველობითმა აღრიცხვამ. დღემდის, როგორც უკვე შრომის I ნაწილში აღვნიშნეთ, განსაზღვრულია მათი ფუნქციების მსგავსება და განსხვავება. ჩვენი ქვეყანაც, ნებსით თუ უნებლიეთ (ვფიქრობ ნაჩქარევად), ამ გზას დაადგა და 2000 წლის ივნისში მიღებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის მსოფლიო ფედერაციის წევრად. აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან სასწავლო პროგრამებიც უკვე ბასს-ის პრინციპზე დამუშავდა, საწარმოთა ეკონომიკური ანალიზიც შესაბამისად ორ ძირითად ნაწილად გაიყო: ა) მმართველობითი ინფორმაციის ანალიზი და ბ) ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ანალიზი.

შრომის წინამდებარე ნაწილში განხილულია მმართველობითი ინფორმაციის ეკონომიკური ანალიზის მეთოდიკის საკითხები. რამდენადაც დღემდე ჩვენს ქვეყანაში არ არის დამუშავებული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტები, რომლითაც ძირითადად მმართველობითი აღრიცხვა უნდა წარიმართოს, შევეცადეთ, საანალიზო ინფორმაციად გამოგვეყენებინა სამამულო პერიოდში მოქმედი ანგარიშგების ფორმები თავისებური ინტერპრეტაციით. ბევრი ახალი მასალა ჩვენს მიერაა დამუშავებული. მაგრამ როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის გატარება ასეთი ფორმით სასურველ შედეგებს ვერ მოიტანს.

საწარმოთა მართვის სისტემა მოითხოვს აღრიცხვის ეროვნული სტანდარტების საფუძველზე მმართველობითი ინფორმაციის მიღებისა და და-

მუშაობის პრინციპების ჩამოყალიბებას. ამასთან დაკავშირებით, პირველსარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების დანახარჯების დაგეგმვის, აღრიცხვისა და თვითღირებულების კალკულაციის ძირითადი პრინციპების შემუშავებას და მის საფუძველზე ანალოგიური, დარგობრივი ინსტრუქციების დამუშავებას, რადგან საბაზრო ეკონომიკის პირობებში იგი კომერციული ანგარიშიანობის განსორციელების მთავარი წინაპირობაა.

თავი VI.

პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებელთა ანალიზი

§ 1. პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებელთა სისტემა

მატერიალური დოვლათის წარმოება საზოგადოების ცხოვრების საფუძველია. ფირმა (საწარმო) ის ტექნიკურ-ეკონომიკური ერთეულია, სადაც მიმდინარეობს ისეთი სახის პროდუქციის წარმოება ან სამრეწველო ხასიათის მომსახურება, რომელზედაც არსებობს მოთხოვნა და რომლის რეალიზაციაც იძლევა მოგებას.

ეკონომიკური საქმიანობის თვალსაზრისით, საწარმოს პროდუქცია არის მისი წარმოებრივი საქმიანობის პირდაპირი სასარგებლო შედეგი. რადგან მატერიალური დოვლათის კვლავწარმოების პროცესი მუდმივია, სამრეწველო საწარმოს წარმოებრივი საქმიანობის შედეგი მზა ლითონის დონის შესაბამისად შეიძლება სამ ფორმაში იყოს: 1. მზა პროდუქცია; 2. ნახევარფაბრიკატი; 3. დაუსრულებელი წარმოება.

მზა პროდუქცია ისეთი ნაწარმია, რომელმაც მოცემულ საწარმოში განელო ყველა ტექნოლოგიური პროცესი, შემოწმებულია ტექნიკური კონტროლის მიერ, შედგენილია ბუღალტრული დოკუმენტი და ჩაბარებულია ბუღალტერიას.

ნახევარფაბრიკატი ისეთ ნაკეთობას წარმოადგენს, რომელმაც უნდა განიცადოს შემდგომი დამუშავება იქვე, სადაც იგი გამომუშავდა, რათა სრულყოფილი პროდუქტის სახე მიიღოს.

დაუსრულებელი წარმოება არის ისეთი ნაკეთობა, რომლის დამზადების პროცესი მოცემულ საწარმოში ჯერ არ დამთავრებულა.

ანალიზის პროცესში წარმოების მოცულობის მაჩვენებლების შესწავლის პროცესში უნდა გაირკვეს, რამდენად სწორადაა დოკუმენტებში ასახული ეს სიდიდეები, ადგილი სომ არა აქვს მათი ერთმანეთში არევას.

წარმოებული პროდუქციის მოცულობის ყველა მაჩვენებელი იყენებს და აღირიცხება ნატურალურ და ღირებულებით გამოსახულებაში. ნატურალურ მაჩვენებლებში პროდუქციის მოცულობის განსაზღვრა გულისხმობს მისი ფიზიკური ერთეულების (ცალი, მეტრი, კილოგრამი, ლიტრი, ტონა და სხვა) გამოყენებას. პრაქტიკაში იგი მხოლოდ ცალკეული სახის პროდუქციის მოცულობისა და დინამიკის გაზომვის ყველაზე მარტივი საშუალებაა. მისი გამოყენება შეუძლებელია სხვადასხვა ასორტიმენტის პროდუქციის წარმოების პირობებში, რამდენადაც მეთოდოლოგიურად დაუშვებელია სხვადასხვა ასორტიმენტის და თვისების მქონე პროდუქციის რაოდენობის მექანიკური შეკრება. ამ პრობლემის გადაჭრისათვის პრაქტიკაში იყენებენ პირობით ნატურალურ ერთეულებს, გადასაყვანი კოეფიციენტების საფუძველზე. სხვადასხვა სახის პროდუქტთა პირობითი ერთეულებში გადასაყვანად აუცილებელია მათ შორის საერთო ნიშნის დადგენა. მაგალითად, სხვადასხვა სიმძლავრის ტრაქტორების პირობით 15-ძალიანი ტრაქტორის ერთეულში გამოსახვა, სხვადასხვა მოცულობის კონსერვის ქილების პირობით 400 გრამიანი ქილების რაოდენობაში გადაყვანა, სხვადასხვა სახის სათბობის პირობით სათბობის ერთეულებში გადაყვანა და სხვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროდუქციის მოცულობის დაგეგმვისა და აღრიცხვისათვის ნატურალური და პირობით ნატურალური მაჩვენებლების გამოყენებას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, როდესაც საჭირო ხდება პროდუქციის მოცულობის განზოგადებულ მაჩვენებელთა დადგენა, ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებშიც კი ამ მაჩვენებლების გამოყენება შეუძლებელია. ე. ი. საჭირო ხდება ისეთი მაჩვენებლის გამოყენება, რომელიც კრებსითი მაჩვენებლის გამოთვლას უზრუნველყოფს. ასეთია **ღირებულებითი მაჩვენებელი – ფასი.**

ფასი საქონლის ღირებულების ფულადი გამოხატულებაა. არსებობს ფასების მრავალი სახეობა: საბითუმო ფასი, საცალო ფასი, საბაზისო ფასი, მონოპოლიური ფასი, საბაზრო ფასი, მცოცავი ფასი, სახელშეკრულებო ფასი და სხვა.

საბითუმო ფასი = ყველა წარმოებითი და მარკეტინგული ხარჯების ჯამს + მოსალოდნელი მოგება.

საცალო ფასი = საბითუმო ფასს + სავაჭრო დარიცხვა.

საბაზისო ფასი (ფასი მტკიცე) დგინდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში და არ შეიძლება შეიცვალოს.

მონოპოლიური ფასი მსოფლიო ბაზარზე საქონლის რეალიზაციის ინტერნაციონალური ღირებულების გამოხატულებაა.

საბაზრო ფასი დამოუკიდებლად დგინდება ბაზარზე. იგი შედგება ბაზარზე საქონლის შეძენის ფასისა და სავაჭრო დანამატისაგან, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ ზღვრულ დონეს.

მცოცავი ფასი დგინდება ხელშეკრულების საფუძველზე, ზოგიერთი პირობის გათვალისწინებით, მაგალითად, საბირჟო კოტირებები, ინფლაცია მოცემული თარიღისათვის.

სახელშეკრულებო ფასი განისაზღვრება საქონლის მწარმოებლისა და მომხმარებლის შორის დადებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ღირებულებითი მაჩვენებელთა სისტემა. დაგეგმვისა და აღრიცხვის პრაქტიკაში, იმასთან დაკავშირებით თუ რა კონკრეტული ამოცანის გადაჭრას ემსახურება პროდუქციის მოცულობის ესა თუ ის კატეგორია, გამოიყენება ფასეულობათა აღრიცხვის სხვადასხვა ღირებულებითი მაჩვენებლები. მათ შორის აღსანიშნავია: **საერთო პროდუქცია, სასაქონლო პროდუქცია, რეალიზებული პროდუქცია, წმინდა პროდუქცია.**

საერთო პროდუქცია სამრეწველო საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო შედეგს ახასიათებს. საერთო პროდუქციაში შეიტანება საწარმოს ყველა საამქროს მიერ საანგარიშგებო პერიოდში გამოშვებული მზა ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატების ღირებულება და დაკვეთით შესრულებული სამრეწველო ხასიათის სამუშაოების ღირებულება; დამსმარე საამქროების, შვილობილი საწარმოების პროდუქცია. აღსანიშნავია, რომ საერთო პროდუქციის გაანგარიშება, დარგების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება განსხვავებულად შესრულდეს (სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით).

სასაქონლო პროდუქცია არის საწარმოს მიერ საანგარიშგებო პერიოდში გამოშვებული პროდუქციის ის მასა, რომელიც განკუთვნილია გაცვლისათვის ყიდვა-გაყიდვის გზით.

საერთო პროდუქციისაგან განსხვავებით, სასაქონლო პროდუქცია არ მოიცავს: ა) შემკვეთი ორგანიზაციის ნედლეულისა და მასალების ღირებულებას; ბ) საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატებისა და დაუსრულებელი წარმოების ღირებულებას. სასაქონლო პროდუქცია შესაძლარ და

არაშესადარ პროდუქციად იყოფა. შესადარი ეწოდება იმ პროდუქციას, რომელიც წინა წლებშიც იწარმოებოდა, ხოლო არაშესადარია ის ახალი პროდუქცია, რომელიც ათვისებული იქნა საანგარიშგებო წელს.

საქონელი ბაზრის ძირითადი ატრიბუტია, რაც აძლიერებს მისადმი დიდ ყურადღებას დაგეგმვის, აღრიცხვის და ანალიზის თვალსაზრისით.

რეალიზებული პროდუქცია. პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის მომენტად ითვლება მაღი გასხვისების ფაქტი, დადასტურებული სათანადო ბუღალტრული დოკუმენტებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მისედვით, საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად გამოიყენება საკასო ან დარიცხვის მეთოდი. საკასო მეთოდის გამოყენების დროს რეალიზაციის მომენტად ითვლება ფულადი სახსრების მიღების მომენტი, ხოლო დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას სასაქონლო პროდუქციის გასხვისების მომენტი.

წმინდა პროდუქცია. წმინდა პროდუქცია არის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ახლად შექმნილი ღირებულება. წმინდა პროდუქციის ფიზიკური მოცულობის დასადგენად საჭიროა საერთო პროდუქციის ღირებულებას გამოვაკლოთ მისი წარმოების პროცესში მოხმარებული მაგერიალური დანახარჯები და სხვა ფულადი ხარჯები, რომლებიც თავისი ბუნებით მაგერიალურ დანახარჯებს მიეკუთვნება.

ღირებულებით მაჩვენებელთა სისტემა ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში არიან, რაც ანალიზის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს.

კომპლექსური ანალიზის ჩატარების ბლოკ-სქემის მიხედვით, პირველ რიგში, აუცილებელია ანალიტიკოსები კარგად გაერკვნენ საკვლევი ობიექტის დარგობრივ სპეციფიკურობაში და წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სქემაში, რადგანაც მიზნის მისაღწევად მას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

როგორც შრომის წინასიტყვაობაში აღვნიშნეთ, საანალიზო ობიექტებად შერჩეული გვაქვს ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი საწარმოები. მოკლედ გავეცნოთ მათ თავისებურებებს.

ჩაის მრეწველობას გააჩნია ბევრი სპეციფიკურობანი იმის გამო, რომ: 1) აქ ძირითადად მოიხმარება სოფლის მეურნეობის მალფუჭადი ნედლეული – ჩაის მცენარის ნაზი ღუყები; 2) წარმოება მკვეთრად სეზონურია, რამდენადაც ჩაის ფოთოლს კრეფენ აპრილის ბოლოდან ოქტომბრის შუა რიცხვამდე; 3) ჩაის ფოთლის ბიოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარე, სეზონის განმავლობაში ჩაის ფოთლის დამზა-

დება და ფაბრიკებში ჩაბარება არარიტმ·ულად წარმოებს; 4) პიკ·ურ დღეებში ჩაის ფაბრიკებში შესული ჩაის ფოთლის რაოდენობა ხშირად ფაბრიკის გამტარ·უნარიანობას აღემატება; 5) განსხვავებ·ულია თვეებისა და რაიონების მიხედვით დამზადებ·ული ჩაის ფოთლისაგან მიღებ·ული პროდუქციის გამოსავალიანობის კოეფიციენტები და ხარისხი; 6) შრომის თავისებ·ურად მძიმე პირობები, რასაც განაპირობებს ჩაის გადამუშავებისათვის საჭირო მაღალი ტემპერატ·ურა და ჩაფხ·ულის მცხუნვარე მზე; 7) დარგის სეზონ·ურობასთან დაკავშირებით მ·უშახელის მკვეთრი დენადობა და სხვა.

ჩაის ფოთლის პირველადი გადამ·უშავების ფაბრიკა თანამედროვე ტიპის მსხვილი საწარმოა, სადაც წარმოების ძირითადი ყველა პროცესი მექანიზებ·ულია. რადგან ჩაის ფოთოლი მალფ·უჭადია, ამიტომ მისი ხანგრძლივად შენახვა დაუშვებელია. ჩაის პლანტაციებში მოკრეფილი ნედლეული დაუყოვნებლივ მიდის ჩაის პირველადი გადამ·უშავების ფაბრიკებში ან დროებით (2-3 საათით) თავსდება პერიფერი·ულ მიმღებ პ·უნქტებში, რათა ამ უკანასკნელმა სწრაფად გადაიტანოს იგი ჩაის ფაბრიკაში.

ჩაის პროდუქტი იყოფა ორ ჯგ·უფად: საფაბრიკოდ და საეაჭროდ. საფაბრიკო ჩაი მიიღება ჩაის ფოთლის გადამ·უშავებით მზა პროდუქციამდე; საეაჭრო ნარევი კი მიიღება გადამწონ ფაბრიკებში, სადაც ჩაის პროდუქტი ფასოვდება და სარეალიზაციოდ მზადდება.

მსოფლიო ბაზარზე ჩაის პროდ·უქტი ორ ჯგ·უფად იყოფა: ა) ბაიხაოდ ან·უ გრეხილად და ბ) წნეხილად, რასაც საფ·უძვლად ტექნოლოგია ·უდევს.

ბაიხაო ჩაის მიეკუთვნება შავი, მწ·ვანე და ოლონგები – ყვითელი და წითელი ჩაი. ბაიხაო ჩაის თითქოს ყველა ტიპის პროდ·უქტისათვის ერთ ნედლეულს იყენებენ, კერძოდ, სარისხოვან ნედლე·ულს, განსხვავებაა მხოლოდ ტექნოლოგიაში.

წნეხილი ჩაი მიიღება დაწ·ნეხვით, რომლის დროსაც ერთ შემთხვევაში იწ·ნიხება ლაო-ჩაი (მწ·ვანე აგ·ურა-ჩაი), მეორეში – შავი ჩაის ნახევარფაბრიკატი ან თვითონ შავი აგ·ურა-ჩაი; მესამე შემთხვევაში კი შავი ჩაის ყველაზე წვრილი ნაწილაკები, კერძოდ, ფხვნილი და ნამცეცი. შავი ჩაის ტექნოლოგი·ური პროცესებია: ღნობა, გრეხა, მწვანე დახარისხება, ფერმენტაცია, ხმობა და მშრალად დახარისხება. მწ·ვანე ჩაის წარმოების დროს ღნობა და ფერმენტაცია არ მიმდინარეობს, ღნობის ნაცვლად პირველ პროცესს დაორთქლება ან ფიქსაცია წარმოადგენს.

§ 2. პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებელთა ანალიზის ამოცანები და ინფორმაციის წყაროები

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს წარმოების მართვის ორგანიზაციის პეტორიტარული ფორმიდან ეკონომიკურ ფორმაზე გადასვლის გლობალური პროცესი, იცვლება წარმოების მართვის პრინციპები და მეთოდები. მენეჯმენტი არის საწარმოს, ორგანიზაციის მმართველობითი ორგანო. მისი დანიშნულებაა უზრუნველყოს სამართავი ობიექტის წარმატებული ფუნქციონირება. მენეჯმენტის სამი უმთავრესი ამოცანაა:

1. ეკონომიკური შედეგიანობის მიღწევა;
2. გახადოს შრომა მწარმოებლური, ხოლო თანამშრომელთა საქმიანობა მიზნების უზრუნველმყოფელი;
3. აკონტროლოს სოციალური ზემოქმედებები და მართოს სოციალური პასუხისმგებლობა.

ამ ამოცანების შინაარსიდან ნათლად ჩანს მენეჯმენტის მთავარი მიზანი – ეკონომიკური შედეგიანობის მიღწევა ცანამშრომელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით. დღეს წარმოების ეფექტიანობის პრობლემას „ადამიანის“ ფაქტორს უკავშირებენ, რაც შესაბამის უკუგებას იძლევა შრომის მწარმოებლურობის თვალსაზრისით. ეკონომიკური ანალიზი მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ფუნქციაა და, ლოგიკურია, შესაბამისად იცვლება მისი ამოცანებიც. თუ სამამულო პრაქტიკაში ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო წარმოების წლიური ანგარიშგების ინფორმაციის ანალიზზე, დღეს პირველი რიგის ამოცანად მიმდინარე და პერსპექტიული მაჩვენებლების ანალიზია მიჩნეული, სტრატეგიული მენეჯმენტის არსიდან გამომდინარე.

სტრატეგიული ამოცანებია: ა) გამოსაშვები პროდუქციის შერჩევა; ბ) ბაზრის შერჩევა და გ) მომხმარებლის შერჩევა.

პროდუქციის შერჩევა არის ძირითადი სტრატეგიული ამოცანა. ფირმის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი მთელი საქმიანობა აგებულია იმის მიხედვით, თუ რა სახის და რა რაოდენობის პროდუქცია უნდა ეაწარმოოთ. მართვის ციკლი მაშინ მოქმედებს ეფექტურად, როცა მიღწეული იქნება ფირმის ძირითადი მიზანი – დახარჯულ რესურსებზე მაქსიმალური მოგების მიღება. მაგრამ მაქსიმალური მოგების მიღება უაღრესად ძნელია, თუ სათანადო დონეზე არ იქნება ორგანიზებული

წარმოების ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი. კერძოდ, წარმოების მოცულობის მაჩვენებლების ეკონომიკური ანალიზის წინაშე შემდეგი ძირითადი ამოცანებია გადასაწყვეტი:

– საერთო და სასაქონლო პროდუქციის ზრდის ტემპის განსაზღვრა წინა წლების მიხედვით;

– საანგარიშგებო წლის პროდუქციის წარმოების მოცულობის გეგმურ მაჩვენებელთა ხარისხის დადგენა;

– პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების ანალიზი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მზარდი ჯამით თვეების, კვარტლების და წლიური შედეგების მიხედვით;

– პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულება ასორტიმენტულ და ხარისხობრივ ჭრილში;

– პროდუქციის წარმოების ზრდის ფარული რეზერვების დაფიქსირება და ღონისძიებების შემუშავება მათ სარეალიზაციოდ.

პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებლების ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზისათვის მრავალი საინფორმაციო წყარო შეიძლება იქნეს გამოყენებული, კერძოდ:

– ტექნიკური დოკუმენტაცია საწარმოო სიმძლავრეების წარმადობის შესასებ;

– გასული წლების წლიური ანგარიშგების ფორმები პროდუქციის გამოშვების შესახებ (ფ. №1-პ);

– საწარმოს ბიზნეს-გეგმის მაჩვენებლები;

– ოპერატიული, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემები პროდუქციის გამოშვების შესახებ.

ოპერატიული ანალიზისათვის გამოიყენება საამქროების ყოველდღიური ანგარიშები პროდუქციის გამოშვებისა და ხარისხის შესახებ, აგრეთვე, ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვის ყველა ინფორმაცია, რომელიც რაიმე კუთხით ახასიათებს საკვლევ სიდიდეს.

პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებლების ანალიზის დაწყებამდე უნდა დადგინდეს საანალიზო ინფორმაციის რეალურობა იმ მეთოდიკით, რომელიც განხილული იქნა V თავში. აქ მოკლედ გავამახვილებთ ყურადღებას მხოლოდ რამდენიმე კონკრეტულ საკითხზე. ჯერ ერთი, ის თუ ვინ არის ანალიზის ჩამტარებელი. რა არის ანალიზის მიზანი? როგორ უნდა საწარმოს თავის გამოჩენა... მეორეც, დეტალურად უნდა შემოწმდეს აღრიცხვა-ანგარიშგების მონაცემების პარალელურად ნორმატიული ბაზის და დაგეგმვის მოქმედი პრაქტიკის ხარისხიანობა.


§ 3. წარმოების მოცულობის გეგმის ხარისხიანობის შემოწმება

საბაზრო ეკონომიკის პირობებში თვითონ საწარმოა დაინტერესებული, რომ რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი საწარმოო სიმძლავრეები და მის ხელთ არსებული საწარმოო რესურსების პოტენციალი. აქედან გამომდინარე, ანალიზის დროს უნდა განესაზღვროთ როგორია პროდუქციის გამოშვების გეგმის დაძაბულობის ხარისხი. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემების საფუძველზე განესაზღვროთ საწარმოს პროდუქციის გამოშვების საპასპორტო სიმძლავრე და შეეუფარდოთ იგი გეგმით გათვალისწინებულ სიმძლავრეს. იმისათვის კი რომ უფრო რეალურად შეეაფასოთ გეგმის ხარისხიანობა, საჭიროა ასეთიეე გაანგარიშება ჩაეატაროთ წინა წლების მიხედვით. ასეთი შედარებით დადგინდება გეგმის შეფარდებითი დაძაბულობის კოეფიციენტი. გასაანგარიშებლად წილადის მრიცხველად ვიღებთ გეგმურ სიდიდეს, ხოლო მნიშვნელად – წინა წლების საშუალო, ან დარგის საშუალო, ან ანალოგიური მოწინავე საწარმოს მაჩვენებელს.

ასეთი შედარების მიზანი ისაა, რომ მეწარმე დარწმუნდეს თავის საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ხარისხში და პერსპექტივაში იფიქროს ისეთი ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორების ამოქმედებაზე, როგორიცაა:

ა) წარმოების ტექნოლოგიური დონის ამაღლება;
ბ) წარმოების მართვისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფა;
გ) პროდუქციის ასორტიმენტისა და სტრუქტურის ცვლილება;
დ) მარკეტინგული ფაქტორები და სხვა.

სტრატეგიული მენეჯმერტი არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც მენეჯერ-ანალიტიკოსები საზღვრავენ ორგანიზაციის გრძელვადიან მიმართულებასა და შედეგიანობას. სტრატეგიის სწორ განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ახალი სახის ბიზნესის დაწყებისას. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ჰენრი მანცბერგი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს ჰყოფს ციკლურად ორგანიზებულ 5 იტერაციულ სტადიად:



როგორც ამ სქემიდან ჩანს, წარმოების სტრატეგიის განსაზღვრაში ანალიზურ პროცედურებს წამყვანი ადგილი უჭირავს, მასთან ერთად კი, როგორც აღნიშნავენ... „სტრატეგიული დაგეგმვა გახლავთ გარკვეული თეალსაზრისი, ფილოსოფია, განწყობა, ცხოვრების წესი. ეს არის იმის გაგება, რომ გეგმიურობა აუცილებელს ხდის ვიმოქმედოთ სამომავლო განზრახულობათა შესატყვისად. შესაბამისად დგინდება, რომ მუდმივი და სისტემური დაგეგმვა გვეელინება მენეჯმენტის ინტეგრირების საშუალებად. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მეტწილად წარმოადგენს ფიქრისა და განსჯის, აზროვნების პროცესს, ინტელექტუალურ ვარჯიშს და არა უბრალო, წინასწარ დადგენილი ოპერაციების, პროცესების, პროცედურების, სტრუქტურებისა და მეთოდების სიმრავლეს“[1] ამრიგად, ანალიზური პროცედურები უფრო საინტერესო ხდება.

1 სტრატეგიული დაგეგმვა და ანალიზი, თბილისი, 1998 წ. (TACIS-ის პროექტი)

§ 4. პროდუქციის წარმოების მოცულობის გეგმის შესრულებისა და დინამიკის ანალიზი

წარმოების მოცულობის მაჩვენებელთა ანალიზი იწყება საერთო და სასაქონლო პროდუქციის მოცულობის მაჩვენებლების დინამიკისა და გეგმის შესრულების შესწავლით. ამ მიზნით შედგენილია 6. 1. ცხრილი.

ცხრილი 6.1

საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვება
(ათას ლარ.)

მაჩვენებლები	გასული წლის ფაქტობრივი	საანგარიშგებო წელს		%-ით	
		გეგმით	ფაქტობრივად	წინა წელთან	გეგმასთან
1. საერთო პროდუქცია ფიქსირებული ფასებით...	82174	86415	87940	107,0	101,7
2. სასაქონლო პროდუქცია ფიქსირებული ფასებით...	81985	86000	87735	107,0	102,0

ცრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ საკვლევ ობიექტს საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით შეუსრულებია, საერთო პროდუქციისა 1,7%-ით, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა 2,0%-ით. 7%-ითაა გაზრდილი საერთო და სასაქონლო პროდუქციის მოცულობა წინა წელთან შედარებით. წარმოების მოცულობის ზრდა ამ მაჩვენებლებით დადებითად ხასიათდება, მაგრამ საბოლოო შეფასება მას მიეცემა მხოლოდ რეალიზაციის მაჩვენებლის განხილვის შემდეგ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში პროდუქციის წარმოების მოცულობას, სხვა დანარჩენ თანაბარ პირობებში, განსაზღვრავს ბაზარი – საქონელზე მოთხოვნის ცვალებადობა. აქედან გამომდინარე, წარმოების მოცულობის რეგულირებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ბაზარი, რომელიც ნებისმიერ საწარმოს უყენებს სამ ძირითად მოთხოვნას:

ა) აწარმოოს მხოლოდ მყიდველისათვის საჭირო ასორტიმენტის პროდუქცია;

ბ) უზრუნველყოს მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდება;

გ) პროდუქცია გაუგზავნოს კონკრეტულ მყიდველებს კონტრაქტით დადგენილ ვადებში.

ანალიზის დროს გამოკვლეული უნდა იქნას თუ როგორ სრულდება ეს მოთხოვნები და განისაზღვროს ის ხელშემშლელი ფაქტორები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ მიზნის მიღწევაზე.

პროდუქციის წარმოების მოცულობაზე აქტიურ გავლენას ახდენს ისეთი არსებითი ხასიათის ფაქტორები, როგორიცაა: პროდუქციის ასორტიმენტი და სტრუქტურა, პროდუქციის გამოშვების რიტმულობა და ხარისხი. განვიხილოთ მათი ანალიზის მეთოდიკური ხერხები.

§ 5. პროდუქციის გამოშვების ანალიზი ასორტიმენტის ხარისხის და რიტმულობის მიხედვით

როგორც უკვე აღვნიშნეთ „ბიზნეს-გეგმის" შესაბამის განაყოფში (საქონელი, მომსახურება), მოცემულია იმ პროდუქციის აღწერა, რომლის წარმოებასაც პროექტი ითვალისწინებს. მასში მითითებულია პროდუქციის ნომენკლატურა და ასორტიმენტი.

პროდუქციის ნომენკლატურა არის ნაკეთობათა დასახელებების ჩამონათვალი, ხოლო ასორტიმენტი – ერთნაირი სახელწოდების პროდუქციის შედგენილობა, სახეების და მარკების მიხედვით. ხშირად ეს ტერმინოლოგია ერთი და იმავე მნიშვნელობითაც იხმარება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროდუქციის გამოშვების გეგმების შესრულებას უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა ნომენკლატურის მიხედვით, რამდენადაც, როგორც ცნობილია, პროდუქციის უმნიშვნელოვანესი სახეების რიცხვს მიეკუთვნება ისეთი ნაკეთობანი, რომელთა მიხედვით განისაზღვრება წარმოების ფინანსური მდგომარეობა.

ამრიგად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ერთი საწარმოს მიერ ასორტიმენტის მიხედვით პროდუქციის გამოშვების გეგმის შეუსრულებლობა აუცილებ-

ტურად იწვევს მოცემული საწარმოთა კოოპერირებაში მყოფ საწარმოთა გეგმების შეუსრულებლობას, ბაზრის მოთხოვნილების სრულყოფილად დაუკმაყოფილებლობას და სხვა. გარდა ამისა, ასეთი მდგომარეობა უარყოფითად მოქმედებს თვით საწარმოს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რამდენადაც უმცირდება საწარმოთა მოგება და რენტაბელობა ჯარიმებისა და საურავების გადახდის ხარჯზე და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურმა ანალიზმა ხელი უნდა შეუწყოს საწარმოს ასორტიმენტის მიხედვით პროდუქციის გამოშვების გეგმის წარმატებით შესრულებაში. ამ მიზნის განხორციელებისათვის ანალიზმა ეტაპობრივად უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები: დაადგინოს ამ სფეროში გეგმის ხარისხი; ოპერატიული კონტროლი დააწესოს პროდუქციის გამოშვების გეგმების შესრულებაზე ასორტიმენტულ ჭრილში; გამოავლინოს ყოველი დარღვევა, რომელიც მიმართულია ასორტიმენტის მიხედვით გეგმის შეუსრულებლობისაკენ და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

ანალიზისათვის წყაროს წარმოადგენს: ა) ბიზნეს-გეგმის განაყოფი (პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის გეგმა); ბ) ფორმა № 1-პ (პროდუქციის გამოშვების შესახებ ასორტიმენტულ ჭრილში); გ) მიმდინარე აღრიცხვის ინფორმაცია პროდუქციის გამოშვების მიმდინარეობის შესახებ; დ) მომარაგება-გასაღების განყოფილების მასალები და სხვა.

ასორტიმენტის გეგმის შესრულების ანალიზის დროს შეიძლება მრავალი სამუშაო ხერხი იქნეს გამოყენებული*. ანალიზის მეთოდიკის საფუძველზე საწარმოებმა ასორტიმენტის გეგმის შესრულების განსაზღვრისათვის შეიძლება გამოიყენონ „ჩათელის ხერხი". ამ ხერხის მიხედვით საწარმოს გეგმის შესრულებაში ეთვლება მხოლოდ გეგმის ფარგლებში გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებლები, ე. ი. პროდუქციის იმ სახეობათა მიხედვით, რომელთა გეგმაც გადაჭარბებითაა შესრულებული, ჩაეთვლება გეგმური ოდენობით; ხოლო იმ ნაკეთობათა მიხედვით, რომელთა გამოშვების გეგმა ვერ შესრულდა – ფაქტიურად გამოშვებულის მიხედვით.

პრაქტიკაში ასორტიმენტის მიხედვით გეგმის შესრულების განსაზღვრისათვის იყენებენ „უმცირესი პროცენტის" ხერხსაც. იგი ყველაზე მარტივია, რამდენადაც ამ დროს გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის გეგმის შესრულება განისაზღვრება პროდუქციის სახეებს შორის გეგმის შესრულების ყველაზე უმცირესი პროცენტით.

---

* იგულისხმება, რომ მმართველობითი ინფორმაციის ანალიზის მეთოდიკა შეუსწავლელი არ არის.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ საწარმოებში, რომელთაც პროდუქციის ძალზე ფართო ასორტიმენტი აქვთ, პროდუქციის გამოშვების დაგეგმვა და გეგმის შესრულების შეფასება წარმოებს ნაკეთობათა ჯგუფების მიხედვით.

მაგრამ ცხადია ის გარემოება, რომ რამდენადაც დიფერენცირებული იქნება ინფორმაცია პროდუქციის ცალკეულ სასეობათა ოდენობაზე, მით უფრო ზუსტად განისაზღვრება ფაქტიური მდგომარეობა ასორტიმენტის მიხედვით გეგმის შესრულების შესახებ და სათანადო შეფასებაც მიეცემა შექმნილ მდგომარეობას.

ანალიზის დროს გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ცალკეული თეების მიხედვით ასორტიმენტის გეგმა შეიძლება არ შესრულდეს, ხოლო მთლიანად კვარტლის ან წლის მიხედვით კი შესრულდეს, რამდენადაც ცალკეული სახეების ნაკეთობათა გეგმის შეუსრულებლობა შეიძლება გადაიფაროს სხვა თეში გეგმის ზეით გამოშვების ხარჯზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასორტიმენტის მიხედვით პროდუქციის გამოშვების გეგმების შესრულების ოპერატიულ ანალიზს, რათა დროულად იქნეს გამოვლენილი უკვე მომხდარი ან მოსალოდნელ დარღვევათა მიზეზები.

ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს ობიექტების ექსპლუატაციაში გადაცემის დაგვიანება, კოოპერირებულ მოწოდებათა გეგმის შეუსრულებლობა, არასტანდარტული ნედლეულისა და მასალების არსებობა და სხვა.

ანალიზის პროცესში დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი ასორტიმენტის მიხედვით გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები. ამავე დროს დადგენილ უნდა იქნეს გეგმის ზევით გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციის პირობები.

პროდუქციის ასორტიმენტისა და ნომენკლატურის გეგმის შესრულების ანალიზის შემდეგ მიზანშეწონილია პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების შესწავლა სტრუქტურის მიხედვით, რამდენადაც წარმოების მოცულობაზე დიდ გავლენას ახდენს გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურული ცვალებადობა.

პროდუქციის გამოშვების გეგმა სტრუქტურის მიხედვით შესრულებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ დაცულია ცალკეული სასეობის ნაკეთობათა შორის გეგმით დადგენილი თანაფარდობა. ანალიზის დროს შესწავლილ უნდა იქნეს სტრუქტურული ძვრების გამომწვევი მიზეზები. მიზანშეწონილია შედარებისათეის გამოყენებულ იქნეს წინა წლის მაჩვენებლები, რათა დაეადგინოთ თეით გეგმური სტრუქტურის ცვალებადობა მასთან შედარებით და მისი მიზეზები.

პროდუქციის ხარისხიანობის ანალიზი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის ხარისხს. ამასთან დაკავშირებით პროდუქციის ხარისხიანობის საკითხი საწარმოთა მუშაობის შეფასებისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად ითვლება.

სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა სტანდარტების სისტემა. სამრეწველო პროდუქციის სტანდარტიზაცია ნიშნავს პროდუქციის თვისებების ზუსტად დასაშვები ნორმების დადგენას.

მსოფლიო სტანდარტების საშუალებით ყველა პირობა იქმნება სამრეწველო პროდუქციის დონესა და სტაბილურობაზე აქტიური ზემოქმედებისათვის. დღეს, როდესაც რესპუბლიკაში მიმდინარეობს ბრძოლა ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისათვის, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ხარისხიანობის ოპერატიული ანალიზი, რათა ამ უკანასკნელმა ხელი შეუწყოს საწარმოს მიზანდასახულობის განხორციელებას ხარისხიანი პროდუქციის გამოშვების საქმეში, რათა კონკურენტუნარიანი პროდუქციით მიეაღწიოთ ეროვნული ბაზრების დაცვას.

ხარისხის მაჩვენებლები მრავალნაირია დარგებსა და მათ მიერ დამზადებული პროდუქციის სპეციფიკიდან გამომდინარე. კვების მრეწველობაში ხარისხიანობის დასახასიათებლად გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა სორტულობა, ბალები და სხვა.

პროდუქციის ხარისხიანობის გეგმის შესრულების ანალიზი ორი მიმართულებით უნდა წარმოებდეს. პირველ რიგში უნდა განისაზღვროს უმაღლესი ხარისხის და ახლად ათვისებული პროდუქციის ხარისხის ხვედრითი წონები, საერთო გამოშვებაში მათი ცვალებადობა; მეორე რიგში კი საჭიროა გაიზომოს ხარისხიანობის ცვალებადობის გავლენა საერთო პროდუქციის მოცულობაზე. ანალიზისათვის გამოიყენება ტექნიკური კონტროლის განყოფილების მასალები; ხარისხის ცენტრალური ლაბორატორიის მასალები; რეკლამაციები და სხვა.

პირველ რიგში საჭიროა განისაზღვროს უმაღლესი ხარისხის კატეგორიების მიხედვით პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების დონე, რისთვისაც შეიძლება შემდეგი სახის ცხრილის შედგენა (ცხრილი 6. 2).

ცხრილი 6. 2

მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების მაჩვენებლები (ტონობით)

	გასულ წელს	საანგარიშგებო წელს		გეგმის შესრულების %	გადახრა „+" „–"	
		გეგმით	ფაქტობრივად		წინა წლიდან	გეგმიდან
შავი ბაიხის ჩაი						
1.„საქართველოს თაიგული"	8,1	7	9,5	135,-	+1,4	+2,5
2.უმაღლესი ხარისხის I კატ.	382,0	272,8	17,4	63,8	–109,2	–20,8
3.უმაღლესი ხარისხის II კატ.	2276,6	2032,3	1241,8	61,1	–1034,2	–796,5
4.პირველი ხარისხი	4163,6	5756,4	4415,4	76,7	+252,4	–1341,0
მწვანე ბაიხის ჩაი						
1.„საქართველოს თაიგული"	5	9	4,9	54,4	–0,1	–4,1
2.უმაღლესი ხარისხი	1956,1	1402	1537,2	109,6	–418,9	135,2
3.პირველი ხარისხი	5803,4	3785	4538,3	119,7	–1270,1	+748,3
სულ	14593,5	13264,5	11916,2	89,8	–2677,3	–1348,3

ცხრილიდან ჩანს, რომ საკვლევ ობიექტს უმაღლესი ხარისხის კატეგორიების პროდუქციის გამოშვების გეგმა 89,8%-ით შეუსრულებია (11916,2 : 13264,5 x 100) და თანაც მაშინ, როდესაც გეგმური მაჩვენებელი წინა წლის დონესთან 8,4%-ითაა შემცირებული. როგორც აღინიშნა, საანგარიშგებო პერიოდში ობიექტმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 102,0%-ით შეასრულა, ე. ი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლო-

ბაში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 102,0%-ით შეასრულა, ე. ი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის გადაჭარბებით შესრულება მიღწეულია დაბალხარისხიანი პროდუქციის გამოშვების ბაზაზე, რაც საწარმოს მუშაობას უარყოფითად ახასიათებს და დაბლა სწევს მის ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

ანალიზის შემდგომ ეტაპზე გაანგარიშებულ უნდა იქნეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხიანობის კოეფიციენტები და მათი ცვალებადობის გავლენა პროდუქციის მოცულობაზე.

ხარისხიანობის კოეფიციენტების გასაანგარიშებლად საჭიროა ყველა ხარისხის პროდუქციის ღირებულება შესაბამისი ფასებით გაიყოს იმავე პროდუქციის რაოდენობაზე, რომელიც უმაღლესი ხარისხის ფასით იქნება გამოსახული. როგორც წესი, ხარისხიანობის შემცირება ამცირებს პროდუქციის მოცულობას. ხარისხიანობის ცვალებადობის გავლენის სიდიდე რომ დავადგინოთ, საჭიროა საერთო პროდუქციის ფაქტიური თანხა გავამრავლოთ გეგმურ ხარისხიანობის კოეფიციენტზე და გავყოთ ფაქტიურ ხარისხიანობის კოეფიციენტზე, მიღებულ შუალედურ მაჩვენებელს უნდა შევადაროთ საერთო პროდუქციის ფაქტიური სიდიდე.

შუალედური მაჩვენებლის გადამეტება საერთო პროდუქციის ფაქტიურ სიდიდეზე გვიჩვენებს პროდუქციის ხარისხიანობის შემცირების გავლენის სიდიდეს და პირიქით.

ასეთი წესით განისაზღვრება ყველა სახის პროდუქციის ხარისხიანობის მაჩვენებლები და მათი ცვალებადობის გავლენა პროდუქციის მოცულობაზე, რომელთა საერთო ალგებრული ჯამით მიიღებთ საანგარიშგებო პერიოდში საერთო პროდუქციის მოცულობაზე ხარისხიანობის ცვალებადობის გავლენის სიდიდეს, ე. ი. იმ რეზერვს, რომელიც ვერ გამოიყენა საწარმომ.

პროდუქციის გამოშვების რიტმულობის ანალიზი. სამრეწველო საწარმოებს პროდუქციის გამოშვება და რეალიზაცია ნატურალურ და ღირებულებით ფორმაში ეგეგმება. პროდუქციის გამოშვების რიტმულობაში იგულისხმება საწარმოს მიერ დროის თანაბარ შუალედში თანაბარზომიერი პროდუქციის გამოშვება. რიტმულობის დარღვევა მკეთრად აუარესებს საწარმოს სამეურნეო საქმიანობას, იწვევს მოცდენებს, დერეფნების, რაც ბრდის წუნს და უხარისხო პროდუქციის გამოშვებას, მყიდველებთან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ჯარიმებისა და საურავების გადახდას.

აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით საწარმოს, პირველ რიგში, სათანადოდ უნდა პქონდეს შედგენილი პროდუქციის გამოშვების რიტმუ-

ლობის გეგმა და ოპერატიულად ხდებოდეს გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვების გრაფიკის დაცვის შემოწმება.

ანალიზის მიზანია დაადგინოს პროდუქციის გამოშვების რიტმულობის გეგმის ხარისხი და მისი ფაქტიური შესრულება, გაიანგარიშოს რიტმულობის კოეფიციენტი, დაადგინოს რიტმულობის დარღვევის გამომწვევი მიზეზები და დასახოს გზები მის გამოსასწორებლად. ანალიზის დროს უნდა გავიანგარიშოთ აგრეთვე რიტმულობის დარღვევის გავლენა პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებაზე.

რიტმულობის ანალიზისათვის ინფორმაცია აღებულ უნდა იქნეს მზა ნაწარმის საამქროს უფროსის ჩანაწერებიდან და ბუღალტერიიდან, ასევე წლიური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი ბარათიდან.

ჩაის ფაბრიკებში პროდუქციის გამოშვების რიტმულობის ანალიზი მიზანშეწონილია ტარდებოდეს არა მარტო კვარტალურ და თვიურ ჭრილში, არამედ უფრო მცირე პერიოდების მიხედვით, რადგან „პიკების“ პერიოდი დიდ გავლენას ახდენს წარმოების გეგმის შესრულებაზე.

დარგის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, რიტმულობის ანალიზი თავისებურ მიდგომას მოითხოვს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პირველ კვარტალში პროდუქცია საერთოდ არ იგეგმება და არ გამოიშვება; მეორეც იმიტომ, რომ მთელი საერთო პროდუქციის ნახევარი იწარმოება III კვარტალში. ამრიგად, პროდუქციის გამოშვების რიტმულობა შესწავლილ უნდა იქნეს კვარტლებისა და თვეების მიხედვით. მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ „პიკების“ პერიოდში ფაბრიკებს უხდებათ საშუალოდღიურ ნორმაზე საკმაოდ მეტი ფოთლის გადამუშავება. ცხადი ხდება, რომ წარმოების მოცულობის რიტმს არღვევს დამზადებული ფოთლის არათანაბარი რაოდენობა (ცხრილი 6. 3), გადამუშავებაში შეფერხება კი მკვეთრად აუარესებს ნედლეულის და მისგან მიღებული პროდუქციის ხარისხს.

ცხრილი 6. 3

პროდუქციის გამოშვების რიტმი თვეების მიხედვით %-ობით

მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	სულ
31	23	25	14	6	0,6	100

ისმის კითხვა: თუ ყველაფერი ბუნებრიულად ხდება, რა როლი უნდა ითამაშოს რიტმულობის ეკონომიკურმა ანალიზმა? ჯერ ერთი, რიტმულო-

ბის ოპერატიულმა ანალიზმა უნდა გამოავლინოს საწარმოს სიმძლავრეების უკეთ გამოყენების გზები, რომ რაც შეიძლება მაქსიმალურად მოხდეს დამზადებული ფოთლის გადამუშავება, ხოლო ფოთლის ის ნაწილი, რომლის გადამუშავებას ვერ შეძლებს ფაბრიკა, უნდა გადაუნაწილდეს იმ ფაბრიკებს, სადაც იმ მომენტში საწარმოო სიმძლავრეები შედარებით გამონთავისუფლებულია*.

როგორც ცხრილიდან ჩანს, სეზონის განმავლობაში პროდუქციის გამოშვების მოცულობა თვეების მიხედვით მკვეთრად განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ ჩაის ფოთლის დამზადება და გადამუშავება 150 დღის განმავლობაში წარმოებს, მთელი წარმოებული პროდუქციის 79% მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში იწარმოება.

პროდუქციის გამოშვების რიგმი უფრო ნათლად ჩანს დეკადურ ჭრილში (ცხრილი 6. 4).

ცხრილი 6. 4

	დეკადები			სულ
	I	II	III	
მაისი	2	41	57	100
ივნისი	32	37	31	100
ივლისი	30	36	34	100

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების და რეალიზაციის გეგმის შესრულების (შემდგომი) ანალიზის მეთოდიკის ძირითადი საკითხები. მაგრამ, როგორც ეკონომიკური ანალიზის თეორიიდან ცნობილია, რეზერვების გამოვლენის უფრო მეტ საშუალებას იძლევა ოპერატიული ანალიზი.

ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ პროდუქციის გამოშვების, გადაგზავნის და რეალიზაციის მაჩვენებლების ოპერატიულ-ტექნიკური ანალიზის ძირითადი პრინციპები დარგობრივ ჭრილში.

---

* სასურველია ასეთი კავშირების არსებობა ფაბრიკების კერძო საკუთრებაში არსებობის დროსაც.

§ 6. პროდუქციის გამოშვების ოპერატიული ანალიზი

როგორც ანალიზის თეორიულ ნაწილში აღინიშნა, ოპერატიული ანალიზი წარმოადგენს ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთ სასეს. მის მიზანს შეადგენს იმ ამოცანების გადაჭრა, რომლებიც დგანან წარმოების ოპერატიული მართვის წინაშე. საწარმოს სამეურნეო საქმიანობის მთავარ უბანს პროდუქციის გამოშვების, გადაგზავნის და რეალიზაციის პროცესები შეადგენს. ამ უბანზე ოპერატიული ანალიზის ძირითადი ამოცანებია სისტემატური კონტროლი: ა) ცალკეული საამქროებისა და საწარმოო უბნების მიხედვით პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებაზე; ბ) გასაღების განყოფილების მიერ საქონლის გრაფიკის მიხედვით გადაგზავნაზე და გ) მყიდველების მიერ საქონლის ღირებულების გადმორიცხვაზე. თითოეული მაჩვენებლის მიხედვით გეგმიდან გადახრების დადგენა და მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლა, ნაკლოვანებათა თავისდროული აღმოფხვრისა და წარმატებების დროულად განზოგადების მიზნით. შეიძლება აღვნიშნოთ, რომ პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებლების ოპერატიული ანალიზი მოიცავს: ცვლისათვის, დღე-ღამისათვის, დეკადისათვის ან თვისათვის დამუშავებული გეგმა-გრაფიკების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს და რეგულირების საკითხებს.

ანალიზის განყოფილებას ეკისრება საწარმოს ან გაერთიანების ცალკეული საამქროებიდან და უბნებიდან საჭირო მაჩვენებლებზე ოპერატიული ინფორმაციის შეკრება და დამუშავება გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების დახმარებით და ანალიზური შედეგების ოპერატიული გადაცემა ხელმძღვანელობისათვის.

ოპერატიული აღრიცხვის ინფორმაციის წყაროებია: პროდუქციის გამოშვების შესახებ ყოველდღიური ან დეკადური შიდასაქარხნო ანგარიშგება; საამქროსა და უბნების ცვლის დავალებანი, გეგმა-გრაფიკები და სხვა.

ოპერატიული ანალიზის დასკვნების ხარისხი დიდადაა დამოკიდებული ინფორმაციის უტყუარობაზე.

საანალიზო ობიექტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ოპერატიული ანალიზის ეტაპობრივი თანმიმდევრობა შეიძლება განსხვავებული იყოს. ზოგადად კი, პირველ რიგში, საჭიროა განესაზღვროთ, როგორ ას-

რულებს საწარმოო პროდუქციის გამოშვების ყოველდღიურ გეგმებს, ნატურალურ გამოსახულებაში.

ანალიზის შემდგომ ეტაპზე განსილულ უნდა იქნეს პროდუქციის გამოშვების ოპერატიული ინფორმაცია საამქროების მისედვით, რათა გამოჩნდეს თითოეული საამქროს წვლილი შექმნილ სიტუაციაში. მაგალითად, ასევე უნდა გაირკვეს პროდუქციის გამოშვება ყოველი დღის მიხედვით და გამოვლინდეს შეუსრულებლობის მიზეზები, მაგალითად, ნედლეულით და ნახევარფაბრიკატებით მომარაგების გეგმის შეუსრულებლობა, მუშახელის ნაკლებობა და სხვა.

ანალიზის შემდგომ ეტაპზე ასევე განიხილება პროდუქციის გაღაგზავნის ოპერატიული ინფორმაცია ყოველდღიური მდგომარეობის შესახებ (ცხრილი 6. 5).

ცხრილი 6. 5

პროდუქციის გაგზავნის გეგმის შესრულების მაჩვენებლები დეკადაში
(ათასი ლარი)

თვის რიცხვები	გეგმით	ფაქტობრივად	გეგმის შესრულების %	გადახრა
1	20	18	90,0	–2
2	22	20	90,9	–2
3	20	15	75,0	–5
4	24	25	104,0	+1
5	25	22	88,0	–3
და ა. შ.				
სულ დეკადაში	176,0	160,0	90,9	–16,0

ცხრილიდან ჩანს, რომ გაგზავნის გეგმის შესრულების ოპერატიული მაჩვენებლები არადამაკმაყოფილებელია, რაც მიგვანიშნებს პროდუქციის ხარისხიანობის დაბალ დონეზე. ანალიზის მონაცემთა საფუძველზე საჭიროა საწარმოს ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილოს მზა ნაწარმის ხარისხზე, თაეისდროულ გაგზავნის და საწყობში მზა პროდუქციის ნაშთების შემცირებაზე.

§ 7. პროდუქციის წარმოების მოსალოდნელი შესრულების წინასწარი (პროგნოზული) ანალიზი

ცნება „მოდელირება“ მეცნიერებაში გამოიყენება როგორც ფართო, ზოგადშემეცნებითი, ისე ვიწრო სპეციალური მნიშვნელობით. მოდელირება, ამ სიტყვის ფართო აზრით, გამოხატავს შემეცნებითი პროცესის რომელიღაც ზოგად ასპექტს. მოსალოდნელი შესრულების ანუ პროგნოზული ანალიზის სისტემის მოდელირება მათი შემეცნებისა და მართვის მიზნით წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს.

პროგნოზირება სამუალებას იძლევა დროულად განესაზღვროთ საკვლევი ობიექტის მიერ დარჩენილ საანგარიშგებო პერიოდში მუშაობის ნორმალური პირობებით მისაღწევი მიჯნები: თუ ეს მაჩვენებლები ვერ აკმაყოფილებს დასახული გეგმების მოსალოდნელ შესრულებას, მაშინ, როგორც წესი, საწარმოს ხელმძღვანელობამ დროულად უნდა გაატაროს რადიკალური ღონისძიებები. ამავე დროს, ასეთი პროგნოზული ანალიზი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დაგეგმვის მეცნიერული დონის ამაღლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანად მიგვაჩნია იმ მეცნიერების აზრი, რომლებიც პროგნოზირებას გეგმის შედგენის მხოლოდ წინა ეტაპად კი არა, არამედ დაგეგმვის და მართვის პროცესის განუყოფელ ელემენტად მიიჩნევენ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პროგნოზირების როლი გეგმების მოსალოდნელი შესრულების წინასწარ განჭვრეტის საქმეში.

პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროგნოზული ანალიზის მოდელის შექმნისათვის ძირითადი სამუშაო შეიძლება ოთხ ეტაპად დავყოთ: 1. ამოცანის დასმა და მოდელირების პროცესის სტრუქტურა; 2. ამოსავალი ინფორმაციის მომზადება; 3. ამოცანის გადასაწყვეტი ცხრილების მომზადება; 4. ანალიზურ გაანგარიშებათა ჩატარება.

ამოცანის დასმა და მოდელირების პროცესის სტრუქტურა. ცნობილია, რომ რთული სისტემებისათვის აგებენ მიზნების ხეს, რომელიც მთლიანად სისტემის მიზნებისა და მისი ცალკეული ქვესისტემების იერარქიული ურთიერთკავშირების თვალსაჩინო გრაფიკული მოდელია.

მიზნების ხის აგებისათვის ფართოდ გამოიყენება ევრისტიკული მეთოდები, ე. ი. გამოკვლევისა და სწავლების ისეთი ხერხები, რომელთა მიხედვითაც ჭეშმარიტება უნდა გამომეღავნებინოს სათანადო მისახვედრი კითხვების დახმარებით; გარდა ამისა, გამოიყენება ექსპერტული შეფასებებიც, რამდენადაც ამოცანის გადაჭრისას ხშირად თავს იჩენს ბევრი გაურკვეველობა.

პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის პროცესი ყველაზე რთული სისტემაა, რომელიც მრავალი ცალკეული ქვესისტემებისაგან შედგება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამოცანის დასმა სისტემური მიდგომას მოითხოვს. როგორც აკადემიკოსი დ. მ. გვიშიანი აღნიშნავს[1], სისტემური მიდგომის ამოცანაა სპეციალური მეთოდოლოგიის დონეზე გამოხატოს სისტემური გამოკვლევების პრინციპები, ცნებები და მეთოდები ზოგადი მეთოდოლოგიის – მატერიალისტური დიალექტიკის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ რიგში, ნათლად უნდა გაირკვეს მიზანი: რა უნდა იწარმოებოდეს; როგორი, რამდენი და ვინ უნდა მოიხმაროს?.. მატერიალური დოვლათი იწარმოება მოხმარებისათვის. მაშასადამე, წარმოების აქტარგიანობის შემფასებელი მომხმარებელი უნდა იყოს და არა რაღაც ხელოვნურად შეთხზული მაჩვენებლები. არასრულად უნდა ჩაითვალოს გამოთქმა „პლანტაცია – ფაბრიკა“, რამდენადაც ამ სისტემაში მთავარი მომენტია იგნორირებული – „მომხმარებელი“, ამიტომ სრულყოფილი სისტემა იქნება: „პლანტაცია – ფაბრიკა – მომხმარებელი“.

ამრიგად, თითქმის გამოიკვეთა დასასმელი ამოცანა. კვლევის პროცესში უნდა დავადგინოთ არა მარტო ის, თუ რა რაოდენობის პროდუქციის წარმოებას შეძლებს საკვლევი ობიექტი, არამედ ისიც, თუ როგორი იქნება წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხარისხი.

ჩაის წარმოების კერძო ფირმები გზას უხსნის მეწარმეებს, იბრძოლონ უმაღლესი ხარისხის პროდუქციის საწარმოებლად, რათა კონკურენცია გაუწიონ ბაზარზე უცხოურ ჩაის. ამისათვის, ლოგიკურია, თითოეული ფირმა იმოქმედებს სისტემით: „პლანტაცია ფაბრიკა მომხმარებელი“.

მოდელირების პროცესმა სტრუქტურულად ლოგიკური თანმიმდევრობით უნდა ასახოს წარმოების პროცესზე მოქმედი ყველა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი; ასევე უნდა მოხდეს რეალიზაციის პროცესის შესწავლის დროსაც. ორივეს კვლევის სტრუქტურა დაიხვეწება კონკრეტული ინფორმაციის ანალიზის პროცესში.

ამოსავალი ინფორმაციის მომზადება. ინფორმაციული ბაზის შესახებ V თავში უკვე გვქონდა საუბარი და ამიტომ აქ მასზე ფართოდ აღარ შევჩერდებით. ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის რეალურობა დიდად განსაზღვრავს მისაღები შედეგის ხარისხს.

დასმული ამოცანის გადასაწყვეტად ცხრილების მომზადება ყველაზე პასუხსაგები სამუშაოა, რამდენადაც ამ ეტაპზე უნდა გამოიკვეთოს ანა-

---

1 ვ. გ. ვ. გ. აფანასიევი, საზოგადოება: სისტემურობა, შემეცნება და მართვა, თბ., 1985, გვ. 186.

ლიზის ჩატარების შედეგები, რაც მთავარია, ცხრილების შინაარსმა საშუალება უნდა მოგვცეს დასახული ამოცანების რეალიზაციისა.

რაც შეეხება ანალიზურ გაანგარიშებათა ჩატარებას, მიგვაჩნია, რომ გამოყენებული უნდა იქნას როგორც ტრადიციული, ისე ეკონომიკურ-მათემატიკური ხერხები.

თავი VII.

წარმოების ხარჯების და პროდუქციის თვითღირებულების ანალიზი

§ 1. წარმოების ხარჯების ცნება და კლასიფიკაცია. ანალიზის ამოცანები და საინფორმაციო წყაროები

განვითარების რა დონესაც არ უნდა მიაღწიოს საზოგადოებამ, რა ფორმითაც არ უნდა მიმდინარეობდეს საზოგადოებრივი წარმოების პროცესი, ადამიანთა ცხოვრების საფუძველი მატერიალური დოვლათის წარმოება იქნება – ერთი და იგივე დარჩება ამ წარმოებისათვის საჭირო ელემენტებიც, რომელთა ხარჯვის შედეგად მიიღება მატერიალური დოვლათი, რომლის საფუძველზე მეწარმეები ღებულობენ მოგებას. ნებისმიერი ფირმის ეკონომიკური საქმიანობის მთავარი მიზანი მოგების მაქსიმიზაციაა მინიმალური დანახარჯებით. ზოგადად რომ ვთქვათ, სხვაობა ფირმის მთლიან შემოსავალსა და წარმოების ხარჯებს შორის ქმნის ფირმის მოგებას. ამრიგად, ნათელია ის დიდი როლი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის ანალიზს აკისრია ხარჯების მინიმაზიციისათვის ბრძოლის საქმეში. მიზნის მიღწევისათვის კი, პირველ რიგში, აუცილებელ წინაპირობად გვეველინება ხარჯების მეცნიერულად და პრაქტიკულად დასაბუთებული კლასიფიკაცია.

წარმოების ხარჯების ყოველმხრივი ანალიზისათვის აუცილებელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ კატეგორიები „წარმოების დანახარჯები“ და „პროდუქციის თვითღირებულება“. დაგეგმვისა და აღრიცხვის სამამულო პრაქტიკაში „წარმოების ხარჯების“ ქვეშ იგულისხმებოდა საწარმოს მიერ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში პროდუქციის წარმოებასა

და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების ჯამი, რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც ამაღლებით უნდა იქნეს მიღებული და შენარჩუნებული. მის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს წარმოების დანახარჯების დაჯგუფება ელემენტების მიხედვით. „ელემენტური“ ხარჯები ეკონომიკური შინაარსით ერთგვაროვანნი არიან: 1. ნედლეული და მასალები; 2. სათბობი და ენერგია; 3. ხელფასი ყველა სახის ანარიცხებით; 4. ძირითადი ფონდების ამორტიზაცია; 5. დანარჩენი ხარჯები. წარმოების დანახარჯების დაჯგუფება ეკონომიკური ელემენტების მიხედვით საშუალებას იძლევა: ა) შეაღგინოთ მთლიანი ხარჯთა ნუსხა; ბ) განისაზღვროს დანახარჯთა სტრუქტურის ცვალებადობა დინამიკაში; გ) შეეჯამოთ ცალკეულ საწარმოთა მონაცემები ქვეყნის მასშტაბით; დ) განვსაზღვროთ ეროვნული შემოსავალი. დანახარჯთა დაჯგუფება „ელემენტურ“ ჭრილში პასუხს იძლევა კითხვაზე: რას ეხარჯავთ და რამდენს? მაგრამ „კომერციული ანგარიშის“ პრინციპი მოითხოვს იმის ცოდნას, თუ კონკრეტულად რაზე იხარჯება და რამდენი. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად წარმოებაზე დანახარჯების დაჯგუფებას „ეკონომიკური მუხლების“ მიხედვით ახდენენ, რაც წარმოშობს კომპლექსურ ხარჯებს. კომპლექსური დანახარჯები აერთიანებს ეკონომიკური შინაარსით სრულიად განსხვავებულ ხარჯებს. მათ დაჯგუფებას საფუძვლად უდევს ხარჯების გაწევის დანიშნულება და ადგილი. ასეთი ეკონომიკური მუხლები გამოიყენება სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულებისა და კალკულაციების შესადგენად.

„პროდუქციის თვითღირებულების“ ცნების ქვეშ იგულისხმება სასაქონლო პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების ჯამი ღირებულებით ფორმაში. განსხვავებას „წარმოების დანახარჯების“ და „პროდუქციის თვითღირებულების“ მაჩვენებლებს შორის ძირითადად შიდა ბრუნვა და დაუმთავრებელი წარმოების ნაშთების არსებობა წარმოშობს.

პროდუქციის თვითღირებულების ანალიზის დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს დანახარჯების კლასიფიკაცია ა) პირდაპირ და ბ) არაპირდაპირ ხარჯებად. პირდაპირია ყველა ის ხარჯი, რომელიც განაწილების გარეშე შეიძლება შევიდეს პროდუქციის თვითღირებულებაში. არაპირდაპირი ხარჯები დაკავშირებულია რამდენიმე სახის პროდუქციის წარმოებასთან და საჭირო ხდება მათი განაწილება პროდუქციის სახეებს შორის.

ანალიზისათვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ხარჯების კლასიფიკაცია წარმოების მოცულობის ცვალებადობაზე დამოკიდებულების მიხედვით: ა) პირობით მუდმივ და ბ) ცვალებად ხარჯებად.

პირობით მუდმივია ხარჯები, რომელთა სიდიდეც წარმოების მოცულობის პროპორციულად არ იცვლება: სამმართველო აპარატის ხელფასი, საერთო-საწარმოო ხარჯები და სხვა.

ცვალებადია ხარჯები, რომელთა სიდიდე იცვლება წარმოების მოცულობის პროპორციულად, მაგ., ნედლეული და მასალები, სათბობი და ენერგია, მუშების ხელფასი და სხვა.

წარმოების ხარჯებს ყოფენ **აშკარა და ფარულ (იმპლიციტურ)** ხარჯებად. აშკარაა ყველა ის ხარჯი, რომელიც ფიქსირდება წარმოების დანახარჯების სახით.

ფარული (იმპლიციტური) ხარჯები არის ფირმის საკუთრებაში არსებული იმ რესურსების გამოყენების ხარჯები, რომელიც კონტრაქტით გათვალისწინებული არ არის და ხარჯებიც არ ნაბღაურდება და, ცხადია, ფირმის საბუღალტრო ანგარიშგებაშიც არ აისახება.

ანალიზის პროცესში აშკარა და იმპლიციტურ ხარჯებს შორის განსხვავების დადგენა აუცილებელია წმინდა ეკონომიკური მოგების გასაანგარიშებლად.

დღევანდელ ეტაპზე წინა პლანზე წამოიწია **ალტერნატიული (ურთიერთგამომრიცხავი)** ხარჯების საკითხმა, რამდენადაც იგი უკავშირდება რესურსების იშვიათობასა და მათი ისეთი შემცველის მონახვას, რომელთაც ეკონომიკური უპირატესობა აქვთ. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის წარმოების ხარჯების ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობას.

წარმოების ხარჯებს ყოფენ **გარე და შიდა ხარჯებად**. გარე ხარჯები მთლიანი ხარჯების ის ნაწილია, რომელსაც ფირმა გაიღებს გარეთ შეძენილი მატერიალური და შრომითი რესურსებისათვის. შიდა ხარჯები ფირმის მთლიანი ხარჯების ის ნაწილია, რომელიც მოიცავს ფირმის საკუთარ, შიდა მატერიალურ თუ შრომით რესურსებს.

ამრიგად, ნათლად ჩანს, თუ რამდენად მრავალწახნაგიანია „წარმოების დანახარჯების“ კატეგორია და რაოდენ მაქსიმალური ყურადღებაა გამოსაჩენი ხარჯების მინიმიზაციის მიღწევისათვის.

ანალიზის ამოცანები და წყაროები. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „წარმოების დანახარჯების აღრიცხვის და პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების“ უბანი საბაზრო ურთიერთობათა პირობებში წარმოადგენს კომერციულ უბანს. საწარმო თვითონ ადგენს პროდუქციის თვითღირებულების გეგმას, ამუშავებს ნორმებს და თვითღირებულების შემცირების დავალებებს, მოსალოდნელ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ პროგრესული ცვლილებების გათვალისწინებით. ამრიგად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პროდუქციის თვითღირებულების ანალიზის ამოცანებია:

1. წარმოების დანახარჯების ნორმების პროგრესულობის შემოწმება; თვითღირებულების საგეგმო მაჩვენებელთა ოპტიმალურობის შესწავლა. ანალიზის დროს დეტალურად უნდა გამოვიკვლიოთ, თუ გეგმის შედგენის დროს რამდენად სრულად აისახა მასში თვითღირებულების შემცირების შიგასამეურნეო ფარული და პერსპექტიული რეზერვები.

2. პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებელთა გეგმის შესრულების და დინამიკის შეფასება, გადახრების დადგენა და იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებმაც გავლენა მოახდინეს თვითღირებულების გეგმის შესრულებაზე ეკონომიის ან გადახარჯვის ხაზით.

3. პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირების რეზერვების გამოვლინება და წინადადებების შემუშავება ამ რეზერვების ასამოქმედებლად.

საანალიზო ინფორმაცია და მათი რეალურობის დადგენა. პროდუქციის თვითღირებულების კომპლექსური ანალიზის ჩატარებისათვის საინფორმაციო მასალების წყაროს ბუღალტერიის ყველა დოკუმენტი და რეგისტრი წარმოადგენს, რომელშიც დაფიქსირებულია მოცემულ საანალიზო პერიოდში გამოშვებული პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯების სიდიდე ნებისმიერ საზომ ერთეულებში. კერძოდ: მატერიალური დანახარჯების (ნედლეული და მასალები, სათბობი და ენერგია ტექნოლოგიური მიზნებისათვის) ხარჯვის პირველადი და მაგროვებელი დოკუმენტები; ხელფასის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები (ანაზღაურება მოცდენებისათვის, უნაყოფო გადახდები); საერთო-საწარმოო ხარჯების გაანგარიშების დოკუმენტები; ინფორმაცია წუნისა და დანაკარგების შესახებ. ანალიზისათვის სინთეზური ინფორმაცია თავმოყრილია ჟურნალ-ორდერ № 10-ში, საიდანაც განისაზღვრება სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება, დანახარჯთა ელემენტებისა და ეკონომიკური მუხლების მიხედვით. მნიშვნელოვანი დოკუმენტია ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის გაანგარიშების საბუთები. ამასთან, ანალიტიკოსმა უნდა დაუსაბუთოს საწარმოს, თუ ამორტიზაციის დარიცხვის რომელი მეთოდი გამოიყენოს – სწორხაზოვანი, ე. ი. საბჭოური, ტრადიციული, თუ ბასს-ით შემოთავაზებული მეთოდებიდან სხვა რომელიმე.

თვითღირებულების შემცირების ფარული რეზერვების გამოვლენისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ცალკეულ ნაკეთობათა კალკულაციები, გეგმური ინფორმაციიდან: მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმები; გეგმური კალკულაციები; ტექნოლოგიური რუკები; ახალი წარმოების და ტექნოლოგიის ათვისებისათვის ჩატარებული გაანგარიშებანი და სხვა.

საგულისხმოა ის მომენტი, რომ მმართველობითი აღრიცხვის წარმოება მთლიანად დამოკიდებულია სელმძღვანელობის ნებაზე; არანაირ გარეშე ორგანოს ან ორგანიზაციას არა აქვს უფლება მიუთითოს, თუ რა უნდა გაკეთდეს და რა არა. ე. ი. დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გათვითცნობიერებულია წარმოების ხელმძღვანელი და მთავარი ბუღალტერი ასეთი ინფორმაციის აუცილებლობაში.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპების მიხედვით, მმართველობითი აღრიცხვა ესაა პროცესი ორგანიზაციის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს მმართველობით აპარატს ინფორმაციით, რომელიც გამოიყენება დაგეგმვისათვის, ორგანიზაციის საქმიანობის მართვისა და კონტროლისათვის. ეს პროცესი მოიცავს იმ ინფორმაციის გამოვლენას, გაზომვას, მომზადებას, ინტერპრეტაციას და ანალიზს, რომელიც საჭიროა მმართველობითი აპარატისათვის თავისი ფუნქციების შესასრულებლად – მინიმალური დანახარჯებით მიიღონ მაქსიმალური მოგება.

პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლების ანალიზის დაწყებამდე, პირველ რიგში, აუცილებელია მოპოვებული ინფორმაციის რეალურობის დადგენა. როგორც ეკონომიკური ანალიზის თეორიიდანაა ცნობილი, ინფორმაციის რეალურობის დადგენის რამდენიმე ხერხი არსებობს. ყველაზე მნიშვნელოვანია ინფორმაციის კამერალური შემოწმება, რომლის მნიშვნელოვანი საკითხია წარმოებაზე დანახარჯების აღრიცხვის და მათი თვითღირებულებაში შეტანის სისწორის შემოწმება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი საკითხის გამორკვევას, როგორიცაა: წარმოებაზე ჩამოწერილი ნედლეულის და მასალების შეფასების სისწორე – ამ მიზნით მოწმდება სატრანსპორტო დამზადების ხარჯების განაწილებაც;

– წარმოების დანახარჯებში არანაყოფიერი ხარჯების ჩართვის სისწორე;

– მომავალი პერიოდების ხარჯების ანგარიშზე აღრიცხული თანხების და მიმდინარე რემონტის ხარჯების და თვითღირებულების ხარჯზე შექმნილი რეზერვების წარმოების დანახარჯებში ჩართვის სისწორე;

– მუშებისათვის დარიცხული ხელფასის შესაბამისობა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების რაოდენობასა და მოცულობასთან;

ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის დარიცხვის გაანგარიშებათა შემოწმებისას საჭიროა დადგინდეს: – ექსპლუატაციაში მყოფ ყველა ძირითად საშუალებებზე დაცულია თუ არა ამორტიზაციის დარიცხვის ნორმები;

– სწორად არის თუ არა ამორტიზაცია დარიცხული ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში შესვლისას და მათი გასვლისას.

შემოწმებულ უნდა იქნეს ექსპლუატაციაში გადაცემული მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი ინვენტარის ღირებულების თვითღირებულებაში ჩართვის სისწორე.

– ნარჩენებისა და თანამდე პროდუქციის შეფასების სისწორე.

როგორც ცნობილია, წარმოების დანახარჯების აღრიცხვამ და მისი ფაქტიური თვითღირებულების კალკულაციამ უნდა უზრუნველყოს თვითღირებულების გეგმის შესრულების შემოწმება და დანახარჯთა შემცირების რეზერვების გამოვლინება. ამასთან დაკავშირებით, წარმოებაზე დანახარჯების საანგარიშო შემოწმების დროს უნდა გაირკვეს, სომ არ არის შეტანილი თვითღირებულებაში ისეთი სახის დანახარჯები, რომელთა მიკუთვნება კოდექსით გათვალისწინებულია, მაგალითად:

– სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალი;

– საანგარიშგებო წლის დანარჩენი დანაკარგები და ზარალი, მათ შორის უიმედო ვალებისა და იმ ვალების ჩამოწერით, რომელთა სასარჩელე ხანდაზმულობის ვადა გასულია და სხვა.

– შემოწმებულ უნდა იქნეს მოწყობილობის შენახვის და ექსპლუატაციის და საერთო საწარმოო ხარჯების აღრიცხვის და განაწილების სისწორე პროდუქციის ცალკეულ სახეებს შორის;

– საანგარიშო შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შემოწმდეს დაუმთავრებელი წარმოების აღრიცხვის მდგომარეობა და თვითღირებულების განსაზღვრის სისწორე, მისი ნაშთების ინვენტარიზაციის ჩატარების ხარისხი.

პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლები. მასთან დაკავშირებით, რომ თვითღირებულება წარმოადგენს ერთ-ერთ რთულ ეკონომიკურ კატეგორიას, მისი მეცნიერული დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანალიზისათვის საჭირო ხდება რამდენიმე მაჩვენებლის გამოყენება, თუმცა დღემდე ამ მაჩვენებელთა სისტემა მთლიანად სრულყოფილი არაა და საჭიროებს გაუმჯობესებას.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვითღირებულების მაჩვენებელთა სისტემის სწორ დადგენას.

საერთოდ, პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებელთა სისტემა სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. აბსოლუტური მაჩვენებლები (წარმოებაზე დანახარჯთა ნუსხა, მთელი სასაქონლო და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება).

2. პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯთა დონის მაჩვენებლები (ცალკეული სახის პროდუქციის თვითღირებულება, დანახარჯები 1 ლარ საქონლო პროდუქციაზე).

3. დანახარჯთა დინამიკის ამსახველი მაჩვენებლები (ერთეული პროდუქციის თვითღირებულების, შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების და 1 ლარ სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების ცვალებადობა).

§ 2. თვითღირებულების გეგმის შესრულების ზოგადი შეფასება

როგორც პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებელთა სისტემის განხილვის დროს აღვნიშნეთ, თვითღირებულების შეფასების განმაზოგადებელ მაჩვენებელს წარმოადგენს დანახარჯი 1 ლარის სასაქონლო პროდუქციაზე თეთრებში, ამიტომ სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ანალიზის დაწყება მიზანშეწონილია ამ მაჩვენებლის განხილვით.

სასაქონლო პროდუქციის 1 ლარზე დანახარჯის გასაანგარიშებლად საჭიროა მთელი სასაქონლო პროდუქციის სრული თვითღირებულება გავყოთ იმავე სასაქონლო პროდუქციის ღირებულებაზე, რომელიც გამოხატულია საბაზრო ფასებით. იმისათვის კი, რომ გავიანგარიშოთ მატერიალური დანახარჯების ზღვრული სიდიდე სასაქონლო პროდუქციის 1 ლარზე, საჭიროა მთელ სასაქონლო პროდუქციაზე გეგმით გათვალისწინებული მატერიალური დანახარჯები გავყოთ იმავე სასაქონლო პროდუქციის ღირებულებაზე.

ამ განმაზოგადებელი მაჩვენებლის ანალიზისათვის ინფორმაცია უნდა ავიღოთ მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ნაერთი ფორმიდან და ფორმა № 2-დან „ანგარიში მოგებისა და ზარალის შესახებ“. ანალიზისათვის შეიძლება შედგეს შემდეგი სახის ცხრილი (ცხრილი 7. 1), სადაც დანახარჯები სასაქონლო პროდუქციის 1 ლარზე აღნიშნული წესითაა გაანგარიშებული.

ცხრილში მოტანილი მონაცემების მიხედვით, სასაქონლო პროდუქციის 1 ლარზე დანახარჯის საგეგმო მაჩვენებელი 94 თეთრი, წინა წლის ფაქტობრივ მაჩვენებელთან შედარებით 0,5 თეთრითაა (94,5–94,0) შემცირებული, მაგრამ საანგარიშგებო წელს საწარმომ ვერ შეასრულა დანახარჯის გეგმა. გადახარჯვა შეადგენს 0,02 თეთრს (94,02–94,0).

ანალიზის პროცესში გაზომილი უნდა იქნეს ამ გადახარჯვის გამომწვევი ფაქტორების გავლენა. მოქმედი მეთოდიკის მიხედვით, ფაქტობრივი დანახარჯის ცვალებადობაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

ცხრილი 7. 1

დანახარჯები სასაქონლო პროდუქციის 1 ლარზე

მაჩვენებლები	წინა წელს	საანგარიშგებო წელს		
		გეგმით	ფაქტობრივად გეგმური ფასებით	ფაქტობრივად მოქმედი ფასებით
1.სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება, ათასი ლარი	76625	80840	82508	82492
2.სასაქონლო პროდუქციის ღირებულება საბაზრო ფასებით, ათასი ლარი	81085	86000	87725	87735
3.დანახარჯი სასაქონლო პროდუქციის 1 ლარზე თეთრებში (სტ. 1, სტ. 23)	94,5	94,0	94,04	94,02
4.მოგება 1 ლარ სასაქონლო პროდუქციიდან, თეთრებში	5,5	6,0	5,96	5,98

ა) ფასების და ტარიფების ცვლილება სასაქონლო პროდუქციასა და მატერიალურ დანახარჯებზე;

ბ) ცალკეულ ნაკეთობათა თვითღირებულების და პროდუქციის ასორტიმენტული და სტრუქტურული ძვრების ცვლილება.

განვიხილოთ მაგალითი: სასაქონლო პროდუქციასა და მატერიალურ დანახარჯებზე ფასების და ტარიფების ცვლილების გაელენის გასაზომად საჭიროა ფაქტობრივი დანახარჯი მოქმედი ფასებით (94,02) შევუდაროთ ფაქტობრივ დანახარჯს, გაანგარიშებულს გეგმით გათვალისწინებული ფასების მიხედვით (94,04); მაჩვენებლების შედარებიდან ჩანს, რომ ფასების და ტარიფების ცვლილების შედეგად დანახარჯი ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე შემცირებულია 0,02 თეთრით (94,04–94,02).

რომ დავადგინოთ ცალკეულ ნაკეთობათა თვითღირებულების ცვლილებისა და გამოშვებული პროდუქციის შემადგენლობაში სტრუქტურული ძვრების გაელენა დანახარჯზე, საჭიროა ფაქტობრივი დანახარჯი გეგმური ფასებით და ტარიფებით (94,04) შევუდაროთ გეგმურ დანახარჯს (94,0). შედარებიდან ჩანს, რომ ფაქტობრივი დანახარჯი გეგმური ფასებით მეტია გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით (94,04–94,0) 0,04 თეთრით.

ამრიგად, როგორც გაანგარიშებამ ცხადყო, აბსოლუტური გადახარჯვა გეგმური დანახარჯიდან 0,02 თეთრი შედეგია ორივე ფაქტორის გაელენისა: –0,02 + 0,04 = 0,02 თეთრს. ამ ფაქტორების გაელენის გაჩომება ბოგად წარმოდგენას გვაძლეეს დანახარჯების დონეზე მოქმედი ფაქტორების გაელენის შესახებ. ანალიზის შემდგომ ეტაპზე კი შეისწაელება ყველა ფაქტორის მოქმედება დეტალურად, სათანადო დასკენების გასაკეთებლად.

ანალიზის შემდგომ ეტაპზე შესწაელილი უნდა იქნეს მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემადგენელი ელემენტები.

საკელევ სიდიდეზე მოქმედი ფაქტორების გაელენის გაზომეის შემდეგ გაიანგარიშება მათი აბსოლუტური გაელენა მთელ სასაქონლო პროდუქციაზე. ამისათვის საჭიროა ფაქტიური სასაქონლო პროდუქცია გეგმური ფასების შესაბამისად გადავამრაელოთ თითოეული ფაქტორის გაელენის სიდიდეზე. სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების განმაზოგადებელი მაჩვენებლის შესწაელის შემდეგ ანალიზი უნდა ჩაუტარდეს სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლებს დანახარჯთა ეკონომიკური ელემენტებისა და ეკონომიკური მუსლების მიხედვით.

§ 3. წარმოებაზე დანახარჯების ანალიზი ეკონომიკური ელემენტების მიხედვით

წარმოებაზე დანახარჯთა ნუსხა წარმოადგენს სამრეწველო პროდუქციის გამოსაშებად (ძირითადი და დამხმარე წარმოების მიერ), აგრეთვე, არასამრეწველო ხასიათის სამუშაოებისა და მომსახურეობისათვის საჭირო საერთო დანახარჯების ღირებულებით ჯამს ელემენტურ ჭრილში.

წარმოებაზე დანახარჯთა ნუსხის შედგენის მიზანია, ჯერ ერთი, განისაზღვროს საწარმოსათვის საჭირო ყველა სახის დანახარჯის ღირებულებითი სიდიდე ელემენტების მიხედვით და, მეორეც, დამყარდეს ურთიერთკავშირი თვითღირებულების გეგმასა და ბიზნეს-გეგმის სხვა განაყოფებს შორის; გარდა ამისა, წარმოებაზე დანახარჯთა ნუსხა საშუალებას იძლეა დაიყოს დანახარჯები შრომის საგნებად – ნედლეული, ძირითადი მასალები, ნახევარფაბრიკატები, დამხმარე მასალები, სათბობი და ენერგია, შრომის საშუალებებად – ძირითადი ფონდების ამორტიზაცია და ცოცხალი შრომის ანაზღაურებად – ხელფასი, მიუხედავად მათი საწარმო დანიშნულებისა და გაწეის ადგილისა.

სამრეწველო საწარმოს მიერ პროდუქციის დასამზადებლად გაწეული დანახარჯები სხვადასხვა როლს ასრულებენ წარმოების პროცესში და სხვადასხვა სიდიდისანი არიან. ასეთ ცვალებადობას განაპირობებს დარ-

გის თავისებურება და წარმოების ტექნიკური დონე. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზებისა და რეზერვების უშეცდომოდ გამოსაზღვრისათვის ეკონომიკური ანალიზის დროს, პირველ რიგში, განსაზღვრავენ წარმოებაზე დანახარჯების სტრუქტურას დინამიკაში.

წარმოებაზე დანახარჯთა ნუსხის სტრუქტურა რომ გაეიანგარიშოთ, საჭიროა მისი ცალკეული ელემენტი გავამრავლოთ 100-ზე და გავყოთ დანახარჯების საერთო ჯამზე. როგორც წესი, დანახარჯთა სტრუქტურის მაჩვენებლების ჯამი ტოლი უნდა იყოს 100-ის (იხ. ცხრილი 7. 2).

ცხრილი 7. 2

წარმოებაზე დანახარჯების სტრუქტურა

დანახარჯთა ელემენტები	გასული წლის		საანგარიშგებო წლის	
	თანხა ათას ლარ.	სტრუქტურა %	თანხა ათას ლარ.	სტრუქტურა %
ნედლეული და მასალები ნარჩენების გამოკლებით	70339	90,9	75363	91,2
დამხმარე მასალები	1178	1,5	1333	1,6
საწვავი	438	0,6	456	0,6
ენერგია	418	0,6	403	0,5
ხელფასი ძირითადი და დამატებითი	2624	3,5	2614	3,2
სოციალური ზღვევის ანარიცხები	180	0,2	170	0,2
ძირითადი ფონდების ამორტიზაცია	1120	1,4	1143	1,4
დანარჩენი ხარჯები	1037	1,3	1118	1,3
დანახარჯების ჯამი	77350	100,0	82608	100,0

ზოგადად, წარმოებაზე დანახარჯთა სტრუქტურის მიხედვით მრეწველობის ყველა დარგი იყოფა სამ ჯგუფად: ა) შრომატევადი, ბ) მასალატევადი და გ) ფონდტევადი – მათში მოთავსებული დანასარჯების ყველაზე მაღალი ხვედრითი წონის მიხედვით.

ჩაის მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულებაში ნედლეულზე და მასალებზე დანახარჯების სიდიდე 91%-ს აღემატება, ე. ი. საქმე გვაქვს მასალატევად დარგთან.

შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალური და ეკონომიკური გამოყენება წარმოების გეგმაზომიერი განვითარებისა და

ხალხის კეთილდღეობის ამაღლების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. ცნობილია, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მაღალი ტემპები მიიღწევა არსებული რეზერვების გონივრული რეალიზაციის საფუძველზე. რამდენადაც თვითღირებულება მოიცავს წარსული და ცოცხალი შრომის დანახარჯებს, რეზერვები შეიძლება დაიყოს წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის გამოყენების რეზერვად, დროის მისედვით – მიმდინარე და პერსპექტიულ რეზერვებად.

გარდა ამისა, ხარჯთა ნუსხის სტრუქტურა საგულისხმო მონაცემებს იძლევა ეკონომიკური ანალიზისათვის. მისი შესწავლის საფუძველზე კეთდება მნიშვნელოვანი ეკონომიკური დასკვნები დარგის ტექნიკური დონის ამაღლების, წარმოების შრომატევადობის შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ცოცხალი და განვითარებული შრომის დანახარჯთა თანაფარდობის ცვალებადობისა და სხვათა შესახებ.

წარმოებაზე დანახარჯების დაგეგმვის დროს გაითვალისწინება ცალკეული ელემენტების მისედვით თვითღირებულების შემცირების დავალება. იგი საშუალებას გვაძლევს უმუალო კავშირი დავამყაროთ ბიზნეს-გეგმას, მატერიალური მომარაგების გეგმას და შრომის გეგმას, ამორტიზაციის გაანგარიშებას შორის. ამრიგად, იგი საწარმოო გეგმის სხვა განაყოფებს შორის დამაკავშირებელი და მათი გაანგარიშების უტყუარობის კონტროლის საშუალებას წარმოადგენს.

დასასრულ, იგი გამოიყენება საბრუნავი სახსრების დაგეგმვის დროსაც, რამდენადაც მისი საშუალებით, ღირებულებით ფორმაში, შეიძლება დავადგინოთ საშუალოდ საწარმოს მოთხოვნილება ნედლეულზე, სათბობზე, დამხმარე მასალაზე წლის, კვარტლის, თვის განმავლობაში.

როგორც მე-2 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, წარმოების საერთო დანახარჯებში მხოლოდ ნედლეულის ერთი პროცენტით შემცირება საანგარიშებო წლის მონაცემების მისედვით საშუალოდ 0,8 მილიონ ლარ ეკონომიას იძლევა. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩაის მრეწველობაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ძირითადი რეზერვები ნედლეულისა და მასალების მუხლში უნდა ვეძიოთ.

მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია „დანახარჯები ხელფასზე“. მისი საშუალო ხვედრითი წონა საერთო დანახარჯებში 3 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. შემდეგ მოდის ამორტიზაცია – 1,3 პროცენტით; რაც შეეხება დანარჩენ ელემენტებს, მათი ხვედრითი წონა შედარებით უმნიშვნელოა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბრუნვას მათი შემცირებისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის საქმეში.

წარმოების დანახარჯების სტრუქტურის დინამიკა გვიჩვენებს, რომ სა-

წარმოში ადგილი აქვს დანახარჯების სტრუქტურულ ძვრებს; დანახარჯების აბსოლუტურ ზრდასთან ერთად იცვლება მათი სტრუქტურაც, თუმცა არათანაბარზომიერად. მაგალითად, ნედლეულის დანახარჯების ხვედრითი წონა თუ წინა წელს შეადგენდა 90,9 პროცენტს, საანგარიშგებო წელს მან შეადგინა 91,2%. შესაბამისად შემცირდა ცოცხალი შრომის დანახარჯები 3,5%-დან 3,2%-მდე. ეს განპირობებულია დარგის ტექნიკური პროგრესით. როგორც ცნობილია, ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით შეფარდებით უნდა გაიზარდოს განიეთებული შრომითი დანახარჯები და შემცირდეს ცოცხალი შრომის დანახარჯები, რამაც საბოლოო ჯამში შრომის ნაყოფიერების ზრდამდე უნდა მიგვიყვანოს.

საანგარიშგებო წელს თანაფარდობა ცოცხალ და განქვითარებულ შრომას შორის წინა წლის დონეზე რომ დარჩენილიყო, მაშინ დანასარჯები ხელფასზე საანგარიშგებო წელს ნაცვლად 2614 ათასი ლარისა, შეადგენდა 2800,0 ათას ლარს, ე. ი. 186,0 ათასი ლარით მეტს (2624 : 77350 x §2608 = 2800), 2800 – 2614 = 186,0.

§ 4. სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ანალიზი

მთელი სასაქონლო პროდუქცია იყოფა ორ ნაწილად: 1. შესადარი და 2. არაშესადარი. შესადარ სასაქონლო პროდუქციას მიეკუთვნება ის პროდუქცია, რომელსაც უშვებდა საწარმო და არა მარტო საანგარიშგებო წელს, არამედ მის წინა თუნდაც ერთ წელს და ცნობილია ამ სახის პროდუქციის ფაქტიური თვითღირებულება, ე. ი. საშუალებაა მოვახდინოთ საანგარიშგებო პროდუქციის თვითღირებულების შედარება გასულ წელს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებასთან.

არაშესადარი სასაქონლო პროდუქცია კი, როგორც თვითონ სიტყვა გვიჩვენებს, ისეთი პროდუქციაა, რომელიც ათვისებულია მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში და ჯერ არ გაგვაჩნია მისი თვითღირებულება წინა წლის ფაქტიური მონაცემებით. აქედან გამომდინარე, არაშესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვისას მოსალოდნელია უზუსტობის დაშვება. ანალიზის დროს ეს მაჩვენებლები ცალ-ცალკე განიხილება.

რადგანაც ჩაის პირველადი გადამუშავების საწარმოებისათვის მთელი სასაქონლო პროდუქცია შესადარია (თუმცა ამ უკანასკნელ პერიოდში მიმდინარეობს ცდები ახალი პროდუქციის ათვისებისა), განვიხილოთ შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ანალიზის მეთოდიკა.

როგორც პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლების განხილვის დროს აღვნიშნეთ, საწარმოები უნდა ამუშავებდნენ შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების პროექტს. განვსაზღვროთ ამ დავალების არსი და მისი ფაქტიური შესრულება.

შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების მოსალოდნელი შემცირება გაიანგარიშება ისეთი ჯგუფური ფაქტორების მიხედვით, როგორიცაა: 1. წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება; 2. წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება; 3. წარმოებული პროდუქციის მოცულობისა და სტრუქტურის ცვალებადობა და სხვა.

ფაქტორების ანალიზის დროს ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი შინაგანი, ე. ი. საწარმოს მუშაობაზე დამოკიდებული, და გარეგანი ფაქტორები – საწარმოს მუშაობაზე დამოუკიდებელი. ფაქტორების ასეთი დაჯგუფება აუცილებელია საწარმოს მუშაობის რეალური შეფასებისათვის.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე თვითღირებულების შემცირების აღრიცხვა ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორების მიხედვით საწარმოებში არ წარმოებს, რაც არ იძლევა შესაძლებლობას ჩავატაროთ თვითღირებულების შემცირების დავალების შესრულების ანალიზი ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორების მიხედვით.

იმისათვის, რომ დავადგინოთ შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ფაქტიური შემცირების აბსოლუტური სიდიდე, საჭიროა შესადარი სასაქონლო პროდუქციის საანგარიშგებო წლის ფაქტიურ თვითღირებულებას გამოვაკლოთ ამავე პროდუქციის წინა წლის თვითღირებულება.

ანალიზის შემდგომ ეტაპზე გამოვლენილი უნდა იქნეს გადახრების გამომწვევი მიზეზები, რისთვისაც საჭიროა, სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ანალიზი ჩავატაროთ მუხლობრივ ჭრილში.

§ 5. სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების მუხლობრივი ანალიზი

სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ანალიზის მიზანია: ა) განსაზღვროს ამ მაჩვენებლის გეგმის შესრულების დონე, ბ) დაადგინოს რამდენად და რა ფაქტორების ანგარიშზე მოხდა პროდუქციის თვითღირებულების ცვალებადობა, გ) გაარკვიოს როგორი გავლენა მოახდინა თვითღირებულების გეგმის შესრულებაზე საწარმოს საამქროებში გეგმით გათვალისწინებულმა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების დანერგვამ, თვითღირებულების შემდგომი შემცირების შიდასაწარმოო რეზერ-

ეების კრებსითი გაანგარიშებისა და მათი ამოქმედების წინადადებათა შემუშავების მიზნით.

7.3 ცხრილი შედგენილია წლიური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე.

ცხრილი 7.3

სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების გეგმის შესრულება მუსლობრივ ჭრილში

დანახარჯთა მუხლები	ფაქტობრივად გამოშვებული მთელი სასაქონლო პროდუქცია		გადახრა (მე-2 სვეტს—1 სვეტი)
	გეგმური თვითღირებულებით	ფაქტობრივი თვითღირებულებით	
	1	2	3
ნედლეული და მასალები	76396	76381	—65
ნაყიდი ნახევარფაბრიკატები	1020	993	—27
სათბობი და ენერგია ტექნოლოგიური მიზნებისათვის	818	859	+41
მწარმოებრივი მუშების ძირითადი ხელფასი	1820	1879	+59
მწარმოებრივი მუშების დამატებითი ხელფასი	96	99	+3
სოციალური დაზღვევის ანარიცხები	131	136	+5
დანახარჯები წარმოების მომზადებასა და ათვისებაზე	78	83	+5
დანახარჯები მოწყობილობის შენახვასა და ექსპლუატაციაზე	772	735	—37
საერთო-საწარმოო ხარჯები	1057	1054	—3
დანაკარგები წუნისაგან	—	—	—
დანარჩენი საწარმოო ხარჯები	81	75	—6
სასაქონლო პროდუქციის სრული თვითღირებულება	82269	82244	—25
წარმოების გარეშე ხარჯები	239	248	+9
სასაქონლო პროდუქციის საწარმოო თვითღირებულება	82508	82492	—16

ამრიგად, როგორც ცხრილიდან ჩანს, საწარმოს გააჩნია თვითღირებულების შემცირების დიდი რეზერვები. სასაქონლო პროდუქციის სრული თვითღირებულების მიხედვით, მიღწეულია 16 ათასი ლარის ეკონო-

მია, ანუ 0,019%, მაშინ როდესაც ცალკეული მუხლების ეკონომიის საერთო ჯამი 138 ათას ლარს შეადგენს. ამ თანხის შემცირება 122 ათასი ლარით გა მოწვეულია სათბობისა და ენერგიის ზეგეგმური ხარჯვით (41 ათასი ლარი) ხელფასის ფონდში გადახარჯვით (62 ათასი ლარი), წარმოების ათვი სებისა და მომზადების ხარჯების (5 ათასი ლარი) და წარმოების გარეშე სარჯების (9 ათასი ლარი) ზრდით. ეკონომიის ძირითადი წყაროა: ნედ ლეულისა და მასალების მუხლი (65 ათასი ლარი), მოწყობილობის შე ნახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები (37 ათასი ლარი), საერთოსაწარმოო ხარჯები (3 ათასი ლარი). ანალიზის შემდგომ ეტაპზე გამოკვლეული უნ და იქნეს ამ გადახრების გამომწვევი მიზეზები.

ა) მატერიალური დანახარჯების ანალიზი

როგორც აღვნიშნეთ, მატერიალური დანახარჯების რაციონალური გა მოყენება მრეწველობაში წარმოადგენს პროდუქციის თვითღირებულე ბის შემცირების ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორს, მაშასადამე, მათ ანალიზს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება.

მატერიალური დანახარჯების ანალიზის ამოცანებია: დაადგინოს ნედ ლეულის, მასალების, ელექტროენერგიის, სათბობის და სხვა მატერია ლური დანახარჯების ნორმების ცვალებადობის გაელენა პროდუქციის თვითღირებულებაზე; დაადგინოს დანახარჯთა გეგმური ნორმებიდან გა დახრის მიზეზები; განსაზღვროს რეზერვების სიდიდე და მათი რეალიზა ციის გზები.

მატერიალური დანახარჯების ანალიზის დროს აუცილებელია გამოე ლენილი იქნეს მათი ცვალებადობის გამომწვევ ფაქტორთა ისეთი ჯგუ ფები, როგორიცაა „ნორმის", „ფასის" და „შეცელის" ფაქტორები.

„ნორმის" ფაქტორში იგულისხმება გეგმით დადგენილი ნორმები დან ფაქტიურის გადახრის გავლენა პროდუქციის თვითღირებულება ზე. „ფასის" ფაქტორი მოიცავს არა მარტო მომწოდებლის ფასების ცვა ლებადობას ნედლეულსა და მასალებზე, არამედ სატრანსპორტო დამ ზადების ხარჯების ცვალებადობასაც. „შეცვლის" ფაქტორი გულის ხმობს მატერიალური დანახარჯებიდან რომელიმეს შეცელას დამხმა რე მასალებში და პროდუქციის თვითღირებულებაზე მისი გაელენის გაზომვას. ანალიზის ამ ეტაპზე დამატებით უნდა განესაზღვროთ ნედ ლეულის გეგმური დანახარჯების დონიდან გადახრის გამომწვევი ისე თი ფაქტორები, როგორიცაა პროდუქციის მოცულობის ცვლილება, და ნახარჯების დონის ცვლილება და ასორტიმენტული ცვლილება. საანა ლიზოდ შედგენილია 7. 4 ცხრილი.

	ნედლეულის და მასალების დანახარჯები სასაქონლო პროდუქციაზე			გადახრა			
				სულ	მათ შორის		
	გეგმით	გადაანგარიშებული მაჩვენებელი	ფაქტიურად	სვ. 3 სვ. 1	პროდუქციის მოცულობის ანგარიშზე	ასორტიმენტული ცვლების ანგარიშზე	დანახარჯების დონის ცვლილების ანგარიშზე
	1	2	3	4	5	6	7
ნედლეული და მასალები	70689	76396	76331	+5642	+1413	+4294	–65,0

როგორც ცხრილის მე-4 სვეტიდან ჩანს, ნედლეულის ფაქტიური დანახარჯები დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 5642 ათ. ლარით გაიზარდა, მათ შორის:

1. პროდუქციის მოცულობის 2%-ით ზრდის ანგარიშზე [(70689x102:100)-70689=72102-70689]=1413 ათასი.

2. ასორტიმენტული და სტრუქტურული ცვლილების გაანგარიშებით 76396–72102=+4294 ათასი ლარით.

3. დანახარჯების დონის ცვლილების გავლენის შედეგად 76331–76393=—65 ათასი ლარით.

სამივე ფაქტორის გავლენის ჯამი უდრის საერთო გადახრას 5642=(1413+4294–65).

ჩაის ფოთლის ხარისხზე დიდადაა დამოკიდებული მისაღები პროდუქციის რაოდენობა, ხარისხი, ვინაიდან რაც უფრო მაღალია ჩაის ფოთოლში ტენიანობა, მით ნაკლებია გამოსავლიანობა. ამავე დროს, რაც უფრო ნაზია ფოთოლი და, ე. ი. მაღალია მასში ტენიანობა, მაშასადამე, დაბალი იქნება მზა პროდუქციის გამოსავლიანობა. თუ ჩაის ფაბრიკებში ჩაის ფოთლის ხარისხი არ იქნება კეთილსინდისიერად დადგენილი, მაშინ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჩაის ხარისხების ხელოვნურ არეევას პროდუქციის გამოსავლიანობის ზრდისა და თვითღირებულების შემცირების თვალსაზრისით.

ნედლეულისა და მასალების მუხლის ანალიზის შემდეგ განიხილება დანარჩენი მატერიალური დანახარჯების ამსახველი მუხლები. ეს საკითხი განხილულია წინა ნაწილში.

ბ) ხელფასზე დანახარჯების ანალიზი

თვითღირებულების ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ხელფასის ფონდის გამოყენების ანალიზი, რამდენადაც ხელფასის ფონდი ეფექტურად გამოყენება მძლავრი ბერკეტია შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა.

ხელფასის დანახარჯების ანალიზის დროს ძირითადი ამოცანაა შეისწავლოთ გეგმური ფონდის რეალობა, დავადგინოთ გაღახრები გეგმიდან (ეკონომია, გაღახარჯვა), ამ გაღახრების გამომწვევი მიზეზები და ღავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი ხელფასის ფონდის უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის.

ანალიზის წყაროა: კალკულაციები; სტატისტიკური ანგარიშგების ფ. 2–შ (ანგარიშგება შრომის გეგმის შესრულების შესახებ); საბაბელო აღრიცხვის მასალები; გამომუშავების დოკუმენტები; ხელფასის დარიცხვის უწყისები და სხვა.

ხელფასის ფონდის გამოყენების ანალიზი იწყება გეგმური და ფაქტიურად გაცემული ხელფასის მაჩვენებლების დაპირისპირებით, რის შედეგადაც გამოვლინდება ხელფასის ფონდში აბსოლუტური გაღახრა, ეკონომია ან გაღახარჯვა. მე-5 ცხრილის მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ საკვლევ ობიექტს მთელი პერსონალის ხელფასის ფონდში დაშვებული აქვს აბსოლუტური გაღახარჯვა 63,5 ათასი ლარი (3157,2 – 3093,7), რაც ძირითადად მუშების ხელფასის ფონდზე მოღის. ხელფასის ფონდის ხარჯვის გეგმა საწარმოს 102,05%-ით შეუსრულებია (4157,2; 3093,7 x 100); იმასთან დაკავშირებით, რომ ხელფასის ფონდის ძირითადი ნაწილის სიდიდე დამოკიდებულია წარმოების მოცულობის ცვალებადობაზე, როგორც წესი, ხელფასის ფონდი ღიდღება ან მცირდება საერთო პროდუქციის (ან სხვა რომელიმე წარმოების მოცულობის მაჩვენებლის), გეგმის გადაჭარბების ან შემცირების პროცენტით.

მე-5 ცხრილის მე-3 სვეტში მოცემული გაღაანგარიშებული ხელფასის ფონდი წარმოადგენს ნამრავლს გეგმური ხელფასის ფონდისა (სვ. 2) და საერთო პროდუქციის გეგმის შესრულების %-ისა (102,0%). მე-6 სვეტის მონაცემები გვიჩვენებს, რომ საწარმოს დაუშვია ხელფასის ფონდში შეფარდებითი გაღახარჯვა, მთელი პერსონალის მიხედვით 1,5 ათასი ლარით (3157,2–3155,7), მუშების ხელფასის ფონდში კი 26,0 ათასი ლარი (1939,2–1913,3).

ხელფასის ფონდის ხარჯვა კატეგორიების მიხედვით

(ათასი ლარი)

	გეგმით	გადაანგარიშებული გეგმით	ფაქტობრივად	გადახრა გეგმიდან	
				ფაქტობრივის (სვ. 4 — სვ. 2)	გადაანგარიშებულის (სვ. 4 — სვ. 3)
1	2	3	4	5	6
მთელი პერსონალის ხელფასის ფონდი	3093,7	3155,7	3157,2	+63,5	+1,5
მათ რიცხვში სამრეწველო საწარმოო პერსონალის	2548	2599	2611,5	63,5	1,5
მათ შორის მუშების	1875,8	1913,3	63,5	26,0	
მოწაფეების	—	X			
ი. ტ. პ.	539,0	X	539	0	X
მოსამსახურეების	102,0	X	102	0	X
უმცრ. მომს. პერსონალის	24	X	2,4	0	X
დაცვის მუშაკების	26,8	X	28,8	0	X
არასამრეწველო ორგანიზაციის პერსონალის ხელფასის ფონდი	545,7	X	545,7	0	X

ხელფასის ფონდის შეფარდებითი გადახარჯვის გაანგარიშების დროს დროითი პერსონალის ხელფასის კორექტირება არ ხდება, რადგან მათი ხელფასის სიდიდე წარმოების მოცულობის ცვალებადობაზე არაა დამოკიდებული. გაირკვევა რა ხელფასის ფონდში დაშვებულ გადახრათა სიდიდე, ანალიზის შემდგომ ეტაპზე საჭიროა გამოკელეულ იქნეს ამ გადახრების გამომწვევი ფაქტორები და მათი გაელენის სიდიდე იმასთან დაკავშირებით, რომ ხელფასის ფონდის აბსოლუტური სიდიდე ძირითადად პერსონალის რაოდენობისა და საშუალო ხელფასის სიდიდით განისაზღვრება, მიზანშეწონილია გაზომილი იქნეს ამ ფაქტორების გაელენა ხელფასის ფონდის ხარჯვაზე.

ხელფასის ფონდის გამოყენების დასასაბუთებლად მიზანშეწონილია აგრეთვე გამოითვალოს მაჩვენებლები ხელფასის დახარჯისა საერთო პროდუქციის 1 ლარზე (ცხრილი 7. 6). ცხრილის მონაცემები საშუალების

გვაძლევს დავასკვნათ: გეგმა ითვალისწინებდა 1 ლარ საერთო პროდუქციაზე ხელფასის დანახარჯების შემცირებას 0,0056 ლარით ანუ 8,1 პუნქტით (100–91,9); ფაქტიურად დანახარჯები 0,00156 თეთრით ი ქნა შემცირებული, ხოლო ფაქტიურმა დანახარჯებმა გეგმურს 0,0014 ლარით გადააჭარბა. ამ ორი ფაქტორის გავლენის გაზომვით ირკვევა, რომ ხელფასის ფონდის ხარჯვის გაუარესების ანგარიშზე ხელფასის ფონდის გადახარჯვამ 12,1 ათასი ლარი შეადგინა: (0,02977–0,02963) x 87735,0. წარმოების მოცულობის ცვალებადობის ანგარიშზე კი ხელფასის ფონდი გადაიხარჯა 51,0 ათასი ლარით (87735–86000) x 0,02963=51,4. ორივე ფაქტორის გავლენის ჯამი ტოლია საერთო გადახრის (12,1+51,4) 63,5 ათ. ლარის.

ცხრილი 7. 6

ხელფასის ფონდის გამოყენების მაჩვენებელი

მაჩვენებლები	გასულ წელს	საანგარიშგებო წელს		მაჩვენებლების დინამიკა %-ობით		
		გეგმა ათას ლარ.	ფაქტობრივად ათ. ლარ.	გეგმა წინა წლის მიმართ (სვ. 3 x 100)	ფაქტობრივი გეგმის მიმართ (სვ. 4 x 100)	ფაქტობრივი წინა წლის მიმართ (სვ. 4 x 100)
				სვ. 2	სვ. 3	სვ. 2
1.საერთო პროდუქცია	81085	86000	87735	104,9	102,0	107,0
2.საშრ.წ. საწარმოო პერსონალის ხელფასის ფონდი	2639,5	2548,0	2611,3	96,5	102,4	99,0
3. ხელფასის ფონდის დანახარჯი საერთო პროდუქციის 1 ლარზე (სტრ. 2 სტრ. 1)	0,032	0,030	0,020	91,9	100,7	92,9

შემდგომ ეტაპზე გაანალიზებული უნდა იქნეს მუშების ხელფასის ფონდის შემადგენლობა, რათა გამოვლინდეს გაუმართლებელი გადახრები, რაც თვითღირებულების შემცირების რეზერვს წარმოადგენს.

ხელფასის დანახარჯთა ანალიზის მნიშვნელოვანი საკითხია საშუალო

ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების შედარება. რომ გორც წესი, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი წინ უნდა უსწრებდეს ხელფასის ზრდის ტემპს, რათა ეზრუნველყოთ დაგროვებისა და მოხმარების ფონდების ზრდა.

შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპების შესაბამისობის ანალიზისათვის ინფორმაცია აიღება ანგარიშგების სათანადო ფორმებიდან, რითაც გაიანგარიშება პერსონალის საშუალო, წლიური, კვარტალური ან თვიური ხელფასი და შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები. საშუალო ხელფასის გაანგარიშება უმჯობესია ორ ჭრილში მოსდეს: პრემიების გარეშე და პრემიებით. ანალიზისათვის უმჯობესია ამ მაჩვენებლების წარმოდგენა უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, რათა თვალნათლივ გამოჩნდეს წარმოებაში წარმოქმნილი სიტუაცია. მე-7 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ საკვლევ ობიექტში კანონზომიერებაა დაცული შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპებს შორის, შრომის ნაყოფიერების წინსწრების გეგმური კოეფიციენტია 1,057, ფაქტიურმა კი მიაღწია 1,063-ს.

ცხრილი 7. 7

შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპების თანაფარდობა

	გასულ წელს	საანგარიშგებო წელს		ზრდის ტემპი %-ით	
		გეგმით	ფაქტობრივად	გეგმის მიმართ	გასული წლის მიმართ
1.ერთი მომუშავის საშუალო წლიური გამომუშავება	62110	66900	66016	106,1	106,3
2.ერთი მომუშავის საშუალო წლიური ხელფასი	2144	2152	2144	100,4	100,0
3.წინსწრების კოეფიციენტი				$\frac{106,3}{100} = 1,053$	$\frac{106,3}{100} = 1,053$

გ) კომპლექსური ხარჯების ანალიზი

ამ მართვის ხარჯების შემადგენლობაში შედის ისეთი კომპლექსური შუხლები, როგორიცაა: დანახარჯები წარმოების მომზადებასა და ათვისებაზე; დანახარჯები მოწყობილობათა შენახვასა და ექსპლუატაციაზე; საერთო-საქარხნო ხარჯები. ამ ხარჯებს კომპლექსური ეწოდება იმიტომ, რომ ისინი შედგებიან დანახარჯთა რამდენიმე სხვადასხვაგვარი ეკონომიკური ელემენტისაგან.

სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურაში ამ ხარჯების ხვედრითი წონა, მართალია, დაბალია (დაახლოებით 3 პროცენტამდე%, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ ეკონომიკურ ანალიზს ნაკლები ყურადღება მიექცეს. ამ სახის დანახარჯთა ანალიზმა სამუალება უნდა მოგვცეს სათანადო დასკვნების გაკეთების იმის შესახებ, თუ როგორ ღონისძიებებს ატარებს გაერთიანება პირობით უცვლელი ხარჯების შემცირებისათვის, საწარმოთა და გაერთიანებათა მართვის სრულყოფისათვის, მრავალრგოლიანობის შემცირებისათვის და ა. შ.

კომპლექსური ხარჯების ანალიზი იწყება ფაქტიური მაჩვენებლების შედარებით გეგმურ მაჩვენებლებთან, როგორც მთლიანად ჯამობრივად, ისე ცალკეული მუხლებისა და ელემენტების მიხედვით. მარტო ჯამობრივი მაჩვენებლების შედარება ვერ მოგვცემს კომპლექსური ხარჯების გეგმის შესრულების სრულ დახასიათებას და ვერ გამოავლენს მათი შემცირების შესაძლებლობებს, ვინაიდან საერთო მონაცემების მიღმა შეიძლება იმალებოდეს გადახარჯვები ამა თუ იმ ელემენტში, რომელიც სხვა ელემენტში მიღწეული ეკონომიით იფარება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანალიზის დროს მსჯელობაში უნდა მივიღოთ, რომ კომპლექსური ხარჯები ნაწილდება წარმოების მოცულობაზე დამოკიდებული, ე. ი პირობითა-ცვალებად ხარჯებად და წარმოების მოცულობაზე დამოუკიდებელ, ე. ი. პირობით-მუდმივ ხარჯებად.

როგორც აღვნიშნეთ, წარმოების მომსახურებისა და მართვის* ხარჯების ანალიზი მათი საერთო დონისა და დინამიკის შესწავლით უნდა იქნეს დაწყებული.

დ) თვითღირებულების დანარჩენი კომპლექსური მუხლების ანალიზი

აქ განიხილება ისეთი მუხლების ანალიზის მეთოდიკა, როგორიცაა: დანაკარგები წუნისაგან; დანარჩენი საწარმოო ხარჯები და წარმოების გარეშე ხარჯები და სხვა.

---

* მმართველობის ხარჯები მოქმედი მეთოდიკით ფინანსურ შეღავათებს მიეკუთვნება. საბოლოო შეღავათებზე გაანგარიშება არ ხდება.

დანახარჯები წარმოების მომზადებასა და ათვისებაზე. როგორც სათაურიდან ჩანს, დაკავშირებულია ახალი სახის პროდუქციის ათვისებასთან, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვასთან, ამასთან დაკავშირებით საწარმოს მომზადებასთან ახალი პროდუქციის გამოსაშვებად და სხვა.

ანალიზის მიზანია შეამოწმოს ამ ხარჯების დონე, დინამიკა და გეგმის შესრულების ხარისხი, ამ დანახარჯების დაფარვა წყაროებისა და შესრულების გრაფიკის მიხედვით.

ჩვენი საკვლევი ობიექტის მიხედვით ასეთი ხარჯების გეგმური სიდიდე წარმოების ფაქტიური სიდიდის პირობებში შეადგენდა 78 ათას ლარს, ფაქტიურად კი შეადგინა 83 ათასი, ე. ი. გადასარჯვამ შეადგინა 5 ათასი ლარი. ანალიზის პროცესში უნდა გაირკვეს ამის გამომწვევი მიზეზები.

დანაკარგები წუნისაგან. წარმოებაში წუნად ითვლება ის პროდუქცია, ნახევარფაბრიკატი, რომელიც თავისი ხარისხით არ შეესაბამება დაწესებულ სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებს და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისი პირდაპირი დანიშნულებით, ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ გამოსწორებაზე დამატებითი ხარჯების გაწევის შემდეგ. საერთოდ, პრაქტიკაში წუნი იყოფა გამოსასწორებელ და გამოუსწორებელ წუნად. წუნის აღმოჩენის ადგილის მიხედვით იგი იყოფა: შინაგან წუნად, როცა ის გამოვლინდება საწარმოში პროდუქციის გაგზავნამდე, და გარეგან წუნად, როცა ის გამოვლინდება მომხმარებელთან.

შინაგანი საბოლოო წუნის თვითღირებულება შედგება მზა პროდუქციის საფაბრიკო-საქარხნო თვითღირებულების კალკულაციისათვის დადგენილი ყველა მუხლით გაწეული ფაქტიური დანახარჯებისაგან, გარდა ისეთი კომპლექსური მუხლებისა, როგორიცაა: „საერთო-სამეურნეო ხარჯები“, „წუნისაგან დანაკარგები“, „ახალი სახის პროდუქციის წარმოების ათვისების ხარჯები“. წუნის გამოსწორების ხარჯები შედგება პროდუქციის გამოსწორებაზე დახარჯული მასალების ღირებულების, წუნის ოპერაციების გამოსწორებაზე დარიცხული ხელფასის და საამქრო ხარჯების ხვედრითი თანხებისაგან.

გარეგანი წუნის ღირებულება შედგება მყიდველის მიერ დაწუნებული პროდუქციის საწარმოო თვითღირებულებისაგან, აგრეთვე ამ პროდუქციის გამოსწორების, შეცვლის და ტრანსპორტირების ხარჯებისაგან. წუნის მიმდინარე აღრიცხვაში აისახება გამოვლენილ შინაგან ან გარეგან წუნთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და წუნისაგან დანაკარგების შემამცირებელი თანხები.

კომერციული ანგარიშის პრინციპი მოითხოვს, რომ წუნისაგან დანა-

კარგები აღირიცხოს, გამომწვევი მიზეზების ჩვენებით, წუნის მკეთებლებს უნდა დაეკაკოს მიყენებული ზარალი.

ანალიზის მიზანია გამოავლინოს წუნისაგან დანაკარგების სიდიდე, მისი გამომწვევი მიზეზები და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი წუნისაგან დანაკარგების შესამცირებლად.

წუნისაგან დანაკარგების ანალიზი უნდა დაიწყოს საანგარიშგებო პერიოდში წუნდებული პროდუქციის ღირებულების შედარებით გასული წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. აბსოლუტური გადახრების გამოვლენის შემდეგ საჭიროა გაანგარიშებულ იქნეს წუნისაგან დანაკარგების შეფარდებითი მაჩვენებლები, რომელიც გაიანგარიშება წუნისაგან დანაკარგების თანხის შეფარდებით საერთო პროდუქციის 100 ლარზე.

ანალიზის შემდგომ ეტაპზე კი უნდა გაიშიფროს წუნისაგან დანაკარგების თანხა, მისი წარმოქმნის მიზეზების მიხედვით. ასეთი ანალიზისათვის ინფორმაცია აღებული უნდა იყოს პირველადი აღრიცხვიდან, კერძოდ, ჩანაწერები ანგარიშიდან „წუნი წარმოებაში", – პროდუქციის ხარისხის აქტებიდან, რეკლამაციებიდან და სხვა.

რადგან წუნის მიზეზები მრავალია, ანალიზის დროს ისინი კლასიფიცირებული უნდა იყოს ჯგუფებად. ასე, მაგალითად, ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის მიზეზები, პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია და სხვა.

იმ წუნისაგან გამოწვეული დანაკარგების ხვედრითი წონის შემცირება, რომელიც დამოკიდებულია უშუალოდ საწარმოს საქმიანობაზე, მიგვანიშნებს იმაზე, რომ საწარმომ გააუმჯობესა მუშაობა პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიხედვით.

ანალიზის დასკვნით ეტაპზე უნდა დამუშავდეს ღონისძიებანი წუნისაგან დანაკარგების სალიკვიდაციოდ.

წარმოების გარეშე ხარჯების ანალიზი. სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების მუხლი – „წარმოების გარეშე ხარჯები", მოიცავს ძირითადად მზა პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ნორმატიული მასალებით ამ მუხლში შეიტანება: ხარჯები შესაბამისი პროდუქციის ტარაზე და შეფუთვაზე, ხარჯები პროდუქციის გაგზავნის სადგურამდე მიტანაზე, ჩატვირთვაზე, საკომისიო ჯილდოები გადახდილი საწარმოს მიერ გამსაღებელი ორგანიზაციისათვის და მასალების სხვა ხარჯები.

ანალიზის მიზანია გამოიკვლიოს დანახარჯთა ნუსხის სისწორე და მისი ფაქტიური შესრულება მუხლობრივ ჭრილში. ასევე დადგენილი უნდა იქნეს, თუ რამდენად შეესაბამება წარმოების გარეშე ხარჯების დონე და დინამიკა წარმოების მოცულობის ზრდას და იმ მოთხოვნებს, რაც დღევანდელ ეტაპზე წაყენებული აქვთ საწარმოებს ხარისხიანი პროდუქციის

სახალხომეურნეობრიეი მოთხოვნილებების დროულად და ხარისხიანად დაკმაყოფილების საქმეში.

ანალიზისათვის წყაროს წარმოადგენს ბიზნეს-გეგმიდან – წარმოების გარეშე ხარჯების ნუსხა. წ/ანგ. ფ. „სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება“ და ბულალტრული ანგარიშის (43 „წარმოებისგარეშე ხარჯები“) ანალიზური ჩანაწერები. ანალიზის დროს მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამ ხარჯების ძირითადი ნაწილი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია პროდუქციის რეალიზაციის მოცულობასთან და საჭიროა გეგმური დანახარჯების კორექტირება რეალიზაციის გეგმის შესრულების %-ის მიხედვით.

დამთავრდება რა მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ანალიზი, ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს გადახრები და გადახრების გამომწვევი ფაქტორები ცალკეული მუხლების მიხედვით. მაგრამ ეს რეალური რეზერვების შესახებ კიდევ არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას, ვინაიდან სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება თავისთავში აერთიანებს მრავალი სახის და ხარისხის პროდუქციას. ე. ი. ანალიზის შემდგომ ეტაპზე საჭიროა კალკულაციების ანალიზი.

§ 6. ცალკეული სახის პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის ანალიზი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კალკულაცია ნიშნავს ცალკეული სახის პროდუქციის ერთეულის (საკალკულაციო ერთეულის) თვითღირებულების გადანგარიშებას დანახარჯთა ეკონომიკური მუხლების მიხედვით. მაშასადამე, რამდენადაც თვითღირებულების სხვა მაჩვენებლებისაგან განსხვავებით მასზე გავლენას არ ახდენს გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, ასორტიმენტული და სტრუქტურული ძვრები, იგი პროდუქციის თვითღირებულების შემცირების რეზერვების გამოვლენის კარგ საშუალებას იძლევა.

სასაქონლო პროდუქციის შემადგენლობაში სხვადასხვა სახის და ხარისხის პროდუქცია შედის; თითოეული მათგანის თვითღირებულების გეგმის შესრულება უშუალოდ მოქმედებს მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების გეგმის შესრულებაზე. ე. ი. ასეთი ანალიზი საშუალებას არ იძლევა რეზერვების გამოვლენისას, აქედან გამომდინარე, აუცილებელია მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ანალიზის შემდეგ ანალიზი ჩაუტარდეს სასაქონლო პროდუქციის შემად-

გენლობაში შემაეალ ყველა სახის პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციებს გადამუშაების ცალკეული ფაზების მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თვითღირებულების კალკულაციის ანალიზის ძირითადი მიზანია: ა) შეისწავლოს სასაქონლო პროდუქციის შემადგენლობაში შემაეალი ყველა ძირითადი სახის პროდუქციის თვითღირებულება მუხლობრივ ჭრილში, გეგმური თვითღირებულებიდან გადახრების გამოვლენის მიზნით; ბ) გაზომოს თითოეული სახის პროდუქციის თვითღირებულების ცვალებადობის გავლენა მთელ სასაქონლო პროდუქციაზე; გ) შეიმუშაოს კონკრეტული წინადადებანი გამოვლენილი რეზერვების სარეალიზაციოდ.

ანალიზისათვის ძირითად წყაროს წარმოადგენს საგეგმო და საანგარიშგებო კალკულაციები, ნორმატიული მასალები და სხვა.

პირველ რიგში, ანალიზი უნდა ჩაუტარდეს იმ სახის პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციებს, რომელთა ხვედრითი წონა მაღალია სასაქონლო პროდუქციის შემადგენლობაში.

საკვლევი ობიექტის სასაქონლო პროდუქციის ღირებულებითი შემადგენლობის სტრუქტურა ასეთ სურათს იძლევა:

1. შაეი ბაიხის ჩაი – 62%.
2. მწვანე ბაიხის ჩაის – 30%.
3. ლაო ჩაი – 2,0%.
4. სავაჭრო ნარევი – 3,0%.

შესაბამისად უნდა ჩატარდეს მათი თვითღირებულების კალკულაციის ანალიზი. მაგალითად, შაეი ბაიხის ჩაის კალკულაციის ანალიზისას თითოეულ მუხლში მიღებული გადახარჯვის ან ეკონომიის თანხის გამრავლებით მთელს სასაქონლო პროდუქციის ღირებულებაზე ვღებულობთ საერთო გადახარჯვას ან ეკონომიას.

ანალიზის შემდგომ ეტაპზე, პირველ რიგში, საჭიროა განვიხილოთ კალკულაციის I ნაწილი, სადაც მოცემული გვაქვს ნედლეულის დანახარჯები ნორმით და გეგმით. ვადგენთ ცხრილს, რომლის მონაცემები საშუალებას გვაძლევს გავზომოთ ნედლეულის ღირებულებიდან გადახრაზე „ნორმისა“ და „ფასის“ ფაქტორის ცვალებადობის გავლენა, აბსოლუტური სხვაობის ხერხით.

თვითღირებულების შემცირების რეზერვების გამოვლენის მიზნით ცალკეული სახის პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის ანალიზი აუცილებლად უნდა ჩატარდეს არა მარტო საკვლევ ობიექტში, არამედ საწარმოთაშორისო მასშტაბით. პრაქტიკამ ცხადყო, რომ პროდუქციის

თვითღირებულების კალკულაციის საწარმოთაშორისო ანალიზი რეზერვების გამოვლენის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ შედარებითი ანალიზის ჩატარების ხარისხი დიდადაა დამოკიდებული კალკულაციის მონაცემთა შესადარისობაზე.

პროდუქციის თვითღირებულების ანალიზის დასკვნით ეტაპს გამოვლენილი რეზერვების კრებსითი გაანგარიშება და რეკომენდაციების დამუშავება წარმოადგენს. ამ ეტაპზე უნდა ვეცადოთ, რომ თითოეული რეზერვი განმეორებით არ აისახოს ნაერთში.

§ 7. პროდუქციის თვითღირებულების ოპერატიული და პერსპექტიული ანალიზის საკითხები

ოპერატიულ-ტექნიკური ანალიზის მიზანია ხელი შეუწყოს წარმოების თანაბარზომიერად და რიტმულად მუშაობას, ოპერატიულად გამოავლინოს წარმოების ყველა უბანზე გეგმიდან გადახრები, ამ გადახრების გამომწვევი მიზეზები და ოპერატიულადვე დასახოს საქმიანი და კონკრეტული წინადადებები გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ და მიღწევების განსაზოგადებლად.

პროდუქციის თვითღირებულების ოპერატიული ანალიზის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგი სახის სამუშაოებს:

ა) ნედლეულის დანახარჯების ნორმების კონტროლს სეზონის განმავლობაში (თვეების მიხედვით) ჩაის ფოთლის ხარისხების გათვალისწინებით;

ბ) დანარჩენი მატერიალური დანახარჯების ნორმების ოპერატიულ კონტროლს;

გ) შრომისა და ხელფასის დანახარჯების ოპერატიულ კონტროლს კალკულაციურ ჭრილში;

დ) კომპლექსური დანასარჯების ოპერატიულ კონტროლს ერთეულ პროდუქციაზე გაანგარიშებით.

ანალიზის პროცესში უნდა დადგინდეს პროდუქციის ფაქტიური თვითღირებულების მაჩვენებლის გადახრები გეგმურთან შედარებით მიზეზთა ჩვენებით. ოპერატიული ანალიზის ძირითადი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფი რეაგირება მოახდინოს გამოვლენილ ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის და მიღწეული წარმატებების განსაზოგადებლად.

დღეისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაწილობრივაა დამუშავებული ოპერატიული ანალიზის მეთოდოლოგია, თუმცა აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება ერთი დარგისათვის დამუშავებული

მეთოდიკა მეორე დარგისათვის უცელელად გამოდგეს. ე. ი. საჭიროება მოითხოვს მეჩაიეობის დარგისათვის შეიქმნას ოპერატიული ანალიზის ჩატარების დარგობრივი მეთოდიკა. წინამდებარე შრომა ნაწილობრივ ამ ნაკლოვანების გამოსწორებასაც ისახავს მიზნად, თუმცა ყველა საკითხის სათანადო დონეზე გადაჭრის პრეტენზიას სრულებითაც არ აცხადებს, რამდენადაც ჩაის მრეწველობა ერთობ რთული და სპეციფიკური დარგია.

წინა პლანზეა წამოწეული იმ საკითხების ანალიზური კვლევა, რომლებიც, ჩვენი აზრით, არსებითად განსაზღვრაენ პროდუქციის თვითღირებულების ცვალებადობის საკითხს.

პროდუქციის თვითღირებულების პერსპექტიული ანალიზი და მართვა. პროდუქციის თვითღირებულების პერსპექტიული ანალიზი მეტად რთული და ძნელი საქმეა. ეს სიძნელეები გამოწვეულია მთელი რიგი გარემოებით.

ჯერ ერთი, არ არსებობს პერსპექტიული ანალიზის ჩატარების დარგობრივი მეთოდიკები; მეორე, ჭირს საანალიზოდ საჭირო ინფორმაციის მოპოვება; მესამე, დღემდის ჯეროვნად არაა შეფასებული პერსპექტიული ანალიზის მნიშვნელობა საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლის საქმეში. აღნიშნული განაპირობებს იმას, რომაც გეყავს სპეციალისტები ამ ფრიად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების წარმატებით გადაჭრისათვის. დღეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლების როგორც ოპერატიული, ისე პერსპექტიული ანალიზის ჩატარების პრაქტიკაში დანერგვას. ამისათვის საჭიროა მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, მათ შორის მთავარ საკითხად მიგვაჩნია პროდუქციის თვითღირებულების მართვა ანალიზის შედეგების საფუძველზე. აქვე უნდა დავძინოთ, რომ დროა შეიცვალოს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის მისწრაფების მოქმედი პრინციპები. ჩვენი აზრით, აქ საკითხი ასე უნდა დაისვას: თვითღირებულებაში მიღწეულმა ეკონომიამ როგორ იმოქმედა პროდუქციის ხარისხზე? მის საბოლოო შედეგზე? ე. ი. ამ დროს ასე ისმის კითხვა – თვითღირებულებაში მიღწეულმა ეკონომიამ ხომ არ გააუარესა პროდუქციის ხარისხი? მისი ორგანოლეპტიკური თვისებები? და თუ ასეთი რამ შეიმჩნევა, მაშინ ასეთი ეკონომია განხილული უნდა იქნეს როგორც დანაშაული და მასზე პასუხი უნდა აგოს საწარმოს ხელმძღვანელობამ. აქედან გამომდინარეობს ის აზრი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გამართლებულად უნდა ჩაითვალოს თვითღირებულებაში დამ-

ვებული გადახარჯვა, თუ იგი გამოწვეულია ობიექტური მიზეზებით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ფაბრიკის, ფირმის ავტორიტეტის დაცვისათვის.

პროდუქციის თვითღირებულების ოპერატიული და პერსპექტიული ანალიზის ჩატარების ერთ-ერთ ძირითად ხელშემშლელ პირობად მიგვაჩნია დანახარჯების ნორმირების დაბალი დონე. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ხელი უნდა შეუწყოს ამ ნაკლოვანებების სწრაფ გამოსწორებას.

ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკების სამეურნეო საქმიანობის პროცესების მართვის არსებული მდგომარეობის შესწავლამ დაგვარწმუნა იმ ჭეშმარიტებაში, რომ ამ დარგში გარდუვალი აუცილებლობაა პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანალიზის მდგომარეობის რადიკალური გარდაქმნა.

პირველ რიგში აუცილებელია წარმოების დანახარჯების ნორმირების მოწესრიგება.

დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს დანახარჯების ნორმირების საკითხი ცალკეული ზონის ფაბრიკებისათვის და სეზონის პერიოდებისათვის.

მიღწეული უნდა იქნეს ინფორმაციის ოპერატიულად მიღება:

ა) ნედლეულის და მასალების დანახარჯების ნორმიდან გადახრაზე;

ბ) ხელფასის დანახარჯების ნორმიდან გადახრაზე;

გ) წუნდებულ პროდუქციაზე;

დ) უნაყოფო ხარჯებზე და სხვა.

ოპერატიული ინფორმაციის მიღებისათვის მრავალი ხერხი გამოიყენება. ასე, მაგალითად, ავტომატური მრიცხველები, ტელეფონები და კომუტატორები, ტელეხელვა, საკონტროლო მონაცემები, მიმღინარე აღრიცხვის მასალები და სხვა. ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ინფორმაციის მიღებისათვის გამოყენებულ იქნეს ავტომატური მრიცხველები, სამრეწველო ტელეხედვა და ლაბორატორიული კონტროლი.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის რეალურობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ოპერატიული ანალიზი ვერ აღწევს მიზანს, ხოლო პერსპექტიული ანალიზი კი კარგავს თავის აზრს.

მართვის აღმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით 1950-1990 წლებში რესპუბლიკაში ჩაის წარმოება შვიდჯერ, ხოლო პლანტაციების მოსავლიანობა ხუთჯერ გაიზარდა. 1987-1990 წლებში ჩაის მწვანე ფოთლის საპექტარო მოსავლიანობამ 100 ცენტნერს გადააჭარბა, მაშინ როცა

ჩვენი წამყვანი მეცნიერების განსაბღვრით, მოსავლიანობის ოპტიმალურ დონედ 60-70 ცენტნერია მიჩნეული; ხოლო მეჩაიეობის კლასიკურ ქვეყნებში ეს ციფრი გაცილებით უფრო დაბალია. ჩაის ფოთლის მოსავლიანობის რაოდენობრივი ზრდით გატაცებამ საბერეებად „დააბერა“ ჩაის ბუჩქები, დააკნინა და კატასტროფის წინაშე დააყენა მცენარე. თაეის მხრივ, უხარისხო ჩაის ფოთლის კრეფამ საგრძნობლად დასცა მწარ ჩაის ხარისხი და ქართული ჩაის პრესტიჟი მთელი ქვეყნის მასშტაბითაც და საბჭოთა-გარეთის ბაზარზეც.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდები იცვლება მართვის ეკონომიკური მეთოდებით. განელილი პერიოდის მაჩვენებლების ანალიზი კი ცხადყოფს, რომ ეკონომიკის გაჯანსაღებაში არსებითი ძერები არ შეიმჩნევა. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ დღემდე მთლად არაა მიკვლეული მართვის სრულყოფილი მექანიზმი. ჩაის მრეწველობის საწარმოთა მაჩვენებლების ტექნიკურ-ეკონომიკურმა ანალიზმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მართვის ეკონომიკური მეთოდების ქმედითუნარიანობის ამაღლებას ხელს შეუწყობს რაოდენობრიობის თვისებრიობაში გადასვლის ეკონომიკური კანონის ამოქმედება.

* * *

თუ როგორი ღამოკიდებულება იყო ჩვენთან ჩაის პროდუქციის ხარისხისადმი, ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის შემდეგი სტატისტიკური ინფორმაცია: იაპონიაში თითქოს იმდენ ჩაის პლანტაციას, რამდენიც ჩვენთანაა, ემსახურება 7200 ჩაის გადასამუშავებელი ფაბრიკა, ჩვენთან – 83 (!); ინდოეთსა და შრილანკაში მეჩაიეს ღღეში მხოლოდ 12-16 კგ ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის უფლებას აძლევენ, ჩვენთან კი ზოგიერთი მეჩაიე 200-300 კგ-ს კრეფდა, ოღონდ მოეკრიფა (!!!).

ამრიგად, ჩვენთან ტენდენცია იყო: ა) საწარმოთა რაოდენობის შემცირების, რაც აუარესებდა ჩაის ხარისხს; ბ) ჩაის ფოთლის კრეფის ზრდის (ერთ ადამიანზე), რაც აუარესებდა ჩაის ხარისხს... ჩაის წარმოების კლასიკურ ქვეყნებში კი მოქმედებენ პრინციპით: „ცოტა და კარგი!“ სწორედ ამაშია რაოდენობრიობის თვისებრიობაში გადასვლის ეკონომიკური კანონის არსი.

თავი VIII.

მატერიალური რესურსების წარმოებაში გამოყენების ანალიზი

§ 1. პროდუქციის მაღალტევადობის მაჩვენებლები. ანალიზის ამოცანები და ინფორმაციის წყაროები

როგორც აღვნიშნეთ, პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელ ელემენტს შრომის საგნები წარმოადგენენ. შრომის საგანია ყველაფერი, რაზეც მიმართულია ადამიანის შრომა, მისთვის საჭირო პროდუქტების შესაქმნელად. შრომის საგნების ნაწილი ბუნებაში უშუალოდ მოიპოვება და გადაეცემა წარმოებას გაღასამუშავებლად (თევზი, რომელსაც იჭერენ მის საარსებო სტიქიიდან, ხე, რომელსაც ულრან ტყეში ჭრიან, მადანი, რომელსაც მისი ბუდობიდან იღებენ). პირიქით — თუ შრომის საგანი უკვე წინანდელი შრომით არის დამუშავებული, მაშინ მას ნედლ მასალას ეუწოდებთ (მაგალითად, ამოღებული მადანი, რომელიც გარეცხვის პროცესშია, ბამბა სართავ ფაბრიკაში, ჩაის ფოთოლი გადამამუშავებელ ფაბრიკაში და სხვა).

შრომის პროცესში ადამიანები მოქმედებენ შრომის საშუალებათა მეოხებით შრომის საგანზე და წინასწარ გათვალისწინებულ ცვლილებას ახდენენ. შრომის პროცესის პროდუქტი არის სახმარი ღირებულება, ბუნების ნივთიერება, რომელიც ფორმის ცვლილების გზით შეგუებულია ადამიანის მოთხოვნილებებთან. შრომა შეუერთდა შრომის საგანს, შრომა გასაგნობრივდა და საგანი გადამუშავდა. ახლენენ შრომის საგნების კლასიფიკაციას იმასთან დაკავშირებით, თუ მათ რა გარკვეული ფუნქცია აქვს შრომის პროცესში. მაგალითად: შრომის საგანი შეიძლება პროდუქტის მთავარ სუბსტანციას შეადგენდეს, ან მის წარმოქმნაში მონაწილეობდეს, როგორც მხოლოდ დამხმარე მასალა.

ერთი და იგივე პროდუქტი შრომის ერთსა და იმავე პროცესში შეიძლება შრომის საშუალებაც იყოს და ნედლი მასალაც. მაგალითად, პირუტყვი გასუქებისას ნედლი მასალაა, რომელიც გადამუშავებას განიცდის და იმავე დროს სასუქის დამზადების საშუალებაცაა.

თუ შრომა თავის პროდუქტს ისეთი სახით იძლევა, რომელიც კვლავ გადამუშავებას მოითხოვს, ე. ი. ნედლ მასალად გამოიყენება, მას ხახვარფაბრიკატი (საფეხურ-ფაბრიკატი) ეწოდება.

შეზღუდული რესურსების გამოყენების ეფექტიანობა და ანალიზის მიზანი. ეფექტიანობის პრობლემა ეკონომიკური თეორიის ძირითადი პრობლემაა, რომელიც მაკროდონეზე იკვლევს იშვიათი რესურსების ოპტიმალურად გამოყენების გზებს; ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ანალიზი არის მეცნიერება მიკროდონეზე რესურსების ეფექტიანი გამოყენების რეზერვების ძიების შესახებ. ეკონომიკური ეფექტიანობა გულისხმობს თანაფარდობას „დანახარჯებსა“ და „გამოშვებას“ შორის იმ გაგებით, რომ მცირდებოდეს დანახარჯის სიდიდე მოცემულ რაოდენობაზე.

შეზღუდული რესურსების ეფექტიანობის პრობლემა მსოფლიო მნიშვნელობისაა, მიმდინარეობს ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, რაშიც აქტიურ როლს ეკონომიკური ანალიზი თამაშობს. რამდენადაც ჩაის კულტურა მიეკუთვნება იშვიათი რესურსების რიცხვს და თანაც წარმოების დანახარჯებში ნედლეულის სიდიდე 90%-ს აღემატება, ნათელია, თუ რამდენად დიდია ანალიზის როლი ამ დარგში და საშურია კომპლექსური ანალიზის მეთოდიკის შექმნა.

ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკების მატერიალურ რესურსებს მიეკუთვნება: ჩაის ფოთოლი, ფანერა, ქაღალდი, ფოლგა ალუმინის, ლურსმანი, სათბობი... მშა პროდუქციის სრულ თვითღირებულებაში ნედლეულის (ჩაის ფოთოლი) ხვედრითი წონა 92-95%-ს შეადგენს, დამხმარე მასალების – 1,0–1,5%-ს, სათბობი და ენერგია ერთად 1%-მდეა. ამრიგად, მატერიალური რესურსების ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნედლეულის გამოყენების საკითხს, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი რესურსების ხარჯვაზე არ გავამახვილოთ ყურადღება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მატერიალური რესურსების გამოყენების გაუმჯობესებას, რამდენადაც იგი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების და ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი რეზერვია.

მატერიალური რესურსების მომჭირნეობით ხარჯვა დღეს ერთ-ერთ უპირველეს პრობლემადაა მიჩნეული, თუმცა იგი თავისთავად ახალი არაა, ახალია ამ პრობლემის გადაჭრისადმი თანამედროვე მიდგომა, რაც თვითონ ცხოვრებამ დააყენა. დღეს, როდესაც მატერიალური რესურსების მოხმარებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, ხოლო რესურსები ბუნებაში მკვეთრად შემცირდა, ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში საჭიროა მატერიალური რესურსების მომჭირნეობით ხარჯვის ახალი მეთოდების მიგნება, რაშიც ეკონომიკურმა ანალიზმა დიდი როლი უნდა შეასრულოს.

კერძოდ, მატერიალური რესურსების წარმოებაში გამოყენების ანალიზმა უნდა დაადგინოს:

– მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის დასაბუთებულობა და მისი წარმოების გეგმასთან შეთანხმებულობა;

– მომარაგების გეგმის შესრულება და მისი გავლენა წარმოების მოცულობაზე; ნორმების დასაბუთებულობა;

– საწარმოო მარაგების მდგომარეობა; გამოავლინოს ზენორმატიული და ზედმეტი საწარმოო მარაგები და დასახოს მათი ლიკვიდაციის ღონისძიებანი;

– მატერიალური რესურსების გამოყენების ხარისხი და მისი გავლენა პროდუქციის მოცულობასა და ასორტიმენტზე;

– მასალების გამოყენების გაუმჯობესების გზების გამონახვის საფუძველზე დამატებითი პროდუქციის გამოშვების რეზერვების დადგენა. მასალების წარმოებაში გამოყენებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის შესრულების ანალიზის ჩატარებისათვის საჭირო ინფორმაცია მოცემულია ბიზნეს-გეგმის განაყოფში „წარმოების გეგმა“, რომელშიც მოცემულია წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელი ნაკეთობების მომწოდებლები, მოწოდების პირობები (ფასის, ხარისხის, რაოდენობის მიხედვით). კონტრაქტები მომწოდებლებთან და ყველა საპროგნოზო გათვლა მასალების მომარაგებისა და ხარჯვის ნორმების შესახებ;

– ბუღალტრული აღრიცხვიდან – ინფორმაცია მასალების ფაქტიური მიღების, ხარჯვის და ნაშთების შესახებ;

– ცალკეულ ნაკეთობათა კალკულაციები; წარმოების დანახარჯები, სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება, მატერიალური რესურსების ინვენტარიზაციის მასალები და სხვა.

პროდუქციის მასალატევადობის მაჩვენებლები. ეკონომიკურ ლიტერატურაში წარმოებაში მატერიალური რესურსების გამოყენების განმაზოგადებელი მაჩვენებელი მასალატევადობაა, რომელიც გვიჩვენებს პროდუქციის ერთეულის დამზადებაზე მოხმარებული ნედლეულისა და მასალების რაოდენობას. განასხვავებენ საერთო, კერძო და ხვედრითი ხარჯვის მასალატევადობის მაჩვენებლებს. საერთო მასალატევადობის განგარიშებისათვის საჭიროა საანალიზო ობიექტის მიერ მოხმარებული (ან მოსახმარებელი) მატერიალური რესურსების ღირებულება (ამორტიზაციის ანარიცხების გამოკლებით) შეეფარდოთ გამოშვებული (ან გამოსაშვები) პროდუქციის ღირებულებას. ე. ი. ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ მატერიალური დანახარჯების რა სიდიდე მოდის (მოვა) პროდუქციის ერთ ლარზე. ინფორმაცია ამ მაჩვენებლის გასაანგარიშებლად

მოცემულია ბიზნეს გეგმაში (გეგმურისათვის) და წლიური ანგარიშგების დანართში „დანახარჯები წარმოებაზე" (ფაქტობრივისათვის). კერძო მასალატევადობის მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის იგივე შეფარდება გამოიყენება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წილადის მრიცხველში თანმიმდევრულად გვექნება მატერიალური რესურსები სახეების მიხედვით: ნედლეული, მასალები (სახეების მიხედვითაც, თუ ეს შესაძლებელია), დამხმარე მასალები, სათბობი, ენერგია. მასალატევადობის კერძო მაჩვენებლები გამოიყენება როგორც მასალატევადობის შემცირების დაგეგმვის, ისე ანალიზისათვის, რამდენადაც იგი რეზერვების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

ხელრი მასალატევადობის მაჩვენებელი გვიჩვენებს პროდუქციის ერთეულზე მასალების ხარჯვის სიდიდეს პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით და გაიანგარიშება როგორც ნატურალურ, ისე ღირებულებით მაჩვენებლებში.

ანალიზის პროცესში აღნიშნული მაჩვენებლები კომბინირებულად უნდა იყოს გამოყენებული. გამორიცხული არ არის, აგრეთვე, დამატებითი მაჩვენებლების გაანგარიშებაც, მატერიალური რესურსების რაციონალურად ხარჯვის გზების გამონახვის მიზნით.

§ 2. მატერიალური დანახარჯების ნორმები

სამრეწველო საწარმოში მატერიალური დანახარჯების მომჭირნეობით გამოყენების საქმეში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირებას, რამდენადაც ნედლეულისა და მასალების ხარჯვის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმები წარმოადგენს (თითოეული საწარმოს) დაგეგმვის სრულყოფის მნიშვნელოვან პირობას მის ყველა ეტაპზე და რასაც პროდუქციის ერთეულზე მატერიალური დანახარჯების აბსოლუტურ შემცირებამდე და შრომის საზოგადოებრივი ნაყოფიერების გაზრდამდე მივყავართ. ამრიგად, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მატერიალური დანახარჯების შემცირების რეზერვების გამონახვა ანალიტიკოსისაგან მოითხოვს მასალათა ხარჯვის ნორმირების ისეთი საკვანძო საკითხების ცოდნას, როგორიცაა: მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმების სისტემა; მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმებისა და ნორმატივების დამუშავების მეთოდები და, რაც მთავარია, მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირების ორგანიზაცია.

მატერიალური დანახარჯების (ნედლეულის, მასალების, სათბობის,

ელექტროენერგიის) ხარჯვის ნორმა წარმოადგენს ობიექტურ ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის რესურსების ხარჯვის მაქსიმალურად დასაშვებ სიდიდეს.

ტექნიკურ-ეკონომიკურ ნორმატივებში იგულისხმება სათანადო სახის მატერიალური რესურსების ტექნიკურად და ეკონომიკურად დასაბუთებული დანახარჯების, ნორმატივებისა და ნორმების კომპლექსი.

გარდა ნორმირების მეთოდოლოგიის ცოდნისა, საჭიროა აგრეთვე წარმოების ისეთი პირობების ღრმად შესწავლა, რომელიც განსაზღვრავს ცალკეული სახის პროდუქციის ერთეულზე ნედლეულის, მასალის, საბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმების არსებით ცვალებადობას.

როგორც ცნობილია, ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკების ძირითად ნედლეულს ჩაის ფოთოლი წარმოადგენს. ჩაის ფოთლის ხარისხზე დიდადაა დამოკიდებული მისაღები პროდუქციის რაოდენობა.

ჩაის ფოთლიდან საშუალო გამოსავლიანობის დინამიკა მოწმობს, რომ გამოსავლიანობა ცალკეული ფაბრიკების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებში დანახარჯთა ნორმები მოითხოვს დაზუსტებას. დანახარჯთა ცვალებადი ნორმები საწარმოთა მაჩვენებლებს შესადარისობის საფუძველს აცლის და, რაც მთავარია, არათანაბარ პირობებში აყენებს ფაბრიკებს.

ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებში ნედლეულის გამოყენების დამახასიათებელი ძირითადი მაჩვენებელია ნედლეულის ხარჯვის ნორმა ერთეულ მზა პროდუქციაზე (გამოსავლიანობა ჩაის ფოთლიდან ანუ მასალების ხარჯვის კოეფიციენტი). პრაქტიკაში ჩაის ფოთლის ხარჯვის ნორმას განსაზღვრავენ ფორმულით:

$$K = \frac{(100 - W_2) \cdot 100}{(100 - W_1) \cdot (100 - a)}$$

სადაც K – ნედლეულის ხარჯვის ნორმაა პროდუქციის ერთეულზე (კგ),

W_1 – ჩაის ფოთლის ტენი (%),

W_2 – ნახევარფაბრიკატის ან პროდუქციის ტენი (%),

a – დანაკარგები და ნარჩენები (%),

მარტივად ეს ფორმულა შეიძლება ასე გამოისახოს: $K = Q_1 : Q_2$,

სადაც Q_1 – მწვანე ფოთლის მასაა, კგ.,

Q_2 – ნახევარფაბრიკატის ან მზა პროდუქციის მასა, კგ.

ნედლეულის ხარჯვის კოეფიციენტი წარმოადგენს ჩაის ფოთლის იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა 1 კგ მზა ჩაის მისაღებად. პრაქტიკაში იგი მერყეობს 3,5 კგ-დან – 4,2 კგ-მდე. მაგალითად, საკელეო ობიექტის ფაქ-

ტური მონაცემების მიხედვით, შაქრის წარმოების დროს ზემოთ მოყვანილი მონაცემები შეადგენდა:

$$W_1 = 75,92\% \; W_2 = 7,10\%$$

დანაკარგები: ა) დაყოვნებისას 1,5%
ბ) ღრობისას 1,2%
გ) ნარჩენები 0,92%
ე. ი. $a = 3,62\%$
ჩავსვამთ რა ამ მონაცემებს ფორმულაში, მივიღებთ:

$$K = \frac{(100 - 7,10) \cdot 100}{(100 - 75,92) \cdot (100 - 3,62)} = \frac{9290}{2350} = 3,94 \text{ კგ}$$

გეგმით გათვალისწინებული იყო 3,98 კგ. ამრიგად, ყოველ 1 კგ მზა შაქრის დამზადებაზე შაქრის ფოთლის ხარჯვის ნორმა შემცირებულია 0,06 კგ-ით (3,98 – 3,94); თუ ამ სიდიდეს გავამრავლებთ ფაქტიურად გამოშვებული შაქრის მოცულობაზე, მივიღებთ ხარჯვის ნორმის შემცირების შედეგად დამატებით გამოშვებული პროდუქციის მოცულობას. საკვლევი ობიექტის მონაცემების მიხედვით ეს სიდიდე ტოლია 51,0 ათასი კგ-ის (8500,0 x 0,06).

ანალიზის დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ დანაკარგების სიდიდე შაქრის და მწვანე შაქრის წარმოების დროს განსხვავებულია. თუ შაქრის წარმოებისას დანაკარგები 3,3%-მდეა, მწვანე შაქრის წარმოების დროს 2,2%-მდე მერყეობს.

ამრიგად, მასალატევადობის ანალიზის სათანადო დონეზე ჩატარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთეულ პროდუქციაზე ხარჯვის ნორმის გასაანგარიშებელი ფორმულის კომპონენტების სწორ განსაზღვრას (ლაბორატორიული ინფორმაციის სისწორეს):

§ 3. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და მარაგების მდგომარეობის ანალიზი

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმა ეყრდნობა მატერიალურ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ნორმატივების გარკვეულ სისტემას, რომელიც, თავის მხრივ, თვით გეგმის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებასაც წარმოადგენს. ანალიზის საწყისი ეტაპი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის დასაბუთებულობის შემოწმებაა.

უნდა დადგინდეს, თუ რამდენად პასუხობს მომარაგების გეგმა წარ-

მოების მოთხოვნებს მასალების სახეების, რაოდენობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების მიხედვით. ამავე დროს უნდა დაზგინდეს, თუ როგორაა ასახული მომარაგების გეგმაში მოწინავე საწარმოთა გამოცდილება, ახალი ტექნიკისა და სრულყოფილი ტექნოლოგიის დანერგვის გზით პროდუქციის ერთეულზე ნედლეულისა და მასალების შემდგომი შემცირების შესაძლებლობანი და ა. შ.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის დაძაბულობის დადგენისათვის საჭიროა ერთეულ ნაკეთობებზე რესურსების ხარჯვის გეგმური ნორმები შევადაროთ დამტკიცებულ პროგრესულ ნორმებს, მონაცემებს საწარმოთა შესაბამის საუკეთესო მაჩვენებლებს და შემდეგ ჩავატაროთ გაანგარიშება საწარმოს მოთხოვნით გათვალისწინებულ თითოეული სახის მასალაზე.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმა სტრუქტურულად არაერთგვაროვანია, რამდენადაც მათი გამომუშავების ტექნოლოგიაზე დამოკიდებულებით იცვლება ხარჯვის ნორმების სტრუქტურა, რომელიც სამი ძირითადი ელემენტისაგან შედგება. ესენია: 1. მასალის სუფთა ხარჯი პროდუქციის ერთეულზე; 2. ტექნოლოგიური ნარჩენები და დანაკარგები; 3. ტექნიკურად გარდაუვალი ნარჩენები და დანაკარგები.

სასარგებლო ან სუფთა წონა – ეს მასალის რაოდენობაა, რომელიც ნივთიერად შედის მზა პროდუქციაში.

ტექნოლოგიური ნარჩენები და დანაკარგები მასალის ის დანახარჯია, რომელიც გამოწვეულია წარმოების ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებებით. ნარჩენები იყოფა დასაბრუნებელ და დაუბრუნებელ ნარჩენებად. დასაბრუნებელი (გამოსაყენებელი) ნარჩენები გამოიყენება რომელიმე წარმოებაში თანამდე პროდუქციის მისაღებად.

დაუბრუნებელი ეს ისეთი ნარჩენებია, რომელთა გამოყენებაც ტექნიკის განვითარების მოცემულ დონეზე გამორიცხულია.

ამრიგად, შეიძლება საბგასმით აღვნიშნოთ, რომ ხარჯვის ნორმები დინამიკური მაჩვენებლებია, რამდენადაც სისტემატურად სრულყოფილი ხდება დარგთა ტექნოლოგია; ამავე დროს პარალელურად მიმდინარეობს კვლევა-ძიება ნარჩენებისა და დანაკარგების ხელახალი გამოყენებისათვის. ანალიზის პროცესში ყოველი ახალი მომენტი გათვალისწინებულ უნდა იქნეს გამოვლენილი რეზერვების ოპერატიულად ასამოქმედებლად.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის შესრულების ანალიზის დროს უნდა გაირკვეს სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა, დაღებულია თუ არა მომწოდებლებთან ხელშეკრულებები მატერიალური რესურსების მოწოდების მთელ ნომენკლატურაზე; როგორ სრულდება მომარაგ

გება, რიგმულობისა და ხარისხის მიხედვით; უნდა გამოვლინდეს დარღვევების გამომწვევი მიზეზები. გარდა ამისა, უნდა შეეისწავლოთ მომარაგების განყოფილების საქმიანობა სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში.

როგორც აღინიშნა, ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკების ძირითად პროდუქციას მწა ჩაი წარმოადგენს, რომლის მისაღებად მხოლოდ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გამოიყენება. ნედლეულის ღანახარჯები პროდუქციის თვითღირებულებაში 95%-ს აღემატება. ეს უკვე ნათელყოფს ჩაის ფოთლის შესყიდვის გეგმის შესრულების მნიშვნელობას საწარმოო პროგრამის შესრულების საქმეში.

ჩაის ფოთლის დამწადების გეგმის შესრულების ანალიზი უნდა დაიწყოს თვით ამ გეგმის რეალურობის შემოწმებით, ე. ი. უნდა განესაზღვროთ, როგორ შესაბამისობაშია ჩაის ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების გეგმა ფაბრიკის საწარმოო სიმძლავრეებთან, ხარისხისა და პერიოდულობის მიხედვით.

ანალიზის დროს უნდა დადგინდეს ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების გეგმის შედგენისას რამდენადაა მხედველობაში მიღებული დარგის სპეციფიკურობა, „პიკების“ პერიოდები, მოწინავე საწარმოო კოლექტივების გამოცდილება ნედლეულის ხარისხიანად ხარჯვის საქმეში, რომელიც მიღწეულია ახალი ტექნიკისა და სრულყოფილი ტექნოლოგიის დანერგვის გზით. საანგარიშგებო წელს „ნედლეულის დამზადების და მოძრაობის ანგარიშგების“ ფორმის საფუძველზე დგება ანალიზური ცხრილი, რომლის საფუძველზე განისაზღვრება ნედლეულის დამზადების გეგმის შესრულება ნედლეულის სახეებისა და ხარისხის მიხედვით.

ანალიზის შემდგომ ეტაპზე უნდა დადგინდეს დამზადებული ჩაის ფოთლის ხარისხის გავლენა მიღებული პროდუქციის ხარისხიანობაზე. მომარაგების გეგმის შესრულების ანალიზის შემდეგ მიზანშეწონილია მატერიალურ ღანახარჯთა ღირებულებითი მაჩვენებლების განხილვა. ნედლეულის თვითღირებულების ანალიზის მიზანია დაადგინოს გადახრები გეგმური მაჩვენებლებიდან და ამ გადახრების გამომწვევი მიზეზები თვითღირებულების შემდგომი შემცირების რეზერვების გამოვლენის მიზნით, რისთვისაც უნდა ღაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი. ოპერაციული და საერთო დამზადების ხარჯების შემცირებისათვის საჭიროა გაანგარიშდეს ამ ხარჯების ათვისების კოეფიციენტები დამზადებული ჩაის ფოთლის ერთეულზე, ღინამიკურ ჭრილში. მაგალითისათვის გაეანალიზოთ საკვლევი ობიექტის მონაცემები: გასულ წელს ფაბრიკამ ერთი ტონა ჩაის ფოთლის დამზადებაზე ღახარჯა 13,60 ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 11,90 ლარი (წინა წელთან შედარებით 1,70 ლარით ნაკლები); ფაქტობ-

რიგად დაუჯდა 14,10 ლარი (გეგმურზე 2,20 ლარით მეტი). გეგმით 73800 ტონა ჩაის ფოთლის ღამწასებაზე უნდა გახარჯულიყო 884 ათასი ლარის ბეღნახები ხარჯები; ფაქტიურად ღამწასდა 77928 ტონა ჩაის ფოთოლი; გეგმური პროპორციის პირობებში მის ღამწასებაზე გახარჯებოდა 933,0 ათასი ლარი. ფაქტიურად ფაბრიკამ დახარჯა 1097,0 ათასი ლარი, ე. ი. 164,0 ათასი ლარით მეტი (1097,0 – 933,0). ამრიგად, გაანგარიშების მიხედვით, ფაბრიკაში რომ ბეღნახები ხარჯები გეგმის ღონეზე გაწეულიყო, მაშინ ნედლეულის ღირებულება შემცირდებოდა ანალოგიური თანხით, რაც შესაბამისად გაზრდიდა მოგებას. ამ გადახარჯვის გამომწვევი მიზეზები ჩაის ფოთლის შეძენაზე და ტრანსპორტირებაზე გაწეული დანახარჯების ნუსხიდან უნდა დადგინდეს და გაირკვეს კონკრეტული მიზეზები.

§ 4. პროდუქციის მასალატევადობის ანალიზი

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ საწარმოებში მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის სარგებლობენ საერთო, კერძო და ხვედრითი ხარჯვის მასალატევადობის მაჩვენებლებით.

პროდუქციის მასალატევადობის ანალიზის პირველ ეტაპზე რეკომენდებულია შესწავლა მასალატევადობის საერთო მაჩვენებლის და მისი გავლენის წარმოების მოცულობაზე (ცხრილი 8. 1).

ცხრილი 8. 1

საერთო მასალატევადობის მაჩვენებელი

(ათასი ლარი)

	საბაზისო წელი	საანგარიშებო გადახრა			
		გეგმით	ფაქტობრივად	წინა წლიდან	გეგმიდან
1.საქონლო პროდუქცია	81985	86000	87735	+5750	+1735
2.მატერიალური დანახარჯები	72638	76074	77190	+4552	+1116
3.საერთო მასალატევადობა (სტ. 2 სტ. თეთრი	88,6	88,5	87,9	–0,7	–0,6
4.საქონლო პროდუქცია მატერიალური დანახარჯების 1 ლარზე (სტ. 1: სტ. 2) თეთრი	1,129	1,130	1,137	+0,008	+0,007

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ საერთო მასალატევადობა გეგმასთან შედარებით შემცირდა 0,6 თეთრით (88,5 – 87,9), ხოლო საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 0,7 თეთრით (88,6 – 87,9). ამ ცვალებადობის შედეგად მატერიალური დანახარჯების აბსოლუტური სიდიდე შემცირდა გეგმასთან შედარებით 52,6 ათასი ლარით (0,6x87735), ხოლო წინა წელთან შედარებით 61,4 ათასი ლარით (0,7x87735), რამაც საშუალება მისცა ფაბრიკას დამატებით გამოეშვა გეგმასთან შედარებით 54,0 ათასი ლარის პროდუქცია (77190x0,007).

მიუხედავად მიღებული მნიშვნელოვანი ანალიზური მონაცემებისა, ეს ეტაპი მასალატევადობის შემცირების რეზერვების გამოვლენის მხოლოდ დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც ანალიზის შემდგომ ეტაპებზე დეტალურად უნდა იქნეს გამოკვლეული მასალატევადობის კერძო მაჩვენებლების ცვალებადობაზე მოქმედი ფაქტორები და თითოეული მათგანის გავლენის სიდიდე.

პრაქტიკაში მასალატევადობას ანგარიშობენ ნატურალური და ღირებულებითი მაჩვენებლებით.

მასალატევადობის ნატურალური მაჩვენებელი გვიხასიათებს ნედლეულისა და მასალის ხარჯვის სიდიდეს ერთეულ პროდუქტზე, ჩაის მრეწველობაში 1 კგ. 1 ტ მზა ჩაიზე ხვედრითი ხარჯვა გაიანგარიშება მხოლოდ თითოეული სახის მასალაზე ცალ-ცალკე, პროდუქციის გამოშვების მონაცემების საფუძველზე ნატურალურ ან პირობით ნატურალურ გამოსახულებაში.

მაგალითად, 100 კგ მზა ჩაის დასამზადებლად თუ დაიხარჯა 350 კგ ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, მაშინ ჩაის ფოთლის ხვედრითი ხარჯვა იქნება $\left(\frac{350}{100}\right)$ 3,5 კილოგრამი.

თუ 1 კგ მზა ჩაიზე ნედლეულის ხარჯვის ეგმური ნორმა იყო 3,7 კგ, მაშინ ხარჯვის ნორმის შესრულება იქნება: $\frac{3,5}{3,7} \times 100 = 94,5\%$ მზა პროდუქციის ერთეულზე ჩაის ფოთლის ხარჯვის ეკონომია 0,2 კგ, ანუ 5,5%. ამ ეკონომიის გადამრავლებით ფაქტიურად გამოშეებული პროდუქციის რაოდენობაზე ვღებულობთ ჩაის ფოთლის საერთო ეკონომიას მთელ ფაქტიურ გამოშვებაზე.

როგორც ჩანს, ფაქტიური ხვედრითი ხარჯვის შეპირისპირება გეგმურთან გვიხასიათებს მასალების გამოყენების მდგომარეობას, ე. ი. ვღებუ-

ლობთ საკელეე პერიოდში მასალის ხვედრითი ხარჯვის დინამიკის კოეფიციენტს. ასეთი მაჩვენებლები რეკომენდებულია გაანგარიშლეს დინამიკურ ჭრილში.

ანალიზის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს წარმოებაში მასალის გამოყენების სპეციფიკურობაზე, მაგალითად, თუ ჩაის მრწა პროდუქციის მისაღებად საჭიროა მხოლოდ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ე. ი. ერთი სახის მასალა, ერთი სახის პროდუქციის წარმოებაზე (ხარისხობრივ ფაქტორს არ ეღებულობთ მხედველობაში); არის დარგები, სადაც: ა) ერთი სახის მასალას ხარჯავენ რამდენიმე სახის პროდუქციის წარმოებაზე (მაგ., საკონსერვო და საფეიქრო მრეწველობა), ბ) რამდენიმე სახის მასალას ხარჯავენ ერთი სახის პროდუქციის წარმოებაზე (მაგ., საკონსერვო წარმოება, მანქანათმშენებლობა და სხვა).

ანალიზის დროს დეტალურად უნდა იქნეს გამოკვლეული თითოეული სახის მასალის ხვედრითი ხარჯვის მაჩვენებლების ცვალებადობა და მისი გავლენა საერთო მასალატევადობაზე.

§ 5. მასალატევადობის შემცირების გზები

ამრიგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მატერიალური რესურსების ეკონომია წარმოადგენს უდიდეს სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ამოცანას. აქედან გამომდინარე, მატერიალური რესურსების გამოყენების ეკონომიკურმა ანალიზმა მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი როგორც ცალკეულ საწარმოებში, ისე გაერთიანებებში და მთლიანად მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით მატერიალური რესურსების ხარჯვის უმკაცრესი ეკონომიისა და მომჭირნეობითი ხარჯვის გზების გამონახვას. იმასთან დაკავშირებით, რომ მატერიალური რესურსების ეკონომიკური ხარჯვის პრობლემა კომპლექსური ხასიათის მატარებელია, ანალიზის დროს მასალატევადობის შემცირების გზები პირობით ფაქტორთა სამ დიდ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: კონსტრუქციული, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული.

მატერიალური რესურსების რაციონალური ხარჯვის კონსტრუქციული ფაქტორები გულისხმობს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც გულისხმობენ დასამზადებელი პროდუქციის კონსტრუქციულ სრულყოფას, ახალი ტექნიკის დანერგვას, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს პროდუქციის ერთეულზე მატერიალური დანახარჯების შემცირებას ისე, რომ

უზრუნველყოფილი იქნება გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები.

ტექნოლოგიური ფაქტორები გულისხმობენ პროდუქციის მიღების მეთოდებისა და ხერხების ისეთ შეცვლას, რომ მატერიალური რესურსების გამოყენების კოეფიციენტი ამაღლდეს, ე. ი. მინიმუმამდე შემცირდეს ტექნოლოგიური ნარჩენები და დანაკარგები. წარმოების უნარჩენო ტექნოლოგიაზე გადასვლა წარმოადგენს ნედლეულის გამოყენების განსაკუთრებულ ფორმას, უმნიშვნელოვანეს პრობლემას.

მასალატევადობის შემცირების ორგანიზაციულ ფაქტორებს მიეკუთვნება ისეთ ღონისძიებათა სისტემა, როგორიცაა: საწარმოო პროცესების მომსახურეობის ღონის ამაღლება, დაგეგმვისა და აღრიცხვის გაუმჯობესება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების რაციონალური ორგანიზაცია და სხვა.

მასალატევადობის შემცირების ერთ-ერთი ძირითადი გზა ჩაის მრეწველობაში, როგორც აღვნიშნეთ, ჩაის წარმოების ნარჩენების რაციონალურად გამოყენებაა. ჩაის მრეწველობაში ჩაის ფოთლის სხვადასხვა სახის პროდუქციად გადამუშავებისას წარმოიქმნება საკმაო რაოდენობის წარმოების ნარჩენები. შავი და მწვანე ჩაის გამომუშავების პირველად ჩაის ფაბრიკაში შესაბამისად – ჩაის ბუსუსები, ღეროები, ფირფიტები, მონახვეტი და ჩაის მტვერი, ხოლო ჩაის საწონ და აგურა ჩაის საწნეხ ფაბრიკებში – ჩაის მტვერი და მონახვეტი. ყველა ეს რესურსი ითვლება ბალასტად და პრაქტიკაში მას არ იყენებენ*.

ადრე ჩაის წარმოების ნარჩენებს იყენებდნენ ძირითადად ნატურალური კოფეინის მისაღებად. ფარმაცევტულ მრეწველობაში კოფეინის სინთეზურ წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით საჭიროება ნარჩენებზე თითქმის გაქრა და ჩაის მრეწველობას დღესდღეობით უჭირს მათი რეალიზაცია.

ჩაის მრეწველობაში ნარჩენები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს ეკუთვნის ჯოხები, ფირფიტები, ბუსუსები, ჩაის მტვერი, რომლებიც გამოიყენება მეორეული პროდუქციის მისაღებად; ხოლო მეორეს დაბეთიანებული და გაჭუჭყიანებული ჩაი, რომელიც უვარგისია შემდგომი გამოყენებისათვის. ჩაის წარმოების ნარჩენების მექანიკური და ქიმიური შედგენილობა, რომელიც დადგენილია ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მიერ, ასე გამოიყურება (ცხრილი 8. 2).

---

* ზ. ი. ძნელაძე, ჩაის წარმოების ნარჩენების რაციონალურად გამოყენების გზები, „სუბტროპიკული კულტურები", 1980 წ., № 1, გვ. 39-42.

ცხრილი 8. 2

ჩაის წარმოების ნარჩენების მექანიკური და ქიმიური შეღებვისუნარიანობა

დასახელება	გამოსავალი %-ობით	ტანინის შემცველობა %-ობით	ექსტრაქტულ ნივთიერებათა შემცველობა %-ობით
შავი ჩაის ნარჩენი	100,0		
ჯოხები	70,0	4,6	20,4
ბუსუსები	10,0	4,2	20,6
ფირფიტები	18,0	5,3	22,4
ჩაის მტვერი	2,0	6,0	24,0

საკონტროლო გადამუშაების შედეგად დადგენილია, რომ შავი ჩაის გამომუშაების დროს ნარჩენების რაოდენობა შეადგენს 109 ხოლო მწვანე ჩაის დროს 11%-ს.

საშუალოდ წარმოებაში ნარჩენების რაოდენობა 10%-ს აღწევს, ე. ი. ჩაის მრეწველობაში 10 ათას ტონამდე. ჩაის წარმოების ნარჩენების აბსოლუტური სიდიდე ნედლეულის მოცულობის ბრდასთან ერთად შეფარდებით გაიზრდება.

ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში სისტემატურად ტარდებოდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჩაის წარმოების ნარჩენების რაციონალურ გამოყენებაზე. დადგენილია, რომ შავი და მწვანე ჩაის ნარჩენების რაციონალური გამოყენების ძირითადი მიმართულებაა ექსტრაქტის მიღება შავი ბაიხის ჩაის გასამდიდრებლად, თხევადი კონცენტრატების, საღებაეების, ჩაის სასმელების დამზადება და სხვა.

ჩაის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ბიოლოგიური თვისებების ასორტიმენტის გაფართოების პრობლემა მუდამ იყო მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა ყურადღების ცენტრში. ჩაის ფოთლის პოტენციური შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენების მიზნით დამუშავებულია სხვადასხვა ტექნოლოგიური სქემები, რომლებიც ითვალისწინებენ სხვადასხვა ხარისხის ნედლეულის გადამუშავებას, მაგალითად, შავი და მწვანე ჩაი, ჩაის ღეროების ცალკეული ელემენტების დიფერენციულ გადამუშავებას, მოძღვარი ფოთლის გამდიდრებას ფიქსირებული წერილი ფრაქციით და სხვა.

მეცნიერთა დაუღალავმა შრომამ და ძიებამ თავისი შედეგი გამოიღო – ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა დაბალხარისხოვანი ჩაისა და მისი ნარჩენებისაგან ძვირფასი პროდუქცია – ჩაის ნატურალური კონცენტრატი მიიღო. ოუბ-

რგეთში აშენდა კომბინატი, რომელიც ყოველწლიურად სულ ცოტა, 5,6 ტონა კონცენტრატს უშვებდა. კონცენტრატისგან მიღებული ტონიჩებული სასმელი „ბახმარო“ მოწონებული იყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური კომისიის მიერ. 1990 წლის ბოლოსათვის კომბინატი უკვე უშვებდა ღღეში 2500–2600 ბოთლ სასმელს. კომბინატის განვითარებას ღიდი პერსპექტივები ჰქონდა. მეორადი მატერიალური რესურსების გარდა, კონცენტრატის მისაღებად შეიძლება გამოვიყენოთ ბაიხის დაბალხარისხოვანი ჩაიც, რომელზეც მომხმარებელთა მოთხოვნილება არ არის (II, III ხარისხი); საერთო მოცულობაში ასეთი ჩაი დაახლოებით 8-10%-ია. ერთი ტონა კონცენტრატის მისაღებად საჭიროა 300 კგ დაბალხარისხოვანი ჩაი.

ღღეს თითქმის ყველაფერი გაჩერებულია, მაგრამ არის ღიდი იმედი იმისა, რომ ყველაფერი კვლავ უფრო მეტი სიძლიერით ამოქმედდება და ქართული ჩაის სახელი დამკვიდრდება საერთაშორისო ბაზარზე.

თავი IX.

შრომითი რესურსების გამოყენების ფაქტორული ანალიზი

§ 1. შრომითი რესურსების ანალიზის სადღეისო პრობლემები

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში შრომითი რესურსების მართვის რაღიკალური ცვლილებები, რაც XX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს არ შეხებია. მაშინ, როდესაც ამ ისტორიულად მოკლე პერიოდში დასავლეთის მეცნიერული ცენტრები ქმნიდნენ ახალ-ახალ თეორიებს შრომითი რესურსების მართვის სფეროში, ყოფილ საბჭოთა კავშირში სულ სხვა აბროვნებით უდგებოდნენ ამ საკითხებს, არ ვითარდებოდა სოციალური ფსიქოლოგია, რასაც განვითარებულ ქვეყნებში პირველხარისხოვან როლს ანიჭებდნენ.

საბჭოთა წყობილების პერიოდში შრომითი მაჩვენებლების ეკონომიკური ანალიზის ძირითადი მიზანი იყო დადგენა იმისა, თუ რა რაოდენობის პერსონალი სჭირდებოდა საწარმოს; როგორ იყო იგი ფაქტიურად უზრუნველყოფილი; როგორ იხარჯებოდა ხელფასის დამტკიცებული ფონ-

ღი; როგორ გამოიყენებოლა სამუშაო დრო; როგორ იცრლებოლა შრომის ნაყოფიერება. ე. ი. ძირითადად შეისწავლებოლა შრომითი რესურსების გამოყენების მხოლოდ ის მაჩვენებლები, რომლებიც ემსახურებოდნენ დირექტიული გეგმების შესრულების აუცილებლობას (!!!), მაგრამ ისეთი საკითხები, რომლებიც მუშა-მოსამსახურეების სოციალური მდგომარეობის შესახებ მოგვცემდნენ ანალიზის ჩატარების საშუალებას, ყურადღების მიღმა იყო დატოვებული; გვერდი ეცლებოლა სოციალურ ფსიქოლოგიას.

დღეს განვითარებულ ქვეყნებში შრომითი რესურსების მართვა მენიჯმენტია აყვანილი „მენეჯმენტის" შექმნით. „მენეჯმენტის", როგორც მეცნიერების ძირითადი მიზანია: ა) შრომით კოლექტივებზე და ცალკეულ შემსრულებლებზე მიმართული და სისტემატური ზრუნვა იმ თვალსაზრისით, რომ მათ მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი პროფესიული შესაძლებლობანი; ბ) ფირმაში შესაფერისი შრომითი კადრების მოზიდვა და ზრუნვა მათი პროფესიული დონის ამაღლებასა და ფირმაში დამაგრება-შენარჩუნებაზე.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პოზიციის თანახმად, ნებისმიერი თანამშრომელი საწარმოს აქტივია, ადამიანური კაპიტალია, რომელსაც მეტი ყურადღება და სპეციფიკური მიდგომა სჭირდება.

ამრიგად, შეიძლება ცალსახად აღვნიშნოთ ის ჭეშმარიტება, რომ შრომითი რესურსების ანალიზის მოქმედი მეთოდოლოგია მოითხოვს ისეთნაირ სრულყოფას, რომლითაც პასუხი გაეცემა „მენეჯმენტის" ყველა პოზიციას. ეს პრობლემური სამუშაო ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების პარალელურად. საჭიროა ახლებურად ბევრი საკითხის გააზვითცნობიერებაც ანალიზის ძველ მეთოდიკაში; ყოველი ანალიზური გათვლის შეფასებას საბაზრო ეკონომიკის და მენეჯმენტის პოზიციები უნდა დაედოს საფუძვლად; აუცილებელია „ძველისა" და ახლის ისეთნაირად შეთანაწყობა, რომ საერთო მიზანს წაადგეს.

§ 2. შრომითი მაჩვენებლების სისტემა, ანალიზის ამოცანები და ინფორმაციის წყარო

ძველი მეთოდოლოგიით შრომითი მაჩვენებლები პირობითად სამ ჯგუფად იყოფოდა: 1. შრომითი რესურსების მაჩვენებლები; 2. შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები და 3. ხელფასის მაჩვენებლები. „მენეჯმენტის" პოზიციებიდან გამომდინარე, აუცილებელია ამ სამ ჯგუფს დაემატოს მე-4 ჯგუფი – „სოციალური მაჩვენებლები".

მოკლედ განვიხილოთ ეს ჯგუფები.

შრომითი რესურსების მაჩვენებლები, თავის მხრივ, ორად იყოფა: ა) სამუშაო ძალად და ბ) სამუშაო დროდ.

სამუშაო ძალაში იგულისხმება საწარმოში დასაქმებული მთელი პერსონალი, რომელიც ორ ჯგუფად იყოფა: ა) სამრეწველო-საწარმოო და ბ) არასამრეწველო პერსონალი. თავის მხრივ, წარმოებაში შესრულებული ფუნქციების მიხედვით, სამრეწველო-საწარმოო პერსონალს ექვს კატეგორიად ყოფენ: მუშები, მოწაფეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები, უმცროსი მომსახურე პერსონალი და დაცვის მუშაკები.

სამუშაო დრო – ეს დროის ის პერიოდია, რომლის განმავლობაშიც მუშაკი ვალდებულია ასრულებდეს მისთვის დაკისრებულ სამუშაოს. სამუშაო დროის ხანგრძლივობა წესდება საკანონმდებლო წესით და საწარმოში ცვლილებები მასში არ შეიტანება.

დღეისათვის შემოღებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირა 8 საათიანი და 12 წუთის სამუშაო ღის ხანგრძლივობით, რაც 41 საათის სამუშაო დროს იძლევა.

შრომის ნაყოფიერება ეკონომიკური კატეგორიაა; იგი გვიჩვენებს დროის გარკვეულ მონაკვეთში კონკრეტული შრომის სასარგებლო შედეგს და იზომება დროის ერთეულში დამზადებული მატერიალური დოვლათის რაოდენობით, ან პირიქით, პროდუქციის ერთეულზე სამუშაო დროის დანახარჯებით; აქედან პირველი მაჩვენებელი შრომის ნაყოფიერების სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო მეორე – შრომატევადობის. თუ პროდუქციის რაოდენობას აღვნიშნავთ Q-თი, სამუშაო დროის დანახარჯებს T-თი, ხოლო დროის ერთეულში საშუალო გამომუშავებას W-თი, შრომატევადობას t-თი, მაშინ $W = \frac{Q}{T}$ და $t = \frac{T}{Q}$ ე. ი. როგორც ამ ფორმულებიდან ჩანს, შრომის ნაყოფიერება და შრომატევადობა ურთიერთშებრუნებული სიდიდეებია. წარმოების მიზანი შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების გამოვლენაა, რაც, თავის მხრივ, შრომატევადობის შემცირებას გულისხმობს.

შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელს მრავალი მოთხოვნა წაეყენება, რათა მან რეალურად ასახოს ობიექტური სინამდვილე. იგი უნდა იყოს შესადარი დროის მიხედვით, საწარმოებისა და დარგების მიხედვით, როგორც რესპუბლიკურ, ისე საერთაშორისო მასშტაბითაც.

განასხვავებენ საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ შრომის ნაყოფიერებას.

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება განისაზღვრება როგორც ცოცხალი, ასევე წარსული შრომის ერთობლიობით. ამრიგად, შრომის ნა-

ყოფიერების შრლა მთელი საზოგალოების მასშტაბით ნიშნავს რიგორც ცოცხალი, ისე გახიეთებული შრომის ეკონომიას.

მატერიალური წარმოების სფეროში საზოგალოებრივი შრომის ნაყოფიერებას ანგარიშობენ ერთობლივი საზოგალოებრივი პროდუქტის, ეროვნული შემოსავლის ან საბოლოო პროდუქტის მიხედვით.

მრეწველობის ცალკეულ საწარმოებსა და დარგებში დაგეგმვისა და აღრიცხვის პრაქტიკაში ინდივიდუალური შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი გამოიყენება. იგი საზოგალოებრივი შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლისაგან განსხვავებით, მხოლოდ ცოცხალი შრომის ეფექტიანობას გვიხასიათებს. ინდივიდუალური შრომის ნაყოფიერების გასაზომად პრაქტიკაში იყენებენ ნატურალურ და ღირებულებით მაჩვენებლებს.

შრომის ნაყოფიერების ნატურალური მაჩვენებლის გასაანგარიშებლად საჭიროა გამოშვებული პროდუქცია ნატურალურ საზომ ერთეულებში გაიყოს დახარჯული შრომის რაოდენობაზე. იგი მარტივად და რეალურად ასახავს შრომის ნაყოფიერებას, განსაკუთრებით მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც აბსოლუტურად ერთგვაროვან პროდუქციას უშვებენ. თუ წარმოება უშვებს ერთგვაროვან, მაგრამ შრომატევადობით განსხვავებულ პროდუქციას, მათი შესადარისობაში მოსაყვანად ისინი დაიყვანება რომელიმე პირობით ერთეულზე (მაგ., საკონსერვო მრეწველობაში მიღებულია პირობითი ქილა-კონსერვი და ა. შ.). ამ მაჩვენებლის არსებითი ნაკლია ის, რომ მისი გამოყენება შეუძლებელი ხდება ისეთ დარგებში, სადაც მრავალი ნომენკლატურის პროდუქციას ამზადებენ და აღგილი აქვს დაუმთავრებელი წარმოების ნაშთების მკვეთრ ცვალებადობას. ამ ნაკლოვანებებისაგან თავისუფალია შრომის ნაყოფიერების ღირებულებითი მაჩვენებელი, რომლის ღროს წარმოებული პროდუქციის მოცულობა, გამოხატული ფიქსირებულ ფასებში, იყოფა სამრეწველო-საწარმოო პერსონალის საშუალო სიობრივ რიცხვზე.

შრომის ნაყოფიერების ღირებულებითი მაჩვენებელი შესაძლებლობას იძლევა საწარმოთა და გაერთიანებათა მიხედვით შრომის ნაყოფიერების დინამიკისა და ტემპების დაგეგნისას, მრეწველობის მასშტაბით კი შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლების და ბრლის ტემპების შეღარებისას. აქვე უნდა დავძინოთ ის აუცილებლობაც, რომ საჭიროა პროდუქციის მოცულობა საკვლევ სიდიდეებში გაანგარიშებული იყოს ერთიანი მეთოდით, შესადარ ფასებში.

შრომითი რესურსების ეფექტურად გამოყენების ანალიზის წინაშე დასმულია მრავალი ამოცანა, მათ შორის აღსანიშნავია:

– შრომის გეგმების რეალურობის შემოწმება;

– გეგმური მაჩვენებლებიდან გაღახრებისა და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა;

– შრომითი რესურსების ეფექტურად გამოყენებაზე მოქმედი ობიექტური ფაქტორის გავლენის სიღრმის გაზომვა;

შრომის ნაყოფიერების ამაღლების რეზერვების დადგენა და მათი ამოქმედების ღონისძიებათა შემუშავება.

შრომითი რესურსების ანალიზისათვის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ბიზნეს-გეგმა, სამუშაო დროის ბალანსი, სამუშაო ძალის მოთხოვნილება და უზრუნველყოფის წყაროები, მუშა-მოსამსახურეთა გამოთავისუფლება, კადრების მომზადება და მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლება – ბუღალტრული და სტატისტიკური ანგარიშგებიდან: შრომის გეგმის შესრულების შესახებ თვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშგების ფორმები.

– ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვიდან – სატაბელო აღრიცხვის ინფორმაცია, გამომუშავების ნორმების აღრიცხვის მასალები და სხვა.

– ქრონომეტრაჟისა და ფოტოგრაფირების საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია.

გარდა ამისა, ანალიზისათვის ფართოდ გამოიყენება არასააღრიცხვო ინფორმაცია: პროფკავშირული ორგანიზაციის მასალები, კრებებზე მშრომელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებანი; კედლის გაზეთის მასალები და სხვა.

ანალიზის დაწყებამდე, როგორც წესი, უნდა მოხდეს საინფორმაციო წყაროების შემოწმება.

შრომითი რესურსების გეგმურ მაჩვენებელთა რეალურობის შემოწმების დროს, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს შრომის გეგმის მაჩვენებლებისა და ბიზნეს-გეგმის სხვა განაყოფებს შორის არსებობს თუ არა აუცილებელი ურთიერთკავშირი; შემდეგ უნდა გაირკვეს, რამდენადაა მასში ასახული წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებანი. ამავე დროს, ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ, როგორც წესი, შრომის ორგანიზაციის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს მხოლოდ ისეთი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება საგეგმო წელს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. უნდა შემოწმდეს შრომის ნაყოფიერების ზრდის პროგნოზის სისწორე. შემოწმებისას უნდა გაირკვეს, რა ღონეზეა მასში ასახული შრომის ნაყოფიერების ზრდის ისეთი ტიპური ფაქტორები, როგორიცაა: წარმოების ტექნიკური ღონის ამაღლება; წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება; წარმოების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილება; ბუნებრივი პირობები და სხვა დარგობრივი სპეციფიკურობანი.

შემდეგ შემოწმდება ფაქტიური ინფორმაციის რეალურობა იმ მეთოდიკით, რომელიც შრომის თეორიულ ნაწილშია მოცემული.

§ 3. შრომის ნაყოფიერების ანალიზი

საწარმოში შრომითი რესურსების გამოყენების ძირითად განმაზოგადებელ მაჩვენებელს შრომის ნაყოფიერება წარმოადგენს. შრომის ნაყოფიერების ანალიზის მიზანი სწორედ ისაა, რომ ხელი შეუწყოს წარმოების მოცულობის ზრდას.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი პროცენტებში განისაზღვრება ფორმულით:

$$\Delta_{II} = \frac{Э}{T \mp Э} \times 100$$

სადაც Δ_{II} – შრომის ნაყოფიერების ზრდის ნამეტია %-ობით,

Э – შრომის ნაყოფიერების დონეზე მოქმედი ფაქტორების ანგარიშზე გამოწვეული საწარმოო პერსონალის რაოდენობის შესაძლებელი შემცირება, T – სამრეწველო საწარმოო პერსონალის რიცხოვნობა საგეგმო პერიოდისათვის, საბაზისო გამომუშავების შენარჩუნების პირობებში (ამოსავალი რიცხოვნობა).

ხოლო პროდუქციის მატება შრომის ნაყოფიერების ზრდის ანრარიშზე %-ებში (Δ_q) განისაზღვრება ფორმულით:

$$\Delta_q\% = 100 - \frac{\text{მომუშავეთა რიცხვის ზრდის \%}}{\text{წარმოების მოცულობის ზრდის \%}} \times 100$$

შრომის ნაყოფიერების ზრდის ანალიზი, როგორც ცნობილია, სამრეწველო საწარმოებში ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორების მიხედვით წარმოებს. ეს ჯგუფებია: ა) წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება; ბ) მართვის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფა; გ) წარმოების მოცულობისა და სტრუქტურის ცვალებადობა; დ) დარგობრივი სპეციფიკური ფაქტორები.

ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა შრომის ნაყოფიერებაზე განისაზღვრება გაანგარიშებათა საფუძველზე გამოთავისუფლებულ მომუშავეთა რაოდენობით.

სამრეწველო საწარმოთა და გაერთიანებათა ტექმრეწ-ფინგეგმის დამუშავების ტიპურ მეთოდიკაში დეტალურადაა განხილული ამ ფაქტორების შრომის ნაყოფიერებაზე გაელენის გაზომვის ხერხები, რომლებიც ანალიზის დროსაც უნდა იქნეს გამოყენებული. მაგალითად, წარმოების ტექ-

ნიკურ დონეზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ანგარიშზე მომუშავეთა რიცხოვნობის ცვალებადობა განისაზღვრება ფორმულით:

$$Э_1 = \frac{(T_f - T_1) \cdot B^1_{\pi}}{\Phi_{вр} \cdot K_{об}} \cdot 100$$

სადაც T_f და T_1 – შრომის დანახარჯებია ერთეულ პროდუქციაზე, ნატურალურ ან ღირებულებით გამოხატულებაში, შესაბამისად გაუმჯობესებამდე.

B^1_{π} – პროდუქციის მოცულობა ნატურალურ ან ღირებულებით საზომში, დაგეგმილი გამოსაშვებად, გაუმჯობესების შემდეგ.

$\Phi_{вр}$ – ერთი მუშის სამუშაო დროის სასარგებლო ფონდი საბაზისო წელს საათებში.

$K_{об}$ – გამომუშავების ნორმების შესრულების საბაზისო კოეფიციენტი %-ობით.

სამრეწველო საწარმოო პერსონალის შეფარდებითი შემცირება წარმოების მოცულობის ბრდასთან დაკავშირებით განისაზღვრება ფორმულით:

$$Э_э = \frac{r_{оп}(k_r - k_{0n})}{100}$$

სადაც $r_{оп}$ – სამრეწველო საწარმოო პერსონალის რიცხოვნობა საბაზისო პერიოდში;

k_r – სამრეწველო საწარმოო პერსონალის აუცილებელი ბრლა %-ობით, წარმოების მოცულობის ბრდასთან დაკავშირებით;

k_{0n} – წარმოების მოცულობის გეგმური ბრდა %-ობით,

საერთოდ, შრომის ნაყოფიერების ცვალებადობა (ΔB^i_B) ნებისმიერ ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორის ანგარიშზე შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ზოგადი ფორმულით:

$$\Delta B^i_B = \frac{Э_i}{r^1_p - Э_i} \cdot 100$$

საღაც $Э_i$ – რიცხოვნობის ცვალებადობა i-რი ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორის ანგარიშზე;

r_p^1 – სამრეწველო საწარმოო პერსონალის საბაზისო რიცხოვნობა.

წლიური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე ჩატარებული შრომის ნაყოფიერების ანალიზი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულება და მისი გავლენა წარმოების ცვალებადობაზე. ცხრილში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი გაანგარიშებულია: ა) მომუშავეთა საშუალო სობრივი რიცხვისა და ბ) მუშათა საშუალო სიობრივი რიცხვის მიხედვით (ცხრილი 9. 1).

ცხრილი 9. 1

შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	გასულ წელს	გეგმით	ფაქტობრივად	გადახრა	
					გეგმიდან (სვ. 3—სვ. 4)	წინა წლიდან (სვ. 2—სვ. 4)
	1	2	3	4	5	6
1.სასაქონლო პროდუქცია	ათ. ლ.	81985	86000	87735	+1735	+5750
2.მომუშავეთა საშ. სიობრივი რიცხვი	კაც.	1320	1305	1329	+24	+9
3.მუშების საშ. სიობრივი რიცხვი	"	892	853	877	+24	—15
4.გამომუშავება 1 მომუშავეზე (სტ. 1; სტ. 2)	ლარი	62110	65900	66016	+116	+3906
5.გამომუშავება 1 მუშაზე (სტ. 1; სტ. 3)	ლარი	91911	100821	100040	—781	+849

ცხრილი გვიხასიათებს ობიექტის შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულებას. ცხრილის მე-5 და მე-6 სვეტებიდან ჩანს, რომ ერთი მომუშავის საშუალო გამომუშავება გასულ წელთან შედარებით 116,0, ხოლო გეგმასთან შედარებით 3906 ლარით გაიზარდა. ერთი მუშის შრომის ნაყო-

ფიერება გეგმასთან შედარებით შემცირდა 781 ლარით, წინა წელთან კი გაიზარდა 849 ლარით.

წარმოების მოცულობაზე შრომითი ფაქტორების გავლენის სიდიდის გასაზომად ვისარგებლოთ აბსოლუტური სხვაობის ხერხით, რომლის მიხედვით თითოეული ფაქტორის გავლენა ტოლია:

ა) მომუშავეთა რაოდენობის ცვალებადობისა 1581,0 ათასი ლარის (24 x 65900);

ბ) შრომის ნაყოფიერების ცვალებადობისა +154 ათასი ლარის (116 x 1329);

მუშების მიხედვით თუ გავიანგარიშებთ, მაშინ:

ა) მუშების რაოდენობის ცვალებადობის გავლენის სიდიდე ტოლია +2420,0 ლარის (24 x 100821);

ბ) მუშის შრომის ნაყოფიერების ცვალებადობის გავლენის სიდიდე კი – 685 ათასი ლარის. $-781 * 87\frac{1}{2} = -685$ ათ. ლ.

ორივე ფაქტორის გავლენის სიდიდეთა ჯამი ტოლია საერთო გადახრის 2420,0 + (–685) = 1735,0.

გაანგარიშებამ ცხადყო, რომ წარმოების მოცულობის ზრდა ძირითადად მუშათა რაოდენობის ზრდამ განაპირობა (II ვარიანტი). რაც შეეხება მუშების შრომის ნაყოფიერების ფაქტორს, მან, პირიქით, 685 ათასი ლარით შეამცირა საერთო პროდუქციის მოცულობა.

ასეთივე წესით უნდა იქნეს გაანგარიშებული შრომის ნაყოფიერების ცვალებადობის გავლენის სიდიდე წინა წელთან შედარებით. გამოვლენილ გადახრათა სიდიდის გაზომვის შემდეგ კი უნდა ეძებოთ მათი წარმომქმნელი მიზეზები, უარყოფითი მოვლენების სალიკვიდაციოდ.

§ 4. საწარმოს სამუშაო ძალით უზრუნველყოფის ანალიზი

საწარმოში დასაქმებულ მომუშავეთა რიცხოვნობისა და შეკვეთილობის ანალიზმა უნდა გაარკვიოს საწარმოს სამუშაო ძალით უზრუნველყოფის ხარისხი. ანალიზის ამ ეტაპზე გამოკვლეული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

1. გეგმიდან გადახრები მუშათა კატეგორიების მიხედვით აბსოლუტურ და შეფარდებით ჭრილში;

2. კადრების სტრუქტურის ცვლილება და მისი გავლენა შრომის ნაყოფიერებაზე; კადრების დენადობის მდგომარეობა და მისი გავლენა წარმოების მოცულობაზე.

5. 1 ცხრილის მონაცემების მიხედვით, საწარმოს გააჩნია მუშახელის ან-

სოლუტური სიჭარბე, გეგმასთან შედარებით 24 ერთეულია, ხოლო წინა წელთან შედარებით 9 ერთეულია. ამავე დროს, მუშების გეგმური რიცხვი წინა წელთან შედარებით 39 ერთეულითაა შემცირებული. მუშახელის აბსოლუტური სიჭარბის ან ნაკლებობის შემდეგ განისაზღვრება მომუშავეთა რიცხოვნობის შეფარდებითი გალახვა მუშების მიხედვით, რომელთა რაოდენობა სხვა თანაბარ პირობებში უნდა იცვლებოდეს წარმოების მოცულობასთან ერთად. მაგალითად, ჩვენ საკვლევ ობიექტში სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 102%-ით. გეგმით მუშების რიცხვი 853 კაცს შეადგენს. მუშების გეგმური მოთხოვნა ფაქტიურად გამოშვებული საერთო პროდუქციის გეგმის შესრულების მიხედვით შეადგენს 870 კაცს

$$\frac{853 \cdot 102}{100}$$

მუშების ფაქტიური რიცხვი კი შეადგენს 877 კაცს. ამრიგად, საწარმოში აღგილი აქვს მუშახელის 7 ერთეულით შეფარდებით სიჭარბეს. ასეთივე წესით გაიანგარიშება მუშახელის აბსოლუტური და შეფარდებითი გალახვა წინა წელთან შედარებით. ანალიზის შემდგომ ეტაპზე ვანისაზღვრება მუშების კვალიფიციური შემადგენლობის და კადრების ცნობადობის საკითხები.

ანალიზის დროს შესწავლილი უნდა იქნეს დასაქმებული პერსონალი საწარმოში მუშაობის სტაჟის მიხედვით; მუშათა ზოგადი განაწილების დონის მიხედვით.

ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით შესწავლილი უნდა იქნეს საწარმოს დონისძიებანი მუშათა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისათვის.

მუშახელის რიცხოვნობისა და შემადგენლობის ანალიზის შემდეგ შესწავლილი უნდა იქნეს მათი მოძრაობა საანგარიშგებო პერიოდში, ორი მიმართულებით: ა) გარეგანი ბრუნვა – საწარმოში ახალი მუშაკების მიღება და საწარმოდან წასვლა; ბ) შიდაბრუნვა – მუშაკთა გადასვლა ერთი კატეგორიიდან მეორეში, რითაც მუშაკთა საერთო რიცხოვნობის უცვლელობის პირობებში იცვლება მუშაკთა კატეგორიების სტრუქტურა.

მუშათა რიცხოვნობის მოძრაობის დასახასიათებლად მიბანდშეწონილია მათი რიცხოვნობის ბალანსის შეღგენა შემდეგი რეკვიზიტებით: მუშაკთა რიცხოვნობა პერიოდის დასაწყისისათვის, მიღება გარედან, სხვა კატეგორიიდან გადმოყვანა, წავიდა საწარმოდან (მიზეზთა დასახელებით), გადაყვანილია სხვა კატეგორიაში, მუშაკთა რიცხოვნობა პერიოდის ბოლოსათვის.

დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუშაკთა წასვლის და, საერთოდ, მოძრაობის მიზეზთა შესწავლას, რათა საწარმოს ხელმძღვანელობას პქონდეს რეალური მონაცემები თავისი პერსონალის მოძრაობის მიზეზების შესახებ და იმოქმედოს მათ შესამცირებლად. მუშახელის სოციალურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესების გზით.

მუშახელის პოძრაობის დასახასიათებლად ანგარიშობენ მიღების და დათხოვნის ბრუნვის კოეფიციენტებს, რისთვისაც საჭიროა მოცემული პერიოდისათვის შესაბამისად შეეფარდოთ მუშაკთა მიღების და დათხოვნის რიცხვი მუშაკთა საშუალო სიობრივ რიცხვს.

საწარმოდან მუშათა დათხოვნის მიზეზები მრავალია. პრაქტიკაში მათ ოთხ ჯგუფად განიხილავენ: 1. სახელმწიფოებრივი ხასიათის მიზეზები – არმიაში გაწვევა, უმაღლეს ან სპეციალურ სასწავლებელში შესვლა წარმოებიდან მოწყვეტით, გადაყვანა სხვა აუცილებელ საქმეზე და სხვა. 2. საწარმოო ხასიათის მიზეზები – სეზონურობა, სამუშაოს დამთავრება და ხელშეკრულების ვადის გასვლა, შტატების შემცირება და ა. შ. 3. მუშათა ასაკთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზეზები, 4. პიროვნული მიზეზები – საწარმოდან თვითნებური წასვლა, განთავისუფლება შრომის დისციპლინისა და სხვა დარღვევების გამო, განთავისუფლება სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით და სხვა.

ჩამოთვლილი ოთხივე სახის მიზეზით დათხოვნილი პერსონალის რაოდენობის შეფარდებით პერსონალის საშუალო სიობრივ რიცხვთან მიიღება დათხოვნის ბრუნვის კოეფიციენტი; ხოლო მარტო მე-4 ჯგუფის (პიროვნული ხასიათის) მიზეზებით საწარმოდან წასულ მუშაკთა რაოდენობის შეფარდებით მუშაკთა საშუალო სიობრივ რიცხვთან მიიღება ღენაღობის კოეფიციენტი.

საკვლევი ობიექტის ინფორმაციის საფუძველზე 9, 2 ცხრილში ნაჩვენებია მუშათა მიღების, დათხოვნის და ღენაღობის კოეფიციენტების გაანგარიშების წესი და მაჩვენებლები.

ცხრილი 9. 2

მუშათა ღენაღობის მაჩვენებლები

საწარმოთა დასახელება	მუშათა საშუალო სიობრივი რიცხვი	წლის განმავლობაში გასული მუშები		წლის განმავლობაში მიღებული მუშების რიცხვი	ბრუნვის კოეფიციენტები %		ღენაღობის კოეფიციენტი $\frac{\text{სვ. 2} - \text{სვ. 3}}{\text{სვ. 1}} \times 100$
		სულ	მათ შორის პირობითად ხასიათის მიზეზებით		მიღების $\frac{\text{სვ. 4}}{\text{სვ. 1}} \times 100$	დათხოვნის $\frac{\text{სვ. 2}}{\text{სვ. 1}} \times 100$	
	1	2	3	4	5	6	7
ფაბრიკა	870	260	60	300	34,5	29,9	6,9

მუშათა დენაღობის მაჩვენებლები განსილული უნდა იქნეს კვარტალურ ჭრილში, რაღგანაც ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებში პრობლემურ საკითხად ღგას სეზონურობასთან დაკავშირებულ მუშათა მკვეთრი მოძრაობის საკითხი, რაც დროულად გადაჭრას მოითხოვს. ანალიზმა უნდა გამოავლინოს მუშათა დენადობის შემცირების გზები. სამრეწველო საწარმოს შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენების შიდასაწარმოო ფარული რეზერვების გამოელენისათვის გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს პერსონალის შესწავლა მრავალი მიმართულებით, მაგალითად, სამუშაო ადგილებისა და მათზე დაკისრებული ფუნქციების მიხედვით; განათლებისა და მუშაობის სტაჟის მიხედვით. თავის მხრივ, დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი მუშათა სტრუქტურული შემადგენლობა წარმოებაში შრომის ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ხარისხის მიხედვით. მაგალითად, მუშები, რომლებიც სამუშაოს ასრულებენ: ა) ავტომატიზებული მექანიზმების გამოყენებით; ბ) ნახევრად ავტომატური ხელსაწყოებით და გ) ხელით.

მუშათა შემადგენლობის ანალიზის დროს ცალკე კელეეის ობიექტად უნდა გამოვყოთ წამყვანი პროფესიის მუშაკთა ჯგუფი, რამდენადაც წარმოებაში ყოველგვარი სიახლისა და ინიციატივის მხარდამჭერნი და წამომწყებნი ისინი არიან. ანალიტიკოსთა ვალი კი ისაა, რომ მათი ენთუზიაზმის შესახებ ობიექტურად და ოპერატიულად აცნობონ სათანადო ორგანოებს, ხელი შეუწყონ მათი მიღწევების დროულ განზოგადებას და მათ სათანადო მორალურ და ეკონომიკურ სტიმულირებას.

მუშების გამომუშავების ნორმების ანალიზი. იმისათვის, რომ საწარმოში შრომის ხასიათი შეესაბამებოდეს პერიოდისათვის მიღწეულ ტექნიკური განვითარების დონეს და ასახავდეს შრომის მოწინავე მეთოდებს, საჭიროა საწარმოში სისტემატურად ტარდებოდეს როგორც ნორმირების დონის, ასევე ნორმების ფაქტიურად შესრულების ანალიზი.

გამომუშავების ნორმების შესრულების ანალიზის დროს უნდა გამოვლინდეს დაუსაბუთებელი ნორმების გამოყენების შემთხვევები და დაისახოს გზები მის გასაუმჯობესებლად.

ანალიზის სათანადო დონეზე ჩატარებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება სათანადო ინფორმაციის მოპოვებას და გადამუშავებას. პერიოდული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმის – „ანგარიშგება გამომუშავების ნორმების შესრულების შესახებ“ – გარდა, საჭიროა გამოყენებულ იქნეს მიმდინარე აღრიცხვისა და დაკვირვების მეთოდებით მოპოვებული ინფორმაცია.

შრომის ნორმების ხარისხის დასადგენად მიზანშეწონილია „შეღარე-

ბის“ ხერხის გამოყენების საშუალებით ერთმანეთის შეცულარება, როგორც ერთი და იმავე ნორმების შესრულების მაჩვენებლები – სხვადასხვა საამქროში ან უბანზე, ისე საწარმოთაშორისო მასშტაბით.

დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი გამომუშავების ნორმების ცვალებადობის შემთხვევები და ანალიზი გაუკეთდეს იმ მუშების კვალიფიციური და პროფესიული მომზადების დონეს, რომლებიც წარმატებით ასრულებენ და რომლებიც ვერ ასრულებენ გამომუშავების ნორმებს. ამრიგად, გამომუშავების ნორმების შესრულების ანალიზმა ნათლად უნდა გვიჩვენოს საკელევ ობიექტში ნაკლოვანებანიც და წარმატებებიც; შესაბამისად დასახოს კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საწარმოში შრომითი რესურსების უკეთ გამოყენებას.

§ 5. სამუშაო დროის გამოყენების ანალიზი

სამუშაო დრო დანიშნულების მიხედვით ორ ნაწილად იყოფა: მუშაობის დროდ და შეწყვეტებად.

მუშაობის დრო ეს არის სამუშაო დღის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება სამუშაოსთან დაკავშირებული მოქმედებები.

შეწყვეტების დრო ეს სამუშაო დღის ის ნაწილია, რომლის განმავლობაშიც სხვადასხვა მიზების გამო უქმად იმყოფება, ცდება, ე. ი. წყდება შრომითი პროცესიც.

თავის მხრივ, მუშაობის დროს და შეწყვეტების დროს ყოფენ მრავალი ნიშნის მიხედვით; რამდენადაც ეს საკითხები დეტალურად „შრომის ნორმირების“ და „შრომის ეკონომიკის“ კურსებში შეისწავლება, ჩვენ მას შეგნებულად აღარ ვიხილავთ.

სამუშაო დროის დანახარჯების ანალიზი ორი მიმართულებით უნდა წარმოებდეს: ა) მუშებისა და ბ) მანქანა-მოწყობილობების მიერ სამუშაო დროის გამოყენების თვალსაზრისით.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ანალიზის ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება შერჩეული სამუშაო დროის დანახარჯების შესწავლის პროგრესული ხერხები და სათანადო აპარატურა.

საერთოდ, სამუშაო დროის ანალიზი მიზნად ისახავს შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას: სამუშაო დროის დანახარჯების სტრუქტურის დადგენის საშუალებით გამოვავლინოთ სამუშაო დროის დანაკარგების და არასაწარმოო დანახარჯების სიდიდე და მიზეზები; განესაზ-

ღერღთ რამღენად შეესაბამება გამოყენებული შრომის პროცესები წარმოების შესაძლებლობებს; მოვამზადოთ საიანალო ღასკვნები შრომის პროცესის რაციონალიზაციისათვის.

სამუშაო დროის გამოყენების ხარისხის დასაღგენად გამოყენებული უნდა იქნეს შემღეგი მაჩვენებლები:

1. ერთი მუშის მიერ პერიოდის განმავლობაში ნამუშევარ ღღეთა რიცხვი. იგი გაიანგარიშება ყველა მუშის მიერ ნამუშევარი კაც-ღღეების გაყოფით მუშების საშუალო სიობრივ რიცხვზე.

2. ერთი მუშის მიერ ღღის განმავლობაში ნამუშევარი საათების რიცხვი ანუ სამუშაო ღღის ხანგრძლივობა მიიღება პერიოდის განმავლობაში ნამუშევარი კაც-საათების გაყოფით იმავე პერიოდში ნამუშევარი კაც-ღღეების რიცხვზე.

3. ერთი მუშის მიერ პერიოდის განმავლობაში ნამუშევარი კაც-საათების საშუალო რიცხვი მიიღება კაც-საათების საერთო რიცხვის გაყოფით მუშების საშუალო სიობრივ რიცხვზე.

აღნიშნული მაჩვენებლების გაანგარიშების შემღეგ საშუალება გეეძლევა ვიმსჯელოთ სამუშაო დროის დანაკარგებზე (შუალედურზე და მთელ ღღიურზე) და, რაც მთავარია, ღავაღგინოთ მათი გავლენის სიღიღე წარმოების მოცულობაზე.

ანალიზის მიზანია სწორედ ამ რეზერვების ასამოქმედებელი ღონისძიებების დამუშავება; ამის განხორციელებისათვის კი, პირველ რიგში, აუცილებელია სამუშაო დროის დანაკარგების გამომწვევი მიზეზების შესწავლა, რისთვისაც, გარდა სააღრიცხვო ინფორმაციისა, საჭიროა ღაკვირვებისა და სოციოლოგიური გამოკითხვის მასალები.

საბაზრო ეკონომიკის კანონი მოითხოვს, რომ საწარმოში სისტემატურად მიმღინარეობღეს შრომითი რესურსების ეფექტურად გამოყენების მიღასაწარმოო რეზერვების კვლევა-ძიება, ე. ი. უნდა იზრღებოდეს მიღასაქარხნო ღაგეგმვის, აღრიცხვისა და ანალიზის როლი, რაც კარგად ღაყენებული შრომის ნორმირების ორგანიზაციის, ნორმებისა და ნორმატივების გარეშე შეუძლებელია.

შრომის ნორმების საფუძველზე ეძლევათ ღავალებები საამქროებს, უბნებს, აგრეთვე შემსრულებლებს თითოეულ სამუშაო ადგილზე. ნებისმიერი გეგმის შეღგენას, როგორც წესი, წინ უნდა უსწრებდეს განვლილი პერიოდის საქმიანობის ანალიზი და მიღასაწარმოო რეზერვების გამოვლინება.

ანალიზის ღროს ცალკეული ოპერაციის ფაქტიური შრომის ღანახარჯებს ადარებენ ნორმატიულს, როგორც უბნებისა და საამქროების, ისე

საწარმოთაშორისო მასშტაბით. ასეთი შეპირისპირება საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ შრომის ნაყოფიერების ბრძოს რეზერვები.

სხვადასხვა საწარმოს მიერ დამზადებულ ერთ და იმავე პროდუქციათა ფაქტიური და ნორმატიული შრომის დანახარჯების შედარება საშუალებას იძლევა აგრეთვე დავასკვნათ თითოეული მათგანის მუშაობის ეფექტიანობის ხარისხის შესახებ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა აღვნიშნოთ, რომ შრომის ნორმები წარმოადგენს პერსპექტიული და ოპერატიული დაგეგმვის საფუძველს, ხოლო ეკონომიკური ანალიზი – შრომის ნორმების ხარისხის დაცვის საშუალებას.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მიღწევა შეუძლებელია მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების არსებობის გარეშე და, რაც მთავარია, შეუძლებელია აგრეთვე ნორმალური ხელფასის განსაზღვრა.

როგორც შრომითი რესურსების გამოყენების ანალიზი ცხადყოფს, შრომის ნაყოფიერების ცვალებადობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. შრომის ნაყოფიერების ბრძოს შესაძლებლობათა გამოვლენისა და ეფექტურად ამოქმედებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ ფაქტორების არა მარტო სწორ მეცნიერულ კლასიფიკაციას, არამედ მათ სისტემურად განხილვას.

შრომის ნაყოფიერების გაძიდების რეზერვები საწარმოებში და სამუშაო ადგილებზე მეტად მრავალფეროვანია. ჩაის მრეწველობის საწარმოებს სხვა რეზერვები აქვს, მანქანათმშენებლობის საწარმოებს – სულ სხვა, მაგრამ ყოველ ფაბრიკასა და ქარხანაში შეიძლება გამოიყოს შრომის ნაყოფიერების ბრძოს სამი მთავარი რეზერვი: 1. პროდუქციის ერთეულის შრომატევადობის შემცირება, 2. სამუშაო დროის უკეთ გამოყენება, 3. წარმოების ძირითადი მუშების წილის გაძიდება მომუშავეთა საერთო რიცხვში.

ეჭვს არ იწვევს ის აზრი, რომ შრომის ნაყოფიერების ბრძოს მთავარი რეზერვი პროდუქციის შრომატევადობის შემცირებაა. მაგრამ ეს საკითხი ამ შემთხვევაში არ უნდა მოვწყვიტოთ პროდუქციის ხარისხის საკითხს; შრომატევადობის შემცირებამ არ უნდა მოახდინოს უარყოფითი გავლენა პროდუქციის ხარისხზე. მაგალითად, ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებში დნობის ხანგრძლივი პროცესის დაჩქარებულმა ტემპით წარმოებამ, ტექნოლოგია ნაწილის აბრათ, მზა პროდუქციის ხარისხზე უარყოფითად იმოქმედა, პროცესის შრომატევადობა კი საგრძნობლად შემცირდა (?!).

მოწინავე ტექნიკა და ტექნოლოგია შრომის ნაყოფიერების გაძიდე-

ბის საფუძველია, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, გაღამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კვალიფიციურ მუშახელს, რასაც, პრინციპში, მოკლებულია ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკები, რისი ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ანალიზმა ცხადყო, ის პირობებია, რომლებშიც მათ უხდებათ მუშაობა.

დიახ, სწორედ „სოციალური ფაქტორები", რომლებიც ყურადღების მიღმა იყო დატოვებული სოციალიზმის პირობებში, უნდა წამოვიდეს წინა პლანზე, რომ შეძლოს ყველა საწარმომ მომგებიანად მუშაობა, ადამიანებმა კი ნორმალურად ცხოვრება.

§ 6. სოციალური მაჩვენებლების ანალიზის საკითხები

დღეს განვითარებულ ქვეყნებში ეჭვს არ იწვევს ის აზრი, რომ შრომითი რესურსების ოპტიმალურად ეფექტური გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი შრომის კეთილსაიმედო პირობების შექმნაა. ამასთან დაკავშირებით უნდა შეიქმნას მაჩვენებელთა ისეთი სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ანალიზი ჩავუტაროთ შრომითი რესურსების სოციალური მდგომარეობის ცვალებადობას: – შემოსაეალი და მისი წყაროები; შემოსავლის უთანაბრობაზე მოქმედი ფაქტორები; ცხოვრების დონე; სოციალური დაცვა. აი, იმ საკითხების ერთი ნაწილი, რომლებიც შესწავლილი უნდა იქნენ შრომითი რესურსების სოციალური მდგომარეობის შესასწავლად.

შემოსავლის წყაროების ანალიზისათვის შედგენილი უნდა იქნეს ისეთი ცხრილი, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავახასიათოთ შემოსავლის სტრუქტურა დინამიკაში, განვიხილოთ თითოეული წყაროს ცვალებადობა და, რაც მთავარია, დავადგინოთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც იწვევენ ამ ცვალებადობას.

რამდენადაც მუშა-მოსამსახურეების შემოსავლის ძირითადი წყაროა ხელფასი, ანალიზის დროს იგი უნდა განვიხილოთ ნომინალურ და რეალურ ჭრილში. ნომინალურია ხელფასი, რომელიც ფულით არის გამოხატული, ხოლო რეალური ხელფასი, რომელიც უზრუნველყოფილია მსყიდველობითუნარიანობით, სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ადამიანთა ცხოერების დონეს. ანალიზის შემდგომ ეტაპზე გამოკვლეული უნდა იქნეს შემოსავლის უთანაბრობაზე მოქმედი ფაქტორები: ა) დარგის სა-

ხელმწიფოებრიეი დანიშნულება; ბ) განაიალება, შრომითი ჩვევები და სხვა ფაქტორები; გ) მემკვიდრეობითი საკუთრება; დ) მეწარმეობის უნარი.

შემოსავლების უთანაბრობაზე გარკვეულ წეგავლენას ახდენს სოციალურ სფეროში სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების ბრდა ან შემცირება.

შემოსავლის წყაროების ანალიზის ჩატარების შემდეგ უნდა შეეხსწავლოთ საკვლევი ობიექტის მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრების დონის მახასიათებლები.

ეკონომიკური თეორიიდან ცნობილია, რომ ცხოვრების დონე გამოხატავს მოსახლეობის კეთილდღეობის საზომს. იგი გეიჩევენებს ერთი ადამიანზე მატერიალური დოვლათის მოხმარების დონეს და ხარისხს.

მართალია, ცხოვრების დონე განზოგადებული მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, მაგრამ მისი შესწავლა აუცილებლად მიგეაჩნია მიკროდონეზე, თითოეული ფირმის დონეზე, რათა სოციალური ფაქტორების შესწავლას ჰქონდეს სისტემური სახე და, რაც მთავარია, პრაქტიკული სარგებლიანობა.

ცხოვრების დონე ყველაზე მძლავრი ფაქტორია, რომელიც მოქმედებს კალრების დენადობაზე, ამიტომ ამ სფეროს გამოკვლევა მეტად აქტუალურია. ანალიზი უნდა ჩაუტარდეს ცხოვრების დონის მაჩვენებელს – „სამომხმარებლო კალათას", რომელშიც იგულისხმება ადამიანის ძირითადი ფიზიოლოგიური და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების სიდიდე ღირებულებით ფორმაში. შესწავლილი უნდა იქნეს ამ მაჩვენებლის ცვალებადობის ტენდენცია და მისი გავლენა მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ მდგომარეობაზე და შრომის ნაყოფიერებაზე.

მუშა-მოსამსახურეთა სოციალური მდგომარეობის ანალიზის პროცესში ცალკე საკითხად უნდა გამოიყოს სოციალური დაცვის საკითხი.

განვითარებულ ქვეყნებში სოციალური უზრუნველყოფის სისტემა სათანადოდაა დამუშავებული და თავის ფუნქციებს ასრულებს, ჩვენს ქვეყანაში „სოციალური უზრუნველყოფა" მხოლოდ პენსიების, დროებით შრომის უუნარობის, ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების გაცემით შემოიფარგლება, რომლებიც სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანებიდან ფინანსდება. ეს სფერო დღეისათვის პარალიზებულია, ის მინიმალური – სიმბოლური პენსიებიც სანატრელი გაუხდა მოსახლეობას. ქვეყნის ეკონომიკა გაჩერებულია, დასაქმებულთა რიცხვი ძალიან მცირეა, ხოლო სოციალურად დაუცველთა რიცხვი დიდი. აქედან ცხადია, თუ რატომ არის პენსიები ასე მცირე (?!). განმსაზღვრელი მაინც ეკონომიკაა. მისი აღორძინების პარალელურად უნდა შეიქმნას ისეთი სადაზღვევო სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება პირად დაინტერესებაზე. როგორც საერთაშორისო პრაქტიკითაა დასაბუთებული, ადამიანთა სოციალური უზრუნველყოფა გულისხმობს:

– ადამიანის ღირსეულად არსებობის გარანტიას;

– შეიქმნას ის თანაბარი პირობები, რაც განავითარებს ადამიანის ღირსებას;

– ოჯახებს ალმოუჩინოს თანაგრძნობა და დახმარება;

– თავისუფლად არჩეული საქმიანობით მოიპოვოს საშუალება არსებობისათვის, ცხოვრებისეული სიმძიმეების კომპენსირება მოხდეს სხვადასხვა დახმარებით.

ამ ამოცანების გადასაწყვეტად უნდა მოქმედებდეს ისეთი სოციალური უფლებები, როგორიცაა: ხელშეწყობა შრომასა და განათლებაზე, სოციალური დაზღვევა, სოციალური კომპენსაცია ავადმყოფობისას, დახმარება ბავშვებსა და მოხარჯებს, დოტაცია ბინაზე, სოციალური დახმარება ინვალიდებისათვის.

ჩვენს პირობებში ეს ყველაფერი ზღაპრად გვეჩვენება, მაგრამ მალე დადგება დრო და ჟამი იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა გამოვა ამ კრიზისიდან და დღევანდელი ახალგაზრდობის გონიერი გარჯით და შრომით შეექმნით ცხოვრების ნორმალურ პირობებს.

საქართველოს კანონი საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ (1997 წ. 17 აპრილი) იმედს სახავს მის პრაქტიკაში განხორციელებისა.

სოციალური მაჩვენებლების ანალიზის პირველხარისხოვან ამოცანას მიეკუთვნება მიკროდონეზე მომუშავეთა სოციალური მდგომარეობის ცვალებადობის შესწავლა და იმ ფაქტორების გამოკვლევა, რომლებიც მოქმედებენ ადამიანთა სოციალურ მდგომარეობაზე.

უნდა შეიქმნას კონკრეტული მოდელი მომუშავეთა სოციალური მდგომარეობის შესაფასებლად, რომლის მიხედვით ჩატარდება მასში შემავალი მაჩვენებლების ანალიზი. ასე, მაგალითად, შეიძლება გავიანგარიშოთ ადამიანის ცხოვრების დონის შესაფასებლად კეთილდღეობის მაჩვენებლები:

1. ადამიანის საარსებო კოეფიციენტი;
2. ოჯახის საარსებო კოეფიციენტი;
3. ბედნიერების კოეფიციენტი.

მათი გამოთვლა შემდეგნაირად მოხდება:

$$\text{1. ადამიანის საარსებო კოეფიციენტი} = \frac{\text{ინდივიდის მთლიანი შემოსავალი}}{\text{საარსებო მინიმუმი}}$$

$$\text{2. ოჯახის საარსებო კოეფიციენტი} = \frac{\text{ოჯახის მთლიანი შემოსავალი}}{\text{ოჯახის წევრთა რიცხვი} \times \text{საარსებო მინიმუმზე}}$$

$$\text{3. ბედნიერების კოეფიციენტი} = \frac{\text{მოთხოვნა (დაკმაყოფილება)}}{\text{მოთხოვნილებასთან}}$$

მოთხოვნილება სუბიექტური კატეგორიაა და განისაზღვრება როგორც ადამიანის ფიზიოლოგიური და სოციალური მაქსიმალური მოთხოვნილებების ერთობლიობა.

მოთხოვნა მოთხოვნილების ის ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფილია ინდივიდის საკუთარი ფულადი თანხით.

ცნობილია, რომ თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა იმ წინააღმდეგობების გადაჭრის გზების ძიება, რომლებიც ადამიანის განუსაზღვრელ მოთხოვნილებებსა და მათი დაკმაყოფილებისათვის აუცილებელ შეზღუდულ რესურსებს შორის არსებობს. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის პირველხარისხოვანი ამოცანა სოციალური მდგომარეობის სფეროში სწორედ იმ ფაქტორების ძიება და ამოქმედებაა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მიკროდონეზე ამ წინააღმდეგობათა დაძლევას.

თავი X.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გამოყენების ანალიზი

§ 1. ძირითადი საშუალებების გამოყენების ანალიზის ამოცანები და ინფორმაციის წყაროები

როგორც ცნობილია, წარმოების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს შრომის საშუალებები შეადგენენ. ეკონომიკური თეორიის მიხედვით, შრომის საშუალება არის ყოველივე ის, რისი მეოხებითაც ადამიანი ზემოქმედებს შრომის საგნებზე. დაგეგმვისა და აღრიცხვის სფეროში შრომის საშუალებებს ძირითად საშუალებებს (ფონდებს) უწოდებენ. მათი არსი კი ასეა ჩამოყალიბებული: შრომის იარაღებს (საშუალებებს), რომლებიც წარმოების პროცესს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ემსახურებიან და თავიანთი ღირებულება ნაწილ-ნაწილ გადააქვთ ახლად შექმნილ პროდუქციაზე (ცვეთის შესაბამისად) ისე, რომ თვითონ არ კარგავენ პირვანდელ სახეს, ძირითადი ფონდები (საშუალებები) ეწოდება.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი № 16 კი ამ ცნე-

ბას ასე განმარტავს: ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებისა და მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და

ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ამრიგად, როგორც ამ განმარტებებიდან ჩანს, მათ შორის რაიმე განსხვავება არ არის, გარდა იმისა, რომ ბასს-16 მოქმედ განმარტებას ამატებს ორ მომენტს: გამოიყენება იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. გარდა ამისა, სტანდარტის მიხედვით, ძირითადი საშუალებები აღიარებული უნდა იქნას აქტივად, თუ:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედო შეფასება.

სტანდარტის ეს მოთხოვნები სრულიად ლოგიკურად მიგვაჩნია. იგი აიძულებს მეწარმეებს, ძირითადი საშუალებების გამოყენების საკითხში გამოიყენონ წინდახედულობის პრინციპი.

დღეისათვის მოქმედი ნორმატიული მასალებით ძირითად ფონდებს მიაკუთვნებენ შრომის იმ საშუალებებს, რომელთა წარმოებაში მომსახურების ვადა ერთ წელზე მეტია, ხოლო ღირებულება 150 ლარზე მეტი (გამონაკლისის გარდა). შრომის იმ საშუალებებს კი, რომელთა გამძლეობის ვადა ერთ წელზე ნაკლებია, ხოლო ღირებულება 150 ლარზე ნაკლები, უწოდებენ მცირეფასიან და სწრაფცვეთად საგნებს.

ძირითადი ფონდების გამოყენების ანალიზი მიზნად ისახავს: საფუძლიანად შეისწავლოს ძირითადი ფონდების მოცულობა, შედგენილობა, სტრუქტურა და დინამიკა, ძირითადი ფონდების გამოყენების განმამზოგადებელი მაჩვენებლები, მათი გამოყენების გაუმჯობესების რეზერვების გამონახვის მიზნით. ძირითადი ფონდების ეფექტურად გამოყენების ანალიზის ამოცანებია: საწარმოო პროგრამის შესაბამისად საწარმოს და სამქროების ძირითადი ფონდებით უმრუნველყოფის დადგენა; საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ხარისხის გაზომვა სამქროების მიხედვით; მოწყობილობით უმრუნველყოფაში „ვიწრო“ ადგილების და შედმეტი, არასაჭირო მოწყობილობათა გამოვლენა; ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანისა და გასვლის გეგმის შესრულების შეფასება; ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის დადგენა და კონკრეტული წინადადებების დამუშავება გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და რეზერვების ასამოქმედებლად.

ძირითადი ფონდების გამოყენების ანალიზის ინფორმაციის წყაროებია: ბიზნეს-გეგმიდან „წარმოების გეგმა“, სადაც მოცემულია ინფორმაცია საწარმოო სიმძლავრეებისა და მისი ცვალებადობის შესახებ. ტექნიკური განვითარების გეგმა; ანგარიშგება ძირითადი ფონდების მდგომარეობისა და მოძრაობის შესახებ; საწარმოო სიმძლავრეების ბალანსი; ინფორმაცია მიმდინარე აღრიცხვიდან ძირითადი ფონდების მოძრაობის, ამორტიზაციის და კაპიტალური რემონტის ღანახარჯების შესახებ, წლიური ანგარიშგების ფორმა № 1 ბალანსი, დაკვირვების მასალები, ინვენტარიზაციის მასალები.

სტატისტიკური ანგარიშგებიდან ფ. № 11 (წლიური) – ანგარიშგება ძირითადი საშუალებების შესახებ.

§ 2. ძირითადი ფონდების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი

ანალიზის პირველ ეტაპზე საჭიროა ძირითადი ფონდების სტრუქტურის შესწავლა, რისთვისაც დგება ანალიზური ცხრილი (10. 1). ცხრილის I და II სვეტი გვიხასიათებს ძირითადი ფონდების სტრუქტურას (თუ თითოეული სახის ძირითადი ფონდის ღირებულება რა პროცენტს შეადგენს სამრეწველო-საწარმოო ძირითადი ფონდების საერთო ღირებულებაში).

ცხრილი 10. 1

ძირითადი ფონდების სტრუქტურა

სამრეწველო-საწარმოო ძირითადი ფონდები	წლის დასაწყისისათვის	წლის ბოლოსათვის	ხვედრითი წონების ცვალებადობა
1. შენობები	50,3	51,2	+0,9
2. ნაგებობანი	7,6	6,8	—0,8
3. გადამცემი მოწყობილობანი	9,0	9,8	+0,8
4. ძალოვანი მანქანები და მოწყობილობანი	32,0	31,0	—1,0
5. სატრანსპორტო საშუალებანი	6,4	0,1	—
6. სხვა ძირითადი ფონდები	1,0	1,1	+0,1

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, სამრეწველო-საწარმოო ძირითადი ფონდების სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით შენობები (50,3%) და ძალოვანი მანქანები და მოწყობილობანი (32,0%) გამოირჩევა. გაღაბცემ მოწყობილობათა ხვედრითი წონა 10%-მდეა. ასეთი სტრუქტურული დახასიათება საშუალებას გვაძლევს ვივალგინოთ დინამიკაში სამრეწველო-საწარმოო ძირითადი ფონდების სტრუქტურული ცვალებადობა (ამას გვიხასიათებს ცხრილის მე-3 სვეტი) და ბოლოს ამ ცვალებადობის გაკლენა ფონდების გამოყენებაზე.

ძირითადი ფონდების სტრუქტურული ცვალებადობა დამოკიდებულია მათ მოძრაობაზე (მიღება-გასვლა), ამისათვის ანალიზის დროს საჭიროა გარკვეს, თუ საკვლევ ობიექტში, შესაწავლი პერიოდის განმავლობაში, საიდან და რა ღირებულების ძირითადი ფონდები იქნა მიღებული სახეების მიხედვით, აგრეთვე რა ღირებულების და რა მიზებით გაეიდა მწყობრიდან.

ძირითადი ფონდების მოძრაობის დასახასიათებლად პრაქტიკაში გამოიყენება ძირითადი ფონდების განახლებისა და გასვლის კოეფიციენტები.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიექცეს ძირითადი ფონდების განახლების კოეფიციენტის განსაზღვრას, რამდენადაც იგი გვიხასიათებს ძირითადი ფონდების კვლაწარმოების პროცესს და ტექნიკური პროგრესის ინტენსივობას დინამიკაში. იგი გაიანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში ექსპლუატაციაში გადაცემული ახალი ძირითადი ფონდების ღირებულების შეფარდებით პერიოდის ბოლოსათვის არსებული ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებასთან.

გასვლის კოეფიციენტი გვიხასიათებს წარმოების სფეროდან ძირითადი ფონდების გასვლის ინტენსივობის ხარისხს. მის გასაანგარიშებლად საჭიროა საანგარიშგებო პერიოდში გასული ძირითადი ფონდების ღირებულება შევუფარდოთ პერიოდის დასაწყისისათვის არსებულ ძირითადი ფონდების ღირებულებას.

იმასთან დაკავშირებით, რომ ძირითადი ფონდების ცალკეული ჯგუფები წარმოების პროცესში სხვადასხვა როლს ასრულებენ, განახლებისა და გასვლის კოეფიციენტები სასურველია გაანგარიშებულ იქნეს ცალ-ცალკე.

§ 3. ძირითადი ფონდების ტექნიკური მდგომარეობის ანალიზი

საწარმოო პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მათ აღჭურვას ძირითადი ფონდებით, არამედ მათ ტექნიკურ მდგომარეობასაც. ძირითადი ფონდების მდგომარეობის

დამახასიათებელ განმაზოგადებელ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: ა) ცვეთის კოეფიციენტი და ბ) ვარგისიანობის კოეფიციენტი. ეს კოეფიციენტები ახასიათებენ ძირითადი ფონდების ფიზიკურ მდგომარეობას.

ცვეთის კოეფიციენტის გასაანგარიშებლად საჭიროა ძირითადი ფონდების ცვეთის სიდიდე შევუფარდოთ ძირითადი საწარმოო ფონდების სრულ პირვანდელ ღირებულებას (გარკვეული პერიოდისათვის). ამრიგად, ეს მაჩვენებელი გვიხასიათებს, თუ ძირითადი ფონდების პირვანდელი ღირებულების რა ნაწილია უკვე განივთებული მზა პროდუქციაში.

ვარგისიანობის კოეფიციენტი გვიჩვენებს ძირითადი ფონდების ნარჩენი ღირებულების ხვედრით წონას ძირითადი ფონდების პირვანდელ ღირებულებაში და გაიანგარიშება პირველის შეფარდებით მეორესთან, ან სხვაობით 100%-სა და ცვეთის კოეფიციენტს შორის, გამოსახულს პროცენტობით. პრაქტიკასა და თეორიაში განასხვავებენ ფიზიკურსა და მორალურ ცვეთას (ცხრილი 10. 2).

ძირითადი ფონდების ფიზიკური ცვეთა მათი ხანგრძლივი მოხმარების შედეგად წარმოიქმნება (დეფორმაცია, კოროზია, ლპობა, გამოფიტვა და ა. შ.) და მისი ზომა დამოკიდებულია მათი გამოყენების ხარისხზე დროში და მუშაობის ინტენსივობაზე.

მორალური ცვეთის გამომწვევი მიზეზებია ძირითადი ფონდების წარმოების გაიაფება და წარმოებაში ახალი, უფრო სრულყოფილი შრომის იარაღების დანერგვა.

ცხრილი 10. 2

ცვეთისა და ვარგისიანობის კოეფიციენტები

	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს	გადახრა
	1	2	3
1.ძირითადი ფონდები (ათ. ლარ.)	22367	23303	+936
2.ძირითადი ფონდების ცვეთა (ათ. ლარ.)	7800	8180	+380
3.ცვეთის კოეფიციენტი (სტ. 2; სტ. 1)	0,348	0,351	+0,003
4.ვარგისიანობის კოეფიციენტი (სტ. 1 — სტ. 2); სტ. 1	65,2	64,9	—0,3

როგორც ცხრილიდან ჩანს, ძირითადი ფონდების ცვეთის კოეფიციენტი წლის დასაწყისში 0,348, ხოლო წლის ბოლოს 0,351-ის ტოლია, ე.ი.

გაიზარდა 0,3%-ით. ამრიგად, გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ წარმოების ძირითადი ფონდების 35,1% გაცვეთილია, ვარგისიანობის კოეფიციენტი წლის დასაწყისისათვის თუ შეადგენდა 65,2-ს, წლის ბოლოსათვის იგი შემცირდა 0,3%-ით (65,2 – 64,9).

ძირითადი ფონდების მდგომარეობის ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე რემონტის საკითხს. იმისათვის, რომ დავადგინოთ სარემონტო სამუშაოების გეგმის შესრულება ობიექტების დაწყება-დამთავრების ვადებისა და შესრულების ხარისხის მიხედვით, საჭიროა ინფორმაციის მოპოვება შესაბამისი განყოფილებებიდან.

ანალიზის დროს უნდა შემოწმდეს ძირითადი ფონდების მოდერნიზაციის გეგმა და მისი ეფექტი.

ძირითადი ფონდების ვარგისიანობის ანალიზის დროს მიზანშეწონილია შესწავლილ იქნეს ცალკეულ ფაბრიკებსა და საამქროებში არსებულ მოწყობილობათა ასაკობრივი შემადგენლობაც. ამის მიხედვით განვსაზღვრავთ ფაბრიკების მოწყობილობათა საშუალო ასაკს, მოვახდენთ ფონდების დაჯგუფებას ვარგისიანობის (მორალური და ფიზიკური ცვეთის) მიხედვით და სხვა. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს ობიექტურად შევაფასოთ საწარმოს საერთო მდგომარეობა მის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

მაგრამ იმისათვის, რომ შევაფასოთ ძირითადი ფონდების მდგომარეობის ხარისხი, საჭიროა დამატებით შევისწავლოთ მოწყობილობათა გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებლები.

როგორც ცნობილია, საწარმოთა მოწყობილობა ორ ჯგუფად იყოფა: სახემე არსებული და დადგმული. თავის მხრივ, დადგმული მოწყობილობანი იყოფა ოთხ ჯგუფად: მომუშავე, გეგმურ რემონტში და მოდერნიზაციაში მყოფი, სარეზერვო და გაცდენილი. ასეთი დაჯგუფება ფონდების გამოყენების გაუმჯობესების ფარული რეზერვების გამოვლენის საშუალებას იძლევა. სამწუხაროდ, ჩაის ფაბრიკებში (არც სხვა დარგების საწარმოთა უმრავლესობაში) არ ხდება მოწყობილობათა მოცდენების აღრიცხვა; ეს ინფორმაცია ანალიტიკოსმა უშუალო დაკვირვებით უნდა მოიპოვოს და გაიანგარიშოს ცალკეული დანადგარის ექსპლუატაციაში ყოფნის ფაქტიური კოეფიციენტი და მოცდენების გავლენა საერთო პროდუქციის მოცულობაზე, რაც ანალიზის ძირითადი მიზანია.

ანალიზის შემდგომ ეტაპზე შესწავლილ უნდა იქნეს მოწყობილობათა გამოყენების ექსტენსიური და ინტენსიური მაჩვენებლები.

ექსტენსიური გამოყენების კოეფიციენტი გაიანგარიშება სასარგებლო მანქანური დროის შეფარდებით მოწყობილობის კალენდარული დროის ფონდთან.

მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესება დროის მიხედვით ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკების შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის გამოშვების გადიდების მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს, ამიტომ ანალიზის საფუძველიან ჩატარებას ამ კუთხით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. შესწავლილი უნდა იქნეს მოწყობილობათა მოცდენები, მათი წარმოშობის მიზეზების მიხედვით.

საწარმო მოწყობილობის გამოყენების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ინტენსიობის კოეფიციენტი. მოწყობილობის ინტენსიური გამოყენების ანალიზის მიზანია გამოავლინოს ცალკეული სახის საშუალების მაქსიმალური მუშაობის შესაძლებლობანი მათი დროული გამოყენების თვალსაზრისით.

მოწყობილობის ინტენსიურად გამოყენებაში იგულისხმება დროის ერთეულში საშუალოდ ერთ მანქანაზე დამზადებული პროდუქციის რაოდენობა.

§ 4. ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლები და მათი ანალიზი

ძირითადი ფონდების ეფექტურად გამოყენების დახასიათებისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში რამდენიმე მაჩვენებელი გამოიყენება: ფონდუკუგება, ფონდტევადობა, ფონდშეიარაღება და სხვა.

ფონდუკუგება გვიჩვენებს თანაფარდობას გამოშვებული პროდუქციის მოცულობასა და მისი წარმოებისათვის გამოყენებული ძირითადი ფონდების საშუალო წლიურ ღირებულებას შორის; იგი გაიანგარიშება ფორმულით: $K = \frac{Q}{\Phi}$ სადაც K არის ფონდუკუგება, Q – საერთო პროდუქცია, Ф – ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალოწლიური ღირებულება. ფონდუკუგება გვიჩვენებს, თუ ძირითადი ფონდების 1 ან 100 ლარზე წარმოებული პროდუქციის რა სიდიდე მოდის.

ფონდტევადობა ფონდუკუგების შებრუნებული მაჩვენებელია, ე. ი. ამ შემთხვევაში ვარკვევთ, თუ ძირითადი ფონდების რა სიდიდე მოდის საერთო პროდუქციის ერთ ან ას ლარზე.

ფონდშეიარაღება გვიჩვენებს თანაფარდობას ფონდების საშუალოწლიურ ღირებულებასა და მუშების საშუალოსიობრივ რიცხვს შორის.

ძირითადი საწარმოო ფონდების მოძრაობისა და მათი ფიზიკური მდგომარეობის დახასიათების მიხედით, ძირითადი ფონდების გამოყენების განსაზოგადებელი მაჩვენებლების გასაანგარიშებლად შეიგნილია ცხრილი 10. 3. აბსოლუტური სხვაობის ხერხის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია გავზომოთ საერთო პროდუქციის მოცულობაზე ძირითადი ფონდების ღირებულებისა და ფონდუკუგების ცვალებადობის გავლენა.

ცხრილი 10. 3

ძირითადი ფონდების გამოყენების ზოგადი მაჩვენებლები

	გასულ წელს	საანგარიშგებო წელს		გადახრა „+" „–"	
		გეგმით	ფაქტობრივად	გეგმიდან	წინა წლიდან
	1	2	3	4	5
1.საერთო პროდუქცია ათ. ლარი	81985	86000	87735	+1735	+5750
2.მუშების რაოდენობა	892	853	877	24	–15
3.სამრეწველო-საწარმოო ძირითადი ფონდები. ათ. ლარი	18309	18249	18957	+708	+648
4.ფონდუკუგება (სტ. 1: სტ. 3) ლარი	4,478	4,713	4,628	–0,085	+0,150
5.ფონდტევადობა (სტ. 3: სტ. 1) ლარი	0,023	0,212	0,216	+0,004	+0,007
6.ფონდშეიარაღება (სტ. 3: სტ. 2) ათ. ლარი	20,5	21,4	21,6	+0,2	+1,1

როგორც ცხრილიდან ჩანს, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ძირითადი საწარმოო ფონდები გაიზარდა 708 ათასი ლარით ამ თანხის ფონდუკუგების გეგმურ მაჩვენებელზე გამრაელებით ელებულობთ პირველი ფაქტორის გავლენის სიდიდეს:

$$708x4,713=3326 \text{ ათას ლარს}$$

ფონდუკუგების ცვალებადობის გავლენის სიდიდის გასაზომად საჭიროა, გადახრა გეგმური მაჩვენებლიდან (-0,085) გავამრაელოთ ძირითადი ფონდების ფაქტიურ ღირებულებაზე, იგი 1669 ათასი ლარის ტოლია. ორივე ფაქტორის გავლენის ჯამი გვაძლევს საერთო გადახრას 3326-1669=1735 ათას ლარს.

ფონდშეიარაღების მაჩვენებელი გასულ პერიოდთან და გეგმასთან შედარებით გაზრდილია შესაბამისად 0,2 და 1,1 ლარით.

ძირითადი ფონდების ეფექტურობის კოეფიციენტი გვიხასიათებს საწარმოს მიერ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული მოგების შეფარდებას წარმოების ძირითადი ფონდების საშუალოწლიურ ღირებულებასთან.

ეკონომიკური ანალიზის დროს აღნიშნული მაჩვენებლები მიზანშეწონილია გაანგარიშდეს ძირითადი ფონდების ცალკეული ჯგუფების მიხედვით.

§ 5. საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ანალიზი

საწარმოო სიმძლავრე ეწოდება სამრეწველო საწარმოს მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბიზნეს-გეგმით განსაზღვრული ნომენკლატურის პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობით გამოშვების შესაძლებლობას, მუშაობის ნორმალური რეჟიმისა და წარმოების საშუალებათა რაციონალურად გამოყენების საფუძველზე.

ჩაის პირველადი გადამუშავების საწარმოები აღჭურვილია მაღალმწარმოებლური მოწინავე ტექნიკით და კვლავ სისტემატურ სრულყოფას განიცდის ტექნიკურ პროგრესთან ერთად.

სამრეწველო საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეების ეფექტურად გამოყენებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რომელთაგან მთავარია: ძირითადი ფონდების მოცულობა და სტრუქტურა, ძირითადი ფონდების ტექნიკური დონე და მწარმოებლურობა, ტექნოლოგიის პროგრესულობა, კადრების კვალიფიკაცია, შრომის ორგანიზაციის ხასიათი, წარმოების სპეციალიზაციის და კოოპერირების დონე, წარმოების მუშაობის რეჟიმი, დარგის სეზონურობა და სხვა.

ანალიზის დროს გამოკვლეულ უნდა იქნეს თითოეული ჩამოთვლილი ფაქტორის გავლენა საწარმოო სიმძლავრეების ეფექტურად გამოყენებაზე.

ფაბრიკის (ქარხნის) საწარმოო სიმძლავრე გამოისახება როგორც ნატურალურ, ისე ღირებულებითი მაჩვენებლებით, ერთი კალენდარული წლის მიხედვით. უპირატესობა ენიჭება ნატურალურ მაჩვენებელს, რადგან იგი თვალნათლივ ახასიათებს საწარმოს რეალურ შესაძლებლობას. მაგალითად, ჩაის პირველადი გადამუშავების სიმძლავრე გამოისახება წლის განმავლობაში გადასამუშავებელი ჩაის ფოთლის რაოდენობით, ან გამოშვებული მზა პროდუქციის რაოდენობით (ტონებში).

საწარმოო სიმძლავრეების სწორად გაანგარიშებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ ანალიზს. ანალიზით უნდა გამოვლინდეს ცალკეულ საამქროებს შორის საწარმოო სიმძლავრეთა დისპროპორციები, მანქანა-მოწყობილობის შიდაცვლური და მთელღღიური მოცდენები და მათი გაველენა საერთო პროდუქციის გამოშვებაზე.

ანალიზის დროს უნდა ვხელმძღვანელობდეთ საწარმოო სიმძლავრეების განსაზღვრის ერთიანი მეთოდიკის და კონკრეტული დარგის სპეციფიკის პრინციპებით.

საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ანალიზი უნდა ჩატარდეს საწარმოს ყველა ქვედანაყოფში თანმიმდევრულად. პირველ რიგში შესწავლილ უნდა იქნეს საწარმოს მუშაობის რეჟიმი, რადგან იგი უშუალო გავლენას ახდენს საწარმოო სიმძლავრეებზე. მუშაობის რეჟიმში შედის ცვლების რაოდენობა, სამუშაო დღისა და სამუშაო კვირის ხანგრძლივობა.

1 შესწავლილ უნდა იქნეს საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების კალენდარული, რეჟიმული და ფაქტიური დროის ფონდის მაჩვენებლები.

კალენდარული დროის ფონდი უდრის კალენდარული დღეებისა და დღეღამის ხანგრძლივობის ნამრავლს.

რეჟიმული დროის ფონდი მიიღება სამუშაო დღეების რაოდენობისა და ცვლების მიხედვით სამუშაო საათების რაოდენობის ნამრავლით.

ფაქტიური დროის ფონდი წარმოადგენს სხვაობას სამუშაო დროის რეჟიმულ ფონდსა და გრაფიკით გათვალისწინებულ საწარმოო სიმძლავრეების გეგმური რემონტის დროს მოცდენების რიცხვს შორის.

ჩაის ფაბრიკებში საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ანალიზის დროს შეიძლება დავეყრდნოთ საწარმოო სიმძლავრეების გაანგარიშების ფორმულას*:

$$H_{\sigma} = \frac{mtnT}{K}$$

სადაც H_{σ} არის ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკის წლიური სიმძლავრე (კგ ჩაის მწვანე ფოთოლი წელიწადში), m – ჩაის საშრობი ღუმელების რაოდენობა, n – ჩაის საშრობი ღუმელების მწარმოებლობა (კგ საათში), t – საათების რაოდენობა დღე-ღამეში, T – დღეების რაოდენობა სეზონში, K – ნედლეულის მიღების უთანაბრობის კოეფიციენტი (2,4).

ანალიზის დროს აღნიშნულ ფორმულაში შეიტანება გეგმური და ფაქტიური მაჩვენებლები. როგორც კი გამოვლინდება გადახრა, საშუალება გვეძლევა გავზომოთ ამ გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის სიდიდე.

---

* დ. ძნელაძე, სამრეწველო წარმოების ორგანიზაცია და დაგეგმვა, თბ., 1986, გვ. 268.

აქვე უნდა დაეძინოთ, რომ ამ ფორმულის გამოყენება გამართლებულია მაშინ, როდესაც აბსოლუტური შესაბამისობაა ფაბრიკის საამქროებში არსებულ საწარმოო სიმძლავრეებს შორის.

ძირითადი ფონდების გამოყენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკვლევ ობიექტს (სხვა ფაბრიკების მსგავსად) გააჩნია საწარმოო სიმძლავრეების გამოუყენებელი რეზერვები. პირველი ძირითადი რეზერვია საწარმოო სიმძლავრეების შეფარდებითი მატერიალური ათვისება; მეორე რეზერვია ჩაის ფოთლის უთანაბრო დამზადების კოეფიციენტის შემცირება.

მნიშვნელოვან რეზერვად გვევლინება აგრეთვე პირველადი ჩაის ფაბრიკების მუშაობის სეზონის პერიოდის გაზრდა, რისთვისაც არსებობს დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ დამუშავებული სათანადო რეკომენდაციები და ღონისძიებანი.

მოწყობილობათა დროული დამონტაჟება და ექსპლუატაციაში გადაცემა მას შემდეგ, როდესაც იგი ყოველმხრივ იქნება შემოწმებული. ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებში იყო შემთხვევა, როდესაც წარმოებაში ინერგებოდა ტექნიკურად და ტექნოლოგიურად ნაკლებად შემოწმებული ძვირადღირებული მოწყობილობანი, რომელიც მალე იხსნება წარმოებიდან როგორც უვარგისი. ყოველივე ამის შელებად ეცემა არა მარტო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი, არამედ პროდუქციის ხარისხიც.

დამონტაჟებული მოწყობილობის სრული დატვირთვის გამოყენება სეზონის განმავლობაში და „პიკის" პერიოდშიც. არის შემთხვევები, როცა „პიკის" პერიოდში ზოგიერთი ფაბრიკის საწარმოო სიმძლავრეები დაუტვირთავია, მაშინ როდესაც სხვა ფაბრიკებში ნელლეული ფუჭდება სიმძლავრეების ნაკლებობის გამო. ასეთი მდგომარეობა იწვევს მწვა პროდუქციის ხარისხის გაუარესებას, ე. ი. ზარალდება საწარმოც და მომხმარებელიც.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია (ზონების მიხედვით) შეიქმნას ჩაის ფოთლის დამზადების ფაბრიკებში შეტანისა და გადამუშავების მართვის ავტომატიზებული ცენტრები, რომლებიც ხელს შეუწყობენ „პიკის" პერიოდში საწარმოთა თანაბარზომიერ დატვირთვას.

საწარმოო სიმძლავრეების ეფექტურად გამოყენებას ხელს უშლის აგრეთვე ის გარემოება, რომ ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებში ხშირია მანქანა-მოწყობილობის დაზიანება, კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობის გამო დაზიანებული მოწყობილობა ცდება, რაც დიდ დანაკარგებს იწვევს, განსაკუთრებით ჩაის ფოთლის „პიკის" პერიოდში.

ბოლო პერიოდში ხელისუფლებისა და კერძო ინვესტორების მიერ ჩაის მრეწველობის გაღარჩენისა და რეაბილიტაციისათვის გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, სიტუაცია კვლავ მეტად მძიმეა. ღვის წესრიგში დგას კრიზისის აღმოფხვრის აუცილებლობა.

თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწარმოო სიმძლავრეების ეფექტურ გამოყენებას, იქიდანაც ჩანს, რომ ერთი ტონა სადღეღამისო სიმძლავრის მოქმედებაში შეყვანისთვის კაპიტალური დაბანდება დღევანდელი ტარიფებით დაახლოებით 20 მლნ ლარს შეადგენს. ამრიგად, მიახლოებით გაანგარიშებით ყოველწლიურად ათეულობით მილიონი ლარის კაპიტალური დაბანდებაა საჭირო საწარმოო სიმძლავრეთა გასაჩრდილად.

დღეს, როდესაც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, დღის წესრიგში დადგა საწარმოო სიმძლავრეების ოპტიმალური ვარიანტით გამოყენების საკითხი. კიდევ უფრო იზრდება ამ სფეროში ოპერატიული და პერსპექტიული ანალიზის როლი, როგორც ფონდუკუგების ზრდის ფარული რეზერვების გამოვლენის მძლავრი ბერკეტისა.

§ 6. არამატერიალური აქტივების ცნება და ანალიზის ამოცანები

არამატერიალური აქტივებია ხელშეუხები საშუალებები, რომლებსაც არა აქვთ ფიზიკური ფორმა, მაგრამ საწარმოსათვის შემოსავალი მოაქვთ და განიხილებიან ბალანსის აქტივის შემადგენელ ნაწილად. ასეთებია: ლიცენზიები, პატენტები, ნოუ-ჰაუ, სასაქონლო ნიშანი, გუდვილი, საავტორო უფლება და სხვა.

არამატერიალური აქტივების მუხლი ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება მათი თვითღირებულებით, რომელიც შედგება მათი შეძენისა და მომზადების ხარჯებისაგან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ კატეგორიის არსის შესახებ ერთგვაროვანი გაგება ჯერ მიღწეული არ არის.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ანალიზისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კარგად გაეცნოთ მათ არსში. უნდა გაეარკვიოთ: რისთვის შეიძინეთ, რა გადაიხადეთ, რა შემოსავალს გვაძლევს და როგორია ეფექტიანობა.

არამატერიალური აქტივების აღსარიცხავად ბუღალტერიაში გამოიყენება ამავე სახელწოდების აქტიური ანგარიში, შესაბამისად, გახსნილი აქვს ცენტის ანგარიშიც. ანალიზისათვის ინფორმაცია ამ ანგარიშებიდან უნდა ავიღოთ.

„არამატერიალური აქტივების“ ცნება ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში ახალია და, ბუნებრივია, მისი აღრიცხვის და ეკონომიკური ანალიზის საკითხები სათანადოდ არაა გაცნობიერებული. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ს აკითხის სირთულის გამო, მსოფლიო პრაქტიკაშიც კი მის აღრიცხვისა და ანგარიშგებაში ასახვის შესახებ საერთაშორისო სტანდარტი არაა შემუშავებული.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ანალიზის მიზანი და ამოცანები ობიექტურად რომ ჩამოყალიბდეს, პირველ რიგში აუცილებელია მისი შემადგენელი ელემენტების არსის ყოველმხრივი შემეცნება და ეფექტიანობის კრიტერიუმის განსაზღვრა.

არამატერიალური აქტივები პერიოდულად გადის ექსპლუატაციიდან სხვადასხვა მიზეზით: მორალური ცვეთით, გაყიდვით, უსასყიდლოდ გადაცემით და სხვა. ანალიზის პროცესში დეტალურად უნდა შეისწავლოთ მათი გასვლის ეკონომიკური შედეგები.

თავი XI.

სასაქონლო პროდუქციის და დანარჩენი აქტივების რეალიზაციის ანალიზი

§ 1. საქონელი, როგორც ბაზრის ძირითადი ატრიბუტი – რეალიზაციის ცნება და ანალიზის ამოცანები

როგორც ეკონომიკური თეორიიდან ცნობილია, საქონელი ეკონომიკური დოვლათის სპეციფიკური ფორმაა და ისეთი ეკონომიკური დოვლათია, რომელიც განკუთვნილია გაცვლისათვის ყიდვა-გაყიდვის გზით. საქონელწარმოება და ბაზარი ორგანულ ერთიანობაშია. ბაზარზე ხდება საქონლის რეალიზაცია, რითაც მთავრდება მეწარმის საქონელწარმოების ციკლი. რამდენადაც რეალიზაციის შედეგად მეწარმე იღებს შემოსავალს, იმდენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეალიზაციის მაჩვენებლის სისტემურ და ოპერატიულ ანალიზს, რადგანაც იგი გვეელინება პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ზრდის ფარული რეზერვების გამოვლენის ერთ-ერთ ძირითად ბერკეტად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროდუქციის რეალიზაციის ანალიზის ძირითადი ამოცანებია: 1. პროდუქციის რეალიზაციის გეგმის დასაბუთებულობის ხარისხის შემოწმება, პროდუქციის გამოშვების გეგმასთან მიმართებაში; 2. პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების საერთო შეფასება და დეტალიზაცია მოცულობის, სტრუქტურის და რიტმულობის მიხედვით; 3. ცალკეულ მყიდველებზე პროდუქციის გადაგზავნისა და რეალიზაციის რიტმულობის შემოწმება და რეალიზაციის გეგმის შესრულებაზე მოქმედ ფაქტორთა დადგენა და მათი გავლენის გამომვა; 4. პროდუქციის რეალიზაციის და დანარჩენი აქტივების რეალიზაციის მოცულობის გაძიდების რეზერვების გამოვლენა და მათი განხორციელების ღონისძიებების შემუშავება.

პროდუქციის რეალიზაციის და დანარჩენი აქტივების რეალიზაციის ანალიზის საინფორმაციო წყაროა: ა) ბიზნეს-გეგმიდან ისეთი განაყოფები, როგორიცაა საქონელი (მომსახურება), გასაღების ბაზარი, კონკურენცია, მარკეტინგის სტრატეგია. ბიზნეს-გეგმაში მოცემული განაყოფი საქონელი (მომსახურება) მოიცავს იმ პროდუქციის (მომსახურების) აღწერას, რომლის წარმოებასაც პროექტი ითვალისწინებს. აქვე უნდა იყოს მოცემული ფასებისა და დანახარჯების პროგნოზი.

გასაღების ბაზარი ბიზნეს-გეგმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ის ემყარება ბაზრის გამოკვლევას. მისი ძირითადი მიზანია განსაზღვროს და დაასაბუთოს ბაზრის ის ნაწილი, სადაც მოძებნის წარმოებისათვის დაგეგმილი საქონლის მყიდველს.

კონკურენცია. გეგმის ამ განყოფილებაში აუცილებელია განისაზღვროს ანალოგიური პროდუქციის ყველაზე მსხვილი მწარმოებლები – კონკურენტები, განისაზღვროს კონკურენტების ფასების პოლიტიკა და დონე.

მარკეტინგის სტრატეგია მოიცავს ისეთი პრობლემების გადაწყვეტას, როგორიცაა: ა) საქონლის გავრცელების სქემა, ფასწარმოქმნა, რეკლამა, გაყიდვის სტიმულირების მეთოდები, ფირმის და საქონლის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. ბ) საანგარიშგებო პერიოდის მიმდინარე და საშუალგო მონაცემები პროდუქციის გადაგზავნისა და რეალიზაციის შესახებ. ოპერატიული ანალიზისათვის გამოიყენება საამქროების მიერ პროდუქციის გამოშვების, საწყობში ჩაბარების და მყიდველებზე გადაგზავნის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები და სხვა. რეალიზაციის ანალიზისათვის ფრიად მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ბანკის ამონაწერები და სალაროს შემოსავალ-გასაელის დავთარი.

როგორც თეორიიდანაა ცნობილი, ანალიზისათვის დიდად საყურადღებო მასალებს იძლევა დაკვირვება, ქრონომეტრაჟი.

§ 2. პროდუქციის გამოშვების და რეალიზაციის მაჩვენებელთა ურთიერთკავშირის ანალიზი

პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია გამოშვებული პროდუქციის მოცულობასთან და მზა პროდუქციისა და გადაგზავნილი საქონლის ნაშთების ცვალებადობასთან (პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს). ამიტომ საკვლევ ობიექტზე ამ მაჩვენებელთა ანალიზური ურთიერთკავშირის შესასწავლად მიზანშეწონილია შევადგინოთ სასაქონლო და რეალიზებული პროდუქციის ბალანსი. თეორიულად პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა უდრის მზა პროდუქციისა და

გალაგეირთული საქონლის ნაშთებს პერიოდის დასაწყისისათვის, მიმატებული სასაქონლო პროდუქციის გამოშვება, გამოკლებული მწა პროდუქციისა და გალაგეირთული საქონლის ნაშთები პერიოდის ბოლოსათვის. ჩამოთვლილი მონაცემების საფუძველზე შედგენილია სასაქონლო პროდუქციის და რეალიზაციის მაჩვენებლების ბალანსი (ცხრილი 11. 1).

ცხრილი 11. 1

სასაქონლო პროდუქციის და რეალიზაციის მაჩვენებლების ბალანსი
(ათას ლარებში)

	გეგმით	ფაქტობრივად	გადახრა
I.არარეალიზებული სასაქონლო პროდუქციის ნაშთი (საწყობებში და გაგზავნილი) წლის დასაწყისისათვის	3102	3000	—102
II.შემოსავალი:			
ა) სასაქონლო პროდუქციის გამოშვება საანგარიშგებო წლისათვის	86000	87735	+1735
ბ) ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი პროდუქციის ზედმეტობა	X	—	X
ჯამი (ა+ბ)	86000	87735	+1735
სულ (1+11)	289102	90735	+1633
III. გასავალი:			
ა) პროდუქციის რეალიზაცია საანგარიშგებო წელს	85200	85800	+600
ბ) საწყობებში პროდუქციის გაფუჭება და დანაკარგი	X	X	X
ჯამი (ა+ბ)	85200	85800	600
IV. არარეალიზებული სასაქონლო პროდუქციის (საწყობებში და გაგზავნილის) ნაშთი წლის ბოლოს	3902	4935	+1033
სულ (III+IV)	89102	90735	+1633

ბალანსის მონაცემები გვიჩვენებს:

ა) პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შედგენილია პროდუქციის გარდამაეალი ნაშთების გაუთვალისწინებლად, რაც რეალიზაციის გეგმის დაძაბულობას ამცირებს; ბ) პროდუქციის რეალიზაციის გეგმის წარმატე-

ბით შესრულება განპირობებულია სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მოცულობის მცირედით, რამდენადაც არარეალიზებული პროდუქციის ნაშთები წლის ბოლოს გეგმასთან შედარებით 1033 ათასი ლარით ანუ 26,4%-ითაა გაზრდილი.

ანალიზის მიზანია გამოიკვლიოს არარეალიზებული ზეგეგმური ნაშთების წარმოშობის მიზეზები. ამისათვის საჭიროა წლიური მონაცემების საფუძველზე გაეშიფროთ არარეალიზებული პროდუქციის ნაშთები.

ამრიგად, არარეალიზებული პროდუქციის ნაშთების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკვლევ ობიექტს პროდუქციის რეალიზაციის საკითხი მოგვარებული არა აქვს სათანადო დონეზე, მწა პროდუქციის ნაშთის ზრდა საწყობში 1522 ათასი ლარით გადაგვავინილი საქონელი საანგარიშსწორებო საბუთებით, რომელიც მყიდველის მიერ ვადაზე არაა განაღდებული 150 ათასი ლარით და, რაც მთავარია, საქონელი მყიდველებთან საპასუხისმგებლო შენახვით აქცეპტზე უარის თქმის გამო, 184 ათასი ლარით – მიგვანიშნებს იმაზე, რომ პროდუქცია დაბალი ხარისხისაა და მასზე მოთხოვნილება არ არის. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ პროდუქციის რეალიზაციის გეგმის წარმატებით შესრულებას ძირითადად პროდუქციის ხარისხი განაპირობებს. ანალიზის შემდგომ ეტაპზე გამორკვეულ უნდა იქნეს შექმნილი სიტუაციის გამომწვევი მიზეზი, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს გადაგზავნილ საქონელს, რომლის განაღდებაზე მყიდველი უარს ამბობს, და იმ საქონლის ბეღს, რომელიც ვადაზე არაა განაღდებული. გასარკვევია, აგრეთვე, თუ რამ განაპირობა საწყობში მწა პროდუქციის ნაშთების ზრდა 1935 ათასი ლარით. უნდა დადგინდეს მიზეზები: რიგმის დარღვევა, დაბალი ხარისხი, ტარის უქონლობა და სხვა.

§ 3. რეალიზაციის გეგმის შესრულების ანალიზი პროდუქციის სახეების მიხედვით

სასაქონლო პროდუქციის და რეალიზაციის მაჩვენებლების ბალანსის ინფორმაციის ანალიზის შემდეგ მიზანშეწონილია განვიხილოთ პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების მდგომარეობა სინთეზურ და ანალიზურ ჭრილში. ამასთან დაკავშირებით ანალიზის დროს ყურადღება უნდა მიეაქციოთ „რეალიზაციის მომენტის“ აღიარების მოქმედ წესს. ე. ი. პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ, რა შეიტანება პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის მაჩვენებელში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით განსაზღვრულია „შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის

პრინციპები", რომლის მიხედვით, გაღასახადის გადამხდელი ვალდებულია სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები. გაღასახადის გადამხდელი ვალდებულია აღრიცხვა აწარმოოს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის მომენტიდან 90 დღის შემდეგ, ხოლო თუ განაღდება წარმოების მიწოდებიდან 90 დღის გასვლამდე, მაშინ შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა წარმოებს საკასო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადის გადამხდელის მიერ აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება მომენტი, როცა საწარმომ ფაქტობრივად მიიღო ამ შემოსავლების გამოყენებისა და განკარგვის უფლება, ე. ი. თანხები ჩაერიცხა ანგარიშსწორების ან სავალუტო ანგარიშებზე, ან თანხა მიიღო სალაროში. სამეწარმეო საქმიანობის კანონის მიხედვით, ყველა საწარმოს შემუშავებული უნდა ჰქონდეს „საღრიცხვო პოლიტიკა", სადაც განსაზღვრული იქნება აღრიცხვის პრინციპები. ანალიტიკოსმა სწორედ ამ პრინციპების მიხედვით უნდა მოახდინოს მაჩვენებლების შეფასება და ანალიზური დამუშავება.

იმისათვის, რომ დავადგინოთ საკვლევი ობიექტის მიერ საანგარიშგებო პერიოდში პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება სინთეზურ და ანალიზურ ჭრილში, რეკომენდებულია შემდეგი სახის ცხრილის შედგენა (ცხრილი 11. 2).

ცხრილი 11. 2

რეალიზაციის გეგმის შესრულება
(ათას ლარ.)

პროდუქციის სახეები	გეგმით	ფაქტობრივად	გეგმის შესრულების %
სასაქონლო პროდუქციის რეალიზაცია	85200	85800	100,7
მ. შ.			
„ა" — „საქართველოს თაიგული"	8000	8400	105,0
„ბ" — უმაღლესი ხარისხი	28600	29200	102,1
„გ" — პირველი ხარისხი	48400	48200	99,6

როგორც ცხრილიდან ჩანს, საწარმოს პროდუქციის რეალიზაციის გეგმა მთლიანად 100,7%-ით შეუსრულებია, ცალკეული ხარისხების მიხედვით კი ასეთი სურათია: „საქართველოს თაიგულის" მიხედვით გეგმა გადა-

ჭარბებულია 5%-ით, უმაღლესი ხარისხის მიხედვით 2,1%-ით, რაც შეეხება პირველ ხარისხს, აქ გეგმა 99,6%-ითაა შესრულებული. ამ მოსაცემებით ჩვენ შეგვიძლია ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას რეალიზაციის გეგმის შესრულების შესახებ, მაგრამ კონკრეტული დასკვნების გაკეთებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმის გამოთვლა, თუ ითითოეული პროდუქცია როგორი რენტაბელობისაა და მათი ცვალებადობა რა გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ შედეგებზე.

რეალიზაციის ოპერატიული ანალიზი

პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებლების ზოგადი ანალიზი წარმოების მართვისათვის საკმარისი არ არის, ამიტომ აუცილებელია ამ მაჩვენებლის ოპერატიული ანალიზი, რომლის საშუალებით დავადგენთ წარმოების პროცესის თანმიმდევრობასთან ერთად, ყოველდღიურად, საათობრივადაც კი პროდუქციის გადაგზავნის და რეალიზაციის ფაქტური მაჩვენებლების გადახრას გეგმურიდან და სათანადო დასკვნებსაც ოპერატიულად გავაკეთებთ.

ოპერატიული ანალიზისათვის ინფორმაციის წყაროდ გამოიყენება საამქროების მიერ პროდუქციის გამოშვების, გადაგზავნის და რეალიზაციის ყოველდღიური პირველადი დოკუმენტები.

საწარმოს ხელმძღვანელობა სისტემატურად უნდა იღებდეს ანალიზურ ინფორმაციას რეალიზაციის მდგომარეობის შესახებ და დროულად იღებდეს ზომებს უარყოფითი მიზეზების აღსაკვეთად.

როგორც უკვე განვიხილეთ, პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, ასევე მათი გავლენა ვრცელდება რეალიზაციის მაჩვენებელზე. ოპერატიული ანალიზის დროს უნდა ვეცადოთ მრავალ ფაქტორთაგან გამოვყოთ ისეთები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ ამ მაჩვენებელზე და შესაბამისად, მათ მართვას მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება.

§ 4. ძირითადი საშუალებების და დანარჩენი აქტივების რეალიზაციის ანალიზი

საწარმოს საერთო რეალიზაციის მოცულობა მოიცავს შემოსავლებს ძირითადი საშუალებების და დანარჩენი აქტივების რეალიზაციიდან. ამიტომ რეალიზაციის ანალიზის პროცესი ამ სფეროებსაც უნდა შეეხოს.

ძირითადი საშუალებების რეალიზაციის შესახებ ინფორმაცია გროვდება ამავე სახელწოდების № 47 ანგარიშზე „ძირითადი საშუალებების რეალიზაცია და სხვა გასავალი". იგი განკუთვნილია საწარმოს კუთვნილი საშუალებების რეალიზაციის აღსარიცხავად, აგრეთვე მათი რეალიზაციიდან მიღებული ფტინანსური შეღეგების აღსარიცხაეად.

დანარჩენი აქტივების რეალიზაცია (ანგ. № 48) განკუთვნილია საწარმოს კუთვნილი ფასეულობების (რომლებიც ზემოთ აღნიშნული არ არის) რეალიზაციის დასარიცხავად, კერძოდ, ამ ანგარიშზე აისახება არამატერიალური აქტივების, საბრუნავ საშუალებებს მიკუთვნებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, ფასიანი ქაღალდების და სხვა ფინანსური დაბანდებების საბალანსო ღირებულება და გასაყიდი ფასი.

ძირითადი ფონდების და დანარჩენი აქტივების რეალიზაციის მაჩვენებლების ანალიზი მიზნად ისახავს დაადგინოს: ა) ამ სფეროდან მიღებული შემოსავლები, ფინანსური შედეგები და ბ) რაც მთავარია, ამ გადაწყვეტილებათა ეკონომიკური ეფექტიანობა; გამოაელინოს მიღებულ გადაწყვეტილებათა ოპტიმალურობა და საერთო რეალიზაციის მოცულობის ცვალებადობაზე მათი გავლენის დადებითი და უარყოფითი მომენტები.

§ 5. მარკეტინგული ანალიზის საკითხები

სიტყვა „მარკეტინგი" ინგლისურია და ბაზარს, გასაღებას ნიშნავს. იგი ჩვენს ლექსიკონში ქვეყნის საბაზრო პრინციპებზე გადასვლის დაწყებიდან გაჩნდა. საერთაშორისო მასშტაბით კი განვითარებული ქვეყნების ბიზნესმენები და ფინანსისტები ამ ცნებას უკავშირებენ თავიანთი საქმიანობის სრულყოფის ახალ შესაძლებლობებს, რადგანაც დღეს მარკეტინგის შინაარსი გააბრებულია, როგორც სავაჭრო-კომერციული საქმიანობა, მათ შორის ბაზრის შესწავლა, საქონლის ასორტიმენტის დაგეგმვა, ფასის პოლიტიკა, რეკლამა და გასაღების სტიმულირება, მომსახურება გაყიდვაზე და მის შემდეგ.

მარკეტინგთან მჭიდროდაა დაკავშირებული პროდუქციის ასორტიმენტული პოლიტიკის პროექტირება და დაგეგმვა, ბაზრის ეკონომიკური ანალიზი. ამრიგად, მარკეტინგი არის თანამედროვე ბიზნესის თეორია, რომლის ძირითადი მიზანი უკავშირდება ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის მიზანს – გამოინახოს ფარული შესაძლებლობანი წარმოებისა და მოხმარების ყველა სფეროში.

ჩვენი ქვეყნის საწარმოები, რომლებიც ახლა ებმებიან კონკურენცი-

ულ ბრძოლაში, ვალდებულნი არიან დაეუფლონ მარკეტინგის თეორიას და გამოიყენონ თავიანთი მიზნების მისაღწევად. ამაში თავისი სიტყვა უნდა თქვას მარკეტინგულმა ანალიზმაც, რომელმაც უნდა დააკუშაოს რეალიზაციის მართვის ისეთი მოდელი, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს კომერციულ ხარჯებს, არარეალიზებული პროდუქციის ნაშთებს და, რაც მთავარია, გააუმჯობესებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას.

მარკეტინგის მართვის პროცესი მოიცავს: 1. საბაზრო შესაძლებლობების ანალიზს; 2. მიზნობრივი ბაზრების შერჩევას; 3. მარკეტინგის კომპლექსის შემუშავებას და 4. მარკეტინგული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას.

მარკეტინგული კვლევა მიზნად ისახავს იმ მონაცემთა წრის სისტემატურ განსაზღვრას, რომელიც აუცილებელია ფირმის წინაშე მდგარი მარკეტინგული სიტუაციისათვის, მათი მოპოვებას, ანალიზს და ანგარიშ მიღებული შედეგების შესახებ.

თავი XII.

საწარმოს მოგებისა და რენტაბელობის ანალიზი

§ 1. ფინანსური შედეგების ანალიზის ამოცანები

საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური შედეგები ხასიათდება მიღებული მოგების თანხით და რენტაბელობის დონით. მოგება საბაზრო ეკონომიკის პირველხარისხოვანი კატეგორიაა და ცალსახად შეიძლება ითქვას, მოგების მაქსიმიზაცია ნებისმიერი საწარმოს მიზანია.

მიუხედავად იმისა, რომ მოგება საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუძემდებლურ როლს ასრულებს და იგი ეკონომიკური თეორიის ობიექტია, დღემდე არ ცხრება კამათი მისი არსისა და ფორმების შესახებ. ცხოვრებამ უარყო მოგების მარქსისტული განმარტება. თანამედროვე ეკონომიკური აზრი მოგებას განიხილავს როგორც შემოსავალს წარმოების ფაქტორების გამოყენებიდან. არსებულ სასწავლო ლიტერატურაში მიღებულია მოგების შემდეგი განსაზღვრებანი: პირველი. მოგება გასამრჯელოა სამეწარმეო საქმიანობის მომსახურებისათვის; მეორე. მოგება გასამრჯელოა ფირმის მართვაში ტალანტისა და ნოვატორობისათვის; მესამე.

მოგება გასამრჯელოა სამეწარმეო საქმიანობის შედეგებიწ განუსაბღერელობისათვის, რისკისათვის.

ჩვენი აზრით, მოგების არსის გაგება შეიძლება ამ განმარტებაია კომპლექსურად წარმოდგენის პირობებში, ისინი ერთმანეთს ავსებენ. ანალიზის პროცესშიც „მოგების“ კატეგორია მრავალი კუთხით უნდა იქნეს შესწავლილი.

წარმოების და ალრიცხვის პრაქტიკაში მოგება შემოსავლის ნაწილია, რომელიც მიიღება წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში. რაოდენობრივად იგი წარმოადგენს სხვაობას ამონაგებსა (დღგ-ს, სააქციზო გადასახადის და ბიუჯეტში გადასახადების გადახდის შემდეგ) და რეალიზებული პროდუქციის სრულ თვითღირებულებას შორის. ამრიგად, საწარმო რაც მეტ რენტაბელურ პროდუქციას ყიდის, მით მეტ მოგებას ღებულობს და მით უკეთესია მისი ფინანსური მდგომარეობა. ამიტომ საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური შედეგები შესწავლილი უნდა იქნეს პროდუქციის რეალიზაციის და რესურსების გამოყენების საკითხებთან მჭიდრო კავშირში და რამდენადაც იგი სამმართველო ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის დასკვნით თემას წარმოადგენს, იგი სამმართველო ანალიზის მეთოდიკის გაგრძელებაცაა და დასასრულიც.

ფინანსური შედეგების ანალიზის ძირითადი ამოცანებია:

– მოგებისა და რენტაბელობის გეგმურ მაჩვენებელთა რეალურობის დადგენა;

– გეგმების შესრულების დონის განსაბღერა და გადახრების გამოვლენა;

– გეგმებიდან გადახრების გამომწვევი ფაქტორების დადგენა და თითოეული მათგანის სიდიდის გაზომვა;

– საწარმოთაშორისი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე კი მოგების ზრდისა და რენტაბელობის დონის ამაღლების რეზერვების გამოვლენა;

– რეკომენდაციების შემუშავება გამოვლენილი რეზერვების ასამოქმედებლად.

სამრეწველო გაერთიანებისა და ცალკეული საწარმოების მოგებისა და რენტაბელობის ანალიზის წყაროს წარმოადგენს ანგარიშგების ფორმები: № 1 „ბუღალტრული ბალანსი“, № 2 „ანგარიშგება ფინანსური შედეგების შესახებ“, თვითღირებულების ნაერთი, კალკულაციები და პირველადი აღრიცხვის მასალები.

ანალიზის დაწყებამდე საანალიზო მასალები მოითხოვს მათი შედგენის სისწორის შემოწმებას, გეგმების დაძაბულობის განსაბღერას.

მოგებისა და რენტაბელობის ანალიზი უნდა ჩატარდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

– სამეურნეო წლის მოგების გეგმის შესრულების ანალიზი;

– სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების გეგმის შესრულების ანალიზი;

– დანარჩენი რეალიზაციიდან, სამუშაოებიდან და მომსახურეობიდან მიღებული მოგების ანალიზი;

– საერთო და გაანგარიშებითი რენტაბელობის მაჩვენებლების ანალიზი;

– ცალკეული სახის პროდუქციის რენტაბელობის ანალიზი.

კანონის მიხედვით დასაბეგრ მოგებას წარმოადგენს „სამეურნეო წლის მოგება". მის თანახმად, ფინანსური შედეგების სტრუქტურაში მოცემულია ახალი კატეგორია – „წლიური წმინდა მოგება". ამრიგად, საერთოდ ალრიცხვისა და ანალიზის პროცესში გამოიყენება მოგების შემდეგი მაჩვენებლები: სამეურნეო წლის მოგება; მოგება პროდუქციის რეალიზაციიდან, სამუშაოებიდან და მომსახურებიდან; მოგება დანარჩენი რეალიზაციიდან; ფინანსური შედეგები რეალიზაციისგარეშე ოპერაციებიდან, წლიური წმინდა მოგება.

„სამეურნეო წლის მოგება" მოიცავს ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ მოგებას და ფინანსური ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას. ჩვეულებრივ, სამეურნეო საქმიანობიდან მიღებულ მოგებაზე გაითვალისწინებელი შემოსავლების მიმატებით და გაუთვალისწინებელი გასავლების გამოკლებით მიიღება „სამეურნეო წლის მოგება (ზარალი)", რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას.

„წლიური წმინდა მოგება" მიიღება დასაბეგრი მოგებიდან („სამეურნეო წლის მოგება") გადასახადების გამოკლებით. იგი რჩება საწარმოს განკარგულებაში და წესების შესაბამისად შეიძლება პროპორციულად მიმართული იყოს რეზერვების შექმნაზე, დივიდენდების გასაცემად, კაპიტალის გაზრდაზე და ა. შ. თუ წლიური წმინდა მოგება არ განაწილდა განსაზღვრული მიმართულებით, იგი წლის ბოლოს ბალანსში აისახება „გაუნაწილებელი მოგების სახით".

§ 2. სამეურნეო წლის მოგების გეგმის შესრულების ანალიზი

საწარმოს ფინანსური შედეგების ანალიზი უნდა დავიწყოთ „სამეურნეო წლის მოგების" შესწავლით, კერძოდ, უნდა დავადგინოთ მოგების შემადგენლობა, სტრუქტურა, დინამიკა და გეგმის შესრულება საანგარიშ-

გებო პერიოდში. მოგების დინამიკის შესწავლის დროს აუცილებელია გაეითვალისწინოთ ინფლაციური ფაქტორები. აღნიშნული საკითხების შესწავლისათვის შედგენილია ანალიზური ცხრილი (12. 1).

ცხრილი 12. 1

სამეურნეო წლის მოგების გეგმის შესრულება
(ათ. ლარი)

მაჩვენებლები	გასული წლის	საანგარიშგებო წელს		გეგმის შესრულების %	გადახრა "+" "–"	
		გეგმით	ფაქტობრივად		გეგმიდან	გასული წლიდან
	1	2	3	4	5	6
სამეურნეო წლის მოგება	3423	4425	4766	107,7	+7,7	+39,2
მათ რიცხვში:						
ა) სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან	3368	4267	4706	112,0	+12,0	+39,7
ბ) დანარჩენი რეალიზაციიდან	235	218	192	88,0	–12,0	–18,3
გ) რეალიზაციის გარეშე შედგი	–180	X	–132	X	X	–48,0

ცხრილიდან ჩანს, რომ საანგარიშგებო წელს ფაბრიკას მოგების გეგმა 7,7, ხოლო გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით 39,2 პუნქტის გაღაჭარბებით შეუსრულებია. მოგების წარმატებით შესრულება განპირობებულია სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების გეგმის გაღაჭარბებით და წინა წელთან შედარებით რეალიზაციის გარეშე ზარალის შემცირებით, თუმცა 132 ათასი ლარის ზარალი ფაბრიკისათვის ცოტა როდია. ანალიზის დროს მისი გამომწვევი მიზეზები დეტალურად უნდა იქნეს გამოკვლეული.

საკვლევ ობიექტში ეს ზარალი გამოწვეულია ჯარიმებით, საურავებით, საპირგამგეხლოებით – 51,0 ათასი ლარი, ხოლო 81 ათასი ლარი ზარალია გასული წლების, გამოვლენილი საანგარიშგებო წელს. ზარალის გამომწვევი მიზეზები უნდა იქნეს გამოკვლეული.

§ 3. სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების გეგმის შესრულების ანალიზი

სასაქონლო პროდუქციიდან მისაღები მოგების სიდიდე რომ გაეიაზრებინოთ, საჭიროა სასაქონლო პროდუქციის ღირებულებას, საწარმოს საბითუმო ფასებით, გამოვაკლოთ ამავე სასაქონლო პროდუქციის სრული თვითღირებულება. ანალოგიურად გაიანგარიშება ფაქტიურად რეალიზებული სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ფინანსური შედეგიც (მოგება ან ზარალი).

პირველ რიგში, საჭიროა შევადგინოთ ცხრილი, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან ფაქტიურად მიღებული მოგების სიდიდე და მასზე არარეალიზებული სასაქონლო პროდუქციის ნაშთების გაელენა (ცხრილი 12. 2).

ცხრილი 12. 2

სასაქონლო პროდუქციის ბალანსი
(ათასი ლარი)

	სასაქონლო პროდუქციის სრული თვითღირებულება	სასაქონლო პროდუქცია საწარმოს საბითუმო ფასებით	მოგება (სვ. 2 — სვ. 1)
	1	2	3
წლის დასაწყისისათვის საწყობში არსებული და გადაზავნილი სასაქონლო პროდუქციის ნაშთები	2984	3102	118
სასაქონლო პროდუქციის გამოშვება	82244	87735	5401
წლის ბოლოსათვის საწყობში არსებული და გადაზავნილი სასაქონლო პროდუქციის ნაშთები	4134	5037	903
სასაქონლო პროდუქციის რეალიზაცია (სტრ. 1 სტრ. 2 — სტრ. 3)	81094	85800	4706

სასაქონლო პროდუქციის ბალანსის მონაცემები ფაბრიკის საქმიანობას უარყოფითად ახასიათებენ, რამდენადაც ნაშთების სიდიდე წლის დასაწყისთან შედარებით 1935 ათასი ლარითაა გაზრდილი (5037 – 3102), რის შედეგადაც მოგება რეალიზაციიდან 903 ათასი ლარითაა შემცირებული.

ეს საკითხი უკავშირდება წარმოების მაჩვენებლების ანალიზს. დადგინდა, რომ წლის ბოლოსათვის ნაშთების ზრდა განაპირობა უხარისხო პროდუქციის გამოშვებამ.

ახლა უშუალოდ სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების გეგმის შესრულებაზე მოქმედ ფაქტორებს და მათი გაბმების ხერხებს გავეცნოთ, რისთვისაც შევადგინოთ 12. 3 ანალიზური ცხრილი*.

ცხრილი 12. 3

სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებლები
(ათასი ლარი)

	დამტკიცებული გეგმით	გეგმით ფაქტობრივად რეალიზებულ პროდუქციაზე	ანგარიშგებით
	1	2	3
საწარმოო თვითღირებულება	80777	80874	80859
წარმოების გარეშე ხარჯები	220	235	235
სრული თვითღირებულება	80907	81109	910 4
ამონაგები რეალიზაციიდან	85200	85800	85800
შედეგი:			
ა) მოგება	4207	4691	4706
.ბ) ზარალი	—	—	—

რეალიზაციიდან მიღებული მოგების ცვალებადობაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: 1. სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ცვალებადობა; 2. სასაქონლო პროდუქციის საწარმოო თვითღირებულების ცვალებადობა; 3. წარმოების გარეშე ხარჯების ცვალებადობა; 4. სარეალიზაციო ფასების ცვალებადობა; 5. ასორტიმენტისა და სტრუქტურის ცვალებადობა.

რეალიზაციის მოცულობის ცვალებადობის გავლენის სიდიდის გასაზო-

* მმართველობითი აღრიცხვისათვის შემოღებული უნდა იქნეს ანგარიშგება „სასაქონლო პროდუქციის რეალიზაცია“ ფორმა.

მაღ რეალიზაციიდან მისაღებ გეგმურ მოგებას ვამრავლებთ რეალიზაციის გეგმის შესრულების პროცენტზე და მიღებულ თანხას ვაკლებთ გეგმურ მოგებას. ასეთაობა იქნება საძიებელი სიდიდე. ცხრილის მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებას ასეთი სახე ექნება: (4207 x 100,7) =–29,0 ლარს. ე. ი. რეალიზაციის მოცულობის 0,7 პუნქტით გაზრდას მოგების სიდიდე 29,0 ათასი ლარით გაუზრდია. საწარმოო თვითღირებულებას, წარმოების გარეშე ხარჯებს და მოგებას შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება არსებობს. ცხრილის მე-2 და მე-3 სვეტებში ასახული მაჩვენებლების დაპირისპირება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ამ მაჩვენებლების ცვალებადობის გავლენა მოგების სიდიდეზე, რა თანხითაც ფაქტიურად რეალიზებული პროდუქციის გეგმური საწარმოო თვითღირებულება (მე-2 სვ.) აღემატება ფაქტიურად რეალიზებული პროდუქციის ფაქტიურ საწარმოო თვითღირებულებას (მე-3 სვ.), იმავე თანხით იზრდება მოგებაც და, პირიქით, შესაბამისი თანხით მცირდება მოგება. ასეთივე მეთოდიკით გაიზომება წარმოების გარეშე ხარჯების ცვალებადობის გავლენაც.

ჩვენი მონაცემების მიხედვით, საწარმოო თვითღირებულების გავლენა ტოლია 15,0 ათასი ლარის (80874–80879); ამ ფაქტორს მოგება 15 ათასი ლარით გაუზრდია. წარმოების გარეშე ხარჯების ცვალებადობის გავლენა მოგებაზე 0-ის ტოლია (235,0–235,0).

ფასების ცვალებადობის გავლენის დასადგენად საჭიროა ერთმანეთს დავუპირისპიროთ ფაქტიურად რეალიზებული პროდუქციის მოცულობა გეგმური და ფაქტობრივი ფასებით; თუ პირველი აღემატება მეორეს, ეს მაჩვენებელია მოქმედი ფასების შემცირების, რაც მოგების თანხასაც შესაბამისად შეამცირებს და პირიქით. მაგალითის მიხედვით, „ფასის“ ფაქტორის გავლენის გასაზომად 10. 3 ცხრილის მე-4 სტრიქონის მე-2 სვეტის თანხას ვაკლებთ ამავე სტრიქონის მე-3 სვეტის თანხას (85000–85800). ამრიგად, „ფასის“ ფაქტორის გავლენა „0“-ის ტოლია.

მეხუთე ფაქტორის „ასორტიმენტის და სტრუქტურის“ გავლენის გასაზომად რამდენიმე ხერხი გამოიყენება. ყველაზე მარტივია „სალდოს“ წესი. მის მიხედვით, მეხუთე ფაქტორის გავლენის სიდიდე ტოლია საერთო გაღახრისა და წინა ოთხი ფაქტორის გავლენათა სიდიდეების ჯამის სხვაობისა.

ჩვენი მონაცემების საფუძველზე ამ ფაქტორის გავლენა ტოლია 499 -- (29,0+15,0+0+0) –455,0 ათასი ლარის.

ასორტიმენტისა და სტრუქტურის ცვალებადობის მოგება გაუზრდია 455 ათასი ლარით.

ყველა ფაქტორის გავლენის ჯამი ტოლი უნდა იყოს საერთო გაღახრის. მართლაც = 499,0-- (29,0+15,0+455,0). ამ ხერხის უარყოფითი მხა-

რე იმაში მდგომარეობს, რომ მისი საშუალებით იჩქმალება ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომა წინა ოთხი ფაქტორის გაელენის გაბრომვისას. ამ უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით გაბრომას აწარმოებენ შემდეგი ხერხით:

მოგება ფაქტიური ასორტიმენტით და გეგმური მაჩვენებლებით რეალიზაციის დროს შეადგენდა 4691,0 ათას ლარს. თუ გეგმურ მოგებას გავამრავლებთ რეალიზაციის გეგმის შესრულების პროცენტზე, მივიღებთ მოგების სიდიდეს გეგმური ასორტიმენტის დაცვის პირობებში:

$$\frac{(4207 \times 100,7)}{100} = 4236,0$$

ათას ლარს. ამ ორ მაჩვენებელს შორის სხვაობა გამოწვეული იქნება მხოლოდ ასორტიმენტის ცვალებადობით: 4691,0–4236,0=455,0 ათ. ლარს, რაც ემთხვევა გაანგარიშებულს. ანალიზის შედეგები დაკავშირებული უნდა იქნეს რეალიზაციისა და პროდუქციის თვითღირებულების უკვე ჩატარებულ ანალიზის შედეგებთან, სადაც პასუხია გაცემული გამოვლენილ ნაკლოვანებათა წარმომშობ მიზეზებზე.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების ანალიზის შემდეგ მიზანშეწონილია განხილულ იქნეს დანარჩენი რეალიზაციის შედეგები. დანარჩენი რეალიზაციის ცნებაში იგულისხმება არასამრეწველო ხასიათის მეურნეობათა მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, მაგალითად, დამხმარე სოფლის მეურნეობა; დამამზადებელი ორგანიზაცია; აგტომეურნეობის მომსახურება. გარდა ამისა, მასვე მიეკუთვნება ნაყიდი ნაკეთობებისა და საქონლის შედეგები.

ანალიზის დროს ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი თითოეული სფეროს მიხედვით მოგების დინამიკური ცვალებადობა და მისი გამომწვევი მიზეზები.

§ 4. მოგების გეგმის შესრულების ოპერატიული ანალიზი

საწარმოს მოგების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მოგების ოპერატიულ ანალიზს, რომელიც დღეების მიხედვით სისტემატურად უნდა ხორციელდებოდეს რეალური ინფორმაციის საფუძველზე. მოგების ოპერატიული ანალიზი უნდა ტარდებოდეს პროდუქციის გამოშვების, თვითღირებულების, გაღაგზავნის და რეალიზაციის მაჩვენებლებთან მჭიდრო კავშირში, რამდენადაც

ისინი ურთიერთდაკავშირებული სიდიდეები არიან. ანალიზის ობიექტის საჭირო ინფორმაცია მოპოვებული უნდა იქნას მიმდინარე ალრიცხვიდან, შესაბამისი უბნებიდან, ქრონოლოგიურად და სისტემურად. უნდა აისახებოდეს სპეციალურ ცხრილებში, რომ ნათლად ჩანდეს გადახრები გეგმური მაჩვენებლებიდან. ყოველ პოზიციაში მიღებული გადახრის შესახებ ოპერატიულადვე უნდა ხდებოდეს გამომწვევი ფაქტორების დადგენა და უარყოფითი მიზეზების სალიკვიდაციოდ ღონისძიებების გატარება.

მოგების მაქსიმიზაციის პირობები*. შრომის წინა თავებში განვიხილეთ თითქმის ყველა ის ძირითადი ფაქტორი, რომელნიც გავლენას ახდენენ ფინანსურ შედეგებზე. მიკროეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, ყოველი ფირმა თვითონ ირჩევს მოლულს, თუ რა რაოდენობა აწარმოოს, რა ტექნოლოგიით და როგორი უნდა იყოს მოგება. თუ მოლული, რომელსაც საწარმო იყენებს, ითვალისწინებს მოგების მაქსიმიზაციას, მაშინ ფირმის საწარმოო გეგმაც მასთან უნდა იყოს შესაბამისობაში მოყვანილი.

ყველა ფირმის მფლობელს სურს, რომ ფირმამ აირჩიოს ისეთი ბიზნესგეგმა, რომელიც მოახლენს ფირმის საბაზრო ღირებულების მაქსიმიზაციას. თუ ფირმა ახდენს მოგების მაქსიმიზაციას და ირჩევს გარკვეული „Y“ ნაწარმის მიწოდებას, მაშინ იგი უნდა ცდილობდეს „Y“-ის წარმოების ხარჯების მინიმიზაციას. თუ ეს ასე არ ხდება, იარსებებს ნაწარმის „Y“ ერთეულის წარმოების უფრო იაფი გზები, რაც ნიშნავს, რომ ეს ფირმა მოგების მაქსიმიზაციას პირველ ადგილზე არ აყენებს. ამრიგად, ირკვევა, რომ პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ შეიძლება „Y“ ნაწარმის წარმოების ნებისმიერი დონის შესაბამისი ხარჯების მინიმიზაცია, შემდეგ უნდა ვნახოთ, ნაწარმის რომელი დონე წარმოადგენს ნაწარმის მოგების მაქსიმიზაციისათვის საჭირო დონეს. ამ პრობლემური საკითხების გადაჭრა კომპლექსური ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის გარეშე შეუძლებელია.

მოგების მაქსიმიზაციის ლოგიკიდან გამომდინარეობს, რომ კონკურენციის პირობებში ფირმის მიწოდების ფუნქცია ნაწარმის ფასის ზრდადი ფუნქცია უნდა იყოს, ხოლო თითოეული ფაქტორის მოთხოვნის ფუნქცია – ამ ფაქტორის კლებადი ფუნქცია.

მოგების მაქსიმიზაციის ლოგიკა რომ დაცული იყოს ფირმაში, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ფინანსური ინფორმაციის ოპერატიული და სისტემური ანალიზი და მისი შედეგების ოპერატიული რეალიზაცია. ამ ამოცანების განხილვას ეძღვნება შრომის III ნაწილი.

---

* პელრ. ვარიანი, მიკროეკონომიკა თანამედროვე მიდგომა (თარგმანი ინგლისურიდან), თბილისი, 1993.

§ 5. მოგებ ს განაწილებისა და გამოყენების ანალიზი

„შეწარმეთა შესახებ“ კანონი არეგულირებს საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებში მოგების განაწილების ზოგად პრინციპებს. საქართველოს საგადასახადო კოდექსით განისაზღვრება საწარმოს მოგების გადასახადის სიდიდე. კოდექსის 48-ე მუხლის მიხედვით, საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 20 პროცენტით. რაც შეეხება საწარმოს განკარგულებაში დატოვებულ მოგების განაწილებას, იგი საწარმოს წესდებით განისაზღვრება.

ქსპვაობა დასაბეგრ მოგებასა (სამეურნეო წლის მოგება) და ბიუჯეტში მოგების გადასახადის სიდიდეებს შორის წარმოადგენს საწარმოს განკარგულებაში დატოვებულ წმინდა მოგებას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს განკარგულებაში დატოვებული მოგების გონივრულად გამოყენებას. მმართველობის პრინციპების მიხედვით, წმინდა მოგების სარეკომენდაციო სქემა ასეთია:

ა) წმინდა მოგების ერთი ნაწილით უნდა შეიქმნას დაგროვების ფონდი წარმოების გაფართოებისათვის;

ბ) მეორე ნაწილით უნდა შეიქმნას მოხმარების ფონდი – მომუშავეთა მატერიალური წახალისებისათვის;

გ) მესამე ნაწილით კი უნდა შეიქმნას საწარმოს სარეზერვო ფონდი;

დ) მეოთხე ნაწილი უნდა გაიცეს პერსონალზე დივიდენდების სახით.

მოგების განაწილება ყველაზე პრობლემური საკითხია, რადგან აქ ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფოს, საწარმოების და მომუშავეთა ინტერესები. სახელმწიფო დაინტერესებულია ბიუჯეტში მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება; საწარმოს ხელმძღვანელობა ძირითადად მოგების დიდი ნაწილი მიმართოს წარმოების კეთილწარმოების გაფართოებისათვის; მომუშავეები დაინტერესებულნი არიან შრომის ანაზღაურების ამაღლებით.

ქვეყნის ინტერესები მოითხოვს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისაგან მოგების განაწილების საკითხში მიღწეულ იქნეს სახელმწიფოს, საწარმოთა და მომუშავეთა ინტერესების დაკმაყოფილების ოპტიმალური კარმონიზება.

ცხადია, რომ თუ სახელმწიფო საწარმოს ბეგრავს ძალიან მაღალი გადასახადით, ეს საწარმოს განვითარებას ხელს არ აძლევს, მცირდება წარმოების მოცულობა და შედეგად ბიუჯეტში შენატანებიც. იგივე შეიძ-

ლება მოხლეს ამ შემთხვევაშიც, თუ მოგების მთელი ოდენობა მოხმარდება მომუშავეთა მატერიალურ სტიმულირებას. ამ შემთხვევაში პერსპექტივაში მცირდება პროდუქციის წარმოება, რამდენადაც ვერ გაფართოვდება ძირითადი საწარმოო ფონდები, შემცირდება საკუთარი საბრუნავი კაპიტალი, რაც საბოლოო ანგარიშით გამოიწვევს მომუშავეთა ცხოვრების ღონის ლწევას და სამუშაო ადგილების შემცირებას. თუ შემცირდება მოგების ხვედრითი წილი შრომის მატერიალური სტიმულირებისათვის, ეს თავის მხრივ გამოიწვევს მომუშავეთა მატერიალური დაინტერესების შემცირებას და შედეგად წარმოების ეფექტიანობის შემცირებას.

ამრიგად, ლოგიკურია ის აზრი, რომ ქვეყანაში საერთოდ და თითოეულ საწარმოში უნდა მოიძებნოს მოგების განაწილების ოპტიმალური ვარიანტი, რაშიც ეკონომიკურმა ანალიზმა უნდა ითამაშოს დიდი როლი.

მოგების გამოყენების ანალიზისათვის შედგენილია 12. 4 ცხრილი.

ცხრილი 12. 4

მოგების გამოყენების მონაცემები
(ათას ლარ.)

მაჩვენებლები	გეგმა	ფაქტობრივი	გადახრა
1.მოგება პროდუქციის რეალიზაციდან	4207	4706	+499
2.მოგება სხვადასხვა სახის საქმიანობიდან	18	60	+42
3.სამეურნეო წლის მოგება	4425	4766	+341
4.გასული წლის ზარალი	25	27	+2
5.შეღავათიანი მოგება	—	—	—
6.დასაბეგრი მოგება (სტრ. 3—სტ. 4—სტ. 5)	4400	4739	+399
7.მოგების გადასახადი (20%)	880	948,0	+68
8.საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგება (სტ. 6—სტ. 7)	3520	3791	+271
9.წმინდა მოგების განაწილება:			
ა) სარეზერვო ფონდში	176	190	+14
ბ) დაგროვების ფონდში	1760	2085	+325
გ) მოხმარების ფონდში	1584	1516	—68

2.4 ცხრილის მონაცემები ასახავენ დასაბეგრი მოგების, წმინდა მოგების და მისი წარმოების ფონდებში განაწილების პროცესს.

ფონდების ფორმირებისა და გამოყენების ანალიზი გეიჩვენებს რამდენად ღა რის ანგარიშზე შეიცვალა ფონდებში ანარიცხების სიდიდე.

ცხრილიდან ჩანს, რომ საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგება გეგმასთან შედარებით 271,0 ათასი ლარით გაიზარდა, მ. შ. შესაბამისად სარეზერვო ფონდში 14,0 ათასი ლარით, ხოლო დაგროვების ფონდში – 325,0 ათასი ლარით. ამავე დროს, მოხმარების ფონდის გეგმა ვერ შესრულდა 68,0 ათასი ლარით, რაც ცუდად ახასიათებს საწარმოს ხელმძღვანელობის საქმიანობას. ეს მომენტი დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს. საერთოდ, დაგროვებისა და მოხმარების ფონდებში ანარიცხების სიდიდე დამოკიდებულია წმინდა მოგების სიდიდეზე და ფონდებში ანარიცხების კოეფიციენტებზე.

ანალიზის დროს ეს მაჩვენებლები ურთიერთკავშირში უნდა იქნეს განხილული, შესწავლილი უნდა იქნეს თვით კოეფიციენტების დადგენის წესიც. ყოველი საწარმოს ხელმძღვანელი დაინტერესებული უნდა იყოს მომუშავეთა ცხოვრების დონის გაუმჯობესებით, რადგან იგი შრომის ნაყოფიერების ზრდის ძირითადი პირობაა.

საწარმოში მოგების განაწილებისა და გამოყენების ანალიზის დროს, როცა საქმე ეხება მოხმარების ფონდის შესწავლას, საჭიროა გვქონდეს ათვლის წერტილები. ასეთებად გვეელინება: „სამომხმარებლო კალათა", „მოხმარების მინიმალური დონე", „სიღარიბის ზღვარი" და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, „სამომხმარებლო კალათა" წარმოადგენს აღმიანთა არსებობისათვის საჭირო საქონელთა მინიმუმს, ღირებულებით ფორმაში. ანალიზის დროს სწორედ მის მიხედვით უნდა ხლებოლეს საწარმოს საქმიანობის შეფასება, მუშა-მოსამსახურეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების სარგებლიანობის შეფასება.

§ 6. რენტაბელობის მაჩვენებელთა სისტემა და მათი ანალიზური მნიშვნელობა

რენტაბელობა ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის განმაზოგადებელი მაჩვენებელია. საწარმოების რენტაბელობის დონე (ნორმა) გაიანგარიშება რამდენიმე მეთოდით: 1. მოგების შეფარდებით ძირითადი საშუალებებისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების საშუალო წლიურ ღირებულებასთან; 2. მოგების შეფარდებით რეალიზებული პროდუქციის სრულ თვითღირებულებასთან. რენტაბელობის პირველი მაჩვენებელი გამოხატავს საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობას,

ხოლო მეორე – მიმდინარე დანახარჯების გამოყენების ეფექტიანობას. გამოიყენება პროდუქციის ცალკეულ სახეობათა რენტაბელობა. იგი გაიანგარიშება შესაბამისი პროდუქციის გამოშვებით ან რეალიზაციით მიღებული მოგების თვითღირებულებასთან შეფარდებით.

ამრიგად, როგორც ჩამოთვლილი მაჩვენებლების არსიდან ჩანს, ისინი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევიან საწარმოო ფონდებისა და მიმდინარე დანახარჯების ეფექტიანობის შესახებ და, რაც მთავარია, შესაძლებლობას იძლევიან მათი ცვალებადობის გამომწვევი ფაქტორების გაელენის სიდიდის გაზომვისას.

ანალიზის გზით ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი, თუ რომელ ფაქტორის გაელენის შედეგია რენტაბელობის ფაქტიური დონის გაღახრა გეგმურიდან და რა ზომების გატარებაა საჭირო მისი ამაღლებისათვის.

საწარმოს რენტაბელობა, თავის მხრივ, იყოფა საერთო და გაანგარიშებით რენტაბელობად.

საერთო რენტაბელობა გაიანგარიშება როგორც საბალანსო მოგების პროცენტული შეფარდება ძირითადი საწარმოო ფონდების და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულების ჯამთან.

გაანგარიშებითი რენტაბელობა გაიანგარიშება გაანგარიშებითი მოგების (საბალანსო მოგებას გამოკლებული მიშნობრივი დანიშნულების მოგების თანხა, სარგებელი ბანკის კრედიტისათვის) შეფარდებით ძირითადი საშუალებებისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ღირებულებასთან.

რენტაბელობის ასეთი მაჩვენებლის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ იგი გვიჩვენებს საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ რენტაბელობის დონის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც რენტაბელობის ფორმულის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ, ხშირად წარმოების ეფექტიანობაზე უშუალოდ (აბსოლუტური სიდიდის მიხედვით) გაელენას არ ახდენენ, ვინაიდან არ გვიჩვენებენ წარმოებაში ავანსებული სახსრების გამოყენების ეფექტიანობას. მაგ., ძირითადი საწარმოო ფონდების ყოველგვარი, მათ შორის მისი აქტიური ნაწილის გადიდება მოქმედი მეთოდიკის მიხედვით ლაბლა სწევს რენტაბელობის მაჩვენებელს. სინამდვილეში ტექნიკური პროგრესი, რომელსაც, როგორც წესი, თან სდევს ძირითადი საწარმოო ფონდებისა და მომუშავეთა ფონდშეიარაღების ზრდა, წარმოების ეფექტიანობის და მათ შორის რენტაბელობის დონის ამაღლების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. ზემოაღნიშნულის გამო ზოგიერთმა ეკონომისტმა რენტაბელობის ფორმულაში რიგი შესწორებანი შეიტანა. ეკონომიკურ ლიტე-

რაგურაში ეს ძიება ლეკმლე გრძელდება. გამოქვეყნებულ მოსაბრებებს შორის აღსანიშნავია პროფ. ა. შერემეტის* აბრი, რომელიც რენტაბელობის მოქმელი ფორმულით ალგებრული გარდაქმნის გზით გაბაძლეცს რენტაბელობის კოეფიციენტის გაანგარიშების ახალ წესს.

ა. შერემეტის მეთოდიკა რენტაბელობის ანალიზის მოქმელი მეთოდიკისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ რენტაბელობის დონეზე მოქმედ ფაქტორებად გეეცლინებიან არა მოგებისა და საწარმოო ფონდების აბსოლუტური მაჩვენებლების ცვალებადობა, არამედ ისეთი შეფარდებითი განმოგალებული მაჩვენებლები, როგორიცაა:

1. 1 ლარ რეალიზებულ სასაქონლო პროდუქციაზე მოგების სიდიდე;
2. ფონდეკუგება;
3. ნორმირებულ საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობა დღეებში.

რენტაბელობის გაანგარიშების ახალ ფორმულას გეთავაზობს პროფ. ს. ბარნგოლცი. ამ ფორმულის მიხედვით შეგვიძლია გაეგზომოთ რენტაბელობის დონეზე მოქმედი ისეთი ფაქტორების გავლენის სიდიდეები, როგორიცაა: 1. ერთი ლარი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება, 2. ფონდტევადობა და 3. საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობა.

რენტაბელობის ანალიზის მეთოდიკის სრულყოფის საქმეში მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს პროფ. ფ. მენთეშაშვილის მიერ შემოთავაზებული რენტაბელობის ფორმულა, რომელიც პროფ. ს. ბარნგოლცის ფორმულისაგან იმით განსხვავდება, რომ მან ფორმულაში დამატებით შეიტანა ცალკეული ნაკეთობის რენტაბელობის მაჩვენებელი. როგორც აეტორი აღნიშნავს, მისი ფორმულის გამოყენებით საშუალება გეეძლევა გავმომოთ რენტაბელობის დონის ცვლილებაზე მოქმელი შემდეგი ფაქტორები: ცალკეულ ნაკეთობათა რენტაბელობა; დანახარჯები ერთი ლარის რეალიზებულ პროდუქციაზე; ფონდტევადობისა და ბრუნვადობის კოეფიციენტები, რაც ნამდვილად აუმჯობესებს რენტაბელობის ფაქტორულ ანალიზს. რენტაბელობის გაანგარიშების ამ მეთოდიკას გარკვეული ნაკლოვანებანიც გააჩნია. ცნობილია, რომ საწარმოში ერთი და იგივე ნელეულიდან, ხშირ შემთხვევაში, რამდენიმე სახის პროდუქციას აძმადებენ, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც წარმოების ტექნოლოგიური პროცესით, ისე ამ პროცესის ხანგრძლივობითა და საბითუმო ფასებით. თავისთავად ცხადია, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია გარკვეა იმ ძირითადი და საბრუნავი საშუალებების სიდიდისა, რომელიც გამოყენებული იქნება ამა თუ იმ ნაწარმის დამზადებაზე, ამიტომ საჭი-

---

* ფ. მენთეშაშვილი, სამრეწველო საწარმოთა და გაერთიანებათა საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, თბილისი, 1984, გვ. 300.

რთა ცალკეული ნაკეთობის რენტაბელობის განსაზღვრა მოგების შეფარდება თვითღირებულებასთან.

აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მაჩვენებლების სრულყოფასთან ერთად, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საანალიზო ინფორმაციის რეალურობას და, თავისთავად ცხადია, ანგარიშგების ფორმებში ყველა რეკვიზიტის შევსებას, რაც, სამწუხაროდ, ხშირადაა დარღვეული.

ცალკეული ნაკეთობის რენტაბელობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს პროდუქციის სახეობის მიხედვით გამოვავლინოთ ფასწარმოქმნის ნაკლოვანებანი და მის საფუძველზე დავასახოთ ცალკეული სახეობის პროდუქციის ზარალიანობის აღმოფხვრის ღონისძიებანი. ამავე დროს, ცალკეული სახეობის პროდუქციის მიხედვით რენტაბელობის გამოანგარიშება საშუალებას მოგვცემს ერთმანეთს შევუდაროთ სხვადასხვა საწარმოთა მაჩვენებლები და ამ გზით გამოვავლინოთ გამოუყენებელი რეზერვები.

ცალკეული ნაკეთობის რენტაბელობის ანალიზის წყაროა ცალკეულ ნაკეთობათა კალკულაციები, დანახარჯთა ნორმები, ნორმატივები.

რენტაბელობის დონეზე მოქმედ ფაქტორთა გაელენის სიღრმის გაზომვისათვის მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას ჯაჭვური ჩასმის ხერხი.

რენტაბელობის ზემოთ განხილული მაჩვენებლების გარდა, არსებობს რენტაბელობის ახალი მაჩვენებლები, რომლებიც ძირითადად გამოიყენება კაპიტალის და ინვესტიციების გამოყენების ეფექტიანობის შესასწავლად და სხვა. ასეთი მაჩვენებლები განხილულია მომდევნო პარაგრაფში.

§ 7. რენტაბელობის მაჩვენებელთა თანამედროვე სისტემა


თანამედროვე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების თეორიასა და პრაქტიკაში გამოიყენება რენტაბელობის შემდეგი მაჩვენებლები:

I. პროდუქციის რეალიზაციის რენტაბელობის მაჩვენებლები

ა) გაყიდვების მომგებიანობის კოეფიციენტი

ბ) გაყიდვების რენტაბელობის კოეფიციენტი

ა) გაყიდვების მომგებიანობის კოეფიციენტი გაიანგარიშება მოგების შეფარდებით რეალიზებული პროდუქციის ღირებულებასთან. ამ კოეფიციენტის გაანგარიშებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: 1. ერთიობლივი მოგების მოცულობა. 2. წმინდა მოგების მოცულობა. 3. ოპერაციული მოგების მოცულობა. ე. ი.



ეს კოეფიციენტი მიგვითითებს გაყიდვების (რეალიზებული პროდუქციის ღირებულების) ერთ ფულად ერთეულში ერთობლივი, წმინდა ან ოპერატიული მოგების ხვედრით წილზე. მისი ზრდა მიგვითითებს თვითღირებულების შემცირებაზე, შემცირება კი – პირიქით.

ამ მაჩვენებლის შედარებისას წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან აუცილებელია გამოვიყენოთ ურთიერთ შესადარი ფასები ან გავითვალისწინოთ რეალიზებულ საქონელზე ფასების დინამიკა განსახილველ პერიოდში.

ბ) გაყიდვების რენტაბელობის კოეფიციენტი საშუალებას იძლევა ერთმანეთს შევადაროთ წარმოების ხარჯები და რეალიზებული პროდუქციის ღირებულება და განვსაზღვროთ რამდენი ფულადი ერთეული დანახარჯი მოდის რეალიზებული პროდუქციის ღირებულების 1 ფულად ერთეულზე.

II. აქტივების რენტაბელობის მაჩვენებლები

აქტივების რენტაბელობის მაჩვენებლები მოიცავენ:

ა) აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტს

ბ) რეალური ძირითადი კაპიტალის (არასაბრუნავი მატერიალური აქტივების) რენტაბელობის კოეფიციენტს.

ა) აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი გაიანგარიშება წმინდა მოგების შეფარდებით აქტივების საერთო ღირებულებასთან და იგი წარმოადგენას იძლევა ფირმის უნარზე ეფექტიანად გამოიყენოს კაპიტალი. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენი ფულადი ერთეული დასჭირდა ფირმას მოგების 1 ფულადი ერთეულის მისაღებად. აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტის შედარება საშუალოდარგობრივ ანალოგიურ მაჩვენებელთან წარმოდგენას იძლევა ფირმის კონკურენტუნარიანობაზე. ამ

მაჩვენებლის გაანგარიშება სხვა ხერხითაც შეიძლება, კერძოდ, გაყიდვების მომგებიანობის კოეფიციენტის გამრავლებით აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტზე.

აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტის გაანგარიშებისას აქტივებში ჩაითვლება როგორც მესაკუთრეთა, ისე კრედიტორთა საშუალებები, ვინაიდან აქტივების დაფინანსება ხდება როგორც საკუთარი, ისე ნასესხები საშუალებებით.

რეალიზებული პროდუქციის ღირებულების შეფარდება აქტივების საერთო ღირებულებასთან წარმოდგენას იძლევა საბრუნავი და არასაბრუნავი კაპიტალის, ე. ი. ფირმის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალების გამოყენების რენტაბელობაზე.

ბ) რეალური ძირითადი კაპიტალის (არასაბრუნავი მატერიალური აქტივების) რენტაბელობის კოეფიციენტი გაიანგარიშება ფორმულით:

$$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{რეალური ძირითადი კაპიტალი}}$$

ამ მაჩვენებლის დინამიკაზე გავლენას ახდენს როგორც ფირმის კაპიტალის სტრუქტურა, ე. ი. მასში საბრუნავი და არასაბრუნავი კაპიტალის (ფონდების) ხვედრითი წილი, ისე თვითონ ძირითადი ფონდების სტრუქტურა, მასში აქტიური და პასიური ნაწილების ხვედრითი წილი, ასევე ძირითადი ფონდების მდგომარეობა და მისი გამოყენების ინტენსივობა.

რეალიზებული პროდუქციის ღირებულების შეფარდება რეალური ძირითადი კაპიტალის (ძირითადი ფონდების) ღირებულებასთან წარმოდგენას იძლევა მატერიალურ აქტივებში დაბანდებული სახსრების გამოყენების ეფექტიანობაზე.

III. საკუთარი და ნასესხები კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებლები

საკუთარი და ნასესხები კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებელთა ჯგუფი მოიცავს:

ა) საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტს

ბ) ინვესტირებული კაპიტალის ეფექტიანობის კოეფიციენტს

ა) საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი გაიანგარიშება წმინდა მოგების შეფარდებით საკუთარ კაპიტალთან და ახასიათებს დაფინანსების საკუთარი წყაროების გამოყენების ეფექტიანობას, ანუ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობას. იგი გვიჩვენებს წმინდა მოგების რამ-

ლანი ფულადი ერთეული მიიღო ფირმამ საკუთარი კაპიტალის საშუალოწლიური ღირებულების 1 ფულად ერთეულზე. ჩვეულებრივ, ერთმანეთის ულარებენ ყველა სახის აქტივების რენტაბელობას და საკუთარი საშუალებების რენტაბელობას. ამ მაჩვენებლის დინამიკა გავლენას ახდენს საფასდო ბირჟაზე ფირმის აქციების კოტირებაზე.

ბ) ინვესტირებული კაპიტალის ეფექტიანობის კოეფიციენტი

$$\frac{\text{მოგება გადასახადების გადახდამდე + გადახდილი პროცენტები}}{\text{საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი ნასესხები კაპიტალი}}$$

ეს კოეფიციენტი განსაზღვრავს, თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს ფირმა ინვესტირებულ საშუალებებს, ე. ი. რა შემოსავალს ღებულობს დაბანდებული ყველა სახის სასხრების ერთ ფულად ერთეულზე. ამ მაჩვენებლის განსაზღვრისას მიზანშეწონილია გამოვიყენოთ გადასახადების გადახდამდე მოგება და არა წმინდა მოგება, ვინაიდან გადასახადების სიდიდე განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ და დამოკიდებული არაა ფირმის სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობაზე. გარდა ამისა, ერთობლივი მოგება მოიცავს გაღახდილი პროცენტების თანხასაც, რომლის სიდიდეც ასევე ფირმის გარეთ განისაზღვრება.

უნდა აღინიშნოს, რომ რენტაბელობის მაჩვენებელთა საერთაშორისო სისტემასა და სამამულო ანალოგიურ მაჩვენებლებს შორის არსებითი განსხვავება არ შეინიშნება, მცირე განსხვავებანი კი გასათვალისწინებელია.

თანამედროვე მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში გამოყენებული წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელია სისტემა პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: ა) წარმოების სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლები და ბ) წარმოების ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები.

როგორც ამ მაჩვენებლების შინაარსობრივი ანალიზი ცხადყოფს, ისინი მთლიანად მოიცავენ სამამულო თეორიით დამუშავებულ ანალოგიურ მაჩვენებლებს. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ აქ წინა პლანზეა წამოწეული საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისაღმი მისადაგებული ფინანსური სფეროს ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა: აქციონერული კაპიტალის შემოსავლიანობა, ფულადი ნაკადების დენადობა და ფინანსური პროგნოზირება, ლიკვიდურობა, ფინანსური მდგრადობა, რისკის დონე და სხვა. შრომის III ნაწილი სწორედ ამ საკითხების განხილვას ეთმობა.

თავი XIII.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ფუნქციები და ამოცანები

§ 1. ფინანსური ანგარიშგების არსი და სახეები

ფინანსური ანგარიშგება ასახავს საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შესახებ იმ აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც ბასს-ით არის გათვალისწინებული გამოსაქვეყნებლად (საჯარო ინფორმაცია).

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი მრავალმხრივი, შემეცნებითი პროცესია; მიზნად ისახავს საკელევი ობიექტის ამსახველი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ამომწურავი პასუხი გასცეს ობიექტის ფინანსური მდგომარეობით დაინტერესებულ ყველა სუბიექტს.

საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ასახვისათვის მრავალი სახის ანგარიშგება ღება, სხვადასხვა ფორმატით, სხვადასხვა პერიოდისათვის და სხვადასხვა მომხმარებლისათვის. განასხვავებენ: ა) ში-

ღა ანგარიშგებას (საწარმოს მარითვისათვის) ღა ბ) საგარეო ანგარიშგებას – კრედიტორებისათვის, აქციონერებისათვის, საგადასახადო ორგანოებისათვის და სხვა. საგარეო ანგარიშგებას ფინანსურ ანგარიშგებას უწოდებენ.

ფინანსური ანგარიშგება, თავის მხრივ, შეიძლება იყოს საგარეო ღა საშინაო. საგარეო ფინანსურ ანგარიშგებას აღგენენ ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული ფორმატის მიხედვით და გათვალისწინებულია მაკონტროლებელი ორგანიზაციებისათვის. შიდა საფინანსო ანგარიშგებები გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ მიმდინარე პროცესების ანალიზისათვის. ისინი შეიძლება შედგენილი იქნეს ნებისმიერი პერიოდისათვის, ნებისმიერი ფორმით.

საფინანსო ანგარიშგების მრავალი ტიპი არსებობს. ყველაზე მეტად გავრცელებულია ტიპები, რომლებიც გამოიყენება ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ: 1. ბუღალტრული ბალანსი. 2. ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ.

ბალანსი ფირმის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყველაზე სრულყოფილ ინფორმაციას იძლევა დროის გარკვეული პერიოდისათვის. მასში ასახულია ინფორმაცია ძირითადი აქტივების, საბრუნავი სახსრების, მიმდინარე ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შესახებ.

ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ წარმოადგენს საწარმოს შემოსავლებისა და ზარალის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს. მასში ასახულია რეალიზებული პროდუქციის მოცულობა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, დანახარჯები ამ პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე, დამატებითი ხარჯები, გადასახადები და წმინდა მოგება.

საფინანსო ანგარიშგების ტიპებს მიეკუთვნება:

ა) საგადასახადო ანგარიშგება, რომელიც ქვეყნის საგადასახადო კოდექსითაა რეგლამენტირებული და სპეციალური ფორმით წარედგინება საგადასახადო ორგანოებს. ანგარიშგების ეს ფორმები საგადასახადო ორგანოებს აწვდიან იმ ფინანსურ ინფორმაციას, რომლითაც მოწმდება ბიუჯეტში გადასახადების სიდიდე და სისწორე. საგადასახადო ანგარიშების ფორმები მიეკუთვნება საგარეო ანგარიშგებათა ტიპს.

ბ) საფინანსო ანგარიშები ხელმძღვანელობისათვის მიეკუთვნება მენეჯერულ ინფორმაციას; მათი შედგენის დრო, ფორმა და შინაარსი არ არის რეგლამენტირებული და დამოკიდებულია საწარმოს სპეციფიკაზე და ხელმძღვანელის პროფესიონალიზმზე. ასეთი ფორმები ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ მოცემული ინფორმაცია ფინანსური ანალიზის საშუალებას იძლეოდეს.

ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების მიხედვით დაფგენილია საგარეო ფინანსური ანგარიშგების შედგენის ძირითადი პრინციპები, რომელთა ცოდნა ანალიტიკოსისათვის აუცილებლობას წარმოადგენს. ეს პრინციპებია:

– შემოსავლებისა და დანახარჯების თანაფარდობის პრინციპი;
– ხარჯების ანაზღაურების პრინციპი;
– ფულადი ერთეულის სტაბილურობის პრინციპი;
– სანგრძლივობის პრინციპი;
– ობიექტურობის პრინციპი;
– უტყუარობის პრინციპი;
– სისტემის ანაზღაურების პრინციპი;
– კონსერვატიული დაშვების პრინციპი.

ამ პრინციპების ძირითადი აზრი ასეთია:

1. შემოსავლებისა და დანახარჯების თანაფარდობის პრინციპი – როგორ შეიძლება შედარებით უფრო ზუსტი შეფარდება საქონლის წარმოების და მომსახურების ხარჯებისა ამ პროდუქციისაგან მიღებულ შემოსავლებთან, დანახარჯები, რომლებიც არ შეიძლება შეფარდებული იქნეს კონკრეტულ საქონელთან არ წარმოადგენს მომავალ შემოსავლების წყაროს და უნდა ჩამოიწეროს იმ პერიოდში, რომელშიც გაწეული იქნა.

2. ხარჯების ანაზღაურების პრინციპი – ისეთი მუხლები, როგორიცაა მარაგები, წინასწარი ანაზღაურება მომწოდებლისათვის და ძირითადი სამუალებანი, გაითვალისწინება როგორც აქტივები, რადგანაც, როგორც მოსალოდნელია, მათ შეუძლიათ მომავალში მოგების მოტანა.

3. ფულადი ერთეულის სტაბილურობის პრინციპი – ბუღალტრული აღრიცხვის შემსუბუქებისათვის შესწორებანი ინფლაციაზე ფინანსური ანგარიშების დოკუმენტებში არ წარმოებს. შესწორება ინფლაციის მიხედვით უნდა მოახდინოს ინფორმაციის მომხმარებელმა ანალიზის პროცესში.

4. ხანგრძლივობის პრინციპი – საფინანსო ანგარიშგება დგინდება იმ ვარაუდის საფუძველზე, რომ საწარმო გააგრძელებს თავის საქმიანობას უსასრულოდ; ივარაუდება, რომ აქტივები გამოყენებული იქნება მომავალი შემოსავლების მისაღებად და არა გასაყიდად, და რომ ანგარიშსწორებანი ვალდებულებების მიხედვით იქნება დროულად.

5. ობიექტურობის პრინციპი – უპირატესობა ენიჭება შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ექვემდებარებიან შემოწმებას დამოუკიდებელი წყაროების დახმარებით. ეს გარანტიას აძლევს აქციონერებს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ შერჩეულ იქნეს ისეთი მაჩვენებლები, რომელთა მნიშვნელობაც შეიძლება შეიცნობული იქნეს მათ მიერ.

6. უტყუარობის პრინციპი – მუხლი არ ითვლება მნიშვნელოვნად, თუ მონაცემები მის მიხედვით იმდენად მცირეა, რომ მათი შემცირება ან არასწორი შეფასება არ შეიყვანს შეცდომაში საფინანსო ანგარიშგების მომხმარებელს.

7. კონსერვატიული დაშვების პრინციპით ირჩევა შეფასების ისეთი მეთოდები, რომლებიც იძლევიან ყველაზე კონსერვატიულ შედეგებს. გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა შესაძლო დანაკარგი და მხოლოდ ის შენატანები, რომელთა მიღება გარანტირებულია.

8. სისტემის ანაბლაურების პრინციპი – აღრიცხვის სისტემა დამუშავებული უნდა იქნეს ისეთნაირად, რომ მისი გამოყენებით მიღებული მოგება აღემატებოდეს მასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. სისტემის ცვლილების დროს პოტენციური სარგებლიანობა უნდა აღემატებოდეს დამატებით ხარჯებს.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ჩატარებისათვის პირველია ფინანსური ინფორმაციის მოღელის, ენის, არსის სრული აღქმა. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს ანგარიშგების შედგენის ტექნიკისა და ორგანიზაციის ცოდნას, რაც ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს.

§ 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების სტრუქტურული საფუძვლები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე საავტორო უფლება ეკუთვნის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომიტეტს. ამ კომიტეტის ნებართვით საქართველოს ბუღალტერია და აუდიტორთა ფედერაციის მიერ თარგმნილია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, რომელთა პრაქტიკაში დანერგვასაც ითვალისწინებს საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილია 1999 წლის 5 თებერვალს. ამ კანონით საქართველო აღიარებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს და მიზნად ისახავს ჩვენს ქვეყანაში მაღალი დამკვიდრებას.

ბასს-ის მიზანია ძირითადად იმუშაოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებული ინსტრუქციების, ბუღალტრუ-

ლი აღრიცხვის სტანდარტებისა და პროცედურების ჰარმონიზაციისა და სრულყოფის საკითხებზე და შეიმუშაოს ის არსებითი განსხვავებანი, რომლებიც ახასიათებთ სხვადასხვა ქვეყნების ფინანსურ ანგარიშგებებს, თუმცა ბასს,-ი უშვებს ყოველ ქვეყანაში ანგარიშგების გამოცემისას ადგილობრივი წესების გათვალისწინებასაც.

ბასს,-ის წევრების მიაჩნიათ, რომ თანამედროვე ქვეყანაში ბასს-ის დანერგვას დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება, გაუმჯობესება ფინანსური ანგარიშგებისა და მათი ჰარმონიზაციის ხარისხი. ყოველივე ამის შედეგად კი გაიზრდება ფინანსური ანგარიშგების ეარგისიანობა ფინანსური ანალიზისათვის.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საქმიანობის შედეგების და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელთა ფართო ფენებს, რათა დაეხმაროს მათ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არიან: არსებული და პოტენციური ინვესტორები, დაქირავებული მუშაკები, კრედიტის გამცემები, მომწოდებლები და სხვა სავაჭრო კრედიტორები, მომხმარებლები, მთავრობები და მათი უწყებები. მათ ფინანსური ანგარიშგება სჭირდებათ სხვადასხვა საინფორმაციო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

სტანდარტების მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლად ულებს „დარიცხვის“ მეთოდი. ამ მეთოდის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე.

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები ის ატრიბუტებია, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მონაცემებს გადაქცევს მომხმარებლისათვის სასარგებლო ინფორმაციად. ეს მახასიათებლებია: აქტუალობა, შესაბამისობა, საიმედოობა და შესადარისობა.

იმისათვის, რომ ინფორმაცია იყოს სასარგებლო, იგი ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ ადვილი იყოს მისი გაგება-აქტივი. ინფორმაციის შესაბამისობის თვისება მაშინ გააჩნია, თუ იგი გავლენას ახდენს მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე იმით, რომ ეხმარება მას შეაფასოს საწარმოს წარსული, მიმდინარე და მომავალი საქმიანობა, ან დაადასტუროს, ან შეასწოროს ადრინდელი შეფასებები. ინფორმაცია საიმედოა, თუ არ შეიცავს არსებით შეცდომას და არ არის ტენდენციური. ამასთან, მომხმარებელი შეიძლება ენდოს მას იმდენად, რამდენადაც სრულად და მიუკერძოებლად ასახავს იგი საქმის რეალურ ვითარებას.

იმისათვის, რომ ინფორმაცია იყოს შესადარისი, საწარმოებს მსგავსი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენებისათვის უნდა იყენებდნენ ალ-

რიცხვისა და შეფასების ერთიან წესს. ვინაიდან ინფორმაციის მომხმარებელს სურს შეალარჯოს საწარმოს სხვადასხვა პერიოდის ფინანსური მდგომარეობა, დინამიკის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიცავდეს წინა საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის ინფორმაციას.

გამოსაქვეყნებელი ანგარიშგება. ბასს-ის მიხედვით ტერმინი „ფინანსური ანგარიშგება" მოიცავს: ბუღალტრულ ბალანსს, „მოგება-ზარალის" ანგარიშს, ფინანსურ მდგომარეობაში ცვლილებების ამსახველ ანგარიშს, შენიშვნებსა და სხვა ახსნა-განმარტებებს, რომლებიც მიჩნეულია ფინანსური ანგარიშგების ნაწილად. როგორც წესი, ფინანსური ანგარიშგება მზადდება და ქვეყნდება წელიწადში ერთხელ (აუდიტორის დასკვნით).

ფინანსურ ანგარიშგებაში ფართო ეკონომიკური დაჯგუფებით ასახული სამეურნეო ოპერაციებისა და ფინანსური შედეგების მახასიათებლები ფინანსური ანგარიშგების ელემენტებად იწოდებიან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბალანსში ეს ელემენტებია: აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი; მოგება-ზარალის ანგარიშგებაში კი: შემოსავლები და ხარჯები. ძირითადად ამ მაჩვენებლების მიხედვით ხდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება. ფინანსური ელემენტების ანალიზისათვის ანგარიშგების ფორმებში ინფორმაცია დეტალიზირებულია დანიშნულებისა და ფუნქციების მიხედვით.

სტანდარტების მიხედვით ფინანსური ელემენტები შემდეგნაირად განიმარტება:

– აქტივები არის საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური და არამატერიალური რესურსები, რომლებიც წარსულში განხორციელებული სამეურნეო მოვლენების შედეგია და რის საფუძველზეც საწარმო მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას;

– ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიშვა წარსულში სამეურნეო მოვლენების შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს საკუთრებაში არსებული რესურსების გასვლას;

– საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება საწარმოს ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ;

– შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გაღიდებით, რომელიც არაა დაკავშირებული საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან;

– ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ბრძის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

საწარმოს საქმიანობის შედეგების შესაფასებლად ხშირად იყენებენ მოგების მაჩვენებელს. მოგება განისაზღვრება ორი ელემენტით: საერთო შემოსავლებით და საერთო ხარჯებით. სტანდარტებში მოცემულია ყველა დეტალი, რომელთა ნიუანსების ცოდნაც აუცილებელია ანალიტიკოსისათვის, რათა ღრმად ჩაწვდეს ყოველ დეტალს და საქმიანი დასკვნები გააკეთოს პრობლემების გადასაწყვეტად.

აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ფინანსური ანგარიშგების ელემენტების განსაზღვრებანი ბასს-ის მიხედვით ძირითადად ემთხვევა ჩვენთან მოქმედ განსაზღვრებებს. რაც შეეხება მთელ რიგ ნიუანსებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივ მახასიათებლებთან, ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარებასთან, შეფასებასთან, კაპიტალის შენარჩუნების კონცეფციებთან, ლეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი და გათვითცნობიერებული, როგორც სტუდენტების, ისე პრაქტიკოსი მუშაკების მიერ.

§ 3. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის არსი და ამოცანები

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის არსი მდგომარეობს ანალიზური ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებაში ფინანსური ინფორმაციის მიმართ, იმ მიზნით, რომ გამოვლენილი იქნეს ის არსებითი კავშირები და მახასიათებლები, რომლებიც აუცილებელია ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად. იგი ემსახურება ჩვენს კომპიუტერულ საუკუნეში ესოდენ მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი მონაცემის გარდაქმნას აუცილებელ და ყოველთვის ღირებულ ინფორმაციად.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პროცესი მრავალმხრივად შეიძლება წარიმართოს იმის მიხედვით, თუ რა ამოცანა იქნება მის წინაშე დასმული. ეს ამოცანები კი მრავალი და მრავალწახნაგოვანია.

ამრიგად, ზოგადად რომ ვთქვათ, ფინანსური ანგარიშგების ანალიზი ეკონომიკური კვლევის პროცესია, რომელიც მიზნად ისახავს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის შესწავლას. ამას-

თან, უპირველეს მიზანს წარმოადგენს წარმოების ფინანსური შეღებვის განსაზღვრა და მომაღლის პროგნოზირება.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა მიზნით. ასე, მაგალითად, ანალიტიკოსი, რომლის საქმიანობის სფეროს ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს, დაინტერესებულია მათი მომგებიანობით, როგორც ფასიანი ქაღალდების შეფასების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლით. კრედიტების გამოყენებისას ანალიტიკოსი განსაზღვრავს მათი მიზანმიმართულების ეფექტიანობას, რისკის ფაქტორებს. შინაგანი ინფორმაციის ანალიტიკოსი თავისი მიზნების მისაღწევად იყენებს უფრო ლეტალურ საფინანსო (კომერციულ) მონაცემებს.

საფინანსო ანგარიშგების ანალიზი ეყრდნობა ორ ძირითად წინაპირობას: პირველია ფინანსური ინფორმაციის მოგადი აღქმა, რისთვისაც საჭიროა ანგარიშგების შედგენის ტექნიკისა და ორგანიზაციის ცოდნა. ანალიტიკოსი კარგად უნდა ერკვეოდეს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში, ინფორმაციის შეგროვებაში და სხე. ანალიზის პროცესში ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის, პირველ რიგში, „ფაქტების შეგროვებაა“ საფინანსო მდგომარეობის შესახებ, რაც საკმაოდ რთული პროცესია. აქ საქმე გვაქვს ბუღალტრული ანგარიშგების სისტემასთან და ორმაგი ჩაწერის პრინციპის გაგებასთან.

საფინანსო ანგარიშგების არსის სრული გაგება წარმოადგენს წინაპირობას ანალიზის სამუშაო ხერხებისა და მეთოდების დასაბუთებული და სწორი გამოყენებისათვის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბევრჯერ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი ციფრები არ შეიძლება გამოყენებული იყოს კორექტირების გარეშე, რაც თავისებურ სირთულეს ქმნის.

მეორე წინაპირობა გამომდინარეობს პირველიდან და ფინანსური ანალიზის მეთოდებისა და ხერხების ეფექტურად გამოყენების ცოდნაში მდგომარეობს, რომელთა დახმარებით ოპტიმალურად უნდა განისაზღვროს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების კონკრეტული გზები.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს ის ძირითადი აზრი, რომ ანალიზის ჩამტარებელი ძირითადი მიზნის მისაღწევად კარგად უნდა იყოს დაუფლებული როგორც ბუღალტრული აღრიცხვის, ისე ეკონომიკური ანალიზის თეორიულ საფუძვლებს.

ამრიგად, ვისაც სურს წარმოების ფინანსური სიტუაციების გაანალიზება, მან უნდა შეისწავლოს საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა და მისი ტერმინოლოგია, პირობითობა, აგრეთვე გაიგოს მისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებანი და შეზღუდულობანი, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას მაინც გააჩნია, მიუხედავად მისი მეთოდოლოგიის სისტემატური გაუმჯობესებისა.

ბულალტრული აღრიცხვის შეზღუდულობებიდან შეიძლება აღინიშნოს რამდენიმე:

ა) ფულადი გამოსახულება. როგორც ცნობილია, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც ფულად ფორმაში გამოისახება. მაგრამ ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა კაღრების შემადგენლობა, გამოცდილება, ასაკი, მონაცემები სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო და მარკეტინგული საქმიანობის მასშტაბის შესახებ, აგრეთვე, დანაღგარების გამოყენების ეფექტურობის და წარმოების განვითარების პერსპექტივების შესახებ, ანგარიშგებაში არ აისახება. მასში ვერც ნახავთ ინფორმაციას, აგრეთვე, პრობლემებზე, როგორიცაა კონფლიქტი დირექტორსა და თანამშრომლებს შორის და სხვა.

ბ) მაჩვენებლების გამარტივება და მოუქნელობა, რომელიც ახასიათებს აღრიცხვის სისტემას და ხშირად აფერადებს ფაქტებს.

გ) შემადგენელთა სუბიექტივიზმი. ჩვეულებრივ, საფინანსო ანგარიშგების დეტალიზაციის ხარისხი დამოკიდებულია ბულალტრების პროფესიონალიზმზე.

დ) ფულადი ერთეულის არასტაბილურობა, რომელიც იწვევს შეფასების სფეროში პრობლემებს.

თანამედროვე ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკის შექმნა

ფულად-საკრედიტო ურთიერთობების გაფართოებას თან სდევდა „საკრედიტო რისკის“ ზრდა. ბანკების მიერ გაცემული მოკლევადიანი კრედიტების ნაწილი იკარგებოდა იმის გამო, რომ არ არსებობდა უნიფიცირებული ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც კრედიტორები და ინვესტორები გაეცნობოდნენ ანალიზური კუთხით. 1929 წელს საფონდო ბაზრის კრახმა დიდი დარტყმა მიაყენა როგორც კომერციულ ბანკებს, ისე მთელ ეკონომიკას. ბანკებისა და ფირმების მასიურმა გაკოტრებამ დღის წესრიგში დააყენა გამოსავლის ძიების აუცილებლობა. შეიქმნა ფასიანი ქაღალდების და ბირჟების შემსწავლელი კომისია, რომელმაც შეიმუშავა და გამოაქვეყნა კრიზისიდან გამოსვლის ღონისძიებები. მათ მიხედვით უნდა შექმნილიყო: ა) ფინანსური ანგარიშგების ისეთი მაჩვენებლების სისტემა, რომელიც დააკმაყოფილებდა ამ ინფორმაციის მომხმარებელთა ინტერესებს; ბ) ღონისძიებათა ერთი ნაწილი აეალებდა ბულალტრებს შეემუშავებინათ ფინანსური აღრიცხვის უნიფიცირებული პრინციპები, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად. ამ ნორმათა ძირ-

ლაპარაკია ხელახლა აშშ-ს მასშტაბით, შემდეგ კი მან მიიღო საყოველთაო ხასიათი. GAAP-მა უზრუნველყო გონივრული საფუძველი ფინანსური ანგარიშგების ანალიზის წარმოებისათვის. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ეს უნიფიცირებული ნორმები არ გამორიცხავს ამ სფეროში კერძო კონტრაქტების შესაძლებლობებს, რომელსაც კლიენტებს შორის ურთიერთობაში დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, თანამედროვე ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკის მიზანი და ძირითადი ამოცანა თითქმის უცვლელი რჩება – გამოავლინოს საკვლევი ობიექტის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ფარული რეზერვები და მათ ასამოქმედებლად დასახოს საჭიანალო ღონისძიებანი. იცვლება მხოლოდ მიზნის მიღწევის შესაძლებლობანი უნიფიცირებული ანგარიშგების შექმნით და მეთოდებისა და სპეციფიკური ხერხების უფრო ღრმად გათვითცნობიერებით.

§ 4. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და ინფორმაციის ხარისხობრივი მაჩვენებლები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მისედვით ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

ა) ბალანსს,

ბ) მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას,

გ) ანგარიშგებას, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას:

1. საწარმოს საკუთარ კაპიტალში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ან

2. საკუთარი კაპიტალის შესახებ, რომელიც არ არის გამოწვეული მესაკუთრეთა მიერ კაპიტალთან დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციებისა და მართვის კაპიტალის განაწილებასთან.

დ) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და

ე) საბუღალტრო პოლიტიკას და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ინფორმაცია, რომელიც უნდა აისახოს უშუალოდ ბალანსში:

ა) ძირითადი საშუალებები,

ბ) არამატერიალური აქტივები,

გ) ფინანსური აქტივები,

დ) ინვესტიციები, რომელთა აღრიცხვა ხდება კაპიტალმეთოდით,

ე) სასაქონლო მატერიალური ფასეულობები,

ვ) საეჭვო და სხვა მოთხოვნები,

ზ) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები,

თ) საეჭრო და სხვა ვალდებულებები,

ი) საგადასახადო ვალდებულებები,

კ) ანარიცხები,

ლ) გრძელვადიანი ვალდებულებები,

მ) უმცირესობის წილი და

ნ) გამოშვებული საკუთარი კაპიტალი და რეზერვები.

ბალანსის ახსნა-განმარტებით შენიშვნაში საწარმომ უნდა გაშიფროს საბალანსო მუხლების ქვეჯგუფები, დაჯგუფოს ისინი საწარმოს საქმიანობისათვის შესაფერისი ფორმით.

ბასს 1 ითვალისწინებს ბალანსში და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში ყველა აუცილებელი ინფორმაციის ისე წარმოდგენას, რომ შესაძლებელი იყოს ინფორმაციის მომხმარებლისათვის ყველა საჭირო კითხვაზე პასუხის გაცემა.

ბუღალტრული ბალანსი. ფინანსური ანგარიშგების პირველ ფორმას „ბალანსი" წარმოადგენს. იგი ტრადიციულია და მიჩნეულია ანგარიშგების უნიკალურ ფორმად, საწარმოს ფინანსური სურათის წარმოდგენის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მის შინაარსში გაითვითცნობიერება. ბუღალტრული ბალანსი სისტემურად ჯგუფებს საწარმოს მთელ ინფორმაციას. პირველ რიგში, ამ ინფორმაციას ყოფს ორად: 1. აქტივებად და 2. მათი წარმოქმნის წყაროებად, რის საფუძველზე წარმოიქმნება მარტივი განტოლება:

აქტივი = ვალდებულებებს + საკუთარი კაპიტალი (1)

ამ განტოლების საფუძველზე, არითმეტიკულ მოქმედებათა მისედვით, ანალიტიკოსს შეუძლია დააგენოს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაში მიმდინარე ცვლილებები და მისი გამომწვევი მიზეზები სინთეზურ მაჩვენებლებში. ბალანსის განტოლებიდან გამოითვლება

საკუთარი კაპიტალი = აქტივი – ვალდებულებები (2)

ვალდებულებები = აქტივი – საკუთარი კაპიტალი (3)

რამდენადაც ბალანსის ორივე მხარის ელემენტები განიცდიან მრავალნაირ ცვლილებებს, მაგრამ როგორც კანონი, საბალანსო ტოლობა შენარჩუნებული უნდა იყოს, ბალანსში მომხდარი ყველა სახის ცვლილება ოთხ ჯგუფად იყოფა:

1 ტიპის ცვლილებები ეხება ბალანსის აქტივის მხარეს და იწვევს შიდა გარდაქმნებს -- აქტივის ერთი რომელიმე მუხლი იზრდება მეორე მუხლის შემცირების ანგარიშზე, ერთი და იმავე თანხით. ბალანსის აქტივის ჯამი არ იცვლება, უცვლელი რჩება ტოლობაც.

II ტიპის ცვლილება ეხება ბალანსის მეორე მხარეს და ანალოგიურად I ტიპის ცვლილებისაა – ერთი რომელიმე შუხლი იზრდება, მეორე მცირდება ერთი და იგივე თანხით. შესაბამისად, უცვლელი რჩება ბალანსის მარჯვენა მხარის ჯამი და ბალანსის ტოლობა.

III ტიპის ცვლილება ეხება ბალანსის ორივე მხარეს, იწვევს ცვლილებებს როგორც აქტივში, ისე მათი წარმოქმნის წყაროებში და შესაბამისად ზრდის ერთი და იგივე თანხით. შესაბამისად იზრდება ბალანსის ჯამი. ტოლობა დაცულია.

IV ტიპის ცვლილება ეხება ბალანსის ორივე მხარეს, იწვევს შემცირებას როგორც აქტივში, ისე მისი წარმოქმნის წყაროებში ერთი და იგივე თანხით. შესაბამისად მცირდება ბალანსის ჯამიც. ტოლობა უცვლელი რჩება.

ანალიზური კვლევის სისტემური პრინციპი მოითხოვს, რომ საწარმოს სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი ცვლილებები ამ ტიპიური ცვლილებების შესაბამისად მიმდინარეობდეს.

საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის ფედერაციის მიერ რეკომენდებული „ბალანსის“ სქემა ასეთია:

აქტივი	ვალდებულებები + საკუთარი კაპიტალი
I. მიმდინარე აქტივები II. გრძელვადიანი აქტივები	I. მიმდინარე ვალდებულებები II. გრძელვადიანი ვალდებულებები III. საკუთარი კაპიტალი
ბალანსი (I+II)	ბალანსი (I + II + III)

ანალიზური თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, ბალანსის ახალ სქემას ნაკლოვანებანი გააჩნია. ყველაზე არსებითად მიგვაჩნია ის, რომ მოქმედ ბალანსებთან არაშესადარისი ხდება ახალი სტრუქტურული დაჯგუფების გამო; ბალანსის მუხლების ახალი ინტერპრეტაციით წარმოდგენა ბალანსის წაკითხვას ართულებს.

როგორც აღენიშნეთ, ბასს არ იძლევა ანგარიშგების მკაცრ ფორმატებს, გვთავაზობს მუხლების სარეკომენდაციო დაჯგუფებას. ე. ი. საჭირო იყო მეტი კოლეგიალურობა და შემოქმედებითი შრომა, რომ ბალანსის ახალი ფორმა უფრო ჩვენს პირობებთან მიახლოებული ყოფილიყო. ამას სტანდარტიც მოითხოვს. მის მიხედვით, ფინანსური ანგარიშგება უნდა შეიცავდეს ინფორმაციის იმ მინიმუმს, რაც გასაგები იქნება მოქმედებლისათვის შეფასებებისა და სათანადო გადაწყვეტილებების მისაღებად.

„მოგება-ზარალის“ ანგარიშგება

„მოგება-ზარალის“ ანგარიშგებაში ბასს 1-ის მიხედვით აუცილებელია აისახოს ქვემოთ ჩამოთვლილი შუხლების შესაბამისი თანხები:

ა) ამონაგები,

ბ) მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის შედეგები,

გ) ფინანსური ღანახარჯები,

დ) კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული შვილობილ საწარმოებისა და ერთობლივი საქმიანობის მოგებისა და ზარალის წილი,

ე) საგადასახადო ხარჯები,

ვ) უმცირესობის წილი,

ზ) მოგება ან ზარალი ჩვეულებრივი საქმიანობიდან,

ი) განსაკუთრებული მუხლები,

კ) საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში უნდა აისახოს ხარჯების სტრუქტურა საწარმოს ხარჯების შინაარსის ან ფუნქციის მიხედვით.

ცვლილებები საკუთარ კაპიტალში. საწარმომ ფინანსური ანგარიშგების ცალკე კომპონენტის სახით უნდა წარადგინოს ანგარიშგება, რომელშიც ასახული იქნება:

ა) მოცემული საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი;

ბ) შემოსავლებისა და ხარჯების, შემოსულობების ან ზარალის თითოეული მუხლი, რომელთა თანახმად ხდება ცვლილება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში და ამ მუხლების საერთო ჯამი;

გ) სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების შედეგები;

დ) მესაკუთრეებთან და მათთვის კაპიტალის განაწილებასთან დაკავშირებული ოპერაციები;

ე) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბალანსის შედგენის თარიღისათვის აკუმულირებული მოგება-ზარალის ნაშთი და მისი ცვლილება საანგარიშგებო პერიოდში;

ვ) თანაფარდობა საკუთარი კაპიტალის თითოეული ჯგუფის საბალანსო თანხას, საემისიო შემოსავალსა და თითოეული სახის რეზერვს შორის.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება. ბასს 7 განსაზღვრავს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების წარდგენისა და სათანადო ახსნა-განმარტების მოთხოვნებს. ცნობილია, რომ ინფორმაცია ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ სასარგებლოა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის, რათა შეაფასოს საწარმოს მიერ ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების გამომუშავების უნარი და საწარმოს მოთხოვნილება ფულადი სახსრების გამოყენების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის არსებული საბაზისო ინფორმაცია და მნიშვნელოვანი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების ასახვისათვის შერჩეული და გამოყენებული შესაბამისი საანრიცხვო პოლიტიკა.

ბ) აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით გათვალისწინებული ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია, რომელიც არ არის წარმოდგენილი უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გ) დამატებითი ინფორმაცია, რომელიც არ არის ასახული უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისათვის.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები საანრიცხვო პოლიტიკის შესახებ უნდა შეიცავდეს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებულ შეფასების სისტემას და თითოეულ სპეციფიკურ საანრიცხვო პოლიტიკას, რომელიც აუცილებელია ანგარიშგების სწორად გაგებისათვის.

სტანდარტების მიხედვით საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა განავითაროს ისეთი საანრიცხვო პოლიტიკა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია

ა) შეესაბამებოდეს მომხმარებელთა გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მოთხოვნილებებს;

ბ) იყოს საიმედო იმ თვალსაზრისით, რომ:

1. ზუსტად ასახავდეს საწარმოს საქმიანობის შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობას;

2. გამოხატავდეს სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების ეკონომიკურ არსს და არა უშუალოდ მათ სამართლებრივ ფორმას;

3. იყოს ნეიტრალური, მიუკერძოებელი, წინდახედული და სრულყოფილი ყველა არსებით ასპექტში.

§ 5. ფინანსური აღრიცხვის მიზნები, პრინციპები და მათი მნიშვნელობა ანალიზისათვის

მიუხედავად იმისა, რომ აღრიცხვის ლარგის მუშაკებმა მიაღწიეს ღიდ წარმატებას ფინანსური აღრიცხვის სფეროში, შეიქმნა ბასს-ბი იავის ინტერპრეტაციებით, მეცნიერთა შორის მაინც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა აღრიცხვის ძირითადი პრინციპებისა და მიზნების შესახებ. მრა-

ეალ მეცნიერს მიაჩნია, რომ აღრიცხვის ძირითად განმაპირობებელ პრინციპს წარმოადგენს „სამართლიანობა", მაგრამ არ არსებობს შეთანხმება მიჩანთან დაკავშირებით. ამ პრობლემის გადაჭრისათვის 1973 წელს აშშ-ის ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების დამუშავების ბიურომ დაიბეჭდით, ფინანსური აღრიცხვის მიზნების შემსწავლელმა ჯგუფმა წარმოადგინა დასკვნები „ფინანსური აღრიცხვის მიზნები", საერთოდ აღიარებული დასკვნების შემდეგ, რომ ფინანსური აღრიცხვის ძირითად მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური გადაწყვეტილებებისათვის საჭირო ინფორმაციის მიცემა. ჯგუფმა წარმოადგინა შემდეგი ორი არსებითი მიზანი:

ა) ინფორმაციით უზრუნველყოფა, რომელიც სასარგებლო იქნება ინვესტორებისა და კრედიტორებისათვის, რათა შეძლონ პოტენციური ფულადი ნაკადების განსაზღვრა;

ბ) მოქმედებლების ინფორმაციით უზრუნველყოფა, რაითა მათ შეძლონ საწარმოს მოსალოდნელი მოგების პროგნოზირება და შეფასება.

თუ ჩავუკვირდებით ამ მიზნებს, კარგად ჩანს კავშირი აღრიცხვის, ინვესტირების და დაკრედიტების პროცესებს შორის. ამ მიზნების წარმომდგენი ავტორები ვასძენენ, რომ მიზნები, რომლებიც მათ წარმოადგინეს, შესაძლებელია მიღწეულ იქნას მხოლოდ ეტაპობრივად და დროთა განმავლობაში. ამ აზრს ავტორები იმიტომ გამოთქვამენ, რომ ბუღალტრულ აღრიცხვას მიიჩნევენ სოციალურ მეცნიერებად, რომლის ფესვებიც იმ საზოგადოების ფასეულობებია სისტემაში ძევს, რომელშიც ის მოქმედებს, განსაზღვრულია საზოგადოების სოციალური სტრუქტურითა და გამოხატულია მისი საშუალებით. ისიც ფაქტია, რომ აღრიცხვის სტანდარტების შემუშავება პოლიტიკური პროცესია, რომელიც მრავალ ვაინტერესებულ მხარეს იცრევს და მნიშვნელოვნად ართულებს შეთანხმების მიღწევას. ამასთან დაკავშირებით, სრულიად სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ა. ბერსტაინი[1], რომ ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების არჩერთი განსაზღვრება არ იქნება სრულყოფილი ყოველისმომცველი „აღამიანური ფაქტორის" განხილვის გარეშე. იქვე ვასძენს, რომ თუმცა ბუღალტრული აღრიცხვის მიზანია წარადგინოს გადაწყვეტილებების მიღებისათვის სასარგებლო ინფორმაცია, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ფაქტიურად მრავალი მხარეა ვაინტერესებული იმაში, რომ აღრიცხვის ფუნქციას ქონდეს უფრო სპეციფიკური მიზნები (უფრო ეიწრო ან ეგოისტური). მაგალითად, შესაძლებელია, რომ ხელმძღვანელობას, თანამშრომლობის პირებს ან საწარმოს მესაკუთრეებს უნდოდეს, რომ ბუღალტრული აღრიცხვა ეხმარებოდეს ისეთი პირადი და სპეციფიკური მიზნების მიღწევაში, როგორიცაა:

---

1 А. Берстаин. Анализ финансовых отчетов. М., 1995, с. 54-55.

ა) კრედიტის მიღება ფინანსური სიძნელეების დროს, საწარმოს მუშაობის უწრუნველყოფისათვის;

ბ) ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ღია ბაზარზე, რათა უწრუნველყოფილი იყოს საწარმოს არსებობა; სამუშაო ადგილების შენარჩუნება ან ანალოგიური მიზნები;

გ) ანაზღაურების გაზრდა თანამდებობის პირებისათვის, რაც სასარგებლოდ აისახება მათ პირად შემოსავალზე და სხვა.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს აზრი, რომ ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის დროს ყურადღების ცენტრში მუდმივად „ადამიანური ფაქტორი" უნდა ფიგურირებდეს.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები არის სახელმძღვანელო ლებულებანი და მოქმედი წესები აღრიცხვის შესახებ.. ეს წესები, რომლებიც დღეს განიხილება სტანდარტების სახით, იძლევიან თითქმის ყველა აუცილებელ კითხვაზე პასუხს, მაგალითად, როგორ იზომება აქტივები, როდის წარმოიშვება ვალდებულებანი, როდის ითვლება შემოსავალი მიღებულად, როგორ იანგარიშება ფინანსური შედეგები... ამრიგად, იმ ადამიანებისათვის, ვინც იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემებს, ამ სტანდარტების და პრინციპების ცოდნას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. აქედან გამომდინარე, პრაქტიკა ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ შეუძლებელია კვალიფიციური და დასაბუთებული ეკონომიკური ანალიზის ჩატარება, თუ არ იქნება ანალიტიკოსებისათვის ცნობილი ფინანსური ანგარიშგების შედგენის ძირითადი პრინციპები და წესები.

თავი XIV.

ფინანსური ინფორმაციის ანალიზის მეთოდიკა და ორგანიზაცია

§ 1. ძირითადი მიდგომები ფინანსური ანგარიშგების ანალიზის დროს

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია თავისებურად საინტერესოა სხვადასხვა კატეგორიის სპეციალისტებისათვის: კრედიტორები, აქციონერები, ინვესტორები, მენეჯერები... ეძებენ მასში კონკრეტულ პასუხებს სპეციფიკურ კითხვებზე სწორი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

კრედიტორებს, უწინარეს ყოველისა, აინტერესებთ კომპანიის შესაძლებლობა, გაღაიხადოს ვალდებულებები. გრძელვადიანი კრედიტორი დაინტერესებულია კომპანიის უნარით, რამდენად ღროულად დაფარავს ვალს და პროცენტს აღებულ კრედიტზე.

აქციონერებს აინტერესებთ გაიგონ რამდენად წარმატებულია კომპანიის საქმიანობა წარსულში და ბოლო ხანებში, როგორია მოგების პერსპექტივა მომავალში, როგორია კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა, რა ფაქტორებს შეუძლიათ მოახდინონ მასზე გავლენა უახლოეს მომავალში.

ინვესტორებს აინტერესებთ ფირმის შემოსავლის და რისკის (ლიკვიდურობის, სამეწარმეო საქმიანობის) მიმდინარე და მომავალი ღონე. ინვესტორები ფირმის აქციებს აფასებენ ანგარიშგების მონაცემებიდან გამომდინარე დასკვნებით, ითვალისწინებენ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებს, საწარმოო ფაქტორებს და კომპანიის მომავალ პერსპექტივებს. აქციების ფასს ადგენენ მათ საბაზრო ფასთან შეღარებით. აქციებს ფასი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლოა განვსაზღეროთ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. ამ პროგნოზისათვის ფინანსური ანგარიშგება იძლევა საკმარის ინფორმაციას.

ბანკირი, რომელიც აპირებს კომპანიისათვის მოკლევადიანი სესხის მიცემას, ფინანსურ ანგარიშგებაში დაიწყებს პასუხების ძებნას შემდეგ კითხვებზე: რატომ საჭიროებენ კომპანიები დამატებით სახსრებს, დანამღვილებით იქნება თუ არა სესხი მოკლევადიანი და დაიფარება თუ არა იგი ღროულად, რომელი წყაროებიდან მიიღებს კომპანია სახსრებს პროცენტების გადასახდელად და ვალის ღასაფარავად, როგორ აკმაყოფილებდა ადმინისტრაცია მოკლევადიან და გრძელვადიან მოთხოვნებს წარსულში.

ფირმის ხელმძღვანელობას კი აინტერესებს ყველა ზემოთ დასმული საკითხი, რადგანაც მათ დადებით შეფასებაზეა დამოკიდებული ფირმისათვის საჭირო კაპიტალის გამოყოფა.

გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერი პროცესის პირველ ეტაპს წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვანი, არსებითი და კრიტიკული საკითხების განსაზღვრა, რაც გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედებს.

ზოგადი ფინანსური ანგარიშგების ანალიზით შესაძლოა პასუხი გავცეთ შემდეგ ძირითად კითხვებს: რამდენად კარგად ვითარდება ბიზნესი? როგორია ბიზნესის მგკიცე და სუსტი მხარეები? როგორია მისი ადგილი წარმოების მოცემულ დარგში? უკეთესობისაკენ თუ უარესობისაკენ მიღის მისი მდგომარეობა?

ამრიგად, როგორც ზემოთ ჩამოთვლილმა საკითხებმა დაგვანახა, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებს მრავალნაირ კონ-

კრეტულ საკითხებზე სჭირდებათ ამომწურავი პასუხის გაცემა, რისთვისაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ანალიზის ჩატარების ორგანიზებულობას. სათანადო მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით ანალიზი უნდა ჩატარდეს პორიზონტალურ, ვერტიკალურ და შეფარდებით ჭრილში. ე. ი. ანალიზის პროცესში გამოყენებული უნდა იქნეს მრავალი სამუშაო ხერხი, რისთვისაც ანალიტიკოსი კარგად უნდა ერკვეოდეს არა მარტო ანალიზის ხერხებში, არამედ საკვლევ ობიექტთა ეკონომიკური საქმიანობისა და ოპერაციების ურთიერთკავშირში, თანმიმდევრობაში.

§ 2. ეკონომიკური საქმიანობის და ოპერაციების გარდაქმნა

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ანალიტიკოსის მუშაობაში მთავარია იმის უნარი, რომ კარგად ერკვეოდეს ფინანსურ ანგარიშგებაში, სინთეზურად წარმოდგენილ ეკონომიკური საქმიანობის გარდაქმნის პროცესებში, რაც ძირითადად გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის მთელიანი ციკლის საფუძველიან ცოდნას.

საყოველთაოდ მიღებული საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპების მიხედვით აღრიცხვის თანამიმდევრობა ასეთია: სამეურნეო ოპერაციის არსის გაგება→ ოპერაციის აღრიცხვის ტიპიური ფორმა გატარების შედგენა→ ბუღალტრულ ანგარიშებზე ოპერაციების დაგროვება→ ფინანსური ანგარიშგების შედგენა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აღრიცხვის საყოველთაოდ აღიარებული ფორმა ძირითადად ემთხვევა ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულ მოდელს. ანალიტიკოსისათვის მისი ცოდნა აუცილებელია.

მოდელის მიხედვით სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვა იწყება მათ მიმდინარეობაზე და შედეგებზე დაკვირვებით, ანუ სამეურნეო ოპერაციის არსის გაგებით. დამკვირვებლის მიზანია სამეურნეო ოპერაციის არსის გაგება და მომხდარი ფაქტის შესახებ რეალური დოკუმენტის შედგენა.

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ბუღალტრების ძალისხმევა მიმართულია, პირველ რიგში, ოპერაციის, მოვლენის გაგებისაკენ და შემდეგ მათ ინტერპრეტაციისაკენ. ხელმძღვანელობს რა საალრიცხვო სტანდარტებით, ბუღალტერი განაზოგადებს საანგარიშგებო პერიოდის ყველა მონაცემს ფინანსური ანგარიშების სახით, რაც მოითხოვს ცითოეული ოპერაციის არსის გაგებას და საბუღალტრო სტანდარტების ცოდნას, რომლებიც გამოიყენებოდა ოპერაციის ასახვისას. შე-

საბაზისოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს ანალიტიკოსი გაიგოს და ახსნას ცვლილებები ბალანსის კონკრეტულ მუხლებში, იცოდეს გააანალიზოს კონკრეტული ანგარიშების და ოპერაციების ეფექტს და უპასუხოს შემდეგ კითხვებს: როგორია ფირმის ფინანსური მდგომარეობა? რა არის ფირმის ფინანსური მდგომარეობის ცვალებადობის მიზეზი? რა არის ინვესტიციების მატების ან კლების მიზეზი? როგორია დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების თანაფარდობის მდგომარეობა? და სხვა.

ე. ი. იმისათვის, რომ წარმოიდგინო ის, თუ როგორ აისახება კონკრეტული ოპერაცია აღრიცხვაში და რა სახის ოპერაციებს შეუძლიათ გაუბარდათ ან შეუმცირებინათ კონკრეტული ანგარიში, მოითხოვს აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების და თანმხლები ინფორმაციის პირობრივად კითხვის, გაგების და ახსნის უნარს. ამგვარად, იმის ცოდნას, თუ რა ინფორმაცია შეიძლება მოიპოვოთ ფინანსურ ანგარიშგებაში, სად უნდა ეძიოთ იგი, როგორ გარდაქმნას სამეურნეო ოპერაციები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ჩატარების პროცესში.

§ 3. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სამუშაო ხერხები

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პროცესში ანალიტიკოსს შეუძლია გამოიყენოს მრავალი სამუშაო ხერხი. ამ თავში განვიხილავთ იმ სპეციალურ ხერხებს, რომლებიც ბერსტაინს განხილული აქვს თავის სახელმძღვანელოში და აღიარებულია საერთაშორისო სტანდარტებით:

1. ფინანსურ ანგარიშგებათა შედარება;
2. ტრენდების სერიები;
3. ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურული ანალიზი;
4. კოეფიციენტების ანალიზი;
5. სპეციფიკური ანალიზი.

ამ ხერხების განხილვამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ „ფინანსების" შესწავლის სფერო ურთულესია, რადგან ის ხშირად სცილდება ერთი ობიექტისა და ქვეყნის საზღვრებს და ფინანსური ინფორმაციის ანალიზი საერთაშორისო კვლევის ფუნქციას იძენს. აქ კი მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიგონოთ აშშ-ის უმაღლესი სკოლის ერთ-ერთი ყველაზე გაერკვეულებული სახელმძღვანელოს - „მსოფლიო სამეურნეო კავშირების ეკოხიმია" ავტორის, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის პ. ლინდსტრემის აზრი, რომელიც საერთაშორისო ფინანსე-

ბის შესწავლის სფეროს აღარებს მოგზაურობას უცხო პლანეტაზე, რომელიც სრულიად უცნობი მხარეა და დაშორებულია ჩვეულებრივი ექვყნის ეკონომიკისაგან. ეს ტერიტორია დასახლებულია უცნაური არსებებით, ეს არის სფერო, სადაც საფრთხილოა დაეყრდნო ჩვეულებრივ ინტუიციას; ფაქტიურად ეს არის სფერო, რომელშიც თქვენ არ შეგიძლიათ გამოიყენოთ მაკრო ან მიკრო ეკონომიკის თეორიები არსებითი ცვლილებების გარეშე...

საერთაშორისო ფინანსების სფეროში ფიგურირებს ორი ნაცნობი ფაქტორი: მოგების მაქსიმიზაცია და კონკურენცია.

ამრიგად, როგორც ამ მეცნიერული და ცხოვრებისეული აზრიდან ჩანს, გარდა მიკრო და მაკრო ეკონომიკის კვლევის სპეციალური მეთოდიკით რეკომენდებული ხერხებისა, მკვლევარს სჭირდება არაჩვეულებრივი ინტუიციის უნარიც, რომ გამოიცნო, ჩაწვდე შესასწავლი ობიექტის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მიღმა რა დგას, რა არის ფირმის სტრატეგიული ჩანაფიქრი, რომ არ შეცდნენ ანალიტიკოსები სწორი გადაწყვეტილების მიღებისას. მნიშვნელოვანია ასევე იმის შეფასებაც, თუ რა გავლენა შეიძლება ქონდეს წარსულ მოვლენებს და ახლანდელ ტენდენციებს კომპანიის შესაძლებლობაზე უახლოეს მომავალში.

ნათელია ის აზრი, რომ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ანალიზის ჩატარების პროცესში საჭიროა დიდი სიფრთხილე და წინდახედულება.

ბერსტაინი ფინანსურ ანგარიშგებას ორ კონტექსტში განიხილავს: შესადარებელი და ჩვეულებრივი ფინანსური ანგარიშგება.

შესადარებელი ფინანსური ანგარიშგების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ვარგისია რამდენიმე წლის ინფორმაციის ჰორიზონტალური ანალიზისათვის, რომლის მიხედვით დგინდება ჯაჭვური დინამიკა მუხლობრივ ჭრილში. ორი ან მეტი წლის ფინანსური მაჩვენებლების შედარება ცნობილია როგორც ჰორიზონტალური ანალიზი; იგი ყურადღებას აქცევს და ადგენს ანგარიშგების ტენდენციებს დინამიკაში.

საერთო ფორმატის, ჩვეულებრივი ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია იძლევა მხოლოდ ვერტიკალური ანალიზის ჩატარების საშუალებას. ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზი საშუალებას იძლევა ჩავატაროთ პოზიციების შედარება, მაგრამ თუ იქნება სხვადასხვა პოზიციის მაჩვენებელთა შედარების საჭიროება, მაშინ იგი ხორციელდება შეფარდებითი მაჩვენებლების ანალიზის საშუალებით.

ინდექსური რიცხვების შედარების გამოყენება საჭიროა ფრთხილად, რადგან ამ მეთოდს, უპირატესობასთან ერთად, სუსტი ადგილებიც აქვს. ასე, მაგალითად, მიმდინარე ფინანსური პირობების ცვლილებათა შესა-

ფასებლად ანალიტიკოსმა უმჯობესია გამოიყენოს შეღარებითი ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ. მეორე მხრივ, ინდექსური რიცხვების ტრენდთა შეღარება მშვენივრად გამოდგება წლების მანძილზე საკუთარი საბრუნავი სახსრების სტრუქტურის ცვლილებათა შესაპირისპირებლად.

ტრენდთა ანალიზის მნიშვნელოვანი ღირსება ისაა, რომ იგი ანალიტიკოსს საშუალებას აძლევს უკეთ გაიგოს ადმინისტრაციის ფილოსოფია, მეთოდები, მოტივები და ამრთა წყობა, რაც შეიძლება გამოელინოს, თუკი თვალს გაადევნებს წლიურ ცვლილებას. რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება შესადარებელი პერიოდების ეკონომიკური პირობები, მით უფრო უკეთეს სურათს მიიღებს ანალიტიკოსი იმისას, თუ როგორ ებრძოლა საწარმო არახელსაყრელ პირობებს.

სტრუქტურული ანალიზი. ჩვეულებრივი ფინანსური ანგარიშგების ანალიზი ყველაზე უკეთ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მისი შინაგანი სტრუქტურის ანალიზი. ბალანსის ანალიზისას ეს სტრუქტურული ანალიზი ფოკუსირდება ორ ძირითად ასპექტზე: როგორია საწარმოს კაპიტალის წყაროები, ე. ი. როგორ ნაწილდება გრძელვადიან, მოკლევადიან დავალიანებასა და საკუთარ სახსრებს შორის? როგორ არის განაწილებული სახსრები, რომელშიც ჩადებულია ეს კაპიტალი? ანუ, სხვა სიტყვებით, როგორია აქტივების სტრუქტურა, რომლითაც საწარმო აპირებს მუშაობას? რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ბალანსის ანალიზი შეიძლება ჩატარდეს უფრო დაწვრილებით და გამოელინდეს, რა წილს იკავებს მუხლი არა მხოლოდ საბოლოო ჯამში, არამედ ქვეჯგუფშიც. ასე, მაგალითად, საბრუნავი სახსრების ლიკვიდობის შეფასებისას საინტერესოა ცოდნა არა მარტო იმისა, თუ საწარმომ ყველა სახსრების რა წილი ჩადო მარაგში, არამედ თუ რომელი ნაწილია საბრუნავი თანხებისა წარმოდგენილი მარაგით.

ფინანსური ანგარიშგების შეღარებისას ყველაზე მნიშვნელოვან ხერხს ტრენდი წარმოადგენს. რამდენიმე წლის ფინანსური ანგარიშგების შეღარება საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ აგრეთვე ტრენდის მიმართულება, სიჩქარე და აჩქარება.

ორი ან სამი წლის ფინანსური ანგარიშგების შეღარება შეიძლება შესრულდეს ჯაჭვური მატების გაანგარიშების გზით, ხოლო შეღარება ხანგრძლივი პერიოდის უმჯობესია გაკეთდეს ტრენდების სერიათა მეშვეობით.

ჯაჭვური დინამიკის გაანგარიშება მარტივია, მაგრამ აქ არის რამდენიმე აუცილებელი წესი, რომელიც უნდა გვახსოვდეს: როდესაც საბაზისო წელს ნაჩვენებია უარყოფითი თანხა, ხოლო მომდევნოში დადებითი, ცვლილება პროცენტული შეფარდებით არ გამოითვლება. როდესაც

საბაზისო წელს მეხლებში მოცემულია გარკვეული ათასხა, ხოლო შემდგომ წელს „0“, შემცირება შეადგენს 100%-ს. თუ საბაზისო წელს მაჩვენებელი ნულის ტოლია, პროცენტული ბრდა არ გაიანგარიშება.

გარდა ამისა, შესადარებელი ფინანსური ანგარიშგება შესაძლოა წარმოდგენილი იყოს იმგვარად, რომ გვიჩვენოს არა მარტო მეხლის კუმულაციური შედეგი, არამედ პერიოდის მანძილზე თითოეული მაჩვენებლის საშუალო სიდიდე. გასათვალისწინებელია ის, რომ საშუალო სიდიდეები ხშირად არასაიმედოა, რადგანაც ისინი ასწორებენ მცდარ ან უჩვეულო რყევებს, რაც ანალიტიკოსს უკარგავს იმის საშუალებას, რომ გამოავლინოს არსებითი ფაქტორების გავლენა.

მოგებისა და ზარალის ანგარიშის განხილვისას „ვერტიკალური ანალიზი“ არის ძალზე სასარგებლო ინსტრუმენტი, შესაძლოა თავისი მნიშვნელობით კიდეც აღემატებოდეს ანალიზის სხვა ხერხებს. ამის მიზეზი ისაა, რომ მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიში თავისთავად წარმოდგენილია ანალიზისათვის მოსახერხებელ ფორმაში, რადგანაც თითოეული მუხლი თანაფარდია ცენტრალური რიცხვის რეალიზაციის მოცულობისა.

ერთი საწარმოს რამდენიმე წლის ჩვეულებრივი ფინანსური ანგარიშგება იმითაა სასარგებლო, რომ უჩვენებს აქტივის, პასივის, ღანახარჯების და ფინანსური ანგარიშგების სხვა კატეგორიების სტრუქტურული შემადგენლობის პროპორციის ცვლას, თუმცა ამგვარი ცვლილებებისა და ტრენდების ახსნა საჭიროა ძალზე ფრთხილად.

ჩვეულებრივი ფინანსური ანგარიშგების შეღარების ინტერპრეტაცია მოითხოვს ფაქტობრივი ციფრებისა და მათი გაანგარიშების ბაზისის შემოწმებას. ანგარიშგება, რომლის მაჩვენებლები წარმოდგენილია პროცენტული გამოხატულებით, ძალზე მოსახერხებელია ერთი საწარმოს შეორესთან შესადარებლად, რადგანაც ამასთან ერთად მოშორდება შესაპირისპირებელი ჯამების აბსოლუტური ზომის გავლენა, რადგანაც ამგვარი ანგარიშგება არ ასახავს კომპანიების ფარდობით ზომებს.

კოეფიციენტების ანალიზი. კოეფიციენტები განეკუთვნება ფინანსური ანალიზის ყველაზე ცნობილ და ფართოდ გამოყენებულ ხერხებს. ამაყე დროს მათი ფუნქცია ხშირად არასწორადაა გაგებული და, შესაბამისად, მათი მნიშვნელობა შეიძლება აღვილად გაღაჭარბებულად შეფასდეს.

კოეფიციენტი გამოხატავს ერთი რიცხვის მეორესთან მათემატიკურ მიმართებას. კოეფიციენტი 200:100-ზე გამოხატულია როგორც 2:1, ან როგორც 2. თუმცა კოეფიციენტის გამოთვლა უბრალო არითმეტიკული მოქმედებაა, მისი მნიშვნელობის ინტერპრეტაცია ბევრად უფრო რთულია იმის საკითხის, რომ რაიმე მნიშვნელობა ქონდეს. კოეფიციენტი უნდა გამოხა-

ტაელეს ნიშნად თანაფარდობას. ასე, მაგალითად, დამოკიდებულება საქონლის გასაყიდ ფასსა და მის თვითღირებულებას შორის გასაგები და პირდაპირია.

კოეფიციენტები ანალიტიკოსს აძლევს შესაძლებლობას გამოარკვიოს ძირითადი პირობების სიმპტომები. სწორად ინტერპრეტირებულ კოეფიციენტებს შეუძლიათ, ამას გარდა, ანალიტიკოსს მიუთითონ იმ სფეროზე, რომელიც მოითხოვს შემდგომ შესწავლასა და კვლევას. კოეფიციენტების ანალიზს შეუძლია გამოავლინოს პირობები და ტრენდები, რომელთა ალმოჩენაც შეუძლებელია, როცა განხილება კოეფიციენტის ინდივიდუალური კომპონენტები. რადგან კოეფიციენტები, ისევე როგორც ანალიზის სხვა ინსტრუმენტები ორიენტირებულია მომავალზე, ანალიტიკოსს უნდა შეეძლოს თანაფარდობის ფაქტორების კორექტირება და თანაც მაჩვენებელთა მნიშვნელობის პროგნოზი მოგვცეს. მას აგრეთვე უნდა ესმოდეთ, თუ რა გავლენებია მოსალოდნელი კოეფიციენტებში მომავალში. ასე, მაგალითად, საბოლოო ანალიზისას კოეფიციენტების სარგებლიანობა მთლიანად იქნება დამოკიდებული მათ ჭკვიან და საღ ინტერპრეტაციაზე. ესაა ყველაზე რთული ასპექტი კოეფიციენტების ანალიზისა.

კოეფიციენტების საიმედოობა დამოკიდებულია აგრეთვე იმ ციფრების საიმედოობაზე, რომელიც გამოყენებულია მათი გამოთვლისას. მაგალითად, როცა საშინაო კონტროლი კომპანიაში ისეთია, რომ საარღიცხვო სისტემაზე, როგორც ინფორმაციის საიმედო წყაროზე დაყრდნობა არ შეიძლება, რა თქმა უნდა, მის საფუძველზე გამოთვლილ მაჩვენებლებზე დაყრდნობაც არ შეიძლება.

კოეფიციენტების ინტერპრეტაცია. კოეფიციენტები უნდა გარდაქმნას ძალზე ფრთხილად, რადგან ფაქტორებმა, რომლებიც ზემოქმედებენ მრიცხველზე, შეიძლება იმ ფაქტორების კორელაცია მოახდინონ, რომლებიც ზემოქმედებენ მნიშვნელზე. მაგალითად, საქონელბრუნვის მიმართ ხარჯების მიმართების კოეფიციენტი შეიძლება გაუმჯობესდეს, თუკი დადაბლდება ხარჯები გაყიდვის სტიმულირებისათვის. თუკი ხარჯების დადაბლება მიგვიყვანს საქონელბრუნვის დაბლებამდე, ანდა ბაზარზე წილის შემცირებამდე, მაშინ რენტაბელობის ამგვარი მიჩვენებითი გაუმჯობესება სინამდვილეში მიგვიყვანს საპირისპირო ეფექტამდე საწარმოს პერსპექტივაში და შესაბამისად უნდა იქნეს გარდაქმნილი.

საბაზრო საზომები. ანალიტიკოსები და ინვესტორები იყენებენ მრავალ საზომს ფასების ქცევის და ფასიანი ქაღალდების შემოსავლების შესაფასებლად. მოგების ფასის კოეფიციენტს უჩვენებს მაჩრაელი, რომლითაც მოცემულ მომენტში ბაზარი აკეთებს აქციის შემოსავლის კაპიტალი-

ბაციას. მომგებიანობის კოეფიციენტი საპირისპიროა წინა კოეფიციენტისა და უჩვენებს ჩვეულებრივი აქციის შემოსავლიანობის პოტენციალს მოცემულ ფასად.

დივიდენდური შემოსავლის კოეფიციენტი უჩვენებს ფულად უკუგებას, რომელსაც მიიღებს ინვესტორი დივიდენდების მოცემულ დონეზე და მოცემულ ფასად. ასე, გამომუშავებული მოგების ნაწილი შეიძლება გადახდილ იქნას დივიდენდის სახით, ხოლო დარჩენილი საწარმოში რეინვესტირდება. დივიდენდების გადახდის კოეფიციენტი უჩვენებს მოგების წილს, რომელიც გადახდილია დივიდენდის სახით, ჩვეულებრივი აქციებით.

ფინანსური ინფორმაციის შეპირისპირადობა. მოცემული დარგის საწარმოს ინფორმაციის შეპირისპირების ამოცანა ანალიტიკოსისათვის დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან. ინფორმაცია კონკრეტული დარგის კომპანიების შესახებ შეიძლება იყოს შეჩლუღული ან მიუწვდომელი. ამის მიზები შეიძლება იყოს ინფორმაციის გაუხსნელობა ცალკეულ ნაწილებში, ანდა ის, რომ კომპანიები კერძოა და, შესაბამისად, ინფორმაციას არ აქვეყნებენ.

განსხვავებანი საანგარიშო პერიოდში. თუმცა ბევრი კომპანია საანგარიშო წლად კალენდარულს იყენებს, სხვები იყენებენ სხვა ვადებს. ამგვარი სხვაობების გამო საჭირო კორექტირება შეღარებისას დამოკიდებულია წლის ბოლოს დაქსაქსულ ვადებსა და სხვა ფაქტორებზე. თუ კი დაქსაქსვა არ აღემატება სამ თვეს, კორექტირება ჩვეულებრივ საჭირო არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინფორმაცია შეპირისპირებადი რომ გახდეს და ჩატარდეს უტყუარი ანალიზი, შეიძლება გამოყენებული იქნას კვარტალური ანგარიშგების ინფორმაცია. თუ შევკრებთ ოთხი კვარტლის ინფორმაციას, შეიძლება მივიღოთ პირობითი წლიური ანგარიშგება იმ წლებისა, რომლებიც თავდებოდა, ვთქვათ, მარტში, ივნისში, სექტემბერში ან დეკემბერში. კორექტირების აუცილებლობა და ხარისხი, რომლებიც დაკავშირებულია საანგარიშო წლის დაბოლოების სხვადასხვა ვადებთან, დამოკიდებულია აგრეთვე ექსტრაორდინალურ მოვლენებზე, მაგალითად, გაფიცვებზე, ან საკუთრების სერიოზულ დაზიანებაზე, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოცემული კვარტლის შედეგებზე. ამას გარდა, აუცილებელია ბელმოწვენით შეფასდეს საანგარიშო პერიოდების შეპირისპირადობაზე სეზონური და ციკლური რყევების გავლენა.

სხვაობანი საბუღალტრო პრინციპების გამოყენებაში. ალტერნატიული საბუღალტრო პრინციპების ან მეთოდების გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს კომპანიის ინფორმაციის არაშესადარისობამდე. ფინანსური ანალიზის ჩატარებამდე ანალიტიკოსმა ინფორმაციის კორექტირების

გჩით უნდა მოახერხოს მაჩვენებლების მოყვანა შესალარისობაში, სააღრიცხვო პოლიტიკის მისედვით უნდა დაალგინოს საწარმოში გამოყენებული ალტერნატიული სააღრიცხვო პრინციპები და მათი გაკლენა ფინანსურ მაჩვენებლებზე.

ფინანსური ანგარიშგების გადაფასება და გადასტრუქტურება. რიგ შემთხვევაში საჭიროა ფინანსური ანგარიშგების ტრანსფორმაცია: 1. კომპანიების შერწყმა მათი აქტივების ღირებულების გადაფასების გარეშე, მოითხოვს გასული წლების ანგარიშგების ტრანსფორმაციას იმგვარად, თითქოს საწარმოები გაერთიანებული იყვნენ იმთავითვე. პრაქტიკულად ანგარიშგება ტრანსფორმირებული სახით წარმოდგენილი იქნება მხოლოდ იმ პერიოდის, რომელზეც მოლის შერწყმის შესახებ განცხადება. 2. შეწყვეტა ან საწარმოს ნაწილის გაყიდვა მოითხოვს შემოსავლებისა და გასავლების ასახვას, ისევე როგორც ამას მოითხოვს მოგება-ზარალის ანგარიშის მუხლით შეწყვეტილი ოპერაციები. ანალოგიურად შეწყვეტადი საქმიანობის სუფთა აქტივები ნაჩვენები უნდა იყოს ბალანსზე ერთი მუხლით. ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია კონკრეტული მიმართულებების შეწყვეტის პერიოდში, უნდა შესაბამისად ტრანსფორმირდეს. 3. ზოგიერთი ცვლილება საბუღალტრო პრინციპებში ასევე მოითხოვს გასული წლების ფინანსური ანგარიშგების ტრანსფორმაციას, რომელიც წარმოდგენილია ანგარიშგებით იმ პერიოდის შესახებ, რომელშიც მოხდა ცვლილება, რათა ასახოს ახლადშემოტანილი სააღრიცხვო მეთოდიკის გავლენა.

რადგან ანალიზი მომავალზეა ორიენტირებული, ანალიტიკოსი უმეტეს შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებს გადაფასებული ინფორმაციის გამოყენებას. სიძნელეები წამოიჭრება გარდაუვალად, რადგან პერიოდი, რომლის მანძილზეცაა ინფორმაცია გადაფასებული, შესაძლოა უფრო მცირე იყოს, ვიდრე საანალიზო პერიოდი.

დაბოლოს, უნდა ვაღიაროთ, რომ შესადარებლად გამოყენებულ ფინანსურ ანგარიშგებათა შორის შეიძლება იყოს განსხვავებანი ინფორმაციის კლასიფიკაციაში. ზოგი კლასიფიკაციური განსხვავების თავიდან აცილება უფრო ადვილია, ვიდრე სხვებისა. მაგალითად, ერთ კომპანიას ამორტიზაცია შეაქვს მიმოქცევის დანახარჯებში, ხოლო მეორე უჩვენებს მას ცალკე მუხლით, მაშინ ინფორმაციის კორექტირება, იმისათვის რომ შესადარებლად გამოსადეგი იყოს, სიძნელეს არ წარმოადგენს.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ფინანსური ანალიზის მრავალმხრივი ინსტრუმენტების გარდა, ისეთებიცაა, როგორიცაა ინდექსები, სტრუქტურული მაჩვენებლები და კოეფიციენტები, ანალიტიკოსის ხელთ

არის აგრეთვე მრავალი სპეციალიზებული ინსტრუმენტი. ეს ინსტრუმენტები ეფუძნება სპეციფიკურ ფინანსურ ანგარიშგებას ან მის შემადგენელ ნაწილებს. ისინი შეიძლება გამოყენებული იქნას საქმიანობის ანალიზისათვის სპეციფიკურ დარგებში, მაგალითად, სასტუმროების, საავადმყოფოების, ასევე ავიაგადაზიდვების შესაბამისობის ანალიზისათვის.

ფინანსური ანალიზი გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენებით. ფინანსური ანალიზი მნიშვნელოვნად შეიცვება გამოთვლებისაგან და ასევე ლოგიკური ნაბიჯების დიდი რაოდენობისგან, რომელიც წინასწარ განსაზღვრული და დაპროგრამებული უნდა იყოს. ამ სფეროებში ანალიტიკოსს შეუძლია დიდი წარმატებით გამოიყენოს კომპიუტერები.

თანამედროვე კომპიუტერები დიდ შესაძლებლობას ფლობენ რთული გაანგარიშების ძალზე სწრაფად შესასრულებლად. უფრო მეტიც, მათ შეუძლიათ შეასრულონ გამოთვლები, შედარებანი და სხვა ლოგიკური ნაბიჯები დროის სანგრძლივი პერიოდების მიმართ.

ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი დევიდ ბეგი და სხვ. წიგნში „ეკონომიკა“[1] (ეს წიგნი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სახელმძღვანელოა მთელს მსოფლიოში) მეორე თავად განიხილავენ თემას „ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები“, რომელშიც შემდეგი საკითხებია განხილული:

- ეკონომიკური მონაცემები;
- ინდექსი;
- ნომინალური და ცვლადი სიდიდე;
- ცვლილებები ეკონომიკურ ცვლად სიდიდეებში;
- ეკონომიკური მოდელები;
- დიაგრამები, ხაზები და ტოლობები;
- პრობლემის „სხვა თანაბარი პირობები“;
- თეორია და რეალობა.

ამ თემის შინაარსის გაცნობიდან ნათლად ვრწმუნდებით იმ ჭეშმარიტებაში, რომ საკვლევი საკითხებისადმი მიდგომის პრინციპები არსებითად არ განსხვავდება ჩვენთან დამკვიდრებული პრინციპებისაგან. ამ თავში საუბარია ხერხებისა და იარაღების უნარიანად ფლობის მნიშვნელობაზე. „ეკონომიკური საკითხების ანალიზის დროს ჩვენ ასეთ იარაღად ვიყენებთ მოდელებსა და მონაცემებს.

მოდელი ან თეორია ადამიანებს უმარტივებს დასკვნის გაკეთებას იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცევიან ისინი მომავალში. ეს არის რეალობის

---

1 დევიდ ბეგი, სტენლი ფიშერი, როდიგურ ბორნბუში, ეკონომიკა (თარგმანი ინგლისურიდან), თბ., 1999.

წინასწარგანწირახული გამარტივება"... კარგად ამბობენ მეცნიერები... „ეკონომისტი ისე იყენებს მოდელს, როგორც მეგზური გზამკვლევებს წარმოდგენილ რუკას". ამრიგად, პრობლემა არის იმაში, თუ რეალობის შესახებ როგორ მოდელს შევაღგენთ და როგორი ინფორმაციის საფუძველზე ჩავატარებთ კვლევას. ერთი, რაც ამ სახელმძღვანელოშიც აშკარად ჩანს, ისაა, რომ მეცნიერ-ეკონომისტები ანალიზური კვლევის პროცესში უფრო მოხერხებულად და გამარტივებულად იყენებენ მათემატიკურ აპარატს, ვიდრე ეს ჩვენთან ხდება. რაც შეეხება ანალიზური კვლევის სისტემურობას, სანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო მასშტაბით პროფესორ გიორგი პაპავას მონოგრაფია „ეკონომიკური ანალიზის და წარმოების საბოლოო შედეგების მარკეტინგული მმართველობის მეთოდოლოგია" , სადაც მან მეცნიერული შემეცნების სისტემური მეთოდოლოგიის საფუძველზე ააგო წარმოების ანალიზურ-შემფასებელი გენეტიკური სისტემები, რომელთა პრაქტიკულ განხორციელებას ნამდვილად რევოლუციური გარდაქმნები შეუძლია მოახდინოს მმართველობის სფეროში. ამ მეთოდიკის საერთაშორისო აღიარება ქართული ეკონომიკური აზროვნების ტრიუმფი იქნება (!). ყველანაირად ხელი უნდა შევუწყოთ ასეთი მიღწევების ალმაველობას, რათა გადავარჩინოთ ეროვნული ინტელექტი და ქართული ეკონომიკური აზროვნება ჩავაყენოთ ერისა და მსოფლიოს სამსახურში.

თავი XV.

მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების ანალიზის საკითხები

§ 1. მიმდინარე აქტივების ცნება, კლასიფიკაცია და ანალიზის ამოცანები

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბალანსის აქტივის პირველი განაყოფია „მიმდინარე აქტივები", ანუ საბრუნავი საშუალებები.

ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, აქტივი (ქონება) ჩაითვლება მიმდინარედ, თუ:

---

* Папава Г. В. Методология экономического анализа и маркетингового управления конечными результатами производства, Тбилиси, 1992.

ა) ნაკარაუღლეია მისი რეალიზაცია, ან განკუთვნილია მოხმარებისათვის ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში;

ბ) ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით ან მოკლევადიანი მიწნებისათვის და მისი რეალიზაცია იკარაუღება ერთი წლის განმავლობაში; ან

გ) ეს არის ფულადი სახსრები ან მისი ექვივალენტები, რომელთა გამოყენება არ არის შეზღუდული.

ამრიგად, როგორც ჩანს, მიმდინარე აქტივები მოიცავს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს და სავაჭრო მოთხოვნებს, რომლებიც გაყიდული, მოხმარებული ან რეალიზებულია, როგორც საწარმოო პროცესის ნორმალური ციკლის შემადგენელი ნაწილი. ბირჟაზე მიმოქცეული ფასიანი ქაღალდები (საფონდო ფასეულობანი) მიეკუთვნება მიმდინარე აქტივებს, თუ მათი რეალიზაცია მოსალოდნელია ბალანსის შედგენის დღიდან 12 თვის განმავლობაში.

მიმდინარე აქტივების ზოგადი კლასიფიკაცია

მიმდინარე აქტივების, ანუ საბრუნავი საშუალებების კლასიფიკაცია, რომელიც ბასს-ის მიხედვითაა რეკომენდებული და დღეს საქართველოს მეწარმეთა კანონით არის დადგენილი, შემდეგნაირად გამოიყურება (სქემა 1).

როგორც მიმდინარე აქტივების კლასიფიკაციის სქემიდან ჩანს, ბასს-ის მიერ რეკომენდებული აქტივების სტრუქტურა ანალიზური თვალთახედვით ძალიან ბუნდოვანია და ბევრ მნიშვნელოვან კითხვაზე ვერ იძლევა პასუხს. სამაგიეროდ ძალიან დეტალიზებულია კანონით მოქმედი საბრუნავი საშუალებების ჩამონათვალი, რადგან ბასს-ის პრინციპებით აკრძალული არ არის აქტივების ალტერნატიული კლასიფიკაციის გამოყენება, თუკი ის მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, უფრო გამართლებული იქნებოდა მიმდინარე აქტივების შემდეგი კლასიფიკაცია: საწარმოო მარაგები, მზა პროდუქცია და საქონელი, დებიტორული დავალიანება, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, დაუმთავრებელი წარმოება.

მიმდინარე აქტივების ასეთი კლასიფიკაცია, ვფიქრობთ, უფრო ანალიზურია და ამომწურავად პასუხობს ინფორმაციის მომხმარებელთა ინტერესებს.

ახლა გავეცნოთ მიმდინარე აქტივების ელემენტების ანალიზის საკვანძო საკითხებს.

სქემა 1

მიმდინარე აქტივების ზოგადი კლასიფიკაცია

მიმდინარე აქტივები	
ბასს 1-ის მიხედვით	მოქმედი ბალანსის მიხედვით
– სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1. საწარმოო მარაგები:
– სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	– ნედლეული და მასალები
– ავანსები	– მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
– ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	– დაუმთავრებელი წარმოება
	– მზა პროდუქცია
	– საქონელი
	2. სხვა საბრუნავი საშუალებები:
	– მიმწოდებლებზე და მოიჯარეებზე გაცემული ავანსები
	– მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები
	– მიღებული თამასუქები
	– ჩეკები
	– ნაღდი ფული სალაროში
	– ფულადი საშუალებები საბანკო ანგარიშზე
	– სავალუტო ანგარიში
	– სხვა ფულადი საშუალებები
	– მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებანი
	– სხვა საბრუნავი საშუალებები

§ 2. საწარმოო მარაგები

საწარმოთა უმრავლესობაში მარაგები წარმოადგენენ მნიშვნელოვან აქტივებს, რამლენადაც ისინი გვევლინებიან წარმოების პროცესის განხორციელების აუცილებელ ელემენტად და, ცხადია, წმინდა შემოსავლის წარმოქმნის საშუალებად. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მარაგები არის ისეთი აქტივები, რომლებიც შეძენილია ახალი საქონლის საწარმოებლად.

საწარმოო მარაგებს მიეკუთვნება: მზა პროდუქცია, ნედლეული და მასალები, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები, დამხმარე მასალები, სათიბობი, მომავალი პერიოდის ხარჯები, დაუმთავრებელი წარმოება, დანარჩენი საბრუნავი აქტივები.

მარაგების შესწავლა ანალიტიკოსებისათვის რამდენიმე მიმართულებითაა მნიშვნელოვანი: პირველი ის, რომ გაირკვეს მისი სტრუქტურული შემადგენლობა და თითოეული მათგანის დამოკიდებულება საწარმოს შემოსავლის მიღებასთან; მეორე ის, რომ დავადგინოთ მათი ლიკვიდურობის ხარისხი სახეების მიხედვით და მესამე, დავადგინოთ მარაგების შეფასების პრინციპები.

თავისუფალი ფასების პირობებში ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხს მარაგთა შეფასება წარმოადგენს. პრაქტიკულად მარაგთა აღრიცხვა განსხვავდება იდეისაგან, თითქოსდა საარღრიცხვო სისტემა თვალყურს ადევნებს მარაგის თითოეული ელემენტის მოძრაობას. დღეისათვის მარაგთა შეფასების რამდენიმე მეთოდია დამუშავებული, მათგან აღსანიშნავია ორი ძირითადი: ა) „ლიფო“ და ბ) „ფიფო“. სიტყვასიტყვით „ლიფო“ ნიშნავს „ბოლო შეხვედი – პირველი გამოხვედი“, ხოლო „ფიფო“ ნიშნავს – „პირველი შეხვედი – პირველი გამოხვედი“. აქედან გამომდინარე, „ლიფო“ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის საბოლოოდ შემოსული ან დამზადებული პარტიების ფასებით საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდია. „ლიფო“-ს გამოყენება ბაზრის კონიუნქტურის მიხედვით გამოქვეყნებად ბალანსში ჩართული მოგების თანხის შემცირების ან გაზრდის საშუალებას იძლევა, რაც გადასახადის სიდიდეზე მოქმედებს. „ფიფო“-ს – სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის პირველად შემოსული ან დამზადებული პარტიების ფასებით აღრიცხვის საბუღალტრო მეთოდია.

„ფიფოს“ მეთოდის მიხედვით მარაგების შეფასება წარმოებს ბოლოს ნაყიდი ნაკეთობის მიხედვით. ასეთი პრინციპი აღიარებულია პრაქტიკულად საუკეთესოდ.

„ლიფოს“ ძირითადი მიზანია ინფლაციის პირობებში მიმდინარე ხარჯებისა და მიმდინარე ამონაგების საუკეთესო თანაფარდობის დაცვა.

მარაგების შეფასებას ახორციელებენ აგრეთვე „საშუალო ხარჯების“ მეთოდით. ეს მეთოდი მარაგების შეფასებისას და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციისას თავიდან იცილებს თვითღირებულების მერყეობას საშუალო შეწონილი ღირებულების გამოყენებით.

მარაგების შეფასების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს „საცალო“ შეფასების მეთოდი. მისი მეშვეობით წარმოებს მარაგების შეფასება ცალკეულ სახეობათა მიხედვით.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ინფლაციის პირობებში იზრდება მეწარმეთა ინტერესი „ლიფოს“ მიმართ. მისი უპირატესობა იმაშია, რომ ეს მეთოდი ფინანსურ ანგარიშგებას „აგუებს“ ინფლაციასთან. ეს მეთოდი პოპულარულია გაღასახადების ხანგრძლივად გადავადების გამო.

მზა პროდუქციის მარაგები. მზა პროდუქცია გასაყიდად გამზადებული პროდუქციაა. საცალო თუ საბითუმო გამყიდველისათვის ეს არის საქონელი, რომელიც მას აქვს სარეალიზაციოდ და ქმნის მისი მატერიალური მარაგების დიდ ნაწილს. სამეწარმეო კომპანიისათვის მზა პროდუქციის მარაგები მოიცავს მათ მიერ დამზადებულ ყველა სახის პროდუქციას, მაგრამ ჯერ კიდევ გაუყიდავს, თუმცა მათი მარაგების დიდი ნაწილი შეადგება ნედლეულისა და დაუმთავრებელი პროდუქციისაგან, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. მომსახურების სფეროში მოღვაწე ფირმისათვის პროდუქციის მარაგებაც ითვლება ის პროდუქცია, რომელსაც იგი იყენებს მომსახურებისათვის. ისინი უშუალოდ არ არიან გამიზნულნი გასაყიდად, არამედ ითვლებიან ნედლეულად, თუმცა ისინი არიან მზა პროდუქციის სახით, რომელიც იყიდება საცალო სახით. მაგალითად, ავტოგასამართ საღგურში აეტომანქანის საბურავი ჩაითვლება ნედლეულ მარაგად.

საცალო თუ საბითუმო გამყიდველისათვის რისკი იმისა, რომ პროდუქცია არ იქნება გაყიდული, დაკავშირებულია საქონლის თვისებებთან. მზა პროდუქციის მწარმოებელსაც იგივე სახის რისკთან აქვს საქმე. აქედან გამომდინარე, ანალიტიკოსმა უნდა შეაფასოს მარაგები მათი ასლანდელი და სამომავლო გაყიდვის ვარგისიანობის მიხედვით. ზოგიერთ საქონელს გააჩნია მდგრადი და პროგნოზირებადი რეალიზაციის საშუალება. მაგალითად, პური არის გასაელიანი საქონელი, რომელიც თავის ღირებულებას ინარჩუნებს და სარგებლობს მუდმივი მოთხოვნით. მაგრამ თუ მარაგები შედგება მოდური ვიდეოთამაშებისაგან, რომელნიც ექვემდებარებიან მოძველებას, საბაზრო მოთხოვნის დაცემის შედეგად გაუფასურდებიან. მარაგების ანგარიშების შეფასებისას საჭიროა გავარკვიოთ, არის თუ არა მათში ჩართული მოძველებული მარაგები, რომელზეც მოთხოვნა არ არის ბაზარზე. თუ ჩართულია, მაშინ კომპანიის მარაგები აღმოჩნდება გაბრდილი. მოძველებული საქონელი არ წარმოადგენს კომპანიის ლიკვიდურობის ფაქტორს. ისინი აგრეთვე არ წარმოადგენენ მევალის მიერ მიღებული ვალდებულების საიმედო უზრუნველყოფას.

თუ ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებას იღებს უფრო აგრესიული კონკურენციისაკენ მარაგების გაბრდის გზით, ისინი რისკს თავის თავზე იღებენ საქონელზე მოთხოვნის მოულოდნელი დაცემისას. ხანდახან კომპანიები ინახავენ დიდი რაოდენობით მარაგებს, რადგან მათი შესყიდვა ძნე-

ლია ან შეიძლება ღროში გაიწელოს, რადგან აღგილი აქვს ბღეის გაღმა ტერიტორიებიღან ტრანსპორტირებას.

ნედლეულის მარაგები. მწა პროდუქციასთან ერთად, სამეწარმეო კომპანიები ფლიობენ ნედლეულის გარკვეულ მარაგებსაც, რომელსაც იყენებენ საწარმოო პროცესში. ანალიტიკოსები ნედლეულის მარაგებს აფასებენ იმავე კუთხით, როგორც მწა პროდუქციას, ანუ რეალიწაციის თვალსაწრისით. თუ ნედლეულს გააჩნია მრავალმხრივი დანიშნულება და შესაძლებელია მისი გაყიდვა მრავალ ფირმაზე, მაშინ მისი რეალიწებადობა მაღალია იმ ნედლეულთან შედარებით, რომელიც გამოიყენება წარმოების მხოლოდ ერთ რომელიმე პროცესში.

ნედლეულის მარაგების ღიდი ღირებულება შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგების სპეკულაციით. კომპანიას შეუძლია სცადოს ითამაშოს ფასებზე, თუ შეისყიდის ღიდი რაოდენობით ნედლეულს იმ იმედით, რომ გაყიდის მას უფრო მაღალ ფასში, ან დააგროვებს ნედლეულს იმის მოლოდინში, რომ მომავალში ამ ნედლეულზე ფასები გაიწრდება. მაგრამ თუ ფასების წრდის მაგიერად ფასებმა დაიწყო შემცირება, მაშინ შელეგი შეიძლება იყოს ფართომასშტაბიანი წაგება. კომპანიებს ხშირად არ შეუძლიათ შეინახონ ღიდი რაოდენობით რესურსები, რადგან საჭიროებენ ლიკვიდურობას. ამასთან, ღიდი მარაგების შენახვა შეიძლება ღიდ მატერიალურ დანახარჯებთან იყოს დაკავშირებული, განსაკუთრებით თუ საწროცენტო განაკეთი მაღალია და საჭიროა ბანკისაგან ფინანსირება.

დაუმთავრებელი პროდუქცია. მარაგის ეს სახე საკმაოდ პრობლემატურია კრედიტორებისათვის, რადგან ლიკვიდაციის დროს მისი მოშორება საკმაოდ რთულია. დაუმთავრებელი საქონლის მარაგის რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გრძელია საწარმოო პროცესი. თუ საწარმოო პროცესი მოკლეა, დაუმთავრებელი საქონლის ღირებულება უმნიშვნელო იქნება ნედლეულის და მწა პროდუქციის მარაგებთან შედარებით. მაგრამ თუ საწარმოო პროცესს ახასიათებს სირთულე, რომელსაც აღგილი აქვს მსხვილგაბარიტებიანი და მძიმე მოწყობილობების წარმოებისას, კომპანიის მნიშვნელოვანი რესურსი შეიძლება დაკავშირებული იყოს დაუმთავრებელ პროდუქციასთან.

ნაწილობრივ ღამთავრებულ პროდუქციას არა მარტო სჭირდება დამატებითი დანახარჯები იმისათვის, რათა გადაიქცეს მწა პროდუქციად, მათი საბაზრო ღირებულებაც ნაკლებია მათზე გაწეულ დანახარჯებზე. ასე რომ, კრედიტორმა ღიდი შეფასება არ უნდა მისცეს, თუმცა ისიც გასარკვევია, ღირს თუ არა საერთოდ მათი შეფასება როგორც სესხის უზრუნველყოფის გარანტისა.

კომპანიას, რომელიც საქონელს ამზადებს შეკვეთით, გააჩნია ღიდი რაოდენობით დაუმთავრებელი პროდუქცია, ხოლო მზა პროდუქციას მის მარაგებში საერთოდ ვერ შეხვდებით, რადგან მზა პროდუქცია დაუყოვნებლივ იგზავნება მყიდველთან. შეკვეთით დამზადებული პროდუქციის ლიკვიდაცია ძალიან ძნელია, ამიტომ მწარმოებელი იძულებულია დამკვეთს ავანსად გამოართვას თანხის ღიდი ნაწილი წარმოების პროცესშივე და ამით მყიდველის მიერ საქონელზე უარის თქმის რისკი თავიდან აიცილოს.

მომავალი პერიოდის ხარჯები. მომავალი პერიოდის ხარჯები ეწოდება ისეთ დანახარჯებს, რომლებიც წინააღმდეგობაში არ მოდიან შემოსავლების გრაფასთან და რომელნიც ვერ პოულობენ მასში ასახვას. ასეთი დანახარჯების მაგალითია ყოველწლიურად გადახდილი სადაზღვევო თანხები და წინასწარ შეტანილი არენდა. მომავალი პერიოდის დანახარჯები არც ისე ლიკვიდურია, მაგრამ ისინი უზრუნველყოფენ მიმდინარე ნაღდი ანგარიშსწორების შემცირებას მომავალში.

უმჯობესია მომავლის დანახარჯების ასახვა ბალანსის საბრუნავი აქტივების განაყოფში. სამწუხაროდ, ბევრი კომპანია მომავალი პერიოდის ხარჯებს აერთიანებს დებიტორთა ანგარიშებთან, რომლებიც ემსახურება შეილეული კომპანიებს და არც ისე ლიკვიდურნი არიან. თუ ანალიტიკოსს არ შეუძლია განასხვაოს ეს ანგარიშები, ისინი გაერთიანებულ ანგარიშს თითქმის უცილოდ გეიჩვენებენ საბრუნავი აქტივების სახით.

დანარჩენი საბრუნავი აქტივები. დანარჩენი საბრუნავი აქტივების რაოდენობა არ არის ძალიან ღიდი. მაგალითად, ანალიტიკოსს შეუძლია საანალიზო ცხრილის ამ განაყოფში შეიტანოს საშემოსავლო გადასახადიდან დაბრუნებული თანხები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქვე შეიძლება იმ აქციების შეტანა, რომელნიც ხელმძღვანელობამ შეიძლება შეიტანა ადვილად რეალიზებად ფასიან ქაღალდებს შორის, თუკი ხელმძღვანელობა ამას განიხილავს როგორც დროებით ინვესტიციას.

დანარჩენ საბრუნავ აქტივებში შეიძლება შეტანილი იქნეს სიცოცხლის დაზღვევის შენატანები. კომპანიას შეუძლია ამ საშუალებების გამოყენება ოპერაციებში.

სადაზღვევო პოლისის რეალური ლიკვიდურობა დგება დაზღვეულის სიკვდილისას. ანალიტიკოსმა უნდა გაარკვიოს, თუ ვინ არის დაზღვეული და როგორია პოლისების ნომინალური რაოდენობა. კრედიტორმა აგრეთვე უნდა შეაფასოს დაზღვევის გავრცელების ღონეც.

მიმდინარე აქტივების სტრუქტურიდან რომ ანალიტიკოსმა პასუხი გასცეს კითხვაზე, რამდენად ლიკვიდურია ეს მარაგები, ბალანსიდან არ ჩანს,

არც ბალანსზე დანარჩენებიდან. ძალაუნებურად უნდა ვენდოთ აუდიტორულ დასკვნას და ვირწმუნოთ, რომ ინფორმაცია ბალანსში ბასს-ის პრინციპების სრული ლაცვითაა წარმოდგენილი. რაც შეეხება მენეჯერულ ანალიზს, აქ ეს პრობლემა მოხსნილია, რადგან შეგვიძლია ამ ინფორმაციის ტესტირება და ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გაცემა. ანალიზის პროცესში მარაგების შეფასების ფაქტორები ყველაზე ყურადღებამისაქცევია, რამდენადაც შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით მიმდინარეობს დავა. აზრთა სხვადასხვაობა ძირითადად დაკავშირებულია რეალიზებული პროდექციის თვითღირებულებისა და წმინდა შემოსავლის სიდიდის განსაზღვრასთან.

ცნობილია შეფასების ძირითადი პრინციპი – მინიმალური შეფასების პრინციპი (საბაზრო ან ნაყიდობის ღირებულებიდან დაბალი). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პრინციპი შეიცავს სირთულეებს და აზრთა სხვადასხვა ვარიანტებს. ამის მიზეზია ის, რომ დღემდის არაა შექმნილი თვითღირებულების გაანგარიშების მუსტი მოდელი. რა უნდა ჩაირთოს თვითღირებულებაში და როგორი შეფასებით? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია და, აქედან გამომდინარე, ანალიტიკოსის წინაშეც მრავალი პრობლემური საკითხი დგება მარაგების შეფასების საკითხის ანალიზის დროს. მაგალითი განვიხილოთ ბერსტაინის სახელმძღვანელოდან.

რა ჩაითვლება თვითღირებულებაში? განვიხილოთ მარტივი მაგალითი. საბითუმო ბაზა ყიდულობს მაგიდებს მათი შემდგომი გაყიდვის მიზნით. ცხადია, ანგარიშფაქტურაში მაგიდების ღირებულება წარმოდგენილია საბაზრო ღირებულებით. მას ემატება სატრანსპორტო გადაბიდვისა და მონტაჟის ხარჯები (თუ ისინი ინახება დაშლილი). თუ მაგიდები იმპორტულია, მაშინ უნდა დავუმატოთ საბაჟო გადასახადები. მაგიდების შეძენაზე იხარჯება ხელმძღვანელობისა და მუშაკების აუცილებელი დრო და ძალები. ისმის კითხვა: საჭიროა თუ არა განაწილებული იქნეს ეს ხარჯები მაგიდების ღირებულებაზე, თუ წლის ბოლოსათვის არ იქნა გაყიდული? პასუხი ამ კითხვაზე არაა ცალსახა. სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, ეს ხარჯები შეიძლება შეტანილი იქნეს აქტივში ან ჩამოწერილი იქნეს საანგარიშგებო წლის განმავლობაში. ეს გავლენას იქონიებს წლის საანგარიშგებო შეღეგზე. უნდა ჩაირთოს თუ არა მაგიდების ღირებულებაში მათი გაყიდვის ხარჯები? აღიარებულია, რომ ასეთი ხარჯები მაგიდების ღირებულებაში არ ჩაითვლება.

მეორე მაგალითი, რომელიც ილუსტრირებას უკეთებს ფირმა N-ის მონაცემებს, წარმოადგენს კარგ პრაქტიკას შვილეული კომპანიების მარაგების თვითღირებულების გამოთვლის შესახებ. ფირმა N-მა გაითვალისწინა ავიაპროგრამებთან დაკავშირებული ხარჯები ფაქტიური საწარმო

თვითღირებულებით, მაგრამ მნიშვნელოვან შეუთანხმებლობათა ლაგრანჟების შესაბამისად ფირმა პერიოდულად ახორციელებს ბუღალტრული ხარჯების განაწილებას, გამომდინარე ფაქტური მონაცემებიდან.

აუცილებელია განვასხვავოთ ერთმანეთისაგან: ა) დანახარჯების მიმდინარე ჩამოწერა და ბ) მათი მარაგებში ჩართვა, რამდენადაც დანახარჯების მიმდინარე ჩამოწერა გარდაქმნის მათ ე. წ. „საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად", ე. ი. დანახარჯები, რომლებიც არ სცილდება ერთ საფინანსო წლის ფარგლებს, ხოლო მარაგებს მიკუთვნებული ხარჯები წარმოადგენს წარმოების პირდაპირ ხარჯებს. ისინი უარყოფითად არ მოქმედებენ მიმდინარე შემოსავლებზე და მიეკუთვნებიან მომავალი პერიოდის ხარჯებს.

მაგიდებზე მოყვანილი მაგალითი მარტივია, რადგანაც აქ მხოლოდ ერთი ოპერაციაა – მაგიდების შენახვა მისი ხელახალი გაყიდვის მიზნით. როცა საქმე შეეხება მაგიდების მწარმოებლის მხრიდან თვითღირებულების განსაზღვრის საქმეს, მაშინ აქ ყველაფერი შედარებით ძნელია. მაგიდების წარმოებისას მწარმოებელი ეწევა სამი ტიპის ძირითად ხარჯებს:

1. მაგიდების წარმოებაზე დახარჯული ნედლეული და მასალები;
2. შრომის ანაზღაურება;
3. ზედნადები ხარჯები (ფიზიკური და მორალური ცვეთა, დანახარჯები სათბობზე და სხვ.).

პრობლემურია მესამე ჯგუფის ხარჯები. თუ მაგიდების წარმოებისათვის საჭირო მასალებსა და შრომის დანახარჯებზე კონტროლის დაწესება შესაძლებელია, ზედნადები ხარჯების ნორმირება და გაკონტროლება რთულია. მათი სრული თანხის განაწილება ხდება მთლიანად გამოშვებულ პროდუქციაზე. პრობლემას წარმოადგენს მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღებაც, მაგალითად, ა) რომელი ხარჯები უნდა ჩაირთოს ზედნადებ ხარჯებში? ბ) რამდენი სახის პროდუქციაზე ვანაწილებთ ზედნადებ ხარჯებს და რა პრინციპით?

რაც შეეხება ხარჯების თვითღირებულებაში ჩართვას, უნდა ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს: ა) მართებულია თუ არა მარაგების ღირებულებაში ახალი მოდელებისა და მასალების გამოცდის ხარჯების ჩართვა? ბ) მართებულია თუ არა მარაგებში საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ჩართვა? ამ კითხვებზე დღემდის ცალსახა პასუხი არ არსებობს.

ზედნადები ხარჯების განაწილება უნდა წარმოებულს ფაქტური ღირებულების საფუძველზე, რაც არც ასე იოლია. აქ სირთულეა ის, რომ ზედნადები ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეკუთვნება მუდმივ ხარჯებს, ე. ი. ისეთ ხარჯებს, რომელთა სიდიდე დამოკიდებული არ არის პრო-

ღუქციის რაოდენობაზე. მაგალითად, ვთქვათ, რომ იწარმოება მხოლოდ მაგიდები. მუდმივი დანახარჯები შეადგენს 100 ათას ლარს და წარმოებულია 10 ათასი მაგიდა, მაშინ ყოველ მაგიდაზე მოდის 10 ლარის მუდმივი ხარჯი; თუ იწარმოება 5000 მაგიდა, მაშინ ყოველ მაგიდაზე მოუწევს 20 ლარი მუდმივი ხარჯი.

რომ გავანაწილოთ ბეღნადები ხარჯები გამოშვებული პროდუქციის მოცულობაზე, საფინანსო პერიოდის დასაწყისში უნდა გაკეთდეს პროგნოზირება იმისა, თუ რამდენი ცალი პროდუქცია უნდა გამოუშვას ფირმამ. ეს, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა განესაზღვროთ, პროდუქციის რამდენ ერთეულზე უნდა განაწილდეს ბეღნადები ხარჯები, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს გაყიდვებისა და დამხმარე წარმოების მოცულობის საჭარაუდო შეფასების მაჩვენებელს. რამდენადაც განსხვავებული იქნება გამოშვებული პროდუქციის მოცულობა საჭარაუდოსაგან, იმდენითვე განსხვავებული იქნება ბეღმეტად და ნაკლებად შეფასებული ბეღნადები ხარჯები პროდუქციის ერთეულზე. ეს ნიშნავს, რომ წარმოებისა და მასალების ღირებულებაში ჩარიცული იქნება ბეღნადები ხარჯების ბეღმეტი ან ნაკლები რაოდენობა. თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდი, რომელიც უთანაბრებს რეალიზებული პროდუქციისა და მარაგების თვითღირებულებას წინასწარ განსაზღვრულ ხარჯებთან, ეწოდება ხარჯების ნორმირების მეთოდი.

§ 3. ფულადი სახსრები და საბაზრო ფასიანი ქაღალდები

ეკონომიკური თეორიიდან ცნობილია, რომ ფულის ფენომენის კვლევა ეკონომიკური მეცნიერების უძველეს პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება და მას დღეს უფრო განსაკუთრებული აღგილი უკავია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალთახედვით. ფული რთული ეკონომიკური კატეგორიაა, მას ბევრი ისეთი მაგიური თვისება გააჩნია, რომ ხშირად მკვლევარებსაც და პრაქტიკოსებსაც უჭირთ მისი ახსნა, თუ ისინი კარგად არ ერკვევიან ფულის ფუნქციებში, ფულის ნორმებში და, რაც მთავარია, ფულადი სახსრების მოძრაობის აღრიცხვის პრინციპებში.

ფულის ფუნქციების ღრმა ცოდნა ანალიტიკოსს საშუალებას აძლევს გაიაზროს და კონკრეტულად გაითვალოს, თუ ფულის რომელი ფუნქციის შესრულება უფრო მეტ მოგებას მოუტანს ფირმას და უფრო გააძლიერებს

მის ფინანსურ მდგომარეობას, მაგალითად, როცა ფული ასრულებს მიმოქცევის თუ გადახდის ფუნქციას და ა. შ.

ამრიგად, ეჭვს გარეშეა ის აზრი, რომ ფინანსური ანგარიშგების ანალიტიკოსი საფუძვლიანად უნდა იცნობდეს ფულის ფუნქციებს, რაც მას საშუალებას მისცემს შეუცდომლად შეაფასოს ობიექტის ფინანსური მდგომარეობა და მისთვის საინტერესო ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა ფირმის ფულადი სახსრების ლენადობის ხარისხიანობა და ჩამოყალიბოს კონკრეტული მოსაზრებანი, ფულადი სახსრების უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის. გარდა ამისა, ანალიტიკოსი კარგად უნდა ერკვეოდეს ფულის ისეთ ფორმებში, როგორიცაა საქონლური, ლიტონ-ჭედური, ემისიური და დეპოზიტურ-ელექტრონული, რაითა შეძლოს მისცეს რეალური შეფასება ფირმის ფულადი სახსრების სტრუქტურულ შემადგენლობას დინამიკაში და ცვალებადობას პერსპექტივაში.

ჩვენი ქვეყნისათვის შედარებით ახალია ფულის დეპოზიტურ-ელექტრონული ფორმა, რომელიც ცივილიზებულ ქვეყნებში დიდ ხანია საკმაოდ განვითარებულია. ცივილიზებულ ქვეყნებში კომპიუტერების მეშვეობით ხორციელდება მრავალი საგადასახადო და საანგარიშსწორებო ოპერაცია, ხდება საკრედიტო გარიგების, ფულადი გაღასახადების და ანგარიშსწორების შესახებ სხვადასხვა ინფორმაციის გადამუშავება და გადაცემა. ამის შედეგად წამებში შეიძლება მივიღოთ ზუსტი ინფორმაცია ჩვენთვის საჭირო ყველა საკრედიტო საკითხზე. მათი მეშვეობით საბანკო ანგარიშის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ დროს, დამოუკიდებლად ჩაერთოს საბანკო კომპიუტერებში და განახორციელოს ისეთი ოპერაციები, როგორიცაა: ფულის შეტანა, გამოტანა და გადაგზავნა ერთი ანგარიშიდან მეორეზე, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში კრედიტის მიღება და ა. შ.

ფულის ემისიური ფორმებიდან ჩვენი ქვეყნის ანალიტიკოსებისათვის შედარებით კარგადაა ცნობილი ქაღალდის ფული. რაც შეეხება საკრედიტო ფულის სახეობათა უმრავლესობას (თამასუქი, აქცია, ობლიგაცია და სხვა), ისინი საბაზრო ეკონომიკის კატეგორიებია და საფუძვლიან შესწავლას საჭიროებენ.

ცნობილია, რომ ფულადი სახსრები ითვლება ყველაზე ლიკვიდურ აქტივებად. იგი წარმოადგენს როგორც წარმოების, ისე სააღრიცხვო ციკლის საწყის და საბოლოო პუნქტებს.

ფულადი სახსრები, მათთვის დამახასიათებელი ლიკვიდობის თვისებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას ღირებულების განსაზღვრისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოითხოვს დაგროვებისა და გაფლანგვის საწინააღმდეგო ღონისძიებებს. თუ ფულად სახ-

სრებზე ვრცელდება რაიმე შეზღუდვები, საჭიროა ღიდი სიფრთხილე მათი კლასიფიკაციისას. მაგალითად, წარმოების გაფართოების მიზნით ან სხვა სპეციალური დანიშნულებით მომიდული სახსრების ნაშთი უნდა აისახოს ცალკე. იგი შეიძლება არ ეკუთვნოდეს მიმდინარე აქტივებს, რომელთა მიხედვითაც წარმოებს მსჯელობა ობიექტის გადახდისუნარიანობაზე. ფულადი სახსრების ანალიზის დროს გათვალისწინებულია ფირმის საკომპენსაციო ნაშთი, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაწილს, რომელიც საჭიროა არსებული სასესხო ხელშეკრულებებისა და შემდგომი კრედიტუნარიანობის გარანტიის უზრუნველსაყოფად. ამასთან, თუ საკომპენსაციო ნაშთი ოფიციალურადაა ნორმირებული, მაშინ იგი ბალანსში განცალკევებულად უნდა აისახოს, სხვა შემთხვევაში ასეთი ნაშთები, საფინანსო ანგარიშგებაში აისახება შენიშვნის სახით.

გასათვალისწინებელია აგრეთვე გაცემული ჩეკების თანხის საკითხი, რომლებიც ბანკის მიერ ჯერ კიდევ გაუნაღდებელია. ანალიტიკოსმა უნდა იცოდეს იმ ფირმების პრაქტიკა, რომლებიც გაუნაღდებელში რთავენ ფულადი სახსრების ნაშთს, ხოლო გაუნაღდებელ ჩეკებს კი კრედიტორულ დავალიანებაში(!).

არის შემთხვევები, როცა ფირმა აჩვენებს აღებულ სესხს ფულადი სახსრების ნაშთის სახით და ამით მალავს ფულადი სახსრების ფაქტიურ მდგომარეობას.

საბაზრო ფასიანი ქაღალდები. ფასიანი ქაღალდი (ფიქციური კაპიტალი) დადგენილი ფორმის (ნიმუშის) ფინანსური დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის გარკვეულ ქონებრივ უფლებებს. აქედან გამომდინარე, იგი ყიდვა-გაყიდვის ობიექტიც არის. ფასიანი ქაღალდები მრავალი სახისაა, კერძოდ, ობლიგაციები, დეპოზიტური სერთიფიკატები, საგადასახადო დოკუმენტები, თამასუქები, ჩეკები და სხვა; ქონებრივი უფლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები, შემნახველი ბანკის წიგნაკები, ლომბარდის საგირაო ბილეთები, ფულად-ნივთობრივი ლატარიის მოგებული ბილეთები და ა. შ.

საბაზრო ფასიანი ქაღალდების ანალიზის პროცესში ანალიტიკოსმა დეტალურად უნდა შეისწავლოს საკელევი ობიექტის მიერ თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსების სახეები და მათი პოტენციური ლიკვიდურობა და მომგებიანობა. ფასიანი ქაღალდები თავისთავად ღირებულებას და გედმეტ ღირებულებას არ ქმნიან, მაგრამ ისინი მათ მფლობელებს აძლევს უფლებას მიიღოს სხვისი შრომის გარკვეული ნაწილი სარგებლის ან დივიდენდის სახით, რომელიც საფინანსო ბაზარზე ყალიბდება.

საფინანსო ანუ ფულადი ბაზარი შეიცავს მრავალი სხვადასხვა არხებისაგან, რომლითაც ფულადი სახსრები მიემართება ღანაზოგია მფლობელებიდან მსესხებლისაკენ. ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში ახლად იღგამს ფეხს და ალბათ გარკვეული დრო დასჭირდება, სანამ იგი მის კლასიკურ ფორმას მიუახლოვდება. იგივე შეიძლება ითქვას ფასიანი ქაღალდების ეფექტიანობის ანალიზის მეთოდიკაზეც. როგორც წესი, ყველა ქვეყნის ეკონომიკისათვის, რომლებიც საბაზრო ურთიერთობების პრინციპებზე მუშაობენ, აუცილებელია მისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური ინსტიტუტების არსებობა.

საქართველოს პარლამენტიც ამ კუთხით ქმედით ღონისძიებებს ახორციელებს. თავის მხრივ, ქართველი მეცნიერ-ეკონომისტებიც ამ კუთხით ამუშავებენ თეორიულ საკითხებს, მაგრამ გასაკეთებელი ძალიან ბევრია.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო წესებით აღიარებული პრინციპების მიხედვით დამუშავებულია სტანდარტი „ზოგიერთი ფასიანი ქაღალდების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ". ანალიტიკოსი ამ დოკუმენტის ძირითად პრინციპებს კარგად უნდა იცნობდეს და ხელმძღვანელობდეს ფასიანი ქაღალდების ანალიზის პროცესში, რათა ობიექტურად შეაფასოს მიმდინარე აქტივებში ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულება. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით გათვალისწინებულია „ფასიანი ქაღალდების მინიმალური შეფასების პრინციპის" გამოყენება. ფასიანი ქაღალდების მინიმალური შეფასების პრინციპით გამოელენილი ფასების ცვლილება აღრიცხული უნდა იქნეს წმინდა შემოსავლის განსაზღვრულ დონემდე. ეს შეიძლება გაკეთდეს ფასშესწორების საშუალებით, რომელიც ამასთანავე წარმოადგენს პორტფელის დანაკარგებს. მინიმალური შეფასების პრინციპი უფრო მეტად ემყარება საბაზრო ფასიანი ქაღალდების პორტფელის ერთობლიობის ჯამს, ვიდრე ცალკეული ფასიანი ქაღალდების ღირებულებას. კომპანიებს, სადაც გამოიყენება საბაზრო ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის სპეციალური მეთოდი, შეუძლიათ არ შეცვალონ „მოგება-ზარალის" ანგარიშგების შედგენის წესი, ხოლო იმ კომპანიებმა, რომლებიც ფასიან ქაღალდებს აღრიცხავენ ნაყიდობის ღირებულებით, აღრიცხვა უნდა აწარმოონ მინიმალური შეფასების პრინციპით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაიშვება მათი აღრიცხვა საბაზრო ღირებულებით.

თუ საშუალებათა კლასიფიკაციაში ფასიანმა ქაღალდებმა შეცვალეს ადგილი (მიმდინარე აქტივებიდან გადავიდნენ არამიმდინარეში, ან პირიქით), მაშინ ისინი გადაყვანილნი უნდა იქნენ შესაბამის ჯგუფში, იმ მომენტში არსებული მინიმალური ღირებულებით. თუ აღმოჩნდა, რომ

მიმღინარე საბაზრო ფასი ნაყიდობის ფასზე ნაკლებია, მაშინ სხვაობა უნდა მიეკუთვნოს „მოგება-ზარალის“ ანგარიშს, როგორც სარეალიზაციო ზარალი.

საბაზრო ფასიანი ქაღალდების საყოველთაოდ მიღებული შეფასების მეთოდიდან გამონაკლისს წარმოადგენს მათი შეფასება საფონდო ბირჟის ბროკერებთან. აქ მიღებულია საბაზრო ფასიანი ქაღალდების ჩათვლით შეფასება საბაზრო კურსით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემოთ აღნიშნული დოკუმენტით საბაზრო ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის წესები კარგადაა დამუშავებული, როგორც ამ სფეროს სპეციალისტები აღნიშნავენ, ჯერ კიდევ დარჩენილია პრობლემები, რომლებიც უშუალოდ ანალიტიკოსების გადასაწყვეტია. ეს კი მათ ავალებთ კარგად ერკვეოდნენ ფასიანი ქაღალდების ღირებულების ყველა ნიუანსში.

უნდა აღინიშნოს, რომ სიტუაციის შესაბამისად საბაზრო ფასიანი ქაღალდების შეფასების კონცეფცია ანალოგიურია დებიტორული დავალიანების შეფასებისა და საწინააღმდეგოა მარაგების შეფასების (როდესაც არ დაიშვება პირველადი ღირებულების გაღიდება და სხვადასხვა მიწერები იმაზე, რაც ანგარიშგებაშია დაფიქსირებული) კონცეფციისა. ასევე, თანახმად სიტუაციისა, დასაშვებია მოგების პროგნოზირება, თუ ეს არ იქნება პირველად ღირებულებაზე ნაკლები.

ინვესტიციების აღრიცხვის პრინციპების მცოდნე ანალიტიკოსმა უნდა დაუთმოს განსაკუთრებული ყურადღება მათ შეფასებას. ერთი მხრივ, ისინი შეიძლება ბალანსში არ იყვნენ შეფასებულნი სრულად, თანახმად იმ წესისა, რომელიც კრძალავს მათი ღირებულების აწევას საბაზრომდე, იმის დამოუკიდებლად, რამდენად მისაღები და დასაბუთებულია ასეთი ღირებულება. მეორე მხრივ, ანალიტიკოსმა უნდა აღვენოს თვალი საბაზრო ღირებულების შემცირებას, რომელიც არაა მკვეთრად გამოხატული სტანდარტების გამო საფინანსო ანგარიშგებაში.

§ 4. დებიტორული დავალიანება და დაუმთავრებელი წარმოება

„დებიტორი“ ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს ამა თუ იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის (ე. ი. კრედიტორის) ვალი, მოვალე. ბასს-ის მიხედვით, დებიტორული დავალიანება არის ფორმის თანხები, რომელიც მართებს სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს (გაყიდული საქონლის ან მომსახურებისათი-

ვის). დებიტორულ დავალიანებად ითვლება ასევე პროცენტები, საარენდო გადასახადები და სხვა სახის დარიცხული თანხები. მისაღები ვექსილები წარმოადგენენ თანხის მიღების ფორმალურ უფლებას, რაც მას დებიტორულ დავალიანებასთან შედარებით აღვილად ინკასირებას არ ხდის. მისაღები ვექსილები დებიტორული დავალიანებისაგან განსხვავებით თავისუფლად მიმოიქცევა და სესხის მიღებისათვის მიიღება საწინდრად, რაც მას უფრო ლიკვიდურს ხდის.

სტანდარტების მიხედვით მიმდინარე აქტივებში შემავალი დებიტორული დავალიანება განაღდებული უნდა იქნას ერთი წლის ან ნორმალური საწარმოო-კომერციული ციკლის განმავლობაში. ეს ციკლი მოიცავს დროის მთელ მონაკვეთს, დაწყებული შესყიდვებში დაბანდებული ფულადი სახსრებიდან, დამთავრებული პროდუქციისა და მომსახურებისათვის წარმოქმნილი დებიტორული დავალიანების ამოღებით.

კატეგორიის დეტალიზაცია აუცილებელია იმისათვის, რომ ანალიტიკოსი კარგად გაერკვეს დებიტორული დავალიანების განაღდების პრინციპებში, ფინანსურ-სამართლებრივ საკითხებში, დებიტორული დავალიანების ამოღების გზებსა და პრობლემებში.

როგორც პროფესორი ლ. ბერსტაინი აღნიშნავს, ანალიტიკოსისათვის დებიტორული დავალიანების შესწავლის პროცესში საყურადღებოა: 1. აქტივების რეალიზაციის ფასი და 2. მოგებაზე ზეგავლენა. რამდენადაც ეს ასპექტები ურთიერთდამოკიდებულია, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყველა ეალი არ ნაზღაურდება, ზოგი კი მხოლოდ ნაწილობრივ იფარება. დებიტორული დავალიანების ინკასირება მთლიანობაში უმჯობესია შეფასებულ იქნეს წინა წლების გამოცდილების საფუძველზე მიმდინარე პირობების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში რისკი მდგომარეობს იმაში, რომ წინა წლების გამოცდილებამ შეიძლება არაადექვატურად დაახასიათოს მომავალი ზარალი და ყველა მიმდინარე პირობა შეიძლება ვერ იქნეს გათვალისწინებული. შედეგად შეიძლება მიღებული იქნეს მნიშვნელოვანი ზარალი, რომელიც იმოქმედებს მიმდინარე აქტივების მდგომარეობასა და საანგარიშგებო პერიოდის მოგებაზე.

დებიტორული დავალიანების შესახებ ინფორმაცია ბალანსში დაჯგუფებული უნდა იყოს საიმედობის ხარისხის მიხედვით.

იმისათვის, რომ ანალიტიკოსმა პასუხი გასცეს მის წინაშე დასმულ არსებით საკითხებს, ბალანსში ასახული დებიტორული დავალიანების ინფორმაცია და მასთან დაკავშირებული დამატებითი ცნობები, ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, საკმარისი არ არის. გარდა ამისა, ვერ განესაზ-

ღერაცთ, წარმოადგენს თუ არა დებიტორული დაეალიანება ნამღვილს და ამოღებას დაქვემდებარებულს, ამიტომ ამ საკითხებზე პასუხის გაცემისათვის უნდა გამოვიყენოთ ინფორმაციის დამატებითი წყაროები და, რაც მთავარია, ეიცოღეთ საკელევი ობიექტის თაეისებურებანი, კონტრაქტების პირობები და სხვა. მაგალითად, ზოგიერთ დარგში, როგორიცაა კვების მრეწველობა, მყიდველს უფლება აქეს უკან დააბრუნოს საქონელი, რაზედაც უნდა გაკეთდეს შესწორება.

ანალიტიკოსმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მყიდეელსა და გამყიდეელს შორის დალებული ე. წ. „დაუმაგრებელი" კონტრაქტები, რომლებიც მიისწრაფეიან გაყიდონ თავიანთი საქონელი, ძლიერ ამცირებს დებიტორული დავალიანების განაღდების შესაძლებლობას, რადგანაც იგი არ ითვალისწინებს ბაზარზე საქონლის მოთხოვნა-მიწოდების სწრაფ ცვალებადობას.

უმეტეს შემთხვეევაში გაუნაღდებელი დებიტორული დავალიანების მოცულობა გამოითეელება წინა გამოცდილებიდან გამომდინარე, თუმცა საჭიროა გავითვალისწინოთ მიმდინარე პირობები და დარგის მიმართულებები. სინამდვილეში ბუღალტერი უფრო დიდ ყურადღებას უთმობს პირეელს, ვიდრე მეორეს. საქმე ისაა, რომ ბუღალტრისათვის ხელსაყრელი და პრაქტიკულია საეჭვო ვალების რეზერვის განსაზღერისას დაეყრდნოს წინა წლის გამოცდილებას, მაგრამ აუდიტორმა ან ანალიტიკოსმა თვალყური უნდა ადევნოს პირობების ცელილებებსა და მოსალოდნელ ტენდენციებს.

ანალიტიკოსი უნდა იყოს საღად მოაზროვნე და ერკეეოდეს დარგში არსებულ სიტუაციაში, რომ შეაფასოს რეზერვის შესაბამისი სიდიდე. სამწუხაროდ, საეჭვო ვალების რისკის საერთო სიდიდის შეფასებისათვის საჭირო ინფორმაცია ყოველთვის როდი მოიძებნება გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. იგი შეიძლება მოეიპოეოთ სხვა წყაროებიდან. ასეთი ინფორმაციის მაგალითებია: როგორია მომხმარებელთა კონცენტრაცია? როგორია ძირითადი მომხმარებლების წილი მთელ დებიტორულ დავალიანებაში? იქონიებს თუ არა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ზეგაელენას რომელიმე დებიტორის მიერ ვალის გადაუხდელობა? როგორია ვალის გადახდის ვადები? და სხეა...

დროის მოცემული მომენტისათვის კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის და არსებული ვალდებულებების შესრულებათა შესაძლებლობების შეფასებისას, რაც გამოიხატება ისეთ მაჩეენებელში, როგორიცაა დაფარვის კოეფიციენტი და სხვა, ანალიტიკოსმა სრულად უნდა გამოავლინოს აღრიცხვის ისეთი პირობების მნიშვნელობა, რომლებიც დაკავშირებულია დებიტორული დავალიანების კლასიფიკაციასთან, როგორც მიმდინარე აქტიეი.

დებიტორული დავალიანების მდგომარეობის შეფასებისათვის გამოიყენებენ რამდენიმე მაჩვენებელს. მათგან აღსანიშნავია დებიტორების ბრუნვადობის კოეფიციენტი (დბკ). დებიტორების ბრუნვადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ როგორი სიხშირით იღებს კომპანია ანაზღაურებას კრედიტით გაყიდულ პროდუქციის რეალიზაციიდან. ფორმულის სახით ასე გამოიხატება:

$$\text{დბკ} = \frac{\text{წლიური ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{საშუალო წლიური დებიტორული დავალიანება}}$$

ბიზნესის სამყაროში კეთილსასურველ კოეფიციენტად ითვლება „6". ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიის კრედიტორული დავალიანება ნაზღაურდება წელიწადში 6-ჯერ, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, კრედიტორული დავალიანება ნაზღაურდება საშუალოდ მისი წარმოშობიდან 60 დღის შემდეგ (360/6).

დებიტორული დავალიანების ანალიზი მოითხოვს მეტ ოპერატიულობას, საჭიროა რაც შეიძლება დროის მოკლე პერიოდების ინფორმაციის განხილვა და დროულად სათანადო ღონისძიებების გატარება.

დაუმთავრებელი წარმოება. მზა პროდუქციის საპირისპიროდ, დაუმთავრებელი პროდუქცია ეწოლება იმ ნაკეთობათა წარმოებაზე გაწეულ დანახარჯების ჯამს, რომელთაც მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში ვერ მოასწრეს გადამუშავების ყველა ტექნოლოგიური ციკლის გაელა და მათი წარმოების პროცესი მზა პროდუქციის მიღებამდე გაგრძელდება მომავალ საანგარიშგებო წელს. დაუმთავრებელი პროდუქცია გეხვლება თითქმის ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და, აქედან გამომდინარე, იგი მიმდინარე აქტივების ჯგუფშია გაერთიანებული. დაუმთავრებელი წარმოების სწორად შეფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიმდინარე აქტივების ღირებულების სწორად დადგენისათვის. ანალიტიკოსი უნდა იცნობდეს სტანდარტებით გათვალისწინებულ იმ მეთოდებს, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ხორციელდებოდეს დაუმთავრებელი წარმოების მოცულობის განსაზღვრა დარგებისა და წარმოების ხასიათის მიხედვით. საერთოდ აღიარებულია, რომ დაუმთავრებელი წარმოების ნაშთის რეალურად შესაფასებლად მიმართავენ მის ინვენტარიზაციას. სტანდარტების მიხედვით დაუმთავრებელი წარმოების ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს ორგანიზებულად და კომპლექსურად. დადგენილი უნდა იქნას, თუ რომელ ეტაპზეა შეჩერებული წარმოების პროცესი და რა რაოდენობის დანახარჯებია გაწეული. ამის შემდეგ შეფასების პროცესია, რომელიც ყველაზე რთული

და პასუხსაგებია. ანალიტიკოსმა უნდა დაადგინოს, რამდენად შეესაბამება ამ სიდიდის განსაზღვრა სტანდარტებით დადგენილ ნორმებს.

სხვა ანალიზური პრობლემები. ანალიტიკოსი როდესაც ფირმის ხელმძღვანელობის მუშაობას აფასებს, შეუძლია დასვას დამატებითი კითხვები „ლიფოთი" გამოთვლილი მარაგების შესახებ:

1. „ლიფოთი" როგორაა მარაგები გამოთვლილი – მუხლობრივ საფუძველზე თუ ჯგუფების გამოყენებით (რომელშიც სხვადასხვა მუხლებია გაერთიანებული)?

2. ექვემდებარება თუ არა შემოსავალი მარაგების ჯგუფების ცვლილების გავლენას და თუ ექვემდებარება, როგორ?

ამრიგად, როგორც საწარმოო მარაგების შემადგენლობაში შემავალი საშუალებების სახეების ეკონომიკური შინაარსის განხილვიდან ნათლად გამოჩნდა, წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისა და ფინანსური სტაბილურობისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მარაგების ნორმირებისა და შეფასების მოწესრიგებას.

§ 5. გრძელვადიანი აქტივების ანალიზი

ბალანსის აქტივის II განაყოფი „გრძელვადიანი აქტივები" აერთიანებს: ა) ძირითადი საშუალებების ჯგუფს, ბ) არამატერიალური აქტივების ჯგუფს და გ) გრძელვადიან ფინანსურ დაბანდებათა ჯგუფს.

ბალანსის ახალ ფორმაში ძირითადი საშუალებები ასახულია თავდაპირველი ღირებულებით (ფიქსირებული აქტივების ისტორიული ღირებულება); მოცემულია დარიცხული ამორტიზაცია და განსაზღვრულია ძირითადი საშუალებების ღირებულება ცვეთის გამოკლებით.

ბასს-ის მიხედვით, ძირითადი საშუალებების აღრიცხვის მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს აქტივების აღიარება-ასახვის დროულობა, მათი საბალანსო ღირებულებისა და ცვეთის ანარიცხების განსაზღვრის, ასევე ამ აქტივების სალიკვიდაციო ღირებულების განსაზღვრისა და აღრიცხვის პრინციპები. შესაბამისად, ანალიზის ამოცანას შეადგენს დაადგინოს რამდენად პასუხობს ძირითადი ფონდების გამოყენების მდგომარეობა მათ პოტენციურ შესაძლებლობებს, ე. ი. რამდენად ამართლებს „ეკონომიკური სარგებლის" მოტანის პრინციპს. კრედიტორების მიზანი განსხვავებულია, მათ აინტერესებთ დადგენა მათი რეალური ღირებულებისა და ქმედითუნარიანობისა.

როგორც წესი, ძირითადი საშუალებები საწარმოს მთლიანი აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილია, ამიტომ მათ ეფექტიან გამოყენებას საწარმოს ფი-

ნასური მდგომარეობის დახასიათების თვალსაზრისით ღიღი მნიშვნელობა აქვს. ძირითადი საშუალებების გამოყენების განსაზღვრელი მაჩვენებლების ანალიზის მეთოდიკა გაღმოცემულია შრომის მეორე ნაწილში.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ფიქსირებულ აქტივებს შეიძლება ჰქონდეთ მინიმალური საბალანსო ღირებულება (ღღეს იგი 150 ლარს შეადგენს). ბასს-16 (ძირითადი საშუალებები) ამგვარი ობიექტი დაუშვებელია.

ანალიტიკოსისათვის საყურადღებოა ბასს-16-ით გათვალისწინებული პირობა – აქტივის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დანახარჯების შესახებ:

„დანახარჯები, რომლებიც გაწეული იქნება ძირითადი საშუალებების უკვე აქტივებად აღიარების შემდეგ, მხოლოდ მაშინ დაემატება აქტივების საბალანსო ღირებულებას, თუ ამ დანახარჯების შედეგად საწარმო მიიღებს მეტ ეკონომიკურ სარგებელს, ვიდრე არსებული აქტივების ამოსავალი ნორმატიული მწარმოებლურობის პირობებში. აქტივების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აღიარებული უნდა იქნას ხარჯებად მათი გაწევისთანავე".

გრძელვადიანი ინვესტიციები. ბასს 25-ის მიხედვით, ინვესტიცია არის აქტივი, რომელსაც ფლობს საწარმო საკუთარი სიმდიდრის გასაზრდელად შემოსავლების (პროცენტების, როიალტების, დივიდენდებისა და საიჯარო ქირის) განაწილების საშუალებით.

მიმდინარე (მოკლევადიანი) ინვესტიცია ისეთი ტიპის ინვესტიციაა, რომელიც თავისი ბუნებით ადვილად რეალიზებადია და მისი შენარჩუნება არ არის გათვალისწინებული ერთ წელზე მეტი ხნით.

გრძელვადიანი ინვესტიცია არის ყველა სხვა სახის ინვესტიცია, რომელიც არ მიეკუთვნება მიმდინარე ინვესტიციას.

ბუღალტრული აღრიცხვის, ახალი ანგარიშთა გეგმის მიხედვით „გრძელვადიანი ინვესტიციების" ალსარიცხავად ამავე სახელწოდების სინთეზური ანგარიშია გათვალისწინებული, რომელსაც ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

1. გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში;
2. გრძელვადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში;
3. მონაწილეობა სხვა საბოგადოებაში;
4. სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები.

წარმოების მართვის ეკონომიკური მეთოდები მოითხოვს, რომ პერიოდულად შეფასდეს ინვესტიციების ეფექტიანობა, რომლის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მაჩვენებელს წარმოადგენს „მოგება ინვესტიციაზე", როგორც აქციონერული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი:

$$\text{მოგება ინვესტიციაზე} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივების საერთო თანხა}} \qquad \text{(I)}$$

წარსულში მენეჯერები უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ მოგების მილების საკითხს, რის გამოც იგნორირებული იყო აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი. ჭარბი ფულადი სამუალებების არსებობა კომპანიის გაყინულ აქტივებში იწვევდა მოგების გაბრდის შეფერხებას, როგორც მეტისმეტად გადაჭარბებული ხარჯები. „დიუპონ კორპორეიშენ"[1] იყო პირველი სოლიდური კომპანია, რომელმაც შეიცნო ეს პროცესი და ეფექტიანობის შეფასებისათვის მოითხოვა აქტივების ბრუნვადობის გაანგარიშებაც, ამისათვის I კოეფიციენტი წარმოადგინა შემდეგი სახით:

$$\text{მოგება ინვესტიციაზე} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივების საერთო თანხა}} = \qquad \text{(II)}$$

$$= \frac{\text{გაყიდვა}}{\text{აქტივების საერთო თანხა}} \times \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{გაყიდვა}} =$$

= მოგების კოეფიციენტი x აქტივების ბრუნვადობის საერთო თანხა

პირველი ფორმულის ინტერპრეტაცია საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ როგორც მომგებიანობის კოეფიციენტი, ისე აქტივების ბრუნვადობის მაჩვენებელი, რომელსაც მართლა დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიის საქმიანობის ოპტიმალურად მართვის შეფასებაში. II ფორმულა ცნობილია „დიუპონის ფორმულის" სახელწოდებით. დიუპონის ფორმულის უპირატესობა I ფორმულასთან შედარებით ისაა, რომ: 1. ცნობს ბრუნვადობის მნიშვნელობას მოგებისა და რენტაბელობის ბრდის საქმეში; 2. აღიარებს გაყიდვის მოცულობის მაჩვენებლის მნიშვნელობას; 3. კომპანიის სრულყოფის პროცესში გვიჩვენებს ურთიერთგაწონასწორების შესაძლებლობას მარჟასა და ბრუნვადობას შორის.

ანალიზის პროცესში ინვესტიციების ეფექტურად გამოყენების შესაფასებლად ოპტიმალური კოეფიციენტი არ არსებობს; არ არის ისეთი კოეფიციენტი, რომელიც თანაბრად გამოადგება ყველა საწარმოს ან ფირმას. ამიტომ საჭიროა ანალიტიკოსი შეშოქმელებითად მიუდგეს ამ საკითხს, რა შესთავაზოს მენეჯერს: ა) გაზარდოს მარჟა? ბ) გაზარდოს ბრუნვადობა? თუ გ) გაზარდოს ერთიც და მეორეც?

---

1 Шим Джей К... Финансовый менеджмент (перевод с английского), Москва, 1996 г., с. 125-130.

მარჟის გაზრდა პოპულარული გზაა კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნას ხარჯების შემცირებით, გასაყიდი ფასების აწევით ან გაყიდვის მოცულობის გაზრდით. ბრუნვაღობის მაჩვენებლის გაზრდა, თავის მხრივ, შეიძლება მიღწეული იქნეს გაყიდვების გაზრდით.

ანალიზის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ოპტიმალური ვარიანტები.

„არამატერიალური აქტივების" ჯგუფში აისახება საწარმოს მიერ არამატერიალური აქტივების შეძენაზე გაწეული ხარჯები. ანალიზის მიზანია დეტალურად შეამოწმოს ამ ჯგუფში შემავალი ყველა აქტივის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით არამატერიალური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: 1. ლიცენზიები, 2. კონცესიები, 3. პატენტები, 4. გუდვილი, 5. სხვა არამატერიალური აქტივები.

ბალანსის აქტივის თითოეულ მუხლს თავისი დაფინანსების წყარო პასივში აქვს. გრძელვადიანი აქტივების დაფინანსების ძირითად წყაროს საკუთარი კაპიტალი და გრძელვადიანი ნასესხი სახსრები წარმოადგენს. ანალიზის პროცესში ეს კავშირები უნდა გაიშიფროს და გაკეთდეს სათანადო დასკვნები მათი სტრუქტურისა და დინამიკის შესახებ.

თავი XVI.

მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებების ანალიზის საკითხები

§ 1. „ვალდებულებების" ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები

ბასს-ის განმარტებით, ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიშვა წარსულში სამეურნეო მოვლენების შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს საკუთრებაში არსებული რესურსების გასვლას.

საწარმოს ვალდებულებები დროის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ა) მიმდინარე (ერთ წლამდე) და ბ) გრძელვადიანი (ერთ წელზე მეტი ხნით).

მიმდინარე ვალდებულებები ბალანსში ოთხ ჯგუფადაა წარმოდგენი-

ლი: 1. მოკლევადიანი ვალდებულებები; 2. მოკლევადიანი სესხები; 3. საგადასახადო ვალდებულებები; 4. დარიცხული ვალდებულებები.

გრძელვადიანი ვალდებულებებიც ოთხ ჯგუფად იყოფა: 1. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები; 2. გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები; 3. ანარიცხები და 4. გადავადებული შემოსავალი.

როგორც ვალდებულებების კლასიფიკაციის სქემიდან ჩანს, ისინი მკვეთრად განსხვავებული ბუნების მატარებლები არიან და მათი ანალიზური შესწავლა მოითხოვს თითოეული ვალდებულების არსის გახსნას და მის შესაბამისად კვლევის წარმართვას. ქვეჯგუფების მიხედვით ანალიზურ ჭრილში ანალიტიკოსებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ „ვალდებულებები" მიეკუთვნება ყველაზე რთულად სამართავ კატეგორიათა რიცხვს. სწორედ ეს განაპირობებს იმის აუცილებლობას, რომ ვალდებულებითი სამართალი სამოქალაქო სამართლის ყველაზე დიდი ნაწილია. ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ვალდებულება ისეთი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობაა, რომლის ძალითაც ერთი პირი (მოვალე) ვალდებულია შეასრულოს მეორე პირის (კრედიტორის) სასარგებლოდ განსაზღვრული მოქმედება ან თავი შეიკავოს განსაზღვრული მოქმედებისაგან, ხოლო კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს მოვალისაგან ვალდებულების შესრულება.

ვალდებულების ელემენტებს წარმოადგენს სუბიექტი, შინაარსი და ობიექტი. ვალდებულების სუბიექტები მასში მონაწილე პირებია, რომლებიც იწოდებიან კრედიტორად და მოვალედ.

ვალდებულების შინაარსს შეადგენს მისი მხარეების უფლებები და ვალდებულებები.

ვალდებულების ობიექტს წარმოადგენს ის, რაზედაც მიმართულია კრედიტორის უფლება და მისი შესაბამისი მოვალის ვალდებულება.

ეს ფაქტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეკონომისტები კარგად უნდა ერკვეოდნენ სამოქალაქო და საფინანსო სამართლის ისეთ სპეციფიკურ სფეროებში, რომლებიც უშუალოდ წარმოების ფინანსებთანაა დაკავშირებული.

„კრედიტი" არის ფულადი სახსრების ან საქონლის ვალად გაცემა, ფიქსირებული პროცენტის საფასურად, განსაზღვრული ვადით. კრედიტორია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც გასცა საქონელი ან ფული სესხად. კრედიტორული დავალიანების ქვეშ იგულისხმება კონკრეტული სუბიექტის მიერ გამსესხებლისათვის გადაუხდელი ვალები. კრედიტი ძირითადად სასესხო კაპიტალის მოძრაობის ფორმაა, რომლის პროცესში

მყარდება გარკვეული ეკონომიკური ურთიერთობა კრედიტორსა და მოვალეს შორის. თითოეული მათგანის მიზანია „კრედიტის" საშუალებით თავისი მიზნების მიღწევა, რომელიც მიმართულია რაც შეიძლება მაღალი სარგებლის მოტანისაკენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კრედიტორული დავალიანების ანალიზის მიზანია პასუხი გასცეს მრავალ კითხვას, როგორც კრედიტორის, ისე მევალის პოზიციებიდან. რადგან კრედიტის გამცემნი, ძირითადად მაინც, დაინტერესებულნი არიან გაცემული სესხებისა და შესაბამისი სარგებლის დროულით დაბრუნებით, ანალიზის მიზანიც შესაბამისია – გამოავლინოს სესხების დაბრუნების და შესაბამისი სარგებლის დროული მიღების მიმდინარეობის მდგომარეობა და პერსპექტივები, და თუ რაიმე ხელშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდება, ოპერატიულად დასახოს ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად.

რაც შეეხება მოვალეს მხრიდან ანალიზის ამოცანებს, იგი დამოკიდებულია კრედიტის ფორმასა და აუცილებლობაზე. პრაქტიკიდან ცნობილია, რომ კრედიტის აღების აუცილებლობას საწარმოებში მრავალი მიზეზი განაპირობებს. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს: ა) ფირმის გაფართოება, რეკონსტრუქცია და ახალი ტექნოლოგიის დანერგვა, ე. ი. მსხვილი ინვესტირების საჭიროება; ბ) მიმდინარე აქტივების შეძენა, განსაკუთრებით სეზონური მარაგების შექმნისათვის, ხელფასების გაცემის აუცილებლობა და სხვა. კრედიტის აღების თითოეული პოზიცია თავისებურ კვლევას მოითხოვს, რომ გაიცეს პასუხი კითხვებზე – რა სარგებელი მოუტანა „კრედიტმა" საწარმოს? როგორი იყო მისი ეკონომიკური ეფექტიანობა? და საერთოდ საჭირო იყო თუ არა კრედიტის აღება?

იმისათვის, რომ ანალიტიკოსმა სათანადო პასუხები გასცეს აღნიშნულ კითხვებს, იგი კარგად უნდა ერკვეოდეს კრედიტის ფუნქციებში, დაკრედიტების პრინციპებსა და კრედიტის ფორმებში.

დაბრუნების ვადების მიხედვით განასხვავებენ მოკლევადიან (ერთ წლამდე ვადით) და გრძელვადიან კრედიტს.

გრძელვადიანი კრედიტი უმთავრესად ემსახურება ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოებას, ხოლო მოკლევადიანი – საბრუნავი კაპიტალის მოძრაობას. კრედიტი ორი სახისაა: ა) კომერციული კრედიტი და ბ) საბანკო კრედიტი.

კომერციული კრედიტი გამყიდველების მიერ მყიდველებისათვის საქონლო ფორმით მიცემული კრედიტია, ანუ ეს იგივეა, რაც გაყიდულ საქონელზე გადასახადის განვადება. კომერციული კრედიტი აჩქარებს კაპიტალის ბრუნვას, მაგრამ ახასიათებს გარკვეული შეზღუდულობა, რაც

გან მეწარმეს კრედიტის მიღება შეუძლია არა ნებისმიერი საწარმოდან, არამედ მხოლოდ იმისაგან, ვისი პროდუქციაც სჭირდება.

ვაბანკულ კრედიტი ბანკების მიერ გაიცემა ფულადი ფორმით მოთხოვნამდე და ვალიანი.

ფუნქციონირების სფეროების მიხედვით კრედიტები შეიძლება იყოს ორი სახის: კრედიტები საბრუნავ ფონდებში და კრედიტები ძირითად ფონდებში.

კრედიტის სხვადასხვა ფორმები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დაკრედიტების ობიექტებით, სარგებლის სიდიდით, მონაწილეობა შემადგენლობით და გამოყენების სფეროებით. აქედან გამომდინარე, ანალიტიკოსი საფუძვლიანად უნდა ერკვეოდეს საბანკო სისტემაში, დაკრედიტების პრინციპებში, რათა შეძლოს აღებული კრედიტების მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის შეფასება.

მმართველობითი აღრიცხვის პრინციპები მოითხოვს, რომ ბანკიდან მიღებული კრედიტები აღირიცხებოდეს ანალიზურად. ამ ინფორმაციის საფუძველზე უნდა ხდებოდეს ანალიზის ჩატარებაც.

ზოგადად საკრედიტო ურთიერთობის ანალიზის ამოცანებია:

1. დაკრედიტების და სესხის გაცემის ძირითადი პრინციპების დაცვის შემოწმება;

2. კრედიტის და სესხის უზრუნველყოფის შემოწმება;

3. დაკრედიტების და სესხის აღებს წარმოების ფინანსურ მდგომარეობაზე გაელენის დადგენა.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები დიდი მონდომებით ამუშავებენ დაკრედიტების სფეროსთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. მაგალითად, აშშ-ში შექმნილია საბანკო კრედიტის სპეციალისტების ეროვნული ასოციაცია (RMA), რომელიც 15 ათას წევრზე მეტს აერთიანებს. ყოველ წელს ორგანიზაცია თავის წევრებისაგან მოითხოვს შევსებულ ცხრილებს იმ კომპანიების აქტივების სიდიდისა და ბრუნვის შესახებ, რომელთაც ბანკები აძლევენ სესხს. შემდეგ ასოციაცია ანგარიშობს ყოველი კომპანიის შეფარდებით მაჩვენებლებს და კოეფიციენტებს (მათი რიცხვი 100 ათასს აღემატება) და გამოყავს 6 ჯგუფის საშუალო მაჩვენებლები, აქტივებისა და რეალიზაციის მოცულობასთან დამოკიდებულებაში. ასეთი დაჯგუფება კეთდება დარგობრივი ნიშნის მიხედვით.

მიუხედავად ასეთი დიდი ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული გამოთვლებისა, RMA გვაფრთხილებს, რომ „ანალიზი" უნდა შეინარჩუნოთ როგორც საერთო ორიენტირი და არა როგორც აბსოლუტური დარგობრივი ნორმა; გვსურჩევს, რომ ეს მაჩვენებლები გამოვიყენოთ მხოლოდ როგორც საერთო ორიენტირი ანალიზის სხვა მეთოდებზე დამატებით.

ასოციაციის ვრცელი ანგარიშის 2/3 შეღგება მრავალგვარი კოეფიციენტებისაგან. ამ კოეფიციენტებს აჯგუფებენ დარგობრივი ნიშნის მიხედვით სამ ნაწილად: ა) საუკეთესო ნაწილის მედიანა; ბ) ყველაზე ცუდი ნაწილის მედიანა და გ) საშუალო ნაწილის მედიანა. ამ კოეფიციენტების მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საფუძველზე RMA ღებულობს საორიენტაციო მასალას იმის შესახებ, თუ როგორ განლაგდებიან ფირმები საკრედიტო რისკის მიხედვით.

ამერიკელი მეცნიერი ერიკ ნ. კომპტონი[1] განიხილავს რა „კრედიტის ანალიზს და რისკის შეფასების“ საკითხს, წერს: „... სხვადასხვა დროს ადამიანები ეძებდნენ მაგიურ სისტემას, რომელიც ყოველთვის ავტომატურად ჩამოაცილებდა რისკს სესხების პროცენტს და მოგვცემდა სესხის გარანტირებულ შედეგს. მაგრამ შეუძლებელია ამ სახელმძღვანელო პრინციპების, ფორმულების გამოგონება, ელდორადოს უტოპიის ან წმინდა გრაალის მსგავსად, იმ მცირე სესხების გამოკლებით, რომლებიც მთლიანად დაცულია უეჭველი კრედიტუნარიანობის მქონე მიმდინარე (ლიკვიდური) აქტივებით. რადგან ბანკს არ შეუძლია მთლიანად მოსპოს რისკის ფაქტორი, უნდა ეცადოს, შეამციროს მაინც იგი, სადაც შესაძლებელია“. ბუნებრივია, კრედიტორს ყოველთვის უნდა აინტერესებდეს მსესხებლის ოპერაციების მდგომარეობა. ამ შემთხვევაშიც შეიძლება მოხდეს კურიოზი სრულიად გაუთვალისწინებელი მოვლენების გამო. ფირმა, რომელსაც ჰქონდა მყარი წარმატება და შესანიშნავი საკრედიტო საფუძველი, შეიძლება მოულოდნელი მსხვერპლი გახდეს მიწისძერის ან ძლიერი გრიგალის, რომელიც ანგრევს მის ფაბრიკას. კრედიტორიც შესაბამისად კარგავს თავის გაცემულ სესხს და პროცენტს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გამოსავალი მხოლოდ ერთია – სესხების პროცესი უნდა მოიცავდეს რისკის ანალიზს, რომელიც არსებითად სხვა არაფერია, თუ არა სისტემატური ცდა უპასუხოს კითხვას – „რა შეიძლება არ გამოვიდეს?“ ანალიზმა უნდა გაარკვიოს შესაძლებლობები. საშიშროება იმაში მდგომარეობს, – აღნიშნავს ე. კომპტონი, – რომ სესხის მოხელე ან კრედიტის ანალიტიკოსები, რომელნიც ცდილობენ აღმოაჩინონ ყოველი შესაძლებელი ხელისშემშლელი შემთხვევა, იმდენ პასუხს იპოვნიან ამ კითხვაზე, რომ ამას არც ერთი გამსესხებელი არ მოიწონებს. ანალიზმა უნდა გაარკვიოს შესაძლებლობები. რისკის ანალიზისადმი ამგვარი მიდგომა განსხვავდება წმინდა ტრადიციული ანალიზისაგან.

კეთილგონიერი ბანკირი უნდა ცდილობდეს რისკის გაცნობიერებას სეს-

---

1 ერიკ ნ. კომპტონი, კომერციული საბანკო სისტემის ახალი ჰორიზონტები, თბ., 1993, გვ. 174-175.

ხის სიტუაციაში და მის შემცირებას ისეთი მექანიზმებით, როგორიცაა პირადი გარანტიები, რეალური ან დაცვის ვალდებულებები, ისე რომ კეთილგონიერმა მენეჯერმა უნდა დაიცვას საწარმო, მისი კრედიტორები და მისი მეპაიეები საშიშროებისაგან.

კრედიტების ეფექტიანად გამოყენების განმაპირობებელ მაჩვენებლად გამოიყენება „კრედიტის ბრუნვადობა", რომელიც გაიანგარიშება კრედიტის საშუალო ქრონოლოგიური სიდიდის შეფარდებით სასესხო ანგარიშების საკრედიტო ბრუნვასთან.

§ 2. მიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია და ანალიზური პროცედურები

მიმდინარე ვალდებულებების პირველი ჯგუფია მოკლევადიანი ვალდებულებები, რომელიც აერთიანებს შემდეგი სახის ვალდებულებებს:

– მოწოლებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები, გადასახდელი ხელფასები, მიღებული ავანსები, როიალტი, საკომისიო გადასახდელები, ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე, სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები. აღნიშნული ვალდებულებები აღირიცხება ანალოგიურ ანგარიშებზე და ანალიზისათვის საინფორმაციო მასალა პირველადი აღრიცხვიდან უნდა ავიღოთ.

„მოკლევადიანი სესხები" აერთიანებს საწარმოს იმ სასესხო ვალდებულებებს, რომელთა გადახდა უნდა მოხდეს სესხის მიღებიდან ერთ წლამდე ვადაში. ამ ჯგუფში შეიძლება აისახოს გრძელვადიანი სესხის ის ნაწილი, რომელიც უნდა დაიფაროს ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში.

ბუღალტერიაში „მოკლევადიანი სესხების" სინთეზურ ანგარიშს ეხსნება ქვეანგარიშები: 1. მოკლევადიანი სესხები; 2. სესხები პარტნიორებისაგან; 3. გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი. ანალიზის პროცესში დოკუმენტურად უნდა იქნეს შემოწმებული თითოეული სესხის წარმოქმნის პირობები და თითოეული მათგანის ეკონომიკური შედეგი.

სპეციფიკურობით გამოირჩევა ვალდებულებების მესამე ჯგუფი – „საგადასახადო ვალდებულებები". გადასახადების მრავალფეროვნება და სიმრავლე, დასაბეგრი ობიექტების განსაზღვრის სირთულე, საგადასახადო კოდექსში გაუთავებელი შესწორებების შეტანა დიდ თავსატეხს უხდის ანალიტიკოსს ამ სფეროს გამოკვლევის და სათანადო დასკვნების გაკეთების პროცესში. საქმეს ისიც ართულებს, რომ გადასახადები კავშირშია სხვა

მაჩვენებლებთან. მაგალითად, იმისათვის, რომ შემოწმებული იქნას მოგების გადასახადის ვალდებულების პოზიცია, იგი ავტომატურად მოითხოვს შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციის შესწავლას (!) და ა. შ.

„დარიცხული ვალდებულებების" ჯგუფში გაერთიანებულია: 1. გადასახდელი პროცენტები; 2. გადასახდელი დივიდენდები; 3. ვალდებულება საგარანტიო მომსახურებით; 4. სხვა დარიცხული ვალდებულებები.

ანალიზის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ეს ვალდებულებები შეიძლება დაკავშირებული იყოს ხარჯების ზრდასთან ან გაუნაწილებელი მოგების შემცირებასთან. ეს კი მოითხოვს დეტალებში გარკვევას და შესაბამისი ანალიზური დასკვნის გაკეთებას.

აქტივებისაგან განსხვავებით, რომელთა საბაზრო ღირებულება (სხვადასხვა ფაქტორების გამო) შეიძლება მერყეობდეს, ვალდებულებების ძირითადი ნაწილი დაფიქსირებულია და გადახდილი უნდა იყოს საწყისი ღირებულებით. თუ მხედველობაში არ მიიღებთ იშვიათ გამონაკლისებს, ზოგადად, ფინანსისტები აქტივებს თელიან ინსტრუმენტებად, რომელთა მეშვეობით მუშაობს წარმოება, ხოლო ვალდებულებებს და საკუთარ კაპიტალს ამ სახსრების წყაროდ, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება შეძენილი იქნეს ეს აქტივები.

ანალიტიკოსმა, პირველ რიგში, უნდა შეისწავლოს საწარმოს ვალდებულებების სტრუქტურული შემადგენლობა, შემდეგ უნდა შეაფასოს საწარმოს ვალდებულებები მათი დაკმაყოფილების თვალსაზრისით და განისაზღვროს დეტალურად – ვის ეკუთვნის ვალი, რატომ იყო იგი აღებული, როგორია დაბრუნების პირობები, არსებობს თუ არა გირაო (იპოთეკა) აქტივების სახით და არსებობს თუ არა რაიმე შემზღუდავი პირობები ვალის აღების შესახებ. მნიშვნელოვანია საპროცენტო გადასახადების პოზიცია. უნდა გაირკვეს, აღგილი ხომ არა აქეს ვადაგადაცილებულ დავალიანებებს და გადასახდელ საურავებს.

მიმდინარე ვალდებულებები სხვადასხვა სახისაა. იგი შეიძლება შეიცავდეს ბანკში გასანაღდებელ ვექსილებს, კომერციულ ქაღალდებს, გასანაღდებელ ანგარიშებს, დარიცხულ თანხებს და მიმდინარე წლის სამემოსაკლო გადასახადებს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სფერო უფრო ყურადღებაგასამახვილებელია, რადგანაც მოითხოვს სწრაფად ნაღდი ფულის აუცილებელ რაოდენობას და თუ არ არის ამის საშუალება, მაშინ აქტივების ნაღდ ფულად საკმაოდ სწრაფად გარდაქმნას, ვალების გასტუმრების პირობების მიხედვით.

პოტენციური მეეალის პოზიციიდან მიმდინარე ვალდებულებების დონე და განსაკუთრებით მათი შეფარდება საბრუნავ აქტივებთან მგრძნო-

ბიარე მომენტია, ვინაიდან მევალემ იცის, რომ ბანკის ანალიზი ხშირად ამ მაჩვენებლებზეა დამოკიდებული. ამიტომ მევალეები ისწრაფვიან იმისკენ, რომ სამეურნეო წლის ბოლო მოდიოდეს იმ დროზე, როდესაც მოკლევადიანი ფინანსირების მოთხოვნილება მინიმალურია.

§ 3. გრძელვადიანი ვალდებულებები

როგორც აღვნიშნეთ, გრძელვადიან ვალდებულებებს მიეკუთვნება ერთ წელზე მეტი ვადით აღებული სასესხო ვალდებულებები, რომლებიც თავის მხრივ ოთხ ქვეჯგუფადაა დაყოფილი. პირველი ჯგუფი – „გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები“ მოიცავს გასანაღდებელ ობლიგაციებსა და თამასუქებს, ვალდებულებებს ფინანსურ იჯარაზე, გრძელვადიან სესხებს და სხვა გრძელვადიან სასესხო ვალდებულებებს.

მეორე ჯგუფი – „გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები“ მოიცავს: ა) გადავადებული მოგების გადასახადებს და ბ) სხვა გრძელვადიან ვალდებულებებს. ეს ჯგუფი განსაკუთრებული სიახლეა მოქმედ სააღრიცხვო სისტემასთან შედარებით და სპეციალურ ყურადღებას მოითხოვს.

მესამე ჯგუფი „ანარიცხები ორ პოზიციადაა გაყოფილი: ა) საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები და ბ) სხვა ანარიცხები.

მეოთხე ჯგუფია გადავადებული შემოსავლები.

თამასუქი (ვექსილი) კანონით დადგენილი ფორმის ფასიანი ქაღალდია, უპირობო ფულადი ვალდებულებაა, რომელსაც აძლევს სესხის ამღები (თამასუქის გამცემი) კრედიტორს (თამასუქის მფლობელს), რომელსაც ენიჭება უფლება მოსთხოვოს თამასუქის გამცემს მასში აღნიშნული ფულადი თანხის გადახდა დათქმულ დროსა და დათქმულ ადგილზე.

საერთაშორისო მასშტაბით თამასუქი წარმოადგენს საკრედიტო-სანაგარიშო ოპერაციების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას. ჩვენში კი ჯერჯერობით თამასუქი გამოიყენება მხოლოდ საგარეო სავაჭრო ოპერაციების ჩატარების დროს.

თამასუქის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში მისი განაღდება წარმოებს იძულებითი წესით.

ანალიტიკოსი უნდა ერკვეოდეს თამასუქის შეღგენის პრინციპებში და შესაბამისად ჩაატაროს ანალიზური პროცედურები მის წინაშე დასმული მიზნის მისაღწევად. ეს მიზანი უნდა იყოს გარკვეული საითამასუქო ვალდებულების წარმოქმნისა და ეფექტიანობისა.

საყურადღებოა ის მომენტი, რომ თუ მყიდველს თამასუქის გაფორმების ვადის დადგომისას არ გააჩნია ფულადი სახსრები, მყიდველის ბანკს შეუძლია გააკეთოს აქცეპტი თამასუქზე.

ობლიგაცია ფასიანი ქაღალდების (სასესხო ვალდებულებების) ნაირსახეობაა, ვალის გადახდის ვალდებულება, გაცემული გარკვეული ვადით საწარმოს, ბანკის ან სახელმწიფოს მიერ, რომლის მიხედვით მისი მფლობელი ღებულობს წინასწარ დადგენილ წლიურ შემოსავალს ფიქსირებული პროცენტის სახით. ობლიგაცია არის სახელობითი და წარდგენითი, ჩვეულებრივი და მომგებიანი. ჩვეულებრივ ობლიგაციებს აქვთ გარანტირებული სარგებელი, რომელიც წელიწადში ერთხელ ან ორჯერ გაიცემა. მომგებიანი ობლიგაციის შემოსავლის ანაბღაურება შეიძლება განხორციელდეს მოგების სახით, რომელიც თამაშდება სპეციალურ ტირაჟებში.

„გასანაღდებელი ობლიგაციების" პოზიციის ანალიზის პროცესში საჭიროა დეტალურად გაირკვეს რა სახის ობლიგაციებს ფლობს მოცემული საწარმო და ფინანსური შედეგებით წარმოებს ეს ოპერაციები. დასასრულ უნდა მიეცეს დასაბუთებული შეფასება და კონკრეტული წინადადებები ასეთი ოპერაციების წარმოების დადებითი და უარყოფითი მხარეების მიხედვით.

ანალიზის არსი. კრედიტორული დავალიანების შესწავლისას ანალიტიკოსი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ ისინი სათანადოდ არის ასახული ბუღალტრულ ანგარიშგებაში დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად: მოცულობა, დაფარვის თარიღი, უზრუნველყოფის პირობები, რომლითაც ისინი ავალდებულებენ კომპანიას. გარდა ამისა, ანალიზისათვის აუცილებელია ისეთი ინფორმაციის მოპოვება, როგორიცაა დირექტორთა საბჭოს სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშები, კონტრაქტები და იმ პირების გამოკითხვის მასალები, რომლებსაც შეუძლიათ ფლობდნენ ინფორმაციას ამ საწარმოს პასივებისა და ვალდებულებების შესახებ. ანალიტიკოსს ასევე შეუძლია შეამოწმოს იმ ინფორმაციის სისწორე და საფუძვლიანობა, რომელიც შეეხება პროცენტის გადახდასთან დაკავშირებულ დავალიანებას. ანალიზს მოითხოვს მნიშვნელოვანი დაუსაბუთებელი გასავლების არსებობა, რისთვისაც ინფორმაციად შეიძლება გამოყენებული იქნას ხელმძღვანელის ახსნა-განმარტება და სხვა.

თუ მოკლევადიანი დავალიანება საბანკო ანარიცხებით ჩართულია მიმდინარე პასივებში, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ კომპანია არ გეგმავს ან არ შეუძლია განახორციელოს ბანკისადმი დავალიანების რეფინანსირება.

ანალიტიკოსმა უნდა გაიაზროს, რომ ზოგიერთი კომპანია გამუდმებით ეძებს საშუალებებს, რათა შეამციროს პასივების მოცულობა თავი-

ანთ ფინანსურ ანგარიშგებაში. უფრო მეტიც, პასივები შეიძლება არასწორად იქნენ კლასიფიცირებულნი ან არასწორად აღწერილი. ეს მომენტები გამოკვლევის მიღმა არ უნდა დარჩეს.

იმისათვის, რომ ანალიზის პროცესში ყოველმხრივი შეფასება მიეცეს საწარმოს მიერ აღებული კრედიტების გამოყენების საკითხს, საჭიროა ანალიტიკოსი კარგად ერკვეოდეს კრედიტის ფუნქციებში და ამ ფუნქციების მიხედვით მოახდინოს მისი აღებისა და გამოყენების შეფასება.

კრედიტის ფუნქციებიდან აღსანიშნავია: კრედიტით ხდება ფულადი სახსრების გადანაწილება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მქონე საწარმოებსა და იმ საწარმოებს შორის, რომლებიც საჭიროებენ ამ სახსრების მომგებიან გამოყენებას, ამით უზრუნველყოფს საწარმოებს ფულადი სახსრებით; ხელს უწყობს საქონლური კაპიტალის გარდაქმნას ფულად ფორმად და ასტიმულირებს კაპიტალის ეფექტიან გამოყენებას; ამცირებს მიმოქცევის ხარჯებს ნაღდი ფულის მოძრაობის შემცირებით. ამ ფუნქციებიდან ნათლად ჩანს, რომ საკრედიტო სისტემა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. ანალიზის დროს ამ კითხვაზეც უნდა გაიცეს პასუხი.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ საქართველოში საბანკო-საკრედიტო სისტემა ვერ ასრულებს თავის იმ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, რომელიც ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურება.

თავი XVII.

საკუთარი კაპიტალის ანალიზის საკითხები

§ 1. საკუთარი კაპიტალის არსი; ანალიზის ამოცანები

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში არ არსებობს ცნება, რომელიც" გამოიყენება ასე ხშირად და ამავე დროს ისე მრავალმნიშვნელოვნად, როგორც „კაპიტალი", თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად კაპიტალის განსაზღვრებათა მრავალრიცხოვნობისა, მათ შორის არ არსებობს არსებითი განსხვავება. გავიხსენოთ რამდენიმე განმარტება. მარქსის მიხედვით, „კაპიტალი" ეს არის ღირებულება, რომელსაც მოაქვს შეღმეტი ღირებულება.

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში „კაპიტალი“, უპირველეს ყოვლისა, განიხილება როგორც სარგებლის წყარო. ზოგი ეკონომისტი კაპიტალს განიხილავს როგორც ფულს, როგორც ყველასათვის აუცილებლად საჭირო საქმიანი მსოფლიოს უნივერსალურ საქონელს.

მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს კაპიტალის განსაზღვრების ნატურალურ მხარეზე. მაგალითად, ეკონომიკის თეორიაში მოტანილია კაპიტალის შემდეგი განმარტება: „კაპიტალი“ არის ხანგრძლივი გამოყენების რესურსი, რაც იქმნება საქონლის ლიდი რაოდენობით წარმოებისა და მომსახურების მიზნით. ფიზიკურად კაპიტალი შეიცავს: შენობა-ნაგებობებს, მანქანებს, მატერიალურ მარაგებს (ფონდებს).

როგორც ჩანს, მოტანილი განმარტებანი ერთმანეთს აავსებს; განმარტების ერთი ჯგუფი აფიქსირებს „კაპიტალის“ წმინდა ეკონომიკურ მხარეს, მეორე კი მის ნატურალურ-ფუნქციურ მხარეს.

რაც შეეხება „კაპიტალის“ ცნების არსს ბუღალტრულ აღრიცხვასა და ეკონომიკურ ანალიზში, აქ ძირითადად ვეყრდნობით ბასს-ით რეკომენდებულ განმარტებებს, სადაც ასევე ფიგურირებს საწარმოს კაპიტალი, ფინანსური და ფიზიკური შენარჩუნების კონცეფციით. რაც შეეხება კონკრეტულად საწარმოს კაპიტალს, იგი შეტანილია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შემფასებელ ელემენტებში „საკუთარი კაპიტალის“ სახით, რომელიც შემდეგნაირად განიმარტება: საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება საწარმოს ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

საკუთარი კაპიტალი ბალანსში შეიძლება დაიყოს საკლასიფიკაციო ჯგუფებად. მაგალითად, სააქციო საზოგადოების აქციონერთა შენატანები, გაუნაწილებელი მოგება, გაუნაწილებელი მოგებიდან შექმნილი რეზერვები და რეზერვები, რომლებიც უბრუნველყოფენ კაპიტალის შენარჩუნებას, შეიძლება აისახოს ცალ-ცალკე. ასეთი კლასიფიკაცია შეიძლება სასარგებლო იყოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის ეკონომიკური ანალიზის საშუალებით დასაბუთებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ბალანსის განაყოფის – „საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები“ – ჯამი მთლიანად გვიჩვენებს საწარმოს საშუალებათა წყაროებს, რომელიც სამ ჯგუფადაა წარმოდგენილი: ა) კაპიტალი და რეზერვები; ბ) გრძელვადიანი ვალდებულებანი და გ) მოკლევადიანი ვალდებულებანი. ბალანსის საშუალებათა წყაროების პირველი ჯგუფი – „კაპიტალი და რეზერვები“ ასახავს საწარმოს აქტივების იმ ნაწილს, რომელიც შეადგენს მის საკუთრებას – საკუთარ კაპიტალს. მიუხედავად იმისა, რომ მესა-

კუთრეითა მოთხოვნები მეორეხარისხოვნად ითვლება იმ მოთხოვნებთან შედარებით, რომლებიც ასახულია გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებში, არანაკლებ საყურადღებოა მესაკუთრეთა ინტერესები, რომლებიც რისკავენ საწარმოში დაბანდებულ კაპიტალზე. ეს საკითხი კომერციულია და მმართველობითი ინფორმაციის ანალიზის დროს განიხილება.

საკუთარი კაპიტალის ბუღალტრული აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის ამოცანები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, მათ გააჩნიათ შემდეგი მიზნები:

1. მოხდეს სწორი კლასიფიკაცია საწარმოს საშუალებათა წყაროების, გაიმიჯნოს ისინი არსებითი ნიშნების მიხედვით;

2. განისაზღვროს სხვადასხვა კატეგორიის აქციონერების უფლებები და პრიორიტეტები, აგრეთვე მათი როლი საწარმოს მთლიანი ან ნაწილობრივი ლიკვიდურობის დროს;

3. გაშუქდეს სამართლებრივი შეზღუდვები, რომელთა ქვეშ რაღაც მიზეზების გამო შეიძლება მოექცეს კაპიტალის განაწილება;

4. განისაზღვროს მოლაპარაკებითი, სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ფინანსური შეზღუდვები, რომელთა ქვეშ შეიძლება მოექცეს მიმდინარე და გაუნაწილებელი მოგების განაწილება.

საწარმოს „საკუთარი კაპიტალის“ ანალიზის ძირითადი მიზანი და ამოცანები ძირითადად დამოკიდებულია ინფორმაციის მომხმარებლის ინტერესებზე, აქედან გამომდინარე, ანალიზის ჩატარების პროცედურაც არაერთგვაროვანია.

მიუხედავად იმისა, თუ რა კუთხით მიმდინარეობს საკუთარი კაპიტალის შესწავლა, პირველ რიგში აუცილებელია ინფორმაციის რეალურობის შემოწმება.

ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით განსაზღვრულია საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების რეალურობის შემოწმების ხერხები. პირველ რიგში აუცილებელია მოხდეს მაჩვენებლების შედარება და შეჯერება წინა პერიოდთან, რითაც დადგინდება საკუთარი კაპიტალის ცვლილება წინა პერიოდთან შედარებით და დადგინდება ინფორმაციის მემკვიდრეობითობა. გარდა ამისა, უნდა დადგინდეს თითოეული ციფრის ხარისხიანობა და საიმედობა.

რამდენადაც ფირმის საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს კრედიტორებისათვის რეზერვს აქტივების ლიკვიდაციის შემთხვევაში სესხების დაზღვევად, ანალიტიკოსმა მხედველობაში უნდა მიიღოს მთელი რიგი გარემოებანი. ასე, მაგალითად, საკუთარი კაპიტალი შეიძლება შეიცვალოს აქტივებს, რომლებიც აქვთ აქციონერებს ხელზე, გაღახდილ კაპიტალურ

ნამეტს (ნომინალური ფასის ჩევით), გადაუნაწილებელ მოგებას ან აქციონერებისაგან გამოსყიდულ აქციებს. საკუთარ კაპიტალს ანგარიშობენ როგორც პირველი სამი ელემენტის ჯამს გამოკლებული მეოთხე (გამოსყიდული აქციები).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეიძლება ფირმამ საკუთარი სახსრები გამოიყენა ისეთ აქტივებში, რომლებიც კომპანიის ხელმძღვანელობამ შეიძინა დროის გასატარებლად (ავტომობილები, თვითმფრინავები, ნავები და სხვა).

კაპიტალსა და ვალებს შორის სწორი თანაფარდობა შეიძლება განისაზღვროს იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალის მოცულობაში შეტანილია კორექტივები ამ აქტივების საეჭვო ფასეულობაზე. ამ შემთხვევაში საკუთარი კაპიტალი აძლევს წარმოდგენას კრედიტორს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე აქტივების დაზუსტებული ფასის გაანგარიშებით.

აქციონერებს, ისე როგორც კრედიტორებს, უფლება აქვთ პრეტენზია ჰქონდეთ კომპანიის აქტივებზე, მაგრამ ეს შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ ვალების დაფარვის შემდეგ, რომლებიც ერგება კომპანიის კრედიტორებს. აქციონერებმა უნდა აიღონ თავის თავზე კომპანიის აქტივების ღირებულების ნებისმიერი შემცირება, ე. ი. დიდი რისკი, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასთან.

§ 2. კრედიტორული დავალიანების და საკუთარი კაპიტალის ცნებებს შორის განსხვავება

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების დამუშავების ბიურომ 1990 წელს გამოსცა მემორანდუმი „კრედიტორული დავალიანების და საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებს შორის განსხვავება და თითოეულის ინსტრუმენტის აღრიცხვა მათ დახასიათებებთან ერთად“. ამ დოკუმენტის მიზანია ვალდებულებებსა და საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებს შორის განსხვავების განხილვა და იმ ფინანსურ ინსტრუმენტებისათვის საჭირო ბაზისის შექმნა, რომლებსაც გააჩნიათ ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის მახასიათებლები.

მემორანდუმში განხილულია მრავალი პრობლემა, რომელთა შორის აღსანიშნავია:

– რომელ ინსტრუმენტებს – კრედიტორულ დავალიანებას თუ საკუთარ კაპიტალს ეკუთვნის იძულებით გამოსყიდული პრივილეგირებული აქციები ან ჩვეულებრივი აქციების ემიტენტებზე გამოწერილი პუტების ოპ-

ციონი, რომლებიც ავალდებულებენ საწარმოს აანაზღაურობს არ გამოისყიდოს საკუთარი აქციები მითითებული ან განსაზღვრული თანხის შესაბამისად (ე. ი. გადასცეს აქციები მფლობელს)?

– რომელ ინსტრუმენტებს – კრედიტორულ დავალიანებას თუ საკუთარ კაპიტალს ეკუთვნის გარანტი, რომელიც აწესებს უფლებას განსაზღვრულ პერიოდში აქციების ყიდვაზე ან ოპციონი, რომელიც აძლევს მოსამსახურეებს უფლებას შეიძინონ აქციები განსაზღვრული ფასით, აქციები, რომლებიც აიძულებენ საწარმოს გამოუშვას საკუთარი აქციები მითითებული ან განსაზღვრული თანხის შესაბამისად?

– რა შეადგენს საწარმოს საკუთარი აქციების გამოშვების ან გამოსყიდვის უფლებას მითითებული ან განსაზღვრული თანხის შესაბამისად – აქტივი თუ საკუთარი კაპიტალის ნაწილი?

– არის თუ არა საჭირო არსებულ ინსტრუმენტებს დავუმატოთ „კაპიტალის" მესამე ელემენტი, რომელიც გააერთიანებს დავალიანების და საკუთარი კაპიტალის განსაზღვრულ ნაწილებს? და თუ საჭიროა, როგორ განესაზღვროთ ეს ელემენტი? – ისმის ბუნებრივად კითხვა. საკითხის ასე დასმა ლოგიკურია და მასზე პასუხის გაცემა მოითხოვს პრობლემის კომპლექსურად შესწავლას და ისეთი თანამედროვე მოდელის შექმნას, რომელიც მიგვიყვანს ჭეშმარიტებამდე.

როგორც აღვნიშნეთ, ფირმის საკუთარი კაპიტალის დასადგენად საჭიროა ბალანსის აქტივის ჯამს გამოვაკლოთ ვალდებულებები (პასივი). მიღებული სიდიდე თანხობრივი მაჩვენებელია, რაც მხოლოდ ზოგად მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე აბსოლუტურად. ეს საკითხიც დაზუსტებას მოითხოვს.

შეფარდებითია ცნებაც „საკუთარი კაპიტალი", განსაკუთრებით მაშინ, როცა დამფუძნებლების შენატანებისაგან შედგება. ამ შემთხვევაში ხომ თითოეული დამფუძნებელი მიდის რისკზე თავისი თანხების წარმოებაში ჩადების გამო?! და სხვა მსგავსი შეკითხვები უპასუხოდ რჩება.

ნებისმიერი საწარმოს კაპიტალი შედგება საკუთარი და ნასესხები დავალიანებისაგან, რამდენადაც საკუთარი კაპიტალის სიდიდით იზომება საწარმოს ფინანსური მდგრადობა, ამრიგად, მას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია საწარმოსათვის.

კაპიტალის სტრუქტურა იზომება საწარმოს საშუალებათა წყაროების შეფარდებითი სიდიდეებით. როგორც აღვნიშნეთ, საწარმოს ფინანსური სტაბილურობა და გადახდისუნარიანობის რისკი არსებითად დამოკიდებულია საწარმოს საშუალებათა წყაროებზე, ასევე მისი აქტივების სახეობებზე.

საწარმოს კაპიტალის სტრუქტურის ანალიზის დროს დეტალურად უნ-

და იქნას შესწავლილი მისი შემადგენლობა, მათი ცვალებადობა და დინამიკა, რის მიხედვითაც უნდა შეფასდეს საწარმოს გაღახლებადობის ფაქტიური მდგომარეობა და პერსპექტივა. ცხადია ის ფაქტი, რომ რაც უფრო დიდია ნასესხები საშუალებების წილი საწარმოს კაპიტალის სტრუქტურაში, მით უფრო დიდია გაღასახადების მოცულობა გაღასახადების გადახდის ფიქსირებული ვალებით.

§ 3. საკუთარი კაპიტალის წყაროების კლასიფიკაცია

როგორც უკვე აღენიშნეთ, „საკუთარი კაპიტალი" ბალანსში პირობითად კლასიფიცირებულია შემდეგ ჯგუფებად:

ა) სააქციო საზოგადოების აქციონერთა შენატანები;

ბ) გაუნაწილებელი მოგება;

გ) გაუნაწილებელი მოგებიდან შექმნილი რეზერვები;

დ) რეზერვები, რომლებიც უზრუნველყოფენ კაპიტალის შენარჩუნებას.

ასეთი კლასიფიკაცია სასარგებლოა ანალიზის თანმიმდევრობის დაცვისათვის, თუმცა არ არის გამორიცხული მისი შეცვლაც, თუ ამას მოითხოვს საქმის ინტერესები.

იმისათვის, რომ ანალიზის მიზანი მიღწეული იქნას, აუცილებელია ანალიტიკოსი კარგად ერკვეოდეს აქციებთან დაკავშირებულ ნიუანსებში.

აქციების კლასიფიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ აქციები ძირითადად ორი სახისაა: ჩვეულებრივი და პრივილეგირებული, თითოეულ კატეგორიაში არის უამრავი სხვადასხვა ვარიაცია და მათაც გააჩნიათ ძირითადი განსხვავებანი, რომელთა ცოდნა აუცილებელია ანალიტიკოსისათვის, რათა შეუცდომლად განსაზღვროს საწარმოს საკუთარი კაპიტალის სიდიდე.

ჩვეულებრივი აქცია არის საწარმოს საკუთარი კაპიტალის საფუძველი, რომელსაც არ გააჩნია არანაირი პრივილეგია. ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების ოდენობა ფიქსირებული არ არის და იგი დამოკიდებულია სააქციო საზოგადოების მიერ მიღებული წმინდა მოგების სიდიდეზე. არსებობს რამდენიმე სახის ჩვეულებრივი აქცია, რომელთა შორის განსხვავება გამოიხატება დივიდენდებში, ხმისა და სხვა უფლებებში.

პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის თანხა ფიქსირებულია და იგი შეადგენს აქციის ნომინალური ღირებულების განსაზღვრულ პროცენტს, საწარმოს მიერ მიღებული მოგების სიდიდის მიუხედავად.

პრივილეგირებულ აქციებს, როგორც წესი, აქვთ ნომინალური ღირებულება, რომელიც შეიძლება უდრიდეს ან არ უდრიდეს იმ თანხას, რომლის შესაბამისადაც ისინი პირველად იქნა გამოშვებული. ჩვეულებრივ აქციებს, როგორც აღვნიშნეთ, აქვთ ნომინალური ღირებულება და იგი წარმოადგენს ოფიციალური მოთხოვნის ობიექტს, თუმცა ანალიზური მიზნებისათვის მას არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. აქციების ღირებულების სწორი დადგენის ინტერესები მოითხოვს ფინანსურ აღრიცხვაში იყოს ინფორმაცია აქციების რაოდენობის და ღირებულების ცვალებადობის შესახებ, რადგანაც ამ ცვალებადობას იწვევს მრავალი მიზეზი, რომელთა შორის აღსანიშნავია: 1. ბრუნვაში გამოშვებული აქციების რაოდენობის გაზრდა (აქციების გაყიდვა, პრივილეგირებული აქციების კონვერტაცია და სხვა); 2. აქციების ბრუნვის შემცირება (შესყიდვა და აქციების ბრუნვიდან ამოღება, საკუთარი აქციების შესყიდვა და სხვა).

განსხვავებული სახის აქციებზე ინფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის „ოპციონი" აქციების შესყიდვაზე, რომელიც გულისხმობს შეთანხმებაში არჩევის უფლებას. შეთანხმება, რომელიც აძლევს აქციის ყიდვა-გაყიდვის საბირჟო გარიგებაში ერთ-ერთ მხარეს ხელშეკრულების ალტერნატიულ პირობებს შორის არჩევის უფლებას. ოპციონური კონტრაქტები ორი სახისაა: „კოლს" ოპციონის მყიდველს უფლება აქვს გაყიდოს ამა თუ იმ კომპანიის 100 ჩვეულებრივი აქცია განსაზღვრული ფასებით განსაზღვრულ დროში. თუ გათვალისწინებულია ჩვეულებრივ აქციებზე ფასების მომატება მომავალში, ყიდულობენ „კოლ" ოპციონს, ვინაიდან ის იძლევა შემდგომში უფრო დაბალ ფასებში აქციის შეძენის შესაძლებლობას, და პირიქით, თუ გათვალისწინებულია აქციის კურსის შემცირება, მაშინ ყიდულობენ „პუტ" ოპციონს, რომელიც იძლევა მისი გაყიდვის უფლებას მომავალში უფრო მაღალი კურსით*

ასეთი ინფორმაციის მოპოვება აუცილებელია იმისათვის, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ ყურადღებით ადევნოს თვალი გამოშვებული აქციების რაოდენობის პოტენციურ ზრდას. ცხადია, რომ აქციაზე მოგე-

---

* ოპციონი აქციის შესყიდვაზე — შეთანხმება, რომელიც აძლევს აქციის ყიდვა-გაყიდვის საბირჟო გარიგებაში ერთ-ერთ მხარეს ხელშეკრულების ალტერნატიულ პირობებს შორის არჩევის უფლებას. ოპციონური კონტრაქტები ორი სახისაა: „კოლს" ოპციონის მყიდველს უფლება აქვს შეიძინოს ამა თუ იმ კომპანიის 100 ჩვეულებრივი აქცია განსაზღვრულ ფასებში განსაზღვრულ დროში. „პუტ" ოპციონის მყიდველს უფლება აქვს გაყიდოს ამა თუ იმ კომპანიის 100 ჩვეულებრივი აქცია განსაზღვრული ფასებით განსაზღვრულ დროში (ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი, 1991 წ., გვ. 91

ბის ნორმის და საბალანსო ღირებულების შემცირების შელგობრიცი ხარისხი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა თანხა, რომელიც უნდა გაიცეს თითოეულ აქციაზე, და იმ მომენგში მინიჭებული უფლებები, როლესაც ხორციელდებოდა ფასიანი ქაღალდების კონვერტაცია.

ჩამოთვლილი პირობების გარდა, ანალიზისათვის საჭიროა ინფორმაცია ნებისმიერ ისეთ პირობებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვადასხვა კატეგორიის ფასიანი ქაღალდების მფლობელობაზე. მაგალითად, პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების გაუცემლობა, რომელიც საერთოდ გაცემული უნდა იქნეს მანამ, სანამ ჩვეულებრივი აქციების მფლობელები შეძლებენ რაიმე წილის მიღებას.

დამატებითი კაპიტალი. აქციებზე გადახდილი თანხები ჩვეულებრივ იყოფა ორ ნაწილად. ერთი ნაწილი გამაგრებულია აქციის ნომინალური ღირებულებით, დანარჩენი კი ნაჩვენებია დამატებითი ღირებულების განაყოფში. ბერსტაინი თავის სახელმძღვანელოში აღნიშნავს, რომ ტერმინი „დამატებითი კაპიტალი" ღღესღღეობით გამოსულია ხმარებიდან და ამ სახელწოდების განაყოფი მოიცავს ანგარიშებს, რომლებსაც გააჩნიათ სახელები, როგორიცაა: „ნომინალურ ღირებულებას აღმატებული კაპიტალი", „დამატებითი კაპიტალი", „დამატებით გადახდილი კაპიტალი" და „გადახდილი კაპიტალი". პრაქტიკულად არა აქვს მნიშვნელობა თუ როგორია ამ კატეგორიის დასახელება, მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ანგარიშები ასახავენ თანხებს, რომლებიც იქნა გადახდილი აქციის ნომინალურ ღირებულებაზე დამატებით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „კაპიტალის" ჯგუფში დამატებითი ანგარიშები ჩნდება არა მარტო იმ თანხების გამო, რომელიც გადახდილია ნომინალის ზევით, არამედ რთავენ იმ ანგარიშებსაც, რომლებიც მოიცავს ღანახარჯებსა და დათმობებს სხვადასხვა გარიგებებისაგან, რომელთა მაგალითად გვევლინება:

1. მოგება ან ზარალი აქციების გაყიდვიდან, რომლებიც გამოშვებულია შემდგომი გამოსყიდვის მიზნით.

2. კაპიტალში წარმოქმნილი ცვლილებები, გამოწვეული კომპანიების შერწყმის შედეგად.

3. მუქთად მიღებული კაპიტალი, განსაკუთრებულად ცალკე ნაჩვენები, როგორც შეწირული კაპიტალი.

4. აქციებთან დაკავშირებული გასაღები, შერწყმის ღანახარჯები და კაპიტალური ხასიათის სხვა ხარჯები.

5. გაუნაწილებელი მოგების კაპიტალიზაცია დივიდენდების აქციებით გადახდის საშუალებით[1].

---

1 Берстаин Л. Анализ финансовой отчетности, М., 1996, с. 196.

აქციები, რომლებიც გამოიშვება მათი შემდგომი გამოსყიდვის მიზნით, ის აქციებია, რომლებიც გაშვებული იყო ბრუნვაში და თანდათან გამოისყიდებოდა კომპანიის მიერ. ეს აქციები ჩვეულებრივ აღირიცხება მათი თვითღირებულების მიხედვით და ალიარების ყველაზე გავრცელებულ მეთოდად ითვლება.

იმისათვის რომ ანალიზი ჩავუტაროთ აქციონერული კაპიტალის ეფექტიანობას, საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება აქციონერული კაპიტალის შემოსავლიანობის მაჩვენებლები. გავეცნოთ რამდენიმეს.

აქციონერული კაპიტალის შემოსავლიანობის მაჩვენებლები მოიცავენ:

ა) კაპიტალის შემოსავლიანობის კოეფიციენტს (კშკ),

ბ) მოგებას ერთ აქციაზე,

გ) აქციის საბაზრო ფასისა და ერთ აქციაზე შემოსავლის ფარდობის მაჩვენებელს,

დ) დივიდენდების გადახდის კოეფიციენტს (დგკ),

ე) ობლიგაციებზე პროცენტების გადახდის კოეფიციენტს (ოპგკ).

ა) კაპიტალის შემოსავლიანობის კოეფიციენტი გვიჩვენებს ფირმაში დაბანდებული აქციონერთა კაპიტალის შემოსავლიანობის დონეს და გაიანგარიშება შემდეგი წესით:

$$\text{კშკ} = \frac{\text{აქციონერთა წმინდა შემოსავალი}}{\text{აქციონერული კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება}}$$

ამ მაჩვენებლის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება როგორც ჩვეულებრივი, ისე პრივილეგირებული აქციების მფლობელთა შემოსავალი, მიუხედავად იმისა, რომ პრივილეგირებული აქციების მფლობელთა დივიდენდები ფიქსირებულია და არაა დამოკიდებული ფირმის მიერ მიღებული მოგების მოცულობაზე.

ბ) მოგება ერთ აქციაზე გამოითვლება აქციონერთა შორის გასანაწილებლად გამიზნული მოგების შეფარდებით გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობასთან. მოგება ერთ აქციაზე აბსოლუტური მაჩვენებელია. მისი გამოყენება ორი ფირმის ერთიმანეთთან შედარებისათვის არ შეიძლება, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს ერთი აქციის საბაზრო ფასს და ამასთან სხვადასხვა ფირმების მიერ გამოშვებულ აქციათა რაოდენობა შეიძლება სხვადასხვა იყოს.

გ) ერთ აქციაზე შემოსავლის შეფარდება აქციის საბაზრო ღირებულებასთან. ეს მაჩვენებელი ძირითადად გამოიყენება საფონდო ბირჟაზე. შე-

ფარლების მრიშენელობა იზრდება, როცა ფირმის მიერ მოგების მიღების პერსპექტივები უმჯობესდება, და ეცემა, როცა ფირმის მდგომარეობა უარესდება ან საბაზრო ოპერაციებთან დაკავშირებული რისკი მატულობს.

ეს მაჩვენებელი შეგვიძლია შევუდარებოთ როგორც საშუალოდარგობრივ მაჩვენებელს, ისე სხვა იმ ფირმების ანალოგიურ მაჩვენებლებს, რომელთა აქციების კოტირება ხდება საფონდო ბირჟაზე.

დ) დივიდენდების გადახდის კოეფიციენტი განისაზღვრება შემდეგი წესით:

$$\text{დგკ} = \frac{\text{დივიდენდები}}{\text{წმინდა მოგება}}$$

მისი მნიშვნელობა დამოკიდებულია ფირმის აქციონერული კაპიტალის სტრუქტურაზე, დარგზე, რომელშიც მოღვაწეობს ფირმა და მისი განვითარების პერსპექტივაზე. ახლად ჩამოყალიბებული ფირმები დივიდენდებს ან სულ არ იხდიან, ან იხდიან მცირე რაოდენობით, მაშინ როცა სტაბილური და სწრაფადმზარდი კომპანიები ცდილობენ რაც შეიძლება მაღალი დივიდენდების გადახდას.

ე) ობლიგაციებზე პროცენტების დაფარვის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ აღემატება ფირმის შემოსავლები ობლიგაციებზე გადასახდელი პროცენტების თანხას.

ამ მაჩვენებელს ძირითადად იყენებენ კრედიტორები ფირმის მიერ ვალდებულებათა შესრულების შესაძლებლობის შესაფასებლად. ობლიგაციებზე პროცენტების დაფარვის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს ფირმა ობლიგაციების გამომუშავებით მოზიდულ საშუალებებს და რამდენად მაღალია მოგება იმისათვის, რომ უზრუნველყოს ობლიგაციებზე პროცენტების გადახდა.

$$\text{ოპგკ} = \frac{\text{შემოსავლები გადასახადების გადახდამდე}}{\text{ობლიგაციებზე საპროცენტო გადასახდელები}}$$

§ 4. გაუნაწილებელი მოგების ანალიზი

როგორც თემის წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, საწარმოს კაპიტალის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს მისი მოგების ის ნაწილი, რომელიც დამფუძნებლებს შორის განაწილებას არ ექვემდებარება და საწარმოს განკარგულებაში რჩება გაუნაწილებელი მოგების სახით.

„მეწარმეობა შესახებ“ კანონის თანახმად, მოგება-ზარალის ანგარი-

შის სტრუქტურაში მოცემულია კატეგორია „წლიური წმინდა მოგება“. იგი არის სიდიდე, რომელიც მიიღება დასაბეგრი მოგებიდან გადასახადების გამოკლების შემდეგ. იგი წარმოადგენს საწარმოს განკარგულებაში დარჩენილ მოგებას, რომელიც შეიძლება მიმართული იქნეს რეზერვების შექმნაზე, დივიდენდების გასაცემად, კაპიტალის გაზრდაზე, სხვადასხვა მიზნისათვის განსაზღვრული ფონდების შესაქმნელად და ა. შ. თუ წლიური წმინდა მოგება არ განაწილდა განსაზღვრული მიმართულებით, იგი საანგარიშგებო ბალანსში აისახება „გაუნაწილებელი მოგების“ სახით.

გაუნაწილებელი მოგების პარალელურად განიხილება „დაუფარავი ზარალი“.

მართალია, „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს სპეციალური დანიშნულების ფონდების ცალკე მუხლის სახით გამოყოფას, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი ფონდები აღარ შეიქმნას. საწარმოს ხელმძღვანელობამ, წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე, მის განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან უნდა შექმნას აუცილებელი ფონდები. კანონის შესაბამისად „რეზერვების“ ანგარიშზე შეიძლება გაიზარდოს საწესდებო კაპიტალის სიდიდე, მისი სახსრები შეიძლება გამოყენებული იქნეს გასული ან სამეურნეო წლის ზარალის დასაფარავად და დივიდენდების გასაცემად. ანალიტიკოსმა საწესდებო კაპიტალის ცვლილებები დეტალურად უნდა შეისწავლოს და პასუხი გასცეს კითხვას – რამდენად მიზანმიმართულად გამოიყენა საწარმომ „რეზერვების“ თანხები?

ანალიზის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ახალ ბალანსში „გასული წლების დაუფარავი ზარალის“ და „სამეურნეო წლის ზარალის“ მუხლები აქტივიდან პასივშია გადატანილი. ამ „სიახლეს“ იმით ხსნიან, რომ საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო პრაქტიკა მათ პასივში ასახვას ითვალისწინებს. მთავარია ის, რომ მიღებული ზარალი საწარმოს საკუთარ კაპიტალს ამცირებს (!). ანალიზის დროს უნდა დადგინდეს რამ განაპირობა ეს ზარალი და რა ღონისძიებები განახორციელა საწარმოს ხელმძღვანელობამ მისი თავიდან ასაცილებლად.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონით ბალანსის ბ) განაყოფი წარმოდგენილია „ანარიცხების“ სახით. აქ გვაქვს ორი მუხლი: 1. „საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები“ და 2. „სხვა ანარიცხები“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რადგან ჯერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით „საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხების“ ფონდის შექმნა საწარმოებში არ არის რეგლამენტირებული და ხორციელდება ცენტრალიზებული სახელ-

მწიფო ფონდების მეშვეობით, ფინანსთა სამინისტროს მიერ ღამტკიცებულ ბალანსის პასივის სტრუქტურაში ბ) განაყოფი საერთოდ შეტანილი არ არის, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია.

კანონში მოცემული ბალანსის პასივის სტრუქტურაში „ბ" განაყოფის მე-2 მუხლი „სხვა ანარიცხები" ღამტკიცებულ ბალანსის ფორმაში წარმოდგენილია II განაყოფის სახით „ანარიცხები", ორ მუხლად: „ანარიცხები საეჭვო მოთხოვნებისათვის" და „ანარიცხები მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელებისათვის". ანალიზის დროს უნდა გავითვალისწინოთ მათი წარმოქმნის წყაროები: პირველი იქმნება მოგების ხარჯზე (ბიუჯეტთან ანგარიშსწორებამდე), ხოლო მეორე მიეკუთვნება პროდუქციის თვითღირებულებას.

რამდენადაც „ანაროიცხები"-ს თანხა ამცირებს დასაბეგრ მოგების თანხას, იმდენად მის სწორად გაანგარიშებაზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს გადატანილი, რადგანაც იგი მაკონტროლებელი სუბიექტების ობიექტია.

„საკუთარი კაპიტალის" ანალიზი უნდა დამთავრდეს ანალიზური გამოკვლევის შედეგების განზოგადებით, ისე რომ ინფორმაციის ყველა მომხმარებელმა მიიღოს ამომწურავი პასუხი მისთვის საინტერესო კუთხით.

თავი XVIII.

მოგება-ზარალის ანგარიშის ანალიზის საკითხები

§ 1. მოგება-ზარალის ანგარიშის შინაარსი და ანალიზის მიზანი

„მოგება-ზარალი" ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური შედეგის გამომხატველი და, შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მოგება განისაზღვრება ორი ელემენტით: 1. საერთო შემოსავლებით და 2. საერთო ხარჯებით.

საერთო შემოსავლების მეტობა საერთო ხარჯებზე იძლევა მოგებას და პირიქით, როცა საერთო ხარჯები აღემატება საერთო შემოსავალს, საწარმო ღებულობს ზარალს.

სტანდარტების მიხედვით შემოსავლები და ხარჯები ასე განიმარტება: შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით.

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით.

მოგების მაქსიმიზაცია ნებისმიერი საწარმოს ძირითადი მიზანია, ეკონომიკური ანალიზი კი გეველინება ამ მიზნის მიღწევის ხელშემწყობ ბერკეტად.

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არ ცხრება მეცნიერული კამათი „მოგების" არსისა და ფორმების შესახებ, არსებითი განსხვავება მის ფორმირებისა და გაანგარიშების შესახებ არ არსებობს. ბასს-ით შემუშავებულია მოგებისა და ზარალის განსაზღვრის კონცეფციები, რომლის მიხედვითაც უნდა მოახდინოს ანალიტიკოსმა ამ მაჩვენებლის შესწავლა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საწარმოთა უმრავლესობა იყენებს კაპიტალის ფინანსურ კონცეფციას. ამ კონცეფციის თანახმად, საწარმოს მიერ მოგების აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წმინდა აქტივების ფულადი ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღემატება წმინდა აქტივების ფულად ღირებულებას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის, რომელიც რჩება მოცემულ პერიოდში კაპიტალის ყოველნაირი გადანაწილებისა და მესაკუთრეთა მიერ განხორციელებული ყოველგვარი დამატებითი შენატანების გამოქვითვის შემდეგ.

ანალიტიკოსისათვის ფრიად მნიშვნელოვანია მოგების მაჩვენებლის შესწავლა კაპიტალის ფიზიკური შენარჩუნების კონცეფციის კუთხითაც. ამ კონცეფციის თანახმად, საწარმოს მიერ მოგების აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს ფიზიკური მწარმოებლურობა აღემატება საწარმოს მწარმოებლურობას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელიც რჩება მოცემულ პერიოდში კაპიტალის ყოველნაირი გადანაწილებისა და მესაკუთრეთა მიერ განხორციელებული ყოველგვარი დამატებითი შენატანების გამოქვითვის შელეგად. ამრიგად, როგორც ჩანს, კაპიტალის შენარჩუნების აღნიშნულ ორ კონცეფციას შორის პრინციპული განსხვავება საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების ფასების ცვლილებების შელეგების ასახვის წესში მდგომარეობს. ზოგადად, საწარმოს კაპიტალი ითვლება შენარჩუნებულად, თუ მას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ექნება იგი-

ვე რაოდენობის კაპიტალი, რაც პერიოდის დასაწყისში. ნებისმიერი მეტობა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული იმ კაპიტალის სიდიდეზე, რომლის შენარჩუნებაც მოითხოვება, ითვლება საწარმოს მოგებად. ამრიგად, ცხადია ის აზრი, რომ ანალიზის პროცესში ორივე კონცეფციის ხაზით უნდა იქნეს გამოკვლეული მოგების საკითხი, მისი პოტენციური სიმყარის თვალსაზრისით.

წინდახედული მეწარმე ყოველთვის უნდა ცდილობდეს შეუნარჩუნოს თავის გრძელვადიან აქტივებს სათანადო მდგომარეობა წარმოების უწყვეტობის შენარჩუნებისა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ფინანსური შედეგების ანალიზისათვის ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს ანგარიშგება „მოგება-ზარალის“ შესახებ. ბასს 1-ის მიხედვით, „მოგება-ზარალის“ ანგარიშგების ფორმატი ასეთია (ეკონომიკური შინაარსის მიხედვით):

– ამონაგები.
– სხვა საწარმოო შემოსავლები.
– ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში.
– საწარმოს მიერ შესრულებული და კაპიტალიზებული სამუშაო.
– მოხმარებული ნედლეული და მასალები.
– პერსონალის შენახვის ხარჯები.
– ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები.
– სხვა საწარმოო დანახარჯები.
– საწარმოო საქმიანობიდან მიღებული მოგება.
– ფინანსური დანახარჯები.
– მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული შემოსავლები.
– მოგება დაბეგვრამდე.
– შემოსავლებიდან გადასახადები.
– მოგება დაბეგვრის შემდეგ.
– უმცირესობის წილი.
– წმინდა მოგება ან ზარალი ჩვეულებრივი საქმიანობიდან.
– განსაკუთრებული საბალანსო მუხლები.
– საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება.

სტანდარტში მითითებულია, რომ „მოგება-ზარალის“ ანგარიშგება, შეიძლება დამატებულ იქნეს დამატებითი მუხლების გარდა, უნდა მოიცავდეს ქვეგუფების თანხებსაც, როდესაც ამას მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე საერთაშორისო სტანდარტი ან როდესაც ასეთი ახსნა აუცილებელია საწარმოს ფინანსური საქმიანობის შედეგების სამართლიანი წარდგენის მიზნით.

ხარჯები ღაყოფილი უნდა იქნეს ქვეჯგუფებად, რათა წინა პლანზე წამოიწიოს ფინანსური საქმიანობის შედეგების ისეთმა კომპონენტებმა, რომლებიც, შესაძლოა, ერთმანეთისაგან განსხვავებულნენ სტაბილურობის, ამონაგებისა და ზარალის პოტენციალისა და პროგნოზირების შესაძლებლობების თვალსაზრისით. სტანდარტის მიხედვით არსებობს ამ ინფორმაციის მიწოდების ორი გზა.

პირველი ტიპის სტრუქტურა მოიხსენიება როგორც ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით დაჯგუფების მეთოდი. ხარჯები ანგარიშგების ამ ფორმაში აგრეგირებულია მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით (მაგ., ცვეთა, მასალების შეძენა, ტრანსპორტირების დანახარჯები, ხელფასები და გასამრჯელოები, სარეკლამო დანახარჯები). მათი განაწილება არ ხდება საწარმოს ფუნქციების მიხედვით. ამ მეთოდის გამოყენება მოსახერხებელია ძალიან მცირე ზომის საწარმოებში, რადგან ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაციაში მიმდინარე ხარჯების განაწილება არ არის საჭირო. ხარჯების ასეთი კლასიფიკაცია სამამულო პრაქტიკაშიც გამოიყენებოდა და ეწოლებოდა ხარჯების დაჯგუფება ეკონომიკური ელემენტების მიხედვით.

მეორე ტიპის სტრუქტურა ეხება ხარჯების დაჯგუფებას ფუნქციების მიხედვით (საბრუნაო ხარჯების მეთოდით). ამ მეთოდის თანახმად, ხარჯების კლასიფიკაცია ხდება მათი ფუნქციების მიხედვით, როგორც რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების, კომერციული ან ადმინისტრაციული საქმიანობის ნაწილი. მეორე ტიპის სტრუქტურა სამამულო თეორიაში და პრაქტიკაში იწოლება ხარჯების დაჯგუფებად საკალკულაციო მუხლების მიხედვით, თუმცა ანალიზური თვალსაზრისით ამ უკანასკნელს სხვა დატვირთვა აქვს.

„მოგება-ზარალის“ ანგარიშგების ანალიზის ძირითადი ამოცანაა ობიექტურად შეაფასოს ინფორმაციის მომხმარებელმა მოცემული საწარმოს ფინანსური მდგომარეობა; მოგების აბსოლუტური სიდიდე ზარალთან მიმართებაში და, რაც მთავარია, საწარმოს საქმიანობის ხარისხიანობა მოგების მაქსიმიზაციის თვალსაზრისით.

ამ ამოცანების გადაწრისათვის ანალიტიკოსმა ძირითადად ეტაპობრივად უნდა მოახდინოს იმ შემოსავლებისა და დანახარჯების ზუსტი განსაზღვრა, რომლებიც მიეკუთვნებიან საანგარიშგებო პერიოდს და უნდა შეუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ანალიზის ჩატარების პროცედურის მიხედვით მოწმდება საანალიზო ინფორმაციის რეალურობა, რის შემდეგ, პირველ რიგში, შესწავლილი უნდა იქნეს „მოგების“ ხარისხობრივი მახასიათებლები.

§ 2. მოგების შეფასება და პროგნოზირება

ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის წინა თავებში განხილული მასალის სიღრმისეული შემეცნების მიზნით აუცილებელია განვიხილოთ „მოგებისა და ზარალის“ ანგარიშგების ანალიზის ლამაზებითი ასპექტები. გაეცნოთ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მოგების ხარისხის ცნება და შეფასება; მოგების ლონისა და ტრენდის განსაზღვრა; მომგებიანობის შეფასება; მოგების პროგნოზირება და კონტროლი.

მოგების ხარისხის ცნება და შეფასება

მოგების ხარისხის ცნება წარმოიშვა სხვადასხვა საწარმოთა მიერ მიღებულ „მოგების“ შესადარებელი ბაზის შექმნის აუცილებლობამ, ასევე შეფასების დროს „ხარისხობრივი“ განსხვავების დაფიქსირების საჭიროებამ. დღემდე არ არსებობს ზუსტი, აღიარებული განსაზღვრებები და ვარაუდები, რომლებიც საფუძვლად დაედებოდა ამ ცნებას. მოგების შემადგენელი ელემენტების კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგი სახით:

– ფაქტორთა პირველი ტიპი, რომლებიც გავლენას ახდენენ მოგების ხარისხზე, ეს არის აღრიცხვისა და ანგარიშგების პოლიტიკის არჩევის თავისუფლება, რომელიც ეძლევა კვალიფიციურ ბუღალტრებს – მრავალალტერნატიული პრინციპებიდან ერთ-ერთის ამორჩევისას. პრაქტიკაში კონსერვატიულად განსაზღვრული მოგების ხარისხი უფრო მაღალია, რადგან ამ შემთხვევაში ნაკლებად მოსალოდნელია, რომ იგი გაზვიადებულია, ვიდრე ოპტიმისტური მიდგომით განსაზღვრის დროს. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს მოგების გაზვიადების მინიმიზაციას და ერიდება რეტროსპექტიულ ცვლილებას. მარაგების აღრიცხვა „ლიფოს“ მეთოდით და დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდით წარმოადგენს აღრიცხვის კონსერვატიული მეთოდების მაგალითს. ამავე დროს, გაანგარიშებული კონსერვატიზმი თუმცა ხელს უწყობს მოგების „ხარისხის“ დროებით მიღწევას, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში აღრიცხვა არასრულყოფილია და ამდენად არასასურველი.

ფაქტორთა მეორე ტიპი დაკავშირებულია რეზერვების შექმნის დონესთან, რომლებიც საკმარისია აქტივების მომსახურების და რენტაბელობის ასამაღლებლად. საწარმოთა ხელმძღვანელობა სრული თავისუფლებით სარგებლობს მოგების მიღების საკითხში, განსაკუთრებით დანახარჯების და ხარჯების საკითხში. პერიოდული ხარჯები, როგორიცაა რე-

მონტი და მომსახურება, სარჯები რეკლამაზე, შეიძლება იცვლებოდეს მხოლოდ ერთი მიზნით – მოგების გარკვეული დონის მისაღწევად. ნებისმიერ შემთხვევაში ანალიტიკოსმა უნდა დააღგინოს ხელმძღვანელობის საქმიანობის შედეგები და მოტივები.

მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორია ხელმძღვანელობის დისკრეტული საქმიანობის შედეგი, თუმცა კვალიფიციურ ხელმძღვანელობას შეუძლია შეცვალოს მისი გავლენა. ეს არ არის ციკლური და სხვა ეკონომიკური ძალების გავლენა მოგებაზე, მისი წარმოქმნის წყაროების სტაბილურობაზე, მათ ცვალებადობაზე. მოგების ცვალებადობა არასასურველი მახასიათებელია – შესაბამისად, რაც მეტია ცვალებადობა, მით დაბალია მოგების ხარისხი.

დისკრეტული ხარჯების შეფასება სამომავლო მიზნით. დისკრეტული ხარჯების ქვეშ გაღასახდელები იგულისხმება, რომელთა სიდიდე ხელმძღვანელობამ შეიძლება შეცვალოს დროსთან ერთად, რათა დაზოგოს რესურსები, ანდა გავლენა მოახდინოს შემოსავალზე. ამის გამო ისინი იმ ანალიტიკოსის დიდ ყურადღებას იმსახურებს, რომელიც დაინტერესებულია გაარკვიოს შეესაბამება თუ არა ხარჯების დონე წარსულ ტენდენციებს და მომავალ მოთხოვნებს.

მომსახურება და რემონტი. როგორც აღვნიშნეთ წინა ნაწილში, კომპანიის ხელმძღვანელობა მნიშვნელოვანი თავისუფლებით სარგებლობს მოწყობილობის და დანადგარების მომსახურებასა და ნაწილობრივ, სარემონტო საქმიანობაში. ანალიტიკოსს შეუძლია დააკავშიროს ეს დანახარჯები საქმიანობის აქტივობის დონესთან, რადგან მათ შორის არსებობს ლოგიკური კავშირი. რემონტისა და მომსახურების დონის შედარებისას წლების განმავლობაში საჭიროა ორი კოეფიციენტის ცოდნა:

1. პირველი კოეფიციენტი გაიანგარიშება შეფარდებით

$$K_1 = \frac{\text{სარემონტო სამუშაოების და მომსახურების მოცულობა}}{\text{რეალიზაციის მოცულობა}}$$

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს თანაფარდობას სარემონტო და მომსახურების ხარჯებსა და რეალიზაციის მოცულობას შორის. თუ მარაგების მოცულობა მნიშვნელოვნად იცვლება წლიდან წლამდე, საჭიროა მოხდეს კორექტირება, რადგან მარაგები პერიოდის ბოლოსათვის დამრგვალებული სარეალიზაციო ფასებით ემატება გაყიდულ პროდუქციის მოცულობას, ხოლო მარაგები, რომლებიც არსებობდა პერიოდის დასაწყისში, აკლდება მოცულობას.

ბ) მეორე კოეფიციენტია სარემონტო და მომსახურების სამუშაოების

მოცულობის შეფარდება ქონების ღირებულებასთან. ეს კოეფიციენტი გვიხასიათებს ამ დანახარჯების სიდიდეს იმ აქტივების მიმართებით, რომელთათვისაც გაიღება ეს ხარჯები. ხელმისაწვდომი ინფორმაციიდან გამომდინარე, ანალიტიკოსს შეუძლია განსაზღვროს ამ ხარჯების თანაფარდობა აქტივთა ცალკეული კატეგორიებისათვის. აღსანიშნავია, რომ აქტივების არასტანდარტულმა რემონტმა და მომსახურებამ შეიძლება წარმოშვას ექსპლოატაციის სასარგებლო ვადის შესახებ წარმოდგენის შეცვლის საჭიროება ცვეთის ღარიცხვის მიზნით.

ხარჯები რეკლამაზე. იმდენად, რამდენადაც სარეკლამო ხარჯების შედეგები თავს იჩენს იმ პერიოდის შემდგომ, როდესაც ისინი გაწეული იქნა, კავშირი შედეგსა და ხარჯებს შორის მოკლევადიან პერიოდში უმნიშვნელოა. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობას შეუძლია შეამციროს სარეკლამო ხარჯები, რაც მაშინვე არ მოახდენს გავლენას რეალიზაციის მოცულობაზე, თუმცა გრძელვადიან პერიოდში იგი შეიძლება შეიცვალოს. ამდენად, სარეკლამო ხარჯების ცვლილება ყოველწლის ანალიტიკოსის შესწავლის საგანია, რათა შეფასებულ იქნას მათი გავლენა სამომავლო გაყიდვათა მოცულობაზე და შესაბამისად, მოგების ხარისხზე.

სარეკლამო ხარჯების ცვლილების გაზომვა მრავალი ხერხით შეიძლება. ერთი მათგანია მათი გაღაყვანა ხვედრითი წილის ცვლილებებში წლის „ნორმალური" საბაზისოდ გამოყენებით. ხვედრითი წილის ცვლილება შემდგომში შეიძლება შევადაროთ რეალიზაციის მოცულობისა და საერთო და წმინდა მოგების ცვლილებებს.

ალტერნატიული მაჩვენებელია სარეკლამო ხარჯების თანაფარდობა რეალიზაციის მოცულობასთან, რომელიც სხვადასხვა წლების შედარებისას გვიჩვენებს ხელმძღვანელობის პოლიტიკაში არსებულ ძერებს.

ხარჯები მეცნიერულ გამოკვლევებზე. ამ ხარჯების მნიშვნელობა და პოტენციური ღირებულება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების ურთულეს ელემენტს ანალიზისა და ინტერპრეტაციისათვის. მათი მნიშვნელობა ძალზე დიდია იმიტომაც, რომ ისინი დიდ გავლენას ახდენენ სამომავლო შედეგების პროგნოზირებაზე.

სამეცნიერო-კვლევითი ხარჯების ანალიზისას ყველაზე ხშირად თვალსაჩინოა მოგიერთი ეფექტური მოვლენა, რომლის შედეგები სახეზეა და კონკრეტული შედეგებიც გაიანგარიშება. არის საპირისპირო -- დანახარჯები გაწეულია, შედეგები კი ჯერ არ ჩანს (?). ამ შემთხვევაში ანალიზით უნდა დადგინდეს თუ რამია საქმე.

ანალიტიკოსმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ხარჯებს გამოკვლევებზე და ამ ხარჯების არარსებობას, რადგანაც ასეთი ხარჯე-

ბი ფირმების მომავალი წარმატების საწინდარია. ანალიზის დროს პირველ რიგში უნდა ჩამოვაყალიბოთ, თუ რა შეიძლება გავზომოთ რაოდენობრივად და შესაბამისად გავაანალიზოთ; და ის, რისი გაზომვაც რაოდენობრივად შეუძლებელია, შესაბამისად უნდა შევაფასოთ ხარისხობრივად.

განსაზღვრა იმისა, თუ რა შედის „სამეცნიერო გამოკვლევების“ ცნებაში, წარმოადგენს ცლომილებათა წყაროს. ეს ტერმინი ვრცელდება სხვადასხვა სახის საქმიანობაზე: უმაღლესი კლასის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებიდან, რომლებიც დაკავებული არიან რთული გამოკვლევებით, ბედაპირულ გამოკვლევებამდე.

უმთავრეს ფაქტორებს, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ სამეცნიერო გამოკვლევების ხარისხის შეფასებისას, წარმოადგენს თანამშრომელთა კვალიფიკაციის დონე და ორგანიზაცია. აქვე უნდა განვასხვავოთ სამეცნიერო გამოკვლევები, რომელთაც აფინანსებს სახელმწიფო ან სხვა ორგანიზაცია და გამოკვლევები, რომელთაც ახორციელებს უშუალოდ კომპანია. ეს უკანასკნელი ძირითადად კომპანიის მიზნებს პასუხობს. მაშასადამე, ცხადია, რომ სამეცნიერო გამოკვლევების შეფასება არ შეიძლება მხოლოდ დახარჯული თანხის სიდიდიდან გამომდინარე.

ხარჯები სამეცნიერო გამოკვლევებზე ინვესტიციებია, რომლებიც დამოკიდებულია მათი გამოყენების ხასიათზე. ისინი არაა გარანტირებული და დაკავშირებულია დიდ რისკთან; წარმატება დამოკიდებულია სამეცნიერო მართვის გამოცდილებაზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი ხარისხობრივი ფაქტორების განხილვის შემდეგ, რომლებზეც დამოკიდებულია „სამეცნიერო-კვლევითი ხარჯების“ შეფასების ხარისხი, ანალიტიკოსი უნდა შეეცადოს, რაც შეიძლება ზუსტად განსაზღვროს მიმდინარე ხარჯები სამეცნიერო გამოკვლევებზე, რომლებიც გაწეულია მომავალ სარგებლიანობისათვის.

ანალიტიკოსისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო გამოკვლევებზე გასაწევი ხარჯების სამომავლო სიდიდე. ამ ხარჯების ეფექტურობის განსაზღვრა შესაძლებელია, თუ მათ შევაფარდებთ:

1. რეალიზაციის ზრდის მოცულობას;
2. ახალი სახის პროდუქციის მოცულობას;
3. რენტაბელობას.

სამეცნიერო გამოკვლევებზე გაწეული ხარჯების ანალიზის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მათი დისკრეტულობა.

წლების განმავლობაში სამეცნიერო გამოკვლევებზე გაწეული ხარჯების შედარება უჩვენებს ანალიტიკოსს, მყარია თუ არა მათი გაელენა ფირმის შელეგების გაუმჯობესებაზე ან გაუარესებაზე.

სარეკლამო და სამეცნიერო-კვლევითი ხარჯების გარდა, არსებობს სხვა ხარჯებიც, რომლებიც შემართულია სამომავლო მიზნების მისაღწევად, მაგალითად, ხარჯები პროფესიულ სწავლებაზე, მმართველია ტალანტის ამაღლებაზე და სხვა. მართალია, ეს ხარჯები შეიძლება იმავე წელსაც იძლეოდეს, მაგრამ მათ სარგებლიანობა მომავალშიც მოაქვთ. ასე რომ, ანალიტიკოსმა შეიძლება ინტერესი გამოიჩინოს მათ მიმართ მიმდინარე მოგების შეფასებისა და სამომავლო პროგნოზის გაკეთების ღროს.

§ 3. „მოგება-ზარალის“ ანგარიშის ელემენტების ანალიზური მნიშვნელობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ გათვალისწინებულია საერთო მოგების (ზარალის), ძირითადი საქმიანობიდან მიღებული მოგების (ზარალის), გაუთვალისწინებელი შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე წლიური წმინდა მოგების გაანგარიშებისათვის.

საერთო მოგება ასახავს საწარმოს კომერციული საქმიანობის მთლიან შედეგს. იგი განისაზღვრება ყველა სახის შემოსავლების ჯამისა და ამ შემოსავლების მიღებაზე გაწეული დანახარჯების სხვაობით. შემოსავლების ძირითად კომპონენტს ამონაგები შეადგენს.

ინვესტირებული კაპიტალიდან მოგება (ROI) საერთოდ განიხილება როგორც წმინდა მოგება გაყოფილი ინვესტიციის თანხებზე.

ფინანსურ ანალიზში „ინვესტიცია“ გამოიყენება სამი სხვადასხვა მნიშვნელობით, ამიტომაც არსებობს ROI-ის სამი სხვადასხვა კოეფიციენტი:

1. საერთო აქტივებიდან მოგება (ROA)
2. საკუთარი კაპიტალიდან მოგება (ROE)
3. ინვესტირებული კაპიტალიდან მოგება (ROIC)

საერთო აქტივებიდან მოგება (ROA) ასახავს ფირმის გამომუშავებას მთლიანი კაპიტალდაბანდებებიდან. ეს კოეფიციენტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ინვესტიციები გაგებულია, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებები, ასევე საკუთარი კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს საინვესტიციო აქტივების საშუალებათა წყაროებს. ეს კოეფიციენტი გამოიყენება საწარმოს მიერ მისი რესურსების გამოყენების შეფასების დროს. ROA ხშირად გამოიყენება უფროსი ხელმძღვანელობის მიერ ცალკეული სტრუქტურული ქვეგანყოფილების საქმიანობის შეფასებისათვის. ამ შემთხვევაში განყოფილების ხელმძღვანელი ფლობს არსე-

ბით გავლენას თავის განყოფილების აქტივებზე, მაგრამ არ შეუძლია გააკონტროლოს მათი ღირებულება, რამდენადაც განყოფილება არ იღებს საკუთარ კრედიტებს, არ უშვებს აქციებს ან ობლიგაციებს.

მოგება საკუთარი კაპიტალიდან (ROE) – ეს არის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი იქნა გამომუშავებული აქციების მფლობელის მიერ ჩადებული სახსრებიდან. ეს კოეფიციენტი, რა თქმა უნდა, საინტერესოა არსებული ან პერსპექტიული აქციონერებისათვის და, აგრეთვე, ხელმძღვანელობისათვის, რომელიც საკუთარ თავს დაიცავს მფლობელთა ინტერესებს, თუმცა განყოფილების ხელმძღვანელობისათვის ROE არ წარმოადგენს დიდ ინტერესს, რადგან ისინი ვალდებულნი არიან ეფექტურად გამოიყენონ აქტივები, ამ აქტივების ღირებულებაში აქციონერების და კრედიტორების როლის დამოუკიდებლად.

მესამე კოეფიციენტი ეს არის მოგება ინვესტირებულ კაპიტალზე. ინვესტირებული ანუ მუდმივი კაპიტალი უდრის გრძელვადიან ვალდებულებებს პლუს აქციონერული კაპიტალი. ინვესტირებული კაპიტალი არის აგრეთვე საბრუნავი კაპიტალის და ძირითადი საშუალებების ჯამი.

ზოგიერთი ფირმა იყენებს ROIC-ის მაჩვენებელს მათი მოღვაწეობის შეფასებისათვის.

ამონაგების გეგმის შესრულების ანალიზი

ბასს 18 განმარტავს ამონაგების არსს და სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ამონაგების აღიარება-ასახვის წესებს. ანალიზის პროცედურა სწორედ ამ კუთხით უნდა წარიმართოს.

ამონაგები არის საწარმოში შემოსული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხა, რომელიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან და გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტიციების გარეშე.

სტანდარტის მიხედვით ფიქსირდება შემდეგი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება-ასახვა: საქონლის რეალიზაცია; მომსახურების გაწევა; სხვა პირების მიერ საწარმოს კუთვნილი აქტივების გამოყენება, რის შედეგად საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს დივიდენდების, როიალტების და პროცენტის სახით.

კონკრეტულად: ა) საქონელი მოიცავს საწარმოს მიერ წარმოებულ ნივთს, რომელიც განკუთვნილია გასაყიდად, აგრეთვე იმ ნივთს, რომელიც შეძენილი იქნა ხელმეორე გაყიდვის მიზნით. ბ) მომსახურების გაწევა, როგორც წესი, გულისხმობს საწარმოს მიერ მომსახურებას სათა-

ნაღო საფუძველზე. გ) სხვა პირთა მიერ საწარმოს კუთვნილი აქტივების გამოყენების შეღეგად წარმოშობა შემდეგი სახის ამონაგები:

ა) დარიცხული პროცენტი საწარმოს კუთვნილი ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გამოყენებაზე;

ბ) როიალტები – შემოსაყლები საწარმოს კუთვნილი გრძელვადიანი აქტივების გამოყენების უფლების გადაცემისათვის, მაგალითად, პატენტების, საავტორო ნიშნების, საავტორო უფლებების და კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებაზე;

გ) დივიდენდები – კაპიტალის მესაკუთრეებზე მოგების გაჩაწილება საკუთარ კაპიტალში ინვესტირებული წილის პროპორციულად.

მოგება-ზარალის მაჩვენებლების ანალიზის პროცესში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ამონაგების შეფასების საკითხს. სტანდარტის მიხედვით, ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც აქტივი შეიძლება გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს დაინტერესებულ და საქმის მცოდნე მხარეებს შორის.

ამონაგების მიღების მომენტის განსაზღვრა

ყოველ საწარმოსათვის, რომელსაც სურს მოგების მიღება, პირველი ნაბიჯია ამონაგების დარიცხვა ფინანსური შედეგების გამოვლენისათვის. ამ ეტაპზე ბუნებრივად იბადება კითხვა: როდის ჩაითვლება ამონაგები მიღებულად? – რადგან ამონაგების არასწორ დარიცხვას შეიძლება მოჰყვეს შემდეგი არასასურველი მომენტები: 1. ამონაგები შეიძლება ჩაიწეროს: ადრე, წინასწარ ან დაგვიანებით, ვიდრე უნდა ჩაწერილიყო, ე. ი. ცხადია, რომ ის არასწორად მიეკუთვნება საანგარიშგებო პერიოდს და ფინანსური შედეგიც არასწორი იქნება.

ამონაგები თუ ჩაიწერება მანამდე, სანამ მოხდება რეალიზაცია, ეს თავის მხრივ გამოიწვევს მოგების ზრდას, მომდევნო პერიოდში კი საჭირო გახდება ამ მაჩვენებლის კორექტირება.

კონტრაქტების აღრიცხვა

ანალიტიკური პროცედურები ითვალისწინებს აგრეთვე მოგება-ზარალის მაჩვენებლების შესწავლას კონტრაქტების მიხედვით, რაც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. იგულისხმება, რომ საწარმოში შემოსავლების

აღრიცხვა მიმდინარეობს კონტრაქტების მიხედვით და ფინანსური შედეგებიც, როგორც წესი, გამოვლინდება პროექტის წარმოების დამთავრების შემდეგ, როცა მას შემკვეთი მიიღებს. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს გრძელვადიან კონტრაქტებთან, რომლის ღროსაც მშენებლობის ციკლი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდს, აღრიცხვის წინაშე წარმოიქმნება პრობლემები ფინანსური შედეგების ეტაპობრივად გამოვლენისას. ასეთი მდგომარეობისათვის აღრიცხვის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით გამოიყენება აღრიცხვის ორი მეთოდი:

1. ობიექტის ეტაპობრივად ჩაბარების მეთოდი. ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთ ვითარებაში, როცა კონტრაქტით გათვალისწინებული და შესაძლებელია ზუსტად გაირკვეს დანახარჯები ობიექტის მშენებლობის ყველა ეტაპზე და შესაბამისად ფინანსური შედეგიც გამოვლინდეს ეტაპების მიხედვით. 2. ობიექტის დასრულებულად ჩაბარების მეთოდი. ფინანსური შედეგი გამოვლინდება ობიექტის სრულად დამთავრების და შემკვეთზე გადაცემის მომენტში, ე. ი. მაშინ, როცა კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა პირობა შესრულდება. ამ მეთოდის გამოყენების დროს შემოსავლის გაანგარიშება და ანალიზური განსჯა ხორციელდება დაგვიანებით, რადგან კომპანიები ხარჯებს აგროვებენ ობიექტის დამთავრებამდე.

ანგარიშგასაწევია ის მომენტი, რომ კონტრაქტების აღრიცხვის ორივე მეთოდის გამოყენების დროს ზარალი, მიმდინარე თუ მოსალოდნელი, გათვალისწინებული უნდა იყოს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ეს ზარალი გამოვლინდა, გახდა თვალსაჩინო. ეს იმას ნიშნავს, რომ წინასწარ უნდა შეიქმნას რეზერვი, რომელიც საწარმოს დააზღვევს მოსალოდნელი ზარალისაგან.

ეჭვს გარეშეა ის მომენტი, რომ ყველა საწარმო დაინტერესებულია იმით, რომ მისი ფინანსური ანგარიშგება, მათ შორის „მოგება-ზარალის" ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, შთამბეჭდავი იყოს, რის გულისათვის ზოგიერთმა საწარმომ შეიძლება არარეალური შედეგებიც კი აჩვენოს. აქედან გამომდინარე, ანალიტიკოსი ყოველთვის მზად უნდა იყოს ასეთი ინფორმაციის დამუშავებისათვის. ანალიტიკოსმა უნდა განსაზღვროს, თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს, კომპლექსურ ჭრილში, ანგარიშგებაში წარმოდგენილი მაჩვენებლები.

იმასთან დაკავშირებით, რომ დანახარჯები მრავალი სახისაა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შინაარსით, იმისათვის, რომ ანალიზის დროს დანახარჯების ბუნება მხედველობიდან არ გამოგ-

ვრჩეს, საჭიროა კარგად ვერკვეოლეთ მათ კლასიფიკაციაში. კერძოდ, განასხვავებენ:

1. ცვლად ხარჯებს – ამ ჯგუფს განეკუთვნება ისეთი დანახარჯები, რომლებიც წარმოების მოცულობის მრლასთან ერთად შესაბამისად იზრდებიან;

2. მუდმივ დანახარჯებს – განეკუთვნება ყველა ისხარჯი, რომელიც წარმოების მოცულობის ცვალებადობის მიუხედავად სტაბილურობას ინარჩუნებს;

3. პირდაპირ ხარჯებს – მიაკუთვნებენ ყველა იმ ხარჯს, რომელიც მიკუთვნება გარკვეული სახის პროდუქციაზე გაუნაწილებლად შეიძლება;

4. არაპირდაპირ ხარჯებს კი მიეკუთვნება ისეთი ხარჯები, რომლებიც თავს იყრის პერიოდის განმავლობაში სპეციალურ შეგროვების პერიოდის ბოლოს ხდება განაწილები პროდუქციის სახეებს შორის შერჩეული ბაზის მიხედვით.

ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია

მიუხედავად იმისა, რომ ამორტიზაციის საკითხი კარგადაა დამუშავებული და გაუგებრობას არ იწვევს, ამორტიზაციის დარიცხვის განსხვავებული მეთოდების გამო მაინც წარმოიშვება ხოლმე საკმაო საკითხები, თუ რა სიდიდით შეგანილი ცვეთის თანხა უფრო მარიეებულია მოცემულ საწარმოსათვის დანასარჯებისა და ფინანსური შეღებების რეალურად გაანგარიშების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, მაგალითად, თუ საწარმოს საქმიანობა მომგებიანი არ არის, მაშინ ამორტიზაცია საწარმოსათვის ზარალი იქნება. რეგლამენტაციით, მართალია ამორტიზაციის პროცესი დღეს განკუთვნილი არ არის იმისათვის, რომ შეიქმნას ფულადი ფონდები ქონების შესაცვლელად ან ახლის საყიდლად, რაც არასწორად მიგვაჩნია. ფინანსური პოლიტიკა ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ ყველა საწარმოში შეიქმნას ამორტიზაციის ფონდი, რომელიც თავისი ფუნქციური დანიშნულებით გამოიყენება. უფრო მეტიც, ერთ-ერთი ხარისხობრივი მაჩვენებელი საწარმოს მდგრადობისა და უწყვეტად მუშაობისა უნდა ფასდებოდეს ასეთი ფონდების სიდიდით (!!!).

საპენსიო ვალდებულებები და მასთან დაკავშირებული დანახარჯები. სამამულო პრაქტიკაში, ეკონომიკური ანალიზის პროცესში, ეს საკითხი ძალიან ბერელედ განიხილებოდა. საერიაშორისო პრაქტიკის მიხედვით კი მას პირველხარისხოვანი ყურადღება ექცევა, რამდენადაც იგი უკავ-

შირლება არა მარტო წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა სოციალურ საკითხს, არამედ უმუშევრობის სფეროსაც.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, მეწარმეების ღიდი ნაწილი იყენებს საპენსიო პროგრამებს, სადაც განსაზღვრულია პენსიის თანხა. ამ პროგრამაში გამოთვლილია ის თანხა, რომელიც მეწარმემ უნდა შეიტანოს დანახარჯებში, ხოლო მომუშავეთა პენსიები ღამოკიდებულია საპენსიო ფონდის მომგებიანობაზე.

საპენსიო პროგრამა განსაზღვრავს საპენსიო გადასახდელთა თანხას, რომელიც უნდა მიეცეს თითოეულ მომუშავეს პენსიაზე გასვლის შემდეგ.

წლიურ ანგარიშგებაში მოცემული უნდა იყოს მონაცემები საპენსიო ანარიცხების შესახებ. ანალიზისათვის უნდა გაიშიფროს შემდეგი ინფორმაცია:

1. პროგრამის აღწერა, პენსიით უზრუნველსაყოფად მომუშავეთა რაოდენობა, ფორმულის სახე, რომლითაც გამოითვლება საპენსიო ვალდებულება, დაფინანსების პოლიტიკა და აქტივების ტიპი.

2. პერიოდულად წმინდა საპენსიო დანახარჯების თანხა, გამომუშავებული დანახარჯები, საპროცენტო განაკვეთი და ნამდვილი მოგება აქტივების მიხედვით ნაჩვენები უნდა იყოს ცალკე.

3. ცხრილი, სადაც მოცემული იქნება პროგრამის დაფინანსების მდგომარეობა, რომელიც, თავის მხრივ, მოცემულია მეწარმის ანგარიშგებაში.

როდესაც საპენსიო ფონდის აქტივების საბაზრო ღირებულება აღემატება საპენსიო ვალდებულებებს, ამბობენ, რომ აღგილი აქვს საპენსიო პროგრამების გადამეტებულ დაფინანსებას.

§ 4. ანალიზის თავისებურებანი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განხილვის დროს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის სათაო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების სახით წარმოდგენილი საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ყველა საწარმოს, რომლის მოქმედებასაც იგი აკონტროლებს.

ნაერთი ფინანსური ანგარიშგების ანალიზის დროს ანალიტიკოსმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მაჩვენებლების აგრეგირების პროცედურებზე. ბასს 27-ის მიხედვით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ძირითადი და შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების აგრეგირება ხდება თანმიმდევრულად: ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და დანახარჯების ანალოგიური სა-

ბალანსის მუხლების ჯამებით, თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი აუცილებელი მომენტები:

ა) თითოეული შეილობილი საწარმოს კაპიტალიდან უნდა გამოირიცხოს თითოეულ შეილობილ საწარმოში დაბანდებული ძირითადი საწარმოს ინვესტიციების მიმდინარე საბალანსო ღირებულება და ძირითადი საწარმოს წილი;

ბ) უნდა განისაზღვროს უმცირესობის წილი შეილობილი საწარმოების კონსოლიდირებულ წმინდა შემოსავლებში საანგარიშგებო პერიოდისათვის და შესწორებულ იქნას საწარმოთა ჯგუფის შემოსავლები, რათა დადგინდეს ძირითადი საწარმოს კუთვნილი წმინდა შემოსავლის სიდიდე;

გ) უნდა განისაზღვროს უმცირესობის წილი შეილობილი საწარმოების კონსოლიდირებულ წმინდა აქტივებში და წარდგენილ იქნას კონსოლიდირებულ ბალანსში ვალდებულებებისა და ძირითადი საწარმოს საკუთარი კაპიტალისაგან განცალკევებით. უმცირესობის წილი წმინდა აქტივებში მოიცავს: 1. თავდაპირველი ერთობლივი ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებულ თანხას. 2. ერთობლივი ოპერაციის შესრულების თარიღის შემდეგ საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარ ცვლილებებში უმცირესობის წილს.

ცვლილებები ბუღალტრულ აღრიცხვაში. ბასს-ის ერთ-ერთი პრინციპი, რომ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდიკა არ იცვლებოდეს გარკვეული პერიოდის მანძილზე, მართალია, ხელს უწყობს ფინანსური ანგარიშგების მონაცემთა სწორ აღქმას, შესადარისობას და აიოლებს ანალიზს, მაინც არ გამორიცხავს გარკვეული პერიოდის მანძილზე აღრიცხვაში ცვლილებებს იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ღაამტკიცებს ერთი მეთოდიდან მეორეზე გადასვლის აუცილებლობას. კონკრეტულად უნდა განვასხვავოთ ბუღალტრული აღრიცხვის ცვლილებების სამი სახე: 1. ცვლილებები აღრიცხვის პრინციპებში; 2. ცვლილებები შეფასებაში და 3. ცვლილებები საწარმოს ანგარიშგებაში.

აღნიშნული ანალიტიკოსს ავალდებულებს კარგად ერკვეოდეს ამ ცვლილებების არსში და ყურადღების მიღმა არ დატოვოს ასეთი ცვლილებებით გამოწვეული გავლენა საწარმოს ფინანსურ შედეგებზე.

თავი XIX.
ფულადი სახსრების ნაკადების დენადობისა და ფინანსური პროგნოზების ანალიზის საკითხები

§ 1. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში და მისი ანალიზური მნიშვნელობა

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი – ბასს 7 – არეგულირებს საწარმოში ფულადი სახსრების მოძრაობას. სტანდარტის მიზანია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მიეწოდოთ ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება საწარმოს მიერ ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობისა და გამოყენების მოთხოვნილების შეფასება.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, როდესაც განიხილება დანარჩენ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად, საშუალებას აძლევს მომხმარებელს შეაფასოს საწარმოს წმინდა აქტივებში მომხდარი ცვლილებები, მისი ფინანსური სტრუქტურა (ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ჩათვლით) და საწარმოს შესაძლებლობა დროულად მოახდინოს რეაგირება ფულადი სახსრების რაოდენობრივ მხარეზე, შეცვლილი ვითარებისა და პირობების შესაბამისად.

სტანდარტში ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით: ფულად სახსრებში იგულისხმება ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე.

ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე.

ფულადი სახსრების ნაკადები ნიშნავს ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების შემოსვლასა და გასვლას.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრების ნაკადები დაჯგუფებულია: ა) საოპერაციო, ბ) საინვესტიციო და გ) საფინანსო საქმიანობად. სტანდარტის განმარტებით, საოპერაციო საქმიანობა არის საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი და ითვლება საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარ ინდიკატორად. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების მოძრაობის მაგალითებია: ა) საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები; ბ) როიალტებიდან, პონორარებიდან, საკომისიო გადა-

სახელფასებიდან და სხვა მუშაკისაგან მიღებული ფულადი სახსრები; გ) საქონელსა და მომსახურებაზე მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები და სხვა.

საინვესტიციო საქმიანობა არის გრძელვადიანი აქტივებისა და სხვა ინვესტიციათა შეძენა და რეალიზაცია, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ექვივალენტები.

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადების მაგალითებია:

ა) ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები. ამაში ასევე შედის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული კაპიტალიზებული ხარჯები და საკუთარი წარმოების საშუალებები;

ბ) ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები და სხვა.

საფინანსო საქმიანობა არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები საშუალებები.

საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადების მაგალითებია:

ა) აქციებისა და საკუთარი კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;

ბ) მესაკუთრეთათვის აქციების შეძენის ან გამოსყიდვის მიზნით გადახდილი ფულადი სახსრები;

გ) სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები და სხვა.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრების ნაკადების ასეთი დაჯგუფება საშუალებას აძლევს ანალიტიკოსს შეუცდომლად შეაფასოს თითოეული ჯგუფის საქმიანობის შედეგები და მათი გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. მაგრამ, ამავე დროს, იგი კარგად უნდა ერკვეოდეს ასეთი დაჯგუფების პროცედურებში.

იმის გამო, რომ მთელ მსოფლიოში გავრცელებულია ფულადი სახსრების მართვის და საბანკო საქმის წარმოების სხვადასხვა სისტემა, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის „ბასს 1" „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" თანახმად, საწარმომ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს ის პოლიტიკა, რომელსაც იგი ატარებს ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების შემადგენლობის განსაზღვრის დროს. ანალიზური თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების არაგანზოგადებული ფორმა.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
(ათასი ლარი)

მაჩვენებლები	თანხა
I. ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	
— კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	60,3
— მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(55,2)
— საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	5,1
— გადახდილი პროცენტები	(0,5)
— გადახდილი მოგების გადასახადი	(1,3)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	*3,3*
II. ფულადი სახსრების ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
— შვილობილი საწარმოს შეძენა ფულადი სახსრების გამოკლებით	(1,1)
— ძირითადი საშუალებების შეძენა	(0,7)
— მანქანა-დანადგარების რეალიზაციით მიღებული სარგებელი	0,1
— მიღებული პროცენტები	0,2
— მიღებული დივიდენდები	0,2
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	*(1,3)*
III. ფულადი სახსრების ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
— შემოსავალი აქციათა ემისიის შედეგად	0,5
— შემოსავალი გრძელვადიანი სესხებისაგან	0,5
— ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განაღდება	(0,1)
— გადახდილი დივიდენდები	(2,4)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	*(1,5)*
— ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	0,58
— ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	0,2
— ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	0,78

ამრიგად, როგორც ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ფორმიდან ჩანს, ანალიტიკოსისათვის ამ ინფორმაციის საფუძველზე კვლევა საინტერესო და მოსახერხებელია. მაგრამ იმისათვის, რომ კვლევის შედეგად გაკეთდეს საქმიანი დასკვნები, საჭიროა ნაკადების ოპტიმალური

ჯგუფის ინფორმაციის დეტალური ანალიზი, ყველა სპეციფიკურობის გათვალისწინებით. რაც მთავარია, უნდა დავიცვათ ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის კვლევის სისტემურობის პრინციპი.


ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ სამამულო პრაქტიკაში არ გვქონდა ანალოგიური ფორმა, რადგან ეს სფერო ცენტრალიზებული წესით იმართებოდა. დღეს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, იგი ყველაზე პრობლემურ და ძნელად სამართავ სფეროდ იქცა. ეს კი მოითხოვს პრობლემის თეორიულ და პრაქტიკულ დეტალურად დამუშავებას.

იმ მიზნით, რომ ანალიტიკოსი ღრმად ჩაწვდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ყველა ნიუანსს, იგი კარგად უნდა ერკვეოდეს ფულადი სახსრების მოძრაობის პრინციპებში, იმ ექვივალენტებში, რომელთანაც ფულადი სახსრები საოპერაციო შეხებაშია. ამ ურთიერთობის შესახებ წარმოდგენას იძლევა ფულადი სახსრების ნაკადების დენადობის ამსახველი ბერსტაინის სქემა (XX-1)(იხ. გვ.286).

დიაგრამის ცენტრშია ფულადი სახსრები, როგორც ლიკვიდური აქტივების საბოლოო ფორმა. ცხოვრება ცხადყოფს, რომ თითქოს ყველა გადაწყვეტილება ინვესტიციების ან ხარჯების გაწევის შესახებ ითხოვს სასწრაფო ფულად სახსრებს, ამიტომ ფირმების სელმძღვანელობა თავიანთი ყურადღების კონცენტრირებას ფულად სახსრებზე ახდენს და არა სხვა ისეთ ლიკვიდურ საშუალებებზე, როგორიცაა შრომითი კაპიტალი. კრედიტორები ლიკვიდური აქტივების ნაწილად განიხილავენ სხვა აქტივების ერთობლიობას, მაგალითად, დებიტორულ დავალიანებას და საწარმოო მარაგებს, რომლებიც ჩვეულებრივ ფულად სახსრებად იქცევა დროის მოკლე პერიოდის განმავლობაში.

რადგანაც ეს დიაგრამა ასახავს მხოლოდ ფინანსური რესურსების ნაკადებს – აქტივები, პასიევები და სხვა მუხლები, მათ შორის კაეშირების აღქმის გაადვილებისათვის ზოგიერთი ფულადი ნაკადი გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი. მაგალითად, „კრედიტორული დავალიანება“ ნაჩვენებია როგორც ფულადი სახსრების უშუალო წყარო, სინამდვილეში კი იგი წარმოადგენს შეძენილ საქონელსა და მომსახურებაზე ფულად გადასახადთა დროებით გადავადებას.

გასაგებია, რომ ფულადი სახსრების არსებობა არ იძლევა არავითარ მოგებას, ან იძლევა მის მცირე სიდიდეს და თანაც ფასების დონის ზრდისას ფული კარგავს მსყიდველობითუნარიანობას. მაგრამ, ამის მიუხედავად, ფულადი სახსრების არსებობა კომერციული თვალსაზრისით უზრუნველყოფს რისკის მაქსიმალურ შემცირებას. ამრიგად, კომპანიის ხელმძღვანელობამ არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სახსრების დაბანდე-


გრძელვადიანი კრედიტ. დავალ.
გაცემული ვექსილები და მოკლ. კრედიტ. დავალ.
საკუთარი კაპიტალი
გადასახადი მოგებაზე
მოკლევადიანი ინვესტიციები
ხარჯები ხელფასზე
გრძელვადიანი დებიტ. დავალიანება
ფულადი საშუალებები
მიღებული ვექსილები და მოკლ. დებ. დავალიანება
პირდაპ. დანახარჯ. ნედლ. მასალებზე
შენობები და მოწყობილობები
მომ. პერიოდის ხარჯები
გრძელვად. ინვესტი-ციები
საერთო საცეხო ზედნად. ხარჯები
მასალები
კომერციული ხარჯები
მზა პროდუქცია
რეალი-ზაცია
ადმინისტრ.-მმართველ. ხარჯები

ბის შესახებ ისეთ აქტივებში ან დანახარჯებში, რაც ბრლის რისკს ამ ღაბანდებიდან ფულადი სახსრების მიღებისას 100%-იანი გარანტიით. რისკის სხვადასხვა სახეები არსებობს. რისკი, რომელიც დაკავშირებულია ფულის გადატანასთან დროებით ინვესტიციებში უფრო ნაკლებია, ვიდრე რისკი, დაკავშირებული ფულადი სახსრების დაბანდებასთან გრძელვადიან აქტივებში, მაგალითად, შენობებში, მოწყობილობებში და ზოგიერთ საწარმოო პასივებში. ანალოგიურად, ფულადი სახსრების დაბანდებას სხვა აქტივებსა და პასივებში ახალი პროდუქციის შექმნისა და გასაღებისათვის ახლავს სერიოზული რისკი ამ დაბანდებიდან ნაღდი ფულის მიღებასთან დაკავშირებით. საწარმოს ლიკვიდურობა უახლეს პერსპექტივაში და გადახდისუნარიანობა გრძელვადიან პერიოდში დამოკიდებულია ამგვარი დანახარჯების ანაზღაურებასა და პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობაზე.

ფულადი სახსრების მოძრაობა და გადახდები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ამ ელემენტთაგან ერთ-ერთის არასაკმარისობამ შეიძლება მთელ ფინანსურ სისტემაზე მოახდინოს გავლენა. გაყიდვის შეწყვეტა მოქმედებს მწა პროდუქციის დებიტორულ დავალიანებად ან ფულად სახსრებად გადაქცევის სასიცოცხლოდ აუცილებელ პროცესზე, რაც, თავის მხრივ, ფულადი რეზერვების შემცირებას იწვევს. ამ რეზერვების შევსების შეუძლებლობა ისეთი რესურსების ანგარიშზე, როგორიცაა საკუთარი კაპიტალი, სესხები და კრედიტორული დავალიანება, გამოიწვევს საწარმოო საქმიანობის შეწყვეტას, რის შედეგადაც „დაიკარგება“ შემდგომი რეალიზაცია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფულადი სახსრების ხანგრძლივმა ბლოკირებამ შეიძლება გამოიწვიოს გადახდისუუნარობა – გაკოტრებამდე.

დიაგრამა ნათელს ფენს რენტაბელობას, შემოსავლებსა და ფულადი სახსრების ნაკადებს შორის ურთიერთკავშირს. სამეურნეო საქმიანობით მიღებული სახსრების ერთადერთ რეალურ წყაროს „რეალიზაცია“ წარმოადგენს. როდესაც მწა პროდუქცია იყიდება, წმინდა მოგება ბრლის ლიკვიდური სახსრების მოცულობას დებიტორული დავალიანებისა და ფულადი სახსრების ფორმით – რაც უფრო მეტია წმინდა მოგება, მით მეტია ამ სახსრების ნამატი.

შემოსავალმა, რომელიც წარმოადგენს ნაღდი ანგარიშსწორებით და კრედიტით გაყიდვათა მოცულობასა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას შორის სხვაობას, შეიძლება სხვაგვარად იმოქმედოს ფულადი სახსრების ნაკადებზე. მაგალითად, გასაყიდები, რომლებიც განპირობებულია შენობებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციით, ჩეულებრივ, არაა დაკავშირებული ფულადი სახსრების გამოყენებასთან, ისევე როგორც მიწის გაყიდვის შემთხვევაში გრძელვადიანი გადავადების

პირობით; გრძელვადიანი ლებიტორული დავალიანების წარმოშობა რეალიზაციის შედეგად შეამცირებს წმინდა შემოსავლების გაანგარიშებას ფულადი სახსრების ნაკადებზე. ამავე დროს ჩანს, რომ ამორტიზაციის თანხის მიმატება წმინდა შემოსავალზე იძლევა ფულადი სახსრების ნაკადების მხოლოდ დაახლოებით მაჩვენებელს.

ფულადი სახსრების ნაკადების კონცეფციების შეზღუდვები შეიძლება უფრო ნათლად დავინახოთ: სანამ ფული ინარჩუნებს თავის ფორმას, კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია მოქმედების გარკვეული თავისუფლება იმასთან დაკავშირებით, თუ სად დააბანდოს ის. მოქმედების ეს თავისუფლება დამოკიდებულია იმ ფულადი სახსრების მოცულობაზე, რომლებიც უკვე დაბანდებულია ისეთ დანახარჯებში, როგორიცაა დივიდენდების გადახდა, საწარმოო მარაგები, დაგროვება, გრძელვადიანი ინვესტიციები ან ვალების გადახდა. ფულადი სახსრების შემოსავლის საერთო თანხა აგრეთვე დამოკიდებულია ხელმძღვანელობის უნარზე, მოიზიდოს რესურსები და შემდეგ გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისათვის, რომელსაც იგი თვლის ყველაზე მნიშვნელოვნად. ხელმძღვანელობის ყოველგვარი გადაწყვეტილების მიღება არ უნდა ხდებოდეს ანალიტიკოსთა სათანადო დასკვნების გაკეთების გარეშე.

§ 2. ფულადი სახსრების მოკლევადიანი პროგნოზები

ფირმების ლიკვიდურობის გაზომვისას ფულადი სახსრების მოკლევადიანი პროგნოზი გვეელინება ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ და საიმედო ინსტრუმენტად, რომელიც ანალიტიკოსს გააჩნია. ლიკვიდურობის ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელმძღვანელობისათვის ფინანსური ოპერაციების დროს და კრედიტორებისათვის, რომლებიც მოკლევადიან სესხებს გასცემენ და დაინტერესებულნი არიან საწარმოს შესაძლებლობით და ლიკვიდურობით. ანალიტიკოსი მეტ ყურადღებას მიაპყრობს ფულადი სახსრების მოკლევადიან პროგნოზს მაშინ, როდესაც საწარმოს შესაძლებლობა დაფაროს თავისი ვალდებულებები, ძლიერი შეშფოთების საგანია.

ფულადი სახსრების რეალური პროგნოზის შედგენა შეიძლება მხოლოდ დროის შედარებით მოკლე პერიოდისათვის, რადგან ფაქტორები, რომლებიც ფულადი სახსრების შემოსავლებსა და გადახდებზე მოქმედებენ, ბევრია და არ შეიძლება სრულყოფილად შეფასებულ იქნას გრძელვადიანი პერიოდისათვის.

ფულადი სახსრების ნებისმიერი პროგნოზის საიმედოობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული გაყიდვის მოცულობის პროგნოზზე.

გაყიდვათა პროგნოზის შეფასებისათვის საჭიროა შემდეგი საკითხების განხილვა:

1. გაყიდვათა მოცულობის ცვლილებები წარსულში და მომავლის ტენდენციები;
2. საწარმოს წილი ბაზარზე;
3. პირობები დარგში და საერთო ეკონომიკური პირობები;
4. საწარმოო და ფინანსური შესაძლებლობები;
5. კონკურენციის ფაქტორები.

ეს ფაქტორები ჩვეულებრივ უნდა შეფასდეს პროდუქციის კონკრეტული სახეებისათვის, რომლებიც შეიძლება განიცდიდეს სპეციფიკურ გაყიდვებს, დამახასიათებელს მხოლოდ ამ საქონლის ბაზრებისათვის.

პროგნოზების გათვალისწინების დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინასწარი ფინანსური ანგარიშგების შედგენას. ფულადი სახსრების პროგნოზის საფუძველში ჩადებული ვარაუდებიდან გამომდინარე, დგება წინასწარი ანგარიში მოგებისა და ზარალის შესახებ, რომელიც მოიცავს საპროგნოზო პერიოდს და წინასწარ ბალანსს პერიოდის ბოლოსათვის. კოეფიციენტები და სხვა მაჩვენებლები, რომლებიც გამოითვლება წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მონაცემებით, აუცილებლად უნდა შემოწმდეს სისწორის თვალსაზრისით. ამისათვის შეიძლება მოვახდინოთ მათი შედარება გასული პერიოდების ანალოგიურ მაჩვენებლებთან ისე, რომ გავითვალისწინოთ და გავაანალიზოთ ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას მოახდენენ ფულადი სახსრების პროგნოზზე.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ფულადი სახსრების მოკლევადიანი პროგნოზები ძალიან სასარგებლო და საიმედო მრჩეველია უახლოეს პერსპექტივაში ლიკვიდურობის მაჩვენებლების პროექტირების საქმეში.

§ 3. ნაღდი ფულის მოძრაობის ანალიზის პრობლემური საკითხები

ამრიგად, როგორც ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ინფორმაციის განხილვამ ცხადყო, იგი შეიცავს მრავალ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომლის საფუძველზე ანალიტიკოსს საშუალება ეძლევა მოახდინოს საკვლევი ობიექტის ხელთ არსებული ნაღდი ფულის წყაროებისა და მათი გამოყენების მიმართულებების შეფასება და კვალიფიცირე-

ბა. მაგრამ იშრლება მოთხოვნილებები ბიზნესის გაფართოებისაიევის, საჭირო ხლება მომაელის უშეცდომო განჭვრეტა. ანგარიშგების ინფორმაცია კი ამის შესაძლებლობას არ იძლევა. მეცნიერ-ანალიტიკოსთა აზრით, აღნიშნული პრობლემა დაკავშირებულია ანგარიშგების ფორმის არასრულყოფილებასთან, კერძოდ, აღნიშნავენ იმას, რომ იგი არ მოიცავს ინფორმაციას მთლიანი ნაკადების შემოსაეალის და საცნობარო ინფორმაციას პროგნოზირებისათვის. ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭო განაგრძობს მუშაობას, ატარებს კონფერენციებს, გამოკითხვებს. ანალიტიკოსებს შორის სადავო საკითხს წარმოადგენს ბასს 7-ით რეკომენდებული საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობის წარდგენის პრინციპი – პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით.

პირდაპირი მეთოდი იძლევა ინფორმაციას, რომელიც სასარგებლოა მომაეალი ფულადი სახსრების ნაკადების შესაფასებლად, რის საშუალებასაც ვერ იძლევა არაპირდაპირი მეთოდი.

არაპირდაპირი მეთოდით საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა განისაზღვრება წმინდა მოგებისა და ზარალის კორექტირებით, შემდეგი მუხლების საფუძველზე:

ა) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებსა და საოპერაციო მოთხოვნებში მომხდარი ცვლილებები;

ბ) არაფულადი მუხლები, როგორიც არის: ცვეთა, ანარიცხები, გადავადებული გადასახადები, სავალუტო ცვლილებები...

გ) სხვა მუხლები, რომლებიც გეიჩვენებს საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

საინტერესო დისკუსიები[1] გრძელდება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების სტანდარტში წარმოდგენილ საკითხებზე. ძნელი გამოდგა შეთანხმება ბევრი პუნქტის ირგვლივ, მათში მთავარია, თუ ნაღდი ფულის რომელი ნაკადები უნდა აისახოს მთლიანი ფორმით და რომელი წმინდა სახით. მაგალითად, ყველა ოპერაციის მთლიანი ნაკადების ასახვა ფულადი ბაზრის ანგარიშზე ანალიტიკოსს არ მისცემს სასარგებლო ინფორმაციას, მაგრამ შენობისა და მოწყობილობის მხოლოდ წმინდა შესყიდვის ასახვას შეუძლია ფირმის ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების დაფარეა. ეს მიდგომა დამახასიათებელია როგორც პირდაპირი მეთოდი (ნაკადების უმრავლესობის ასახვა მთლიან საფუძველზე), არაპირდაპირი მეთოდისგან განსხვავებით (ნაკა-

1 Томас П. Карлин Алберт Р. Маркин, Анализ финансовых отчетов (на основе GAAP), М., 1998, ст. 258.

ლების უმრავლესობის ასახვა წმინდა სახით). კომერციულმა ბანკებმა უპირატესობა პირველ მეთოდს მიანიჭეს, თვითონ ფირმებს კი ეს არ სურდათ.

დისკუსიის მასალების მიხედვით, პირდაპირი მეთოდის ძირითადი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის უჩვენებს ოპერაციულ შენატანებს და ნაღდ გადახდებს. ოპერაციული შენატანების კონკრეტული წყაროებისა და ნაღდი ფულის გამოყენების მიმართულებების ცოდნა შესაძლოა სასარგებლო იყოს მომავალში ნაღდი ფულის მოძრაობის შეფასებისათვის. ივარაუდება, რომ შენატანების და ხარჯების ძირითადი სახეების შეფარდებითი მოცულობები მათ ურთიერთდამოკიდებულებაში ფინანსური ანგარიშგების სხვა პოზიციებთან უფრო ინფორმაციულია, ვიდრე მათი არითმეტიკული ჯამი – წმინდა შემოსავალი – საწარმოს მუშაობის შედეგების შეფასებისას. ივარაუდება აგრეთვე, რომ ოპერაციული შენატანების და ნაღდი ფულის გაღახდების ძირითადი სახეები შეტ ინფორმაციას შეიცავს, ვიდრე მათი არითმეტიკული ჯამი.

არაპირდაპირი მეთოდის ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ყურადღებას ამახვილებს განსხვავებაზე წმინდა შემოსავალსა და ნაღდი ფულის წმინდა მოძრაობაზე ოპერაციების შედეგად.

დასახელებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ საბჭო აღიარებს ორივე მიდგომის ღირსებებს და თვლის, რომ მათგან არც ერთის არა აქვს იმდენი უპირატესობა, რომ გამართლებული იყოს მეორის აკრძალვა.

გამოკითხულთა უმრავლესობამ მოითხოვა საბჭოსაგან ეღიარებინა პირდაპირი მეთოდის გამოყენება. ძირითადად ისინი იყენენ საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც, როგორც წესი, ამტკიცებდნენ, რომ საოპერაციო შემოსავლებისა და ნაღდი ფულის გაცემის თანხა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საწარმოთა მიერ გარედან სესხებზე მოთხოვნილებისა და მათ მიერ ვალების დაბრუნების შესაძლებლობების შეფასების დროს. მათ მიუთითეს, რომ კრედიტორები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან ოპერაციებიდან ნაღდი ფულის წმინდა შემოსავლების მერყეობისადმი, ვიდრე წმინდა შემოსავლის მერყეობისადმი, ხოლო ინფორმაცია შემოსავლების და ნაღდი ფულის გაცემის სიდიდეების შესახებ მეტად მნიშვნელოვანია ამ მერყეობის შესაფასებლად. მათ აგრეთვე აღნიშნეს, რომ პირდაპირი მეთოდი უფრო პასუხობს ნაღდი ფულის მოძრაობის შესახებ ანგარიშგების მიზანს – უზრუნველყოს ინფორმაცია ნაღდი ფულის მიღებისა და გაცემის შესახებ – არაპირდაპირ მეთოდთან შედარებით, რომელიც არ უზრუნველყოფს ასეთი სახის მონაცემების მიღებას.

საბჭო თვლის, რომ როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდი უზრუნველყოფს პოტენციურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებას.

მაგრამ უფრო ამომწურაობა და აშკარაა, უფრო პროცედურულია პირდაპირი მეთოდის გამოყენებაში.

ზოგადად, საკითხი ასე გადაწყდა, რომ საუკეთესო ვარიანტია ვისარგებლოთ ორივე მეთოდის უპირატესობით. ამიტომ საწარმოების ინსტრუქციაში რეკომენდაცია ეძლეოდათ გამოიყენონ სწორედ ასეთი მიდგომა, თუმცა ფინანსური ანგარიშგების შემდგენელთა და გამომყენებელთა უმრავლესობას მცირე გამოცდილება გააჩნია (ან სულ არ აქვს) პირდაპირი მეთოდის გამოყენებაში, მაშინ როცა არაპირდაპირი მეთოდი ერთისთვისაც და მეორისთვისაც კარგად ცნობილია.

თუმცა დისკუსია პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენების შესახებ გაგრძელდება, SFAS[1] რეკომენდაციას იძლევა კიდევ ერთ შესაძლო გაუმჯობესებაზე ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშგების განსჯილ საკითხზე – ძირითადი საქმიანობის ოპერაციებიდან, ინვესტიციური საქმიანობიდან ან საფინანსო საქმიანობიდან შენატანების ნაკადებისთვის მიკუთვნება. მაგალითად, ამორტიზაცია ფიგურირებს როგორც ოპერაციული შენატანი, რაც მიუთითებს ხელმძღვანელობის მიერ ოპერაციული ციკლის კონტროლზე, ხოლო ძირითადი საშუალებების ბრლას უწევნებენ როგორც ნაღდი ფულის ინვესტიციურ გასვლას. ეს, როგორც ჩანს, SFAS 95-ის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტია.

ნაღდი ფულის ნაკადების პირველი ჯგუფი მოიცავს მათგან ისეთებს, რომლებიც მიეკუთვნება საწარმოთა ყოველდღიურ ოპერაციებს – მატერიალური მარაგების შექმნას, წარმოებას, პროდუქციის გაყიდვას ან მომსახურების გაწევას და დებიტორული დავალიანების ამოღებას. ნაღდი ფულის მოძრაობის განხილვის დროს პირველი ნაბიჯი სწორედ ასეთი ნაკადების ანალიზში მდგომარეობს. ის გულისხმობს ნაღდი ფულის სიდიდეების შედარებას, რომელიც უზრუნველყოფილია მომგებიანი ოპერაციებით (წმინდა შემოსავალი + ამორტიზაცია + სხვა პოზიციები, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ნაღდი ფულის გაცემასთან), ამ საქმიანობის დაფინანსების მოთხოვნილებასთან (მაგალითად, დებიტორული დავალიანების ან მარაგების გაზრდისათვის). კრედიტორისთვის ანალიზის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს შენატანების ხარისხი, საბრუნავი აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების მართვა.

შენატანების ხარისხი. მნიშვნელოვანია შეფასდეს მოგებაზე წარმოდგენილი მონაცემების საიმედოობა, რადგანაც სარგებელი მისგან, როგორც ნაღდი ფულის მოძრაობის მაჩვენებლისგან, დამოკიდებულია იმაზე, თუ ეს მონაცემები როგორ არის მიღებული და როგორია აღრიცხვის მეთოდები.

---

1 SFAS – დებულება ფინანსური აღრიცხვის კონცეფციის შესახებ.

მაგალითად, თუ მიმდინარე წლის მოგება შეიცავს შემოსავალს ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან (თუნდაც მათი შემდგომი არაფინანსირების) შენატანების ეს ნაწილი შემდგომ წლებში არ განმეორდება. მაშასადამე, სწორი იქნება ვუწოდოთ წმინდა მოგება გაგრძელებული ოპერაციებიდან განგებო შენატანების გარეშე და არა უბრალოდ წმინდა მოგება.

საბრუნავი აქტივების მართვა. თუ ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიში ადასტურებს საბრუნავი აქტივების ზრდას (ნაღდი ფულის ხარჯვას), ანალიტიკოსმა უნდა გაარკვიოს, პრიორიტეტულია თუ არა ასეთი ზრდა ამონაგებას გაღიდებასთან, თუ საქმე ეხება მარეთის ნაკლოვანებებს ან ფირმის სტრატეგიის შეცვლას. თუ კომპანიის საბრუნავი აქტივები შემცირდა (ნაღდი ფულის წყარო), უნდა დაზუსტდეს, ასახავს თუ არა ეს ამონაგების შემცირებას, თუ ეს ხელმძღვანელობის შეგნებული გადაწყვეტილებაა, შეცვალოს მიდგომა ამ ჯგუფის აქტივების მართვისადმი.

თუ კომპანიამ შეცვალა მართვის სტრატეგია ამ ჯგუფის აქტივებისადმი, უნდა დაერწმუნდეთ, რომ კომპანიას შეუძლია გაატარის ახალი სტრატეგია. თუ არა, მაშინ გამონთავისუფლებული სახსრები დროებითი ღონისძიებაა, რომელიც მომავალში კორექტირებული უნდა იყოს.

§ 4. ფულადი სახსრების ნაკადების ინფორმაციის ანალიზის პროცესში გასათვალისწინებელი მომენტები

შრომის წინა ნაწილში უკვე განვსაზღვრეთ ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების შედგენის და აგრეთვე ამ მონაცემების ანალიტიკოსის მიერ გამოყენების პრინციპები. ახლა ყურადღებას უშუალოდ ანალიზზე შეეაჩერებთ, ყურადღებას გავამახვილებთ მათ მნიშვნელობაზე ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზირებისათვის.

ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი ანალიზის დროს ყველაზე მნიშვნელოვანია ბოლო წლების მონაცემების განხილვა, რადგან მათში ასახულია ყველაზე ახალი სიტუაციები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეურნეო მოელენებისათვის დამაბნეველია სწრაფი მონაცვლეობა, სწორედ ამიტომ ყველაზე ბოლო გამოცდილება გაგვიწევს ღირ დახმარებას მომავალი შეღეგების პროგნოზში. მაგრამ აქვე საჭიროსთით უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ფულადი სახსრების პროგნოზირებისათვის აუცილებელია ანალიტიკოსმა განიხილოს რაც შეიძლება მეტი წლების ინფორმაცია, ამას

უღიდესი მნიშვნელობა აქვს ფირმის ბიზნეს-გეგმის შედგენისათვის და განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება პროდუქციის გამოშვების პროგრამის მოდერნიზაციას, მუშა კაპიტალის გაზრდას და სხვა.

ამგვარად, იმისათვის, რომ ანალიტიკოსმა შეძლოს ხელმძღვანელობის გეგმების რეალური შეფასება და მათი განხორციელების შესაძლებლობანი, მან უნდა გააანალიზოს რამდენიმე წლის მონაცემები. ამ გზით შეიძლება მივიღოთ უფრო სრული წარმოდგენა ხელმძღვანელობის ფინანსური „ტრაექტორიების“ შესახებ და შევაფასოთ ისინი.

რადგან საწარმოთა პირობები მკვეთრად განსხვავდებიან, განხილული ანალიზის საფუძველზე შეიძლება რამდენიმე სასარგებლო განზოგადებული დასკვნა გავაკეთოთ:

პირველ რიგში, ანალიტიკოსმა უნდა დაადგინოს თუ რა იყო ფულადი საშუალებების მთავარი წყაროები ბოლო წლებში და ძირითადი მიზნები, რისთვისაც მიმართული იყო ეს ფულადი სახსრები. ამისათვის საჭიროა სახსრების სტრუქტურის დადგენა დინამიკაში და მათი შედარება 5-10 წლის მანძილზე, რადგან ერთი საანგარიშგებო პერიოდი ძალიან მცირეა საფუძვლიანი დასკვნების გაკეთებისათვის.

ფულადი სახსრების წყაროების და მათი გამოყენების მიმართულებების შეფასების დროს ანალიტიკოსმა ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ საკითხებზე: შეუძლია თუ არა წარმოებას დააფინანსოს ძირითადი ხარჯები საწარმოში დაგროვილი ფულადი საშუალებების ხარჯზე? რა დონეზეა დამოკიდებული საწარმო გარე წყაროების მხრიდან დაფინანსებაზე? ხშირია თუ არა ამის საჭიროება და როგორი ფორმით ხორციელდება?

ანალიზის შედეგებმა უნდა მოგვცეს პასუხი, თუ რომელი მიზნების მისაღწევად უნდა ჩადოს სახსრები ან სად შეამციროს დაბანდება; რომელი წყაროდან აიღებს დამატებით ფულად სახსრებს და რა დონეზე შეამცირებს მოთხოვნილებებს საწარმოს მიმართ. გარდა ამისა, ანალიზი საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ და დავადგინოთ იმ ფულადი სახსრების სტრუქტურა, რომელსაც სამეურნეო საქმიანობის შედეგად ეიღებთ, დავადგინოთ მათი განაწილება და სტაბილურობის დონე.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ფულადი საშუალებების წრებრუნვაში ჩართულია როგორც მატერიალური, ისე შრომითი და ფულადი რესურსები, მათი გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში. იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სწრაფად მივიღოთ მოგება და თანაც მზარდი სახით, საჭიროა ამ ნაკადების და მათი წრებრუნვის თითოეული დეტალის სისტემატური და სისტემური ანალიზი.

ფულადი სახსრების მოძრაობის დახასიათებისათვის გამოიყენება ფულადი სახსრების ნაკადების საკმარისობის კოეფიციენტი. ამ კოეფიციენ-

ტის მეშვეობით აღგენენ იმ ფულადი სახსრების საკმარისობის დონეს, რომელსაც საწარმო ღებულობს სამეურნეო საქმიანობის შედეგად, რათა დაფაროს ხარჯები კაპიტალის ანაზღაურებაზე, სუფთა ინვესტიციებზე და ნაღდ დივიდენდებზე. ეკონომიკური ციკლების შემოქმედების ასაცილებლად კოეფიციენტის გამოთვლისას იღებენ რამდენიმე წლის შედეგს (5...). კოეფიციენტს შემდეგი სახე აქვს:

$$K = \frac{\text{სამეურნეო საქმიანობის 5 წლის შედეგი (საშ. თანხა)}}{\text{თანხა კაპიტალის ანაზღაურებაზე, მარაგების ზრდაზე და ნაღდ დივიდენდებზე 5 წლის მანძილზე}}$$

კოეფიციენტის სიდიდე როდესაც „1"-ის ტოლია, გვიჩვენებს, რომ საწარმომ დაფარა თავისი მოთხოვნილებანი დამატებითი წყაროების გარეშე. კოეფიციენტს 1-ზე დაბლა დაწევის შემთხვევაში იგულისხმება, რომ შიდა წყაროები საკმარისი არ არის დივიდენდების გაცემისა და საწარმოს ზრდის დონის შესანარჩუნებლად.

ყოველივე ზემოთ თქმული ადასტურებს თანამედროვე მეცნიერ-ეკონომისტების აბრს იმის შესახებ, რომ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმის გაგებისათვის არაფერს არა აქვს უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე ნათელ წარმოდგენას ფულის ნაკადების დინებაზე. იმისათვის კი, რომ უშეცდომოდ ვმართოთ ფულადი რესურსები წარმოებაში, პირველხარისხოვანი როლი ენიჭება ფულადი ნაკადების ოპერატიული აღრიცხვისა და ანალიზის მაღალ დონეზე დაყენებას.

თავი XX.

ლიკვიდურობისა და გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის ანალიზის საკითხები

§ 1. ლიკვიდურობის არსი და მისი ანალიზური მნიშვნელობა

სიტყვა „ლიკვიდური" ლათინურია და ნიშნავს თხევადს, მომდინარეს. ეკონომიკური ტერმინოლოგიის მიხედვით: ა) „ლიკვიდური" ნიშნავს ისეთ აქტივებს, რომელთა განაღდება, ფულად ქცევა აღვილად შეიძლება; ბ) „ლიკვიდურობა" ნიშნავს ფირმის, კომპანიის ან ბანკის უნარს, დროულად

შეასრულოს თავის ვალდებულებანი ვალების გასაღების თაობაზე; გ) „ლიკვიდური სახსრების“ ქვეშ იგულისხმება ფასიანი ქაღალდები, ვექსილები და სხვა; დ) „ლიკვიდურობის დონეს“ ახასიათებს აღებულად რეალიზებადი აქტივების ხვედრითი წონა, კრედიტების ოპერატიული მობილიზაციის შესაძლებლობა, დროის მიხედვით აქტივებისა და პასივების ბალანსირება, მატერიალურ ფასეულობათა ნაღდ ფულად გადაქცევის სიადვილე.

ტერმინები „ლიკვიდურობა“ და „გადახდისუნარიანობა“ თეორიასა და პრაქტიკაში თითქმის ანალოგიური ცნებებია. „გადახდისუნარიანობა“ არის საწარმოს (ფირმის) უნარი სრულად და დროულად შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობენ საანგარიშსწორებო, საკრედიტო ან საგადასახადო ხასიათის ოპერაციებიდან. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ „ლიკვიდურობის“ და „გადახდისუნარიანობის“ მაჩვენებლების ანალიზის მეთოდიკა იდენტურია.

საწარმოს გადახდისუნარიანობის (ლიკვიდურობის) მაჩვენებლები ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია, რამდენადაც იგი სინთეზურად გვიხასიათებს ობიექტის ფინანსური მდგომარეობის ხარისხს. საწარმოს გადახდისუნარიანობის ანალიზი საინტერესოა როგორც საწარმოსათვის, ისე გარეშე კლიენტებისათვის: ინვესტორებისათვის, კრედიტორებისათვის, მომხმარებლებისათვის, მთავრობებისა და მათი უწყებებისათვის. შესაბამისად, გადახდისუნარიანობის ანალიზი საწარმოსათვის ხორციელდება როგორც ფინანსური ანგარიშგების მონაცემების, ისე სამმართველო ინფორმაციის საფუძველზე. რაც შეეხება გარე ანალიზს, იგი ხორციელდება მხოლოდ საჯარო ინფორმაციის საფუძველზე. რადგან შრომის ამ ნაწილში ვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ანალიზს, ძირითადად ვეყრდნობით საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციას.

საწარმოს (ფირმის) ან ბანკის უნარს, გადააქციოს აქტივები ნაღდ ფულად ან მიიღოს ნაღდი ფულადი სახსრები ბიზნესის პროცესში, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლიკვიდურობის ანალიზი მეტად აქტუალურია და მის მეთოდოლოგიურ სრულყოფას დიდი ყურადღება ექცევა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში წინა პლანზეა წამოწეული საანგარიშსწორებო დისციპლინა, რამდენადაც ცნობილია, რომ მისი დარღვევა ამა თუ იმ სფეროში ექვემდებარება ფინანსურ სანქციებს, საურავებს, ჯარიმებს, რაც ხშირად გადახდისუუნაროს ხდის ფირმას, ბანკს და სხვა.

ზოგადად, ლიკვიდურობის დადგენისათვის აუცილებელია ანგარიშსწო-

რების და დაფარვის რიგითობის დაცვის წესების გათვალისწინებით, საწარმოს განკარგულებაში არსებული სწრაფი ლიკვიდები დაუპირისპირდეთ მოკლევადიან ვალდებულებებს. მათი ტოლობა გვიჩვენებს, რომ მოცემულ მომენტში ფირმა გადამხდელუნარიანია, ლიკვიდურობის კოეფიციენტი უდრის „1“-ს. როდესაც ფირმის „ლიკვიდები“ მეტია ვალდებულებებზე, ე. ი. კოეფიციენტი 1-ს აღემატება, ამ შემთხვევაში ფირმის მდგომარეობა უკეთესია და პირიქით, თუ ეს კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია. ლიკვიდურობის ანალიზისათვის ინფორმაცია მოცემულია ბალანსში; ბალანსის აქტივში მიმდინარე აქტივები ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით პირობითად იყოფა სამ ჯგუფად: 1. ლიკვიდური საშუალებების ყველაზე მეტად მობილური ნაწილი – ფულადი სახსრები, მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებანი სხვა საწარმოებში, ფასიან ქაღალდებში, ობლიგაციებში და სხვა. 2. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება მზა პროდუქცია, მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნები, მიღებული თამასუქები და სხვა დებიტორული დავალიანებანი. 3. მესამე ჯგუფს მიეკუთვნება საწარმოო მარაგები და დაუმთავრებელი წარმოება.

მიმდინარე აქტივების კლასიფიკაციის შესაბამისადაა დაყოფილი საწარმოს საგადასახლელო ვალდებულებებიც, რომლებიც ასახულია ბალანსის პასივში: 1. ვალდებულებანი, რომლის დაფარვის ვადა ლადგა; 2. ვალდებულებანი, რომელთა დაფარვის ვადა უახლოეს დროში უნდა მოხდეს და 3. შედარებით გრძელვადიანი ვალდებულებანი.

ანალიზის პროცესში უნდა განისაზღვროს მიმდინარე და პერსპექტიული გადახდისუნარიანობა, ზემოთ მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით.

განვითარებულ ქვეყნებში ლიკვიდობის საშუალოწლიური მაჩვენებლები დარგების მიხედვით ქვეყნდება სპეციალურ გამოცემებში, ხოლო ცალკეული ფირმების ლიკვიდობის მაჩვენებლები ფირმის წლიური ანგარიშის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. წლიურ ანგარიშში მოცემულია მისი როგორც მნიშვნელობა, ასევე შეღარება დარგში ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტს ზოგჯერ საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტს ან დაფარვის კოეფიციენტსაც უწოდებენ.

სასწრაფო ლიკვიდობის კოეფიციენტი გამოითვლება ლიკვიდური საშუალებების (აქტივების) შეფარდებით მოკლევადიან დავალიანებასთან და გვიჩვენებს, შეუძლია თუ არა ფირმას მოცემულ მომენტში სასწრაფოდ დაფაროს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები.

ამ კოეფიციენტის მნიშვნელობის გამოანგარიშებისას გამოიყენება ლიკვიდური საშუალებების ღირებულების გამოთვლის რამდენიმე მეთოდი.

$$\text{I.}\quad \frac{\text{ფულადი საშუალებები + ადვილად რეალიზებული ფასიანი ქაღალდები + წმინდა დებიტორული დავალიანება}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$$

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს საბრუნავი კაპიტალის ყველაზე ლიკვიდური ნაწილის, ფულადი საშუალებების, ადვილადრეალიზებადი ფასიანი ქაღალდების და წმინდა დებიტორული დავალიანების შეფარდებას მოკლევადიან ვალდებულებებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ მრიცხველში არ გაითვალისწინება სასაქონლო-მატერიალური მარაგები, როგორც საბრუნავი ფონდების ყველაზე ნაკლებლიკვიდური ნაწილი.

გამოანგარიშების მეორე წესი პირველის ანალოგიურია იმ განსხვავებით, რომ აქ საბრუნავი ფონდების ყველაზე ლიკვიდური ნაწილის ღირებულების განსაზღვრა ხდება საბრუნავი საშუალებების ღირებულებიდან სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულების გამოკლებით.

$$\text{II.}\quad \frac{\text{მიმდინარე აქტივები (საბრუნავი ფონდები) — სასაქონლო-მატერიალური მარაგები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$$

კოეფიციენტის გამოთვლის მესამე მეთოდი მაღალლიკვიდურ აქტივებს არ მიაკუთვნებს დებიტორულ დავალიანებასა და სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს. ამ მეთოდით სასწრაფო ლიკვიდობის კოეფიციენტის გამოანგარიშება ხდება ფორმულით:

$$\text{III.}\quad \frac{\text{ფულადი საშუალებები + ადვილადრეალიზებადი ფასიანი ქაღალდები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$$

სასწრაფო ლიკვიდობის კოეფიციენტის მნიშვნელობა, მიუხედავად გამოთვლის მეთოდისა, უნდა მერყეობდეს 1-დან 2-მდე.

ფულადი საშუალებების შემოსავლის მაჩვენებელი ახასიათებს მიმდინარე ოპერაციებიდან ფულადი საშუალებების შემოსვლას სალაროში და საბანკო ანგარიშზე, მის თავისდროულობას და დებიტორული დავალიანების დაფარვის მოცულობას. შეისწავლება ფირმის განკარგულებაში არსებული ფულადი საშუალებების მოცულობის ცვლილება და ასევე მისი სტრუქტურაც.

§ 2. მუშა კაპიტალის ცნება

მუშა კაპიტალი ლიკვიდურობის მაჩვენებლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია. მუშა (თავისუფალი) კაპიტალის ოდენობა გაიანგარიშება სხვადასხვაობით მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის. მიმდინარე აქტივების შედმეტობას ზოგჯერ სუფთა მუშა კაპიტალსაც უწოდებენ, ვინაიდან ბიზნესმენების ნაწილი „მიმდინარე აქტივებს" განიხილავენ მუშა კაპიტალის ხარისხში, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია. იმ შემთხვევაში კი, როცა „მიმდინარე ვალდებულებანი" აჭარბებენ მიმდინარე აქტივებს, ამბობენ, რომ ადგილი აქვს მუშა კაპიტალის დეფიციტს, რაც ცუდ ფინანსურ მდგომარეობაში აყენებს ფირმას.

რამდენადაც კრედიტორები, ინვესტორები და სხვა დაინტერესებული პირები „მუშა კაპიტალის" სიდიდეს, როგორც ლიკვიდურობის და გადამხდელუნარიანობის მაჩვენებელს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ზოგიერთი ფირმა, ვისაც უნდა საიმედოდ მოაჩვენოს თავი მიმდინარე მდგომარეობით, აფართოებს მიმდინარე აქტივებში შესატან ელემენტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ანალიტიკოსმა საფუძვლიანად უნდა შეამოწმოს ეს ჩამონათვალი და დააზუსტოს მისი სიდიდე.

მიმდინარე აქტივები. მიმდინარე აქტივების ქვეშ იგულისხმება ფულადი სახსრები, ფულის ექვივალენტები (დროებითი ფინანსური დაბანდება), ლებიტორული დავალიანება, ეექსილები, მარაგები და სხვა აქტივები, რომლებიც წლის განმავლობაში ნავარაუდევია ნაღდ ფულად გადასაქცევად.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ზოგადად ჩამოყალიბებულია მიმდინარე აქტივების სიდიდის განსაზღვრის პირობები საწარმოო-კომერციული ციკლის მიხედვით, რომელიც ძირითადად ემთხვევა კალენდარულ წელს; გათვალისწინებულია სპეციფიკური დარგების კომერციული ციკლი, სადაც მარაგების შენახვა რამდენიმე წლის განმავლობაში წარმოებს ტექნოლოგიური პროცესის დაცვით (მეღვინეობა, კონიაკის წარმოება, ხე-ტყის წარმოება...). ასეთ დარგებში მიმდინარე აქტივების დადგენა თავისებურ მიდგომას მოითხოვს, რაც ანალიტიკოსმა უნდა გაითვალისწინოს.

ფულადი სახსრები მიმდინარე აქტივების ძირითადი შემადგენელი ნაწილია, რამდენადაც მიმდინარე ვალდებულებანი ძირითადად ფულადი ფორმით იფარება, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით. მაგრამ ფულადი სახსრების ის ნაწილი, რომელიც დარეზერვირებულია სპეციმიზნებისათვის, როგორიცაა საწარმოო ბაზების განვითარება, სოციალური

განვითარება და სხვა საკომპენსაციო თანხები, არ უნდა განიხილებოდეს მიმდინარე აქტივების ხარისხში და არ შეიძლება ჩაითვალოს „თავისუფალ“ ფულად სახსრებად.

ფულადი სახსრების ექვივალენტები წარმოადგენენ დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ღებანდებს მოგების მიღების მიზნით. მსგავსი დებანდებანი უნდა იყოს მოკლევადიანი და საიმედო. ეს იქნება გარანტია იმისა, რომ აუცილებლად გადაიქცევა ფულად სახსრებად. ანალიტიკოსი კრიტიკულად უნდა აფასებდეს მსგავს ინვესტიციებს.

დებიტორული დავალიანება – თანხა, რომელიც ეკუთვნის კრედიტორს მისი მოვალისაგან (დებიტორისაგან). პრაქტიკაში დებიტორული დავალიანება ეს არის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან სამეურნეო ოპერაციების შედეგად წარმოშობილი დაუფარავი ვალი. დებიტორული დავალიანება, როგორც წესი, იფარება საანგარიშგებო წლის განმავლობაში, მაგრამ წარმოიქმნება უიმედო დებიტორული დავალიანებაც. ამრიგად, დებიტორულ დავალიანებას რომ გამოვაკლებთ უიმედო ვალებს, მივიღებთ მიმდინარე აქტივებში ჩასართავ სიდიდეს.

ანალიტიკოსმა დეტალურად უნდა შეამოწმოს დებიტორული დავალიანების მაჩვენებელი, განსაკუთრებით რთულ რეალიზაცია ხორციელდება კონსიგნაციის პირობებით ან საქონლის უკან დაბრუნების უფლების გათვალისწინებით.

მარაგები მიეკუთვნება მიმდინარე აქტივებს, გარდა იმ მარაგებისა, რომლებიც აჭარბებენ მიმდინარე მოთხოვნილებებს. ასეთი მარაგების სიჭარბე (ნორმიდან გადახრა) უნდა აისახოს ცალკე და გამოიყოს იმ მარაგისაგან, რომელიც მიეკუთვნება აქტივებს. პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები სშირია. ანალიტიკოსმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს ეს შემთხვევები და დაადგინოს მიზეზები. ანალიტიკოსმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მარაგების შეფასების პრინციპს. მაგალითად, მარაგების შეფასებამ ЛИФО-ს მეთოდით შეიძლება გამოიწვიოს მუშა კაპიტალის მნიშვნელოვანი შემცირება.

§ 3. მიმდინარე პასივები – მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებანი

მიმდინარე პასიევები ის ვალდებულებებია, რომლებიც იფარება ძირითადად არსებული მიმდინარე აქტივების ხარჯზე, ან სხვა შექმნილი მიმდინარე პასივების ანგარიშიდან. პრაქტიკაში მიმდინარე პასივებს მიეკუთვნება:

1. კრედიტორული დავალიანება;
2. ვექსილები გასანაღდებლად;
3. მოკლევადიანი საბანკო ან სხვა სესხები;
4. გადასახადები და სხვა დარიცხვები;
5. გრძელვადიანი დავალიანების წილი, რომელიც ექვემდებარება მ.წ. გადახდას.

მიმდინარე პასივების ეს მუხლები არ საჭიროებს შემდგომ დაზუსტებას. მაგრამ, როგორც მიმდინარე აქტივების შემთხვევაში, ანალიტიკოსმა არ შეიძლება იგულისხმოს, რომ მიმდინარე პასივები ყოველთვის სწორად იქნება კლასიფიცირებული. განვითარებული ქვეყნების თანამედროვე პრაქტიკით, მიმდინარე ვალდებულებანი, რომლებიც გათვალისწინებულია რეფინანსირებისათვის, არ მიაკუთვნებენ მიმდინარე პასივებს.

დაფარვის კოეფიციენტი. მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე პასივების შედარება ხდება აბსოლუტურ მაჩვენებლებში და გვიჩვენებს მათ ბალანსურ დამოკიდებულებას:

(ლარებში)

მაჩვენებლები	კომპანია „ა“	კომპანია „ბ“	გადახრა
1. მიმდინარე აქტივები	400.000	350.000	–50.000
2. მიმდინარე პასივები	150.000	200.000	+50.000
3. მუშა კაპიტალი (სტ. 1–სტ. 2) (საბრუნავი კაპიტ.)	250.000	150.000	–100.000

მუშა (საბრუნავი) კაპიტალის აბსოლუტური სიდიდის განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ისეთ მონაცემებთან შედარების დროს, როგორიცაა რეალიზაციის მოცულობა, აქტივების ჯამი. ეს სიდიდე უკეთეს შემთხვევაში შეზღუდულად სასარგებლოა „მუშა კაპიტალის“ საკმარისობის შეფასებისას და სხვა კომპანიების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებისათვის. ცხრილის მონაცემების წყვილადური შედარებით შეიძლება ითქვას, რომ „ა“ კომპანიას „ბ“ კომპანიასთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს.

ლიკვიდურობის დახასიათების კარგ ინფორმაციას იძლევა „დაფარვის კოეფიციენტი“, რომელიც გაიანგარიშება „მიმდინარე აქტივების“ შეფარდებით „მიმდინარე პასივებთან“:

ცხრილის მონაცემების მიხედვით:

$$\text{„ა“ კომპ. დკ} = \frac{400.000}{150.000} = 2,6;$$

„ბ" კომპ. დკ = $\frac{350.000}{200.000}$ = 1,7; 2,6 — 1,7 = 0,9


როგორც გაანგარიშებიდან ჩანს, „ა" კომპანიის დაფარვის კოეფიციენტი 0,9-ით აღემატება მეორეს.

დაფარვის კოეფიციენტის ანალიზური მნიშვნელობა ნათელია:

1. ის განსაზღვრავს იმ ხარისხს, რომლითაც მიმდინარე აქტივები ფარავენ მიმდინარე პასივებს. რამდენადაც მეტია მიმდინარე აქტივების ოდენობა მიმდინარე პასივებთან შედარებით, იმდენად მეტია თავდაჯერებულობა იმაში, რომ პასივები დროულად იქნება დაფარული ამ აქტივების ხარჯზე.

2. მიმდინარე აქტივების ნაკლებობა პასივებზე უბრუნველყოფს სარეზერვო მარაგს მარაგის კომპენსაციის დროს, რომელიც შეიძლება განიცადოს ფირმამ. აქედან გამომდინარე, დკ განსაზღვრავს უსაფრთხოების ზღვარს მოსალოდნელი „ჩავარდნების" პირობებში. მაგრამ მიუხედავად დკ დიდი მნიშვნელობისა, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ მის თეორიულ და პრაქტიკულ ნაკლოვანებებსა და შეზღუდვებზე. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

დაფარვის კოეფიციენტის კლებისას, პირველ რიგში, შესწავლილი უნდა იქნეს ამ კოეფიციენტის გაანგარიშებაში შეუმავალი ელემენტები (სქემა № 1)



ამრიგად, როგორც სქემიდან ჩანს, დკ-ზე გავლენას ახდენს მიმდინარე აქტივების სამი მთავარი ელემენტი და მიმდინარე პასივები. ანალიზის პროცესში საშუალება მოგვეცემა გამოვითვალოთ თითოეული ელემენტის ცვალებადობის. გავლენის სიდიდე დაფარვის კოეფიციენტზე. გაანგარიშებისათვის უნდა გამოვიყენოთ ელიმინირების პრინციპი. დაფარვის კოეფიციენტის ანალიზი საშუალებას გვაძლევს სტატიკურ მდგომარეობაში შევაფასოთ მოცემული ფირმის ლიკვიდურობა და თანაც დავაკონკრეტოთ დაფარვის კოეფიციენტზე მოქმედი თითოეული ფაქტორის გავლენის სიდიდე. ეს ინფორმაცია ფრიად მნიშვნელოვანია, მაგრამ ფირმის ლიკვიდურობის პროგნოზირებისათვის აუცილებელია ფულადი ნაკადების შესწავლა, რისთვისაც საჭიროა ისეთი ელემენტების გამოკვლევა, რომლებიც ამ სქემაში შეყვანილი არ არიან: რეალიზაციის მოცულობა, დანახარჯები, მოგება, ფასები, გადასახადები. ეს საკითხები ცალკე განიხილება.

დაფარვის კოეფიციენტის დამატებითი მაჩვენებლები

იმისათვის, რომ ანალიტიკოსმა საქმიანი დასკვნები გააკეთოს დაფარვის კოეფიციენტის შესწავლისას, მან ყურადღებით უნდა შეისწავლოს მაჩვენებლების მთელი რიგი, რომლებიც იძლევიან იმის საშუალებას, რომ დაადგინოთ რა სიჩქარით შეიძლება გადაიდეს მიმდინარე აქტივები ფულად ფორმაში. რაც უფრო მეტია მიმდინარე აქტივების ჯამში ფულადი სახსრები და ფულადი აქტივები, მით უფრო მაღალია ფირმის ლიკვიდურობის კოეფიციენტი. ამ მდგომარეობის დახასიათებისათვის ანგარიშობენ ფულადი და მიმდინარე აქტივების თანაფარდობის კოეფიციენტსაც (თკ):

რაც უფრო მაღალია კოეფიციენტი, მით მეტი შანსი აქვს ფირმას ფულადი სახსრებით დაფაროს ვალდებულებანი.

გარდა ამისა, არსებობს ორი ძირითადი ელემენტი, რომლებიც უნდა შესწავლილი (გაზომილი) იქნან მანამდე, სანამ დაფარვის კოეფიციენტი გამოყენებული იქნება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად:

$$\text{თკ} = \frac{\text{ფულადი სახსრები} + \text{ფულადი აქტივები}}{\text{მდინარე აქტივები}}$$

1. მიმდინარე აქტივების ხარისხი და მიმდინარე პასივების ხასიათი, რომლებმაც ამ კოეფიციენტის გაანგარიშებაში მიიღეს მონაწილეობა;

2. ამ აქტივებისა და პასივების ბრუნვის დრო, ე. ი. დროის საშუალო მონაკვეთი, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ დებიტორული დავალიანება და მარაგები გადაიქცეს ფულად.

რამდენადაც დებიტორული დავალიანების სიდიდე მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში მაღალი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი, პირველ რიგში, აუცილებელია მისი ბრუნვადობის შესწავლა.

§ 4. დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი

დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი გამოითვლება შეფარდებით, რომლის მრიცხველშია კრედიტით გაყიდული საქონლის მოცულობა, მნიშვნელში კი – საშუალო დებიტორული დავალიანება.

საშუალო დებიტორული დავალიანების გაანგარიშებისათვის ვიყენებთ ყველაზე მარტივ ხერხს: დებიტორული დავალიანების ნაშთებს პერიო-

დის დასაწყისისათვის და დასასრულისათვის ვაჯამებთ და მიღებულ სიდიდეს ვყოფთ ორზე. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რაც უფრო მოკლეა საანალიზო პერიოდი, მით უფრო ზუსტია ეს მაჩვენებელი (დეკადის, თვის, კვარტლის), და თანაც მაშინ, როცა რეალიზაციის მაჩვენებლები მკვეთრად ცვალებადია.

საშუალო დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ საშუალოდ რამდენჯერ ბრუნავს წლის განმავლობაში დებიტორული დავალიანება, ე. ი. რამდენჯერ წარმოიქმნება და იფარება.

მაგალითად, თუ ფირმის კრედიტით გაყიდული საქონლის მოცულობა შეადგენს 240.000 ლარს, დებიტორული დავალიანების ნაშთი წლის დასაწყისში 90.000 ლარს, წლის ბოლოსათვის 30.000 ლარს, ფორმულის მისედვით დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის საშუალო მაჩვენებელი ასე გამოითვლება:

$$K = 240.000 : \frac{90.000 + 30.000}{2} = 4$$

ამ გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 4-ს. ე. ი. 4-ჯერ ხდება დავალიანების შემობრუნება. იმისათვის კი, რომ გავიგოთ რამდენი დღე სჭირდება ერთ შემობრუნებას, საჭიროა გამოვთქვალოთ „ინკასაციის კოეფიციენტი". იგი გაიანგარიშება შეფარდებით:

$$K \text{ ინ.} = \frac{\text{საანგარიშგებო პერიოდი (360 დღე)}}{\text{ბრუნვადობის კოეფიციენტი (4)}} = 90 \text{ დღე}$$

ამრიგად, როგორც ჩანს, ფირმაში დებიტორული დავალიანების ინკასაციის პერიოდი 90 დღეა.

იმისათვის, რომ შევაფასოთ მოცემული ფირმის ლიკვიდურობის ხარისხი, საჭიროა ჩვენს მიერ გაანგარიშებული ლიკვიდურობის მაჩვენებლები შევუდაროთ ამავე ფირმის ანალოგიურ მაჩვენებლებს გასული პერიოდის, პროგნოზულს და დარგობრივს.

როდესაც ვადარებთ ინკასაციის პერიოდს საწარმოს მიერ გათვალისწინებულ რეალიზაციის პირობებს, ამით ვაფასებთ მყიდველის გადახდის დროულობას. მაგალითად, თუ რეალიზაციის პირობების თანახმად გადახდის ვადა 30 დღეა, ხოლო ინკასაციის საშუალო პერიოდი 65 დღე, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით:

1. დავალიანების არაეფექტური ამოღება;

2. სიმნელეები გადახდასთან დაკავშირებით, მიუხედავად ინკასირების პირობებისა;

3. მყიდველის ფინანსური სიმნელეები.

პირველი მიზეზის აღმოსაფხვრელად საწარმომ უნდა გააგაროს სიტუაციის გამოსავალსაღებელი ღონისძიებები. დანარჩენი ორი მიზეზი ძლიერ მოქმედებს ლებიტორული დავალიანების საიმედობაზე და ინკასაციაზე, ამიტომ საჭიროა მათი ლეტალური გაანალიზება. უნდა ჩატარდეს ლებიტორული დავალიანების ანალიზი ეალებისა და სტრუქტურის მიხედვით. ინკასაციის პერიოდის ანალიზის ყველაზე მნიშვნელოვანი ხერხია ლებიტორული დავალიანების შესწავლა პერიოდების მიხედვით. ლებიტორული დავალიანების ანალიზი ვადების მიხედვით (0–30 დღე, 31–60 დღე, 61–90 დღე, 90 დღეზე მეტით) საშუალებას მოგვცემს გავაკეთოთ რეალური დასკვნები ლებიტორული დავალიანების ლიკვიდურობის შესახებ და ჩამოვაყალიბოთ საქონლის რეალიზაციის (კრედიტით) უკეთესი პირობები: ბაზარში ახალი პროდუქციის ჩართვით; როდესაც რეალიზაცია ხდება დამატებითი ძალების გამოყენებით; თუ კონკურენცია ამ დარგში განსაკუთრებული სიტუაციით მიმდინარეობს, ინკასირების პერიოდის შეცვლა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოთ ლებიტორული დავალიანების ლიკვიდურობის შეფასებისას.

§ 5. მარაგების ბრუნვადობის მაჩვენებლები

მიმდინარე აქტივების სტრუქტურიდან ჩანს, რომ „მარაგები" წარმოადგენენ მის ძირითად ნაწილს. მარაგების ცნების ქვეშ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაერთიანებულია სხვადასხვა სახის ლიკვიდური აქტივები, რომლებიც ერთმანეთისაგან ფავიანთი ეკონომიკური შინაარსით განსხვავდებიან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მარაგების ანალიზის დროს დეტალურად უნდა შეისწავლოთ მარაგების ბრუნვადობა და მისი გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ლიკვიდურობაზე.

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი ზოგადად განსაზღვრავს საშუალო სიჩქარეს, რა დროშიც მარაგები გადაიქცევიან საქონლად, ფულად...

იმისათვის, რომ გავიანგარიშოთ მარაგების ბრუნვადობის საშუალო მაჩვენებელი, საჭიროა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება გავყოთ მარაგების საშუალო სიდიდეზე. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ გაანგარიშების დროს მაჩვენებლები დაყვანილი იქნას შესაღარისობამდის. ანალიტიკოსმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მარაგის სტრუქტურაზე და მათი შეფასების მეთოდებზე.

მარაგები შენახვის რისკის გამო ითვლება მიმდინარე აქტივების ყველაზე მცირე ლიკვიდურ კომპონენტად, თუმცა ეს არ არის ყოველთვის სამართლიანი. დაფარვის კოეფიციენტის შეფასებაში უნდა გავითვალისწინოთ მარაგის სიდიდე, შევაფასოთ მისი ხარისხი და აქტივების ლიკვიდურობა.

მარაგის ბრუნვის კოეფიციენტი (K). ანალიზის პროცესში „ბრუნვის მაჩვენებელი" არის საუკეთესო ინსტრუმენტი მიზნის მისაღწევად, რადგანაც იგი განსაზღვრავს მარაგების გადაადგილების პროცესს საწარმოში და მის ფარგლებს გარეთ:

$$K = \frac{\text{რეალიზებული საქონლის თვითღირებულება}}{\text{მარაგის საშუალო სიდიდე}}$$

ლოგიკურად უნდა შევაფასოთ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, რადგან მარაგის შემთხვევაში იგი დაყრდნობილია ხარჯებზე. მეორე შემთხვევაში რეალიზაციის მოცულობაში ჩართულია მოგება. რა თქმა უნდა, თეორიულად ეს იმოქმედებს კოეფიციენტზე, სამაგიეროდ იგი გამოდგება მოგების ცვლილებების ტენდენციის დადგენისათვის.

მარაგების საშუალო სიდიდე გამოითვლება საშუალო არითმეტიკულით: /მარაგი პერიოდის დაწყებისათვის + მარაგი პერიოდის ბოლოსათვის/: 2; მაგრამ საშუალო მარაგების ზუსტი გაგებისათვის უნდა გამოვიყენოთ მონაცემები ყოველთვიური და კვარტალური მარაგების შესახებ.

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტის გამოთვლისას ანალიტიკოსმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მარაგების სტრუქტურაზე და შეფასების მეთოდებზე, რაითა რეალური დასკვნების გაკეთება შეძლოს.

მარაგის ბრუნვის კოეფიციენტი დღეებში. ეს კოეფიციენტი სასარგებლოა ყიდვის პოლიტიკის შეფასებისათვის. იგი გაიანგარიშება შეფარდებით: 360 დღე / მარაგის საშუალო ბრუნვაზე; იგი გვიჩვენებს დღეების რაოდენობას, რომელიც სჭირდება საშუალო მოცულობის მარაგის გაყიდვას წელიწადში.

განვიხილოთ მაგალითები (ლარ.)

რეალიზაციის მოცულობა	900.000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	60.000
მარაგი პერიოდის დასაწყისისათვის	100.000
მარაგი პერიოდის ბოლოსათვის	200.000

$$\text{მარაგების ბრუნვა დღეებში} = \frac{600.000}{(100.000+200.000) : 2} = 90$$

მარაგების ბრუნება დღეებში: 360 / 4 = 90 დღეს.

გარდა ამ მაჩვენებლებისა, ანალიტიკოსისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე დადგენა იმისა, თუ: ა) რას უდრის დღიური საშუალო რეალიზაციის თვითღირებულება და ბ) რამდენი დღისაა პერიოდის ბოლოსათვის არსებული მარაგები.

ა) ერთი დღის საშუალო რეალიზაციის თვითღირებულება = $\frac{\text{რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება}}{360} = \frac{600.000}{360} = 1667$

ბ) $\frac{\text{(მარაგი პერიოდის ბოლოს) } 200.000}{\text{(დღიური რეალიზაციის თვითღირებულება) } 1667} = 120$ დღე

მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტების ინტერპრეტაცია. დაფარვის კოეფიციენტის გამოთვლისას მიმდინარე აქტივები შეისწავლება როგორც ფულადი სახსრების წყარო, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად. მარაგების ხარისხი კი იძლევა იმის გარანტიას, რომ საწარმომ მათი გამოყენების პროცესში არა თუ არ განიცადოს ზარალი, არამედ მიიღოს მოგება. იმ შემთხვევაში, როცა ბრუნვის დონე დაბალია წინა პერიოდთან ან ღარგის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ მარაგებში ჩართულია ისეთი ელემენტები, რომლებზეც მოთხოვნა არ არის ან არ იყიდება სხვადასხვა მიზეზის გამო. ანალიტიკოსის ვალია ამ მიზეზების შესწავლა და მათი ლიკვიდაციის ღონისძიებების შემუშავება.

მარაგების ბრუნვის უფრო დეტალური შეფასებისათვის საჭიროა გამოვთვალოთ კერძო მაჩვენებლები შემდეგი სახეების მიხედვით: ა) ნელლეული, ბ) დაუმთავრებელი წარმოება, გ) მზა პროდუქცია. მარაგების ხარისხის ზუსტ შეფასებამდე მიგვიყვანს საწარმოს ფილიალებისა და სააქროების მიხედვით ბრუნვადობის მაჩვენებლების გამოთვლა.

მარაგების ბრუნვადობის პერიოდი. ამ გათვლის თანახმად, დებიტორულ დავალიანების ინკასირების პერიოდს უმატებენ მარაგის გასაყიდად საჭირო დღეთა რიცხვს. ზემოთ განხილული მაგალითებიდან გამოდის შემდეგი სურათი:

– მარაგის გასაყიდად საჭირო დღეთა რიცხვი	90 დღე
– დებიტორულ დავალიანებათა ინკასირების დღეთა რიცხვი	60 დღე
– მარაგის ბრუნვის მთლიანი პერიოდი	150 დღე

ამრიგად, 150 დღე – ეს ვადა მარაგის გასაყიდად და დებიტორული დავალიანების დასაფარავადაა საჭირო, მაგრამ იმის შესაფასებლად, თუ ეს

პერიოდი რამდენად მომგებიანია ფირმისათვის, საჭიროა ანალოგიური მაჩვენებლების შედარებით ჭრილში იქნეს განხილული, რათა ჩამოაყალიბოს მარაგების მართვის ალტერნატიული გზები ბრუნვადობის დაჩქარებისათვის.

მომავალი პერიოდის ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომლებიც შემდგომი მოსალოდნელი მოგებით აიხსნება და ერთგვარად წარმოადგენს ფულადი სახსრების დაზოგვის საშუალებას. საერთოდ, ეს თანხები შედარებით მცირეა, ვიდრე დანარჩენი მიმდინარე აქტივები. ანალიტიკოსი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მომავალი პერიოდის ხარჯების შესწავლას, რადგანაც არის შემთხვევები, როდესაც საწარმოს ვერ აქვს საქმე კარგად და ცდილობს გაადიდოს მომავალი პერიოდის ხარჯები, რათა შემდგომში მოიპოვოს მოგება

მიმდინარე ვალდებულებები

სამუშაო კაპიტალის სიდიდის და მიმდინარე პასივების დაფარვის კოეფიციენტის გამოთვლა საგულისხმოა ორი ძირითადი მიზეზის გამო:

1. ძირითადი მიზანია გაზომოს მიმდინარე აქტივების სიდიდის გადამეტება მიმდინარე ვალდებულებებზე – განსაზღვროს, იფარება თუ არა ბოლო პირველით და როგორი იქნება უსაფრთხო ეს ტოლობა.

2. მიმდინარე ვალდებულებანი გამოითიშება მიმდინარე აქტივებისაგან წმინდა სამუშაო კაპიტალის გამოთვლის დროს.

დაფარვის კოეფიციენტის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ ისეთი ფაქტორების გავლენა, რომელთა შემდგომი შესწავლა საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ მისი გაუმჯობესების გზები.

ანალიზის დროს ყურადღება უნდა გაეამახვილოთ იმ კონკრეტულ სიტუაციებზე, რომლითაც ხასიათდება მიმდინარე ვალდებულებანი დაფარვის დროის მიხედვით: ა) სასწრაფო და ბ) ჩვეულებრივი, და მასთან დაკავშირებით გადასახდელების დიფერენციაცია.

ლიკვიდურობის შეფასების მრავალი კოეფიციენტი გამოიყენება პრაქტიკაში, ანალიტიკოსს შეუძლია მრავალმხრივი ინტერპრეტაციით ჩაატაროს გაანგარიშება და მიაღწიოს მიზანს.

§ 6. გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები და მათი ანალიზი

საწარმოს გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის შეფასება ძირეულად განსხვავდება საწარმოს მოკლევადიანი ლიკვიდურობის შეფასებისაგან. მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის შეფასებისათვის, დროის დიდი მონაკვეთის გამო ნაკლებად სპეციფიურია და განზოგადებული.

საწარმოს გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის შეფასებისას გამოიყოფა რიგი ძირითადი მომენტები, კერძოდ, საწარმოს კაპიტალის სტრუქტურის ანალიზისას განიხილავენ საწარმოს დაფინანსების სხვადასხვა წყაროებს გრძელვადიანი დაბანდებებიდან მოკლევადიან საშუალებებამდე.

გადახდისუნარიანობის შეფასებისათვის გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ არსებობს რისკის სხვადასხვა ხარისხი, დამოკიდებული განსხვავებული აქტივების მიხედვით, რომლებიც საწარმოს გააჩნია.

განასხვავებენ აგრეთვე აქტივებს, რომლებიც წარმოადგენენ კრედიტორთა გარანტიის დამატებით წყაროს, განსაკუთრებული სახის აქტივები, რომლებიც გამოიყენება სესხის უზრუნველსაყოფად და აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ საერთო გარანტიას კრედიტორთათვის.

ხაზგასმით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საწარმოს გადამხდელუნარიანობის ძირითადი გარანტი მაინც არის მოგება, რომელიც წარმოიქმნება კვლავწარმოების პროცესში.

საწარმოს ფინანსური მდგრადობისა და გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების გარდა, კრედიტორები ეყრდნობიან აგრეთვე იმ დაცვით მექანიზმს, რომელიც ჩადებულია საკრედიტო ხელშეკრულებაში ან განსაკუთრებული აქტივების გირავნობაში. ყველა საკრედიტო ხელშეკრულება განსაზღვრავს პირობებს, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორს უფლება აქვს შეაჩეროს დაკრედიტება და ამით აიშოროს თავიდან გედმეტი რისკი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საწარმოში ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობს, მაინც საჭიროა განუწყვეტელი კონტროლი ინვესტირებული თანხების სრულ დაფარვამდე.

კაპიტალის სტრუქტურის მნიშვნელობა. როგორც ცნობილია, საწარმოს კაპიტალი ძირითადად შედგება საკუთარი კაპიტალისა და კრედიტორული დავალიანებისაგან. საწარმოს ფინანსური მდგრადობა და გადახდისუნარიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კაპიტალის სტრუქტურულ შემადგენლობაზე. გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის შეფა-

სებისას მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კრედიტორული დავალიანების და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ არსებობს პასივები და აქტივები, რომლებიც ბუღალტრული კლასიფიკაციით არ შეიძლება ავტომატურად მივაკუთვნოთ დავალიანებას ან საკუთარ კაპიტალს. ანალიზის დროს უნდა შესწავლილი იქნეს მათი წარმოქმნის განსაკუთრებული პირობები და გაელენა საწარმოს გადამხდელუნარიანობაზე. გასათვალისწინებელია აგრეთვე გადავალებული გადასახადების საკითხი, რადგანაც გადავალებული მოგების გადასახადი არ წარმოადგენს ჩვეულებრივ დავალიანებას, რადგან მთავრობა არ უყენებს საწარმოს მოკლე თუ გრძელვადიან მოთხოვნებს. უნდა ვიცოდეთ, როგორ განვიხილოთ გადავალებული ანგარიშები: როგორც დავალიანება თუ როგორც საკუთარი კაპიტალი? ანალიტიკოსმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მას შემდეგ, როცა გაარკვევს გადავალების ხასიათს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნორმალურ მდგომარეობაში ვალდებულებები გადავალებულ გადასახადებზე იქნება განაღდებული, ხოლო როდესაც ფირმის საქმიანობის მასშტაბები მცირდება, როგორც წესი, ასეთ შემცირებას თან ახლავს დასაბეგრი მოგების შემცირებაც და მოცემულ პირობებში გადავალებული გადასახადები ჩამოიწერება გადასახადის გადამხდელის შემცირების აღნიშვნით მომავალ პერიოდებზე და არა ფულადი საშუალებების ანგარიშებზე, რადგანაც განაღდება შესაძლებელია მხოლოდ პერსპექტივაში. გადავალება უნდა განვიხილოთ როგორც გრძელვადიანი ფულადი საშუალებების წყარო, რომელიც კლასიფიკაციით ეკუთვნის საკუთარ კაპიტალს. მეორე მხრივ, თუ არსებობს საკმაო ალბათობა, რომ გადავალებული გადასახადების ანგარიშები ჩამოიწერება, მაშინ ანგარიში ან მისი ნაწილი მიეკუთვნება გრძელვადიან დავალიანებას.

კონვერტირებული დავალიანება, ჩვეულებრივ, კლასიფიცირდება როგორც ვალდებულება. თუ კონვერტაციის პირობებით ხდება დავალიანების ჩვეულებრივ აქციებად გადაქცევა, მაშინ იგი განიხილება როგორც კერძო კაპიტალი და მის სტრუქტურას ცალკე უნდა გაუკეთდეს ანალიზი.

კაპიტალის სტრუქტურის მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს კრედიტორულ დავალიანებასა და კერძო კაპიტალს შორის არსებით განსხვავებაში. კერძო კაპიტალი თავისი არსით წარმოების ძირითადი სარისკო კაპიტალია. მისი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ იძლევა იმ გარანტირებულ მოგებას, რომელიც უნდა გადახდილ იქნას საქმის ნებისმიერად წარმართვის შემთხვევაში.

წარმოების სტაბილურობის გათვალისწინებით, საკუთარი კაპიტალის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი უცვლელია და რჩება არახელსაყრელ პირობებშიც, აქედან გამომდინარე, არ იქნება დივიდენდე-

ბის გაღახლის აუცილებლობა. ამრიგად, ეს ისეთი ფულადი სასყრებია, რომელთა ინვესტირებაც საწარმოს შეუძლია მეტი თავდაჯერებულობით, ნაკლები რისკის ფასად.

იცვლება თუ არა წარმოების კაპიტალის ფასი მისი განსხვავებული სტრუქტურის მიხედვით? ეს პრობლემა ნათლად ჩანს მესამე პირის – კრედიტორის ან ინვესტორის მხრიდან, რადგან მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება რეალურ პირობებში. ეჭვს გარეშეა, რომ კრედიტორი ღიდ რისკზე მიდის, როდესაც კრედიტს გასცემს ისეთ კომპანიაზე, რომელსაც 60% ნასესხები საშუალებები აქვს, და არა ისეთზე, რომელსაც ნასესხები საშუალებები მხოლოდ 20% აქვს...

ფინანსური მდგომარეობის, კერძოდ, გადახდისუნარიანობისა და ფინანსური მდგრადობის დასახასიათებლად, განხილული მაჩვენებლების გარდა, ანალიზის საერთაშორისო პრინციპებით აღიარებულია მრავალი მაჩვენებელი, მათ შორის აღსანიშნავია: ა) საკუთრების კოეფიციენტი,

ბ) ნასესხები კაპიტალის კოეფიციენტი,

გ) ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი,

დ) პროცენტების დაფარვის კოეფიციენტი.

ამ კოეფიციენტების არსი ასეთია:

საკუთრების კოეფიციენტს სამი ვარიანტით ანგარიშობენ. მათი შინაარსი ასეთია:

1) $$\frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ჯამი}}$$

ახასიათებს ფირმის მთლიანი კაპიტალის სტრუქტურაში საკუთარი კაპიტალის ხვედრით წილს. ნორმალურად ითვლება კოეფიციენტის დაახლოებით 60%-ის ტოლი მნიშვნელობა (იაპონიაში იგი არ აღემატება 20%-ს). საკუთრების კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობა მოწმობს კაპიტალის ფინანსური სტრუქტურის სტაბილურობაზე, რაც ფირმას მიმზიდველს ხდის კრედიტორებისათვის და კრედიტების მიღების გარანტიას იძლევა. ამ კოეფიციენტის დაბალი მნიშვნელობა მიუთითებს საერთო კაპიტალში ნასესხები კაპიტალის მაღალ ხვედრით წილზე. ამ შემთხვევაში ფირმის ფინანსური მდგომარეობა დამოკიდებული ხდება საკრედიტო რესურსების ღირებულებაზე, ე. ი. ნასესხებ კაპიტალზე პროცენტის დონეზე.

საკუთრების კოეფიციენტის მეორე ფარდობაა:

2) $$\frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მოკლე და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი}}$$

ახასიათებს საკუთარი და ნასესხები სამუალებების შეფარდებას. ნორმალურად ითვლება მისი 2:1-ის ტოლი მნიშვნელობა, როცა დაფინანსების დაახლოებით 1/3 მოდის ნასესხებ სამუალებებზე.

საკუთრების მესამე კოეფიციენტი კი მიიღება შეფარდებით:

$$3)\ \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{აქტივების საბალანსო ღირებულება}}$$

გვიჩვენებს ფირმის დამოკიდებულებების დონეს დაფინანსების გარე წყაროებზე. რაც უფრო მაღალია ეს შეფარდება, მით უფრო მყარია ფინანსური მდგომარეობა. მისადებად ითვლება კოეფიციენტის 0,5 (50%)-ზე მაღალი მნიშვნელობა.

ბ) ნასესხები კაპიტალის კოეფიციენტი = ნასესხები კაპიტალი / აქტივები

გვიჩვენებს აქტივებში ნასესხები სამუალებების ხვედრით წილს. ნორმალურად ითვლება კოეფიციენტის 0,3-ის ტოლი მნიშვნელობა. ფირმები ესწრაფვიან ამ მაჩვენებლის მაქსიმიზაციას, როცა დარწმუნებულნი არიან, რომ პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები მნიშვნელოვნად გადააჭარბებენ კრედიტებზე გადასახდელი პროცენტების თანხას.

გ) ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი = ნასესხები კაპიტალი / საკუთარი კაპიტალი

ახასიათებს დაფინანსების გარე წყაროებზე ფირმის დამოკიდებულებას. იგულისხმება, რომ დავალიანება არ უნდა აღემატებოდეს საკუთარ კაპიტალს, ე. ი. ეს მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 1-ს. რაც უფრო მაღალია ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით უფრო დამოკიდებულია ფირმა კრედიტორებზე, რომელთაც ფირმა კრედიტებისათვის უხდის პროცენტებს, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ კი დავალიანების მთლიან თანხას. კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობა ფულადი სამუალებების დეფიციტისა და გაჭირების პროცენტული შესაძლებლობების შესახებ მიუთითებს.

დ) პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი = მოგება გადასახადებისა და პროცენტების გადახდამდე / დანახარჯები პროცენტების გადახდაზე

გვიჩვენებს, რა სახსრები გააჩნდა ფირმას საანგარიშგებო წლის განმავლობაში ობლიგაციებსა და სესხებზე პროცენტების გადასახდელად. ასევე ასახავს მოგების შემცირებას პროცენტების დასაფარავად მიმართული თანხით და ახასიათებს კრედიტორთა დაცულობის დონეს კუთვნილი პროცენტების გადაუხდელობისგან.

§ 7. ფინანსური ლევერიჯის კონცეფცია

ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის საერთაშორისო მეთოდიკით, ლიკვიდურობისა და გადამხდელუნარიანობის ანალიზის პროცესში გამოიყენება „ფინანსური ლევერიჯის" მაჩვენებლები, როგორც „ბერკეტი" საწარმოს საწარმოო-საფინანსო საქმიანობის შედეგების შესაცვლელად – საწარმოს აქტივებისა და პასივების სტრუქტურის ოპტიმიზაციის მიღწევა, მოგების გაღიდების მიზნით.

ფინანსური ლევერიჯის კონცეფცია ნიშნავს წარმოების კაპიტალის სტრუქტურაში იმ დავალიანების ჩართვას, რომელიც იძლევა მუდმივ მოგებას, რამდენადაც არცერთ კრედიტორს არ სურს ნასესხები საშუალებების იმ გარანტიის გარეშე გაცემა, რომელსაც იძლევა კერძო კაპიტალი.

იმ მოგების გარდა, რომელსაც აქციონერები მიიღებენ ფინანსური ლევერიჯის გამოყენებით, გრძელვადიანი დავალიანების მძაფრმა მდგომარეობამ შეიძლება სხვა სახიფათო პირობები შეუქმნას წარმოების მეპატრონეებს. ლევერიჯის გავლენა წარმოების მდგომარეობაზე დადებითია, თუ მოგება საკუთარ კაპიტალზე აჭარბებს მოგებას მთლიან კაპიტალზე. აგრეთვე ეფექტი დადებითია, როდესაც მოგება აქტივებზე აღემატება კრედიტის პროცენტს.

ფინანსური ლევერიჯის სიდიდის გაზომვა შეიძლება შემდეგნაირად:

ა) ფინანსური ლევერიჯის ინდექსი = მოგება საკუთარ კაპიტალზე:
მოგება მთელ აქტივებზე

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი კი განსაზღვრავს თანაფარდობას აქტივების მთელ თანხასა და მათ ფინანსირებაში სააქციო კაპიტალს შორის:

$$K = \frac{\text{აქტივების თანხა}}{\text{სააქციო კაპიტალი}}$$

ამ ფორმულის მიხედვით, რაც უფრო მეტია აქტივების დაფინანსებაში სააქციო კაპიტალის წილი, მით მეტია ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი. თუ საწარმო მომგებიანია და წარმატებით იყენებს ლევერიჯს, კოეფიციენტის ზრდა იწვევს მოგების ზრდას საკუთარ კაპიტალზე.

გარდა ფინანსური ლევერიჯისა, ანგარიშობენ საწარმოო ლევერიჯის მაჩვენებელსაც. საწარმოო ლევერიჯის დონის გაანგარიშებისათვის საერთო მოგების მატების ტემპი უნდა შევუფარდოთ გაყიდვის მოცულობის მატების ტემპს. უნდა დადგინდეს, თუ პროდუქციის გამოშვების მატების თითოეული პროცენტი სარჯების ჩამოყალიბებული სტრუქტურის პი-

რობებში რამდენად უბრუნველყოფს საერთო მოგების მატებას და, შესაბამისად, წარმოების დაცემის დროს რამდენით შემცირდა მოგება.

საწარმოო და ფინანსური ლევერიჯის დონეების ნამრავლი გვაძლევს ახალ კომპლექსურ მაჩვენებელს – საწარმოო-საფინანსო ლევერიჯის. იგი ასახავს საერთო რისკს, რომელიც დაკავშირებულია სახსრების შესაძლო დანაკლისთან საწარმოო ხარჯებისა და საგარეო ვალის მომსახურების ფინანსური ხარჯების ანაზღაურებისათვის.*

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ამ მაჩვენებლების საფუძველზე შეიძლება შეფასდეს და პროგნოზი გაუკეთდეს ინვესტირების საწარმოო და ფინანსური რისკის ხარისხს.

თავი XXI.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკა აშშ-ის სამრეწველო კომპანიებში

ფინანსურ ანგარიშგებაში საწარმოს ფინანსური ინფორმაციის სისტემურად წარმოდგენის თვალსაზრისით საინტერესოა აშშ-ის სამრეწველო საწარმოებში გამოყენებული ფინანსურ მაჩვენებელთა სტრუქტურა და მათი ანალიზის მეთოდიკა. ამასთან დაკავშირებით, განსჯისა და თვალსაჩინოებისათვის მკითხველს ვთავაზობთ პრაქტიკულ მაგალითს.

§ 1. აშშ-ის სამრეწველო კომპანიების ფინანსური ანგარიშგების ფორმები

აშშ-ის სამრეწველო კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შედგება ოთხი ძირითადი ფორმისაგან: პირველი – ნაერთი ბალანსი; მეორე – ნაერთი ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ; მესამე – ანგარიშგება აკუმულირებულ (დაგროვილ) გაუნაწილებელი მოგების შესახებ; ხოლო მეოთხე ფორმა – ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის ცვალებადობის შესახებ. ოთხივე ფორმაში, მართალია, მოცემულია ძირითადად სინთეზური მაჩვენებლები, მაგრამ ისინი საშუალებას იძლევიან კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ზოგადი ანალიზის გაკეთებისა.

---

* გ. ზურაბიშვილი, საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, თბილისი, 1999 წ., გვ. 219-220.

საანალიზო ინფორმაცია ასახავს „ბრენტის ფირმის“ 1998-1999 წლების ფინანსურ ინფორმაციას. პირველ რიგში გაეცნოთ დასახელებულ ანგარიშგების ფორმებს და მათ შინაარსს, ხოლო შემდეგ განეიხილოთ მათში მოტანილი ინფორმაციის ანალიზის მეთოდიკის ზოგიერთი საკითხი.

„ბრენტის კომპანიის“ წლიური ბალანსი (ფ. № 1)
(დოლარებში)

აქტივი	1999	1998
1	2	3
I. მიმდინარე აქტივები (საბრუნავი კაპიტალი)		
1. ნაღდი ფული	10.000	7.500
2. საბაზრო ფასიანი ქაღალდები	20.000	16.000
3. დებიტორული დავალიანება	78.000	72.500
4. სასაქონლო მატერიალური მარაგი	90.000	92.500
5. მომავალი პერიოდის ხარჯები	2.000	1.500
6. მიმდინარე აქტივების ჯამი	200.000	190.000
7. ფიქსირებული აქტივები (ძირითადი კაპიტალი):		
— მიწა	15.000	15.000
— შენობა-ნაგებობანი	62.500	59.000
— მანქანა-მოწყობილობანი	107.500	98.000
— ოფისის მოწყობილობა	7.500	6.000
— ფიქსირებული აქტივების ჯამი	192.500	173.00
8. დარიცხული ამორტიზაცია	62.500	48.500
9. ძირითადი კაპიტალის ნარჩენი ღირებულება	130.000	124.500
10. არამატერიალური აქტივები „გუდვილ“-ის პატენტი	1.000	1.000
11. სულ აქტივები	331.000	315.500
პასივი და საკუთარი კაპიტალი	1999	1998
1	2	3
II. მოკლევადიანი ვალდებულებანი:		
12. გასანაღდებელი ანგარიშები	36.000	34.500
13. გასანაღდებელი თამასუქები	25.500	35.500
14. დარიცხული გასავლები	15.000	18.000
15. საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება	8.500	7.500
16. მოკლევადიან ვალდებულებათა ჯამი	85.000	90.500
17. გადავადებული საშემოსავლო გადასახადი	5.000	4.500
18. სავალო ვალდებულება:		

12,5%-იანი ობლიგაციები, რომელთა დაფარვა უნდა მოხდეს 2010 წელს	68.000	68.000
გრძელვადიან ვალდებულებათა ჯამი	73.000	72.500
მთლად ვალდებულებანი (პასივი)	158.000	168.000
III. საკუთარი კაპიტალი		
19. პრივილეგიური აქციები 5,8%-იანი დივიდენდით	3.000	3.000
20. ჩვეულებრივი აქციები	37.500	38.250
21. განაღდებული კაპიტალი	8.000	3.500
22. გაუნაწილებელი აკუმულირებული მოგება	124.500	104.500
მთლად საკუთარი კაპიტალი	173.000	52.500
მთლად ვალდებულებანი და საკუთარი კაპიტალი	338.000	315.500

„ბრენტის კომპანიის" მოგება-ზარალის ანგარიშგება (ფ. № 2)

მაჩვენებლები	1999	1998
23. რეალიზაციის წმინდა მოცულობა	382.500	362.500
24. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	267.500	258.500
25. ცვეთა და ამორტიზაცია	14.000	12.500
26. საერთო, სავაჭრო და ადმინისტრაციული ხარჯები	61.000	56.500
27. პირობით — წმინდა მოგება	39.500	35.000
სხვა შემოსავლები (გასავლები):		
28. მიღებული დივიდენდები და შემოსავლები	3.000	4.750
29. პროცენტებზე გადახდილი გასავლები	(8.500)	(8.500)
30. მოგება საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე	34.250	31.250
31. გადასახდელები	10.375	11.000
32. წლიური წმინდა მოგება	23.875	26.250
გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	7500000	7250000
33. შემოსავალი გაანგარიშებული ერთ ჩვეულებრივ აქციაზე	3,16	2,77

ანგარიშგება

„ბრენტის კომპანიის" დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების შესახებ (ფ. №3)

მაჩვენებლები	1999	1998
34. მოგება ბალანსით 1 იანვრისათვის	109.800	98.425
35. წლიური წმინდა მოგება	23.875	20.250
მთლად	133.675	118.675
გამოაკლდება გადახდილი დივიდენდები:		
36. პრივილეგიურ აქციებზე	175	175
37. ჩვეულებრივ აქციებზე	9.000	8.700
38. მოგება ბალანსით 31 დეკემბრისათვის	124.500	109.800

ანგარიშგება
„ბრენტის კომპანიის" ფინანსური მდგომარეობის ცვალებადობის შესახებ
(ფ. № 4)

მაჩვენებლები	1999	1998
1	2	3
39. საშუალებანი მიღებული იქნა:		
— წმინდა მოგების ანგარიშზე	23.875	20.250
— ცვეთისა და ამორტიზაციის ანგარიშზე	14.000	12.500
— გადავადებული გადასახადების გადიდების ანგარიშზე	500	500
სულ ოპერაციებიდან	38.375	33.250
ჩვეულებრივი აქციების გაყიდვა	5.500	—
40. მთლად	43.875	38.250
41. საშუალებანი გამოყენებული იქნა:		
— უძრავი ნაგებობის და მოწყობილობის შეძენაზე	19.260	33.875
— დივიდენდის გაცემა პრივილეგიურ აქციებზე	175	175
— დივიდენდის გაცემა ჩვეულებრივ აქციებზე	9.000	8.700
მთლად	28.375	42.750
საბრუნავი კაპიტალის გაზრდა (შემცირება)	15.500	(9.500)

აშშ-ის სამრეწველო კომპანიების ფინანსური ანგარიშგება, როგორც ჩანს, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სინთეზურ მაჩვენებლებისაგან შედგება. ამ მხრივ მათ თუ შევადარებთ ჩვენთან მოქმედ ანალოგიურ (მსგავს) ანგარიშგების ფორმებში ასახულ მაჩვენებლებს, ისინი ერთმანეთისაგან მკვეთრად არ განსხვავდებიან, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ისეთ მაჩვენებელს, რომლებიც ჩვენს სისტემაში არ გამოიყენებოდა.

როგორც კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ფორმებიდან ჩანს, მაგ.ში სულ 41 სინთეზური მაჩვენებელია მოცემული, ზოგიერთ მათგანს გააჩნია ანალიზური მაჩვენებლებიც. იმისათვის, რომ ანგარიშგების ფორმებში მოცემული მაჩვენებლების მიხედვით ჩავატაროთ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ თითოეული მაჩვენებლის ეკონომიკური შინაარსი აშშ-ში მოქმედი სტანდარტების მიხედვით. პირველ რიგში გავეცნოთ ბალანსის აქტივის მუხლების შინაარსს.

მიმდინარე აქტივები. მიმდინარე აქტივების ქვეშ იგულისხმება: 1. ნაღდი ფული (სალაროში არსებული ბანკნოტები, მონეტები და ბანკში დეპო-

ბიტზე არსებული თანხები) და ის აქტივები, რომლებიც უახლოეს მომავალში, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გადაიქცნენ ნაღდ ფულად (ჩვეულებრივად 1 წლის განმავლობაში ბალანსის შედგენის თარიღიდან).

საბაზრო ფასიანი ქაღალდები. აქტივის ეს მუხლი წარმოადგენს ინვესტიციას, ჩვეულებრივ კომერციულ ქაღალდებსა და მოკლევადიან სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში, რომლებიც შეიძინება ნაღდი ფულის ზედმეტობის შემთხვევაში. ეს ქაღალდები აღვილად უნდა იყიდებოდეს და ფასების რყევას ნაკლებად განიცდიდნენ.

სტანდარტების მიხედვით მიღებულია, რომ ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა ხდება შესყიდვის ფასის ან მიმდინარე საბაზრო ფასის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, თუ რომელია დაბალი.

დებიტორული დავალიანება. ამ ნაწილში აისახება თანხა, რომელიც ეკუთვნის კომპანიას კლიენტებისაგან. კლიენტს საშუალება ეძლევა მოახდინოს გადავადება 30, 60 ან 90 დღით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოგიერთი კლიენტი ვერ ახერხებს ვექსილების გამოსყიდვას თავისი ფინანსური გაჭირვების ან კატასტროფის (მიწისძვრა, ქარიშხალი) გამო, რომელიც ზიანს აყენებს მათ ბიზნესს. ასეთ შემთხვევაში თანხა კორექტირდება საეჭვო ვალის ოდენობით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგი. სასაქონლო-მატერიალური მარაგი აერთიანებს: ნედლეულს, ნახევარფაბრიკატებს, დაუმთავრებელ წარმოებას (ნაწილობრივ დამთავრებულ წარმოებას) და საქონელს საწყობში. სასაქონლო-მატერიალური მარაგი ფასდება თვითღირებულებით ან საბაზრო ღირებულებით, იმაზე დამოკიდებულებით, თუ რომელია ნაკლები. ჩვეულებრივ ბალანსში ის აღირიცხება თვითღირებულებით, მაგრამ ბალანსში შეიძლება შეტანილი იქნეს თვითღირებულებაზე ნაკლები თანხითაც, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს საქონლის გაფუჭებით, დაძველებით და ა. შ.

მომავალი დროის ხარჯები. წარმოვიდგინოთ შემდეგი სიტუაცია. გასული წლის განმავლობაში კომპანიამ გადაიხადა მომავალი წლისათვის დაზღვევა ხანძრისა და რეკლამისათვის. თუ კი ეს აუცილებელი გადახდა არ მოხდებოდა, კომპანიას ექნებოდა უფრო მეტი ნაღდი ფული ბანკში. მაგრამ რადგანაც კომპანიამ ვერ გამოიყენა დაზღვევის და სარეკლამო ბიუროს მომსახურების ეს თანხა, იგი შევა მიმდინარე აქტივში, როგორც მომავალი წლის გასავალი.

ფიქსირებული აქტივი (ძირითადი კაპიტალი). „ფიქსირებული აქტივი“ აერთიანებს ისეთ აქტივებს, რომლებიც განკუთვნილნი არ არიან გაყიდვისათვის და მუდმივად გამოიყენება საქონლის წარმოების პროცეს-

ში. ასეთი აქტივებია: მიწა, შენობები, აეჯი ოფისისათვის, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა. ასეთი აქტივები ბალანსში აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით.

ცვეთა – ეს ტერმინი ნიშნავს ძირითადი კაპიტალის სასარგებლო ღირებულების შემცირებას მისი გამოყენების შედეგად, ან უბრალოდ დროის გასვლის შედეგად. ფიქსირებული აქტივის სასარგებლო ღირებულების შემცირება შეიძლება გამოწვეული იყოს მორალური ცვეთითაც.

თანხებს, რომელიც საჭიროა მანქანა-დანადგარების შესაცვლელად მომავალში, ეწოდება საამორტიზაციო დანარიცხები. მისი სიდიდე დამოკიდებულია ცალ-ცალკე შენობა-ნაგებობის, მანქანა-დანადგარების და სხვა ამორტიზაციის დანარიცხებზე.

ამრიგად, ძირითადი კაპიტალის დარჩენილი ან საბალანსო ღირებულება ეს არის თანხა, ზემოთ ჩამოთვლილ ფიქსირებულ აქტივებს გამოკლებული საამორტიზაციო დანარიცხები ბალანსის შეღგენისათვის მზარდი ჯამით.

არამატერიალური აქტივები. ასეთი დასახელების მიუხედავად, ამ აქტივებს დიდი მნიშვნელობა აქვთ კომპანიისათვის. ეს შეიძლება იყოს რაიმე უფლების შეძენა ამა თუ იმ საქონლის გამოშვება-გაყიდვაზე და სხვა.

ზოგიერთი კომპანიის ბალანსში არამატერიალური აქტივის გასწვრივ მითითებულია თანხა 1 დოლარის ოდენობით. ეს ნიშნავს, რომ მათ აქვთ ასეთი აქტივი, მაგრამ არ შეუძლიათ გაითვალისწინონ ბალანსში.

„ჯამური აქტივი“ ეჯამებს ზემოთ მოყვანილ აქტივებს ბალანსის მარცხენა ნაწილში.

ახლა განვიხილოთ ვალდებულებანი (ბალანსის მარჯვენა მხარე).

მოკლევადიანი ვალდებულებანი. ბალანსის პასივის ეს განყოფილება ასახავს კომპანიის ვალებს, რომლებიც დაფარული უნდა იქნეს ბალანსში მითითებული თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში. ბალანსის პასივში მოკლევადიან ვალდებულებას შეესაბამება ბალანსის აქტივში მიმდინარე აქტივები, რამდენადაც მიმდინარე აქტივი არის ვალების დაფარვის საშუალება მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის ამ ორი განაყოფის ურთიერთშეფარდება ძალიან მნიშვნელოვანია.

გადანაწილებელი ანგარიშები. ბალანსში ეს პუნქტი წარმოადგენს კომპანიის ვალს შესყიდული პროდუქციისათვის და მიღებული მომსახურებისათვის მუდმივი მომწოდებლისაგან, რომელთანაც ანგარიშსწორება მიმდინარეობს ღია ანგარიშით.

„ვალდებულება ვექსილებზე“. კომპანიის დავალიანება ბანკის მიმართ ან სხვა კრედიტორისადმი ფორმდება „ვალდებულება ვექსილებზე“.

გადასახდელად დარიცხული გასაყოფები. ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ კლიენტებთან კომპანიის დავალიანება გაღის „გასანაღდებელი ანგარიშით". კომპანიის დავალიანება თავის მუშებთან და მოსამსახურეებთან, ე. ი. „დავალიანება ხელფასზე", ასევე პროცენტის გაცემა, ბანკის კრედიტის დაფარვა, პონორარი ადვოკატებისათვის, საპენსიო ფონდები და სხვა ასეთი გასავლები აღირიცხება მუხლში „გადასახდელად დარიცხული გასავლები".

გრძელვადიანი ვალდებულებანი. ასეთ ვალდებულებათა ქვეშ იგულისხმება ის გადასახდელები, რომელთა გადახდა ხდება ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში, ბალანსში მოცემული თარიღიდან.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს გრძელვადიან ვალდებულებათა ერთ-ერთ მუხლს. მთავრობა ზოგიერთი მიმართულების ინვესტიციების წახალისების მიზნით ასეთ გადასახადებში შეღავათს აძლევს კომპანიებს.

სავალო ვალდებულების ქვეშ ასახული ციფრები მოწმობს იმას, რომ კომპანიამ მოახდინა ავანსად ობლიგაციის გამოშვება, რომელიც დაიფარება 2010 წელს 12,5%-იანი დივიდენდით. პროცენტის გადახდა ხდება წელიწადში 2-ჯერ. ასეთი ობლიგაციები წარმოადგენენ არაუზრუნველყოფილი ვალის ერთ-ერთ სახეს. ისინი ფაქტობრივად გარანტირებულია მხოლოდ კომპანიის „კარგი სახელით" და რეპუტაციით.

კომპანიას შეუძლია გამოუშვას აქციები, რომელიც დამატებით გარანტირებულია გირაოთი. ასეთი ობლიგაციები ჩვეულებრივ ობლიგაციებთან შედარებით პირველ რიგში ნაღდდება.

საკუთარი კაპიტალი. ეს არის კაპიტალი, რომელიც წარმოდგენილია აქციონერული სერთიფიკატებით, გამოშვებული კომპანიის მიერ თავის მეანაბრე-აქციონერებისათვის. თანხა განისაზღვრება აქციების ნომინალის მიხედვით. კომპანიას შეუძლია გამოუშვას სხვადასხვა ტიპის აქციები, ე. წ. პრივილეგიური, ჩვეულებრივი აქციები. პრივილეგიური აქციები განსაკუთრებული უფლებამოსილებისაა, რომლებიც მათ მფლობელებს ანიჭებს დივიდენდის მიღების განსაკუთრებულ უფლებას. დივიდენდების მინიმალური თანხის მიღების უფლების გარანტიას იძლევა კომპანია, ამავე დროს, ამ აქციების მფლობელებს არ გააჩნიათ სააქციონერო საზოგადოებაში ხმის უფლება.

ჩვეულებრივი აქციები. თუ პრივილეგიურ აქციებს აქვთ უპირატესობა ფიქსირებული დივიდენდის პირველ რიგში მიღებისა დაფიქსირებული პროცენტის მიხედვით, ჩვეულებრივ აქციებს ასეთი შეზღუდვა არა აქვთ. კომ-

პანიის საქმიანობის კარგად წარმართვის პირობებში დივიდენდი დიდი იქნება, საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში კი მცირე.

განაღდებული კაპიტალი ეს არის თანხა, რომელიც გადახდილია აქციონერებისაგან ნომინალის ზევით.

აკუმულირებული, გაუნაწილებელი მოგება გულისხმობს საანგარიშგებო წლის განმავლობაში მიღებული მოგების მთლიან თანხას, აქციებზე გაცემული დივიდენდის გამოკლებით.

§ 2. ბუღალტრული ბალანსის ზოგადი ანალიზის მეთოდიკა

როგორც ამერიკელი მეცნიერები აღნიშნავენ, 40-50 წლის წინ, სანამ ქვეყანაში შემოღებული იქნებოდა ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი სტანდარტები, საინვესტიციო კომპანიებს უჭირდათ ამა თუ იმ კომპანიების შესახებ ჭეშმარიტი მდგომარეობის დადგენა. მომდევნო პერიოდში კი ფინანსური მონაცემები უფრო საიმედო გახდა. თუმცა ღღესაც ამოცანას მონაცემების სწორად განსაზღვრის შესახებ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ბალანსის ზოგიერთი მაჩვენებელი პირობითია, ზოგიერთი კი ლაფუძნებულია შეფასებაზე.

კომპანიის ბალანსში ბოლო პერიოდის ორი წლის მონაცემებია მოცემული, რომელთა შედარებით ბევრი საინტერესო ინფორმაციის მიღება შეიძლება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ბალანსის მიხედვით პირველ რიგში განისაზღვრება კომპანიის წმინდა საბრუნავი კაპიტალი, რომელსაც ხშირად უწოდებენ წმინდა მიმდინარე აქტივებს ან, უბრალოდ, საბრუნავ კაპიტალს.

წმინდა საბრუნავი კაპიტალის სიდიდის დასადგენად საჭიროა მიმდინარე აქტივების თანხას (მე-6 მუხლი) გამოვაკლოთ მოკლევადიან ვალდებულებათა თანხა (მე-16 მუხლი) პასივის I განაყოფი.

6.	მიმდინარე აქტივები		200.000
16.	მოკლევადიანი ვალდებულებანი	–	85.000
	საბრუნავი კაპიტალი	=	115.000

ბუნებრივია, კომპანიის წმინდა საბრუნავი კაპიტალის სიდიდე, სხვა დასარჩენ თანაბარ პირობებში, ასახიათებს მის ფინანსურ სიძლიერეს. აქედან გამომდინარე, ყველა ინვესტორი ცდილობს კავშირი დაამყაროს ისეთ

პარტნიორებთან, რომელთა საბრუნავი კაპიტალი საკმაოდ დიდია. მაგრამ მარტო კომპანიის წმინდა საბრუნავი კაპიტალის სიდიდის განსაზღვრა საკმარისი არაა მისი ფინანსური მდგომარეობის დახასიათებისათვის. ამ მიზნით ანალიტიკოსებს შემოღებული აქვთ მეორე მაჩვენებელი, რომელსაც დაფარვის კოეფიციენტს უწოდებენ. მის გამოსათვლელად მიღებულია ფორმულა – მიმდინარე კაპიტალის შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან. ბალანსის მონაცემების მისედვით დაფარვის კოეფიციენტი ტოლი იქნება:

$$\frac{\text{200,0 (მიმდინარე აქტივები)}}{\text{85,0 (მოკლევადიანი ვალდებულებანი)}} = \text{2,35-ის}$$

ე. ი. კომპანიას ყოველ 1 დოლარ ვალდებულებაზე თავის განკარგულებაში გააჩნია 2,35 დოლარი. ეს მაჩვენებელი კარგია თუ ცუდი? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ეკონომისტ-ანალიტიკოსების მიერ ჩატარებული გამოკვლევა, რომლის შედეგად ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ მაჩვენებელთა თანაფარდობა 2:1-თან არის მინიმალურად უხიფათო. საკელევი კომპანიის დაფარვის კოეფიციენტი მინიმალურ მაჩვენებელს ცოტათი აღემატება, ე. ი. ამ მხრივ კომპანიას კარგი მდგომარეობა აქვს. თუმცა ისიც უნდა დავძინოთ, რომ მარტო ეს მაჩვენებლებიც არ იძლევიან ყველა კითხვაზე ამომწურავ პასუხს. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასების დროს ანალიტიკოსები გამოიყენებენ კიდევ ახალ მაჩვენებელს – „კრიტიკული“ შეფასების კოეფიციენტს. ამ მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის საჭიროა კომპანიის ლიკვიდურობის მონაცემები. როგორც ცნობილია, ლიკვიდურობის ქვეშ იგულისხმება ისეთი აქტივები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება სწრაფად გადავაქციოთ ნაღდ ფულად. რადგანაც კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგი გასაყიდად არაა გათვალისწინებული, ისინი არ შედიან ლიკვიდებში. აქედან გამომდინარე, ლიკვიდურობა ტოლია კომპანიის მიმდინარე აქტივების თანხას გამოკლებული სასაქონლო-მატერიალური მარაგის სიდიდე. ბალანსის მიხედვით ეს გაანგარიშება ასეთია:

6.	მიმდინარე აქტივები	–	200.000
4.	სასაქონლო-მატერიალური მარაგი		90.000
	ლიკვიდურობა	=	110.000

წმინდა ლიკვიდურობის გასაანგარიშებლად კომპანიის ლიკვიდურობის სიდიდეს აკლებენ მოკლევადიან ვალდებულებათა სიდიდეს. პრაქტიკულად ძლიერ სამრეწველო კომპანიას უნდა გააჩნდეს მნიშვნელოვანი

სიდიდის წმინდა ლიკვიდურობა, რამდენადაც იგი ვალდებულებათა გადახდის სერიოზულ მაჩვენებელს წარმოადგენს. საკვლევი კომპანიის წმინდა ლიკვიდურობა ტოლია:

	ლიკვიდურობა	110.000
16.	მოკლევადიანი ვალდებულებანი	– 85.000
	წმინდა ლიკვიდურობა =	25.000

რაც შეეხება „კრიტიკული" შეფასების კოეფიციენტს, იგი გაიანგარიშება შეფარდებით: ლიკვიდურობის თანხისა მოკლევადიან ვალდებულებებთან:

$$\frac{\text{110.000 დ (ლიკვიდურობა)}}{\text{16. 85.000 დ (მოკლევადიანი ვალდებულება)}} = 1{,}3$$

ამრიგად, როგორც ჩანს, ყოველ ერთ დოლარ მოკლევადიან ვალდებულებაზე კომპანიას გააჩნია 1,30 დოლარი ლიკვიდურობა.

ამრიგად, ბალანსის მიხედვით ჩვენ გავეცანით კომპანიის საბრუნავი კაპიტალის სიდიდის ანალიზური მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდიკას, ანალიზის მომდევნო ეტაპზე კი განვიხილავთ სასაქონლო-მატერიალური მარაგის ბრუნვადობის მაჩვენებლის განსაზღვრის მეთოდიკას. ამ მაჩვენებელს ფრიად დიდი მნიშვნელობა გააჩნია კომპანიისათვის, რამდენადაც სასაქონლო-მატერიალური მარაგის ოპტიმალური სიდიდე დამოკიდებულია, პირველ რიგში, მის ბრუნვადობაზე. ანალიტიკოსები ანგარიშობენ ბრუნვის კოეფიციენტს. მის გასაანგარიშებლად საჭიროა მარაგი შევუფარდოთ წლიური რეალიზაციის მოცულობას ან გასაღების მოცულობას. ბალანსის მონაცემების მიხედვით:

$$\text{ბრ. კოეფიციენტი} = \frac{\text{382.500 (რეალიზაციის მოც.)}}{\text{90.000 (მარაგი მატ. რეს.)}} = 4{,}25 \text{ ბრ.}$$

ე. ი. საქონელი წლის განმავლობაში ასრულებს 4,25 ბრუნს, ანუ საქონელი წლის განმავლობაში ამდენჯერ შეისყიდება და გაიყიდება.

მარაგების ანალიზის დროს იანგარიშება აგრეთვე მაჩვენებელი – სასაქონლო-მატერიალური მარაგის წილი მიმდინარე აქტივებში, გამოხატული %-ებში.

საკვლევი ობიექტისათვის ეს მაჩვენებელი ტოლია 45%-ის (90,0 : 200,0 x 100); ეს მაჩვენებელი მერყეობა სხვადასხვა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამიტომ მისი გამოყენება შედარებისათვის მხოლოდ ერთი დარგის კომპანიებისთვისაა რეკომენდებული.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის დახასიათებისათვის გამოიყენება კიდევ რამდენიმე მაჩვენებელი. ასე, მაგალითად, ნეტო-კაპიტალის სიდიდე კომპანიის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებზე – ა) ერთი ცალკეულ ობლიგაციაზე, ბ) პრივილეგიურ ან გ) ჩვეულებრივ აქციაზე.

ა) ნეტო-კაპიტალი 1 ობლიგაციაზე გადაანგარიშებით – ამ მაჩვენებლის განსაზღვრისათვის საჭიროა კომპანიის ყველა აქტივებიდან გამოვრიცხოთ არამატერიალური აქტივები და მოკლევადიანი ვალდებულებანი და მიღებული თანხა გავყოთ გამოშვებულ ობლიგაციათა რაოდენობაზე. ჩვენი მონაცემებით ნეტო-კაპიტალი ტოლია 245.000 დოლარის (331.000 – (1000+85.000).

გამოშვებულ ობლიგაციათა რაოდენობა 68.000 ცალი, კოეფიციენტი იქნება 3,6 (24500 : 68000) ე. ი. ყოველ ობლიგაციაზე მოდის ნეტო-კაპიტალის 3,6 დოლარი.

ბ) ნეტო-კაპიტალი 1 – პრივილეგიურ აქციაზე. ამ მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის აქტივთა საერთო თანხას აკლდება: არამატერიალური აქტივები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებანი. მიღებული თანხა იყოფა პრივილეგიურ აქციათა რიცხვზე. ბალანსის მიხედვით იგი შემდეგნაირად გაიანგარიშება:

11. აქტივების ჯამი	331.000
10. არამატერიალური აქტივები	1.000
17 და 18. გრძელვადიანი ვალდებულებანი	73.000

ნეტო-კაპიტალი პრივილეგიურ აქციათა მფლობელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად (11–10–17–18) =172.000

კოეფიციენტი იქნება 5,73 დოლარი (172000 : 30000)

ე. ი. 1 პრივილეგიურ აქციაზე მოდის 5,73 დოლარი ნეტო-კაპიტალი.

გაიანგარიშება აგრეთვე ნეტო-კაპიტალის სიდიდე ერთი ჩვეულებრივ აქციაზე. ეს მაჩვენებელი წარმოადგენს ფულის იმ რაოდენობას, რომელსაც მიიღებდა მფლობელი, თუ კომპანია ლიკვიდირებული იქნებოდა ბალანსის შედგენის მომენტისათვის.

1 აქციაზე ნეტო-კაპიტალის მაჩვენებელთა შეფასებისა და შედარების დროს ფრთხილად უნდა ვიყოთ, იმიტომ, რომ მომგებიან კომპანიებს ხშირად დაბალი ნეტო-კაპიტალი აქვთ 1 ჩვეულებრივ აქციაზე. მეორე მხრივ, რკინიგზის კომპანიებს აქვთ მაღალი ნეტო-კაპიტალი, მაგრამ აქვთ დაბალი მოგება, რის გამოც მათი აქციების ფასი შედარებით დაბალი იქნება, ვიდრე მაჩვენებელი. გამონაკლისს შეადგენენ ბანკები, დაზღვევისა

და ინვესტიციების კომპანიები, იმიტომ, რომ მათ აქტივებს გააჩნიათ ლიკვილურობის დიდი ხარისხი.

(მაძღინარე აქტივებში მათ გააჩნიათ ნაღდი ფულის, დებიტორთა დაეალიანებისა და საბაბრო ფასიანი ქაღალდების დიდი ნაწილი).

კაპიტალიზაციის კოეფიციენტი

კაპიტალიზაციის კოეფიციენტი გამოხატავს პროპორციას კომპანიის ჩილერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების სახეობებს შორის. ობლიგაციების ღიღმა რაოდენობამ შეიძლება შეამციროს პრიეილეგიური და ჩვეულებრივი აქციების მიმართ ინტერესი.

რომ განვსაზღვროთ კაპიტალიზაციის პროცენტი, ამისათვის საჭიროა ობლიგაციათა ნომინალური ღირებულება 68.000.000 გავყოთ ობლიგაციათა საერთო ღირებულებაზე, პრიეილეგიურ და ჩვეულებრივ აქციათა საერთო ღირებულებაზე, გადახდილ კაპიტალზე და აკუმულირებულ მოგებაზე არამატერიალური კაპიტალის გამოკლებით, რამაც შეადგინა 240.000.000 დოლარი. ობლიგაციათა კაპიტალიზაციის კოეფიციენტი ტოლი იქნება 28%-ის (68,0:240,0x100).

კაპიტალიზაციის კოეფიციენტი პრიეილეგიური აქციებისათვის იმაეე ხერხით გამოითვლება. პრიეილეგიური აქციების ფასი იყოფა საერთო კაპიტალიზაციაზე, იგი ტოლია 1%-ის.

ჩვეულებრივი აქციების კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის საჭიროა 100%-ს გამოეაკლოთ ობლიგაციებისა და პრიეილეგიური აქციების კაპიტალიზაციის კოეფიციენტების ჯამი, ე. ი. 100% – (28%+1%) =71%.

§ 3. ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ და მისი ანალიზის მეთოდიკა

ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ ფრიად მნიშვნელოეან მონაცემებს იძლეეა, როგორც ინვესტორებისათვის, ისე კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მთაეარი მაჩვენებლებია ინფორმაცია საერთო და წმინდა მოგების შესახებ. გარდა ამისა, ყეელა ის მაჩვენებელი, რომელიც საჭიროა მოგების ანალიზისათვის.

გასაღების მოცულობა

მოგების ანგარიშგებაში ძირითადი პუნქტია „გასაღების მოცულობა“ ან „შემოსავალი რეალიზაციიდან“. სხვა ტიპის კომპანიების ანგარიშგებაში ძირითადი პუნქტი იქნება შემოსავალი „ძირითადი საქმიანობიდან“.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება და საერთო საფირმო გასავალი

ამ პუნქტში შესულია საქონლის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი და გასავალი. კერძოდ, გასავალი ნედლეულზე, შრომის ანაზღაურებაზე, რენტის გადასახადზე, ელექტროენერგიის დანახარჯები, მოწყობილობის შენახვაზე და ექსპლუატაციის დანახარჯები, ცვეთა და ამორტიზაცია.

გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება კომპანიის შემოსავლის ანგარიშში არის საკმაოდ მომრდილი პუნქტი.

24. გაყიდული საქონლის თვითღირებულება 267 500–258 500

ცვეთა და ამორტიზაცია.

ცვეთა ეს არის აქტივის სასარგებლო ღირებულების შემცირება მისი გამოყენებისა და დაძველების შედეგად.

25. ცვეთა და ამორტიზაცია 14 000–12 500

საერთო, სავაჭრო და ადმინისტრაციული დანახარჯები

ეს დანახარჯები გამოყოფილია ცალკე პუნქტად, იმიტომ, რომ ანგარიშგების ყველა წამკითხველმა შეძლოს მოგების ანგარიშგებაში დაინახოს ისინი. ეს პუნქტი შეიცავს ხელფასს და საკომისიოს მოვაჭრე პერსონალისათვის, დანახარჯებს რეკლამაზე, სამივლინებო და წარმომადგენლობით დანახარჯებს, ხელფასს მართვის აპარატისათვის და ოფისთა შენახვის ხარჯებს.

26. საერთო, სავაჭრო, ადმინისტრაციული დანახარჯები 61 250

თუ კი გასაღების მოცულობას გამოვაკლებთ გაყიდული საქონლის თვითღირებულებას და ოპერაციულ ხარჯებს, მივიღებთ პირობით-წმინდა მოგებას ანუ საერთო მოგებას.

27. პირობით-წმინდა მოგება 39 500

დივიდენდები და პროცენტები, მიღებული ინვესტიციებიდან შეძენილ აქციებზე და ობლიგაციებზე, შეადგენს დამატებით შემოსავლის წყაროს,

რომელსაც ითვალისწინებს ცალკე პუნქტი „მიღებული დივიდენდი და მომსავალი პროცენტების სახით".

28. მიღებულია დივიდენდი და მომსავალი პროცენტებიდან 3 000

ხარჯები პროცენტების გადახდისათვის

ამ ხარჯებს ხშირად უწოდებენ ფიქსირებულ ხარჯებს (ობლიგაციებისათვის) იმიტომ, რომ პროცენტები ობლიგაციებზე გაიცემა ყოველწლიურად დივიდენდებისაგან განსხვავებით, რომლებიც გადაიხდება დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ.

კომპანიის მიერ გამოშვებული ობლიგაციების თანხა ტოლია 68 000 000 დოლარის 12,5%-მე გადაანგარიშებით ხარჯები შეადგენს 8 500 000 დოლარს.

29. ხარჯები პროცენტის გადახდისათვის 8 500

საშემოსავლო გადასახადი

ყოველ კომპანიას განსაზღვრული აქვს საშემოსავლო გადასახადის მოცულობა, რომელიც დამოკიდებულია შემოსავლის მოცულობაზე. დიდ სამრეწველო კომპანიებს, მაგ., ჩვენს ობიექტს „აბს"-ს აქვს დიდი საშემოსავლო გადასახადი, მაგრამ შეღავათებით დაბეგვრაში გადასახდელების გადავადების, დაჩქარებული ამორტიზაციის და სხვა საშუალებით ეს თანხა მცირდება. კომპანიის შემოსავალი დაბეგვრის წინ იყო 34 000 000 დოლარი, გადასახდელი იყო 10 375 000 დოლარი.

30. მოგება საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე 34 250

31. გადასახდელები 10 375

წმინდა მოგება. მას შემდეგ, რაც გავითვალისწინეთ ყველა შემოსავალი და გამოვრიცხეთ მათგან გასავლები, მივიღეთ კომპანიის წლიური წმინდა მოგება.

32. წმინდა მოგება წლის განმავლობაში 23 875 დოლარი.

მოგების ანგარიშგების მუხლები გავყოთ ორ ჯგუფად: შემოსავლებად და დანახარჯებად. მივიღებთ შემდეგს:

შემოსავლების მუხლები:

23. რეალიზაციის მოცულობა	382 500
28. მიღებული დივიდენდები და პროცენტები	3 000
ჯამი	385 500

24-26.პროდუქციის თვითღირებულება და საოპერაციო დანახარჯები	342 700
29. პროცენტის გადასახადისათვის	8 500
31. გადასახადები	10 000
ჯამი	361 625
32. წმინდა მოგება	23 875

მოგება-ზარალის ანალიზის მეთოდიკა. მოგების ანალიზს ფრიად ღიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რამდენადაც მას მრავალი საინტერესო ინფორმაციის მოცემა შეუძლია კომპანიის ფინანსური საქმიანობის შესახებ და, რაც მთავარია, იგი საშუალებას იძლევა მოგების და რენტაბელობის ზრდის ფარული რეზერვების გამოვლენისა.

ანალიზის პროცესში პირველ რიგში ანგარიშობენ რენტაბელობის მაჩვენებელს პირობით–წმინდა მოგებისა და რეალიზაციის მოცულობის თანაფარდობით. საკვლევი კომპანიის მიხედვით

$$\text{რენტაბელობა} \frac{39.750\ (\text{პირობითი წმინდა მოგება})}{382.500\ (\text{გასაღების წმინდა მოც–ბა})} \cdot 100=10,4\%$$

რენტაბელობის მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ კომპანია ყოველ გაყიდულ 1 დოლარის ღირებულებაზე ღებულობს 10,4% მოგებას. ეს მაჩვენებელი თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო საინტერესოა მისი შედარება გასული წლის რენტაბელობის მაჩვენებელთან 9,7%-თან

$\left(\frac{35.000\ 100}{362.500}\right)$ ამრიგად, ჩანს, რომ კომპანიის რენტაბელობის ღონე გაზრდილია 0,7 პროცენტით, რაც მიუთითებს მისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

გარდა ამისა, ამ მაჩვენებლის ცვლილება ასახავს კომპანიის ეფექტიანობის ზრდას, ასორტიმენტის ცვლილებას ან კლიენტურის ზრდას. ეს ანალიზური მაჩვენებელი შეიძლება შევადაროთ ამავე დარგის სხვა კომპანიის მაჩვენებელს, რათა დავადგინოთ საკვლევი ობიექტის ღონე სხვებთან შედარებით და გაირკვეს გაღახრების გამომწვევი მიზეზები.

ამერიკელი ეკონომისტ-ანალიტიკოსები სხვა მაჩვენებელსაც ანგარიშობენ. ესაა დანახარჯების ღონე, წარმოებაზე გაწეული დანახარჯების წილი რეალიზებულ პროდუქციაში. ე. ი. თუ ვიცით კომპანიის რენტაბე-

ლობის დარე პირობით წმინდა მოგების მიხედვით, მაშინ ანახარჯების დონე გაიანგარიშება მარტივად: ეს პოოვით სხეობას 100%-სა და რენტაბელობის მაჩვენებელს შორის. ჩვენი მონაცემების მიხედვით იგი შეადგენს 89,6%-ს (100,0 – 10,4).

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება რენტაბელობის მაჩვენებელს გაანგარიშებულს წმინდა მოგების მიხედვით. კომპანიის მონაცემების მიხედვით იგი შეადგენს 1998 წელს 5,6%-ს, 1999 წელს კი – 6,2%-ს. გაანგარიშებას ასეთი სახე აქვს:

$$1999\ წ.\ რენტ. = \frac{(წმინდა\ მოგება)\ 23875}{(გასაღების\ მოც-ბა)\ 382.500} = 62\%-ს$$

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის დახასიათებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია რენტაბელობის მაჩვენებლების შედარებითი დახასიათება დინამიკაში სამრეწველო კომპანიების საშუალო მაჩვენებლებთან დაპირისპირებით.

ცხრილში მოყვანილია ამერიკული სამრეწველო კომპანიების საშუალო რენტაბელობის მაჩვენებლები და საკვლევი კომპანიის ანალოგიური მაჩვენებლების შედარებითი დინამიკა (1996-99 წწ.) %-ებში.

	1996	1997	1998	1999
1. ამერიკულ სამრეწველო კომპანიების საშუალო რენტაბელობის დონე, წმინდა მოგების მიხედვით	5,4	5,7	4,7	4,7
2. საკვლევი კომპანიის	5,8	5,8	5,9	6,2

რენტაბელობის მაჩვენებლები, გაანგარიშებული პირობით წმინდა მოგებისა და წმინდა მოგების მიხედვით, აგრეთვე დანახარჯების დონე ბოგადად ახასიათებს კომპანიის საერთო მდგომარეობას, მის პერსპექტივებს. მაგრამ მაინც მთავარ კითხვად რჩება – წარმოადგენენ თუ არა ამ კომპანიის ფასიანი ქაღალდები კარგ ინვესტიციებს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გრძელდება ანალიზი.

ობლიგაციებზე გადახდილი პროცენტის დაფარვის მაჩვენებელი

კომპანიის ობლიგაციური სესხი თავისთავად წარმოადგენს სერიოზულ დაავალიანებას, თუმცა მისი დაფარვა იწარმოებს მრავალი წლის შემლეგ. ამავე დროს, ობლიგაციებზე გადასახდელი პროცენტი მკაცრად ფიქსირე-

ბულია. ამიტომ კომპანიის შესაძლებლობამ რეგულარულად იხადოს ობლიგაციებზე პროცენტი, ინვესტორებში უნდა გამოიწვიოს გარკვეული ინტერესი. არ შეიძლება არ დაინტერესდნენ იმითაც, თუ როგორ გამოიყენება ნასესხები სახსრები, საკმაო მოგება მოაქვთ თუ არა, რომ დაფარონ ობლიგაციებზე გაღახდილი პროცენტები.

§ 4. ანგარიშგება აკუმულირებული, გაუნაწილებელი მოგების შესახებ და მისი ანალიზის მეთოდიკა

როგორც ზემოთ მოტანილ ანგარიშგების (ანგარიშგება აკუმულირებული გაუნაწილებელზე მოგების შესახებ) ფორმის შინაარსი გვიჩვენებს, მასში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კომპანიამ თავისთვის რა რაოდენობის თანხა დაიტოვა, დააკაპიტალა ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოიყენა თავის ბრძოლა და განვითარებისათვის. მსგავსად იმისა, როგორც აქციების მფლობელი მდიდრდება თავის აქციების საბაზრო ღირებულების ზრდით, ისე კომპანია ბრძოლა თავის ღირებულებას აკუმულირებული გაუნაწილებელი მოგების ზრდით.

ბუნებრივია, მოცემული ანგარიშგების ძირითადი მუხლია კომპანიის გაუნაწილებელი მოგება ბალანსის შედგენის მომენტისათვის. ამ ციფრის მიღებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისისათვის. ანგარიშგების მონაცემების მიხედვით ეს გაანგარიშება ასე წარიმართება:

მოგებას ბალანსით 1 იანვრისათვის	109 800 დოლარს
დაემატება კომპანიის წლიური სუფთა მოგება	23 875 დოლარი
მიღებულ თანხას გამოაკლდება	
დივიდენდები: ა) პრივილეგიურ აქციებზე	175 დოლარი
ბ) ჩვეულებრივ აქციებზე	9 000 დოლარი.

ამ გაანგარიშების შედეგი იქნება გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოსათვის, 31 დეკემბრისათვის, 124 500 დოლარი.

ახლა მოკლედ განვიხილოთ მიღებული ინფორმაციის ანალიზური მნიშვნელობა. პირველი ფრიად მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამ ანგარიშგებიდან ესაა იმ დივიდენდების სიდიდე, რომელიც კომპანიამ გადაიხადა ერთ ჩვეულებრივ აქციაზე. ეს ინფორმაცია ფრიად მნიშვნელოვანია პოტენციური ინვესტორებისათვის. როგორც ჩვენი კომპანიის ანგარიშები-

ლან ჩანს, ჩვეულებრივ აქციებზე გაღახდილი დივიდენდი შეადგენს 9 000 დოლარს. ამავე დროს, ბალანსიდან ცნობილია, რომ კომპანიამ გამოუშვა 7 500 ჩვეულებრივი აქცია, დივიდენდის ზომა ერთ ჩვეულებრივ აქციაზე შეადგენს 1,20 დოლარს $\left(\frac{9000\ (\text{დივიდენდი})}{7500\ (\text{აქციები})}\right)$ თუ გაღავხედავთ წინა წლის მონაცემებსაც, დავინახავთ, რომ კომპანიამ ასეთივე დივიდენდი გაღაიხადა 1 ჩვეულებრივ აქციაზე.

ახლა რამდენადაც ჩვენ უკვე ვიცით დივიდენდის სიდიდე 1 ჩვეულებრივ აქციაზე, შეიძლება განვსაზღვროთ გაღახდილი დივიდენდის პროცენტიც ჩვეულებრივ აქციაზე:

$$\frac{1{,}20\ (\text{დივიდენდი აქციაზე})}{(33)\ 3{,}16\ (\text{შემოსავალი აქციაზე})} = 38\%$$

ცნობილია, რომ აშშ-ში დივიდენდის გაღახდის საშუალო პროცენტი ჩვეულებრივ აქციაზე შეადგენს 53%-ს. ამ მაჩვენებელთან შედარებით ჩვენი კომპანიის პროცენტი ძალიან დაბალია. ძირითადად ეს გამოწვეულია იმით, რომ კომპანია მოგების დიდ ნაწილს აბანდებს თავისთვის.

პრივილეგიურ აქციებზე დივიდენდის სიდიდე, როგორც ცნობილია, არ იცვლება წლიდან წლამდე, იგი შეადგენს 5,83 დოლარს. ბალანსში მითითებულია, რომ კომპანიის პრივილეგიურ აქციებს აქვთ გარანტირებული მაგროვებელი დივიდენდი. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ კომპანიის ხელმძღვანელობამ ვერ გაღაიხადა მათზე დივიდენდი (ეს კი შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ ვერ მიიღო საკმაო მოგება) მას იგი გასცემს მომავალში. ე. ი. დივიდენდი კი არ დაეკარგება, არამედ დაგროვდება. დივიდენდის გაღახდა პრივილეგიურ აქციებზე ყოველთვის უნდა წარმოებდეს ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდის გაღახდის გამოცხაღებამდე. სწორედ ამიტომაც ეწოდებათ მათ პრივილეგიური, დივიდენდი მათზე გაიცემა პირველ რიგში.

ანგარიშგების ბოლო მაჩვენებელი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვანს, რამდენადაც იგი გვიჩვენებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის გაუნაწილებელ აკუმულირებული მოგების სიდიდეს. ბალანსის მიხედვით, 31 დეკემბრისათვის იგი შეადგენდა 1999 წელს 124 500, ხოლო 1989 წელს 109 800 დოლარს. ე. ი., როგორც ჩანს, კომპანიამ გაუნაწილებელი მოგების სიდიდე გაზარდა 14 700 დოლარით. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ უახლოეს მომავალში კომპანიას გინდ არასახარბიელო პერიოდი დაუდგეს, მას მაინც ექნება იმის საშუალება, რომ განაგ-

რძოს ღირებულების გადახდა როგორც პრივილეგიურ, ისე ჩვეულებრივ აქციებზე.

როგორც ანალიზის მეთოდიკის ავტორები აღნიშნავენ, არსებობს მხოლოდ ერთი საშიშროება ღირებულების გაუნაწილებელ მოგებასთან დაკავშირებით. ამან შეიძლება მიიპყროს სხვა კომპანიის ყურადღება, რომელიც მოისურვებს ამ კომპანიის აქციების შესყიდვას და მოიპოვებს მათზე კონტროლის უფლებას.

თავი XXII.

ეკონომიკური ანალიზი სტანდარტების ჩარჩოებში და შემოქმედებითი პრინციპებით

ფინანსური აღრიცხვა და მმართველობითი აღრიცხვა საერთო ჯამში განუყოფელია და ორივე ერთად საწარმოს სამეურნეო საქმიანობის კომპლექსურ და სისტემურ ბუღალტრულ აღრიცხვას წარმოადგენს. მაგრამ რადგან საერთაშორისო ბიზნესის განვითარებამ ბუღალტრული აღრიცხვის „გაორება" გამოიწვია და დღეს უკვე არსებობს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და მის შესაბამისად წარიმართება ფინანსური ანგარიშგების ანალიზიც, იგი თავისებურ ჩარჩოებში აქცევს ანალიზურ პროცესსაც.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სისტემაში მოყვანა, დაჯგუფება, კლასიფიკაცია და შეფასება, როგორც წესი, გარკვეულწილად უნდა თავსდებოდეს ჩარჩოებში. მაგრამ ანალიზის პროცესი ანალიტიკოსმა უნდა წარმართოს შემოქმედებითადაც, რადგან მან შეძლოს იმ სიტუაციებისა და მდგომარეობის მრავალფეროვნების შემეცნება, რომელთანაც მოუწევს პრაქტიკაში შეხვედრა. ამრიგად, ანალიზის ზოგადი მეთოდოლოგია ფართო გაქანებას აძლევს ანალიტიკოსთა ინიციატივას, ორიგინალობას და გამომგონებლობას. რამდენადაც ადამიანის შემეცნების უნარს საზღვარი არა აქვს, ამ სფეროშიც კვლევის დიაპაზონიც განუსაზღვრელია და დამოკიდებულია ანალიტიკოსთა პროფესიონალიზმზე და შემოქმედებით უნარზე.

მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს კონკრეტული სასარგებლო განზოგადებული აზრები, რომლებითაც შეიძლება გაანეამტკიცოთ ნებისმიერი მიდგომა საფინანსო ანგარიშგების ანალიზის ამოცანებისადმი.

უპირველეს ყოვლისა, საფინანსო ანგარიშგების ანალიზი მიჩარჩულია განსაზღვრული მიზნების მიღწევისაკენ. მიზნების განსაზღვრა ანალიზური პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან ამ ეტაპზე ხდება იმის გაგება, თუ რა ეხება და შეესაბამება ძირითად საქმეს და რა არა.

ამგვარად განსაზღვრული მიზანი ხელს უწყობს სამუშაო გეგმიდან ალმოიფხერას არასაჭირო სამუშაოები. მიზნების გარკვევა ანალიზისათვის აუცილებელი, სასარგებლო და რაციონალური ელემენტია, აუცილებელი და სასარგებლოა იმ გაგებით, რომ დეტალების ცოდნით ანალიტიკოსი ყურადღებას ამახვილებს საფინანსო ანგარიშგების იმ ელემენტებზე, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია და მეტად ეხებიან საქმეს; რაციონალურია იმ გაგებით, რომ ანალიზი ტარდება დროისა და ძალის მაქსიმალური ეკონომიით. როდესაც ანალიზის მიზანი განსაზღვრულია, შემდგომ ეტაპს წარმოადგენს განსაკუთრებული საკითხების ფორმულირება, რომელთა გარკვევა აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

მიზნის განსაზღვრისა და გასარკვევი საკითხების ფორმულირების შემდეგ ანალიტიკოსი უკვე მზად არის ანალიზური პროცესის მესამე ეტაპისათვის. ამ დროს გაღაიჭრება საკითხები იმის შესახებ, თუ ანალიზის რომელი ხერხები და მეთოდებია შესაფერისი, სასარგებლო და რაციონალური არსებულ ამოცანათა გადასაწყვეტად.

ანალიზის მეოთხე და ბოლო ეტაპია შეგროვილი მონაცემებისა და მაჩვენებლების ანალიზური ინტერპრეტაციის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება. ეს მეტად მნიშვნელოვანი და ძნელი ეტაპი მოითხოვს გონიერულობას, წინდახედულობას, გამოცდილებას და ძალისხმევას. ინტერპრეტაცია არის გამოკვლევის და რეალობის განხილვის პროცესი, რომელიც ცხოვრების შესწავლის უკან დგას. პროფესორი ბერსტაინი წერს: „ჭკვიანმა ანალიტიკოსმა, რომელიც არჩევს საფინანსო ანგარიშგების მონაცემებს, ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს, რომ საფინანსო ანგარიშგება ეს არის, უკეთეს შემთხვევაში, სინამდვილის აბსტრაქტული გამოსახატულება. შემდგომმა მათემატიკურმა დამუშავებამ შეიძლება მოგვცეს აბსტრაქციის მეორე, მესამე და უფრო მაღალი ღონეც; ანალიტიკოსმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს რეალური საქმიანობა, რომელიც ამ ციფრებს უკან დგას. კლდოვანი მთების ვერცერთი რუკა ვერ გვიჩვენებს იმ ადგილების სიმშვენიერეს, უნდა ვნახოთ ისინი, რაღა შეეპფასოთ, ვინაიდან რუკები საფინანსო ანგარიშგების მსგავსად. მხოლოდ და მხოლოდ აბსტრაქციებია. სწორედ ამიტომ კომპანიის საფინანსო ანგარიშგების ანალიზით დაკავებული ანალიტიკოსი დროდადრო უნდა გამოეთიშოს ციფრებს და მოინახულოს გასაანალიზებელი ობიექტები, რათა სრულად შე-

იმეცნოს ანალიზის შედეგად აღმოჩენილი მოვლენები. ეს განსაკუთრებით გამართლებულია, ვინაიდან საფინანსორ ანგარიშგებაში არსებულ მონაცემებში გამოხატული რეალობის სტატისტიკური მდგომარეობა არ შეიძლება დარჩეს სტაბილური დიდი ხნის განმავლობაში. რეალობა გამუდმებით იცვლება.

საფინანსო მონაცემებისათვის დამახასიათებელი შეზღუდვების ცოდნა და გაგება აუცილებელია პროფესიონალი ანალიტიკოსისათვის; ეს არ ამცირებს მათ მნიშვნელობას, ვინაიდან საფინანსო ანგარიშგების მონაცემები წარმოადგენენ იმის საშუალებას, რომლის დახმარებითაც საწარმოს ფინანსური რეალიები შეიძლება დაეიყვანოთ საერთო მნიშვნელზე, რომელიც შესაძლებელია რაოდენობრივად გავზომოთ და მათემატიკურად დავამუშაოთ.

ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლების ანალიზის შედეგების სისტემაში მოყვანისათვის პირველხარისხოვანი მნიშნელობა ენიჭება იმ მომენტს, რომ ანალიტიკოსს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს ფირმაზე, დარგზე და იმ პირობებზე, რომელშიც მუშაობს იგი. ასეთი წარმოდგენა თანაბრად უწყობს ხელს როგორც ფინანსური ანგარიშგების ჩატარებაში, ისე შედეგების განზოგადებაში, რათა რეალურად შეაფასოს რა დგას ციფრების მიღმა.

მთავარი ფაქტორი, რომელიც ანალიტიკოსმა უნდა მიიღოს მხედველობაში, არის საანალიზო ობიექტის საქმიანობის სახე, რადგან ყველა კატეგორიის წარმოებას აქვს სპეციფიკური საოპერაციო ციკლები, ფინანსირების წყაროები, საკრედიტო და სესხის დაბრუნების ფორმები და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციის ანალიზის შედეგების თავმოყრის პირველ ეტაპზე უნდა იხელმძღვანელოს დარგის თაეისებურებებით და გამოყოს ეს მხარე.

მეორე ეტაპზე საოპერაციო ციკლის შესაბამისად უნდა დადგინდეს ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ცვალებადობაზე. ხელმძღვანელობის მიზნების შესაბამისად უნდა მოხდეს ისეთი პროცედურების გათვალისწინება, როგორიცაა საბაზრო ტაქტიკა, სამმართველო საქმიანობის ეთიკა და სტილი.

ცალკე გამოყოფას ექვემდებარება მარკეტინგული ფაქტორების გავლენა. უნდა დადგინდეს არის თუ არა კონკურენცია სერიოზული ფაქტორი საფინანსო ანგარიშგების ანალიზის თვალსაზრისით, აგრეთვე ცალკე უნდა გამოიყოს მენეჯმენტის და იურიდიული სტატუსის მოდელის გავლენის შედეგები. თანამედროვე მენეჯმენტი მოითხოვს, რომ კომპანიებმა და ფირმებმა დროდადრო უნდა მისცენ კრიტიკული შეფასება თაეის

მმართველობით საქმიანობას, თუ მათ მტკიცედ აქვთ განჩრახული უზრუნველყონ ოპერატიული კონტროლი ფინანსური ოპერაციების წარმოებაზე და მიაღწიონ მათ წინაშე მდგარი ორგანიზაციული ამოცანების შესრულებას.

საწარმოს საერთო ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის შედეგები მოყვანილი უნდა იქნეს სისტემაში – ჰორიზონტალური, ვერტიკალური და შეფარდებითი ანალიზის შედეგების მიხედვით. ჰორიზონტალური ანალიზი საშუალებას იძლევა დადგენილი იქნას განვითარების ტენდენციები, სულ მცირე, ბოლო ხუთი წლის მონაკვეთში მაინც.

ვერტიკალური ანალიზის შედეგებით დაზუსტდება პოზიციები და შეფარდებითი მაჩვენებლები, რომელთა ანალიზის საშუალებით უნდა დავადგინოთ: ა) საწარმოს ბიზნესის ფინანსური მდგომარეობა; ბ) ფირმის საქმიანობის ის მიმართულებანი, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას და გ) განვსაზღვროთ ფირმის საქმიანობის პერსპექტივები.

ანალიტიკოსმა სამუშაო პროცესში თავი უნდა აარიდოს საქმისათვის უსარგებლო საკითხების შესწავლას და მათ ანგარიშში ასახვას.

მიულებლადაა მიჩნეული დასკვნების გაკეთების დროს ორაზროვნება და არაპირდაპირობა, რომელსაც ზოგიერთი ანალიტიკოსი მიმართავს პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით.

ყურადღების გამახვილებას მოითხოვს დასკვნითი ტექსტის სწორად შედგენა. ტექსტში გრამატიკული შეცდომების სიმრავლემ შეიძლება ფაქტების დამახინჯება გამოიწვიოს და ავტორების არაკომპეტენტურობასა და ანალიზის ხარისხზე წარმოქმნას ეჭვი.

ბოლოსიტყვაობა

ნებისმიერი ქვეყნის მეცნიერების აწმყო და მომავალი დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკაზე. ამ მხრივ უმძიმეს მდგომარეობაშია საქართველო – გლობალურ კრიზისს განიცდის ეკონომიკაც და მეცნიერებაც (!).

მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მოძალებული „მრჩეველები“ ფეხს იკიდებენ ეკონომიკისა თუ მეცნიერების სფეროებში ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის ეგიდით (ვითომ?). გაჭირვებაა, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს დიდი ილიას მოწოდება ქართველებისადმი.

„ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მი-

წა-წყალი, ჩვენი ქვეყანა... შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან..." – გვაფრთხილებდა დიდი ილია ჭავჭავაძე.

დიდად სამწუხაროა, რომ საუკუნის წინ წარმოთქმული მოწოდება დღეს უფრო მეტად დამაფიქრებელი და გამაფრთხილებელია (!).

დიდი წინდახედულება, გონიერება და გარჯვა გემართებს უკლებლივ ყველას, რომ ქვეყანა კრიზისიდან გამოეიყვანოთ და ჩვენმა მომავალმა თაობის სამშობლოში ბედნიერად იცხოვროს.

მიზნის მიღწევაში დიდი როლი უნდა ითამაშოს ქართული ეკონომიკური აზროვნების აღზევებამ.

ბუღალტრული აღრიცხვის თეორიისა და პრაქტიკის გამოჩენილი მკვლევარი, ღოცენტი გოგი ბიგვავა თავის მონოგრაფიაში[1] პრაქტიკულად და თეორიულად დასაბუთებული გამოკვლევის შედეგად წერს: „მკითხველმა (სპეციალისტმა) უნდა იცოდეს, რომ არ არსებობს არავითარი აუცილებლობა ჩვენში შემოვიღოთ ამერიკული, ინგლისური თუ რომელიმე სხვა ქვეყნის ბუღალტერია, ჩვენი ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა ჯანსაღია და მთლიანად ესადაგება საბაზრო ურთიერთობის დღევანდელ მოთხოვნებს".

ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამაც, რომელიც შეეხო ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკას, დამუშავებულს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების პრინციპების გათვალისწინებით, იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენ გვაქვს საკმაოდ მაღალ დონეზე დამუშავებული ეკონომიკური ანალიზის მეთოდიკა. სიახლეს წარმოადგენს მხოლოდ იმ კატეგორიების ანალიზური კვლევის მეთოდიკა, რომლებიც საბაზრო ეკონომიკისთვისაა განსაკუთრებით დამახასიათებელი. ასე რომ, როგორც აღრიცხვის, ისე ეკონომიკური ანალიზის სამამულო მეთოდიკის შეთანაწყობა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისადმი სრულიად უმტკივნეულოდ შეიძლებოდა. რაც შეეხება ბასს დანერგვას საქართველოში, ეს პროცესი მანამდე არ უნდა დაწყებულიყო, სანამ არ შეიქმნებოდა ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტები, რამდენადაც ამას თვითონ სტანდარტების პრინციპები მოითხოვს!

---

1 გიორგი ბიგვავა, გიორგი ბარბაქაძე, საფინანსო ბუღალტერია აშშ-ში და მისი ქართული ვარიანტი, თბილისი, 1995 წ., გვ. 4.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. აფანასიევი – საბოგადოება, სისტემურობა, შემეცნება და მართვა. თბ., 1985.

2. გ. ბიგვავა – ბუღალტრული აღრიცხვის და საფინანსო სისტემის ჰარმონიზაციის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1992.

3. გ. ბიგვავა, გ. ბარბაქაძე – საფინანსო ბუღალტერია აშშ-ში და [illegible] ქართული ვარიანტი, თბ., 1995.

4. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (თარგმანი [illegible] საქართველოს ბაფ-ის მიერ), თბ., 1998-1999.

5. გ. ბაკლანოვი – ინდექსური მეთოდის ზოგიერთი საკითხი, თბ., 19[illegible]

6. ნ. ბიჭიაშვილი – სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის საკითხები და წყაროები, თბ., 1988.

7. ფ. ბურდული – სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, თბ., 1993.

8. ფ. ბურდული – ბუღალტრული აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ძირითადი საკითხები, თბ., 1989.

9. ბ. გაბიძაშვილი – სტატისტიკის ზოგადი თეორია, თბ., 1994.

10. ლ. გრიგალაშვილი – როგორ შევადგინოთ ბალანსი, თბ., 1997.

11. მ. გოცირიძე – მენეჯმენტი, თბ., 1992.

12. ნ. დგებუაძე, შ. ბურდული – სოფლის მეურნეობის საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, თბ., 1961.

13. დევიდ ბეგი და სხვ. – ეკონომიკა (თარგმანი ინგლისურიდან), თბ., 1999.

14. ეკონომიკური თეორია პროფ. გ. ადეიშვილისა და პროფ. რ. ასათიანის რედაქციით, თბ., 1998.

15. შ. ვეშაპიძე – ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კელევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები, თბ., 1999.

16. რ. ვარიანი – მიკროეკონომიკა. თანამედროვე მიდგომა (თარგმანი ინგლისურიდან), თბ., 1992.

17. ვ. ზურაბიშვილი – საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, თბ., 1999.

18. პ. კრინსკი – მათემატიკა ეკონომისტებისათვის, თბ., 1974.

19. ე. კუპრეიშვილი – მოგებისა და რენტაბელობის ანალიზი, თბ., 1988.

20. ნ. კვატაშიძე – ფინანსური აღრიცხვა, თბ., 2000.

21. რ. კაკულია, ლ. ხაბურძანია – ფული და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თბ., 1993.

22. ერიკ ნ. კომპტონი – კომერციული საბანკო სისტემის ახალი პორიზონტები, თბ., 1993.

23. მესხია ი., ვაშაკიძე ნ. და სხვ. – ბუღალტრული აღრიცხვა, თბ., 1998.

24. მესხია ი. – განვითარებული სოციალისტური ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის ამოცანები, თბ., 1986.

25. ფ. მენთეშაშვილი – სამრეწველო საწარმოთა საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, თბ., 1984.

26. ფ. მენთეშაშვილი – სიახლენი მოგებისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზში, თბ., 1994.

27. პაპავა გ. – ეკონომიკური ანალიზის და წარმოების საბოლოო შედეგების მარკეტინგული მმართველობის მეთოდოლოგია, თბ., 1992.

28. პაპავა ვ. – საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე, თბ., 1995.

29. სამუელსონი პ. – ეკონომიკა, ტ. I, თბ., 1992.

30. სალარეიშვილი ო., ხარაიშვილი ე. – ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა და ანალიზი, თბ., 1995.

31. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, თბ., 2000.

32. ე. ცირამუა – სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, თბ., 1999.

33. დ. ძნელაძე – სამრეწველო წარმოების ორგანიზაცია და მართვა, თბ., 1986.

34. ე. ხარაბაძე – ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით, თბ., 1998.

35. ი. ჭავჭავაძე, ტ. V, თბ., 1987.

36. ნ. ჭითანავა – გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1997.

37. ს. ჩოჩოშვილი, ნ. ქევხიშვილი – სამრეწველო წარმოების ორგანიზება და მართვა, თბ., 1999.

38. რ. ძაძამია – ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამეწარმეო-სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 1997.

39. გ. ცინცაძე – მეცნიერული კვლევის სისტემური მეთოდი, თბ., 1980.

40. Баканов М. И., Шеремет А. Д. - Теория экономического анализа, М.," Финансы" (1995.

41. Бернстаин Л. А. - Анализ финансовой отчетности, М.," Финансы и статистика", 1996.

42. Зудилин А. П. Анализ хозяйственной деятельности развитых капиталистических стран, М., 1986.

43. Козлов Н. В., Богаров Е. П. - Перспективный экономический анализ, М., 1987.

44. Метьюс М. Р., Перера М. - Теория бухгалтерского учета, М., 1999 (перевод с английского).

45. Методика экономического анализа деятельности промышленного предприятия (под ред. А. Шеремета), М., 1988.

46. Савицкая Г. В. - Анализ хозяйственной деятельности предприятия, Минск-Москва, 1998.

47. Томас П. Карлин, Альберт Р. Макман - Анализ финансовых отчетов (на основе GAAP), М., 1998.

48. Шеремет А. Д., Саифулин Р. С. - Методика финансового анализа предприятия, М., 1996.

49. Шкарабан С. И. - Основы оперативного экономического анализа, Львов, 1988.

50. Энтони Р., Рис Дж. - Учет: ситуаций и примеры, М., 1993.

51. Как понимать и использовать финансовую отчетность (пер. с англ.), М., 1996.

52. Джей К. Шим, Джоел Г. Сител - Финансовый менеджмент, М., 1996.

53. Пол Хейне - Экономический образ мышления, М., 1991.

54. Саката сиро - Практическое руководство по управлению качеством. Мх., 1980.

55. Справочник по функционально стоимостному анализу, М., 1988.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა ——— 3

ნაწილი I

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის თეორიული საფუძვლები ——— 5

თავი I. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის არსი, საგანი, ობიექტები და ამოცანები ——— 5

§1. ეკონომიკური საქმიანობა და ეკონომიკური მეცნიერების ფუნქციები ——— 5

§2. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის არსი ——— 6

§3. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის კვლევის საგანი და ობიექტები ——— 8

§4. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის პრობლემები და ძირითადი ამოცანები ——— 12

თავი II. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის მეცნიერული საფუძვლები ——— 15

§1. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი და შემეცნების თეორია ——— 15

§2. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი მეცნიერებათა სისტემაში ——— 16

§3. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი და აუდიტი ——— 21

§4. ეკონომიკური ანალიზის სისტემურობა და კომპლექსურობა ——— 22

§5. წარმოების დონეზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია ——— 28

თავი III. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის სახეები ——— 30

§1. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის სახეების ზოგადი კლასიფიკაცია ——— 30

§2. დარგობრივი ანალიზის ორგანიზაციის და მეთოდიკის თავისებურებანი ——— 32

§3. ანალიზის სახეები ჩატარების დროის მიხედვით ——— 34

§4. ეკონომიკური ანალიზის სივრცობრივი ფორმები ——— 36

§5. ეკონომიკური ანალიზის მიმართულებანი ——— 40

თავი IV. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის კვლევის მეთოდი ——— 44

§1. მეცნიერული კვლევის მეთოდები ——— 44

§2. ეკონომიკური ანალიზის ხერხების კლასიფიკაცია ——— 46

§3 ანალიზი და ბრძენთა აზრები ——— 64

თავი V. ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის ორგანიზაცია და ინფორმაციის წყაროები ——— 69

§1. ანალიზის ჩატარების ორგანიზაციის ძირითადი მიზანი და ეტაპები — 69
§2. ეკონომიკური ანალიზის ინფორმაციის ბაზა — 70
§3. საანალიზო ინფორმაციის შემოწმების ხერხები — 75
§4. ეკონომიკური ანალიზის შედეგების გაფორმება და რეალიზაცია — 78

ნაწილი II

მმართველობითი ინფორმაციის ეკონომიკური ანალიზის საკითხები — 81

თავი VI. პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებელთა ანალიზი — 82
§1. პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებელთა სისტემა — 82
§2. პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებელთა ანალიზის ამოცანები და ინფორმაციის წყაროები — 87
§3. წარმოების მოცულობის გეგმის ხარისხიანობის შემოწმება — 89
§4. პროდუქციის წარმოების მოცულობის გეგმის შესრულებისა და დინამიკის ანალიზი — 91
§5. პროდუქციის გამოშვების ანალიზი ასორტიმენტის ხარისხის და რიტმულობის მიხედვით — 92
§6. პროდუქციის გამოშვების ოპერატიული ანალიზი — 100
§7. პროდუქციის წარმოების მოსალოდნელი შესრულების პროგნოზული ანალიზი — 102

თავი VII. წარმოების ხარჯების და პროდუქციის თვითღირებულების ანალიზი — 104
§1. წარმოების ხარჯების ცნება და კლასიფიკაცია. ანალიზის ამოცანები და საინფორმაციო წყაროები — 104
§2. თვითღირებულების გეგმის შესრულების ზოგადი შეფასება — 110
§3. წარმოებაზე დანახარჯების ანალიზი ეკონომიკური ელემენტების მიხედვით — 112
§4. სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ანალიზი — 115
§5. სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების მუხლობრივი ანალიზი — 116
§6. ცალკეული სახის პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის ანალიზი — 127
§7. პროდუქციის თვითღირებულების ოპერატიული და პერსპექტიული ანალიზის საკითხები — 129

თავი VIII. მატერიალური რესურსების წარმოებაში გამოყენების ანალიზი — 133

§1. პროდუქციის მაღალ ტექნიკურ მაჩვენებლებში. ანალიზის ამოცანები და ინფორმაციის წყაროები — 133
§2. მატერიალური დანახარჯების ნორმები — 136
§3. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და მარაგების მდგომარეობის ანალიზი — 138
§4. პროდუქციის მასალატევადობის ანალიზი — 141
§5. მასალატევადობის შემცირების გზები — 143

თავი IX. შრომითი რესურსების გამოყენების ფაქტორული ანალიზი — 146
§1. შრომითი რესურსების ანალიზის სადღეისო პრობლემები — 146
§2. შრომითი მაჩვენებლების სისტემა, ანალიზის ამოცანები და ინფორმაციის წყარო — 147
§3. შრომის ნაყოფიერების ანალიზი — 151
§4. საწარმოს სამუშაო ძალით უზრუნველყოფის ანალიზი — 154
§5. სამუშაო დროის გამოყენების ანალიზი — 158
§6. სოციალური მაჩვენებლების ანალიზის საკითხები — 161

თავი X. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გამოყენების ანალიზი — 164
§1. ძირითადი საშუალებების გამოყენების ანალიზის ამოცანები და ინფორმაციის წყაროები — 164
§2 ძირითადი ფონდების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი — 166
§3. ძირითადი ფონდების ტექნიკური მდგომარეობის ანალიზი — 167
§4. ძირითადი ფონდების გამოყენების ფექტიანობის მაჩვენებლები და მათი ანალიზი — 170
§5. საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ანალიზი — 172
§6. არამატერიალური აქტივების ცნება და ანალიზის ამოცანები — 175

თავი XI. სასაქონლო პროდუქციის და დანარჩენი აქტივების რეალიზაციის ანალიზი — 176
§1. საქონელი, როგორც ბაზრის ძირითადი ატრიბუტი — რეალიზაციის ცნება და ანალიზის ამოცანები — 176
§2. პროდუქციის გაყიდვის და რეალიზაციის მაჩვენებელთა ურთიერთკავშირის ანალიზი — 177
§3. რეალიზაციის გეგმის შესრულების ანალიზი პროდუქციის სახეების მიხედვით რეალიზაციის ოპერატიული ანალიზი — 181
§4. ძირითადი საშუალებების და დანარჩენი აქტივების რეალიზაციის ანალიზი — 181
§5 მარკეტინგული ანალიზის საკითხები — 182

თავი XII. საწარმოს მოგებისა და რენტაბელობის ანალიზი — 183
§1. ფინანსური შედეგების ანალიზის ამოცანები — 183
§2. სამეურნეო წლის მოგების გეგმის შესრულების ანალიზი — 185
§3. სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების გეგმის შესრულების ანალიზი — 187
§4. მოგების გეგმის შესრულების ოპერატიული ანალიზი — 190
§5. მოგების განაწილებისა და გამოყენების ანალიზი — 192
§6. რენტაბელობის მაჩვენებელთა სისტემა და მათი ანალიზური მნიშვნელობა — 194
§7. რენტაბელობის მაჩვენებელთა თანამედროვე სისტემა — 197

ნაწილი III.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საკითხები — 201

თავი XIII. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ფუნქციები და ამოცანები — 201
§1. ფინანსური ანგარიშგების არსი და სახეები — 201
§2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების სტრუქტურული საფუძვლები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით — 204
§3. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის არსი და ამოცანები — 207
§4. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და ინფორმაციის ხარისხობრივი მაჩვენებლები — 210
§5. ფინანსური აღრიცხვის მიზნები, პრინციპები და მათი მნიშვნელობა ანალიზისათვის — 214

თავი XIV. ფინანსური ინფორმაციის ანალიზის მეთოდიკა და ორგანიზაცია — 216
§1. ძირითადი მიდგომები ფინანსური ანგარიშგების ანალიზის დროს — 216
§2. ეკონომიკური საქმიანობის და ოპერაციების გარდაქმნა — 218
§3. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სამუშაო ხერხები — 219

თავი XV. მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების ანალიზის საკითხები — 227
§1. მიმდინარე აქტივების ცნება, კლასიფიკაცია და ანალიზის ამოცანები — 227
§2. საწარმოო მარაგები — 229
§3. ფულადი სახსრები და საბანკო ფასიანი ქაღალდები — 236
§4. დებიტორული დავალიანება და დაუმთავრებელი წარმოება — 240
§5. გრძელვადიანი აქტივების ანალიზი — 244

თავი XVI. მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებების ანალიზის საკითხები — 247
§1. „ვალდებულებების“ ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები — 247
§2. მიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია და ანალიზური პროცედურები — 252
§3. გრძელვადიანი ვალდებულებები — 254

თავი XVII. საკუთარი კაპიტალის ანალიზის საკითხები — 256
§1. საკუთარი კაპიტალის არსი; ანალიზის ამოცანები — 256
§2. კრედიტორული დავალიანების და საკუთარი კაპიტალის ცნებებს შორის განსხვავება — 259
§3. საკუთარი კაპიტალის წყაროების კლასიფიკაცია — 261
§4. გაუნაწილებელი მოგების ანალიზი — 265

თავი XVIII. მოგება-ზარალის ანგარიშის ანალიზის საკითხები — 267
§1. მოგება-ზარალის ანგარიშის შინაარსი და ანალიზის მიზანი — 267
§2. მოგების შეფასება და პროგნოზი — 271
§3. „მოგება-ზარალის“ ანგარიშის ელემენტების ანალიზური მნიშვნელობა — 275
§4. ანალიზის თავისებურებანი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განხილვის დროს — 280

თავი XIX. ფულადი სახსრების ნაკადების დინამიკის და ფინანსური პროგნოზების ანალიზის საკითხები — 282
§1. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში და მისი ანალიზური მნიშვნელობა — 282
§2. ფულადი სახსრების მოკლევადიანი პროგნოზები — 288
§3. ნაღდი ფულის მოძრაობის ანალიზის პრობლემური საკითხები — 289
§4. ფულადი სახსრების ნაკადების ინფორმაციის ანალიზის პროცესში გასათვალისწინებელი მომენტები — 293

თავი XX. ლიკვიდურობისა და გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის ანალიზის საკითხები — 295
§1. ლიკვიდურობის არსი და მისი ანალიზური მნიშვნელობა — 295
§2. მუშა კაპიტალის ცნება — 299
§3. მიმდინარე პასივები — მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებანი — 300
§4. დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი — 303
§5. მარაგების ბრუნვადობის მაჩვენებლები — 305

§6. გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები და მათი ანალიზი — 309
§7. ფინანსური ლევერიჯის კონცეფცია — 313

თავი XXI. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკა აშშ-ის სამრეწველო კომპანიებში — 314
§1. აშშ-ის სამრეწველო კომპანიების ფინანსური ანგარიშგების ფორმები — 314
§2. ბუღალტრული ბალანსის ზოგადი ანალიზისმეთოდიკა — 321
§3. ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ და მისი ანალიზის მეთოდიკა — 325
§4. ანგარიშგება აკუმულირებული, გაუნაწილებელი მოგების შესახებ და მისი ანალიზის მეთოდიკა — 330

თავი XXII. ეკონომიკური ანალიზი სტანდარტების ჩარჩოებში და შემოქმედებითი პრინციპებით — 332

გოლოსიტყვაობა — 335

გამოყენებული ლიტერატურა — 337

ფრიდონ ბურდული

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის აქტუალური საკითხები

Придон Алексеевич Бурдули

Актуальные вопросы анализа экономической деятельности

(на грузинском языке)